Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 Classics of Marxism

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

http://ciml.250x.com

Georgian Section

www.joseph-stalin.net

SHMG Press

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

ლენინი

ი ბ ე ჭ დ ე ბ ა
რკპ(ბ) IX ყრილობისა
და სსრკ საბჭოების
II ყრილობის
დადგენილებით

ИНСТИТУТ МАРКСА-ЭНГЕЛЬСА-ЛЕНИНА при ЦК ВКП(б)

В. И. ЛЕНИН

СОЧИНЕНИЯ

Издание четвертое

ОГИЗ
ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
1947

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის
ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

ვ. ი. ლენინი

თხზულებანი

ტომი მეოთხე

სახელგამი
პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი
1950

ვ. ი. ლენინი

ტომი
9

ივნისი—ნოემბერი *1905*

წინასიტყვაობა

მეცხრე ტომი შეიცავს ვ. ი. ლენინის იმ ნაწარმოებებს, რომლებიც დაწერილია 1905 წლის მეორე ნახევარში (ივნისი — ნოემბერი).

ტომში შედის ისტორიული წიგნი «სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში», რომელშიც ლენინმა მოგვცა მენშევიკების ტაქტიკის კლასიკური კრიტიკა, გენიალურად დაასაბუთა ბოლშევიკური ტაქტიკა და რევოლუციის ახალი თეორიით გაამდიდრა მარქსიზმი. ამ წიგნის ბოლოსიტყვაობის მეორე თავი პირველად იბეჭდება სრულად ხელნაწერის მიხედვით, რომლის ნაწილი აღმოჩენილია 1940 წელს.

ტომში იბეჭდება სტატიები: «პროლეტარიატი იბრძვის, ბურჟუაზია ხელისუფლებისაკენ მიიპარება», «ბულიგინის საათბიროს ბოიკოტი და აჯანყება», «მონარქისტული ბურჟუაზიის კუდში ჩანჩალი თუ რევოლუციური პროლეტარიატისა და გლეხობის მეთაურობა?», «პარლამენტარიზმობანას თამაში», «თავდაცვიდან თავდასხმაზე» და სხვ.. ამ სტატიებში ლენინი იცავს მუშათა კლასის რევოლუციურ ტაქტიკას, იძლევა მითითებებს შეიარაღებული აჯანყების მომზადების შესახებ, ამხელს ლიბერალური ბურჟუაზიის ყალბ «დემოკრატიზმსა» და მენშევიკების შემთანხმებლობის ტაქტიკას.

სტატიებში «სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულება გლეხთა მოძრაობისადმი», «სოციალიზმი და გლეხობა» და «წვრილბურჟუაზიული და პროლეტარული სოციალიზმი» ლენინი ასაბუთებს და განმარტავს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევო-

ლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდისათვის ბრძოლის ბოლშევიკურ სტრატეგიულ გეგმას.

სტატიები «პოლიტიკური გაფიცვა და ქუჩის ბრძოლა მოსკოვში», «მოსკოვის ამბების გაკვეთილები», «სრულიად რუსეთის პოლიტიკური გაფიცვა» და «რევოლუციის პირველი გამარჯვება» მიძღვნილია ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვისადმი.

ლენინის ნაწარმოებები «წინასიტყვაობა ბროშურისა «მუშები პარტიული გათიშვის შესახებ»», «პარტიული გაერთიანების საკითხისათვის» და სხვები მიმართულია მენშევიკების გამთიშველ მოქმედებათა წინააღმდეგ.

ტომში ქვეყნდება ვ. ი. ლენინის თხზულებებში პირველად შეტანილი შემდეგი ნაშრომები: «დასკვნითი ნაწილი სტატიისა «პარიზის კომუნა და დემოკრატიული დიქტატურის ამოცანები»», «პირვანდელი ვარიანტი წინასიტყვაობისა ბროშურისათვის «მუშები პარტიული გათიშვის შესახებ»», «შენიშვნა რსდმპ საზღვარგარეთული ორგანიზაციების კონფერენციის რეზოლუციის გამო», «რედაქციის ბოლოსიტყვაობა სტატიისათვის «მესამე ყრილობა კავკასიელი მენშევიკების სამსჯავროს წინაშე»», «შენიშვნა პ. ნიკოლაევის ბროშურის გამო «რევოლუცია რუსეთში»», «მომენტისათვის», «ეგრეთწოდებული სომეხთა სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციის შესახებ», ««პროლეტარიატის ბრძოლა»», «საზღვარგარეთელი ახალგაზრდობა და რუსეთის რევოლუცია», «შენიშვნა სტატიის გამო «ბრიტანეთის მუშათა მოძრაობა და ტრედ-უნიონთა კონგრესი»», «ჩანართი ვ. კალინინის სტატიაში «გლეხთა ყრილობა»» და სტატია «ორ ბრძოლას შუა». ამ სტატიაში ლენინი აჯამებს 1905 წლის ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის შედეგებს და მოუწოდებს რუსეთის პროლეტარიატს შეამჭიდროოს თავისი ძალები მეფის თვითმპყრობელობის დასამხობად საყოველთაო სახალხო შეიარაღებული აჯანყების **გზით.**

5-76
1-112.

სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში[1]

დაწერილია 1905 წლის ივნის-ივლისში
პირველად დაიბეჭდა ცალკე ბროშურად
ჟენევაში 1905 წლის ივლისში

იბეჭდება ბროშურის
ტექსტის მიხედვით, რომელიც შეჯერებულია ხელნაწერთან

N. Lenin. Deux tactiques.

Prix: 1 fr. 25 cts. — 1 mk. — 18 ch. — 25 cent.

Россійская Соціальдемократическая Рабочая Партія.

Пролетаріи всѣхъ странъ соединяйтесь!

Н. ЛЕНИНЪ.

Двѣ тактики СОЦІАЛЬДЕМОКРАТІИ въ демократической революціи.

Изданіе Центр. Ком. Р. С. Д. Р. П.

ЖЕНЕВА
Типографія Партіи. 3, rue de la Colline 3.
1905.

გარეკანი ვ. ი. ლენინის ბროშურისა «სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში». — 1905 წ.

დაპატარავებულია

წინასიტყვაობა

რევოლუციურ მომენტში მეტად ძნელია კვალდაკვალ მივყვეთ ამბებს, რომლებიც საოცრად ბევრ ახალ მასალას იძლევიან რევოლუციური პარტიების ტაქტიკური ლოზუნგების შეფასებისათვის. ეს ბროშურა დაიწერა ოდესის ამბებამდე *. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ «პროლეტარში» [2] (№ 9, «რევოლუცია გვასწავლის») **, რომ ამ ამბებმა თვით ის სოციალ-დემოკრატებიც კი, რომლებმაც შექმნეს აჯანყება-პროცესის თეორია და რომლებიც უარყოფდნენ პროპაგანდას დროებითი რევოლუციური მთავრობის სასარგებლოდ, აიძულეს გადასულიყვნენ ან ფაქტიურად დაეწყოთ გადასვლა თავიანთი ოპონენტების მხარეზე. უეჭველია, რევოლუცია გვასწავლის ისეთი სისწრაფით და ისეთი საფუძვლიანობით, რომ ეს სისწრაფე და საფუძვლიანობა დაუჯერებლად გვეჩვენება პოლიტიკური განვითარების მშვიდობიან ეპოქაში. და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, იგი ასწავლის არა მარტო ხელმძღვანელებს, არამედ მასებსაც.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ რევოლუცია რუსეთის მუშათა მასებს სოციალ-დემოკრატიზმს შეასწავლის. სოციალ-დემოკრატიის პროგრამასა და ტაქტიკას რევოლუცია საქმით დაადასტურებს, გამოამჟღავნებს რა სხვადასხვა საზოგადოებრივი კლასის ნამდვილ ბუნებას, ჩვენი დემოკრატიის ბურჟუაზიუ-

---

* იგულისხმება ჯავშნოსან «თავად პოტიომკინის» აჯანყება. (ავტორის შენიშვნა 1907 წლის გამოცემისათვის. რ ე დ.).

** ის. ეს ტომი, გვ. 172 — 173. რ ე დ.

ლობას და ნამდვილ მისწრაფებებს გლეხობისას, რომელიც რევოლუციურია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული აზრით, მაგრამ გულში ატარებს არა «სოციალიზაციის» იდეას, არამედ ახალ კლასობრივ ბრძოლას გლეხურ ბურჟუაზიასა და სოფლის პროლეტარიატს შორის. ძველი ნაროდნიკობის ძველ ილუზიებს, რომლებიც ასე აშკარად გამოსჭვივის, მაგალითად, «სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის» პროგრამის პროექტში რუსეთის კაპიტალიზმის განვითარების საკითხშიც, ჩვენი «საზოგადოების» დემოკრატიზმის საკითხშიც, გლეხთა აჯანყების სრული გამარჯვების მნიშვნელობის საკითხშიც, — ყველა ამ ილუზიას დაუნდობლად და საბოლოოდ გაფანტავს რევოლუცია. იგი პირველად მოახდენს სხვადასხვა კლასის ნამდვილ პოლიტიკურ ნათლობას. ეს კლასები რევოლუციიდან გარკვეული პოლიტიკური ფიზიონომიით გამოვლენ და თავს დაგვანახვებენ მარტო პროგრამებსა და თავიანთ იდეოლოგთა ტაქტიკურ ლოზუნგებში კი არა, არამედ მასების აშკარა პოლიტიკურ მოქმედებაშიც.

უეჭველია, რევოლუცია გვასწავლის ჩვენ, ასწავლის ხალხის მასებს. მაგრამ მებრძოლი პოლიტიკური პარტიისათვის ახლა საკითხი ის არის, შევძლებთ თუ არა რევოლუციას რამე ვასწავლოთ? შევძლებთ თუ არა ჩვენი სწორი სოციალ-დემოკრატიული მოძღვრებისა და ერთადერთ მტკიცე რევოლუციურ კლასთან, პროლეტარიატთან, ჩვენი კავშირის გამოყენებას იმისათვის, რომ რევოლუციას პროლეტარული ბეჭედი დავასვათ, რომ რევოლუცია საქმითა და არა სიტყვით ნამდვილ გადამწყვეტ გამარჯვებამდე მივიყვანოთ, რომ დემოკრატიული ბურჟუაზიის მერყეობა, ორჭოფობა და გამცემლობა გავაქარწყლოთ?

ამ მიზნისაკენ უნდა მივმართოთ მთელი ჩვენი ძალღონე. მისი მიღწევა კი დამოკიდებულია, ერთი მხრივ, იმაზე, თუ რამღენად სწორად შევაფასებთ პოლიტიკურ პოზიციას, რამდენად სწორი იქნება ჩვენი ტაქტიკური ლოზუნგები, ხოლო, მეორე მხრივ, იგი დამოკიდებულია იმაზე, დაუჭერს თუ არა მხარს

მუშათა მასების რეალური მებრძოლი ძალა ამ ლოზუნგებს. ჩვენი პარტიის ყველა ორგანიზაციისა და ჯგუფის მთელი ჩვეულებრივი, რეგულარული, მიმდინარე მუშაობა, საპროპაგანდო, სააგიტაციო და საორგანიზაციო მუშაობა, მიმართულია მასასთან კავშირის განმტკიცებისა და გაფართოებისაკენ. ეს მუშაობა ყოველთვის აუცილებელია, მაგრამ რევოლუციურ მომენტში ის ყველაზე ნაკლებად, ვიდრე ოდესმე, შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად. ასეთ მომენტში მუშათა კლასი ინსტინქტურად ისწრაფის აშკარა რევოლუციური გამოსვლისაკენ, და ჩვენ უნდა შეგვეძლოს ამ გამოსვლის ამოცანების სწორად დასახვა, რომ შემდეგში რაც შეიძლება უფრო ფართოდ გავავრცელოთ ამ ამოცანების გაცნობა და მათი გაგება. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მოარული პესიმიზმი მასასთან ჩვენი კავშირის შესახებ ამჟამად განსაკუთრებით ხშირად ფარავს ბურჟუაზიულ იდეებს პროლეტარიატის როლზე რევოლუციაში. უეჭველია, ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი და ბევრი უნდა ვიმუშაოთ მუშათა კლასის აღზრდასა და ორგანიზაციაზე, მაგრამ მთელი საკითხი ახლა ის არის, სად უნდა იყოს მოთავსებული ამ აღზრდისა და ამ ორგანიზაციის სიმძიმის მთავარი პოლიტიკური ცენტრი? პროფესიულ კავშირებსა და ლეგალურ საზოგადოებებში თუ შეიარაღებულ აჯანყებაში, რევოლუციური არმიისა და რევოლუციური მთავრობის შექმნის საქმეში? როგორც პირველის, ისე მეორის მეოხებით იზრდება და ირაზმება მუშათა კლასი. ერთიც და მეორეც, რა თქმა უნდა, აუცილებელია. მაგრამ მთელი საკითხი ახლა, დღევანდელ რევოლუციაში, ის არის, თუ სად იქნება მოთავსებული მუშათა კლასის აღზრდისა და ორგანიზაციის სიმძიმის ცენტრი — პირველში თუ მეორეში?

რევოლუციის ბედი იმაზეა დამოკიდებული, შეასრულებს მუშათა კლასი ბურჟუაზიის ხელშემწყობის როლს, ხელშემწყობისა, რომელიც ძლიერი იქნება თვითმპყრობელობის წინააღმდეგ თავისი შეტევის ძალით, მაგრამ უძლური პოლიტიკურად, — თუ შეასრულებს სახალხო რევოლუციის ხელმძღვანელის როლს. ბურჟუაზიის შეგნებული წარმომადგენლები

ამას მშვენივრად გრძნობენ. ამიტომაა, რომ «ოსვობოჟდენიე»[3] ხოტბას ასხამს სოციალ-დემოკრატიაში აკიმოვობას, «ეკონომიზმს», რომელიც დღეს პირველ რიგში პროფესიულ კავშირებსა და ლეგალურ საზოგადოებებს აყენებს. ამიტომაა, რომ ბ-ნი სტრუვე მიესალმება («ოსვობოჟდენიე» № 72) აკიმოვობის პრინციპულ ტენდენციებს ახალისკრელთა მიმართულებაში. ამიტომ არის, რომ იგი თავს ესხმის რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III ყრილობის გადაწყვეტილებათა საძულველ რევოლუციურ შეზღუდულობას.

მასების ხელმძღვანელობისათვის სოციალ-დემოკრატიის სწორ ტაქტიკურ ლოზუნგებს ამჟამად განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვთ. არაფერია იმაზე უფრო საშიში, როგორც პრინციპულად მტკიცე ტაქტიკური ლოზუნგების მნიშვნელობის დაკნინება რევოლუციურ ხანაში. მაგალითად, «ისკრა»[4] № 104-ში ფაქტიურად თავისი სოციალ-დემოკრატიული ოპონენტების მხარეზე გადადის, მაგრამ ამავე დროს ათვალწუნებით ლაპარაკობს იმ ლოზუნგებისა და ტაქტიკურ გადაწყვეტილებათა მნიშვნელობაზე, რომლებიც ცხოვრებას წინ უსწრებენ, უჩვენებენ იმ გზას, რომლითაც მიიმართება მოძრაობა, და რასაც თან ახლავს მთელი რიგი წარუმატებლობანი, შეცდომები და სხვ.. პირიქით, სწორ ტაქტიკურ გადაწყვეტილებათა შემუშავებას გიგანტური მნიშვნელობა აქვს პარტიისათვის, რომელსაც სურს მარქსიზმის მტკიცე პრინციპების მიხედვით უხელმძღვანელოს პროლეტარიატს და არა კუდში მისჩანჩალებდეს მოვლენებს. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III ყრილობისა და პარტიის გამოთიშული ნაწილის კონფერენციის * რეზოლუციებში ჩვენ გვაქვს ტაქტიკურ

* რსდმპ III ყრილობაში (ლონდონი, 1905 წლის მაისს) მხოლოდ ბოლშევიკები მონაწილეობდნენ. «კონფერენციაში» კი (ჟენევა, იმავე დროს) — მხოლოდ მენშევიკები, რომლებსაც ამ ბროშურაში ხშირად ვუწოდებთ «ახალისკრელებს», რადგან, განაგრძობდნენ რა «ისკრის» გამოცემას, მაშინდელი მათი თანამოაზრის, ტროცკის, პირით მათ განაცხადეს, რომ ძველსა და ახალ «ისკრას» შორის უფსკრულია. (ავტორის შენიშვნა 1907 წლის გამოცემისათვის. რ ე დ.)

შეხედულებათა უაღრესად ზუსტი, უაღრესად მოფიქრებული და უაღრესად სრული გამოხატულებანი, რომლებიც შემთხვევით კი არ გამოუთქვამთ ცალკეულ ლიტერატორებს, არამედ მიღებულია სოციალ-დემოკრატიული პროლეტარიატის პასუხისმგებელი წარმომადგენლების მიერ. ჩვენი პარტია ყველა დანარჩენ პარტიაზე წინ დგას, მას აქვს ზუსტი და ყველას მიერ მიღებული პროგრამა. მან მაგალითი უნდა უჩვენოს დანარჩენ პარტიებს თავისი ტაქტიკური რეზოლუციებისადმი მკაცრი დამოკიდებულების საქმეშიც, წინააღმდეგ «ოსვობოჟდენიეს» დემოკრატიული ბურჟუაზიის ოპორტუნიზმისა და სოციალისტ-რევოლუციონერთა რევოლუციური ფრაზისა, რომლებსაც მხოლოდ რევოლუციის დროს გაახსენდათ პროგრამის «პროექტით» გამოსვლა და რომელნიც პირველად შეუდგნენ იმ საკითხის გამორკვევას, ბურჟუაზიულია თუ არა ის რევოლუცია, რომელიც მათ თვალწინ ხდება.

აი რატომ ვთვლით ჩვენ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის უაღრესად საარსებო საქმედ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III ყრილობისა და კონფერენციის ტაქტიკური რეზოლუციების გულმოდგინედ შესწავლას, მათში მარქსიზმის პრინციპებიდან გადახრის გამორკვევას და დემოკრატიულ რევოლუციაში სოციალ-დემოკრატიული პროლეტარიატის კონკრეტული ამოცანების გაგებას. ეს ბროშურაც ამ მიზანს ემსახურება. ჩვენი ტაქტიკის შემოწმება მარქსიზმის პრინციპებისა და რევოლუციის გაკვეთილების თვალსაზრისით აუცილებელია იმისთვისაც, ვისაც სურს რეალურად შეამზადოს ტაქტიკის ერთიანობა, როგორც საფუძველი მთელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მომავალი სრული გაერთიანებისა, და არ დასჯერდეს მარტო შემაგონებელ სიტყვებს.

ნ. ლენინი

1905 წლის ივლისი.

1. საარსებო პოლიტიკური საკითხი

დღევანდელი რევოლუციური მომენტის დღის წესრიგში დგას საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრების მოწვევის საკითხი. თუ როგორ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი, ამის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. ისახება სამი პოლიტიკური მიმართულება. 1) მეფის მთავრობა ურიგდება ხალხის წარმომადგენლების მოწვევის აუცილებლობას, მაგრამ მას არავითარ შემთხვევაში არა სურს დაუშვას, რომ მათი კრება იყოს საყოველთაო სახალხო და დამფუძნებელი. იგი თითქოს თანახმაა, თუ დავუჯერებთ გაზეთების ცნობას ბულიგინის კომისიის მუშაობის შესახებ [5], მოწვეულ იქნას სათათბირო კრება, რომლის არჩევის დროს აგიტაციის თავისუფლება არ იქნება, ხოლო საარჩევნო სისტემა ვიწრო-ცენზიანი ან ვიწრო-წოდებრივი იქნება. 2) რევოლუციური პროლეტარიატი, რამდენადაც მას სოციალ-დემოკრატია ხელმძღვანელობს, მოითხოვს დამფუძნებელი კრების ხელში მთელი ძალაუფლების გადასვლას; ამ მიზნით იგი იბრძვის არა მარტო საყოველთაო საარჩევნო უფლებისა და აგიტაციის სრული თავისუფლების მოპოვებისათვის, არამედ, ამას გარდა, მეფის მთავრობის დაუყოვნებლივ დამხობისა და დროებითი რევოლუციური მთავრობით შეცვლისათვის. დასასრულ, 3) ლიბერალური ბურჟუაზია, რომელიც თავის სურვილს ეგრეთწოდებული «კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის» [6] ბელადთა პირით გამოხატავს, არ მოითხოვს მეფის მთავრობის დამხობას, არ აყენებს დროებითი მთავრობის ლოზუნგს, არ მოითხოვს დაჟინებით იმის რეალურ გარანტიებს,

რომ არჩევნები სავსებით თავისუფალი და სწორი იყოს, რომ წარმომადგენლების კრება ნამდვილად საყოველთაო სახალხო და ნამდვილად დამფუძნებელი გახდეს. არსებითად ლიბერალური ბურჟუაზია, რომელიც «ოსვობოჟდენიელების» მიმართულების ერთადერთ სერიოზულ სოციალურ დასაყრდენს წარმოადგენს, ცდილობს მიაღწიოს რაც შეიძლება მშვიდობიან შეთანხმებას მეფესა და რევოლუციურ ხალხს შორის, თანაც ისეთ შეთანხმებას, რომლის დროსაც ყველაზე მეტი ძალაუფლება ერგება მას, ბურჟუაზიას, ყველაზე ნაკლები — რევოლუციურ ხალხს, პროლეტარიატსა და გლეხობას.

ასეთია ამჟამად პოლიტიკური მდგომარეობა. ასეთია სამი მთავარი პოლიტიკური მიმართულება, რომელიც თანამედროვე რუსეთის სამ მთავარ სოციალურ ძალას შეესაბამება. იმის შესახებ, თუ როგორ ფარავენ «ოსვობოჟდენიელები» ვითომდა-დემოკრატიული ფრაზებით თავიანთ ორჭოფ, ე. ი., უფრო პირდაპირ და უბრალოდ რომ ვთქვათ, მოღალატურ, გამცემლურ პოლიტიკას რევოლუციის მიმართ, — ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს «პროლეტარში» (№№ 3, 4, 5) *. ახლა ვნახოთ, როგორ ითვალისწინებენ სოციალ-დემოკრატები მომენტის ამოცანებს. ამ მხრივ ჩინებულ მასალას წარმოადგენს ორი რეზოლუცია, რომელიც სულ ახლახან მიიღო რსდმპ III ყრილობამ და პარტიის გამოთიშული ნაწილის «კონფერენციამ». საკითხს იმის შესახებ, თუ ამ რეზოლუციათაგან რომელი უფრო სწორად ითვალისწინებს პოლიტიკურ მომენტს და უფრო სწორად განსაზღვრავს რევოლუციური პროლეტარიატის ტაქტიკას, უდიდესი მნიშვნელობა აქვს; ყოველი სოციალ-დემოკრატი, რომელსაც სურს შეგნებულად შეასრულოს თავისი, როგორც პროპაგანდისტის, აგიტატორისა და ორგანიზატორის მოვალეობანი, სრული ყურადღებით უნდა გაერკვეს ამ საკითხში და სრულიად განზე დასტოვოს ის მოსაზრებანი, რომლებიც საქმის დედაარსს არ ეხება.

---

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 8, გვ. 575 — 586, 607 — 624. **რ ე დ.**

პარტიის ტაქტიკად იგულისხმება მისი პოლიტიკური მოქმედება, ანუ მისი პოლიტიკური მოღვაწეობის ხასიათი, მიმართულება, საშუალებანი. პარტიული ყრილობა ტაქტიკურ რეზოლუციებს იმიტომ იღებს, რომ ზუსტად განსაზღვროს პარტიის, როგორც მთელის, პოლიტიკური მოქმედება ახალი ამოცანების მიმართ ან ახალი პოლიტიკური მდგომარეობის გამო. ასეთი ახალი მდგომარეობა შექმნა რუსეთში დაწყებულმა რევოლუციამ, ესე-იგი ხალხის გიგანტური უმრავლესობის სრულმა, გადამწყვეტმა და აშკარა დაშორებამ მეფის მთავრობასთან. ახალი საკითხი ის არის, თუ როგორია ნამდვილი საყოველთაო სახალხო და ნამდვილი დამფუძნებელი კრების მოწვევის პრაქტიკული საშუალებები (თეორიულად ასეთი კრების საკითხი უკვე დიდი ხანია ყველა პარტიაზე ადრე ოფიციალურად გადაწყვიტა სოციალ-დემოკრატიამ თავის პარტიულ პროგრამაში). თუ ხალხი დაშორდა მთავრობას, და მასამ შეიგნო ახალი წესწყობილების დამყარების აუცილებლობა, მაშინ პარტიამ, რომელსაც მიზნად დაუსახავს მთავრობის დამხობა, აუცილებლად უნდა იფიქროს იმაზე, როგორი მთავრობით უნდა შეიცვალოს ძველი, დასამხობი მთავრობა. ისმება ა ხ ა ლ ი საკითხი დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ. ამ კითხვაზე რომ სრული პასუხი გასცეს, შეგნებული პროლეტარიატის პარტიამ უნდა გამოარკვიოს, ჯერ-ერთი, დროებითი რევოლუციური მთავრობის მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა მიმდინარე რევოლუციაში და საერთოდ პროლეტარიატის მთელ ბრძოლაში; მეორე, თავისი დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა დროებითი რევოლუციური მთავრობისადმი; მესამე, ამ მთავრობაში სოციალ-დემოკრატიის მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ი ს ზუსტი პირობები; მეოთხე, პირობები ამ მთავრობაზე ზეგავლენისა ქ ვ ე ვ ი დ ა ნ, ე. ი. როცა მასში სოციალ-დემოკრატია არ იქნება. მხოლოდ ყველა ამ საკითხის გამორკვევის შემდეგ პარტიის პოლიტიკური მოქმედება ამ მხრივ პრინციპული, ნათელი და მტკიცე იქნება.

ახლა ვნახოთ, როგორ წყვეტს ამ საკითხებს რსდმპ III ყრილობის რეზოლუცია. აი მისი სრული ტექსტი:

«რეზოლუცია დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ.

იღებს რა მხედველობაში:

1) რომ პროლეტარიატის უშუალო ინტერესებიცა და სოციალიზმის საბოლოო მიზნებისათვის მისი ბრძოლის ინტერესებიც მოითხოვენ რაც შეიძლება უფრო სრულ პოლიტიკურ თავისუფლებას და, მაშასადამე, მართვა-გამგეობის თვითმპყრობელური ფორმის შეცვლას დემოკრატიული რესპუბლიკით;

2) რომ რუსეთში დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება შესაძლებელია მხოლოდ ძლევამოსილი სახალხო აჯანყების შედეგად, რომლის ორგანო იქნება დროებითი რევოლუციური მთავრობა და მხოლოდ ამ მთავრობას შეეძლება უზრუნველჰყოს წინასაარჩევნო აგიტაციის სრული თავისუფლება და მოიწვიოს საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით ხალხის ნების ნამდვილად გამომხატველი დამფუძნებელი კრება;

3) რომ ეს დემოკრატიული გადატრიალება რუსეთში, არსებული საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობილების პირობებში, კი არ შეასუსტებს, არამედ გააძლიერებს ბურჟუაზიის ბატონობას, რომელიც აუცილებლად შეეცდება გარკვეულ მომენტში ხელიდან გამოჰგლიჯოს რუსეთის პროლეტარიატს რევოლუციური პერიოდის მონაპოვართა რაც შეიძლება მეტი ნაწილი, რისთვისაც იგი არაფერს არ დაერიდება, —

რსდმპ III ყრილობა ადგენს:

ა) საჭიროა გავრცელდეს მუშათა კლასში კონკრეტული წარმოდგენა რევოლუციის ყველაზე უფრო შესაძლო მსვლელობაზე და მის გარკვეულ მომენტში დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნის აუცილებლობაზე, მთავრობისა, რომელსაც პროლეტარიატი მოსთხოვს ჩვენი პროგრამის (პროგრამა-მინიმუმი) ყველა უახლოესი პოლიტიკური და ეკონომიური მოთხოვნის განხორციელებას;

ბ) ძალთა თანაფარდობისა და სხვა ფაქტორთა მიხედვით, რომელთა წინასწარ ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელია, დასა-

შვებია დროებითს რევოლუციურ მთავრობაში ჩვენი პარტიის რწმუნებულთა მონაწილეობა, ყველა კონტრრევოლუციურ ცდასთან დაუნდობელი ბრძოლისა და მუშათა კლასის დამოუკიდებელი ინტერესების დაცვის მიზნით;

გ) ასეთი მონაწილეობის აუცილებელი პირობაა პარტიის სასტიკი კონტროლი მისი რწმუნებულების მიმართ და სოციალ-დემოკრატიის დამოუკიდებლობის განუხრელი დაცვა, სოციალ-დემოკრატიისა, რომელიც მიისწრაფის სრული სოციალისტური გადატრიალებისაკენ და ამდენად შეურიგებლად მტრულია ყველა ბურჟუაზიული პარტიისადმი;

დ) დამოუკიდებლად იმისა, შესაძლებელი იქნება თუ არა დროებითს რევოლუციურ მთავრობაში სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობა, პროლეტარიატის უაღრესად ფართო ფენებში გაწეულ უნდა იქნას პროპაგანდა იმ იდეისა, რომ რევოლუციის მონაპოვართა დაცვის, განმტკიცებისა და გაფართოების მიზნით აუცილებელია დროებითს მთავრობაზე მუდმივ ზეგავლენას ახდენდეს შეიარაღებული პროლეტარიატი სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობით».

2. რას გვაძლევს რსდმპ III ყრილობის რეზოლუცია დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ?

რსდმპ III ყრილობის რეზოლუცია, როგორც მისი სახელწოდება გვიჩვენებს, სავსებით და მთლიანად მიეძღვნება დროებითი რევოლუციური მთავრობის საკითხს. ეს იმას ნიშნავს, რომ სოციალ-დემოკრატების მონაწილეობა დროებითს რევოლუციურ მთავრობაში აქ შედის, როგორც საკითხის ნაწილი. მეორე მხრივ, აქ ლაპარაკია მხოლოდ დროებითს რევოლუციურ მთავრობაზე და სხვა არაფერზე; მაშასადამე, აქ სრულებით არ შედის თუნდაც «ძალაუფლების დაპყრობის» საკითხი საერთოდ და სხვა. სწორად მოიქცა თუ არა ყრილობა, როცა ეს უკანასკნელი და მსგავსი საკითხები აირიდა? უეჭველად სწორად მოიქცა, რადგან რუსეთის პოლიტიკური მდგომარეობა ასეთ საკითხებს დღის წესრიგში სრულებითაც

არ აყენებს. პირიქით, მთელი ხალხი დღის წესრიგში აყენებს თვითმპყრობელობის დამხობას და დამფუძნებელი კრების მოწვევას. პარტიის ყრილობებმა გადასაჭრელად უნდა დააყენონ არა ის საკითხები, რომელთაც ესა თუ ის ლიტერატორი დროიანად თუ უდროოდ შეეხო, არამედ ის საკითხები, რომელთაც მომენტის პირობებისა და საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური მსვლელობის გამო სერიოზული პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ.

რა მნიშვნელობა აქვს ახლანდელ რევოლუციაში და პროლეტარიატის საერთო ბრძოლაში დროებითს რევოლუციურ მთავრობას? ამას ყრილობის რეზოლუცია განმარტავს, როცა დასაწყისშივე აღნიშნავს «რაც შეიძლება სრული პოლიტიკური თავისუფლების» აუცილებლობას პროლეტარიატის უშუალო ინტერესების თვალსაზრისითაც და «სოციალიზმის საბოლოო მიზნების» თვალსაზრისითაც. ხოლო სრული პოლიტიკური თავისუფლება, როგორც უკვე აღიარებულია ჩვენი პარტიული პროგრამის მიერ, მოითხოვს მეფის თვითმპყრობელობის შეცვლას დემოკრატიული რესპუბლიკით. დემოკრატიული რესპუბლიკის ლოზუნგის ხაზგასმით აღნიშვნა ყრილობის რეზოლუციაში ლოგიკურად და პრინციპულად აუცილებელია, რადგან პროლეტარიატი, როგორც დემოკრატიისათვის მოწინავე მებრძოლი, სწორედ სრულ თავისუფლებას მოითხოვს; გარდა ამისა, ეს ხაზგასმა ამ მომენტში მით უფრო მიზანშეწონილია, რომ ჩვენში სწორედ ახლა «დემოკრატიზმის» დროშით მონარქისტები გამოდიან, სახელდობრ: ეგრეთწოდებული კონსტიტუციურ-«დემოკრატიული» ანუ «ოსვობოჟდენიელური» პარტია. რესპუბლიკის დამყარებისათვის უსათუოდ საჭიროა ხალხის წარმომადგენელთა კრება, თანაც უსათუოდ საყოველთაო სახალხო (საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით) და დამფუძნებელი კრება. სწორედ ამას აღიარებს ყრილობის რეზოლუცია ქვემოთ. მაგრამ იგი ამას არ სჯერდება. იმისათვის, რომ «ხალხის ნების ნამდვილი გამომხატველი» ახალი წესწყობილება დავამყაროთ, არ. კმარა წარმომად-

ვენლობითს კრებას დამფუძნებელი დავარქვათ. საჭიროა ამ კრებას ჰქონდეს «დაფუძნების» უფლება და ძალა. აღიარებს რა ამას, ყრილობის რეზოლუცია არ სჯერდება «დამფუძნებელი კრების» ფორმალურ ლოზუნგს და უმატებს მატერიალურ პირობებს, რადგან მხოლოდ ამ პირობებში შესძლებს ეს კრება თავისი ამოცანის ნამდვილ შესრულებას. ასეთი აღნიშვნა პირობებისა, როცა სიტყვით დამფუძნებელი კრება შეიძლება საქმით გადაიქცეს დამფუძნებელ კრებად, უსათუოდ აუცილებელია, რადგან ლიბერალური ბურჟუაზია, კონსტიტუციურ-მონარქიული პარტიის სახით, აშკარად ამახინჯებს, როგორც ეს არა ერთხელ გვქონდა აღნიშნული, საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრების ლოზუნგს და მას ცარიელ ფრაზად აქცევს.

ყრილობის რეზოლუცია ამბობს, რომ წინასაარჩევნო აგიტაციის სრული თავისუფლების უზრუნველყოფა და ისეთი კრების მოწვევა, რომელიც მართლაც ხალხის ნების გამომხატველი იქნება, შეუძლია მ ხ ო ლ ო დ დ ა მ ხ ო ლ ო დ დროებითს რევოლუციურ მთავრობას, ამასთან ისეთს, რომელიც ძლევამოსილი სახალხო აჯანყების ორგანო იქნება. სწორია თუ არა ეს დებულება? ვინც ამ დებულების წინააღმდეგ გაილაშქრებს, ის უნდა ამტკიცებდეს, რომ მეფის მთავრობას შეუძლია ხელი არ გაუწოდოს რეაქციას, რომ მას არჩევნების დროს შეუძლია ნეიტრალური იყოს, რომ მას შეუძლია იზრუნოს ხალხის ნების ნამდვილი გამოხატვისათვის. ასეთი მტკიცებანი იმდენად უაზრია, რომ აშკარად მათ არავინ დაიცავს, მაგრამ ფარულად, ლიბერალური დროშით, სწორედ ჩვენი ოსვობოჟდენიელები აპარებენ მას. დამფუძნებელი კრება ვინმემ ხომ უნდა მოიწვიოს; არჩევნების თავისუფლება და სისწორე ვინმემ ხომ უნდა უზრუნველყოს; ძალა და უფლება ამ კრებას ვინმემ ხომ მთლიანად უნდა ჩააბაროს: მხოლოდ აჯანყების ორგანოს — რევოლუციურ მთავრობას, შეუძლია სავსებით გულწრფელად სურდეს ეს და ძალა შესწევდეს ყველაფერი გააკეთოს ამის განსახორციელებლად. მეფის მთავრობა ამას აუცილებლად წინაღუდგება. ლიბერალურ მთავ-

რობას, რომელიც მეფეს შეუთანხმდა და არ ეყრდნობა მთლიანად სახალხო აჯანყებას, არც უნარი შესწევს გულწრფელად სწადდეს ეს, ვერც განახორციელებს ამას, კიდევაც რომ ჰქონდეს მეტად გულწრფელი სურვილი. მაშასადამე, ყრილობის რეზოლუცია ერთადერთ სწორ და სავსებით თანამიმდევარ დემოკრატიულ ლოზუნგს იძლევა.

მაგრამ დროებითი რევოლუციური მთავრობის მნიშვნელობის შეფასება სრული და სწორი არ იქნებოდა, მხედველობაში რომ გამოგვრჩენოდა დემოკრატიული გადატრიალების კლასობრივი ხასიათი. ამიტომ რეზოლუცია დასძენს, გადატრიალება ბურჟუაზიის ბატონობას გააძლიერებსო. ეს აუცილებელია არსებულ, ე. ი. კაპიტალისტურ, საზოგადოებრივ-ეკონომიურ წყობილებაში. ხოლო პოლიტიკურად რაოდენადმე თავისუფალ პროლეტარიატზე ბურჟუაზიის ბატონობის გაძლიერების შედეგი აუცილებლად უნდა იყოს ძალაუფლებისათვის სასტიკი ბრძოლა მათ შორის, უნდა იყოს ბურჟუაზიის გაფთრებული ცდები «წაართვას პროლეტარიატს რევოლუციური პერიოდის მონაპოვარნი». იბრძვის რა დემოკრატიისათვის როგორც ყველაზე მოწინავე და ყველას მეთაური, პროლეტარიატმა ამიტომ ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყოს ბურჟუაზიული დემოკრატიის წიაღში ჩამარხული ახალი წინააღმდეგობანი, არ უნდა დაივიწყოს ახალი ბრძოლა.

ამრიგად, რეზოლუციის ჩვენ მიერ განხილულ ნაწილში სავსებით შეფასებულია დროებითი რევოლუციური მთავრობის მნიშვნელობა: თავისუფლებისა და რესპუბლიკისათვის ბრძოლისადმი მისი დამოკიდებულების მხრივაც, დამფუძნებელი კრებისადმი მისი დამოკიდებულების მხრივაც და იმ დემოკრატიული გადატრიალებისადმი დამოკიდებულების მხრივაც, რომელიც ნიადაგს უწმენდს ახალ კლასობრივ ბრძოლას.

შემდეგ იბადება კითხვა, როგორი უნდა იყოს პროლეტარიატის პოზიცია საერთოდ დროებითი რევოლუციური მთავრობის მიმართ? ყრილობის რეზოლუცია ამის პირდაპირ პასუხად უწინარეს ყოვლისა ურჩევს პარტიას — გაავრცელოს

მუშათა კლასში დროებითი რევოლუციური მთავრობის აუცილებლობის რწმენა. მუშათა კლასმა უნდა შეიგნოს ეს აუცილებლობა. იმ დროს, როდესაც «დემოკრატიული» ბურჟუაზია მეფის მთავრობის დამხობის საკითხს ჩრდილში სტოვებს, ჩვენ იგი პირველ ადგილას უნდა წამოვაყენოთ და დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნის აუცილებლობა დავიცვათ. გარდა ამისა, ჩვენ უნდა დავსახოთ ამ მთავრობის სამოქმედო პროგრამა, რომელიც მიმდინარე ისტორიული მომენტის ობიექტურ პირობებსა და პროლეტარული დემოკრატიის ამოცანებს შეესაბამება. ეს პროგრამა არის ჩვენი პარტიის მ თ ე ლ ი პროგრამა-მინიმუმი, პროგრამა უახლოეს პოლიტიკურ და ეკონომიურ გარდაქმნათა, რომლებიც, ერთი მხრივ, სავსებით განსახორციელებელია არსებულ საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობის ნიადაგზე, და, მეორე მხრივ, აუცილებელია შემდგომი ნაბიჯის გადასადგმელად წინ, სოციალიზმის განხორციელებისათვის.

ამრიგად, რეზოლუცია სავსებით არკვევს დროებითი რევოლუციური მთავრობის ხასიათსა და მიზანს. თავისი წარმოშობისა და ძირითადი ხასიათის მიხედვით, ეს მთავრობა უნდა იყოს სახალხო აჯანყების ორგანო. თავისი ფორმალური დანიშნულების მიხედვით, იგი უნდა იყოს საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრების მოწვევის იარაღი. საქმიანობის შინაარსის მიხედვით, მან უნდა განახორციელოს პროლეტარული დემოკრატიის პროგრამა-მინიმუმი, რადგან თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აჯანყებული ხალხის ინტერესების უზრუნველყოფა მხოლოდ მას შეუძლია.

შეიძლება შემოგვედაონ, რომ დროებითს მთავრობას, რადგან იგი დროებითია, არ შეუძლია გაატაროს დადებითი პროგრამა, რომელიც მთელ ხალხს ჯერ კიდევ არ მოუწონებიაო. ასეთი მოსაზრება მხოლოდ რეაქციონერთა და «თვითმპყრობელობის მოტრფიალეთა» სოფიზმი იქნებოდა. არ გაატარო არავითარი დადებითი პროგრამა — ეს ნიშნავს მოითმინო დამ ჰალი თვითმპყრობელობის ბატონყმური წესების არსებობა.

ასეთი წესების მოთმენა შეუძლია მხოლოდ რევოლუციის საქმის მოღალატეთა მთავრობას და არა იმ მთავრობას, რომელიც სახალხო აჯანყების ორგანოს წარმოადგენს. დაცინვა იქნებოდა, ვინმეს რომ წინადადება მოეცა — უარი გვეთქვა კრებების თავისუფლების საქმით განხორციელებაზე, ვიდრე ამ თავისუფლებას დამფუძნებელი კრება აღიარებდეს, — იმ საბაბით, რომ დამფუძნებელმა კრებამ შეიძლება კრებების თავისუფლება არც კი აღიაროსო! ასეთივე დაცინვაა დროებითი რევოლუციური მთავრობის მიერ პროგრამა-მინიმუმის დაუყოვნებლივ განხორციელების წინააღმდეგ წასვლა.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ რეზოლუცია დროებითი რევოლუციური მთავრობის ამოცანად სახავს პროგრამა-მინიმუმის განხორციელებას და ამით აქარწყლებს სულელურ ნახევრადანარქისტულ აზრებს პროგრამა-მინიმუმის დაუყოვნებლივ განხორციელების, სოციალისტური გადატრიალებისათვის ძალაუფლების დაპყრობის შესახებ. რუსეთის ეკონომიური განვითარების დონე (ობიექტური პირობა) და პროლეტარიატის ფართო მასების შეგნებულობისა და დარაზმულობის დონე (სუბიექტური პირობა, რომელიც განუყრელადაა დაკავშირებული ობიექტურთან) შეუძლებელს ხდის მუშათა კლასის დაუყოვნებლივ სრულ განთავისუფლებას. მხოლოდ სრულიად უვიც ადამიანებს შეუძლიათ უგულებელყონ მიმდინარე დემოკრატიული გადატრიალების ბურჟუაზიული ხასიათი; — მხოლოდ უაღრესად გულუბრყვილო ოპტიმისტებს შეუძლიათ დაივიწყონ, თუ ჯერ კიდევ რა ცოტა რამ იცის მუშების მასამ სოციალიზმის მიზნებისა და მისი განხორციელების საშუალებათა შესახებ. ჩვენ კი ყველანი დარწმუნებული ვართ, რომ მუშების განთავისუფლება შეიძლება იყოს მხოლოდ თვით მუშების საქმე; მასების შეგნებულობისა და დარაზმულობის გარეშე, მთელ ბურჟუაზიასთან აშკარა კლასობრივი ბრძოლის საშუალებით მათი მომზადებისა და აღზრდის გარეშე სოციალისტურ რევოლუციაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია. ანარქისტების შემოკამათების პასუხად, თითქოს ჩვენ სოციალისტური გადატრიალების გადადების მომ-

ხრენი ვიყოთ, ჩვენ ვამბობთ: ჩვენ მისი გადადება კი არ გვინდა, არამედ პირველ ნაბიჯს ვდგამთ მისკენ ერთადერთი შესაძლებელი საშუალებით, ერთადერთი სწორი გზით, სახელდობრ დემოკრატიული რესპუბლიკის გზით. ვისაც სურს წავიდეს სოციალიზმისაკენ სხვა გზით და არა პოლიტიკური დემოკრატიზმის გზით, ის აუცილებლად მივა უაზრო და რეაქციულ დასკვნებამდე როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური მხრივ. ესა თუ ის მუშები შესაფერის მომენტში თუ შეგვეკითხებიან: რატომ არ უნდა განვახორციელოთ პროგრამა-მაქსიმუმიო, ჩვენ მათ ვუპასუხებთ იმაზე მითითებით, თუ რამდენად უცხოა ჯერ კიდევ სოციალიზმი ხალხის დემოკრატიულად განწყობილი მასებისათვის, რამდენად განუვითარებელია ჯერ კიდევ კლასობრივი წინააღმდეგობანი, ჯერ კიდევ რამდენად დაურაზმავი არიან პროლეტარები. აბა დარაზმეთ ასეული ათასობით მუშა მთელ რუსეთში, მოუპოვეთ თქვენს პროგრამას მილიონების თანაგრძნობა! სცადეთ ამის გაკეთება, ნუ დასჯერდებით მაღალფარდოვან, მაგრამ უშინაარსო ანარქისტულ ფრაზებს, — და თქვენ მყისვე დაინახავთ, რომ ამ ორგანიზაციის განხორციელება, ამ სოციალისტური განათლების გავრცელება დამოკიდებულია დემოკრატიულ გარდაქმნათა რაც შეიძლება სრულ განხორციელებაზე.

გავყვეთ ქვემოთ. რაკი გარკვეულია დროებითი რევოლუციური მთავრობის მნიშვნელობა და მისდამი პროლეტარიატის დამოკიდებულება, იბადება შემდეგი კითხვა: დასაშვებია თუ არა და რა პირობებშია დასაშვები ჩვენი მონაწილეობა მასში (მოქმედება ზევიდან)? როგორი უნდა იყოს ჩვენი მოქმედება ქვევიდან? ორივე ამ კითხვაზე რეზოლუცია ზუსტ პასუხს იძლევა. იგი გადაჭრით აცხადებს, რომ დროებითს რევოლუციურ მთავრობაში სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობა (დემოკრატიული გადატრიალების ხანაში, რესპუბლიკისათვის ბრძოლის ხანაში) პრინციპულად დ ა ს ა შ ვ ე ბ ი ა. ამ განცხადებით ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ ვემიჯნებით ანარქისტებსაც, რომლებიც ამ კითხვაზე პრინციპულად უარყოფით უპასუხებენ, და სოციალ-დემოკრატიის

მაჩანჩალებსაც (როგორიც არიან მარტინოვი და ახალისკრელები), რომლებიც გვაშინებდნენ ისეთი მდგომარეობის პერსპექტივით, როცა ეს მონაწილეობა ჩვენთვის შესაძლებელია აუცილებელი გამხდარიყო. ამ განცხადებით რსდმპ III ყრილობამ სამუდამოდ უარყო ახალი «ისკრის» ის აზრი, თითქოს დროებითს რევოლუციურ მთავრობაში სოციალ-დემოკრატების მონაწილეობა მილიერანიზმის სახესხვაობა იყოს[7], თითქოს ეს პრინციპულად დაუშვებელი იყოს, როგორც ბურჟუაზიული წესწყობილების დადასტურება, და სხვ.

მაგრამ საკითხი იმის შესახებ, დასაშვებია თუ არა იგი პრინციპულად, თავისთავად ცხადია, კიდევ არა წყვეტს პრაქტიკული მიზანშეწონილობის საკითხს. რა პირობებშია მიზანშეწონილი ეს ახალი სახის ბრძოლა, ბრძოლა «ზევიდან», რაც პარტიის ყრილობამ აღიარა? თავისთავად ცხადია, ახლა ლაპარაკი შეუძლებელია კონკრეტულ პირობებზე, როგორიც არის ძალთა თანაფარდობა და სხვა, და რეზოლუციაც, ბუნებრივია, უარს ამბობს ამ პირობების წინასწარ განსაზღვრაზე. ვერც ერთი გონიერი ადამიანი ვერ ითავებს, რომ ახლა რამე იწინასწარმეტყველოს ჩვენთვის საინტერესო საკითხზე. ჩვენი მონაწილეობის ხასიათისა და მიზნის განსაზღვრა შესაძლებელიცაა და საჭიროც. რეზოლუციაც სწორედ ასე იქცევა, როცა აღნიშნავს მონაწილეობის ორ მიზანს: 1) კონტრ-რევოლუციური ცდების წინააღმდეგ ულმობელ ბრძოლას და 2) მუშათა კლასის დამოუკიდებელი ინტერესების დაცვას. იმ დროს, როცა ლიბერალური ბურჟუები გულმოდგინედ იწყებენ ლაპარაკს რეაქციის ფსიქოლოგიაზე (იხ. ბ-ნ სტრუვეს ფრიად საგულისხმო «ღია წერილი» «ოსვობოჟდენიეს» № 71-ში) და ცდილობენ დააფრთხონ რევოლუციური ხალხი და თვითმპყრობელობის მიმართ მას დათმობა აიძულონ, — ამ დროს განსაკუთრებით საჭიროა პროლეტარიატის პარტიის მხრივ კონტრრევოლუციასთან ნამდვილი ომის ამოცანის გახსენება. პოლიტიკური თავისუფლებისა და კლასობრივი ბრძოლის დიდ საკითხებს საბოლოო ანგარიშში მხოლოდ ძალა წყვეტს; ამიტომ ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ამ ძალის

მომზადებისა და ორგანიზაციისათვის და მისი აქტიური, არა-თუ თავდაცვითი, არამედ აგრეთვე შეტევითი გამოყენებისათვის. პოლიტიკური რეაქციის ხანგრძლივმა ეპოქამ, რომელიც ევროპაში თითქმის განუწყვეტლივ მეფობს პარიზის კომუნის დროიდან, ერთობ შეგვათვისა მხოლოდ «ქვევიდან» მოქმედების აზრს, ერთობ შეგვაჩვია ვხედავდეთ მხოლოდ თავდაცვითს ბრძოლას. ახლა კი, უეჭველია, ჩვენ ფეხი შევდგით ახალ ეპოქაში; დაიწყო პოლიტიკურ შერყევათა და რევოლუციების პერიოდი. ისეთ პერიოდში, როგორსაც რუსეთი განიცდის, შეუწყნარებელია ძველ შაბლონს დავჯერდეთ. უნდა გავაჩაღოთ ზევიდან მოქმედების იდეის პროპაგანდა, უნდა ვემზადოთ უაღრესად ენერგიული, შეტევითი მოქმედებისათვის, უნდა შევისწავლოთ ასეთი მოქმედების პირობები და ფორმები. ამ პირობებიდან ყრილობის რეზოლუცია პირველ რიგზე აყენებს ორს: ერთი ეხება დროებითს რევოლუციურ მთავრობაში სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობის ფორმალურ მხარეს (პარტიის სასტიკი კონტროლი თავის რწმუნებულებზე), მეორე — თვით ამ მონაწილეობის ხასიათს (ერთი წუთითაც არ უნდა გამოვტოვოთ მხედველობიდან სრული სოციალისტური გადატრიალების მიზნები).

ამრიგად, ყოველმხრივ გამოარკვია რა პარტიის პოლიტიკა «ზევიდან» მოქმედების დროს — ბრძოლის ამ ახალი, დღემდე თითქმის არნახული ხერხის დროს, — რეზოლუცია იმ შემხთვევასაც ითვალისწინებს, როცა ზევიდან მოქმედებას ჩვენ ვერ შევძლებთ. ჩვენ ყოველ შემთხვევაში ვალდებული ვართ დროებითს რევოლუციურ მთავრობაზე ქვევიდან ვიმოქმედოთ. ქვევიდან ასეთი ზედმოქმედებისათვის პროლეტარიატი შეიარაღებული უნდა იყოს, — რადგან რევოლუციურ მომენტში საქმე განსაკუთრებით სწრაფად მიდის პირდაპირ სამოქალაქო ომამდე, — თანაც მას სოციალ-დემოკრატია უნდა ხელმძღვანელობდეს. მისი შეიარაღებული ზედმოქმედების მიზანია — «რევოლუციის მონაპოვართა დაცვა, განმტკიცება და გაფართოება», ე. ი. იმ მონაპოვართა, რომლებიც, პროლეტა-

რიატის ინტერესების თვალსაზრისით, მთელი ჩვენი პროგრამა-მინიმუმის განხორციელებას უნდა წარმოადგენდნენ.

ამით ჩვენ ვამთავრებთ დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ III ყრილობის რეზოლუციის მოკლე განხილვას. როგორც მკითხველი ხედავს, ეს რეზოლუცია არკვევს ახალი საკითხის მნიშვნელობასაც, მისდამი პროლეტარიატის პარტიის დამოკიდებულებასაც და იმასაც, თუ როგორი უნდა იყოს პარტიის პოლიტიკა როგორც დროებითი რევოლუციური მთავრობის შიგნით, ისე მის გარეთ.

ახლა ვნახოთ «კონფერენციის» სათანადო რეზოლუცია.

3. რა არის «რევოლუციის გადამწყვეტი გამარჯვება ცარიზმზე»?

«კონფერენციის» რეზოლუციის საგანია «ძალაუფლების დაპყრობისა და დროებითს მთავრობაში მონაწილეობის» საკითხი*. როგორც ჩვენ აღვნიშნავდით, საკითხის უკვე ასეთ დაყენებაში ჩამარხულია აბნეულობა. ერთი მხრივ, საკითხი ვიწროდ ისმება: იგი ეხება მხოლოდ ჩვენს მონაწილეობას დროებითს მთავრობაში, და არა საერთოდ პარტიის ამოცანებს დროებითი რევოლუციური მთავრობის მიმართ. მეორე მხრივ, ერთმანეთში არეულია ორი სრულიად სხვადასხვაგვარი საკითხი: ჩვენი მონაწილეობა დემოკრატიული გადატრიალების ერთ-ერთ სტადიაში და სოციალისტური გადატრიალება. მართლაც, სოციალ-დემოკრატიის მიერ «ძალაუფლების დაპყრობა» არის სწორედ სოციალისტური გადატრიალება და არც შეიძლება იგი სხვა რამ იყოს, თუ ამ სიტყვებს პირდაპირი და ჩვეულებრივი მნიშვნელობით ვიხმართ. ხოლო თუ ამ სიტყვებს

* ამ რეზოლუციის სრული ტექსტი მკითხველს შეუძლია აღადგინოს იმ ციტატების მიხედვით, რომლებიც მოყვანილია ამ ბროშურის 400, 403, 407, 431 და 433 გვერდებზე. (ავტორის შენიშვნა 1907 წლის გამოცემისათვის. იხ. ეს ტომი, გვ. 23, 30, 31, 38, 81 — 82, 87. რ ე დ.)

გავიგებთ ძალაუფლების დაპყრობის აზრით არა სოციალისტური, არამედ დემოკრატიული გადატრიალებისათვის, მაშინ რა აზრი აქვს ლაპარაკს არა მარტო დროებითს რევოლუციურ მთავრობაში მონაწილეობის, არამედ ს ა ე რ თ ო დ «ძალაუფლების დაპყრობის» შესახებ? ჩანს, ჩვენმა «კონფერენტებმა» თვითონაც კარგად არ იცოდნენ, თუ სახელდობრ რაზე უნდა ელაპარაკნათ: დემოკრატიულ თუ სოციალისტურ გადატრიალებაზე. ვინც საკითხის ლიტერატურას თვალყურს ადევნებდა, მან იცის, რომ ამ არევ-დარევას დასაბამი მისცა ამხ. მარტინოვმა თავის განთქმულ ბროშურაში «ორი დიქტატურა»: ახალისკრელები უხალისოდ იგონებენ საკითხის იმ დაყენებას, რომელიც მოცემულია (ჯერ კიდევ 9 იანვრამდე) ამ სანიმუშო-მაჩანჩალურ ნაწარმოებში, მაგრამ მისი იდეური გავლენა კონფერენციაზე ეჭვს გარეშეა.

მაგრამ დავანებოთ თავი რეზოლუციის სათაურს. მისი შინაარსი გაცილებით უფრო ღრმა და სერიოზულ შეცდომებს გვიჩვენებს. აი მისი პირველი ნაწილი:

«ცარიზმზე რევოლუციის გადამწყვეტი გამარჯვება შეიძლება აღინიშნოს ან ძლევამოსილი სახალხო აჯანყებიდან გამოსული დროებითი მთავრობის შექმნით, ან ამა თუ იმ წარმომადგენლობითი დაწესებულების რევოლუციური ინიციატივით, დაწესებულებისა, რომელიც ხალხის უშუალო რევოლუციური ზედმოქმედებით გადაწყვეტს საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრების მოწყობას».

ამრიგად, ჩვენ გვეუბნებიან, რომ რევოლუციის გადამწყვეტი გამარჯვება ცარიზმზე შეიძლება იყოს როგორც ძლევამოსილი აჯანყება, ისე... წარმომადგენლობითი დაწესებულების გადაწყვეტილება — მოაწყოს დამფუძნებელი კრება! რას ნიშნავს ეს? როგორ? გადამწყვეტი გამარჯვება შეიძლება აღინიშნოს დამფუძნებელი კრების მოწყობის «გადაწყვეტილებით»?? და ასეთ «გამარჯვებას» აყენებენ «ძლევამოსილი სახალხო აჯანყებიდან გამოსული» დროებითი მთავრობის შექმნის გვერდით!! კონფერენციამ ვერ შეამჩნია, რომ ძ ლ ე ვ ა მ ო ს ი ლ ი სახალხო აჯანყება და დროებითი მთავრობის შე-

ქმნა ნიშნავს რევოლუციის გაძარჯვებას საქმით, ხოლო დამფუძნებელი კრების მოწყობის «გადაწყვეტილება» მოასწავებს რევოლუციის გამარჯვებას მხოლოდ სიტყვიერად.

ახალისკრელ-მენშევიკთა კონფერენციამ სწორედ იგივე შეცდომა ჩაიდინა, რომელსაც მუდამ სჩადიან ლიბერალები, ოსვობოჟდენიელები. ოსვობოჟდენიელები ლაყბობენ «დამფუძნებელი» კრების შესახებ და მორცხვად არიდებენ თვალს იმ გარემოებას, რომ ძალა და ძალაუფლება მეფის ხელში რჩება, ივიწყებენ, რომ «დაფუძნებისათვის» საჭიროა გქონდეს დაფუძნების ძალა. კონფერენციასაც დაავიწყდა, რომ ყოველგვარ წარმომადგენელთა «გადაწყვეტილებასა» და ამ გადაწყვეტილების განხორციელებას შუა დიდი ზღვარია. კონფერენციასაც დაავიწყდა, რომ, ვიდრე ძალაუფლება მეფის ხელში რჩება, ყოველგვარ წარმომადგენელთა როგორიც გნებავთ გადაწყვეტილება ისეთივე ცარიელ და უბადრუკ ლაყბობად დარჩება, როგორიც აღმოჩნდა გერმანიის 1848 წლის რევოლუციის ისტორიაში ცნობილი ფრანკფურტის პარლამენტის «გადაწყვეტილებანი». რევოლუციური პროლეტარიატის წარმომადგენელი, მარქსი, თავის «რეინის ახალ გაზეთში»[8] სწორედ იმიტომ ამათრახებდა დაუზოგველი სარკაზმებით ფრანკფურტელ ლიბერალ «ოსვობოჟდენიელებს», რომ ისინი ლამაზ სიტყვებს ამბობდნენ, ყოველგვარ დემოკრატიულ «გადაწყვეტილებას» იღებდნენ, ყოველგვარ თავისუფლებას «აწესებდნენ», ხოლო ძალაუფლებას საქმით მეფის ხელში სტოვებდნენ და არ მოაწყეს შეიარაღებული ბრძოლა იმ სამხედრო ძალის წინააღმდეგ, რომელიც მეფის განკარგულებაში იყო. და ვიდრე ფრანკფურტელი ოსვობოჟდენიელები ლაყბობდნენ, — მეფემ დრო მოიგო, განამტკიცა თავისი სამხედრო ძალები, და კონტრრევოლუციამ, რომელიც რეალურ ძალას ეყრდნობოდა, სასტიკად დაამარცხა დემოკრატები ყველა მათი მშვენიერი «გადაწყვეტილებითურთ».

კონფერენციამ გადამწყვეტ გამარჯვებას გაუთანაბრა ის, რასაც სწორედ გამარჯვების გადამწყვეტი პირობა აკლია. როგორ შეეძლოთ სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც ჩვენი

პარტიის რესპუბლიკურ პროგრამას აღიარებენ, ეს შეცდომა ჩაედინათ? ამ უცნაური მოვლენის გასაგებად უნდა მივმართოთ III ყრილობის რეზოლუციას პარტიის გამოთიშული ნაწილის შესახებ *. ამ რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ჩვენს პარტიაში შემორჩენილია «ეკონომიზმის მონათესავე» სხვადასხვა მიმდინარეობა. ჩვენი «კონფერენტები» (ჩანს,

---

* მოგვყავს ამ რეზოლუციის სრული ტექსტი: «ყრილობა აღნიშნავს, რომ რსდმპ-ში ეკონომიზმთან ბრძოლის დაწყებიდან, სხვადასხვა ოდენობით და სხვადასხვა მხრივ, დღემდე შენარჩუნებულია ეკონომიზმის მონათესავე ელფერები, რომელთაც ახასიათებს საერთო ტენდენცია — დაამცირონ შეგნებულობის ელემენტების მნიშვნელობა პროლეტარულ ბრძოლაში, დაუმორჩილონ ისინი სტიქიურობის ელემენტებს. ამ ელფერთა წარმომადგენლები ორგანიზაციულ საკითხში თეორიულად აყენებენ პარტიის გეგმაშეწონილი ჩამოყალიბებული მუშაობისათვის შეუფერებელ ორგანიზაცია-პროცესის პრინციპს, პრაქტიკულად კი უამრავ შემთხვევაში პარტიული დისციპლინიდან გადახრათა სისტემას ახორციელებენ, ხოლო სხვა შემთხვევებში ისინი პარტიის ყველაზე უფრო შეუგნებელ ნაწილს მიმართავენ და მას უქადაგებენ არჩევითობის პრინციპის ისე ფართოდ გამოყენებას, რომელიც არ შეეფერება რუსეთის სინამდვილის ობიექტურ პირობებს; ამით ისინი პარტიული კავშირურთიერთობის ამჟამად ერთადერთ შესაძლებელ საფუძველთა ძირის გამოთხრას ლამობენ. ტაქტიკურ საკითხებში ისინი ცდილობენ შეკვეცონ პარტიული მუშაობის გაქანება, როდესაც ილაშქრებენ ლიბერალურ-ბურჟუაზიული პარტიების მიმართ დამთავრებული დამოუკიდებელი პარტიული ტაქტიკის წინააღმდეგ, იმის შესაძლებლობისა და სასურველობის წინააღმდეგ, რომ ჩვენმა პარტიამ სახალხო აჯანყებაში დამრაზმავი როლი იკისროს, ავრეთვე დროებითს დემოკრატიულ-რევოლუციურ მთავრობაში პარტიის ყოველგვარ პირობებში მონაწილეობის წინააღმდეგ.

ყრილობა წინადადებას აძლევს პარტიის ყველა წევრს — აწარმოონ ყველგან ენერგიული იდეური ბრძოლა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პრინციპებიდან მსგავს ნაწილობრივ გადახრათა წინააღმდეგ; ამავე დროს ყრილობას მიაჩნია, რომ პარტიულ ორგანიზაციებში იმ პირთა მონაწილეობა, რომლებიც ასე თუ ისე მსგავს შეხედულებებს ემხრობიან, დასაშვებია იმ აუცილებელი პირობით, თუ კი ისინი აღიარებენ პარტიულ ყრილობებსა და პარტიულ წესდებას და სავსებით დაემორჩილებიან პარტიულ დისციპლინას». (ავტორის შენიშვნა 1907 წლის გამოცემისათვის. რ ე დ.)

ტყვილად არ არიან ისინი მარტინოვის იდეური ხელმძღვანელობის ქვეშ) რევოლუციის შესახებ სავსებით იმავე თვალსაზრისით მსჯელობენ, როგორც ეკონომისტები მსჯელობდნენ პოლიტიკური ბრძოლის ან 8-საათიანი სამუშაო დღის შესახებ. ეკონომისტები უმალვე მიმართავდნენ «სტადიების თეორიას»: 1) ბრძოლა უფლებებისთვის; 2) პოლიტიკური აგიტაცია; 3) პოლიტიკური ბრძოლა, — ან 1) 10-საათიანი სამუშაო დღე; 2) 9-საათიანი სამუშაო დღე; 3) 8-საათიანი სამუშაო დღე. თუ რა შედეგებს იძლეოდა ეს «ტაქტიკა-პროცესი», ყველამ საკმაოდ უწყის. ახლა ჩვენ წინადადებას გვაძლევენ რევოლუციაც წინასწარ კარგად დავყოთ სტადიებად: 1) მეფე წარმომადგენლობითს დაწესებულებას იწვევს; 2) ეს წარმომადგენლობითი დაწესებულება «ხალხის» ზედმოქმედებით «გადაწყვეტს» დამფუძნებელი კრების მოწყობას; 3) ... მესამე სტადიის შესახებ მენშევიკები ჯერ კიდევ ვერ შეთანხმდნენ; მათ დაავიწყდათ, რომ ხალხის რევოლუციურ ზედმოქმედებას ხვდება ცარიზმის კონტრრევოლუციური ზედმოქმედება და რომ ამიტომ «გადაწყვეტილება» ან განუხორციელებელი რჩება, ანდა საქმეს ისევ სახალხო აჯანყების გამარჯვება ან დამარცხება წყვეტს. კონფერენციის რეზოლუცია სავსებით ჰგავს ეკონომისტების ასეთს მსჯელობას: მუშების გადამწყვეტი გამარჯვება შეიძლება აღინიშნოს ან 8-საათიანი სამუშაო დღის რევოლუციური განხორციელებით, ან ათსაათიანი სამუშაო დღის ბოძებით და ცხრასაათიან სამუშაო დღეზე გადასვლის «გადაწყვეტილებით»... სიტყვასიტყვით იგივეა.

შეუძლიათ შემოგვედაონ, რომ რეზოლუციის ავტორებს მხედველობაში არა ჰქონდათ გ ა ე თ ა ნ ა ბ რ ე ბ ი ნ ა თ აჯანყების გამარჯვება მეფის მიერ მოწვეული წარმომადგენლობითი დაწესებულების «გადაწყვეტილებასთან», რომ მათ უნდოდათ მხოლოდ გაეთვალისწინებინათ პარტიის ტაქტიკა ერთსა და მეორე შემთხვევაში. ამაზე ჩვენ ვუპასუხებთ: 1) რეზოლუციის ტექსტი «ცარიზმზე რევოლუციის გადამწყვეტ გამარჯვებას» პირდაპირ და აშკარად უწოდებს წარმომადგენლობითი დაწესებულების გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა ს. იქნებ, ეს რე-

დაქციის დაუდევრობის შედეგი იყოს, იქნებ, ოქმების მიხედ-ვით მისი გასწორება შესაძლებელი იყოს, მაგრამ ვიდრე იგი გასწორებული არ არის, ამ რედაქციის აზრი შეიძლება მხოლოდ ერთი იყოს, და ეს აზრი სავსებით ოსვობოჟდენიელურია. 2) აზრის «ოსვობოჟდენიელური» მსვლელობა, რომელშიც რეზოლუციის ავტორები ჩაეფლნენ, გაცილებით უფრო რელიეფურად მოჩანს ახალისკრელთა სხვა ლიტერატურულ ნაწარმოებებში. მაგ., თბილისის კომიტეტის ორგანოში «სოციალ-დემოკრატში» [9] (ქართულ ენაზე; მას ქება შეასხა «ისკრამ» № 100-ში) სტატია «საერო კრება და ჩვენი ტაქტიკა» პირდაპირ იქამდე მიდის, რომ აცხადებს: «ტაქტიკა», რომელიც «ჩვენი მოქმედების ცენტრად საერო კრებას ხდის» (რომლის მოწვევის შესახებ, დავუმატებთ ჩვენი მხრივ, ზუსტად ჯერ კიდევ არაფერი ვიცით!), «უფრო ხელსაყრელია ჩვენთვის», ვიდრე შეიარაღებული აჯანყებისა და დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნის «ტაქტიკა». ქვევით ამ სტატიას ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით. 3) შეუძლებელია წინააღმდეგი ვიყოთ, რომ წინასწარ განხილულ იქნას პარტიის ტაქტიკა როგორც რევოლუციის გამარჯვების, ისე მისი დამარცხების შემთხვევაში, როგორც აჯანყების წარმატების შემთხვევაში, ისე იმ შემთხვევაშიც, თუ აჯანყება ვერ შესძლებს სერიოზულ ძალად გაღვივდეს. შესაძლოა, მეფის მთავრობამ მოახერხოს წარმომადგენლობითი კრების მოწვევა ლიბერალურ ბურჟუაზიასთან მორიგების მიზნით,— ითვალისწინებს რა ამ შემთხვევას, III ყრილობის რეზოლუცია პირდაპირ ლაპარაკობს «თვალთმაქცურ პოლიტიკაზე», «ფსევდოდემოკრატიზმზე», «სახალხო წარმომადგენლობის კარიკატურულ ფორმებზე ეგრეთწოდებული საერო კრების მსგავსად» *. მაგრამ საქმეც ის არის, რომ ამაზე ლაპარაკია

* აი ტექსტი ამ რეზოლუციისა გადატრიალების წინ მთავრობის ტაქტიკისადმი დამოკიდებულების შესახებ.

«იღებს რა მხედველობაში, რომ მიმდინარე რევოლუციურ პერიოდში მთავრობა თვითდაცვის მიზნით აძლიერებს ჩვეულებრივ რეპრესიებს, რომ-

არა დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ მიღებულ რეზოლუციაში, რადგან დროებით რევოლუციურ მთავრობასთან ამას დამოკიდებულება არა აქვს. ეს შემთხვევა აჯანყებისა და დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნის პრობლემას გვაშორებს, მას სახეს უცვლის და სხვ.. ახლა კი ლაპარაკია არა იმაზე, რომ შესაძლებელია ყოველგვარი კომბინაცია, შესაძლებელია გამარჯვებაც და დამარცხებაც, პირდაპირი და მიხვეულ-მოხვეული გზებიც, — ლაპარაკია იმაზე, რომ სოციალ-დემოკრატს არ ეპატიება არევ-დარევა შეიტა-

---

ლებიც მიმართულია უმთავრესად პროლეტარიატის შეგნებული ელემენტების წინააღმდეგ, ამავე დროს 1) დათმობათა და რეფორმების დაპირებათა გზით ცდილობს პოლიტიკურად გარყვნას მუშათა კლასი და მით ჩამოაშოროს იგი რევოლუციურ ბრძოლას; 2) იმავე მიზნით დათმობათა თვალთმაქცურ პოლიტიკას იგი ახვევს ფსევდოდემოკრატიულ ფორმებში, დაწყებული მუშების მიპატიჟებით — აირჩიონ კომისიებსა და თათბირებში თავიანთი წარმომადგენლები, და გათავებული სახალხო წარმომადგენლობის კარიკატურული ფორმების შექმნით, ეგრეთწოდებული საერო კრების მსგავსად; 3) აწყობს ეგრეთწოდებულ შავ რაზმებს და რევოლუციის წინააღმდეგ ამხედრებს ხალხის საერთოდ ყველა რეაქციულ, შეუგნებელ ან რასობრივი და რელიგიური სიძულვილით დაბრმავებულ ელემენტებს,—

რსდმპ III ყრილობა ადგენს — წინადადება მიეცეს ყველა პარტიულ ორგანიზაციას:

ა) ამხილონ მთავრობის დათმობათა რეაქციული მიზნები და პროპაგანდასა და აგიტაციაში ხაზი გაუსვან, ერთი მხრივ, მათს იძულებითს ხასიათს, ხოლო მეორე მხრივ — იმ გარემოებას, რომ თვითმპყრობელობისთვის პირდაპირ შეუძლებელია გაატაროს ისეთი რეფორმები, რომლებიც პროლეტარიატს დაკმაყოფილებს;

ბ) ისარგებლონ წინასაარჩევნო აგიტაციით, აუხსნან მუშებს მთავრობის ასეთ ღონისძიებათა ჭეშმარიტი აზრი და უმტკიცონ, რომ პროლეტარიატისათვის აუცილებელია რევოლუციური გზით დამფუძნებელი კრების მოწვევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

გ) დარაზმონ პროლეტარიატი 8-საათიანი სამუშაო დღისა და მუშათა კლასის სხვა მორიგ მოთხოვნათა დაუყოვნებლივ განსახორციელებლად რევოლუციური გზით;

დ) მოაწყონ შეიარაღებული მოგერიება შავი რაზმების და საერთოდ ყველა იმ რეაქციული ელემენტების გამოსვლისა, რომელთაც მთავრობა ხელმძღვანელობს». (ავტორის შენიშვნა 1907 წლის გამოცემისათვის. რ ე დ.)

ნოს მუშების წარმოდგენაში ნამდვილი რევოლუციური გზის შესახებ, რომ შეუწყნარებელია ოსვობოჟდენიელურად გადამწყვეტი გამარჯვება ვუწოდოთ იმას, რასაც გამარჯვების ძირითადი პირობა აკლია. შესაძლოა, თვით რვასაათიანი სამუშაო დღეც ჩვენ არა ერთბაშად, არამედ გრძელი მიხვეულ-მოხვეული გზით მივიღოთ, მაგრამ რას იტყოდით თქვენ იმ ადამიანზე, რომელიც მუშათა გამარჯვებას უწოდებს პროლეტარიატის ისეთ უძლურებას, ისეთ სისუსტეს, როდესაც ის ვერ შესძლებს ხელი შეუშალოს გაჯანჯლებას, გაჭიანურებას, ჩარჩობას, ღალატსა და რეაქციას? შესაძლოა, რუსეთის რევოლუცია «კონსტიტუციური მუცლის მოწყვეტით» დამთავრდეს, როგორც ეს ერთხელ «ვპერიოდმა»* თქვა, მაგრამ განა ამას შეუძლია გაამართლოს სოციალ-დემოკრატი, რომელიც გადამწყვეტი ბრძოლის წინახანს ამ მუცლის მოწყვეტას «ცარიზმზე გადამწყვეტ გამარჯვებას» უწოდებდა? უარეს შემთხვევაში შესაძლოა, რომ ჩვენ არამცთუ რესპუბლიკა ვერ მოვიპოვოთ, არამედ მოჩვენებითი, «შიპოვისეული»[10] კონსტიტუცია მივიღოთ, მაგრამ განა სოციალ-დემოკრატს ეპატიებოდა ჩვენი რესპუბლიკური ლოზუნგის მიჩქმალვა?

რა თქმა უნდა, მის მიჩქმალვამდე ახალისკრელები ჯერ კიდევ არ მისულან. მაგრამ თუ რამდენად განშორდა მათ რევოლუციური სული, რამდენად დაუჩრდილა მათ უსიცოცხლო რეზონიორობამ მომენტის საბრძოლო ამოცანები, ეს განსაკუთრებით ცხადად ჩანს იქიდან, რომ თავიანთ რეზოლუციაში მათ სწორედ დაავიწყდათ რესპუბლიკის ხსენება! ეს

---

* ჟენევის გაზეთ «ვპერიოდის», როგორც პარტიის ბოლშევიკური ნაწილის ორგანოს, გამოცემა დაიწყო 1905 წლის იანვარში. იანვრიდან მაისამდე სულ 18 ნომერი გამოვიდა. მაისიდან «ვპერიოდის» ნაცვლად გამოდიოდა «პროლეტარი», როგორც რსდმპ ცენტრალური ორგანო, რსდმპ III ყრილობის დადგენილების თანახმად (ეს ყრილობა შესდგა ლონდონში, მაისში; ყრილობაზე მენშევიკები არ გამოცხადდნენ და ჟენევაში თავიანთი «კონფერენცია» მოაწყეს). (ავტორის შენიშვნა 1907 წლის გამოცემისათვის. რედ.)

დაუჯერებელია, მაგრამ ეს ფაქტია. კონფერენციის სხვადასხვა რეზოლუციაში სოციალ-დემოკრატიის ყველა ლოზუნგი დადასტურებულია, განმეორებული, განმარტებული და დეტალიზებულია; არ არის დავიწყებული მუშების მიერ საწარმოებში მამასახლისებისა და დეპუტატების არჩევაც კი, — მხოლოდ ვერ ნახეს შემთხვევა დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ მიღებულ რეზოლუციაში რესპუბლიკა გაეხსენებინათ. ილაპარაკო სახალხო აჯანყების «გამარჯვებაზე», დროებითი მთავრობის შექმნაზე და იმავე დროს არ მიუთითო, თუ რა დამოკიდებულება აქვთ ამ «ნაბიჯებსა» და აქტებს რესპუბლიკის მოპოვებისადმი, — ეს ნიშნავს სწერო რეზოლუცია არა პროლეტარიატის ბრძოლის სახელმძღვანელოდ, არამედ პროლეტარული მოძრაობის კუდში მაჩანჩალობისათვის.

შედეგი: რეზოლუციის პირველმა ნაწილმა: 1) სრულებით ვერ გამოარკვია დროებითი რევოლუციური მთავრობის მნიშვნელობა რესპუბლიკისათვის ბრძოლისა და ნამდვილი საყოველთაო სახალხო, ნამდვილი დამფუძნებელი კრების უზრუნველყოფის თვალსაზრისით; 2) აშკარა არევ-დარევა შეიტანა პროლეტარიატის დემოკრატიულ შეგნებაში იმით, რომ ცარიზმზე რევოლუციის გადამწყვეტი გამარჯვება გაუთანაბრა სწორედ ისეთ მდგომარეობას, როცა ჯერ კიდევ არ არის ნამდვილი გამარჯვების ძირითადი პირობა.

4. მონარქიული წყობილების ლიკვიდაცია და რესპუბლიკა

გადავიდეთ რეზოლუციის შემდეგ ნაწილზე:

«...ორივე შემთხვევაში ასეთი გამარჯვება იქნება რევოლუციური ეპოქის ახალი ფაზის დასაწყისი.

ამოცანა, რომელსაც ამ ახალ ფაზას საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური პირობები სტიქიურად უყენებენ, არის მთელი წოდებრივ-მონარქიული რეჟიმის საბოლოო ლიკვიდაცია პოლიტიკურად განთავისუფლებული ბურჟუა-

ზიული საზოგადოების ელემენტების ურთიერთი ბრძოლის პროცესში, თავიანთ სოციალურ ინტერესთა განხორციელებისა და ძალაუფლების უშუალოდ დაუფლებისათვის ბრძოლის პროცესში.

ამიტომ დროებითს მთავრობასაც, რომელიც იკისრებდა ამ, თავისი ისტორიული ხასიათით, ბურჟუაზიული რევოლუციის ამოცანათა განხორციელებას, დასჭირდებოდა გასათავისუფლებელი ერის ერთმანეთის მოწინააღმდეგე კლასების ურთიერთი ბრძოლის მოწესრიგებასთან ერთად არა მარტო წინ წაეწია რევოლუციური განვითარება, არამედ ებრძოლნა აგრეთვე ამ განვითარების ისეთი ფაქტორების წინააღმდეგ, რომლებიც კაპიტალისტური წყობილების საფუძვლებს ემუქრებიან».

შევჩერდეთ ამ ნაწილზე, რომელიც რეზოლუციის დამოუკიდებელ განყოფილებას წარმოადგენს. ჩვენ მიერ მოყვანილი მსჯელობის ძირითადი აზრი ემთხვევა იმ აზრს, რომელიც ყრილობის რეზოლუციის მესამე მუხლშია გადმოცემული. მაგრამ ამ ნაწილში ორივე რეზოლუციის შეჯერების დროს ერთბაშად თვალში გვეცემა მათ შორის არსებული შემდეგი ძირითადი განსხვავება. V ყრილობის რეზოლუცია ორიოდე სიტყვით ახასიათებს რევოლუციის საზოგადოებრივ-ეკონომიურ საფუძველს და მთელ ყურადღებას აპყრობს მკვეთრად გარკვეულ კლასთა ბრძოლას გარკვეულ მონაპოვართათვის და პირველ რიგზე აყენებს პროლეტარიატის საბრძოლო ამოცანებს. კონფერენციის რეზოლუცია გრძლად, ბუნდოვანად და არეულ-დარეულად ასწერს რევოლუციის საზოგადოებრივ-ეკონომიურ საფუძველს, მეტად ბუნდოვანად ლაპარაკობს გარკვეულ მონაპოვართათვის ბრძოლაზე და აბსოლუტურად ჩრდილში სტოვებს პროლეტარიატის საბრძოლო ამოცანებს. კონფერენციის რეზოლუცია ლაპარაკობს ძველი წესწყობილების ლიკვიდაციაზე საზოგადოების ელემენტების ურთიერთი ბრძოლის პროცესში. ყრილობის რეზოლუცია ამბობს, რომ ეს ლიკვიდაცია ჩვენ, პროლეტარიატის პარტიამ, უნდა მოვახდინოთ, რომ ნამდვილი ლიკვიდაცია არის მხოლოდ დე-

მოკრატიული რესპუბლიკის დაწესება, რომ ეს რესპუბლიკა ჩვენ ბრძოლით უნდა მოვიპოვოთ, რომ ჩვენ მისთვის და სრული თავისუფლებისთვის ვიბრძოლებთ არა მარტო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, არაშედ ბურჟუაზიის წინააღმდეგაც, როცა იგი შეეცდება (ის კი აუცილებლად შეეცდება) წაგვართვას ჩვენი მონაპოვარნი. ყრილობის რეზოლუცია გარკვეულ კლასს ზუსტად გარკვეული უახლოესი მიზნისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდებს. კონფერენციის რეზოლუცია სხვადასხვა ძალის ურთიერთ ბრძოლაზე ლაპარაკობს. ერთი რეზოლუცია აქტიური ბრძოლის ფსიქოლოგიას გამოხატავს, მეორე — პასიური მაყურებლობისას; ერთი გამსჭვალულია ცოცხალი მოქმედებისაკენ მოწოდებით, მეორე — უსიცოცხლო რეზონიორობით. ორივე რეზოლუცია აცხადებს, რომ მიმდინარე გადატრიალება ჩვენთვის მხოლოდ პირველი ნაბიჯია, რომელსაც მოჰყვება მეორე, ოღონდ აქედან ერთ რეზოლუციას ის დასკვნა გამოჰყავს, რომ საჭიროა მით უფრო სწრაფად გავიაროთ ეს პირველი ნაბიჯი, მით უფრო სწრაფად მოვახდინოთ მისი ლიკვიდაცია, მოვიპოვოთ რესპუბლიკა, დაუნდობლად გავსრისოთ კონტრრევოლუცია და ნიადაგი მოვამზადოთ მეორე ნაბიჯისათვის. მეორე რეზოლუცია კი, ასე ვთქვათ, უხვად აბნევს სიტყვებს ამ პირველი ნაბიჯის აწერისას და (მაპატიეთ ეს ვულგარული გამოთქმა) მის შესახებ აზრებს თითებიდან სწუწნის. ყრილობის რეზოლუცია იღებს მარქსიზმის ძველსა და მუდამ ახალ აზრებს (დემოკრატიული გადატრიალების ბურჟუაზიული ხასიათის შესახებ), როგორც წინასიტყვაობას ან პირველ დებულებას დასკვნებისათვის მოწინავე კლასის მოწინავე ამოცანების შესახებ, იმ კლასისა, რომელიც იბრძვის როგორც დემოკრატიული, ისე სოციალისტური გადატრიალებისათვის. კონფერენციის რეზოლუცია რჩება მარტო წინასიტყვაობის ამარა, ღეჭავს მას და მის გამო ჭკუას ძალას ატანს.

ეს განსხვავება სწორედ ის განსხვავებაა, რომელიც დიდი ხნიდანვე ჰყოფს რუს მარქსისტებს ორ ფრთად: ლეგალური მარქსიზმის წარსული დროის რეზონიორულ და მებრძოლ

ფრთად, ხოლო მასობრივი მოძრაობის დაწყების ხანაში — ეკონომიურ და პოლიტიკურ ფრთად. მარქსიზმის სწორი დებულებიდან საერთოდ კლასობრივი ბრძოლისა და განსაკუთრებით პოლიტიკური ბრძოლის ღრმა ეკონომიური ფესვების შესახებ ეკონომისტებს ის ორიგინალური დასკვნა გამოჰყავდათ, რომ პოლიტიკურ ბრძოლას ზურგი უნდა შევაქციოთ და მისი განვითარება შევაფერხოთ, მისი გაქანება შევკვეცოთ, მისი ამოცანები შევამციროთო. პოლიტიკოსებს, პირიქით, იმავე დებულებიდან სხვა დასკვნა გამოჰყავდათ, სახელდობრ: რაც უფრო ღრმა არის ახლა ჩვენი ბრძოლის ფესვები, მით უფრო ფართოდ, გაბედულად, გადამჭრელად და მეტი თაოსნობით უნდა ვაწარმოოთ ეს ბრძოლაო. ახლაც, თუმცა სხვა ვითარებაში და შეცვლილი ფორმით, ჩვენს წინაშე იგივე დავაა. იმ დებულებიდან, რომ დემოკრატიული გადატრიალება ჯერ კიდევ სრულებითაც არ ნიშნავს სოციალისტურ გადატრიალებას, რომ იგი «აინტერესებს» სრულიადაც არა მარტო უქონელთ, რომ მისი უღრმესი ფესვები მთლიანად მ თ ე ლ ი ბურჟუაზიული საზოგადოების აუცილებელ საჭიროებასა და მოთხოვნილებაშია ჩამარხული, — აი ამ დებულებიდან ჩვენ ის დასკვნა გამოგვყავს, რომ მით უფრო გაბედულად უნდა წამოაყენოს მოწინავე კლასმა თავისი დემოკრატიული ამოცანები, მით უფრო მკვეთრად უნდა გამოთქვას ისინი ბოლომდე, უნდა წამოაყენოს რესპუბლიკის უშუალო ლოზუნგი, უნდა გასწიოს პროპაგანდა დროებითი რევოლუციური მთავრობის აუცილებლობის, კონტრრევოლუციის ულმობლად გასრესის აუცილებლობის იდეისა. ჩვენს ოპონენტებს, ახალისკრელებს კი ამავე დებულებიდან ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ საჭირო არ არის დემოკრატიული დასკვნების ბოლომდე თქმა, რომ შეიძლება პრაქტიკულ ლოზუნგებში რესპუბლიკა არც კი იქნას წამოყენებული, რომ დასაშვებია დროებითი რევოლუციური მთავრობის აუცილებლობის იდეა არც ვიქადაგოთ, რომ გადამწყვეტი გამარჯვება შეიძლება ვუწოდოთ დამფუძნებელი კრების მოწვევის გადაწყვეტილებასაც კი, რომ

კონტრრევოლუციასთან ბრძოლის ამოცანა შეიძლება არ წამოვაყენოთ, როგორც ჩვენი აქტიური ამოცანა, არამედ გავთქვიფოთ იგი ბუნდოვან (და, როგორც ახლავე დავინახავთ, არასწორად ფორმულირებულ) მითითებაში «ურთიერთშორის ბრძოლის პროცესზე». ეს პოლიტიკურ მოღვაწეთა ენა კი არ არის, არამედ დამყაყებულ მოხელეთა ენაა!

და რაც უფრო ყურადღებით განიხილავთ ახალისკრელთა რეზოლუციის ცალკეულ ფორმულირებებს, მით უფრო თვალსაჩინოდ გამოაშკარავდება თქვენს წინაშე მისი აღნიშნული ძირითადი თავისებურებანი. ჩვენ გვეუბნებიან, მაგ., «პოლიტიკურად განთავისუფლებული ბურჟუაზიული საზოგადოების ელემენტების ურთიერთი ბრძოლის პროცესზე». ჩვენ გვახსოვს თემა, რაზედაც რეზოლუცია იწერებოდა (დროებითი რევოლუციური მთავრობა), ამიტომ განცვიფრებით ვაყენებთ კითხვას: თუკი ურთიერთი ბრძოლის პროცესზე ვილაპარაკებთ, როგორ შეიძლება გავჩუმდეთ იმ ელემენტებზე, რომლებიც ბურჟუაზიულ საზოგადოებას პოლიტიკურად ი მ ო ნ ე ბ ე ნ? ხომ არ ფიქრობენ კონფერენტები, რომ რახან მათ რევოლუციის გამარჯვება ივარაუდეს, ასეთი ელემენტები უკვე გაქრნენ? მსგავსი აზრი საერთოდ აბსურდი იქნებოდა და კერძოდ უდიდესი პოლიტიკური გულუბრყვილობა, პოლიტიკური სიბეცე. კონტრრევოლუციაზე რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კონტრრევოლუცია კი არ გაქრება, არამედ, პირიქით, ის აუცილებლად დაიწყებს ახალ, უფრო სასტიკ ბრძოლას. მივუძღვნით რა ჩვენს რეზოლუციას იმ ამოცანათა გარჩევას, რომლებიც რევოლუციის გამარჯვებისას წამოიჭრება, ჩვენ ვალდებული ვართ უდიდესი ყურადღება მივაპყროთ კონტრრევოლუციის შემოტევის უკუქცევის ამოცანებს (როგორც ეს ყრილობის რეზოლუციაშია) და მებრძოლი პარტიის ეს უახლოესი, საარსებო, საჭირბოროტო პოლიტიკური ამოცანები არ გავთქვიფოთ ზოგად მსჯელობაში იმის შესახებ, თუ რა იქნება ახლანდელი რევოლუციური ეპოქის შ ე მ დ ე გ, რა იქნება მაშინ, როცა უკვე გვექნება «პოლიტიკურად გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ უ ლ ი სა-

ზოგადოება». როგორც ეკონომისტები ფარავდნენ საჭირბოროტო პოლიტიკური ამოცანების გაუგებლობას იმ ზოგად ჭეშმარიტებაზე მითითებით, რომ პოლიტიკა ეკონომიკას ემორჩილებაო, ისე ახალისკრელები თავიანთი მითითებით ზოგად ჭეშმარიტებაზე, რომ პოლიტიკურად განთავისუფლებული საზოგადოების შიგნით ბრძოლა იქნებაო, ფარავენ ამ საზოგადოების პოლიტიკური განთავისუფლების საჭირბოროტო რევოლუციური ამოცანების გაუგებლობას.

აიღეთ გამოთქმა: «მთელი წოდებრივ-მონარქიული რეჟიმის საბოლოო ლიკვიდაცია». ჩვენს ენაზე მონარქიული წყობილების საბოლოო ლიკვიდაციას დემოკრატიული რესპუბლიკის დაწესება ეწოდება. მაგრამ ჩვენს კეთილ მარტინოვს და მის თაყვანისმცემელთ ასეთი გამოთქმა მეტად უბრალოდ და ნათლად ეჩვენებათ. მათ აუცილებლად «გაღრმავება» და «უფრო ჭკვიანურად» თქმა სურთ. ერთი მხრივ, გამოდის ღრმააზროვნების სასაცილო ჭაპანწყვეტა. ხოლო მეორე მხრივ, ლოზუნგის ნაცვლად ვიღებთ აწერას, წინსვლის მხნე მოწოდების ნაცვლად — რაღაც მელანქოლიურ უკან-უკან ცქერას. თითქოს ჩვენს წინაშე იდგნენ არა ცოცხალი ადამიანები, რომელთაც აი ახლავე, ამ წუთში რესპუბლიკისათვის ბრძოლა სწადიათ, არამედ რაღაც გახევებული მუმიები, რომლებიც sub specie aeternitatis* განიხილვენ საკითხს plus-quamperfectum-ის ** თვალსაზრისით.

გავყვეთ ქვევით: «...დროებითი მთავრობა... იკისრებდა ამ... ბურჟუაზიული რევოლუციის ამოცანათა განხორციელებას»... აი სწორედ აქ მყისვე გამოჩნდა, რომ ჩვენს კონფერენტებს გამოეპარათ კონკრეტული საკითხი, რომელიც პროლეტარიატის პოლიტიკური ხელმძღვანელების წინაშე წამოიჭრა. კონკრეტული საკითხი დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ მათს თვალში გააქარწყლა იმ მომავალ მთელ რიგ

---

* — მარადისობის თვალსაზრისით. რ ე დ.

** — შორეული წარსულის. რ ე დ.

მთავრობათა საკითხმა, რომლებიც საერთოდ ბურჟუაზიული რევოლუციის ამოცანებს განახორციელებენ. თუ თქვენ გსურთ საკითხი «ისტორიულად» განიხილოთ, მაშინ რომელიც გნებავთ ევროპული ქვეყნის მაგალითი გიჩვენებთ, რომ სწორედ მთელი რიგი, სრულიადაც არა «დროებითი», მთავრობები ახორციელებდნენ ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიულ ამოცანებს, რომ ის მთავრობებიც კი, რომლებიც რევოლუციას ამარცხებდნენ, იძულებული იყვნენ მაინც ამ დამარცხებული რევოლუციის ისტორიული ამოცანები განეხორციელებინათ. მაგრამ «დროებითი რევოლუციური მთავრობა» ეწოდება სრულიადაც არა იმას, რაზედაც თქვენ ლაპარაკობთ: ასე ეწოდება რევოლუციური ეპოქის მთავრობას, რომელიც უშუალოდ ცვლის დამხობილ მთავრობას და ეყრდნობა ხალხის აჯანყებას და არა ხალხიდან გამოსულ რომელიმე წარმომადგენლობითს დაწესებულებას. დროებითი რევოლუციური მთავრობა არის რევოლუციის დაუყოვნებლივი გამარჯვებისათვის ბრძოლის ორგანო, კონტრრევოლუციური ცდების დაუყოვნებლივ ჩახშობის ორგანო, და არა საერთოდ ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიულ ამოცანათა განხორციელების ორგანო. დავულოცოთ, ბატონებო, მომავალ «რუსსკაია სტარინას» [11] მომავალ ისტორიკოსებს გამორკვევა იმისა, თუ ბურჟუაზიული რევოლუციის სახელდობრ რა და რა ამოცანები განვახორციელეთ ჩვენ თქვენთან ერთად ან ამა თუ იმ მთავრობამ, — ამ საქმის გაკეთებას მოასწრებენ 30 წლის შემდეგაც, ჩვენ კი ახლა უნდა მივცეთ რესპუბლიკისათვის ბრძოლისა და ამ ბრძოლაში პროლეტარიატის უაღრესად ენერგიული მონაწილეობის ლოზუნგები და პრაქტიკული მითითებანი.

ხსენებულ მიზეზთა გამო რეზოლუციის ჩვენ მიერ ამოწერილი ნაწილის უკანასკნელი დებულებანიც დამაკმაყოფილებელი ვერ არის. მეტისმეტად უხეიროა ან, ცოტა არ იყოს, უხერხულია გამოთქმა, რომ დროებითმა მთავრობამ უნდა «მოაწესრიგოს» მოპირდაპირე კლასების ურთიერთი ბრძოლა: მარქსისტები არ უნდა ხმარობდნენ ასეთ ლიბერალურ-

ოსვობოკედენიელურ ფორმულირებას, რომელიც იძლევა საბაბს ვიფიქროთ, თითქოს შესაძლებელი იყოს ისეთი მთავრობა, რომელიც იქნება არა კლასობრივი ბრძოლის ორგანო, არამედ მისი «რეგულატორი»... მთავრობამ «არათუ წინ უნდა წასწიოს რევოლუციური განვითარება, არამედ იბრძოლოს კიდეც ამ განვითარების ისეთი ფაქტორების წინააღმდეგ, რომლებიც კაპიტალისტური წყობილების საფუძვლებს ემუქრებიან». ეს «ფაქტორი» გახლავთ სწორედ ის პროლეტარიატი, რომლის სახელითაც რეზოლუცია ლაპარაკობს! იმის ნაცვლად, რომ მიუთითონ, თუ პროლეტარიატმა ამ მომენტში სახელდობრ როგორ უნდა «წასწიოს წინ რევოლუციური განვითარება» (წასწიოს იგი იმაზე წინ, ვიდრე ეს კონსტიტუციონალისტურ ბურჟუაზიას სურს), რჩევის ნაცვლად, რომ ვემზადოთ გარკვეული საშუალებით ბურჟუაზიასთან საბრძოლველად, როცა იგი რევოლუციის მონაპოვართა წინააღმდეგ გაილაშქრებს, — ამის ნაცვლად ჩვენ გვაძლევენ პროცესის ზოგად აწერას, რომელიც არას ამბობს ჩ ვ ე ნ ი მოქმედების კონკრეტულ ამოცანებზე. ახალისკრელთა აზრების გადმოცემის ხერხი მოგვაგონებს მარქსის შეხედულებას (მის ცნობილ «თეზისებში» ფეიერბახის შესახებ) ძველ მატერიალიზმზე, რომლისთვისაც დიალექტიკის იდეა უცხო იყო. ფილოსოფოსები მხოლოდ გ ა ნ მ ა რ ტ ა ვ დ ნ ე ნ სამყაროს სხვადასხვანაირად, — ამბობდა მარქსი, — საქმე კი ის არის, რომ ეს სამყარო გ ა რ დ ა ვ ქ მ ნ ა თ ო [12]. ასევე ახალისკრელებსაც შეუძლიათ რიგიანად ასწერონ და ახსნან იმ ბრძოლის პროცესი, რომელიც მათ თვალწინ ხდება, მაგრამ სრულიად არ ძალუძთ ამ ბრძოლაში სწორი ლოზუნგის მოცემა. ისინი გულმოდგინედ მიაბიჯებენ, მაგრამ ცუდად ხელმძღვანელობენ, აკნინებენ ისტორიის მატერიალისტურ გაგებას იმ ქმედითი, ხელმძღვანელი და წარმმართველი როლის უგულებელყოფით, რომლის შესრულებაც შეუძლიათ და კიდევაც უნდა ასრულებდნენ ისტორიაში ის პარტიები, რომელთაც შეიგნეს გადატრიალების მატერიალური პირობები და სათავეში ჩაუდგნენ მოწინავე კლასებს.

5. როგორ უნდა «წავწიოთ წინ რევოლუცია»?

მოგვყავს რეზოლუციის შემდგომი განყოფილება:

«ასეთ პირობებში სოციალ-დემოკრატია უნდა ცდილობდეს რევოლუციის მთელ მანძილზე შეინარჩუნოს ისეთი მდგომარეობა, რომელიც ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს მისთვის რევოლუციის წინ წაწევის შესაძლებლობას, არ შეუკრავს მას ხელ-ფეხს ბურჟუაზიული პარტიების არათანამიმდევარი და ანგარებიანი პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში და დაიცავს მას ბურჟუაზიულ დემოკრატიაში გათქვეფისაგან.

ამიტომ სოციალ-დემოკრატია მიზნად არ უნდა ისახავდეს დროებითს მთავრობაში ძალაუფლების ხელში ჩაგდებას ან გაზიარებას, არამედ იგი უკიდურესი რევოლუციური ოპოზიციის პარტიად უნდა დარჩეს».

ჩვენ მეტისმეტად მოგვწონს რჩევა — დავიკავოთ ისეთი მდგომარეობა, რომელიც ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს რევოლუციის წინ წაწევის შესაძლებლობას. ჩვენ ვისურვებდით მხოლოდ, რომ ამ კეთილი რჩევის გარდა ყოფილიყო აგრეთვე პირდაპირი მითითებაც იმაზე, თუ სახელდობრ ამჟამად, არსებულ პოლიტიკურ სიტუაციაში, მითქმა-მოთქმის, ვარაუდების, ლაპარაკისა და სახალხო წარმომადგენელთა მოწვევის პროექტების ეპოქაში, სოციალ-დემოკრატიამ როგორ უნდა წასწიოს წინ რევოლუცია. შეუძლია თუ არა ახლა რევოლუცია წინ წასწიოს იმან, ვისაც არ ესმის, თუ რა საფრთხეს შეიცავს ხალხისა და მეფის «შეთანხმების» ოსვობოჟდენიელური თეორია, ვისაც გამარჯვებად მიაჩნია მარტო «გადაწყვეტილება» დამფუძნებელი კრების მოწვევის შესახებ, ვინც ამოცანად არ ისახავს დროებითი რევოლუციური მთავრობის აუცილებლობის იდეის აქტიურ პროპაგანდასწ ვინც ჩრდილში სტოვებს დემოკრატიული რესპუბლიკის ლოზუნგს? ასეთი ადამიანები ნამდვილად რ ე ვ ო ლ უ ც ი ა ს უ კ ა ნ ს წ ე ვ ე ნ, რადგან პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ-პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მხრივ ისინი ო ს ვ ო ბ ო ჯ დ ე ნ ი ე ლ უ რ ი პოზიციის

დონეზე შეჩერდნენ. რა აზრი აქვს მათ მიერ ისეთი პროგრამის აღიარებას, რომელიც მოითხოვს თვითმპყრობელობის შეცვლას რესპუბლიკით, როცა ტაქტიკურ რეზოლუციაში, რომელიც რევოლუციურ მომენტში პარტიის მიმდინარე და უახლოეს ამოცანებს არკვევს, რესპუბლიკისათვის ბრძოლის ლოზუნგი აღარ არის? სწორედ ოსვობოჟდენიელური პოზიცია, კონსტიტუციონალისტური ბურჟუაზიის პოზიცია დღეს ხომ ფაქტიურად იმით ხასიათდება, რომ საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრების მოწვევის გადაწყვეტილებაში გადამწყვეტ გამარჯვებას ხედავენ, ხოლო დროებითს რევოლუციურ მთავრობასა და რესპუბლიკაზე კეთილგონიერად სდუმან! რევოლუცია რომ წ ი ნ წავწიოთ, ე. ი. გადავაცილოთ იმ საზღვარს, სადამდეც იგი მონარქისტულ ბურჟუაზიას მიჰყავს, საჭიროა აქტიურად წამოვაყენოთ, ხაზი გავუსვათ და პირველ რიგში დავსახოთ ისეთი ლოზუნგები, რომლებიც ბურჟუაზიული დემოკრატიის «არათანამიმდევრობას» გ ა მ ო რ ი ც ხ ა ვ ე ნ. ამჟამად ასეთი ლოზუნგი მ ხ ო ლ ო დ ო რ ი ა: 1) დროებითი რევოლუციური მთავრობა და 2) რესპუბლიკა, იმიტომ რომ საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრების ლოზუნგი მონარქისტულმა ბურჟუაზიამაც შ ე ი თ ვ ი ს ა (იხილე «განთავისუფლების კავშირის» პროგრამა) და შეითვისა სწორედ რევოლუციის ესკამოტირების ინტერესებისათვის, იმისათვის, რომ არ იქნას დაშვებული რევოლუციის სრული გამარჯვება, მსხვილი ბურჟუაზიისა და ცარიზმის ჩარჩული მორიგების ინტერესებისათვის. და აი ჩვენ ვხედავთ, რომ ამ ორი ლოზუნგიდან, რომელთაც მართლაც შეუძლიათ რევოლუცია წინ წასწიონ, რესპუბლიკის ლოზუნგი კონფერენციამ სრულიად დაივიწყა, ხოლო დროებითი რევოლუციური მთავრობის ლოზუნგი პირდაპირ გაუთანასწორა საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრების ოსვობოჟდენიელურ ლოზუნგს, როცა ორივეს «რევოლუციის გადამწყვეტი გამარჯვება» უწოდა!!

დიახ, ასეთია უცილობელი ფაქტი, რომელიც, დარწმუნებული ვართ, რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მომავალ ისტორი-

კოსს ნიშანსვეტად გამოადგება. სოციალ-დემოკრატების კონ-ფერენცია 1905 წლის მაისში იღებს რეზოლუციას, რომელიც ლაპარაკობს ლამაზ სიტყვებს დემოკრატიული რევოლუციის წინ წაწევის აუცილებლობის შესახებ და რომელიც ნამდვი-ლარ მას უკან ეწევა და მონარქისტული ბურჟუაზიის დე-მოკრატიულ ლოზუნგთა იქით არ მიდის.

ახალისკრელები ხშირად გვისაყვედურებენ, თითქოს ჩვენ უგულებელვყოფდეთ ბურჟუაზიულ დემოკრატიაში პროლე-ტარიატის გათქვეფის საფრთხეს. ჩვენთვის საინტერესო იქ-ნებოდა გვენახა, თუ ვინ იკისრებდა ამ საყვედურის დამტკი-ცებას იმ რეზოლუციების ტექსტის მიხედვით, რომელნიც რსდმპ III ყრილობამ მიიღო. ვუპასუხებთ ჩვენს ოპონენტებს: სოციალ-დემოკრატიას, რომელიც ბურჟუაზიული საზოგადოე-ბის ნიადაგზე მოქმედებს, არ შეუძლია პოლიტიკაში მონაწი-ლეობა მიიღოს ისე, რომ მას ამა თუ იმ ცალკეულ შემთხვე-ვაში ბურჟუაზიული დემოკრატიის გ ვ ე რ დ ი თ სიარული არ მოუხდეს. ამ შემთხვევაში განსხვავება ჩვენსა და თქვენს შო-რის ის არის, რომ ჩვენ რევოლუციური და რესპუბლიკური ბურჟუაზიის გვერდით მივდივართ ისე, რომ მასში არ ვით-ქვიფებით, თქვენ კ ი ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი და მ ო ნ ა რ ქ ი ს-ტ უ ლ ი ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ი ს გვერდით მიდიხართ, თუმცა არც თქვენ ითქვიფებით მასში. ა ი რ ო გ ო რ ი ა ს ა ქ მ ი ს ვ ი-თ ა რ ე ბ ა.

თქვენი ტაქტიკური ლოზუნგები, კონფერენციის სახელით მოცემულნი, ე მ თ ხ ვ ე ვ ი ა ნ «კონსტიტუციურ-დემოკრატი-ული» პარტიის, ე. ი. მ ო ნ ა რ ქ ი ს ტ უ ლ ი ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ი ს პ ა რ ტ ი ი ს ლოზუნგებს, ამასთანავე თქვენ ვერ შეამჩნიეთ, ვერ შეიგნეთ ეს დამთხვევა და ამგვარად ფაქტიურად ო ს-ვ ო ბ ო ჟ დ ე ნ ი ე ლ ე ბ ი ს კ უ დ ში მოექეცით.

ჩვენი ტაქტიკური ლოზუნგები, რსდმპ III ყრილობის სახე-ლით მოცემულნი, დემოკრატიულ-რევოლუციური და რესპუბ-ლიკური ბურჟუაზიის ლოზუნგებს ემთხვევიან. ასეთი ბურ-ჟუაზია და წვრილი ბურჟუაზია ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბე-

ბულა რუსეთში დიდ სახალხო პარტიად *. მაგრამ მისი ელემენტების არსებობაში მხოლოდ იმას შეუძლია დაეჭვდეს, ვისაც წარმოდგენაც კი არა აქვს იმაზე, თუ რა ხდება დღეს რუსეთში. ჩვენ ვფიქრობთ (რუსეთის დიდი რევოლუციის წარმატების შემთხვევაში) ვუხელმძღვანელოთ არა მარტო პროლეტარიატს, სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ დარაზმულს, არამედ აგრეთვე ამ წვრილ ბურჟუაზიასაც, რომელსაც შესწევს უნარი ჩვენს გვერდით იაროს.

კონფერენცია თავისი რეზოლუციით შეუგნებლად ეშვება ლიბერალური და მონარქისტული ბურჟუაზიის დონემდე. პარტიის ყრილობას თავისი რეზოლუციით შეგნებულად აჰყავს თავის დონემდე რევოლუციური დემოკრატიის ელემენტები, რომელთაც აქვთ არა მაკლერობის, არამედ ბრძოლის უნარი.

ასეთი ელემენტები ყველაზე უფრო მეტი გლეხობაშია. დიდი შეცდომა არ იქნება, თუ პოლიტიკური ტენდენციების მიხედვით დიდი საზოგადოებრივი ჯგუფების დანაწილების დროს გავაიგივებთ რევოლუციურ და რესპუბლიკურ დემოკრატიას გლეხობის მასასთან, — რასაკვირველია, იმავე აზრით, იმავე შენიშვნებით და ნაგულისხმევი პირობებით, რომელთა საშუალებით შეიძლება სოციალ-დემოკრატიასთან მუშათა კლასის გაიგივება. ჩვენ შეგვიძლია, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ჩვენი დასკვნები შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: კონფერენცია თავისი საერთო ნაციონალური** პოლიტიკური ლოზუნგებით რევოლუციურ მომენტში შეუგნებლად ძირს ეშვება მემამულეთა

* «სოციალისტ-რევოლუციონერები» უფრო ტერორისტულ ინტელიგენტურ ჯგუფს წარმოადგენენ, ვიდრე ასეთი პარტიის ჩანასახს, თუმცა ამ ჯგუფის საქმიანობის ობიექტური მნიშვნელობა სწორედ რევოლუციური და რესპუბლიკური ბურჟუაზიის ამოცანათა განხორციელებაში მდგომარეობს.

** ჩვენ არ ვლაპარაკობთ სპეციალურ გლეხურ ლოზუნგებზე, რომელთაც მიძღვნილი აქვთ საგანგებო რეზოლუციები.

მასის დონემდე. პარტიის ყრილობას თავისი საერთო ნაციონალური პოლიტიკური ლოზუნგებით გლეხური მასა რევოლუციურ დონემდე აჰყავს. იმას, ვინც ამ დასკვნისათვის პარადოქსებისადმი მიდრეკილებას დაგვწამებს, ჩვენ მივმართავთ ასეთი გამოწვევით: დაე მან უარყოს ის დებულება, რომ, თუ ჩვენ ვერ შევძელით რევოლუციის ბოლომდე მიყვანა, თუ რევოლუცია დამთავრდა ოსვობოჟდენიელური «გადამწყვეტი გამარჯვებით» მხოლოდ მეფის მიერ მოწვეული წარმომადგენლობითი კრების სახით, რომელსაც დაცინვით თუ შეიძლება დამფუძნებელი ვუწოდოთ, — მაშინ ეს იქნება რევოლუცია მემამულეთა და მსხვილბურჟუაზიული ელემენტის უპირატესობით. პირიქით, თუ ჩვენ მართლაც გვიწერია დიდი რევოლუცია განვიცადოთ, თუ ისტორიამ ამ შემთხვევაში «მუცლის მოწყვეტა» არ მოახდინა, თუ ჩვენ შევძელით რევოლუციის ბოლომდე გადამწყვეტ გამარჯვებამდე მიყვანა ამ სიტყვის არა ოსვობოჟდენიელური და არა ახალისკრული აზრით, მაშინ ეს იქნება რევოლუცია გლეხური და პროლეტარული ელემენტის უპირატესობით.

რაკი ასეთი უპირატესობის შესაძლებლობის აზრს გამოვთქვამთ, ეგებ ზოგიერთმა იფიქროს, თითქოს ხელს ვიღებთ იმ შეხედულებაზე, რომ მომავალ რევოლუციას ბურჟუაზიული ხასიათი ექნება? ეს ადვილი შესაძლებელია, თუ მხედველობაში მივიღებთ ამ ცნების ისე ბოროტად გამოყენებას, რასაც ჩვენ ვხედავთ «ისკრაში». ამიტომ სრულებით არ იქნება ზედმეტი ამ საკითხზე შევჩერდეთ.

6. საიდან ემუქრება პროლეტარიატს საფრთხე ხელფეხშეკრული აღმოჩნდეს არათანამიმდევარ ბურჟუაზიასთან ბრძოლაში?

მარქსისტები უთუოდ დარწმუნებული არიან რუსეთის რევოლუციის ბურჟუაზიულ ხასიათში. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ის დემოკრატიული გარდაქმნანი პოლიტიკურ

წყობილებაში და ის სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნანი, რომლებიც რუსეთისათვის აუცილებლობად გადაიქცნენ, — თავისთავად არამცთუ არ მოასწავებს კაპიტალიზმისათვის, ბურჟუაზიის ბატონობისათვის ძირის გამოთხრას, არამედ, პირიქით, ისინი პირველად ნამდვილად გაწმენდენ ნიადაგს კაპიტალიზმის ფართო და სწრაფი, ევროპული და არა აზიური განვითარებისათვის, ისინი პირველად გახდიან შესაძლებელს ბურჟუაზიის, როგორც კლასის, ბატონობას. სოციალისტ-რევოლუციონერებს არ შეუძლიათ ამ იდეის გაგება, იმიტომ რომ მათ არ იციან სასაქონლო და კაპიტალისტური წარმოების განვითარების კანონების ანბანი, ისინი ვერ ხედავენ იმას, რომ თვით გლეხთა აჯანყების სრული წარმატებაც, თვით მთელი მიწის ხელახალი განაწილებაც გლეხობის სასარგებლოდ და მისი სურვილების თანახმად («მიწის გადანაწილება» ან სხვა ამგვარი რამ) სრულიადაც ვერ მოსპობს კაპიტალიზმს, — პირიქით, იმპულსს მისცემს მის განვითარებას და თვით გლეხობის კლასობრივ დაშლას დააჩქარებს. ამ ჭეშმარიტების გაუგებლობის გამო სოციალისტ-რევოლუციონერები შეუგნებლად წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგები ხდებიან. ამ ჭეშმარიტების დაჟინებით დაცვას სოციალ-დემოკრატიისათვის აქვს უდიდესი არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკულ-პოლიტიკური მნიშვნელობაც, რადგან აქედან გამომდინარეობს პროლეტარიატის პარტიის სრული კლასობრივი დამოუკიდებლობის აუცილებლობა დღევანდელ «საერთო დემოკრატიულ» მოძრაობაში.

მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, თითქოს დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი გადატრიალება (ბურჟუაზიული თავისი საზოგადოებრივ-ეკონომიური შინაარსით) პროლეტარიატისათვის უ დ ი დ ე ს ინტერესს არ წარმოადგენდეს. აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, თითქოს დემოკრატიული გადატრიალება არ შეიძლება მოხდეს როგორც უმთავრესად მსხვილი კაპიტალისტისათვის, ფინანსური ბობოლისათვის, «განათლებული» მემამულისათვის ხელსაყრელ ფორმაში, ისე გლეხისა და მუშისათვის ხელსაყრელ ფორმაშიც.

ახალისკრელებს სრულებით მცდარად ესმით ბურჟუაზიული რევოლუციის კატეგორიის აზრი და მნიშვნელობა. მათს მსჯელობაში ყოველთვის გამოსჭვივის ის აზრი, თითქოს ბურჟუაზიული რევოლუცია ისეთი რევოლუციაა, რომელსაც მხოლოდ იმის მოცემა შეუძლია, რაც ბურჟუაზიისათვის არის ხელსაყრელი. ნამდვილად კი ამ აზრზე უფრო შემცდარი არაფერია. ბურჟუაზიული რევოლუცია ისეთი რევოლუციაა, რომელიც არ სცილდება ბურჟუაზიული, ე. ი. კაპიტალისტური საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობილების ფარგლებს. ბურჟუაზიული რევოლუცია კაპიტალიზმის განვითარების საჭიროებას გამოხატავს; იგი არამცთუ არ სპობს მის საფუძვლებს, არამედ, პირიქით, აფართოებს და აღრმავებს მათ. ამიტომაც ეს რევოლუცია არა მარტო მუშათა კლასის, არამედ მთელი ბურჟუაზიის ინტერესებსაც გამოხატავს. რადგან კაპიტალიზმის დროს მუშათა კლასზე ბურჟუაზიის ბატონობა აუცილებელია, ამიტომ სრული უფლებით შეიძლება ითქვას, რომ ბურჟუაზიული რევოლუცია გამოხატავს არა იმდენად პროლეტარიატის, რამდენადაც ბურჟუაზიის ინტერესებს. მაგრამ სრულიად შეუსაბამოა ის აზრი, თითქოს ბურჟუაზიული რევოლუცია სრულიადაც არ გამოხატავდეს პროლეტარიატის ინტერესებს. ეს შეუსაბამო აზრი მიდის ან ძველ მამაპაპურ ნაროდნიკულ თეორიამდე, თითქოს ბურჟუაზიული რევოლუცია ეწინააღმდეგებოდეს პროლეტარიატის ინტერესებს და ამიტომ თითქოს ჩვენთვის საჭირო არ იყო ბურჟუაზიული პოლიტიკური თავისუფლება. ან ეს აზრი მიდის ანარქიზმამდე, რომელიც უარყოფს პროლეტარიატის ყოველგვარ მონაწილეობას ბურჟუაზიულ პოლიტიკაში, ბურჟუაზიულ რევოლუციაში, ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმში. თეორიულად ეს აზრი წარმოადგენს მარქსიზმის საანბანო დებულებათა დავიწყებას — სასაქონლო წარმოების ნიადაგზე კაპიტალიზმის განვითარების აუცილებლობის შესახებ. მარქსიზმი გვასწავლის, რომ სასაქონლო წარმოებაზე დამყარებული საზოგადოება, რომელიც ალებ-მიცემობას ეწევა ცივილიზებულ კაპიტალისტურ ერებთან, განვითარების განსაზღვრულ საფე-

ხურზე თვითონაც აუცილებლად ადგება კაპიტალიზმის გზას. მარქსიზმმა სამუდამოდ უარყო ნაროდნიკებისა და ანარქისტების ბოდვა, თითქოს, მაგალითად, რუსეთს შეუძლია ასცდეს კაპიტალისტურ განვითარებას, ამოხტეს კაპიტალიზმიდან ან მას გადაახტეს რაიმე სხვა გზით და არა თვით ამ კაპიტალიზმის ნიადაგზე და მის ფარგლებში წარმოებული კლასობრივი ბრძოლის გზით.

მარქსიზმის ყველა ეს დებულება ვრცლად დამტკიცებული და გადაღეჭილია როგორც საერთოდ, ისე სპეციალურად რუსეთის მიმართაც. ამ დებულებებიდან კი გამოდის, რომ რეაქციულია აზრი — მუშათა კლასის ხსნა სხვა რამეში ვეძებოთ და არა კაპიტალიზმის შემდგომს განვითარებაში. ისეთ ქვეყნებში, როგორიც რუსეთია, მუშათა კლასი იჩაგრება არა იმდენად კაპიტალიზმისაგან, რამდენადაც კაპიტალიზმის არასაკმაო განვითარებისაგან. ამიტომ მუშათა კლასი უსათუოდ დაინტერესებულია კაპიტალიზმის უაღრესად ფართო, უაღრესად თავისუფალი და უაღრესად სწრაფი განვითარებით. მუშათა კლასისათვის უსათუოდ ხელსაყრელია ძველი დროის ყველა იმ ნაშთის აღმოფხვრა, რომლებიც ხელს უშლიან კაპიტალიზმის ფართო, თავისუფალ და სწრაფ განვითარებას. ბურჟუაზიული რევოლუცია სწორედ ისეთი გადატრიალებაა, რომელიც ყველაზე გადაჭრით სპობს ძველი დროის ნაშთებს, ბატონყმობის ნაშთებს (ამ ნაშთებს ეკუთვნის არა მარტო თვითმპყრობელობა, არამედ მონარქიაც), და რომელიც ყველაზე სრულად უზრუნველყოფს კაპიტალიზმის უაღრესად ფართო, თავისუფალ და სწრაფ განვითარებას.

ამიტომ ბურჟუაზიული რევოლუცია პროლეტარიატისთვის უაღრესად ხელსაყრელია. პროლეტარიატის ინტერესებისათვის ბურჟუაზიული რევოლუცია აუცილებლად საჭიროა. რაც უფრო სრული და გადამწყვეტი, რაც უფრო თანამიმდევარი იქნება ბურჟუაზიული რევოლუცია, მით უფრო უზრუნველყოფილი იქნება ბურჟუაზიასთან პროლეტარიატის ბრძოლა სოციალიზმისათ-

ვის. მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებმაც მეცნიერული სოციალიზმის ანბანი არ იციან, შეიძლება ეს დასკვნა ახალი ან უცნაური, პარადოქსული მოეჩვენოთ. ამ დასკვნიდან კი, სხვათა შორის, ის დებულებაც გამომდინარეობს, რომ განსაზღვრულ აზრით ბურჟუაზიული რევოლუცია პროლეტარიატისათვის უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ბურჟუაზიისათვის. სახელდობრ აი რა აზრით არის უდავო ეს დებულება: ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელია პროლეტარიატის წინააღმდეგ დაეყრდნოს ძველი დროის ზოგიერთ ნაშთს, მაგალითად, მონარქიას, მუდმივ არმიას და სხვ.. ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელია, რომ ბურჟუაზიულმა რევოლუციამ ძველი დროის ყველა ნაშთი მეტისმეტად გადაჭრით არ აღგავოს, არამედ დასტოვოს ზოგიერთი მათგანი, ე. ი. რომ ეს რევოლუცია არ იყოს სავსებით თანამიმდევარი, არ მივიდეს ბოლომდე, არ იყოს გადამჭრელი და ულმობელი. ამ აზრს სოციალ-დემოკრატები ხშირად ცოტა სხვანაირად გამოხატავენ, როცა ამბობენ, რომ ბურჟუაზია თავის თავს ღალატობს, რომ ბურჟუაზია ღალატობს თავისუფლების საქმეს, რომ ბურჟუაზიას არ შესწევს თანამიმდევარი დემოკრატიზმის უნარი. ბურჟუაზიისათვის უფრო ხელსაყრელია, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მიმართულებით აუცილებელი გარდაქმნანი მოხდეს უფრო ნელა, უფრო თანდათანობით, უფრო ფრთხილად, გაუბედავად, რეფორმების გზით, და არა რევოლუციის გზით; რომ ეს გარდაქმნანი რაც შეიძლება ფრთხილად ეხებოდნენ ბატონყმობის «საპატიო» დაწესებულებებს (მაგალითად, მონარქიას); რომ ეს გარდაქმნანი რაც შეიძლება ნაკლებად ავითარებდნენ უბრალო ხალხის, ე. ი. გლეხობისა და განსაკუთრებით მუშების რევოლუციურ თვითმოქმედებას, ინიციატივასა და ენერგიას, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მუშებისთვის უფრო ადვილი იქნება, როგორც ფრანგები ამბობენ, «თოფი ერთი მხარიდან მეორე მხარზე გადაიდონ», ე. ი. თვით ბურჟუაზიის წინააღმდეგ მიმართონ ის იარაღი, რომელსაც მათ ბურჟუაზიული რევოლუცია მოუპოვებს, ის თავისუფლება, რომელსაც იგი მისცემს, ის დე-

მოკრატიული დაწესებულებანი, რომლებიც ბატონყმობისაგან გაწმენდილ ნიადაგზე აღმოცენდებიან.

პირიქით, მუშათა კლასისთვის უფრო ხელსაყრელია, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მიმართულებით გატარებული აუცილებელი გარდაქმნანი განხორციელდეს სწორედ არა რეფორმატორული, არამედ რევოლუციური გზით, რადგან რეფორმატორული გზა არის გაჭანჭლების, გაჭიანურების გზა, სახალხო ორგანიზმის ლპობადი ნაწილების მტკივნეული ნელი კვდომის გზა. მათი ლპობისაგან უპირველეს ყოვლისა და ყველაზე მეტად პროლეტარიატი და გლეხობა იჩაგრება. რევოლუციური გზა არის სწრაფი, პროლეტარიატისათვის ყველაზე ნაკლებად მტკივნეული ოპერაციის გზა, ლპობადი ნაწილების პირდაპირი მოცილების გზა, მონარქიისადმი და მისი შესაბამისი საძაგელი და საზიზღარი, დამპალი და ლპობით ჰაერის მომწამლავი დაწესებულებების მიმართ ყველაზე ნაკლები დათმობისა და სიფრთხილის გზა.

აი რატომ არის, რომ ჩვენი ბურჟუაზიულ-ლიბერალური პრესა არა მარტო ცენზურულ მოსაზრებათა გამო, არა მარტო იუდეველთა შიშით ცრემლსა ღვრის რევოლუციური გზის შესაძლებლობის გამო, ეშინია რევოლუციისა, აშინებს შეფეს რევოლუციით, ცდილობს თავი დააღწიოს რევოლუციას, მონურად ქედს იხრის უბადრუკ რეფორმათა გულისთვის, როგორც რეფორმატორული გზის საფუძვლისათვის. ამ თვალსაზრისზე დგანან არა მარტო «რუსსკიე ვედომოსტი», «სინ ოტეჩესტვა», «ნაშა ჟიზნ», «ნაში დნი», არამედ აგრეთვე არალეგალური, თავისუფალი «ოსვობოჟდენიეც». თვით ბურჟუაზიის, როგორც კლასის, მდგომარეობა კაპიტალისტურ საზოგადოებაში აუცილებლად ბადებს მის არათანამიმდევრობას დემოკრატიულ გადატრიალებაში. თვით პროლეტარიატის, როგორც კლასის, მდგომარეობა უკარნახებს მას იყოს თანამიმდევარი დემოკრატი. ბურჟუაზია უკან-უკან იხედება, მას ეშინია დემოკრატიული პროგრესისა, რომელიც პროლეტარიატის გაძლიერებით იმუქრება. პროლეტარიატი ბორკილებს გარდა არაფერს დაჰკარგავს, დემოკრატიზმის სა-

შუალებით კი მთელ ქვეყნიერებას მოიპოვებს. ამიტომ, რაც უფრო თანამიმდევარია ბურჟუაზიული რევოლუცია მის დემოკრატიულ გარდაქმნებში, მით უფრო ნაკლებ კმაყოფილდება იმით, რაც მხოლოდ და მხოლოდ ბურჟუაზიისათვის არის ხელსაყრელი. რაც უფრო თანამიმდევარია ბურჟუაზიული რევოლუცია, მით უფრო მეტად უზრუნველყოფს დემოკრატიულ გადატრიალებაში პროლეტარიატისა და გლეხობის ინტერესებს.

მარქსიზმი პროლეტარს ასწავლის არა იმას, რომ განზე გაუდგეს ბურჟუაზიულ რევოლუციას, გულგრილად მოეკიდოს მას, ბურჟუაზიას მიანებოს რევოლუციის ხელმძღვანელობა, არამედ, პირიქით, ასწავლის მას უაღრესად ენერგიულ მონაწილეობას, უაღრესად გადამწყვეტ ბრძოლას თანამიმდევარი პროლეტარული დემოკრატიზმისათვის, რევოლუციის ბოლომდე მიყვანისათვის. ჩვენ არ შეგვიძლია ამოვხტეთ რუსეთის რევოლუციის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ჩარჩოებიდან, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ეს ჩარჩოები უაღრესად გავაფართოოთ, ჩვენ შეგვიძლია და უნდა ვიბრძოლოთ ამ ჩარჩოების ფარგლებში პროლეტარიატის ინტერესებისათვის, მის უშუალო საჭიროებათათვის, იმისათვის, რომ შევქმნათ პირობები მისი ძალების მოსამზადებლად მომავალი სრული გამარჯვებისათვის. ბურჟუაზიული დემოკრატიაც არის და ბურჟუაზიული დემოკრატიაც. ერობის მოღვაწე-მონარქისტიც, რომელიც ზედა პალატის მომხრეა და საყოველთაო საარჩევნო უფლებას «მოითხოვს», ხოლო ფარულად, ჩუმ-ჩუმად ურიგდება ცარიზმს შეკვეცილი კონსტიტუციის შესახებ, ბურჟუაზიული დემოკრატი გახლავთ. და ბურჟუაზიული დემოკრატია ის გლეხიც, რომელიც იარაღით ხელში ილაშქრებს მემამულეებისა და მოხელეთა წინააღმდეგ და «გულუბრყვილოდ-რესპუბლიკურად» მოითხოვს «მეფის გაგდებას» *. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წესები შეიძლება იყოს ისეთი, როგორიცაა გერმანიაში, და ისეთიც, როგორიცაა ინგლისში;

* იხ. «ოსვობოჟდენიე» № 71, გვ. 337, შენიშვნა 2.

ისეთი, როგორიცაა ავსტრიაში, და ისეთიც, როგორიც ამერიკაში ან შვეიცარიაშია. კარგი მარქსისტი კი იქნებოდა ის, ვისაც დემოკრატიული გადატრიალების ეპოქაში გამოეპარებოდა ეს განსხვავება დემოკრატიზმის დონესა და მისი ამა თუ იმ ფორმის სხვადასხვა ხასიათს შორის და დაკმაყოფილდებოდა «ბრძნული მსჯელობით» იმის შესახებ, რომ ეს რაც უნდა იყოს მაინც «ბურჟუაზიული რევოლუციაა», «ბურჟუაზიული რევოლუციის» ნაყოფიაო.

სწორედ ასეთ ჭკუისკოლოფებს, რომელთაც თავი მოაქვთ თავიანთი სიბეცით, წარმოადგენენ ჩვენი ახალისკრელები. სწორედ ისინი კმაყოფილდებიან რევოლუციის ბურჟუაზიულ ხასიათზე მსჯელობით იქ და მაშინ, სადაც საჭიროა უნარი, რომ ერთმანეთისაგან გაარჩიონ რესპუბლიკურ-რევოლუციური და მონარქისტულ-ლიბერალური ბურჟუაზიული დემოკრატია, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ განსხვავებაზე, რომელიც არსებობს არათანამიმდევარ ბურჟუაზიულ და თანამიმდევარ პროლეტარულ დემოკრატიზმს შორის. ისინი სჯერდებიან, — თითქოს ნამდვილად გადაქცეულიყვნენ «ფუტლარის ადამიანებად», — მელანქოლიურ ლაპარაკს «მოპირდაპირე კლასთა ურთიერთი ბრძოლის პროცესზე», როცა ლაპარაკია იმაზე, რომ გავუწიოთ დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო ბ ა მიმდინარე რევოლუციას, რომ ხაზი გავუსვათ მ ო წ ი ნ ა ვ ე დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ლოზუნგებს ბ-ნ სტრუვეს და კომპ. გამცემლური ლოზუნგებისაგან განსხვავებით, რომ პირდაპირ და მკვეთრად მივუთითოთ პროლეტარიატისა და გლეხობის ნამდვილი რევოლუციური ბრძოლის უახლოეს ამოცანებზე, მემამულეთა და მეფაბრიკეთა ლიბერალური მაკლერობისაგან განსხვავებით. ამაშია ახლა საკითხის დედაარსი, რომელიც თქვენ გამოგეპარათ, ბატონებო: იმაში, დაგვირგვინდება ჩვენი რევოლუცია მართლაც გრანდიოზული გამარჯვებით თუ მხოლოდ უბადრუკი გარიგებით, მივა იგი პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ დემოკრატიულ დიქტატურამდე თუ «ძალთაგან დაიცლება» ლიბერალურ-შიპოვისებური კონსტიტუციის ნიადაგზე!

ერთი შეხედვით შეიძლება ვისმე მოეჩვენოს, რომ ამ საკითხის დაყენებით ჩვენ სრულიად გვერდს ვუხვევთ ჩვენს თემას. მაგრამ ასე მხოლოდ პირველი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. ნამდვილად კი სწორედ ამ საკითხში არის იმ პრინციპული უთანხმოების ფესვი, რომელიც ახლა უკვე საკმაოდ გამოისახა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III ყრილობის სოციალ-დემოკრატიულ ტაქტიკასა და ახალისკრელთა კონფერენციაზე მიღებულ ტაქტიკას შორის. ახალისკრელებმა ახლა უკვე გადადგეს არა ორი, არამედ სამი ნაბიჯი უკან, გააცოცხლეს რა ეკონომიზმის შეცდომები რევოლუციის მომენტში მუშათა პარტიის ტაქტიკის გაცილებით უფრო რთულ, უფრო მნიშვნელოვან და უფრო საარსებო საკითხთა გადაწყვეტის დროს. აი რატომ არის საჭირო, რომ დასმული საკითხის გარჩევაზე მთელი ყურადღებით შევჩერდეთ.

ახალისკრელთა რეზოლუციის ჩვენს მიერ ამოწერილ ნაწილში არის მითითება იმის საფრთხეზე, რომ ვაითუ სოციალ-დემოკრატიამ ხელფეხი შეიბოჭოს ბურჟუაზიის არათანამიმდევარ პოლიტიკასთან ბრძოლაში, ვაითუ გაითქვიფოს ბურჟუაზიულ დემოკრატიაშიო. აზრი ამ საფრთხისა წითელ ზოლად გადის მთელ სპეციფიკურად ახალისკრულ ლიტერატურაში, ეს აზრი ნამდვილი ღერძია მთელი პრინციპული პოზიციისა ჩვენს პარტიულ გათიშვაში (მას შემდეგ, რაც ამ გათიშვაში კიკლაობის ელემენტები სრულიად უკანა რიგზე დასწიეს ეკონომიზმისაკენ შებრუნების ელემენტებმა). და ჩვენ სრულიად გულახდილად აღვიარებთ, რომ ეს საფრთხე მართლაც არსებობს, რომ სწორედ ახლა, რუსეთის რევოლუციის გაჩაღების დროს, ეს საფრთხე განსაკუთრებით სერიოზული შეიქნა. ჩვენ ყველას, თეორეტიკოსებს ან — პირადად ჩემს შესახებ მე ვარჩევდი მეთქვა — სოციალ-დემოკრატიის პუბლიცისტებს, გვეკისრება გადაუდებელი და უაღრესად პასუხსაგები ამოცანა — გავარკვიოთ, ნამდვილად რ ო მ ე ლ ი მ ხ რ ი დ ა ნ გვემუქრება ეს საფრთხე. ეს იმიტომ არის საჭირო, რომ ჩვენი უთანხმოების წყაროს წარმოადგენს არა

დავა იმაზე, არსებობს თუ არა ასეთი საფრთხე, არამედ ის, თუ რა წარმოშობს მას — «უმცირესობის» ეგრეთწოდებული მაჩანჩალობა, თუ «უმრავლესობის» ეგრეთწოდებული რევოლუციონარიზმი.

მითქმა-მოთქმანი და გაუგებრობანი რომ თავიდან ავიშოროთ, უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ საფრთხე, რომლის შესახებ ჩვენ ვლაპარაკობთ, ძევს საქმის არა სუბიექტურ, არამედ ობიექტურ მხარეში, არა ფორმალურ პოზიციაში, რომელსაც სოციალ-დემოკრატია ბრძოლაში დაიჭერს, არამედ მთელი დღევანდელი რევოლუციური ბრძოლის მატერიალურ შედეგში. საქმე ის კი არ არის, მოისურვებენ თუ არა ესა თუ ის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები ბურჟუაზიულ დემოკრატიაში გათქვეფას, გრძნობენ თუ არა ისინი, რომ ითქვიფებიან, — ამაზე ლაპარაკიც არ არის. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ მსგავსი სურვილი რომელიმე სოციალ-დემოკრატს ჰქონდეს, და აქ სურვილში არც არის სრულებით საქმე. არც იმაშია საქმე, ესა თუ ის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები შეინარჩუნებენ თუ არა თავიანთ ფორმალურ თვითმყოფობას, საკუთარ სახეს, ბურჟუაზიული დემოკრატიისაგან დამოუკიდებლობას რევოლუციის მთელ მანძილზე. მათ შეუძლიათ ამ «დამოუკიდებლობის» შესახებ არათუ განაცხადონ, არამედ იგი ფორმალურაღაც შეინარჩუნონ, და მიუხედავად ამისა, შ ე ს ა ძ ლ ო ა ს ა ქ მ ე ი ს ე დ ა ტ რ ი ა ლ დ ე ს, რომ ისინი ხელფეხშეკრულნი აღმოჩნდნენ არათანამიმდევარ ბურჟუაზიასთან ბრძოლაში. რევოლუციის საბოლოო პოლიტიკური შედეგი შეიძლება აღმოჩდეს ის, რომ, მიუხედავად სოციალ-დემოკრატიის ფორმალური «დამოუკიდებლობისა», მიუხედავად მისი სრული ორგანიზაციული, პარტიული თავისებურებისა, იგი სინამდვილეში დამოკიდებული, უძლური აღმოჩნდება, რომ მოვლენათა მსვლელობას თავისი პროლეტარული დამოუკიდებლობის დაღი დაასვას, იმდენად სუსტი აღმოჩნდება, რომ საერთოდ და მთლიანად, საბოლოო ანგარიშით, საბოლოო შედეგით, მისი «გათქვეფა» ბურჟუაზიულ დემოკრატიაში მაინც ისტორიული ფაქტი იქნება.

აი რაში მდგომარეობს ნამდვილი საფრთხე. ახლა კი ვნახოთ, რომელი მხრიდან გვემუქრება იგი: სოციალ-დემოკრატიის მარჯვნივ გადახრისაგან ახალი «ისკრის» სახით, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, თუ მისი მარცხნივ გადახრისაგან «უმრავლესობის», «ვპერიოდის» და სხვ. სახით, როგორც ახალისკრელები ფიქრობენ.

ამ საკითხის გადაჭრა, როგორც ჩვენ აღვნიშნეთ, განისაზღვრება სხვადასხვა საზოგადოებრივი ძალის მოქმედების ობიექტური შეხამებით. ამ ძალთა ხასიათი თეორიულად გარკვეულია რუსეთის სინამდვილის მარქსისტული ანალიზით, ახლა კი იგი ირკვევა პრაქტიკულად რევოლუციის მსვლელობაში ჯგუფებისა და კლასების აშკარა გამოსვლით. და აი, მთელი თეორიული ანალიზი, რომელიც ახლანდელ ეპოქამდე დიდი ხნით ადრე მარქსისტებმა მოახდინეს, აგრეთვე ყველა პრაქტიკული დაკვირვება რევოლუციურ მოვლენათა განვითარებაზე გვიჩვენებენ, რომ, ობიექტური პირობების თვალსაზრისით, რუსეთში შესაძლოა რევოლუციის ორგვარი მსვლელობა და შედეგი. რუსეთის ეკონომიური და პოლიტიკური წყობილების გარდაქმნა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მიმართულებით გარდუვალი და აუცილებელია. არ არსებობს დედამიწაზე ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს ხელი შეუშალოს ასეთ გარდაქმნას. მაგრამ არსებულ ძალთა მოქმედების შეხამებით, რომლებიც ამ გარდაქმნას ახდენენ, შეიძლება მივიღოთ ორნაირი შედეგი, ან ამ გარდაქმნის ორნაირი ფორმა. ორში ერთი: 1) ან საქმე გათავდება «რევოლუციის გადამწყვეტი გამარჯვებით ცარიზმზე» ან 2) გადამწყვეტი გამარჯვებისათვის ძალები არ გვეყოფა, და საქმე გათავდება ცარიზმის მორიგებით ბურჟუაზიის ყველაზე უფრო «არათანამიმდევარ» და ყველაზე უფრო «ანგარებიან» ელემენტებთან. სწორედ ერთი ამ ორი შედეგთაგანი შეიცავს, საერთოდ და მთლიანად, ყველა იმ დეტალისა და კომბინაციის დაუსრულებელ მრავალგვარობას, რომელთა წინასწარ გათვალისწინება არავის არ ძალუძს.

ახლა განვიხილოთ ეს შედეგები, ჯერ-ერთი, მათი სოციალური მნიშვნელობის თვალსაზრისით, და, მეორეც, სოციალ-დემოკრატიის მდგომარეობის (მისი «გათქვეფის» ან «ხელფეხშებოჭვის») თვალსაზრისით ორივე შემთხვევაში.

რას ნიშნავს «ცარიზმზე რევოლუციის გადამწყვეტი გამარჯვება»? ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ახალისკრელებს, როცა ისინი ამ გამოთქმას ხმარობენ, იგი არ ესმით მისი უახლოესი პოლიტიკური მნიშვნელობითაც კი. კიდევ უფრო ნაკლებად ემჩნევა მათ ამ ცნების კლასობრივი შინაარსის გაგება. ჩვენ ხომ, მარქსისტებმა, არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივცეთ ნება ჩვენს თავს მოვიხიბლოთ ს ი ტ ყ ვ ე ბ ი თ: «რევოლუცია» ან «რუსეთის დიდი რევოლუცია», როგორც ხიბლავს იგი დღეს მრავალ რევოლუციურ დემოკრატს (გაპონის მსგავსად). ჩვენ ზუსტად უნდა გავითვალისწინოთ, თუ რომელი რეალური საზოგადოებრივი ძალები უპირისპირდებიან «ცარიზმს» (ეს სიტყვებით რეალური და ყველასათვის სავსებით გასაგები ძალაა) და რომელ მათგანს შეუძლია მოიპოვოს მასზე «გადამწყვეტი გამარჯვება». ასეთი ძალა არ შეიძლება იყოს მსხვილი ბურჟუაზია, მემამულეები, მეფაბრიკეები, «საზოგადოება», რომელიც ოსვობოჟდენიელებს მიჰყვება. ჩვენ ვხედავთ, რომ მათ გადამწყვეტი გამარჯვება არც კი სურთ. ჩვენ ვიცით, რომ თავიანთი კლასობრივი მდგომარეობით მათ არ შესწევთ უნარი ცარიზმთან გადამწყვეტი ბრძოლისა: მათთვის მეტად მძიმე ლოდია კერძო საკუთრება, კაპიტალი, მიწა და ამიტომ გადამწყვეტი ბრძოლის გზას არ დაადგებიან. მათთვის მეტად საჭიროა ცარიზმი და მისი პოლიციურ-ბიუროკრატიული და სამხედრო ძალები პროლეტარიატისა და გლეხობის წინააღმდეგ, ამიტომ ცარიზმის მოსპობას არ მოისურვებენ. არა, ერთადერთი ძალა, რომელსაც ძალუძს «ცარიზმზე გადამწყვეტი გამარჯვების» მოპოვება, შეიძლება იყოს მხოლოდ ხ ა ლ ხ ი, ე. ი. პროლეტარიატი და გლეხობა, თუ ავიღებთ ძირითად, დიდ ძალებს, ისე, რომ სოფლისა და ქალაქის წვრილ ბურჟუაზიას (ესეც «ხალხია») მათ შორის გავანაწილებთ. «რევოლუციის გადამწყვეტი გა-

მარჯვება ცარიზმზე» — ეს არის პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა. ამ დასკვნას, რომელზედაც «ვპერიოდმა» დიდი ხანია მიუთითა, ახალისკრელები ვერსად გაექცევიან. ცარიზმზე გადამწყვეტი გამარჯვება სხვას არავის ძალუძს.

ასეთი გამარჯვება კი სწორედ დიქტატურა იქნება, ე. ი. ის აუცილებლად უნდა დაეყრდნოს სამხედრო ძალას, მასის შეიარაღებას, აჯანყებას, და არა ამა თუ იმ «ლეგალური», «მშვიდობიანი გზით» შექმნილ დაწესებულებებს. ეს შეიძლება იყოს მხოლოდ დიქტატურა, რადგან იმ გარდაქმნათა განხორციელება, რომლებიც პროლეტარიატსა და გლეხობას დაუყოვნებლივ და აუცილებლად ესაჭიროება, როგორც მემამულეების, ისე მსხვილი ბურჟუებისა და ცარიზმის გააფთრებულ წინააღმდეგობას გამოიწვევს. უდიქტატუროდ ამ წინააღმდეგობის დაძლევა, კონტრრევოლუციური ცდების გაქარწყლება შეუძლებელია. მაგრამ ეს, ცხადია, იქნება არა სოციალისტური, არამედ დემოკრატიული დიქტატურა. იგი ვერ შესძლებს (თუ რევოლუციური განვითარების მთელი რიგი შუალედი საფეხურები არ განვლო) შეეხოს კაპიტალიზმის საფუძვლებს. საუკეთესო შემთხვევაში იგი შესძლებს მოახდინოს მიწის საკუთრების ძირეული გადანაწილება გლეხობის სასარგებლოდ, გაატაროს თანამიმდევარი და სრული დემოკრატიზმი თვით რესპუბლიკის შექმნით, ძირფესვიანად აღმოფხვრას არა მარტო სოფლის, არამედ ფაბრიკის ყოფაცხოვრებიდანაც ყველა აზიური, კაბალური ნიშანი, საფუძველი ჩაუყაროს მუშათა მდგომარეობის სერიოზულ გაუმჯობესებას და მათი საცხოვრებელი დონის ამაღლებას, დასასრულ, last but not least * — გადაიტანოს რევოლუციური ხანძარი ევროპაში. ასეთი გამარჯვება ჯერ კიდევ სრულებითაც არ გადააქცევს ჩვენს ბურჟუაზიულ რევოლუციას სოციალისტურ რევოლუციად; დემოკრატიული გადატრიალება უშუალოდ ვერ გასცდება ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ-ეკონომიური

* უკანასკნელი სათვალავით და არა მნიშვნელობით.

ურთიერთობის ფარგლებს; მაგრამ, მიუხედავად ამისა, ასეთი გამარჯვების მნიშვნელობა გიგანტური იქნება როგორც რუსეთის, ისე მთელი მსოფლიოს მომავალი განვითარებისათვის. არაფერი არ გააძლიერებს იმ ზომამდე მსოფლიო პროლეტარიატის რევოლუციურ ენერგიას, არაფერი არ შეამოკლებს ისე ძლიერ მისი სრული გამარჯვებისაკენ მიმავალ გზას, როგორც რუსეთში დაწყებული რევოლუციის გადამწყვეტი გამარჯვება.

რამდენად სარწმუნოა ასეთი გამარჯვება, — ეს სხვა საკითხია. ჩვენ სრულებითაც არ ვიჩენთ უგუნურ ოპტიმიზმს ამ მხრივ, ჩვენ სრულებითაც არ ვივიწყებთ ამ ამოცანის უდიდეს სიძნელეს, მაგრამ, როცა საბრძოლველად მივდივართ, ჩვენ გამარჯვება უნდა გვსურდეს და მისკენ ნამდვილი გზის ჩვენება უნდა შეგვეძლოს. უდავოა, რომ სინამდვილეში უკვე არის ტენდენციები, რომელთაც შეუძლიათ ამ გამარჯვებამდე მიყვანა. მართალია, ჩვენი, სოციალ-დემოკრატიული, გავლენა პროლეტარიატის მასაზე ჯერ კიდევ მეტისმეტად არასაკმაოა; გლეხობის მასაზე რევოლუციური ზეგავლენა სრულიად უმნიშვნელოა; პროლეტარიატისა და განსაკუთრებით გლეხობის დაქსაქსულობა, განუვითარებლობა და სიბნელე ჯერ კიდევ საშინლად დიდია. მაგრამ რევოლუცია სწრაფად ამჭიდროებს და სწრაფად ანათლებს ადამიანებს. მისი განვითარების ყოველი ნაბიჯი აღვიძებს მასას და შეუჩერებელი ძალით იზიდავს მას სწორედ რევოლუციური პროგრამისაკენ, რომელიც თანამიმდევრად და მთლიანად მისი ნამდვილი, სასიცოცხლო ინტერესების ერთადერთი გამომხატველია.

მექანიკის კანონი ამბობს, რომ ქმედება უკუქმედების ტოლია. ისტორიაში დამანგრეველი ძალა რევოლუციისა აგრეთვე ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მძლავრად და ხანგრძლივად ითრგუნებოდა თავისუფლებისადმი მისწრაფება, რამდენად ღრმაა წინააღმდეგობა ძველისძველ «ზედნაშენსა» და თანამედროვე ეპოქის ცოცხალ ძალებს შორის. საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაციაც მრავალმხრივ ისე

ხელსაყრელად ეწყობა რუსეთის რევოლუციისათვის, რომ უკეთესი შეუძლებელია. მუშებისა და გლეხების აჯანყება უკვე დაიწყო, იგი დაქსაქსული, სტიქიური და სუსტია, მაგრამ იგი უდავოდ და უსათუოდ ამტკიცებს ისეთი ძალების არსებობას, რომელთაც გადამწყვეტი ბრძოლის ენარი შესწევთ და გადამწყვეტი გამარჯვებისაკენ მიდიან.

თუ ეს ძალები საკმაო არ იქნება, — მაშინ ცარიზმი მოასწრებს მორიგებას, რომელსაც ბატონი ბულიგინები და ბატონი სტრუვეები ორი მხრიდან ამზადებენ კიდეც. მაშინ საქმე შეკვეცილი კონსტიტუციით ან — ყველაზე უარეს შემთხვევაში — მისი პაროდიითაც დამთავრდება. ესეც «ბურჟუაზიული რევოლუცია» იქნება, ოღონდ უდღეური, მუცელმოწყვეტილი, ნაბუშარი. სოციალ-დემოკრატია ილუზიებით როდი ცხოვრობს, მან იცის ბურჟუაზიის გამცემლური ბუნება, იგი არ დაეცემა სულით და არ შეწყვეტს თავის შეუპოვარ, გულმოდგინე და მტკიცე მუშაობას პროლეტარიატის კლასობრივი აღზრდისათვის ბურჟუაზიულ-კონსტიტუციური «შიპოვისებური» კეთილდღეობის სულ უფერულ ჩვეულებრივ დღეებშიც კი. ასეთი შედეგი ცოტად თუ ბევრად დაემსგავსებოდა ევროპის XIX საუკუნის თითქმის ყველა დემოკრატიული რევოლუციის შედეგს, და ჩვენი პარტიული განვითარებაც მაშინ წავიდოდა ძნელი, მძიმე, გრძელი, მაგრამ ნაცნობი და გაკვალული გზით.

ახლა იბადება კითხვა, ამ ორი შესაძლებელი შედეგიდან რომლის დროს აღმოჩნდება სოციალ-დემოკრატია ფაქტიურად ხელფეხშეკრული არათანამიმდევარი და ანგარებიანი ბურჟუაზიის წინააღმდეგ? აღმოჩნდება თუ არა ფაქტიურად «გათქვეფილი» ან თითქმის გათქვეფილი ბურჟუაზიულ დემოკრატიაში?

საკმარისია ეს კითხვა ნათლად დავსვათ, რომ მასზე დაუყოვნებლივ და ადვილად გავცეთ პასუხი.

თუ ბურჟუაზიამ მოახერხა რუსეთის რევოლუციის ჩაშლა ცარიზმთან მორიგების საშუალებით, — მაშინ სოციალ-დემოკრატია ფაქტიურად სწორედ ხელფეხშეკრული იქნება არათა-

ნამიმდევარი ბურჟუაზიის წინააღმდეგ, — მაშინ სოციალ-დემოკრატია აღმოჩნდება გათქვეფილი «ბურჟუაზიულ დემოკრატიაში» იმ აზრით, რომ პროლეტარიატი ვერ შესძლებს თავისი მკაფიო დაღი დაასვას რევოლუციას, ვერ შესძლებს პროლეტარულად ან, როგორც ერთ დროს მარქსი ამბობდა, «პლებეურად» გაუსწორდეს ცარიზმს.

თუ მოხერხდა რევოლუციის გადამწყვეტი გამარჯვება, — მაშინ ჩვენ ცარიზმს იაკობინურად ან, თუ გნებავთ, პლებეურად გავუსწორდებით. «მთელი ფრანგული ტერორიზმი — წერდა მარქსი ცნობილ «რეინის ახალ გაზეთში» 1848 წელს — სხვა არა იყო, თუ არ პლებეური საშუალება ბურჟუაზიის მტრებთან, აბსოლუტიზმთან, ფეოდალიზმთან და ფილისტერობასთან ანგარიშის გასწორებისა» (იხ. Marx' Nachlass, მეერინგის გამოცემა, ტომი III, გვ. 211) [13]. დაფიქრებულან კი ოდესმე მარქსის ამ სიტყვების მნიშვნელობაზე ის ადამიანები, რომლებიც რუს სოციალ-დემოკრატ მუშებს დემოკრატიული რევოლუციის ეპოქაში «იაკობინიზმის» საფრთხობელათი აშინებენ?

რუსეთის თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის ჟირონდისტები, ახალისკრელები, არ უერთდებიან ოსვობოჟდენიელებს, მაგრამ ფაქტიურად, თავიანთი ლოზუნგების ხასიათის მიხედვით, კუდში მისჩანჩალებენ მათ. ოსვობოჟდენიელებს კი, ე. ი. ლიბერალური ბურჟუაზიის წარმომადგენლებს, სურთ ანგარიში გაუსწორონ თვითმპყრობელობას ლმობიერად, რეფორმატორულად, — დათმობით, ისე, რომ არ აწყენინონ არისტოკრატიას, თავადაზნაურობას, მეფის კარს, — ფრთხილად, ყოველგვარი ნგრევის გარეშე, — თავაზიანად და ზრდილობიანად, ბატონკაცურად, თეთრი ხელთათმანით (მსგავსად იმ ხელთათმანისა, რომელიც ბაშიბუზუკის ხელთაგან ბ-მა პეტრუნკევიჩმა ჩაიცვა ნიკოლოზ სისხლისმსმელის მიერ «ხალხის წარმომადგენელთა» (?) მიღებისას, იხ. «პროლეტარი» № 5 *).

---

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 8, გვ. 625 — 631. რ ე დ.

თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის იაკობინელებს, — ბოლშევიკებს, ვპერიოდელებს, ყრილობელებს ანუ პროლეტარიელებს, აღარც კი ვიცი როგორ ვთქვა, — სურთ თავიანთი ლოზუნგებით აამაღლონ რევოლუციური რესპუბლიკური წვრილი ბურჟუაზია და განსაკუთრებით გლეხობა პროლეტარიატის თანამიმდევარი დემოკრატიზმის დონემდე, პროლეტარიატისა, რომელიც თავის სრულ კლასობრივ სახეს ინარჩუნებს. მათ სურთ, რომ ხალხი, ე. ი. პროლეტარიატი და გლეხობა, გაუსწორდეს მონარქიას და არისტოკრატიას «პლებეურად», დაუნდობლად გაანადგუროს თავისუფლების მტრები, ძალით დათრგუნოს მათი წინააღმდეგობა და სრულიად არაფერი არ დაუთმოს ბატონყმობის, აზიურობის, ადამიანის ფეხქვეშ გათელვის წყეულ მემკვიდრეობას.

ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, თითქოს ჩვენ აუცილებლად გვინდოდეს 1793 წლის იაკობინელებს მივბაძოთ, მათი შეხედულებანი, პროგრამა, ლოზუნგები, მოქმედების ხერხი გადმოვიღოთ. სრულებითაც არა. ჩვენ გვაქვს არა ძველი, არამედ ახალი პროგრამა — რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამა-მინიმუმი. ჩვენ გვაქვს ახალი ლოზუნგი: პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დემოკრატიული დიქტატურა. ჩვენ გვექნება, თუ რევოლუციის ნამდვილ გამარჯვებას მოვესწარით, მოქმედების ახალი საშუალებებიც, მუშათა კლასის პარტიის ხასიათისა და მიზნების შესაფერისნი, პარტიისა, რომელიც სრული სოციალისტური გადატრიალებისაკენ მიისწრაფის. ზემომოყვანილი შედარებით ჩვენ გვინდა მხოლოდ განვმარტოთ ის, რომ XX საუკუნის მოწინავე კლასის, პროლეტარიატის წარმომადგენლები, ე. ი. სოციალ-დემოკრატები, ისეთსავე ორ ფრთად იყოფიან (ოპორტუნისტული და რევოლუციური), რომ-გორადაც იყოფოდნენ XVIII საუკუნის მოწინავე კლასის, ბურჟუაზიის წარმომადგენლებიც, ე. ი. ჟირონდისტები და იაკობინელები.

პროლეტარიატი დემოკრატიული რევოლუციის მხოლოდ სრული გამარჯვებისას არ იქნება ხელფეხშეკრული არათანა-

მიმდევარი ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში, მხოლოდ ამ შემთხვევაში არ «გაითქვიფება» ის ბურჟუაზიულ დემოკრატიაში, არამედ მთელ რევოლუციას თავის პროლეტარულ ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, პროლეტარულ-გლეხურ ბეჭედს დაასვამს.

ერთი სიტყვით: არათანამიმდევარ ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან ბრძოლაში ხელფეხშეკრული რომ არ აღმოჩნდეს, პროლეტარიატი საკმაოდ შეგნებული და ძლიერი უნდა იყოს, რათა რევოლუციურ თვითშეგნებამდე აამაღლოს გლეხობა, უხელმძღვანელოს მის შეტევას და ამრიგად დამოუკიდებლად გაატაროს თანამიმდევარი პროლეტარული დემოკრატიზმი.

აი როგორ დგას ახალისკრელების მიერ ესოდენ უხეიროდ გადაჭრილი საკითხი იმ საფრთხისა, რომ არათანამიმდევარ ბურჟუაზიასთან ბრძოლაში ხელფეხშეკრული არ დავრჩეთ. ბურჟუაზია ყოველთვის არათანამიმდევარი იქნება. იმაზე გულუბრყვილო და უნაყოფო არა არის რა, რომ ვეცადოთ დავსახოთ პირობები თუ მუხლები *, რომელთა შესრულებისას ბურჟუაზიული დემოკრატია ხალხის არათვალთმაქც მეგობრად შეიძლება ჩაითვალოს. დემოკრატიზმისათვის თანამიმდევარი მებრძოლი შეიძლება იყოს მხოლოდ პროლეტარიატი. დემოკრატიზმისათვის ძლევამოსილი მებრძოლი იგი შეიძლება მხოლოდ იმ პირობით აღმოჩნდეს, თუ მის რევოლუციურ ბრძოლას გლეხობის მასა მიემხრობა. თუ ამისათვის პროლეტარიატს ძალა არ ეყო, — ბურჟუაზია დემოკრატიული რევოლუციის სათავეში მოექცევა და არათანამიმდევრობისა და ანგარების ხასიათს მისცემს მას. ამის ხელისშეშლის სხვა საშუალება, გარდა პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურისა, არ არსებობს.

ამრიგად, ჩვენ იმ უდავო დასკვნამდე მივდივართ, რომ სწორედ ახალისკრული ტაქტიკა, თავისი ობიექტური მნიშვნე-

---

* როგორც ამას ცდილობდა სტაროვერი თავის, III ყრილობის მიერ გაუქმებულ რეზოლუციაში[14] და როგორც ამას ცდილობს კონფერენცია არა ნაკლებ უხეირო რეზოლუციაში.

ლობით, ხელს უწყობს ბურჟუაზიულ დემოკრატიას. საორგანიზაციო უსახობის ქადაგება, რაც პლებისციტამდე, შეთანხმების პრინციპამდე, პარტიისაგან პარტიული ლიტერატურის მოწყვეტამდე მიდის — შეიარაღებული აჯანყების ამოცანათა დაკნინება, — რევოლუციური პროლეტარიატისა და მონარქისტული ბურჟუაზიის საერთო სახალხო პოლიტიკურ ლოზუნგთა ერთმანეთში არევა, — «ცარიზმზე რევოლუციის გადამწყვეტი გამარჯვების» პირობების დამახინჯება, — ყოველივე ეს ერთად აღებული ქმნის რევოლუციურ მომენტში სწორედ იმ მაჩანჩალობის პოლიტიკას, რომელიც თავგზას ურევს პროლეტარიატს, ახდენს მის დეზორგანიზაციას და არევ-დარევა შეაქვს მის შეგნებაში, ამცირებს სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკას, იმის ნაცვლად, რომ უჩვენოს ერთადერთი გზა გამარჯვებისაკენ და პროლეტარიატის ლოზუნგს შეუერთოს ხალხის ყველა რევოლუციური და რესპუბლიკური ელემენტი.

რომ დავადასტუროთ ეს დასკვნა, რომელიც ჩვენ რეზოლუციის განხილვის საფუძველზე გამოვიტანეთ, სხვა მხრივაც შივუდგეთ ამავე საკითხს. ჯერ-ერთი, ვნახოთ, თუ როგორ ასურათებს ახალისკრელთა ტაქტიკას მომიამიტო და გულახდილი მენშევიკი ქართულ «სოციალ-დემოკრატში». მეორეც, ვნახოთ, თუ ვინ სარგებლობს ნამდვილად, არსებულ პოლიტიკურ ვითარებაში, ახალი «ისკრის» ლოზუნგებით.

7. «მთავრობისაგან კონსერვატორების ჩამოშორების» ტაქტიკა

ჩვენ მიერ ზემოთ მოხსენებულ სტატიას თბილისის მენშევიკური «კომიტეტის» ორგანოში («სოციალ-დემოკრატი» № 1) ეწოდება «საერო კრება და ჩვენი ტაქტიკა». მის ავტორს ჯერ კიდევ სავსებით არ დავიწყებია ჩვენი პროგრამა, ის აყენებს რესპუბლიკის ლოზუნგს, მაგრამ ტაქტიკის შესახებ შემდეგნაირად მსჯელობს:

«ამ მიზნის (რესპუბლიკის) მისაღწევად შეიძლება აღვნიშნოთ ორი გზა: ან სრულებით უყურადღებოდ დავტოვოთ მთავრობის მიერ მოსაწვევი საერო კრება და იარაღით ხელში დავამხოთ მთავრობა, შევადგინოთ რევოლუციური მთავრობა და მოვიწვიოთ დამფუძნებელი კრება. ანდა — საერო კრება ჩვენი მოქმედების ცენტრად გამოვაცხადოთ, იარაღით მოვახდინოთ ზეგავლენა მის შემადგენლობაზე, მის მუშაობაზე, და ძალით ვაიძულოთ გამოაცხადოს თავი დამფუძნებელ კრებად, ანდა მისი მეშვეობით მოვიწვიოთ დამფუძნებელი კრება. ეს ორი ტაქტიკა მეტად მკვეთრად განსხვავდება ერთიმეორისაგან. მაშ ვნახოთ, რომელია მათში უფრო ხელსაყრელი ჩვენთვის».

აი როგორ გადმოსცემენ რუსეთის ახალისკრელები იმ იდეებს, რომლებიც შემდგომ განსახიერებული იყო ჩვენ მიერ განხილულ რეზოლუციაში. ნუ დაგავიწყდებათ, ეს დაწერილია ცუსიმამდე, როცა ბულიგინის «პროექტი» არც კი იყო გამოქვეყნებული. ლიბერალებიც კი კარგავდნენ მოთმინებას და უნდობლობას გამოთქვამდნენ ლეგალური პრესის ფურცლებზე, ხოლო სოციალ-დემოკრატი ახალისკრელი ლიბერალებზე უფრო გულმინდობილი აღმოჩნდა. ის აცხადებს, რომ საერო კრებას «იწვევენ», და იმდენად ენდობა მეფეს, რომ წინადადებას იძლევა — ეს ჯერ არარსებული საერო კრება (ან, შეიძლება, «სახელმწიფო სათათბირო» ანდა «საკანონმდებლო სათათბირო კრება»?) ჩვენი მოქმედების ცენტრად გავხადოთ. კონფერენციაზე მიღებული რეზოლუციის ავტორებზე უფრო გულახდილი და პირდაპირი ჩვენი თბილისელი ს.-დ. ორივე «ტაქტიკას» (რომლებსაც ის შეუდარებელი გულუბრყვილობით გადმოსცემს) კი არ ათანაბრებს, არამედ აცხადებს, რომ მეორე უფრო «ხელსაყრელიაო». მოუსმინეთ:

«პირველი ტაქტიკა. როგორც იცით, მომავალი რევოლუცია ბურჟუაზიული რევოლუციაა, ე. ი. ის მიმართულია თანამედროვე წყობილების ისეთი შეცვლისაკენ, რომლითაც დაინტერესებულია არა მარტო პროლეტარიატი, არამედ მთელი ბურჟუაზიული საზოგადოებაც. მთავრობას ოპოზიციაში უდგას ყველა კლასი, თვით კაპიტალისტებიც კი. მებრძოლი პროლეტარიატი და მებრძოლი ბურჟუაზია რაოდენადმე ერთად მიდიან და ერთად ესხმიან თავს თვითმპყრობელობას სხვადასხვა მხრიდან. მთავრობა აქ სრულებით განმარტოებულია და მოკლებულია საზოგადოების თანაგრძნობას. ამიტომ მისი მოსპობა სულ ადვილია. რუსეთის მთელი პრო-

ლეტარიატი ჯერ კიდევ არ არის იმდენად შეგნებული და ორგანიზებული, რომ მას მარტო შეეძლოს რევოლუციის მოხდენა. და კიდევაც რომ შეეძლოს ეს, ის მოახდენდა არა ბურჟუაზიულ, არამედ პროლეტარულ (სოციალისტურ) რევოლუციას. მაშასადამე, ჩვენი ინტერესი მოითხოვს, რომ მთავრობა უმოკავშირეებოდ დარჩეს, ვერ შესძლოს ოპოზიციის გათიშვა, ვერ შეიერთოს ბურჟუაზია და ვერ შესძლოს პროლეტარიატის იზოლირება»...

ამრიგად, პროლეტარიატის ინტერესები მოითხოვს, რომ მეფის მთავრობამ ვერ შესძლოს ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის გათიშვა! შეცდომით ხომ არ უწოდებიათ ქართული ორგანოსთვის «სოციალ-დემოკრატი», ნაცვლად იმისა, რომ «ოსვობოჟდენიე» ერქვას? ერთი შეხედეთ, დემოკრატიული რევოლუციის რა უბადლო ფილოსოფიაა! განა აქ თვალნათლივ არ ვხედავთ, რომ საბოლოოდ თავგზააბნეულია საბრალო თბილისელი რეზონიორულ-მაჩანჩალური განმარტებით ცნებისა: «ბურჟუაზიული რევოლუცია»? იგი მსჯელობს დემოკრატიულ გადატრიალებაში პროლეტარიატის შესაძლებელი იზოლირების საკითხზე და ი ვ ი წ ყ ე ბ ს... ივიწყებს წვრილმანს... გლეხობას! პროლეტარიატის შესაძლებელ მოკავშირეთაგან ის იცნობს და ირჩევს ერობელ მემამულეებს და არ იცნობს გლეხებს. და ეს ხდება კავკასიაში! განა მართალი არ ვიყავით, როცა ვთქვით, რომ ახალი «ისკრა» თავისი მსჯელობით მონარქისტულ ბურჟუაზიამდე ეშვება იმის ნაცვლად, რომ თავის მოკავშირეობამდე აამაღლოს რევოლუციური გლეხობა?

«...წინააღმდეგ შემთხვევაში პროლეტარიატის დამარცხება და მთავრობის გამარჯვება გარდუვალია. და აი თვითმპყრობელობაც სწორედ აქეთკენ მიისწრაფის. ის ეჭვს გარეშეა, თავის საერო კრებაში თავის მხარეზე გადაიბირებს თავადაზნაურობის, ერობათა, ქალაქთა, უნივერსიტეტთა და სხვ. ბურჟუაზიულ დაწესებულებათა წარმომადგენლებს. ის შეეცდება მოიმადლიეროს ისინი წვრილმანი დათმობებით და ამრიგად შეირიგოს ისინი. ამგვარად წელგამაგრებული, ის ყველა თავის დარტყმას მიმართავს განმარტოებულად დარჩენილი მუშა ხალხისადმი. ჩვენი მოვალეობაა — ავიცილოთ ასეთი ბედშავი შედეგი. მაგრამ განა შეიძლება ამის მიღწევა პირველი გზით? ვთქვათ, ჩვენ არავითარი ყურადღება არ მივაქციეთ საე-

რო კრებას, თვითონვე დავიწყეთ აჯანყებისათვის მზადება და ერთ მშვენიერ დღეს შეიარაღებულნი გამოვედით ქუჩაში საბრძოლველად. და აი, აქ ჩვენს წინაშე ერთი მტერი კი არა დგას, არამედ ორი: მთავრობა და საერო კრება. იმ დროს, როცა ჩვენ ვემზადებოდით, მათ მოასწრეს მორიგება, ერთმანეთთან შეთანხმება, მათთვის ხელსაყრელი კონსტიტუციის შემუშავება და გაიყვეს ურთიერთშორის ძალაუფლება. მთავრობისათვის ეს პირდაპირ ხელსაყრელი ტაქტიკაა, და ჩვენ მეტად ენერგიულად უნდა უარვყოთ იგი»...

აი ეს გულახდილადაა ნათქვამი! გადაჭრით უნდა უარვყოთ აჯანყების მომზადების «ტაქტიკა», იმიტომ რომ «ამ დროს» მთავრობა შეუთანხმდება ბურჟუაზიას! განა შეიძლება საკვლევით პირწავარდნილი «ეკონომიზმის» ძველ ლიტერატურაში მოიძებნოს ისეთი რამ, რაც უახლოვდებოდეს რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ასე შერცხვენას? მუშებისა და გლეხების ხან აქ, ხან იქ მომხდარი აჯანყებანი და ამბოხებანი — ფაქტია. საერო კრება — ბულიგინის დაპირებაა. და ქალაქ თბილისის «სოციალ-დემოკრატი» წყვეტს: უარვყოთ აჯანყების ტაქტიკა და ვუცადოთ «ზეგავლენის ცენტრს» — საერო კრებას...

«...მეორე ტაქტიკა, პირიქით, ის არის, რომ საერო კრება მოვაქციოთ ჩვენს მეთვალყურეობაში, არ მივცეთ მას საშუალება იმოქმედოს თავის ნებაზე და შეუთანხმდეს მთავრობას *.

ჩვენ მხარს ვუჭერთ საერო კრებას იმდენად, რამდენადაც ის ებრძვის თვითმპყრობელობას, და ვებრძვით მას იმ შემთხვევაში, როცა ის ურიგდება თვითმპყრობელობას. ენერგიული ჩარევითა და ძალით ჩვენ ვთიშავთ დეპუტატებს ერთმანეთისაგან **. რადიკალებს ვიერთებთ, კონსერვატორებს. მთავრობიდან ვაძევებთ და ამგვარად მთელ საერო კრებას რევოლუციურ გზაზე ვაყენებთ. ასეთი ტაქტიკის მეოხებით მთავრობა მუდამ განმარტოებული დარჩება, ოპოზიცია კი ძლიერი, და ამით გაადვილდება დემოკრატიული წყობილების დამყარება»

---

* რა საშუალება არსებობს, რომ საერო კრებას ნება წაერთვას? საგანგებო ლაკმუსის ქაღალდი ხომ არა?

** ყოვლად წმინდანნო! აი «გაღრმავებული» ტაქტიკა! ქუჩაში საბრძოლველად ძალები არ არის, «დეპუტატების გათიშვა» კი «ძალით» შეიძლება. ყური მიგდეთ, თბილისელო ამხანაგო, სიცრუე შეიძლება, მაგრამ საზღვარი ხომ უნდა იცოდეთ...

დიახ, დიახ! დაე ილაპარაკონ ახლა, რომ ჩვენ ვაზვიადებთ ახალისკრელების შებრუნებას ეკონომიზმის უაღრესად ვულგარული სახეობისაკენ. ეს ხომ პირდაპირ წააგავს ბუზების საწინააღმდეგო ცნობილ ფხვნილს: ბუზი უნდა დაიჭირო, ფხვნილი დააყარო, და სულსაც განუტევებს. საერო კრების დეპუტატების ძალით გათიშვა, «მთავრობისაგან კონსერვატორების ჩამოშორება» — და მთელი საერო კრება რევოლუციურ გზაზე დადგება... ყოველგვარი «იაკობინური» შეიარაღებული აჯანყების მოუხდენლად, ისე, კეთილშობილურად, თითქმის პარლამენტურად, საერო კრების წევრებზე «ზედმოქმედებით».

საბრალო რუსეთი! მასზე ლაპარაკობდნენ, რომ ის ყოველთვის მოდაგასულ და ევროპის მიერ გადაგდებულ ქუდებს ატარებსო. პარლამენტი ჯერ კიდევ არა გვაქვს, მას ჯერ ბულიგინიც კი არ შეგვპირებია, პარლამენტური კრეტინიზმი[15] კი — რამდენიც გნებავთ.

«...როგორ უნდა მოხდეს ეს ჩარევა? უწინარეს ყოვლისა ჩვენ მოვითხოვთ, რომ საერო კრება მოწვეულ იქნას საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლების გზით, ფარული კენჭისყრით. არჩევნების ასეთი წესის გამოცხადებასთან * ერთად დაკანონებულ უნდა იქნას ** წინასაარჩევნო აგიტაციის სრული თავისუფლება, ე. ი. კრებების, სიტყვის, პრესის თავისუფლება, ამომრჩეველთა და ასარჩევთა ხელშეუხებლობა და ყველა პოლიტიკური დამნაშავის განთავისუფლება. თვით არჩევნები რაც შეიძლება გვიან უნდა დაინიშნოს, რათა საკმაო დრო დაგვრჩეს ხალხისთვის გასაცნობად და მის მოსამზადებლად. და რადგან საერო კრების მოწვევის წესების შემუშავება მინდობილი აქვს შინაგან საქმეთა მინისტრის ბულიგინის კომისიას, ჩვენ ზეგავლენა უნდა მოვახდინოთ ამ კომისიაზედაც და მის წევრებზედაც ***. თუ ბულიგინის კომისია უარს იტყვის ჩვენი მოთხოვნების**** დაკმაყოფილებაზე და დეპუტატების არჩევის უფლე-

---

* «ისკრაში»?

** ნიკოლოზის მიერ?

*** აი რას ნიშნავს ტაქტიკა: «მთავრობისაგან კონსერვატორების ჩამოშორება»!

**** ეს ყოვლად შეუძლებელია ჩვენი მხრივ ასეთი სწორი და ღრმააზროვანი ტაქტიკის დროს!

ბას მიანიჭებს მარტო შეძლებულთ, მაშინ ჩვენ უნდა ჩავერიოთ ამ არჩევნებში და რევოლუციური გზით ვაიძულოთ ამომრჩევლები აირჩიონ მოწინავე კანდიდატები და საერო კრებაზე მოვითხოვოთ დამფუძნებელი კრება. ბოლოს, ყოველი ღონით: დემონსტრაციებით, გაფიცვებით და, თუ ეს საჭირო იქნება, აჯანყებით ვაიძულოთ საერო კრება მოიწვიოს დამფუძნებელი კრება ანდა ასეთად თავისი თავი გამოაცხადოს. დამფუძნებელი კრების დამცველი უნდა იყოს შეიარაღებული პროლეტარიატი, და ორივენი ერთად* გასწევენ დემოკრატიული რესპუბლიკისაკენ.

ასეთია სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკა და მხოლოდ ის უზრუნველყოფს ჩვენს გამარჯვებას».

ნუ იფიქრებს მკითხველი, რომ მთელი ეს გაუგონარი აბდაუბდა კალმის უბრალო ვარჯიშია რომელიმე არაპასუხისმგებელი და არაგავლენიანი ახალისკრელისა. არა, ეს ნათქვამია ახალისკრელების მთელი კომიტეტის, თბილისის კომიტეტის ორგანოში. ეგ კიდევ არაფერი. ამ აბდაუბდას პირდაპირ იწონებს «ისკრა», რომლის მეასე ნომერში ამ «სოციალ-დემოკრატზე» ვკითხულობთ:

«ცოცხლად და ნიჭიერადაა რედაქტირებული პირველი ნომერი. ჩანს რედაქტორ-მწერლის უნარიანი ხელი... შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ გაზეთი ბრწყინვალედ შეასრულებს თავის დასახულ ამოცანას».

დიახ! თუ ეს ამოცანა ის არის, რომ ყველას და თვითეულს თვალნათლივ უჩვენოს ახალისკრელობის სრული იდეური გახრწნა, მაშინ ეს მართლაც «ბრწყინვალედ» არის შესრულებული. ვერავინ შესძლებდა უფრო «ცოცხლად, ნიჭიერად და უნარიანად» გამოეხატა ახალისკრელების დაკნინება ლიბერალურ-ბურჟუაზიულ ოპორტუნიზმამდე.

8. ოსვობოჟდენიელობა და ახალისკრელობა

ახლა გადავიდეთ ახალისკრელობის პოლიტიკური მნიშვნელობის მეორე თვალსაჩინო დადასტურებაზე.

* შეიარაღებული პროლეტარიატიც და «მთავრობას ჩამოშორებული» კონსერვატორებიც?

შესანიშნავ, ჩინებულ, უაღრესად საგულისხმო სტატიაში «როგორ ვიპოვოთ თავი» («ოსვობოჟდენიე» № 71) ბ-ნი სტრუვე ილაშქრებს ჩვენი უკიდურესი პარტიების «პროგრამული რევოლუციონიზმის» წინააღმდეგ. ბ-ნი სტრუვე განსაკუთრებით პირადად მე მემდურის*. მე კი, მეტი რომ არ შეიძლება, ძალიან მადლობელი ვარ ბ-ნი სტრუვესი: ახალისკრელთა აღორძინების გზაზე მდგარ ეკონომიზმთან და «სოციალისტ-რევოლუციონერების» სრულ უპრინციპობასთან

* «ბატონთ ლენინისა და მისი ამხანაგების რევოლუციონიზმთან შედარებით, ბებელისა და თვით კაუტსკის დასავლეთევროპული სოციალ-დემოკრატიის რევოლუციონიზმი წარმოადგენს ოპორტუნიზმს, მაგრამ ამ, უკვე შერბილებული, რევოლუციონიზმის საფუძვლებიც კი ჩამორეცხილი და წალეკილია ისტორიის მიერ». გამოლაშქრება მეტად მრისხანეა. მხოლოდ ტყუილად ჰგონია ბ-ნ სტრუვეს, რომ მე, როგორც მკვდარს, შეუძლია ყველაფერი დამაბრალოს. მე შემიძლია გამოვიწვიო ბ-ნი სტრუვე, და ის ვერასოდეს ვერ შესძლებს პასუხის გაცემას. სად და როდის ვუწოდებდი მე ბებელისა და კაუტსკის რევოლუციონიზმს «ოპორტუნიზმს»! სად და როდის ვჩემულობდი რომელიმე საგანგებო მიმართულების შექმნას საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიაში, განსხვავებულს ბებელისა და კაუტსკის მიმართულებისაგან! სად და როდის იჩენდა თავს უთანხმოება, ერთი მხრივ, ჩემსა და, მეორე მხრივ, ბებელსა და კაუტსკის შორის, — უთანხმოება, რაც თავისი სერიოზულობით თუნდაც რაოდენამდე უახლოვდებოდეს ბებელისა და კაუტსკის უთანხმოებას, მაგალითად, აგრარულ საკითხზე ბრესლავლში? [16] დაე სცადოს ბ-მა სტრუვემ ამ სამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

მკითხველებს კი ჩვენ ვეტყვით. ლიბერალური ბურჟუაზია ყველგან და ყოველთვის მიმართავს ფანდს: დაარწმუნოს ამა თუ იმ ქვეყნის თანამოაზრენი, რომ ამ ქვეყნის სოციალ-დემოკრატები — მეტად უგუნურნი არიან. ხოლო მათი ამხანაგები მეზობელ სახელმწიფოში — «ჭკვიანი ბიჭები». გერმანიის ბურჟუაზიას ასჯერ წამოუყენებია ბებელისა და კაუტსკის ჭკუის სასწავლებლად საფრანგეთის სოციალისტი «ჭკვიანი ბიჭები». საფრანგეთის ბურჟუაზია ამას წინათ საფრანგეთის სოციალისტების ჭკუის სასწავლებლად ასახელებდა «ჭკვიან ბიჭს» ბებელს. ძველი ფანდია, ბ-ნო სტრუვე! მხოლოდ ბავშვებსა და უმეცრებს თუ წამოაგებთ თქვენ ბაგ ანკესზე. საერთაშორისო რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის სრული სოლიდარობა პროგრამისა და ტაქტიკის ყველა დიდ საკითხში სრულიად უდავო ფაქტია.

ბრძოლაში უკეთეს მოკავშირეს მე ვერც ვისურვებდი. თუ როგორ დაამტკიცეს პრაქტიკულად ბ-მა სტრუვემ და «ოსვობოჟდენიემ» მთელი რეაქციულობა მარქსიზმის «შესწორებებისა», რომლებიც გაკეთებულია სოციალისტ-რევოლუციონერების პროგრამის პროექტში, ამის შესახებ როგორმე სხვა დროს გვექნება ლაპარაკი. თუ რა ერთგულ, პატიოსან და ნამდვილ სამსახურს მიწევდა მე ბ-ნი სტრუვე ყოველთვის, როცა ის პრინციპულად იწონებდა ახალისკრელებს, ამის შესახებ ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს * და კიდევ ვიტყვით ახლა.

ბ-ნ სტრუვეს სტატიაში არის მთელი რიგი მეტად საინტერესო განცხადებანი, რომლებიც ჩვენ აქ მხოლოდ გაკვრით შეგვიძლია აღვნიშნოთ. ის აპირებს «რუსეთის დემოკრატიის შექმნას არა კლასთა ბრძოლაზე, არამედ კლასთა თანამშრომლობაზე დაყრდნობით», ამასთანავე «სოციალურად პრივილეგიური ინტელიგენცია» (მსგავსად «კულტურული თავადაზნაურობისა», რომლის წინაშე ბ-ნი სტრუვე რევერანსს აკეთებს ჭეშმარიტად თავაზიანი... ლაქიის მოხდენილობით) თან მოიტანს «თავისი სოციალური მდგომარეობის გავლენას» (ფულის ქისის გავლენას) ამ «უკლასო» პარტიაში. ბ-ნი სტრუვე სურვილს გამოთქვამს გააცნოს ახალგაზრდობას

---

* მოვაგონებთ მკითხველს, რომ სტატიას «რა არ ვაკეთოთ?» («ისკრა» № 52) «ოსვობოჟდენიე» დიდი ხმაურითა და ქუხილით მიესალმა, როგორც «ღირსშესანიშნავ შებრუნებას» დათმობისაკენ ოპორტუნისტების მიმართ. ახალისკრელობის პრინციპულ ტენდენციებს «ოსვობოჟდენიე» სპეციალურად იწონებდა შენიშვნაში რუსეთის სოციალ-დემოკრატების გათიშვის შესახებ. ტროცკის ბროშურის «ჩვენი პოლიტიკური ამოცანების» გამო «ოსვობოჟდენიე» აღნიშნავდა ამ ავტორის იდეების ერთგვარობას იმასთან, რასაც ერთ დროს წერდნენ და ლაპარაკობდნენ რაბოჩეედელოელები კრიჩევსკი, მარტინოვი, აკიმოვი (იხ. ფურცელი «თავაზიანი ლიბერალი», «ვპერიოდის» გამოც.). მარტინოვის ბროშურას ორი დიქტატურის შესახებ «ოსვობოჟდენიე» მიესალმა (შად. შენიშვნა «ვპერიოდში» № 9). ბოლოს, სტაროვერის დაგვიანებულმა ჩივილმა ძველი «ისკრის» ძველი ლოზუნგის გამო: «ჯერ გამიჯვნა, შემდეგ გაერთიანება» «ოსვობოჟდენიეს» განსაკუთრებული თანაგრძნობა გამოიწვია.

უვარგისობა «რადიკალური ტრაფარეტისა იმის შესახებ, რომ ბურჟუაზია შეშინდა და გაყიდა პროლეტარიატი და თავისუფლების საქმე» (სულითა და გულით მივესალმებით ამ სურვილს. ამ მარქსისტულ «ტრაფარეტს» ისე ვერაფერი დაამტკიცებს, როგორც ბ-ნ სტრუვეს ომი მასთან. გთხოვთ, ბ-ნო სტრუვე, შორს ნუ გადადებთ თქვენს საუცხოო გეგმას!).

ჩვენი თემისათვის მნიშვნელობა აქვს აღვნიშნოთ, თუ რა პრაქტიკულ ლოზუნგებს ებრძვის ამჟამად ასეთი პოლიტიკურად ფხიზელი და ამინდის ოდნავ შეცვლის მგრძნობი წარმომადგენელი რუსეთის ბურჟუაზიისა. ჯერ-ერთი, რესპუბლიკანიზმის ლოზუნგს. ბ-ნი სტრუვე მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ ეს ლოზუნგი «გაუგებარი და უცხოა ხალხის მასისათვის» (მას ავიწყდება დაუმატოს: გასაგებია, მაგრამ ხელსაყრელი არ არის ბურჟუაზიისთვის!). ჩვენ ვისურვებდით გვენახა, რა პასუხს მიიღებდა ბ-ნი სტრუვე მუშებისაგან ჩვენს წრეებსა და ჩვენს მიტინგებზე! ან იქნებ მუშები ხალხი არ არის? გლეხები? მათ, ბ-ნ სტრუვეს სიტყვით, «გულუბრყვილო რესპუბლიკანიზმი» აქვთ («მეფის გაგდება»),— მაგრამ ლიბერალურ ბურჟუაზიას სწამს, რომ გულუბრყვილო რესპუბლიკანიზმს შეცვლის არა შეგნებული რესპუბლიკანიზმი, არამედ შეგნებული მონარქიზმი! Ça dépend, ბ-ნო სტრუვე, ეს კიდევ სხვადასხვა გარემოებაზეა დამოკიდებული. ცარიზმსაც და ბურჟუაზიასაც არ შეუძლიათ წინააღმდეგობა არ გაუწიონ გლეხების მდგომარეობის ძირფესვიანად გაუმჯობესებას მემამულეთა მიწების ხარჯზე, მუშათა კლასს კი არ შეუძლია ამაში დახმარება არ აღმოუჩინოს გლეხობას.

მეორეც, ბ-ნი სტრუვე გვარწმუნებს, რომ «სამოქალაქო ომში თავდამსხმელი ყოველთვის მტყუანი აღმოჩნდებაო». ეს იდეა უშუალოდ უახლოვდება ახალისკრელობის ზემონაჩვენებ ტენდენციებს. ჩვენ არ ვიტყვით, რა თქმა უნდა, იმას, რომ სამოქალაქო ომში ყოველთვის ხელსაყრელი იყოს თავდასხმა; არა, ზოგჯერ თავდაცვითი ტაქტიკა დროებით სავალდებულოა. მაგრამ ისეთი დებულების წამოყენება, რო-

მელიც ბ-მა სტრუვემ მოგვცა 1905 წლის რუსეთისათვის გამოსაყენებლად, ნიშნავს სწორედ «რადიკალური ტრაფარეტის» ნამცეცის ჩვენებას («ბურჟუაზიას შიში იტანს და ყიდის თავისუფლების საქმეს»). ვისაც ახლა არ სურს თავს დაესხას თვითმპყრობელობას, რეაქციას, ვინც არ ემზადება ამ თავდასხმისათვის, ვინც ამას არ ქადაგებს, — ის ამაოდ იჩემებს რევოლუციის მომხრის სახელს.

ბ-ნი სტრუვე გმობს ლოზუნგებს: «კონსპირაცია» და «ამბოხი» (ეს «მინიატურული აჯანყებაა»). ბ-ნ სტრუვეს სძაგს ერთიცა და მეორეც — «მასებთან მისვლის» თვალსაზრისით! ჩვენ შევეკითხებით ბ-ნ სტრუვეს: მიგვითითებს თუ არა ის ამბოხის ქადაგებას, მაგ., მისი შეხედულებით, უზომო რევოლუციონარისტის ისეთს ნაწარმოებში, როგორიცაა «რა ვაკეთოთ?». ხოლო «კონსპირაციის» მხრივ განა დიდი განსხვავებაა, მაგ., ჩვენსა და ბ-ნ სტრუვეს შორის? განა ორივენი «არალეგალურ» გაზეთში არ ვმუშაობთ, «კონსპირაციულად» რომ ჩამოაქვთ რუსეთში და სამსახურს რომ უწევს «განთავისუფლების კავშირს» ან რსდმპ «ფარულ» ჯგუფებს? ჩვენი მუშათა მიტინგები ხშირად «კონსპირაციულია», — ეს ცოდვა გვაქვს. ბატონ ოსვობოჟდენიელების კრებები რაღა არის? საყოყოჩო რა გაქვთ, ბ-ნო სტრუვე, საძაგელი კონსპირაციის საძაგელ მომხრეებთან?

მუშებისათვის იარაღის მიწოდება, მართალია, უდიდეს კონსპირაციას მოითხოვს. აი აქ უკვე ბ-ნი სტრუვე უფრო პირდაპირია. მოუსმინეთ: «რაც შეეხება შეიარაღებულ აჯანყებას ან რევოლუციას ტექნიკური აზრით, მხოლოდ დემოკრატიული პროგრამის მასობრივ პროპაგანდას შეუძლია შექმნას საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების სოციალურ-ფსიქიკური პირობები. ამგვარად, იმ თვალსაზრისითაც კი, რომელსაც მე არ ვიზიარებ, რომელსაც შეიარაღებული აჯანყება განთავისუფლებისთვის თანამედროვე ბრძოლის გ ა რ დ უ კ ა ლ დაგვირგვინებად მიაჩნია, — ყველაზე ძირითადი, ყველაზე საჭირო საქმეა — მასები განიმსჭვალონ დემოკრატიული გარდაქმნის იდეებით».

ბ-ნი სტრუვე ცდილობს გვერდი აუაროს საკითხს. ის ლაპარაკობს აჯანყების გარდუვალობაზე იმის ნაცვლად, რომ ილაპარაკოს მის აუცილებელ საჭიროებაზე რევოლუციის გასამარჯვებლად. აჯანყება, მოუმზადებელი, სტიქიური, დაქსაქსული, უკვე დაიწყო. იმის უეჭველი თავდებობა, რომ ის გადაიქცევა მთლიან და ერთიან შეიარაღებულ სახალხო აჯანყებად, არავის არ შეუძლია, რადგან ეს დამოკიდებულია რევოლუციურ ძალთა მდგომარეობაზედაც (რომლებიც სავსებით აიწონება მხოლოდ თვით ბრძოლაში), მთავრობისა და ბურჟუაზიის საქციელზედაც და მთელ რიგ სხვა გარემობებზედაც, რომელთა ზუსტად გათვალისწინება შეუძლებელია. გარდუვალობაზე, კონკრეტულ მოვლენაში იმ აბსოლუტური დარწმუნების აზრით, რომლისკენაც უქცევს სიტყვას ბ-ნი სტრუვე, ლაპარაკიც ზედმეტია. ლაპარაკი საჭიროა, თუ თქვენ გსურთ იყოთ რევოლუციის მომხრე, იმაზე, აუცილებლად საჭიროა თუ არა აჯანყება რევოლუციის გამარჯვებისათვის, საჭიროა თუ არა მისი აქტიურად წამოყენება, ქადაგება, მისი დაუყოვნებლივ და ენერგიულად მომზადება. ბ-ნ სტრუვეს არ შეიძლება არ ესმოდეს ეს განსხვავება: ის ხომ, მაგ., დემოკრატისთვის უდავო საკითხს საყოველთაო საარჩევნო უფლების საჭიროების შესახებ არ ფარავს პოლიტიკური მოღვაწისათვის სადავო და არასაარსებო საკითხით მიმდინარე რევოლუციის განმავლობაში მისი მოპოვების გარდუვალობის შესახებ. ბ-ნი სტრუვე თავს არიდებს აჯანყების საჭიროების საკითხს და ამით ლიბერალური ბურჟუაზიის პოლიტიკური პოზიციის უღრმეს ფარულ აზრს გამოხატავს. ბურჟუაზიას, ჯერ-ერთი, უმჯობესად მიაჩნია მოურიგდეს თვითმპყრობელობას, ვიდრე გასრისოს იგი; ბურჟუაზია ყოველ შემთხვევაში შეიარაღებულ ბრძოლას აბრალებს მუშებს (ეს — მეორე). აი რა რეალური მნიშვნელობა აქვს ბ-ნ სტრუვეს თავდაძვრენას. აი რატომ იხევს ის უკან აჯანყების საჭიროების საკითხიდან მისი «სოციალურ-ფსიქიკური» პირობების, წინასწარი «პროპაგანდის» საკითხისაკენ. სწორედ ისე, როგორც ბურჟუაზიული მოლაყბენი ფრანკფურტის პარ-

ლამენტში 1848 წელს გართული იყვნენ რეზოლუციების, დეკლარაციების, გადაწყვეტილებათა შეთხზვით, «მასობრივი პროპაგანდით» და «სოციალურ-ფსიქიკური პირობების» მომზადებით ისეთ დროს, როცა საქმე ეხებოდა მთავრობის შეიარაღებული ძალების უკუგდებას, როცა მოძრაობამ საქმე შეიარაღებული ბრძოლის «საჭიროებამდე მიიყვანა», როცა მარტო სიტყვიერი ზედმოქმედება (რაც ასწილ საჭიროა მოსამზადებელ პირობებში) გადაიქცა უხამს, ბურჟუაზიულ უმოქმედობად და სილაჩრედ, — სწორედ ასევე ბ-ნი სტრუვეც თავს იძვრენს აჯანყების საკითხისაგან და ფ რ ა ზ ე ბ ს ეფარება. ბ-ნი სტრუვე თვალსაჩინოდ გვიჩვენებს იმას, რასაც დაჟინებით ვერ ხედავს ბევრი სოციალ-დემოკრატი, სახელდობრ: რევოლუციური მომენტი სწორედ იმით განსხვავდება ჩვეულებრივი, ყოველდღიური, მოსამზადებელი ისტორიული მომენტებისაგან, რომ მასების განწყობილება, აღელვება, დარწმუნება უნდა გამოვლინდეს და ვლინდება მ ო ქ მ ე დ ე ბ ა შ ი.

ვულგარულ რევოლუციონარიზმს არ ესმის ის, რომ სიტყვაც საქმეა; ეს დებულება უდავოა ს ა ე რ თ ო დ ისტორიის მიმართ ან ისტორიის იმ ეპოქების მიმართ, როცა მასების აშკარა პოლიტიკური გამოსვლა არ არის, ხოლო მას ვერავითარი პუტჩი ვერ შეცვლის და ხელოვნურად ვერ გამოიწვევს. რევოლუციონერთა მაჩანჩალობას არ ესმის ის, რომ, როცა რევოლუციური მომენტი დაიწყო, როცა ძველი «ზედნაშენი» თავიდან ბოლომდე გაიბზარა, როცა აშკარა პოლიტიკური გამოსვლა იმ კლასებისა და მასებისა, რომლებიც ახალ ზედნაშენს ქმნიან, ფაქტად იქცა, როცა სამოქალაქო ომი დაიწყო, — მაშინ ძ ვ ე ლ ე ბ უ რ ა დ «სიტყვით» დაკმაყოფილება, «საქმეზე» გადასვლის პ ი რ დ ა პ ი რ ი ლ ო ზ უ ნ გ ი ს წამოუყენებლად, მაშინ საქმეზე უარისთქმა «ფსიქიკური პირობებისა» და საერთოდ «პროპაგანდის» დამოწმებით, — ეს არის უსიცოცხლობა, გაყინულობა, რეზონიორობა, ანდა რევოლუციის გაცემა და მისდამი ღალატი. დემოკრატიული ბურჟუაზიის ფრანკფურტელი მოლაყბენი — ასეთი გამცემლობისა ან-

და ასეთი რეზონიორული სიყეყეჩის დაუვიწყარი ისტორიული ნიმუშია.

გსურთ თუ არა ვულგარულ რევოლუციონარიზმსა და რევოლუციონერთა მაჩანჩალობას შორის ეს განსხვავება განგიმარტოთ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ისტორიით? მოგცემთ ასეთ განმარტებას. მოიგონეთ 1901 — 1902 წლები, რომელთა შემდეგ ასე ცოტა ხანია გასული და რომლებიც ახლა უკვე რაღაც შორეულ გადმოცემად გვეჩვენება. დაიწყო დემონსტრაციები. ვულგარულმა რევოლუციონარიზმმა მორთო ყვირილი «იერიშზე» («რაბოჩეე დელო»[17]), უშვებდნენ «სისხლიან ფურცლებს» (თუ მეხსიერება არ მღალატობს, ბერლინის წარმოშობისას), გაზეთის საშუალებით თავს ესხმოდნენ სრულიად რუსეთის აგიტაციის იდეის «ლიტერატურულობას» და კაბინეტურ ხასიათს (ნადეჟდინი)[18]. მაშინ რევოლუციონერთა მაჩანჩალობა გამოდიოდა, პირიქით, იმის ქადაგებით, რომ «ეკონომიური ბრძოლა ს ა უ კ ე თ ე ს ო საშუალებაა პოლიტიკური აგიტაციისთვის». როგორ იქცეოდა რევოლუციური სოციალ-დემოკრატია? ის თავს ესხმოდა ორივე ამ მიმართულებას. ის გმობდა წუთიერ აგზნებასა და ყვირილს იერიშის შესახებ, რადგან ყველანი ნათლად ხედავდნენ ან უნდა დაენახათ, რომ აშკარა მასობრივი გამოსვლა ხვალინდელი დღის საქმეა. ის გმობდა მაჩანჩალობას და პირდაპირ აყენებდა ლოზუნგს თ ვ ი თ საყოველთაო სახალხო შეიარაღებული აჯანყების შესახებაც კი, არა პირდაპირი მოწოდების აზრით («ამბოხისადმი» მოწოდებას ბ-ნი სტრუვე იმ ხანებში ჩვენ ვერ გვიპოვიდა), არამედ ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი დასკვნის აზრით, «პროპაგანდის» აზრით (რომლის შესახებ ბ-ნ სტრუვეს მხოლოდ ახლა მოაგონდა, — ის ყოველთვის იგვიანებს რამდენიმე წლით, ჩვენი პატივცემული ბ-ნი სტრუვე), სწორედ იმ «სოციალურ-ფსიქიკური პირობების» მომზადების აზრით, რომელთა შესახებაც ახლა დაბნეული, ჩარჩული ბურჟუაზიის წარმომადგენლები «ნაღვლიანად და უადგილოდ» ლაყბობენ. მ ა შ ი ნ პროპაგანდასა და აგიტაციას, აგიტაციასა და პროპაგანდას მართლაც აყენებდა პირველ ად-

გილზე საქმეთა ობიექტური მდგომარეობა. მ ა შ ი ნ აჯანყების მომზადებაში მუშაობის გასამახვილებლად შეიძლებოდა წამოგვეყენებინა (და წამოყენებულიც იყო «რა ვაკეთოთ?»-ში) მუშაობა სრულიად რუსეთის პოლიტიკურ გაზეთზე, რომ_ლის ყოველკვირეულად გამოცემა იდეალად გვეჩვენებოდა. მ ა შ ი ნ ლოზუნგები: მასობრივი აგიტაცია უშუალო შეიარაღებულ გამოსვლათა ნ ა ც ვ ლ ა დ; აჯანყების სოციალურ-ფსიქიკური პირობების მომზადება წუთიერი აგზნების ნ ა ც ვ ლ ა დ — რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ერთადერთი სწორი ლოზუნგები იყო. ა ხ ლ ა ამ ლოზუნგებს წინ გაუსწრეს ამბებმა, მოძრაობა წინ წავიდა, ისინი იქცნენ ხარახურად, ძველმანად, რომელიც მხოლოდ იმისთვის თუ გამოდგება, რომ ოსვობოჟდენიელური პირმოთნეობა და ახალისკრული მაჩანჩალობა დაფაროს!

ანდა, შეიძლება, მე ვცდები? შეიძლება, რევოლუცია ჯერ კიდევ არ დაწყებულა? კლასების აშკარა პოლიტიკური გამოსვლის მომენტი ჯერ კიდევ არ დამდგარა? სამოქალაქო ომი ჯერ კიდევ არ არის, და იარაღის კრიტიკა ახლავე არ უნდა წარმოადგენდეს კრიტიკის იარაღის ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ და საკალდებულო მონაცვლეს, მემკვიდრეს, ანდერძის ამსრულებელს, დამამთავრებელს?

მიმოიხედეთ გარშემო, გამოჰყავით თავი კაბინეტიდან ქუჩაში, რათა პასუხი გასცეთ ამ კითხვებს. განა თვით მთავრობამ არ დაიწყო უკვე სამოქალაქო ომი, როცა მასობრივად ხვრეტს ყველგან მშვიდობიან და უიარაღო მოქალაქეებს? განა შეიარაღებული შავი რაზმები არ გამოდიან თვითმპყრობელობის «არგუმენტად»? განა ბურჟუაზიამ — ბურჟუაზიამაც კი — არ შეიგნო სამოქალაქო მილიციის აუცილებელი საჭიროება? განა იგივე ბ-ნი სტრუვე, იდეალურად ზომიერი და წესიერი ბ-ნი სტრუვე, არ ლაპარაკობს (ვაგლახ, რომ მხოლოდ ლაპარაკობს, რათა თავიდან მოიშოროს!) იმის შესახებ, რომ «რევოლუციურ მოქმედებათა აშკარა ხასიათი» (აი როგორნი ვართ ჩვენ დღეს!) «ამჟამად ერთ-ერთი უმნიშვნელო-

ვანესი პირობაა ხალხის მასებზე აღმზრდელობითი ზეგავლენისა»?

ვისაც თვალნი აქვს ხედვად, მას არ შეუძლია დაეჭვდეს იმაში, თუ როგორ უნდა დააყენონ ახლა რევოლუციის მომხრეებმა შეიარაღებული აჯანყების საკითხი. მაშ შეხედეთ ამ საკითხის დაყენების ს ა მ სახეს, მოცემულს თავისუფალი პრესის ორგანოებში, რომელთაც შეუძლიათ რაოდენადმე გავლენა მოახდინონ მ ა ს ე ბ ზ ე.

საკითხის პირველი დაყენება. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III ყრილობის რეზოლუცია*.

---

* ი ი მისი სრული ტექსტი:

«იღებს რა მხედველობაში:

1) რომ პროლეტარიატი, როგორც თავისი მდგომარეობით ყველაზე მოწინავე და ერთადერთი თანამიმდევარი რევოლუციური კლასი, მოწოდებულია შეასრულოს ხელმძღვანელი როლი რუსეთის საერთო-დემოკრატიულ რევოლუციურ მოძრაობაში;

2) რომ ამ მოძრაობამ ამჟამად უკვე მიგვიყვანა შეიარაღებული აჯანყების აუცილებლობამდე;

3) რომ პროლეტარიატი აუცილებლად მიიღებს ამ აჯანყებაში მეტად ენერგიულ მონაწილეობას, რაც განსაზღვრავს რუსეთის რევოლუციის ბედს;

4) რომ ხელმძღვანელი როლის შესრულებას ამ რევოლუციაში პროლეტარიატი შესძლებს მხოლოდ მაშინ, თუ შეკავშირებული იქნება ერთიან და დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალად სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დროშით, პარტიისა, რომელიც ხელმძღვანელობს მის ბრძოლას არა მარტო იდეურად, არამედ პრაქტიკულადაც;

5) რომ მხოლოდ ასეთი როლის შესრულება უზრუნველყოფს პროლეტარიატისთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელ პირობებს სოციალიზმის განსაზორციელებლად და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რუსეთის შეძლებული კლასების წინააღმდეგ საბრძოლველად,—

რსდმპ მესამე ყრილობა აღიარებს, რომ ამოცანა პროლეტარიატის დარაზმვისა თვითმპყრობელობასთან უშუალო ბრძოლისათვის შეიარაღებული აჯანყების გზით დღევანდელ რევოლუციურ მომენტში პარტიის ერთ-ერთ მთავარ და გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

ამიტომ ყრილობა ყველა პარტიულ ორგანიზაციას ავალებს:

ა) გაურკვიონ პროლეტარიატს პროპაგანდისა და აგიტაციის გზით მომავალი შეიარაღებული აჯანყების არა მარტო პოლიტიკური მნიშვნელობა, არამედ მისი პრაქტიკულ-ორგანიზაციული მხარეც.

აღიარებული და განცხადებულია ყველას გასაგონად, რომ საერთო-დემოკრატიულმა რევოლუციურმა მოძრაობამ უკვე მიგვიყვანა შეიარაღებული აჯანყების აუცილებელ საჭიროებამდე. პროლეტარიატის ორგანიზაცია აჯანყებისათვის დასმულია დღის წესრიგში, როგორც პარტიის ერთ-ერთი არსებითი, მთავარი და საჭირო ამოცანა. დავალებულია — მიღებულ იქნას უაღრესად ენერგიული ზომები პროლეტარიატის შესაიარაღებლად და აჯანყების უშუალო ხელმძღვანელობის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად.

საკითხის მეორე დაყენება. პრინციპული სტატია «ოსვობოჟდენიეში» «რუსი კონსტიტუციონალისტების ბელადისა» (ასე უწოდა ამას წინათ ბ-ნ სტრუვეს ევროპის ბურჟუაზიის ისეთმა გავლენიანმა ორგანომ, როგორიცაა «ფრანკფურტის გაზეთი»), ანუ რუსეთის პროგრესული ბურჟუაზიის ბელადისა. აჯანყების საჭიროების აზრს ის არ იზიარებს. კონსპირაცია და ამბოხი — უგუნური რევოლუციონიზმის სპეციფიკური ხერხებია. რესპუბლიკანიზმი — გაბრუების მეთოდია. შეიარაღებული აჯანყება — ეს, ასე ვთქვათ, მხოლოდ ტექნიკური საკითხია, მაშინ როდესაც «ყველაზე ძირითადი, ყველაზე საჭირო საქმე» — ესაა მასობრივი პროპაგანდა და სოციალურ-ფსიქიკურ პირობათა მომზადება.

საკითხის მესამე დაყენება. ახალისკრული კონფერენციის რეზოლუცია. ჩვენი ამოცანაა — აჯანყების მომზადება. გეგმაშეწონილი აჯანყების შესაძლებლობა გამორიცხულია. აჯანყებისათვის ხელსაყრელი პირობები იქმნება მთავრობის დეზორგანიზაციით, ჩვენი აგიტაციით, ჩვენი ორგანიზაციით.

ბ) ამ პროპაგანდისა და აგიტაციის დროს განმარტონ მასობრივი პოლიტიკური გაფიცვების როლი, რომელთაც დასაწყისში და თვით აჯანყების მსვლელობაში შეუძლიათ ჰქონდეთ დიდი მნიშვნელობა;

გ) მიიღონ უაღრესად ენერგიული ზომები პროლეტარიატის შესაიარაღებლად, აგრეთვე შეიარაღებული აჯანყების გეგმის შესამუშავებლად და მისი უშუალო ხელმძღვანელობის გასაწევად, რისთვისაც შეიქმნას, საჭიროების მიხედვით, განსაკუთრებული ჯგუფები პარტიული მუშაკებისაგან». (ავტორის შენიშვნა 1907 წლის გამოცემისათვის. რ ე დ.)

მხოლოდ მაშინ «შეიძლება მოიპოვოს ცოტად თუ ბევრად სერიოზული მნიშვნელობა ტექნიკურ-საბრძოლო მზადებამ».

მეტი არაფერი? მეტი არაფერი. გახდა თუ არა აჯანყება აუცილებლად საჭირო, — ეს პროლეტარიატის ახალისკრელმა ხელმძღვანელებმა ჯერ კიდევ არ იციან. გადაუდებელია თუ არა უშუალო ბრძოლისათვის პროლეტარიატის დარაზმვის ამოცანა, — მათთვის ჯერ კიდევ ნათელი არ არის. საჭირო არ არის მოწოდება უაღრესად ენერგიული ზომების მისაღებად, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია (1905 წელს, და არა 1902 წელს) ზოგადად განმარტება, თუ რა პირობებში «შეუძლიათ» ამ ზომებს მოიპოვონ «ცოტად თუ ბევრად სერიოზული» მნიშვნელობა...

ხედავთ თუ არა ახლა თქვენ, ამხანაგო ახალისკრელებო, სად მიგიყვანათ თქვენმა შებრუნებამ მარტინოვობისაკენ? გესმით თუ არა, რომ თქვენი პოლიტიკური ფილოსოფია ოსკობოჟდენიელური ფილოსოფიის გადამღერება აღმოჩნდა? — რომ თქვენ აღმოჩნდით (თქვენდა უნებლიეთ და თქვენდა შეუგნებლად) მონარქისტული ბურჟუაზიის კუდში? ნათელია თუ არა ახლა თქვენთვის, რომ, როცა ბევრჯერ გადაღეჭილს იზეპირებდით და რეზონიორობაში ვარჯიშობდით, თქვენ გამოგეპარათ ის გარემოება, რომ — პეტრე სტრუვეს დაუვიწყარი სტატიის დაუვიწყარი სიტყვებით თუ ვიტყვით — «რევოლუციურ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა თ ა აშკარა ხასიათი ამჟამად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა ხალხის მასებზე აღმზრდელობითი ზეგავლენისა»?

9. რას ნიშნავს რევოლუციის დროს უკიდურესი ოპოზიციის პარტიად ყოფნა?

დავუბრუნდეთ რეზოლუციას დროებითი მთავრობის შესახებ. ჩვენ ცხადვყავით, რომ ახალისკრელთა ტაქტიკა რევოლუციას წინ კი არა სწევს, — რის შესაძლებლობის უზრუნველყოფა თავისი რეზოლუციით მათ თითქოს უნდოდათ, — არამედ უკან. ჩვენ ცხადვყავით, რომ სწორედ ეს ცაქტიკა უ ბ ო ჭ ა ვ ს ხ ე ლ ე ბ ს სოციალ-დემოკრატიას არათანამიმ-

დევარ ბურჟუაზიასთან ბრძოლაში და არ იცავს მას ბურჟუაზიულ დემოკრატიაში გათქვეფისაგან. ცხადია, რეზოლუციის ცრუ დებულებებიდან ცრუ დასკვნა გამოდის: «ამიტომ სოციალ-დემოკრატიამ დროებითს მთავრობაში ძალაუფლების მოპოვება ან გაზიარება კი არ უნდა დაისახოს მიზნად, არამედ იგი უკიდურესი რევოლუციური ოპოზიციის პარტიად უნდა დარჩეს». დააკვირდით ამ დასკვნის პირველ ნახევარს, რომელიც მიზნების დასახვას ეხება. სახავენ თუ არა ახალისკრელები სოციალ-დემოკრატიული მოღვაწეობის მიზნად ცარიზმზე რევოლუციის გადამწყვეტ გამარჯვებას? — სახავენ, მათ არ შესწევთ უნარი სწორად ჩამოაყალიბონ გადამწყვეტი გამარჯვების პირობები, რადგან «ოსვობოჟდენიელური» ფორმულირებისკენ უცდებათ ფეხი, მაგრამ აღნიშნულ მიზანს ისინი სახავენ. შემდეგ, აკავშირებენ თუ არა ისინი დროებითს მთავრობას აჯანყებასთან? — დიახ, პირდაპირ აკავშირებენ, როცა ამბობენ, რომ დროებითი მთავრობა «ძლევამოსილი სახალხო აჯანყებიდან წარმოდგებაო». ბოლოს, ისახავენ თუ არა ისინი მიზნად აჯანყების ხელმძღვანელობას? — დიახ, ბ-ნ სტრუვეს მსგავსად, ისინი თავს არიდებენ აჯანყების საჭირო და გადაუდებელ საქმედ აღიარებას, მაგრამ ამავე დროს, ბ-ნ სტრუვესაგან განსხვავებით, ამბობენ, რომ «სოციალ-დემოკრატია ცდილობს იგი (აჯანყება) თავის გავლენასა და ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო ბ ა ს დ ა უ მ ო რ ჩ ი ლ ო ს და მუშათა კლასის სასარგებლოდ გამოიყენოს».

რა დალაგებულად და მწყობრად გამოდის ეს! ჩვენ მ ი ზ ნ ა დ ვისახავთ — ჩვენს გავლენას, ჩვენს ხელმძღვანელობას დავუმორჩილოთ როგორც პროლეტარული, ისე ა რ ა პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი მასების აჯანყება, ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენოთ იგი. მაშასადამე, ჩვენ მიზნად ვისახავთ აჯანყების დროს ხელმძღვანელობა გავუწიოთ პროლეტარიატსაც, რევოლუციურ ბურჟუაზიასაც და წვრილ ბურჟუაზიასაც («არაპროლეტარული ჯგუფები»), ე. ი. აჯანყების ხელმძღვანელობა «გ ა ვ ა ნ ა წ ი ლ ო თ» სოციალ-დემოკრატიასა და რევოლუციურ ბურჟუაზიას შორის. ჩვენ მიზნად ვისახავთ აჯანყე-

ბის გამარჯვებას, რომელმაც უნდა მიგვიყვანოს («ძლევამოსილი სახალხო აჯანყებიდან წარმომდგარი») დროებითი მთავრობის შექმნამდე. ამიტომ... ამიტომ ჩვენ მიზნად არ უნდა დავისახოთ — მოვიპოვოთ ან გავიზიაროთ ძალაუფლება დროებითს რევოლუციურ მთავრობაში!!

ჩვენი მეგობრები სრულიად ვერ ახერხებენ თავი და ბოლო ერთმანეთს გადააბან. ისინი მერყეობენ ბ-ნ სტრუვეს, რომელიც უარს ამბობს აჯანყებაზე, თვალსაზრისსა და რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის, რომელიც მოუწოდებს ხელი მოჰკიდონ ამ გადაუდებელ ამოცანას, თვალსაზრისს შუა. ისინი მერყეობენ ანარქიზმსა, რომელიც პრინციპულად გმობს, როგორც პროლეტარიატისადმი ღალატს, დროებითს რევოლუციურ მთავრობაში ყოველგვარ მონაწილეობას, და მარქსიზმს შუა, რომელიც მოითხოვს ასეთ მონაწილეობას იმ პირობით, რომ აჯანყების მიმართ ხელმძღვანელი გავლენა სოციალ-დემოკრატიის ხელში იყოს *. მათ არა აქვთ არავითარი დამოუკიდებელი პოზიცია: არც პოზიცია ბ-ნ სტრუვესი, რომელსაც სურს ცარიზმს მოურიგდეს და ამიტომ იძულებულია გვერდი აუხვიოს და თავდაძვრენის გზას დაადგეს აჯანყების საკითხში; — არც პოზიცია ანარქისტებისა, რომლებიც გმობენ «ზევიდან» ყოველგვარ მოქმედებას და ბურჟუაზიულ რევოლუციაში ყოველგვარ მონაწილეობას. ახალისკრელები ერთმანეთში ურევენ ცარიზმთან მორიგებას და ცარიზმზე გამარჯვებას. მათ სურთ მონაწილეობა მიიღონ ბურჟუაზიულ რევოლუციაში. მარტინოვის «ორ დიქტატურას» მათ რაოდენამდე წინ გაუსწრეს. ისინი თანახმაც კი არიან ხალხის აჯანყებას ხელმძღვანელობა გაუწიონ, — იმ პირობით კი, რომ უარი თქვან ამ ხელმძღვანელობაზე გამარჯვებისთანავე (ან, იქნებ, უშუალოდ გამარჯვების წინ?), ესე იგი იმ პირობით, რომ გამარჯვების შედეგებით კი არ

* იხ. «პროლეტარი» № 3. «დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ», სტატია მეორე (თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი, 8, გვ. 559 — 569. რედ.).

ისარგებლონ, არამედ მთელი მისი ნაყოფი მთლიანად ბურჟუაზიას ჩაუგდონ ხელში. ამას უწოდებენ ისინი «მუშათა კლასის სასარგებლოდ აჯანყების გამოყენებას»...

საჭიროება არ მოითხოვს ამ აბდაუბდაზე კიდევ შევჩერდეთ. უფრო სასარგებლოა ამ აბდაუბდის წარმოშობის, მისი იმ ფორმულირების განხილვა, რომელიც ამბობს: «უკიდურესი რევოლუციური ოპოზიციის პარტიად დარჩენას».

ჩვენს წინაშეა საერთაშორისო რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი ცნობილი დებულება. ეს სავსებით სწორი დებულებაა. იგი საერთო დებულება გახდა რევიზიონიზმის ან ოპორტუნიზმის ყველა მოწინააღმდეგეთათვის პარლამენტურ ქვეყნებში. მან მოქალაქობრივი უფლება მოიპოვა, როგორც «პარლამენტური კრეტინიზმის», მილიერანიზმის, ბერნშტეინელობის და ტურატისებური იტალიური რეფორმიზმის კანონიერმა და აუცილებელმა უკუგდებამ. ჩვენმა კეთილმა ახალისკრელებმა გაიზეპირეს ეს კარგი დებულება და გულმოდგინედ იყენებენ მას... სრულიად უადგილოდ. პარლამენტური ბრძოლის კატეგორიები შეტანილია რეზოლუციებში, რომლებიც დაწერილია ისეთი პირობებისთვის, როცა არავითარი პარლამენტი არ არსებობს. «ოპოზიციის» ცნება, რომელიც ისეთი პოლიტიკური სიტუაციის ამსახველი და გამომხატველია, როცა აჯანყებაზე სერიოზულად არავინ ლაპარაკობს, — უაზროდ გადატანილია ისეთ სიტუაციაზე, როცა აჯანყება დაიწყო და როცა მისდამი ხელმძღვანელობაზე რევოლუციის ყველა მომხრე ფიქრობს და ლაპარაკობს. იმავე, წინანდელ პოზიციაზე, ე. ი. მხოლოდ «ქვევიდან» მოქმედების პოზიციაზე, «დარჩენის» სურვილს გამოთქვამენ დიდის ამბით და რიხით სწორედ მაშინ, როცა რევოლუციამ დააყენა საკითხი აჯანყების გამარჯვების დროს ზევიდან მოქმედების აუცილებლობის შესახებ.

არა, პირდაპირ არ სწყალობს ბედი ჩვენს ახალისკრელებს! მაშინაც კი, როცა ისინი აყალიბებენ სწორ სოციალ-დემოკ-

რატიულ დებულებას, მათ არ შესწევთ მისი სწორად გამოყენების უნარი. მათ არ უფიქრიათ იმაზე, თუ როგორ გარდაიქმნებიან და გადაიქცევიან საკუთარ წინააღმდეგობად პარლამენტური ბრძოლის ცნებები და ტერმინები დაწყებული რევოლუციის ეპოქაში, როცა არ არის პარლამენტი, როცა ვიმყოფებით სამოქალაქო ომისა და აჯანყების აფეთქებათა პირობებში. მათ არ უფიქრიათ იმაზე, რომ იმ პირობებში, რომლებზედაც ლაპარაკია, შესწორებები ქუჩის დემონსტრაციების საშუალებით შეაქვთ, ინტერპელაციები შეიარაღებულ მოქალაქეთა შეტევითი მოქმედების საშუალებით შეაქვთ, ოპოზიცია მთავრობის მიმართ მთავრობის ძალით დამხობის გზით ხორციელდება.

როგორც ჩვენი ხალხური ეპოსის ცნობილი გმირი კარგ რჩევას სწორედ მაშინ იმეორებდა, როცა ის უადგილო იყო, ასევე მარტინოვის ეს თაყვანისმცემლებიც მშვიდობიანი პარლამენტარიზმის გაკვეთილებს სწორედ მაშინ იმეორებენ, როცა აშკარა საომარ მოქმედებათა დასაწყისს თვითონვე აღიარებენ. იმაზე კურიოზული არაფერია, როგორც «უკიდურესი ოპოზიციის» ლოზუნგის ასე დიდი ამბით წამოყენება რეზოლუციაში, რომელიც იწყება «რევოლუციის გადამწყვეტ გამარჯვებაზე», «სახალხო აჯანყებაზე» მითითებით! აბა ერთი მოისაზრეთ, ბატონებო, რას ნიშნავს «უკიდურეს ოპოზიციად» ყოფნა აჯანყების ხანაში? ეს მთავრობის მხილებას ნიშნავს თუ მის დამხობას? ეს მთავრობის წინააღმდეგ ხმისმიცემას ნიშნავს თუ აშკარა ბრძოლაში მისი სამხედრო ძალების დამარცხებას? ნიშნავს ეს მთავრობისთვის უარისთქმას მისი ხაზინის შევსებაზე, თუ ეს ნიშნავს ამ ხაზინის რევოლუციურად ხელში ჩაგდებას და აჯანყების საჭიროებისთვის, მუშებისა და გლეხების შეიარაღებისა და დამფუძნებელი კრების მოწვევისთვის მის მოხმარებას? ხვდებით თუ არა თქვენ, ბატონებო, რომ ცნება «უკიდურესი ოპოზიცია» მხოლოდ უარყოფითს მოქმედებას გამოხატავს — მხილებას, წინააღმდეგ ხმისმიცემას, უარისთქმას? რატომ? იმიტომ, რომ ეს ცნება ეხება მხოლოდ პარლამენტურ ბრძოლას და ისიც ისეთ

ეპოქაში, როცა ბრძოლის უშუალო მიზნად «გადამწყვეტ გამარჯვებას» არავინ აყენებს. ხომ არ ხვდებით თანდათან, რომ ამ მხრივ საქმე კარდინალურად იცვლება იმ მომენტიდან, როცა მთელი ხაზით იწყება პოლიტიკურად დაჩაგრული ხალხის გადამწყვეტი იერიში და თავგანწირული ბრძოლა გამარჯვებისათვის?

მუშები გვეკითხებიან: საჭიროა თუ არა, რომ აჯანყების გადაუდებელ საქმეს ენერგიულად მოვკიდოთ ხელი? როგორ მოვიქცეთ, რომ დაწყებული აჯანყება ძლევამოსილი გახდეს? როგორ ვისარგებლოთ გამარჯვებით? როგორი პროგრამა შეიძლება და უნდა განვახორციელოთ მაშინ? მარქსიზმის გამრღმავებელი ახალისკრელები უპასუხებენ: უკიდურესი რევოლუციური ოპოზიციის პარტიად დავრჩეთო... განა ჩვენ მართალი არ ვიყავით, როცა ამ რაინდებს ფილისტერობის ვირტუოზები ვუწოდეთ?

10. «რევოლუციური კომუნები» და პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა

ახალისკრელთა კონფერენცია ვერ შერჩა ანარქისტულ პოზიციას, რომლის აღიარებამდე მივიდა ახალი «ისკრა» (მხოლოდ «ქვევიდან» და არა «ქვევიდან და ზევიდან»). მეტისმეტად აშკარა იყო აჯანყების დაშვებისა და გამარჯვების და დროებითს რევოლუციურ მთავრობაში მონაწილეობის დაუშვებლობის უაზრობა. ამიტომ მარტინოვისა და მარტოვის მიერ საკითხის გადაჭრაში რეზოლუციამ შენიშვნები და შეზღუდვანი შეიტანა. განვიხილოთ ეს შენიშვნები, რომლებიც მოცემულია რეზოლუციის შემდეგ ნაწილში:

«ეს ტაქტიკა («უკიდურესი რევოლუციური ოპოზიციის პარტიად დარჩენა»), რა თქმა უნდა, სრულებითაც არ გამორიცხავს ძალაუფლების ნაწილობრივი, ეპიზოდური დაპყრობისა და ამა თუ იმ ქალაქში, ამა თუ იმ რაიონში რევოლუციური კომუნების დაარსების მიზანშეწონილობას აჯანყების

გავრცელებისა და მთავრობის დეზორგანიზაციისთვის ხელის-შეწყობის განსაკუთრებული მიზნით».

თუ ასეა, ცხადია, პრინციპულად დაშვებულია არა მარტო ქვევიდან მოქმედება, არამედ ზევიდანაც. მაშასადამე, ლ. მარტოვის ცნობილ ფელეტონში («ისკრა» № 93) წამოყენებული დებულება ირღვევა, და სწორად აღიარებულია გაზეთ «ვპერიოდის» ტაქტიკა: არა მარტო «ქვევიდან», არამედ «ზევიდანაც».

შემდეგ, ძალაუფლების ხელში ჩაგდება (თუნდაც ნაწილობრივი, ეპიზოდური და სხვ.), ცხადია, გულისხმობს არა მარტო სოციალ-დემოკრატიის და არა მარტო პროლეტარიატის მონაწილეობას. ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ დემოკრატიული რევოლუციით დაინტერესებულია და აქტიურ მონაწილეობას იღებს მასში არა მარტო პროლეტარიატი. ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ აჯანყება «ხალხურია», როგორც ხსენებული რეზოლუციის დასაწყისშია ნათქვამი, მასში მონაწილეობენ «არაპროლეტარული ჯგუფებიც» (გამოთქმა კონფერენტების რეზოლუციისა აჯანყების შესახებ), ე. ი. ბურჟუაზიაც. მაშასადამე, ის პრინციპი, თითქოს დროებითს რევოლუციურ მთავრობაში წვრილ ბურჟუაზიასთან ერთად სოციალისტების ყოველგვარი მონაწილეობა ღალატია მუშათა კლასისადმი, კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ი ს მ ი ე რ უ კ უ გ დ ე ბ უ ლ ი ა, როგორც ამას «ვპერიოდი» მოითხოვდა. «ღალატი» ღალატად რჩება, მიუხედავად იმისა, არის თუ არა მოქმედება, რომელიც ამ ღალატს შეადგენს, ნაწილობრივი, ეპიზოდური, რაიონული და სხვა. მაშასადამე, დროებითს რევოლუციურ მთავრობაში მონაწილეობის მიღების ვულგარულ ჟორესიზმთან გათანაბრება კონფერენციის მიერ უ კ უ გ დ ე ბ უ ლ ი ა, როგორც ამას «ვპერიოდი» მოითხოვდა[19]. მთავრობა მთავრობად რჩება, თუნდაც მისი ძალაუფლება ვრცელდებოდეს არა მრავალ ქალაქზე, არამედ ერთ ქალაქზე, არა მრავალ რაიონზე, არამედ ერთ რაიონზე, აგრეთვე მიუხედავად იმისა, თუ როგორია ამ მთავრობის სახელწოდება. ამრიგად, ს ა კ ი თ ხ ი ს პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ი დ ა ყ ე-

ნ ე ბ ა, რომლის მოცემასაც ახალი «ისკრა» ცდილობდა, კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ი ს მ ი ე რ უ კ უ გ დ ე ბ უ ლ ი ა.

ვნახოთ, რამდენად გონივრულია ის შეზღუდვანი, რომელთაც კონფერენცია უკეთებს რევოლუციურ მთავრობათა პრინციპულად უკვე დაშვებულ შექმნას და მათში მონაწილეობას. ჩვენ არ ვიცით, რით განსხვავდება ცნება «ეპიზოდური» ცნება «დროებითისაგან». ვშიშობთ, ვაითუ უცხო და «ახალი» სიტყვა აქ მხოლოდ მკაფიო აზრის უქონლობას ფარავდეს. ეს თ ი თ ქ ო ს «უფრო ღრმაა», ნამდვილად კი ეს მხოლოდ უფრო ბუნდოვანი და დახლართულია. რით განსხვავდება ქალაქში თუ რაიონში «ძალაუფლების» ნაწილობრივი «დაპყრობის» «მიზანშეწონილობა» მთელი სახელმწიფოს დროებითს რევოლუციურ მთავრობაში მონაწილეობისაგან? განა «ქალაქთა» რიცხვში არ არის ისეთი ქალაქი, როგორიცაა პეტერბურგი, სადაც ადგილი ჰქონდა 9 იანვარს? განა რაიონების რიცხვში არ არის კავკასია, რომელიც ბევრ სახელმწიფოზე მეტია? განა ის ამოცანები (რომლებიც ახალ «ისკრას» ოდესღაც საგონებელში აგდებდნენ), თუ როგორ მოვექცეთ საპყრობილეებს, პოლიციას, ხაზინას და სხვა და სხვა არ დადგება ჩვენს წინაშე თვით ერთ ქალაქში «ძალაუფლების» დაპყრობის» დროს, მთელ რაიონზე რომ არაფერი ვთქვათ? რა თქმა უნდა, არავინ უარყოფს იმას, რომ ძალთა ნაკლებობის დროს, აჯანყების არასრული წარმატების დროს, მისი არაგადამწყვეტი გამარჯვებისას შესაძლოა შესდგეს ნაწილობრივი, საქალაქო და სხვა დროებითი რევოლუციური მთავრობანი. მაგრამ რა შუაშია, ბატონებო, ყოველივე ეს? განა თქვენ თვითონ არ ლაპარაკობთ რეზოლუციის დასაწყისში «რევოლუციის გადამწყვეტ გამარჯვებაზე», «ძლევამოსილ სახალხო აჯანყებაზე»?? რის შემდეგაა, რომ სოციალ-დემოკრატები კისრულობენ ანარქისტების საქმეს: დაქსაქსონ პროლეტარიატის ყურადღება და მიზნები? მიმართონ იგი «ნაწილობრივზე» და არა საყოველთაოზე, ერთიანსა, მთლიანსა და სრულზე? როცა ვარაუდობთ «ძალაუფლების დაპყრობას» ქალაქში, თქვენ თვითონ ლაპარაკობთ «აჯან-

ყების გავრცელებაზე» — სხვა ქალაქზე, ვკადნიერდებით, რომ ასე ვიფიქროთ? ყველა ქალაქზე, შეიძლება ვიმედოვნოთ? თქვენი დასკვნები, ბატონებო, ისევე მერყევი და შემთხვევითი, ერთიმეორის საწინააღმდეგო და არეულია, როგორც თქვენი დებულებანი. რსდმპ მესამე ყრილობამ ამომწურავი და ნათელი პასუხი მოგვცა დროებითი რევოლუციური მთავრობის საკითხზე საერთოდ. ეს პასუხი ყველა კერძო დროებითს მთავრობასაც ეხება. კონფერენციის პასუხი კი საკითხის ნაწილის ხელოვნურად და თვითნებურად გამოყოფით მხოლოდ გაურბის (მაგრამ უშედეგოდ) კითხვას მთლიანად და მასში არევ-დარევა შეაქვს.

რას ნიშნავს «რევოლუციური კომუნები»? განსხვავდება თუ არა ეს ცნება «დროებითი რევოლუციური მთავრობისაგან» და თუ განსხვავდება, რით? ეს ბატონმა კონფერენტებმა თვითონაც არ იციან. რევოლუციური აზროვნების არევ-დარევას ისინი, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, რევოლუციურ ფრაზამდე მიჰყავს. დიახ, სიტყვა «რევოლუციური კომუნის» ხმარება სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელთა რეზოლუციაში — ეს არის რევოლუციური ფრაზა, და მეტი არაფერი. მარქსს არა ერთხელ დაუგმია ამგვარი ფრაზა, როცა დრომოჭმული წარსულის «მომხიბვლელი» ტერმინით მომავლის ამოცანებს ფარავენ. იმ ტერმინის მომხიბვლელობა, რომელმაც უკვე შეასრულა ისტორიაში თავისი როლი, ასეთ შემთხვევაში ფუჭ, მავნე ზიზილპიპილად და ჟღარუნად იქცევა ხოლმე. ჩვენ უნდა მივცეთ მუშებსა და მთელ ხალხს ნათელი და არაორაზროვანი გაგება იმისა, თუ რატომ გვინდა ჩვენ დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნა? სახელდობრ რადა რა გარდაქმნებს განვახორციელებთ ჩვენ, თუ ხელისუფლებაზე გადამწყვეტ გავლენას ვიქონიებთ, ხვალვე, უკვე დაწყებული სახალხო აჯანყების ძლევამოსილად დამთავრებისას? აი კითხვები, რომლებიც პოლიტიკურ ხელმძღვანელთა წინაშე დგანან.

რსდმპ მესამე ყრილობა ამ კითხვებზე სრული გარკვეულობით უპასუხებს და ამ გარდაქმნათა სრულ პროგრამას იძლევა: ეს არის ჩვენი პარტიული პროგრამა-მინიმუმი. ხოლო სიტყვა «კომუნა» არავითარ პასუხს არ იძლევა, იგი მხოლოდ იბუნდოვანებს გონებას რაღაც შორეული გუგუნით... ან ცარიელი ლაქლაქით. რაც უფრო ძვირფასია ჩვენთვის, ვთქვათ, 1871 წლის პარიზის კომუნა, მით უფრო მიუტევებელია დავკმაყოფილდეთ მასზე მითითებით მის შეცდომათა და განსაკუთრებულ პირობათა განუხილველად. ასე მოქცევა იქნებოდა ენგელსის მიერ სასაცილოდ აგდებული იმ ბლანკისტების უგუნური მაგალითის განმეორება, რომლებიც პარიზის კომუნის ყოველი აქტის წინაშე[20] მუხლს იდრეკდნენ (1874 წელს, თავიანთ «მანიფესტში»). რას ეტყვის მუშას კონფერენტი, როცა მუშა მას ჰკითხავს ამ «რევოლუციურ კომუნაზე», რომელიც რეზოლუციაშია მოხსენებული? მას შეუძლია თქვას მხოლოდ ის, რომ ისტორიაში ამ სახელით ცნობილია მუშათა ისეთი მთავრობა, რომელმაც არ იცოდა და არც შეეძლო მაშინ დემოკრატიული და სოციალისტური გადატრიალების ელემენტების გარჩევა, რომელიც ერთმანეთში ურევდა რესპუბლიკისთვის ბრძოლისა და სოციალიზმისთვის ბრძოლის ამოცანებს, რომელმაც ვერ მოახერხა ვერსალზე ენერგიული სამხედრო შეტევის ამოცანის გადაჭრა, რომელმაც შეცდომა დაუშვა, როდესაც ხელში არ ჩაიგდო საფრანგეთის ბანკი და სხვა. ერთი სიტყვით, — დაიმოწმებთ თუ არა თქვენს პასუხში პარიზის ან სხვა რომელიმე კომუნას, თქვენი პასუხი იქნება: ეს იყო ისეთი მთავრობა, *როგორიც ჩვენი არ უნდა იყოს*. კარგი პასუხი კია, თქვენმა მზემ! განა მოზეპირე მწიგნობრის რეზონიორობას და რევოლუციონერის უმწეობას არ მოწმობს ეს, როცა დუმილით გვერდს უვლიან პარტიის პრაქტიკულ პროგრამას და რეზოლუციაში უადგილოდ იწყებენ ისტორიის სწავლებას? განა ეს არ გვიჩვენებს სწორედ იმ შეცდომას, რომელშიც ჩვენს მხილებას უნაყოფოდ ცდილობდნენ: დემოკრატიულ და სო-

ციალისტურ გადატრიალებათა ერთმანეთში არევას, რომელთაც ვერც ერთი «კომუნა» ვერ არჩევდა?

დროებითი მთავრობის (რომელიც ასე უმართებულოდ კომუნად არის წოდებული) მიზნად წამოყენებულია «მხოლოდ და მხოლოდ» აჯანყების გავრცელება და მთავრობის დეზორგანიზაცია. ეს «მხოლოდ და მხოლოდ», სიტყვა-სიტყვით თუ გავიგებთ, უარყოფს ყოველგვარ სხვა ამოცანას და წარმოადგენს გამოძახილს უაზრო თეორიისას — «მხოლოდ ქვევიდან». სხვა ამოცანათა ასე უკუგდება არის ისევ და ისევ სიბეცე და მოუფიქრებლობა. «რევოლუციურმა კომუნამ», ე. ი. რევოლუციურმა ხელისუფლებამ თუნდაც ერთ ქალაქში აუცილებლად უნდა შეასრულოს (თუნდაც დროებით, «ნაწილობრივ, ეპიზოდურად») ყ ვ ე ლ ა სახელმწიფო საქმე, და აქ ფრთის ქვეშ თავის დამალვა — უაღრესი უგუნურებაა. ამ ხელისუფლებამ უნდა დააკანონოს 8-საათიანი სამუშაო დღეც, დააწესოს მუშათა ინსპექციაც ფაბრიკებში, შემოიღოს საყოველთაო უფასო სწავლებაც, მოსამართლეთა არჩევითობაც, შექმნას გლეხთა კომიტეტებიც და სხვ., — ერთი სიტყვით, მთელი რიგი რეფორმები მან აუცილებლად უნდა გაატაროს. ამ რეფორმების მოქცევა ცნებაში «აჯანყების გავრცელებისათვის ხელისშეწყობა» — სიტყვების თამაში იქნებოდა და ბუნდოვანობის განზრახ გაძლიერება იქ, სადაც სრული სიცხადეა საჭირო.

ახალისკრელთა რეზოლუციის დასკვნითი ნაწილი არ იძლევა ახალ მასალას ჩვენს პარტიაში აღორძინებული «ეკონომიზმის» პრინციპული ტენდენციების კრიტიკისათვის, მაგრამ იგი ზემოთქმულს რაოდენამდე სხვა მხრივ აშუქებს.

აი ეს ნაწილი:

«სოციალ-დემოკრატიამ თავისი ინიციატივით მხოლოდ ერთ შემთხვევაში უნდა მიმართოს ძალღონე იმისაკენ, რომ დაიპყროს ძალაუფლება და, შეძლებისდაგვარად, რაც შეიძლება მეტ ხანს შეინარჩუნოს იგი, — სახელდობრ იმ შემთხვევაში,

თუ რევოლუცია გადავა დასავლეთ ევროპის მოწინავე ქვეყნებში, სადაც სოციალიზმის განსახორციელებლად საჭირო პირობები ერთგვარად (?) უკვე მომწიფდა. ამ შემთხვევაში რუსეთის რევოლუციის შეზღუდული ისტორიული ფარგლები შეიძლება საგრძნობლად გაიშალოს, და შესაძლებელი გახდეს სოციალისტურ გარდაქმნათა გზაზე შედგომა.

აგებს რა თავის ტაქტიკას იმ ანგარიშით, რომ მთელი რევოლუციური პერიოდის განმავლობაში სოციალ-დემოკრატიულ პარტიას შერჩეს უკიდურესი რევოლუციური ოპოზიციის მდგომარეობა ყველა მთავრობის მიმართ, რომლებიც რევოლუციის მსვლელობაში იცვლებიან, სოციალ-დემოკრატია ყველაზე უკეთ შესძლებს მოემზადოს მთავრობის ძალაუფლების გამოსაყენებლადაც, თუ იგი მას ხელში ჩაუვარდება (??)».

დედააზრი აქ იგივეა, რაც არა ერთხელ ჩამოუყალიბებია «ვპერიოდს», რომელიც ამბობდა, რომ ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს (როგორც მარტინოვს ეშინია) დემოკრატიულ რევოლუციაში სოციალ-დემოკრატიის სრული გამარჯვებისა, ე. ი. პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დემოკრატიული დიქტატურისა, რადგან ასეთი გამარჯვება საშუალებას მოგვცემს ავამოძრავოთ ევროპა, ხოლო ევროპის სოციალისტური პროლეტარიატი, მოიშორებს რა ბურჟუაზიის უღელს, თავის მხრივ დაგვეხმარება სოციალისტური გადატრიალების მოხდენაში. მაგრამ დააკვირდით, რამდენად გაუარესებულია ეს აზრი ახალისკრელთა გადმოცემით. არ შევჩერდებით წვრილმანზე, — იმ უაზრობაზე, თითქოს ძალაუფლება შესაძლებელია ხელში «ჩაუვარდეს» შეგნებულ პარტიას, რომელსაც ძალაუფლების დაპყრობის ტაქტიკა მავნედ მიაჩნია, — იმაზე, რომ ევროპაში სოციალიზმისთვის საჭირო პირობები მომწიფებულია არა ერთგვარად, არამედ მომწიფებულია საერთოდ, — იმაზე, რომ ჩვენმა პარტიულმა პროგრამამ არ იცის არავითარი სოციალისტური გარდაქმნები, არამედ იცის მხოლოდ სოციალისტური გადატრიალება. ავიღოთ «ვპერიოდისა» და რეზოლუციის აზრის მთავარი და ძი-

რითადი განსხვავება. «ვპერიოდი» რუსეთის რევოლუციურ პროლეტარიატს მიუთითებდა აქტიურ ამოცანას: გამარჯვება მოიპოვოს დემოკრატიისათვის ბრძოლაში და ეს გამარჯვება გამოიყენოს ევროპაში რევოლუციის გადასატანად. რეზოლუციას არ ესმის ეს კავშირი ჩვენი «გადამწყვეტი გამარჯვებისა» (არა ახალისკრელთა აზრით) ევროპის რევოლუციასთან და ამიტომ იგი ლაპარაკობს არა პროლეტარიატის ამოცანებზე, არა მისი გამარჯვების პერსპექტივებზე, არამედ ერთ-ერთ შესაძლებლობაზე საერთოდ: «თუ რევოლუცია გადავიდოდა»... «ვპერიოდი» პირდაპირ და გარკვეულად მიუთითებდა — და ეს მითითებანი შევიდა რსდმპ III ყრილობის რეზოლუციაში, — თუ სახელდობრ როგორ შეიძლება და უნდა იქნას «გამოყენებული მთავრობის ძალაუფლება» პროლეტარიატის სასარგებლოდ, ანგარიში უნდა გაეწიოს რა იმას, თუ რა შეიძლება განხორციელდეს ახლავე საზოგადოებრივი განვითარების ამ საფეხურზე და რა უნდა იქნას თავდაპირველად განხორციელებული, როგორც სოციალიზმისთვის ბრძოლის დემოკრატიული წანამძღვარი. რეზოლუცია აქაც უიმედოდ კუდში მიჩანჩალებს, როცა ამბობს: «შეუძლია გამოსაყენებლად მოემზადოსო», მაგრამ ვერ ამბობს, როგორ შეუძლია, როგორ მოემზადოს, რანაირი გამოყენებისათვის. ჩვენ, მაგალითად, ეჭვი არ გვეპარება, რომ ახალისკრელებს პარტიაში ხელმძღვანელი მდგომარეობის «გამოსაყენებლად შეუძლიათ მოემზადონ», მაგრამ საქმე ის არის, რომ დღემდე ამ გამოყენების გამოცდილება, მათი მომზადება არ იძლევა შესაძლებლობის სინამდვილედ გადაქცევის იმედს...

«ვპერიოდი» ზუსტად ამბობდა, თუ სახელდობრ რაში მდგომარეობს რეალური «შესაძლებლობა ძალაუფლების შენარჩუნებისა», — ეს არის პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დემოკრატიული დიქტატურა, მათი შეერთებული მასობრივი ძალა, რომელსაც შეუძლია დასძლიოს კონტრ-რევოლუციის ყველა ძალა, ეს არის მათი ინტერესების აუცილებელი დამთხვევა დემოკრატიულ გარდაქმნათა

მხრივ. კონფერენციის რეზოლუცია აქაც დადებითს არაფერს იძლევა, იგი მხოლოდ გვერდს უვლის საკითხს. რუსეთში ძალაუფლების შენარჩუნების შესაძლებლობა ხომ გაპირობებული უნდა იქნას რუსეთისავე სოციალურ ძალთა შემადგენლობით, იმ დემოკრატიული გადატრიალების პირობებით, რომელიც ჩვენში ახლა წარმოებს. პროლეტარიატის გამარჯვება ევროპაში (ხოლო ევროპაში რევოლუციის გადატანიდან პროლეტარიატის გამარჯვებამდე კიდევ ერთგვარი მანძილი რჩება) ხომ გამოიწვევს რუსეთის ბურჟუაზიის გააფთრებულ კონტრრევოლუციურ ბრძოლას, — ახალისკრელთა რეზოლუცია არაფერს ამბობს ამ კონტრრევოლუციურ ძალაზე, რომლის მნიშვნელობა შეფასებულია რსდმპ III ყრილობის რეზოლუციაში. ჩვენ რომ არ შეგვეძლოს რესპუბლიკისა და დემოკრატიისათვის ბრძოლაში პროლეტარიატის გარდა გლეხობასაც დავეყრდნოთ, მაშინ «ძალაუფლების შენარჩუნების» საქმე უიმედო იქნებოდა. ხოლო თუ იგი უიმედო არ არის, თუ «ცარიზმზე რევოლუციის გადამწყვეტი გამარჯვება» ასეთ შესაძლებლობას იძლევა, — მაშინ ჩვენ ამ შესაძლებლობაზე უნდა მივუთითოთ, აქტიურად მოვუწოდოთ, რომ იგი სინამდვილედ ვაქციოთ, უნდა მივცეთ პრაქტიკული ლოზუნგები არა მარტო ევროპაში რევოლუციის გადატანის შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი ს ა თ ვ ი ს, არამედ ასეთი გ ა დ ა ტ ა ნ ი ს თ ვ ი ს ა ც. სოციალ-დემოკრატიის მაჩანჩალები «რუსეთის რევოლუციის შეზღუდულ ისტორიულ ფარგლებზე» მითითებით მხოლოდ ფარავენ ამ დემოკრატიული რევოლუციის ამოცანებისა და ამ რევოლუციაში პროლეტარიატის მოწინავე როლის გაგების შეზღუდულობას!

ერთ-ერთი მოსაზრება, რომელიც მოჰყავთ «პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის» ლოზუნგის წინააღმდეგ ის არის, რომ დიქტატურა გულისხმობს «ერთიან ნებას» («ისკრა» № 95), მაგრამ შეუძლებელია პროლეტარიატს და წვრილ ბურჟუაზიას ერთიანი ნება ჰქონდესო. ეს მოსაზრება უსაფუძვლოა, რადგან იგი ემყარება «ერთიანი ნების» ცნების განყენებულ, «მეტაფიზი-

კურ» გაგებას. ნება შეიძლება ერთიანი იყოს ერთს შემთხვევაში და არაერთიანი მეორე შემთხვევაში. სოციალიზმის საკითხებში და სოციალიზმისათვის ბრძოლაში ერთიანობის უქონლობა არ გამორიცხავს ნების ერთიანობას დემოკრატიზმის საკითხებში და რესპუბლიკისათვის ბრძოლაში. ამის დავიწყება იქნებოდა დემოკრატიული და სოციალისტური გადატრიალების ლოგიკური და ისტორიული განსხვავების დავიწყება. ამის დავიწყება იქნებოდა დემოკრატიული გადატრიალების საერთო სახალხო ხასიათის დავიწყება, თუ კი იგი «საერთო სახალხოა», მაშინ, ცხადია, «ნების ერთიანობა» სწორედ იმდენად არსებობს, რამდენადაც ეს გადატრიალება საერთო სახალხო საჭიროებასა და მოთხოვნილებას ახორციელებს. დემოკრატიზმის საზღვრებს იქით პროლეტარიატისა და გლეხური ბურჟუაზიის ნების ერთიანობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მათ შორის კლასობრივი ბრძოლა აუცილებელია, მაგრამ დემოკრატიული რესპუბლიკის ნიადაგზე ეს ბრძოლა იქნება სწორედ უაღრესად ღრმა და უაღრესად ფართო სახალხო ბრძოლა სოციალიზმისათვის. პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიულ დიქტატურას, როგორც ყველაფერს ქვეყნად, აქვს წარსული და მომავალი. მისი წარსულია — თვითმპყრობელობა, ბატონყმობა, მონარქია, პრივილეგიები. ამ წარსულთან ბრძოლაში, კონტრრევოლუციასთან ბრძოლაში შესაძლებელია პროლეტარიატისა და გლეხობის «ნების ერთიანობა», რადგან არსებობს ინტერესთა ერთიანობა.

მისი მომავალია — ბრძოლა კერძო საკუთრების წინააღმდეგ, დაქირავებული მუშის ბრძოლა მეპატრონესთან, ბრძოლა სოციალიზმისათვის. აქ ნების ერთიანობა შეუძლებელია*. აქ ჩვენს წინაშეა არა გზა თვითმპყრობელობიდან რესპუბლიკი-

* კაპიტალიზმის განვითარება, რომელიც თავისუფლების დროს უფრო ფართო და უფრო სწრაფი იქნება, აუცილებლად ჩქარა მოუღებს ბოლოს ნების ერთიანობას, — მით უფრო ჩქარა, რაც უფრო მალე გაისრისება კონტრრევოლუცია და რეაქცია.

საკენ, არამედ გზა წვრილბურჟუაზიული დემოკრატიული რესპუბლიკიდან სოციალიზმისაკენ.

რა თქმა უნდა, კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში წარსულისა და მომავლის ელემენტები ერთმანეთს ეხლართებიან, ერთი და მეორე გზა ერთმანეთში ერევიან. დაქირავებული შრომა და კერძო საკუთრების წინააღმდეგ მისი ბრძოლა თვითმპყრობელობის დროსაც არის, იგი ბატონყმობის დროსაც კი ისახება. მაგრამ ეს ჩვენ სრულიადაც ხელს არ გვიშლის ლოგიკურად და ისტორიულად განვაცალკევოთ განვითარების დიდი პერიოდები. ჩვენ ხომ ყველანი ბურჟუაზიულ და სოციალისტურ რევოლუციას ერთმანეთს ვუპირდაპირებთ, ჩვენ ყველანი უთუოდ მოვითხოვთ მათს მკვეთრ გარჩევას ერთმანეთისაგან, და განა შეიძლება იმის უარყოფა, რომ ისტორიაში ორივე გადატრიალების ცალკეული, კერძო ელემენტები ერთმანეთს ეხლართებიან? განა ევროპის დემოკრატიული რევოლუციების ეპოქამ არ იცის მთელი რიგი სოციალისტური მოძრაობანი და სოციალისტური ცდები? და განა ევროპის მომავალ სოციალისტურ რევოლუციას კიდევ და კიდევ ბევრი არ დარჩა დემოკრატიზმის მხრივ დასამთავრებელი?

სოციალ-დემოკრატმა არასოდეს და ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყოს ის, რომ გარდუვალია პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა სოციალიზმისათვის თვით ყველაზე დემოკრატიულ და რესპუბლიკურ ბურჟუაზიასთან და წვრილ ბურჟუაზიასთან. ეს უდავოა. აქედან გამომდინარეობს სოციალ-დემოკრატიის ცალკეული და დამოუკიდებელი წმინდა კლასობრივი პარტიის არსებობის უეჭველი აუცილებლობა. აქედან გამომდინარეობს ბურჟუაზიასთან ერთად ჩვენი «ერთად შეტევის» დროებითი ხასიათი, ჩვენი მოვალეობა — სასტიკად ვადევნოთ თვალყური «მოკავშირეს, როგორც მტერს» და სხვა. ყოველივე ეს აგრეთვე სრულიად უდავოა. მაგრამ სასაცილო და რეაქციული იქნებოდა აქედან იმ დასკვნის გამოყვანა, თითქოს შეიძლებოდეს აწმყოს მიმართ საჭირბოროტო, თუნდაც წარმავალ და დროებით ამოცანათა დავიწყება, უგულებელყოფა ან არადჩაგდება. თვითმპყრობელობასთან

ბრძოლა სოციალისტების დროებითი და წარმავალი ამოცანაა, მაგრამ ამ ამოცანის ყოველგვარი უგულებელყოფა ან არადჩაგდება სოციალიზმისადმი ღალატსა და რეაქციის სამსახურს უდრის. პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა უსათუოდ სოციალისტების მხოლოდ წარმავალი, დროებითი ამოცანაა, მაგრამ დემოკრატიული რევოლუციის ხანაში ამ ამოცანის უგულებელყოფა პირდაპირ რეაქციულია.

კონკრეტული პოლიტიკური ამოცანები კონკრეტულ ვითარებაში უნდა დაისახოს. ყველაფერი შედარებითია, ყველაფერი მიმდინარეობს, ყველაფერი იცვლება. გერმანიის სოციალ-დემოკრატია რესპუბლიკის მოთხოვნას პროგრამაში არ აყენებს. იქ სიტუაცია ისეთია, რომ პრაქტიკულად ამ საკითხის გამოყოფა სოციალიზმის საკითხიდან არც კი შეიძლება (თუმცა გერმანიის მიმართაც ენგელსი თავის შენიშვნებში ერფურტის პროგრამის პროექტისადმი 1891 წელს გაფრთხილებას იძლეოდა — არ ყოფილიყო შემცირებული რესპუბლიკისა და რესპუბლიკისათვის ბრძოლის მნიშვნელობა![21]). რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში არც კი წამოჭრილა საკითხი იმის შესახებ, რომ ამოგდებულიყო პროგრამიდან და აგიტაციიდან რესპუბლიკის მოთხოვნა, რადგან ჩვენში ლაპარაკიც ზედმეტია სოციალიზმის საკითხთან რესპუბლიკის საკითხის განუყოელ კავშირზე. 1898 წლის გერმანელი სოციალ-დემოკრატი, რომელიც სპეციალურად რესპუბლიკის საკითხს პირველ რიგში არ აყენებს, ბუნებრივი მოვლენაა, რომელიც არც გაკვირვებას იწვევს და არც გაკიცხვას. გერმანელი სოციალ-დემოკრატი, რომელიც 1848 წელს რესპუბლიკის საკითხს ჩრდილში დასტოვებდა, რევოლუციის პირდაპირი მოღალატე იქნებოდა. აბსტრაქტული ჭეშმარიტება არ არსებობს. ჭეშმარიტება ყოველთვის კონკრეტულია.

დადგება დრო — დამთავრდება რუსეთის თვითმპყრობელობასთან ბრძოლა — გაივლის დემოკრატიული რევოლუციის ეპოქა რუსეთისათვის — მაშინ სასაცილოც იქნება ლაპარაკი პროლეტარიატისა და გლეხობის «ნების ერთიანობაზე», დე-

მოკრატიულ დიქტატურაზე და სხვ.. მაშინ ჩვენ ვიფიქრებთ უშუალოდ პროლეტარიატის სოციალისტურ დიქტატურაზე და უფრო დაწვრილებით მოვილაპარაკებთ მის შესახებ. ახლა კი მოწინავე კლასის პარტიას არ შეუძლია უაღრესად ენერგიულად არ მიისწრაფოდეს ცარიზმზე დემოკრატიული რევოლუციის გადამწყვეტი გამარჯვებისაკენ. გადამწყვეტი გამარჯვება კი სწორედ პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურაა და სხვა არაფერი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა[22]

1) მოვაგონებთ მკითხველს, რომ «ისკრის» პოლემიკაში «ვპერიოდთან» პირველი, სხვათა შორის, იმოწმებდა ენგელსის წერილს ტურატისადმი, სადაც ენგელსი იტალიელ რეფორმისტთა (მომავალ) ბელადს აფრთხილებდა ერთმანეთში არ აერია დემოკრატიული და სოციალისტური რევოლუცია[23]. მომავალი რევოლუცია იტალიაშიო, — წერდა ენგელსი იტალიის პოლიტიკური მდგომარეობის გამო 1894 წელს, — წვრილბურჟუაზიული, დემოკრატიული იქნება და არა სოციალისტურიო. «ისკრა» უსაყვედურებდა «ვპერიოდს» ენგელსის მიერ დადგენილი პრინციპიდან გადახვევას. ეს საყვედური უმართებულოა, რადგან «ვპერიოდი» (№ 14) * სავსებით აღიარებდა, საერთოდ და მთლიანად, მარქსის თეორიის სისწორეს XIX საუკუნის რევოლუციების სამი მთავარი ძალის განსხვავების შესახებ. ამ თეორიის მიხედვით, ძველი წესწყობილების, თვითმპყრობელობის, ფეოდალიზმის, ბატონყმობის წინააღმდეგ გამოდის 1) ლიბერალური მსხვილი ბურჟუაზია; 2) რადიკალური წვრილი ბურჟუაზია; 3) პროლეტარიატი. პირველი იბრძვის მხოლოდ კონსტიტუციური მონარქიისათვის; მეორე — დემოკრატიული რესპუბლიკისათვის; მესამე — სოციალისტური გადატრიალებისათვის. ერთმანეთში არევა წვრილბურჟუაზიული ბრძოლისა სრული დემოკრატიული გა-

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 8, 319 — 340. რ ე დ.

დატრიალებისათვის და პროლეტარული ბრძოლისა სოციალისტური რევოლუციისათვის პოლიტიკურ კრახს უქადის სოციალისტს. მარქსის ეს გაფრთხილება სავსებით სწორია. მაგრამ სწორედ «რევოლუციური კომუნების» ლოზუნგი მცდარია სწორედ ამ მიზეზის გამო, რადგან ისტორიაში ცნობილი კომუნები სწორედ ერთმანეთში ურევდნენ დემოკრატიულ და სოციალისტურ გადატრიალებას. პირიქით, ჩვენი ლოზუნგი: პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დემოკრატიული დიქტატურა ასეთი შეცდომის აცილების სრულ გარანტიას იძლევა. ჩვენი ლოზუნგი აღიარებს რევოლუციის უეჭველ ბურჟუაზიულ ხასიათს, რევოლუციისა, რომელსაც არ შეუძლია უშუალოდ გასცილდეს მხოლოდ დემოკრატიული გადატრიალების ფარგლებს, და წინ სწევს ამ, ხსენებულ, გადატრიალებას, — მიისწრაფის ამ გადატრიალებას მისცეს პროლეტარიატისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი ფორმები, — მაშასადამე, მიისწრაფის რაც შეიძლება უფრო მეტად გამოიყენოს დემოკრატიული გადატრიალება პროლეტარიატის შემდგომი უაღრესად წარმატებითი ბრძოლისათვის სოციალიზმის მოსაპოვებლად.

11. რსდმპ III ყრილობისა და «კონფერენციის» ზოგიერთი რეზოლუციის გაკვრით შედარება

დროებითი რევოლუციური მთავრობის საკითხი ამჟამად სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკური საკითხების ცენტრალურ პუნქტს წარმოადგენს. კონფერენციის დანარჩენ რეზოლუციებზე ასევე დაწვრილებით შეჩერების არც შესაძლებლობა არის და არც საჭიროება. ჩვენ დავჯერდებით მხოლოდ მოკლე მითითებას ზოგიერთ მუხლზე, რომლებიც ადასტურებენ ჩვენს მიერ ზემოთ გარჩეულ პრინციპულ განსხვავებას რსდმპ III ყრილობის რეზოლუციების და კონფერენციის რეზოლუციების ტაქტიკურ მიმართულებათა შორის.

აიღეთ საკითხი მთავრობის ტაქტიკისადმი დამოკიდებულებისა გადატრიალების წინახანს. თქვენ ისევ მთლიან პასუხს

იპოვით მასზე რსდმპ III ყრილობის რეზოლუციაში. ეს რეზოლუცია ითვალისწინებს განსაკუთრებული მომენტის ყველა სხვადასხვაგვარ პირობასა და ამოცანას: მთავრობის დათმობათა ფარისევლობის მხილებასაც, «სახალხო წარმომადგენლობის კარიკატურული ფორმების» გამოყენებასაც, მუშათა კლასის აუცილებელ მოთხოვნათა რევოლუციურ განხორციელებასაც (პირველ რიგში რვასაათიანი სამუშაო დღე), და, ბოლოს, შავ რაზმებთან გამკლავებასაც. კონფერენციის რეზოლუციებში საკითხი გაფანტულია რამდენიმე განყოფილებაში: «რეაქციის ბნელ ძალებთან გამკლავება» მოხსენებულია მხოლოდ სხვა პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ მიღებული რეზოლუციის მოტივებში. წარმომადგენლობითი დაწესებულებების არჩევნებში მონაწილეობა განხილულია ბურჟუაზიასთან ცარიზმის «კომპრომისებისაგან» განცალკევებით. რვასაათიანი სამუშაო დღის რევოლუციური გზით განხორციელებისაკენ მოწოდების ნაცვლად — ცალკე რეზოლუცია მყვირალა სახელწოდებით «ეკონომიური ბრძოლის შესახებ» მხოლოდ იმეორებს (წკრიალა და მეტად არაჭკვიანური სიტყვების შემდეგ იმ «ცენტრალური ადგილის შესახებ, რომელიც მუშათა საკითხმა დაიკავა რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში») აგიტაციის ძველ ლოზუნგს «რვასაათიანი სამუშაო დღის კანონმდებლობით შემოღებისათვის». ამ ლოზუნგის არასაკმარისობა და ჩამორჩენილობა ამჟამად მეტად ნათელია და საჭირო არ არის მათს დამტკიცებაზე შეჩერება.

აშკარა პოლიტიკური გამოსვლის საკითხი. III ყრილობა ითვალისწინებს ჩვენი მოქმედების მომავალ ძირფესვიან გარდაქმნას. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება კონსპირაციულ მუშაობასა და კონსპირაციული აპარატის განვითარებაზე ხელის აღება: ეს ხელსაყრელი იქნებოდა პოლიციისათვის და უაღრესად სასარგებლო — მთავრობისათვის. მაგრამ ახლა უკვე აღარ შეიძლება არ ვიფიქროთ აშკარა გამოსვლაზედაც. საჭიროა დაუყოვნებლივ მზადება ასეთი გამოსვლის მიზანშეწონილი ფორმებისა და, მაშასადამე, ამ მიზნით განი-

საკუთრებული — უფრო ნაკლებ კონსპირაციული — აპარატებისა. უნდა გამოვიყენოთ ლეგალური და ნახევრადლეგალური საზოგადოებანი, რათა ისინი, შეძლებისდაგვარად, გადავაქციოთ მომავალი ლეგალური სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დასაყრდენ პუნქტებად რუსეთში.

კონფერენცია აქაც აქუცმაცებს საკითხს და არავითარ მთლიან ლოზუნგს არ იძლევა. განსაკუთრებით თვალში გვხვდება სასაცილო დავალება საორგანიზაციო კომისიის მიმართ — იზრუნოს ლეგალური ლიტერატორებისთვის »საქმის მიჩენაზე». სრულიად უაზროა დადგენილება «თავისი გავლენისადმი იმ დემოკრატიული გაზეთების დამორჩილებაზე, რომლებიც მიზნად ისახავენ მუშათა მოძრაობისთვის ხელისშეწყობას». ამ მიზანს ისახავს ყველა ჩვენი ლეგალური ლიბერალური, მიმართულებით თითქმის ყველა «ოსვობოჟდენიელური» გაზეთი. რატომ არ უნდა დაიწყოს თვით «ისკრის» რედაქციამ თავისი რჩევის ასრულებით და არ გვიჩვენოს იმის მაგალითი, თუ როგორ უნდა დავუმორჩილოთ სოციალ-დემოკრატიულ გავლენას «ოსვობოჟდენიე»? ნაცვლად ლოზუნგისა — გამოყენებულ იქნას ლეგალური კავშირები პ ა რ ტ ი ი ს დასაყრდენი პუნქტების შესაქმნელად, ჩვენ გვაჩეჩებენ, ჯერ-ერთი, კერძო რჩევას მხოლოდ «პროფესიული» კავშირების შესახებ (მათში პარტიის წევრთა სავალდებულო მონაწილეობა) და, მეორეც, რჩევას — ვუხელმძღვანელოთ «მუშების რევოლუციურ ორგანიზაციებს» = «გაუფორმებელ ორგანიზაციებს» = «რევოლუციურ მუშათა კლუბებს». როგორ მოხვდნენ ეს «კლუბები» გაუფორმებელ ორგანიზაციებში, რა «კლუბებია» ეს, — ალაჰმა უწყის. ჩვენს წინაშე პარტიის უმაღლესი დაწესებულების ზუსტი და ნათელი დირექტივების ნაცვლად აზრების რაღაც ნაწყვეტები და ლიტერატორების შავად დაწერილი შენიშვნებია. არავითარი მთლიანი სურათი არ გამოდის იმისა, რომ პარტია იწყებს გადასვლას მთელი თავისი მუშაობის სრულიად სხვა ბაზაზე.

«გლეხთა საკითხი» სრულიად სხვადასხვაგვარადაა დასმული პარტიის ყრილობის და კონფერენციის მიერ. ყრილობამ

შეიმუშავა რეზოლუცია «გლეხთა მოძრაობისადმი დამოკიდებულების» შესახებ. კონფერენციამ — «გლეხთა შორის მუშაობის» შესახებ. ერთ შემთხვევაში პირველ რიგში წამოყენებულია მთელი ფართო რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ხელმძღვანელობის ამოცანები ცარიზმთან ბრძოლის საერთო-ნაციონალური ინტერესების მიხედვით. მეორე შემთხვევაში საქმე განისაზღვრება მხოლოდ განსაკუთრებულ ფენაში «მუშაობით». ერთ შემთხვევაში წამოყენებულია აგიტაციის ცენტრალური პრაქტიკული ლოზუნგი — გლეხთა რევოლუციური კომიტეტების დაუყოვნებლივ მოწყობა ყველა დემოკრატიულ გარდაქმნათა გასატარებლად. მეორეში — «კომიტეტების შექმნის მოთხოვნა» უნდა წარედგინოს დამფუძნებელ კრებას. რატომ უნდა ვუცადოთ აუცილებლად ამ დამფუძნებელ კრებას? იქნება თუ არა ის საქმით დამფუძნებელი? მტკიცე იქნება თუ არა ის, წინასწარ და ერთსა და იმავე დროს რომ გლეხთა რევოლუციური კომიტეტები არ დაარსდეს? — ყველა ეს საკითხი კონფერენციას მხედველობიდან გამორჩა. კონფერენციის ყველა გადაწყვეტილებას აშკარად ემჩნევა ჩვენს მიერ აღნიშნული საერთო აზრი, რომ ბურჟუაზიულ რევოლუციაში ჩვენ უნდა ვაწარმოებდეთ მხოლოდ ჩვენს სპეციალურ მუშაობას, მიზნად არ უნდა ვისახავდეთ მთელი დემოკრატიული მოძრაობის ხელმძღვანელობას და მის დამოუკიდებლად გატარებას. ისე როგორც ეკონომისტები მუდამ იხრებოდნენ იმ აზრისაკენ, რომ სოციალ-დემოკრატები ეკონომიურ ბრძოლას უნდა ეწეოდნენ, ხოლო ლიბერალები პოლიტიკურსაო, ასევე ახალისკრელები მთელი თავიანთი მსჯელობის მსვლელობაში იხრებიან იმ აზრისაკენ, რომ ჩვენ რაც შეიძლება მცირე კუთხე გვქონდეს მოჩენილი და ბურჟუაზიული რევოლუციისაგან განზე ვიდგეთ. ბურჟუაზია კი მას აქტიურად ატარებდესო.

ბოლოს, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ რეზოლუციებიც სხვა პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ. რსდმპ III ყრილობის რეზოლუცია ლაპარაკობს ბურჟუაზიის გამათავი-

სუფლებელი მოძრაობის ყოველგვარი შეზღუდულობისა და არასაკმარისობის მხილების შესახებ და არ ისახავს ყრილობიდან ყრილობამდე ამ შეზღუდულობის ყველა შესაძლებელ შემთხვევათა ჩამოთვლის გულუბრყვილო აზრს და იმ ხაზის გავლებას, რომელიც ცუდ ბურჟუებს მიჯნავს კარგი ბურჟუებისაგან. კონფერენცია კი იმეორებს სტაროვერის შეცდომას და დაჟინებით ეძებს ასეთ ხაზს, ავითარებს «ლაკმუსის ქაღალდის» ცნობილ თეორიას. სტაროვერი ხელმძღვანელობდა მეტად კეთილი იდეით: უფრო მკაცრი პირობები წავუყენოთ ბურჟუაზიასაო. მხოლოდ ავიწყდებოდა, რომ ყოველგვარ ცდას — წინასწარ გამოყოფილ იქნან მოწონების, შეთანხმებისა და სხვათა ღირსი ბურჟუაზიული დემოკრატები იმათგან, რომლებიც ამის ღირსნი არ არიან, — მივყავართ «ფორმულამდე», რომელსაც მაშინვე უკუაგდებს მოვლენათა მსვლელობის განვითარება და რომელსაც არევ-დარევა შეაქვს პროლეტარულ კლასობრივ შეგნებაში. სიმძიმის ცენტრი ბრძოლის რეალური ერთიანობიდან გადადის განცხადებებზე, დაპირებებზე, ლოზუნგებზე. სტაროვერს ასეთ ძირეულ ლოზუნგად მიაჩნდა «საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული საარჩევნო უფლება». ორი წელიც კი არ გასულა, — და «ლაკმუსის ქაღალდმა» დაამტკიცა თავისი უვარგისობა, საყოველთაო საარჩევნო უფლების ლოზუნგი გადაიღეს ოსვობოჟდენიელებმა და ამით არათუ არ მიუახლოვდნენ სოციალ-დემოკრატიას, არამედ, პირიქით — სწორედ ამ ლოზუნგის მეოხებით ცდილობდნენ მუშების შეცდომაში შეყვანას და მათს ჩამოცილებას სოციალიზმისაგან.

ახლა ახალისკრელები კიდევ «უფრო მკაცრ» «პირობებს» აყენებენ, «მოითხოვენ» ცარიზმის მტრებისაგან «ორგანიზებული პროლეტარიატის ყოველგვარი გადამწყვეტი მოქმედებისათვის ენერგიულად და არაორაზროვნად (!?) მხარდაჭერას» და სხვ., მოითხოვენ «ხალხის თვითშეიარაღების საქმეში აქტიურ მონაწილეობასაც» კი. ხაზი გაცილებით შორსაა გავლებული, — და მოხდავად ამისა ეს ხაზი უკვე ისევ მოძველდა, ერთბაშად უვარგისი აღმოჩნდა. რატომ არა

ჩანს, მაგალითად, რესპუბლიკის ლოზუნგი? როგორ მოხდა, რომ «წოდებრივ-მონარქიული წესწყობილების ყველა საფუძვლის წინააღმდეგ მიმართული დაუნდობელი რევოლუციური ომის» გულისთვის სოციალ-დემოკრატები «მოითხოვენ» ბურჟუაზიული დემოკრატებისაგან ყველაფერს, რაც გნებავთ, გარდა რესპუბლიკისათვის ბრძოლისა?

ეს კითხვა რომ კილოს გამობმა არ არის, ახალისკრელების შეცდომას რომ უაღრესად სასიცოცხლო პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, — ამის დამამტკიცებელია «რუსეთის განმათავისუფლებელი კავშირი» (იხ. «პროლეტარი» № 4) *. «ცარიზმის» ეს «მტრები» სავსებით შეეფერებიან ახალისკრელთა ყველა «მოთხოვნას». ხოლო ჩვენ ცხადვყავით, რომ ოსვობოჟდენიელური სული ტრიალებს ამ «რუსეთის განმათავისუფლებელი კავშირის» პროგრამაში (თუ უპროგრამობაში) და რომ ოსვობოჟდენიელებს ადვილად შეუძლიათ მისი აყვანა ბუქსირზე. კონფერენცია კი რეზოლუციის ბოლოში აცხადებს, რომ «სოციალ-დემოკრატია კვლავინდებურად გამოვა ხალხის როგორც პირმოთნე მეგობრების წინააღმდეგ, ყველა იმ პოლიტიკური პარტიის წინააღმდეგ, რომლებიც, გამოაფენენ რა ლიბერალურ და დემოკრატიულ დროშას, უარს ამბობენ პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის ნამდვილ მხარდაჭერაზე». «რუსეთის განმათავი-

---

* «პროლეტარის» მე-4 ნომერში, რომელიც 1905 წლის 4 ივნისს გამოვიდა, მოთავსებული იყო ვრცელი სტატია: «ახალი რევოლუციური მუშათა კავშირი» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 8, გვ. 592 — 606. რ ე დ.). სტატიაში გადმოცემულია ამ კავშირის მოწოდებათა შინაარსი, კავშირისა, რომელმაც მიიღო «რუსეთის განმათავისუფლებელი კავშირის» სახელწოდება და მიზნად დასახა დამფუძნებელი კრების მოწვევა შეიარაღებული აჯანყების საშუალებით. შემდეგ, სტატია განსაზღვრავს ს.-დ. დამოკიდებულებას ასეთი უპარტიო კავშირებისადმი. რამდენად რეალური იყო ეს კავშირი და როგორია მისი ბედი რევოლუციაში, ჩვენთვის ეს სრულიად უცნობია. (ავტორის შენიშვნა 1907 წლის გამოცემისათვის. რ ე დ.)

სუფლებელი კავშირი» არათუ უარს არ ამბობს, არამედ გულმოდგინედ გვთავაზობს ამ მხარდაჭერას. არის თუ არა ეს იმის თავდები, რომ მისი ბელადები არ არიან «ხალხის პირმოთნე მეგობრები», ოსვობოჟდენიელებიც რომ იყვნენ ისინი?

თქვენ ხედავთ: როცა ახალისკრელები წინასწარ თხზავენ «პირობებს» და თავიანთი მრისხანე უძლურებით კომიკურ «მოთხოვნებს» გვიდგენენ, ისინი ერთბაშად აყენებენ თავიანთ თავს სასაცილო მდგომარეობაში. მათი პირობები და მოთხოვნები ერთბაშად არასაკმარისი ხდება ცოცხალი სინამდვილისათვის ანგარიშის გასაწევად. ფორმულებისადმი მათი გამოდევნება უიმედოა, რადგან ვერავითარი ფორმულით ვერ მისწვდები ბურჟუაზიული დემოკრატიის პირმოთნეობის, არათანამიმდევრობისა და შეზღუდულობის ყველა და ყოველგვარ გამოვლინებას. საქმე «ლაკმუსის ქაღალდი» კი არ არის, არც ფორმები, არც ჩაწერილი და დაბეჭდილი მოთხოვნები, არც «ხალხის მეგობრების» პირმოთნეებად და არაპირმოთნეებად წინასწარ დანაწილება, არამედ ბრძოლის რეალური ერთიანობა, სოციალ-დემოკრატების მხრივ ბურჟუაზიული დემოკრატიის ყოველი «არამტკიცე» ნაბიჯის დაუღალავი კრიტიკაა. «საზოგადოებრივ ძალთა დემოკრატიული გარდაქმნით ყველა დაინტერესებულთა ნამდვილად შემჭიდროებისათვის» საჭიროა არა «მუხლები», რომლებზედაც ასე გულმოდგინედ და ასე ამაოდ შრომობდა კონფერენცია, არამედ ნამდვილი რევოლუციური ლოზუნგების წამოყენების უნარი. ამისთვის საჭიროა ისეთი ლოზუნგები, რომლებსაც პროლეტარიატის დონემდე აჰყავთ რევოლუციური და რესპუბლიკური ბურჟუაზია, და არა ისეთი ლოზუნგები, რომლებიც პროლეტარიატის ამოცანებს მონარქისტული ბურჟუაზიის დონემდე აქვეითებენ. ამისათვის საჭიროა უაღრესად ენერგიული მონაწილეობა აჯანყებაში, და არა რეზონიორული თავის არიდება შეიარაღებული აჯანყების გადაუდებელი ამოცანისათვის.

12. შესუსტდება თუ არა დემოკრატიული რევოლუციის გაქანება, თუ მას ბურჟუაზია ჩამოშორდება?

წინა სტრიქონები უკვე დაწერილი იყო, როცა მივიღეთ «ისკრის» მიერ გამოცემული ახალისკრელთა კავკასიის კონფერენციის რეზოლუციები. Pour la bonne bouche (კარგი დაბოლოებისათვის) უკეთეს მასალას ჩვენ ვერც გამოვიგონებდით.

«ისკრის» რედაქცია სამართლიანად შენიშნავს: «ტაქტიკის ძირითად საკითხში კავკასიის კონფერენცია აგრეთვე მივიდა იმის ა ნ ა ლ ო გ ი უ რ» (ჭეშმარიტებაა!) «გადაწყვეტილებამდე, რომელიც სრულიად რუსეთის» (ე. ი. ახალისკრელთა) «კონფერენციაზეა მიღებული». «დროებითი რევოლუციური მთავრობისადმი სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულების საკითხი კავკასიელი ამხანაგების მიერ გადაწყვეტილია იმ ახალი მეთოდის მიმართ სრულიად უარყოფითი დამოკიდებულების აზრით, რომელსაც «ვპერიოდის» ჯგუფი და ეგრეთწოდებული ყრილობის მომხრე დელეგატები ქადაგებენ». «ბურჟუაზიულ რევოლუციაში პროლეტარული პარტიის ტაქტიკის ფორმულირება, მოცემული კონფერენციის მიერ, ფ რ ი ა დ მ ა რ ჯ ვ ე დ უნდა ჩაითვალოსო».

რაც მართალია, მართალია. ახალისკრელთა ძირითადი შეცდომის უფრო «მარჯვე» ფორმულირებას ვერავინ ვერ მოგვცემდა. მოგვყავს ეს ფორმულირება მთლიანად; ჯერ ფრჩხილებში აღვნიშნავთ ყვავილებს, შემდეგ კი ბოლოს მოძღვნილ ნაყოფსაც.

ახალისკრელთა კავკასიის კონფერენციის რეზოლუცია დროებითი მთავრობის შესახებ:

«თვლის რა თავის ამოცანად გამოიყენოს რევოლუციური მომენტი პროლეტარიატის სოციალ-დემოკრატიული შეგნების გასაღრმავებლად» (ჰო, რა თქმა უნდა! უნდა დავუმატოთ კი: მარტინოვისებურად გასაღრმავებლად! მხოლოდ შეგნების გასაღრმავებლად და არა რესპუბლიკის მოსაპოვებლად? რევო-

ლუციის «ღრმა» გაგება სწორედ ამას ჰქვია!), «კონფერენ-ცია იმ მიზნით, რომ პარტიისათვის უზრუნველყოფილ იქნას ახლად წარმოშობილი ბურჟუაზიულ-სახელმწიფოებრივი წყობილების კრიტიკის სრული თავისუფლება» (რესპუბლიკის უზრუნველყოფა ჩვენი საქმე არ არის! ჩვენი საქმეა მხოლოდ კრიტიკის თავისუფლების უზრუნველყოფა. ანარქისტული იდეები ენასაც ანარქისტულს ბადებენ: «ბურჟუაზიულ-სახელმწიფოებრივი» წყობილება!), «წინააღმდეგია სოციალ-დემოკრატიული დროებითი მთავრობის შექმნისა და მასში შესვლისა» (გაიხსენეთ ენგელსის მიერ ციტირებული რეზოლუცია ბაკუნისტებისა ათი თვით ადრე ესპანეთის რევოლუციის წინ: იხ. «პროლეტარი» № 3 [24]), «ხოლო ყველაზე მიზანშეწონილად თვლის იმას, რომ გარედან მოახდინოს ზეგავლენა» (ქვევიდან და არა ზევიდან) «ბურჟუაზიულ დროებითს მთავრობაზე სახელმწიფო წყობილების შეძლებისამებრ (?!) დემოკრატიზაციისათვის. კონფერენცია ფიქრობს, რომ სოციალ-დემოკრატების მიერ დროებითი მთავრობის შექმნა ან მასში შესვლა გამოიწვევს, ერთი მხრივ, სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან პროლეტარიატის იმედგაცრუებული ფართო მასების ჩამოშორებას, რადგან, მიუხედავად ძალაუფლების დაპყრობისა, სოციალ-დემოკრატია ვერ შესძლებს დააკმაყოფილოს მუშათა კლასის საარსებო საჭიროებანი სოციალიზმის განხორციელებამდე» (თურმე, რესპუბლიკა საარსებო საჭიროება არ ყოფილა! ავტორები, თავიანთი გულუბრყვილობით, ვერ ამჩნევენ, რომ წმინდა ანარქისტული ენით ლაპარაკობენ, თითქოს ისინი უარყოფდნენ ბურჟუაზიულ რევოლუციებში მონაწილეობას!), «მეორე მხრივ, **აიძულებს ბურჟუაზიულ კლასებს ჩამოშორდნენ რევოლუციის საქმეს და მით შეასუსტებს მის გაქანებას».**

აი სად მარხია ძაღლის თავი. აი სად ეხლართება ანარქისტული იდეები (როგორც ეს ყოველთვის ხდება დასავლეთ ევროპის ბერნშტეინელებშიც) წმინდა წყლის ოპორტუნიზმს. ერთი ჩაუკვირდით: დროებითს მთავრობაში არ უნდა შევიდეთ იმიტომ, რომ ეს აიძულებს ბურჟუაზიას ჩამოშორდეს

რევოლუციის საქმეს და მით შეასუსტებს რევოლუციის გა-ქანებასაო! კი, მაგრამ ეს ხომ მთლიანად, წმინდა და თანა-მიმდევარი სახით ის ახალისკრული ფილოსოფიაა, რომე-ლიც ამბობს: რაკი რევოლუცია ბურჟუაზიულია, ამიტომ ჩვენ მუხლი უნდა მოვიდრიკოთ ბურჟუაზიული უგვანობის წინა-შე და მას გზა მივცეთო. თუ ჩვენ, თუნდაც ნაწილობრივ, თუნდაც ერთი წუთით, იმ მოსაზრებით ვხელმძღვანელობთ, რომ ჩვენს მონაწილეობას შეუძლია ბურჟუაზია ჩამოგვაშო-როს, ამით ხომ ჩვენ რევოლუციაში მეთაურობას მთლიანად ბურჟუაზიულ კლასებს ვუთმობთ. ამით ჩვენ პროლეტარიატს მთლიანად ბურჟუაზიის მზრუნველობის ქვეშ ვაყენებთ (ჩვენ კი გვრჩება «კრიტიკის» სრული «თავისუფლება»!!), ვაიძუ-ლებთ პროლეტარიატს ზომიერი და მშვიდი იყოს, რათა ბურ-ჟუაზია არ ჩამოგვშორდეს. ჩვენ ვახშობთ პროლეტარიატის საარსებო საჭიროებას, სახელდობრ მის პოლიტიკურ საჭიროე-ბას, რომელიც არასდროს კარგად არ ესმოდათ ეკონომისტებ-სა და მათს ეპიგონებს, ვახშობთ იმისათვის, რომ ბურჟუაზია არ ჩამოგვშორდეს. ჩვენ მთლიანად ვტოვებთ დემოკრატიზმის განხორციელებისათვის რევოლუციური ბრძოლის ნიადაგს იმ ფარგლებში, რომლებიც პროლეტარიატს ესაჭიროება, და გა-დავდივართ ბურჟუაზიასთან ვაჭრობის ნიადაგზე, ვყიდუ-ლობთ რა პრინციპებისადმი ღალატით, რევოლუციისადმი ღა-ლატით მისი, ბურჟუაზიის, ნებაყოფლობითს თანხმობას («რომ არ ჩამოგვშორდეს»).

ორ მოკლე სტრიქონში კავკასიელმა ახალისკრელებმა შეს-ძლეს გამოეთქვათ რევოლუციის მიმართ გამცემლობის ტაქ-ტიკის მთელი რაობა, ბურჟუაზიული კლასების უბადრუკ მა-ჩანჩალად პროლეტარიატის გადაქცევის ტაქტიკის მთელი რაობა. ის, რაც ჩვენ ზემოთ ახალისკრელობის შეცდომებიდან გამოვიყვანეთ, როგორც ტენდენცია, აქ უკვე ნათელ და გარ-კვეულ პრინციპამდეა აყვანილი: ეს არის მონარქისტული ბურჟუაზიის კუდში ჩანჩალი. რადგან რესპუბლიკის განხორ-ციელება აიძულებდა (და უკვე აიძულებს — ბ-ნ სტრუვეს მა-გალითი) ბურჟუაზიას განზე გამდგარიყო, ამიტომ ძირს რეს-

პუბლიკისათვის ბრძოლა. რადგან ბურჟუაზიას ყოველთვის და მთელ მსოფლიოში აფრთხობს პროლეტარიატის ყოველი ენერგიული და ბოლომდე მიყვანილი დემოკრატიული მოთხოვნა და აიძულებს ჩამოგვშორდეს, ამიტომ — მიიმალეთ სოროებში, ამხანაგო მუშებო, იმოქმედეთ მხოლოდ გარედან, ნუ ფიქრობთ ისარგებლოთ რევოლუციისათვის «ბურჟუაზიულ-სახელმწიფოებრივი» წყობილების იარაღითა და საშუალებით და შეინარჩუნეთ «კრიტიკის თავისუფლება».

თვით «ბურჟუაზიული რევოლუციის» ტერმინის გაგებაში ძირითადი სიყალბე აქ აშკარად გამომზეურდა. მისი მარტინოვისებური ან ახალისკრული «გაგება» პირდაპირ მიმართულია პროლეტარიატის საქმის ბურჟუაზიის ხელში ჩაგდებისაკენ.

ვისაც დაავიწყდა ძველი ეკონომიზმი, ვინც მას არ სწავლობს და არ იხსენებს, მისთვის ძნელია გაიგოს ეკონომიზმის ახლანდელი გამოძახილიც. გაიხსენეთ ბერნშტეინული «Credo»[25]. «წმინდა პროლეტარული» შეხედულებებიდან და პროგრამებიდან ასეთი დასკვნა გამოჰყავდათ: ჩვენ, სოციალ-დემოკრატებს — ეკონომიკა, ნამდვილი მუშათა საქმე, ყოველგვარი პოლიტიკანობის კრიტიკის თავისუფლება, სოციალ-დემოკრატიული მუშაობის ნამდვილი გაღრმავება. მათ, ლიბერალებს — პოლიტიკა. ღმერთმა დაგვიფაროს «რევოლუციონიზმში» გადავარდნისაგან: ეს ბურჟუაზიას ჩამოგვაშორებსო. ვინც მთლიანად გადაიკითხავს «Credo»-ს ან «რაზოჩაია მისლის»[26] № 9 ცალკე დამატებას (1899 წლის სექტემბერი), ის იქ მთელი ამ მსჯელობის მსვლელობას დაინახავს.

ახლაც იგივეა, ოღონდ დიდი მასშტაბით, რუსეთის მთელი იმ «დიდი» რევოლუციის შეფასების მიმართ, რომელსაც, სამწუხაროდ, ორთოდოქსული ფილისტერობის თეორეტიკოსები წინდაწინვე ათახსირებენ და კარიკატურამდე აქვეითებენ! ჩვენ, სოციალ-დემოკრატებს — კრიტიკის თავისუფლება, შეგნების გაღრმავება, გარედან მოქმედება. მათ, ბურჟუაზიულ კლასებს — საქმის თავისუფლება, ასპარეზის თავისუფლება,

რევოლუციური (იგულისხმე: ლიბერალური) ხელმძღვანელობისათვის, ზევიდან «რეფორმების» გატარების თავისუფლება.

მარქსიზმის ეს ვულგარიზატორები არასოდეს არ ჩაჰფიქრებიან მარქსის სიტყვებს იმის შესახებ, რომ აუცილებელია კრიტიკის იარაღი იარაღის კრიტიკით შეიცვალოსო[27]. ამაოდ ახსენებენ რა მარქსის სახელს, ისინი საქმით ტაქტიკურ რეზოლუციებს სწორედ ისე ადგენენ, როგორც ფრანკფურტელი ბურჟუაზიული მოლაყბენი, რომლებიც აბსოლუტიზმს თავისუფლად აკრიტიკებდნენ, დემოკრატიულ შეგნებას აღრმავებდნენ და ის კი არ ესმოდათ, რომ რევოლუციის ხანა არის მოქმედების ხანა, მოქმედებისა როგორც ზევიდან, ისე ქვევიდან. გადააქციეს რა მარქსიზმი რეზონიორობად, მათ მოწინავე, ყველაზე გაბედული და ენერგიული რევოლუციური კლასის იდეოლოგია გახადეს მისი ყველაზე ჩამორჩენილი ფენების იდეოლოგიად, იმ ფენებისა, რომლებიც ძნელ რევოლუციურ-დემოკრატიულ ამოცანებს ემალებიან და ამ დემოკრატიულ ამოცანათა გადაჭრას ბატონ სტრუვეებს უთმობენ.

თუ რევოლუციურ მთავრობაში სოციალ-დემოკრატიის შესვლის გამო ბურჟუაზიული კლასები რევოლუციის საქმეს ჩამოშორდებიან, ისინი ამით «რევოლუციის გაქანებას შეასუსტებენო».

გესმით, რუსეთის მუშებო: თურმე რევოლუციის გაქანება უფრო ძლიერი იქნება, თუ მას ჩაატარებენ სოციალ-დემოკრატების მიერ არ დამფრთხალი ბატონი სტრუვეები, რომელთაც სურთ არა ცარიზმზე გამარჯვება, არამედ მასთან მორიგება. თურმე რევოლუციის გაქანება უფრო ძლიერი იქნება, თუ რევოლუციის იმ ორი შესაძლებელი შედეგიდან, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვხაზეთ, განხორციელდება პირველი, ე. ი. თუ მონარქისტული ბურჟუაზია თვითმპყრობელობას შიპოვისებურ «კონსტიტუციაზე» შეუთანხმდება!

სოციალ-დემოკრატები, რომლებიც მთელი პარტიის სახელმძღვანელო რეზოლუციებში ასეთ სამარცხვინო რამეებს წე-

რენ, ან რომლებიც ამ «მარჯვე» რეზოლუციებს იწონებენ, იმდენად დაბრმავებულნი არიან რეზონიორობით, რამაც მარქსიზმს მთელი სასიცოცხლო სული ამოართვა, რომ ვერ ამჩნევენ, თუ როგორ აქცევენ ეს რეზოლუციები ფრაზად ყველა მათს დანარჩენ კარგ სიტყვებს. აიღეთ «ისკრაში» რომელიმე მათი სტატია, აიღეთ თუნდაც ჩვენი ცნობილი მარტინოვის ყბადაღებული ბროშურა, — თქვენ გაიგონებთ სიტყვებს სახალხო აჯანყებაზე, რევოლუციის ბოლომდე მიყვანაზე, არათანამიმდევარ ბურჟუაზიასთან ბრძოლაში ხალხის დაბალ ფენებზე დაყრდნობის მისწრაფებაზე. მაგრამ ყველა ეს კარგი რამ უბადრუკ ფრაზად იქცევა იმ მომენტიდან, როგორც კი თქვენ იღებთ ან იწონებთ აზრს ბურჟუაზიის ჩამოშორების გამო «რევოლუციის გაქანების შესუსტების» შესახებ. ორში ერთი, ბატონებო: ან ჩვენ ხალხთან ერთად უნდა ვისწრაფოდეთ მოვახდინოთ რევოლუცია, მოვიპოვოთ ცარიზმზე სრული გამარჯვება, წინააღმდეგ არათანამიმდევარი, ანგარებიანი და ლაჩარი ბურჟუაზიისა; — ან ჩვენ არ ვიწყნარებთ ამ «წინააღმდეგ»-ს, გვეშინია, ვაითუ ბურჟუაზია «ჩამოგვშორდეს», და მაშინ პროლეტარიატსა და ხალხს ხელში ვუგდებთ ბურჟუაზიას, არათანამიმდევარ, ანგარებიან და ლაჩარ ბურჟუაზიას.

არ იფიქროთ ჩემი სიტყვების სხვანაირად გაგება. ნუ გაჰკივით, თითქოს თქვენ გაბრალებენ შეგნებულ გამცემლობას. არა, თქვენ მუდამ ისევე შეუგნებლად ეფლობით და ახლაც უკვე ჩაეფალით ჭაობში, როგორც ძველი ეკონომისტები, რომელნიც შეუჩერებლივ და მოუბრუნებლივ მიექანებოდნენ ძირს მარქსიზმის «გაღრმავების» მოლიპული გზით უსულგულო და უსიცოცხლო «სიბრძნემდე».

იფიქრეთ თუ არა თქვენ, ბატონებო, იმაზე, თუ რომელ რეალურ საზოგადოებრივ ძალებზეა დამოკიდებული «რევოლუციის გაქანება»? დავანებოთ თავი საგარეო პოლიტიკას, საერთაშორისო კომბინაციების ძალებს, რომელთა ვითარება დღეს მეტად ხელსაყრელია ჩვენთვის, მაგრამ რომელთაც ჩვენ ყველანი განხილვის სფეროდან ვრიცხავთ, და სამარ-

თლიანადაც ვრიცხავთ, რამდენადაც საკითხი რუსეთის შინაგან ძალებს ეხება. დააკვირდით ამ შინაგან საზოგადოებრივ ძალებს. რევოლუციის წინააღმდეგ დგას თვითმპყრობელობა, მეფის კარი, პოლიცია, მოხელეობა, ჯარი, ერთი მუჭა დიდკაცები. რაც უფრო ღრმაა ხალხის აღშფოთება, მით უფრო არასაიმედო ხდება ჯარი, მით უფრო მეტია მერყეობა მოხელეობაში. შემდეგ, ბურჟუაზია ახლა საერთოდ და მთლიანად რევოლუციის მხარეზე დგას, გულმოდგინებას იჩენს სიტყვების წარმოთქმით თავისუფლების შესახებ, სულ უფრო ხშირად ლაპარაკობს ხალხისა და რევოლუციის სახელითაც კი*. მაგრამ ჩვენ ყველამ, მარქსისტებმა, თეორიით ვიცით და ყოველდღე და ყოველ საათს ჩვენი ლიბერალების, ერობელებისა და ოსვობოჟდენიელების მაგალითით ვხედავთ, რომ ბურჟუაზია რევოლუციის მხარეზე დგას არათანამიმდევრად, ანგარებით, ლაჩრულად. ბურჟუაზია, მასობრივად აღებული, აუცილებლად გადაიხრება კონტრრევოლუციისაკენ, თვითმპყრობელობისაკენ და გაილაშქრებს რევოლუციის წინააღმდეგ, ხალხის წინააღმდეგ, როგორც კი მისი ვიწრო, ანგარებიანი ინტერესები დაკმაყოფილებული იქნება, როგორც კი იგი თანამიმდევარ დემოკრატიზმს «ჩამოშორდება» (ი გ ი უ კ ვ ე ა ხ ლ ა ც შ ო რ დ ე ბ ა მ ა ს!). რჩება «ხალხი», ესე იგი პროლეტარიატი და გლეხობა: მხოლოდ პროლეტარიატს შეუძლია ბოლომდე საიმედოდ იაროს, რადგან იგი დემოკრატიულ გადატრიალებაზე გაცილებით შორს მიდის. სწორედ ამიტომ პროლეტარიატი პირველ რიგებში იბრძვის რესპუბლიკისათვის, ზიზღით უკუაგდებს სულელურ და მისთვის არასაკადრის რჩევას — ანგარიში გაუწიოს იმას, ვაითუ ბურჟუაზია ჩამოგვშორდესო. გლეხობა შეიცავს უამრავ ნახევრადპროლეტარულ ელემენტებს წვრილბურჟუაზიულ ელემენტებთან ერთად. ესეც მას მერყევად ხდის და აიძულებს

* ამ მხრივ საინტერესოა ბ-ნ სტრუვეს ღია წერილი ჟორესისადმი; წერილი უკანასკნელმა ახლახან დაბეჭდა გაზეთ «L' Humanite»-ში[28], ხოლო ბ-მა სტრუვემ — «ოსვობოჟდესიეს» 72-ე ნომერში.

პროლეტარიატს დაირაზმოს მტკიცე კლასობრივ პარტიად. მაგრამ გლეხობის მერყეობა ძირფესვიანად განსხვავდება ბურჟუაზიის მერყეობისაგან, რადგან გლეხობა ამჟამად დაინტერესებულია არა იმდენად კერძო საკუთრების აუცილებლად დაცვით, რამდენადაც მემამულეთა მიწის, ამ საკუთრების ერთ-ერთი მთავარი სახის, წართმევით. გლეხობა ამით სოციალისტური არ ხდება, ის კვლავ წვრილბურჟუაზიული რჩება, მაგრამ მას უნარი შესწევს დემოკრატიული რევოლუციის სრული და უაღრესად რადიკალური მომხრე გახდეს. გლეხობა გარდუვალად გახდება ასეთი, თუ კი რევოლუციურ მოვლენათა მსვლელობა, რომელიც მას ათვითცნობიერებს, ბეტისმეტად ადრე არ შეწყდა ბურჟუაზიის გამცემლობითა და პროლეტარიატის დამარცხებით. გლეხობა გარდუვალად გახდება, აღნიშნული პირობით, რევოლუციისა და რესპუბლიკის დასაყრდენი, რადგან მხოლოდ სავსებით გამარჯვებული რევოლუცია შესძლებს მისცეს გლეხობას ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი მიწის რეფორმათა სფეროში, ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი ის, რაც გლეხობას სურს, რაზედაც ის ოცნებობს, რაც ნამდვილად ესაჭიროება მას (არა კაპიტალიზმის მოსასპობად, როგორც «სოციალისტ-რევოლუციონერები» ფიქრობენ, არამედ) იმისათვის, რომ თავი დააღწიოს ნახევრადბატონყმობის ჭაობს, სიბეჩავისა და მონობის წყვდიადს, რომ გაიუმჯობესოს ცხოვრების პირობები იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია სასაქონლო მეურნეობის ფარგლებში.

ეგ კიდევ არაფერი: გლეხობას რევოლუციასთან აკავშირებს არა მარტო რადიკალური აგრარული გარდაქმნა, არამედ გლეხობის ყველა საერთო და მუდმივი ინტერესებიც. პროლეტარიატთან ბრძოლაშიც კი გლეხობას დემოკრატია ესაჭიროება, რადგან მხოლოდ დემოკრატიულ წყობილებას შეუძლია ზუსტად გამოხატოს მისი ინტერესები და მიანიჭოს მას უპირატესობა როგორც მასას, როგორც უმრავლესობას. რაც უფრო განათლებული იქნება გლეხობა (იაპონიასთან ომის შემდეგ კი ის ისე სწრაფად ვითარდება, რომ ბევრი, ვინც მიჩვეულია განათლების ზომვას მხოლოდ სასკოლო საზომით,

ვერც კი წარმოიდგენს), მით უფრო მტკიცედ და გადაჭრით მიემხრობა იგი სრულ დემოკრატიულ გადატრიალებას, რადგან მისთვის ხალხის უზენაესობა არათუ საშიში არ არის, როგორც ბურჟუაზიისთვის, არამედ ხელსაყრელია. დემოკრატიული რესპუბლიკა მისი იდეალი გახდება, როგორც კი ის თავს დააღწევს გულუბრყვილო მონარქიზმს, რადგან მომაკლერე ბურჟუაზიის შეგნებული მონარქიზმი (ზედა პალატით და სხვ.) გლეხობისთვის იმავე უუფლებობას, იმავე დაბეჩავებასა და სიბნელეს ნიშნავს, მხოლოდ ოდნავ შეფერილს ევროპულ-კონსტიტუციური ლაქით.

ამიტომაცაა, რომ ბურჟუაზია, როგორც კლასი, ბუნებრივად და აუცილებლად მიისწრაფის ლიბერალურ-მონარქისტული პარტიის ფრთებ ქვეშ თავის შეფარებისაკენ, ხოლო გლეხობა, როგორც მასა, — რევოლუციური და რესპუბლიკური პარტიის მხრივ ხელმძღვანელობისაკენ. ამიტომაცაა, რომ ბურჟუაზიას არ ძალუძს დემოკრატიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა, გლეხობას კი უნარი შესწევს ბოლომდე მიიყვანოს რევოლუცია, და ჩვენც მთელი ძალღონით უნდა დავეხმაროთ მას ამაში.

შემომედავებიან: რა საჭიროა ამის მტკიცება, ეს ანბანია, ყველა სოციალ-დემოკრატს ეს მშვენივრად ესმისო. არა, ეს არ ესმით იმათ, ვისაც შეუძლია ილაპარაკოს რევოლუციის «გაქანების შესუსტებაზე» მისგან ბურჟუაზიის ჩამოშორების გამო. ასეთი ადამიანები იმეორებენ ჩვენი აგრარული პროგრამის დაზეპირებულ სიტყვებს, მაგრამ მათი მნიშვნელობა კი არ ესმით, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მათ არ შეეშინდებოდათ პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული ცნებისა, რომელიც გარდუვალად გამომდინარეობს მთელი მარქსისტული მსოფლმხედველობიდან და ჩვენი პროგრამიდან; წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი რუსეთის დიდი რევოლუციის გაქანებას ბურჟუაზიის გაქანებით არ შეზღუდავდნენ. ასეთი ადამიანები თავიანთ აბსტრაქტულ მარქსისტულ რევოლუციურ ფრა-

ზებს თავიანთი კონკრეტული ანტიმარქსისტული და ანტირევოლუციური რეზოლუციებით აქარწყლებენ.

ვისაც ნამდვილად ესმის გლეხობის როლი რუსეთის ძლევამოსილ რევოლუციაში, იგი ვერ ილაპარაკებდა, რომ რევოლუციის გაქანება შესუსტდება, როდესაც მას ბურჟუაზია ჩამოშორდებაო. ვინაიდან სინამდვილეში მხოლოდ მაშინ დაიწყება რუსეთის რევოლუციის ნამდვილი გაქანება, მხოლოდ მაშინ იქნება ეს ნამდვილი უდიდესი რევოლუციური გაქანება, რომელიც კი შესაძლებელია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გადატრიალების ეპოქაში, როდესაც ბურჟუაზია ჩამოშორდება, ხოლო ექტიურ რევოლუციონერად გამოვა გლეხობის მასა პროლეტარიატთან ერთად. იმისათვის, რომ ჩვენი დემოკრატიული რევოლუცია თანამიმდევრად და ბოლომდე იქნას მიყვანილი, იგი უნდა დაეყრდნოს ისეთ ძალებს, რომლებსაც შესწევთ ბურჟუაზიის გარდუვალი არათანამიმდევრობის გაქარწყლების უნარი (ე. ი. შესწევთ უნარი, რომ სწორედ «აიძულონ იგი ჩამოშორდეს», რისიც ეშინიათ, მოუსაზრებლობის გამო, «ისკრის» კავკასიელ მომხრეებს).

პროლეტარიატმა ბოლომდე უნდა გაატაროს დემოკრატიული გადატრიალება, შეიერთოს გლეხობის მასა, რათა ძალით დათრგუნოს თვითმპყრობელობის წინააღმდეგობა და გააქარწყლოს ბურჟუაზიის მერყეობა. პროლეტარიატმა უნდა მოახდინოს სოციალისტური გადატრიალება, შეიერთოს მოსახლეობის ნახევრადპროლეტარული ელემენტების მასა, რათა ძალით გატეხოს ბურჟუაზიის წინააღმდეგობა და გააქარწყლოს გლეხობისა და წვრილი ბურჟუაზიის მერყეობა. ასეთია პროლეტარიატის ამოცანები, რომლებიც ძალიან ვიწროდ აქვთ წარმოდგენილი ახალისკრელებს ყველა თავიანთ მსჯელობასა და რეზოლუციაში რევოლუციის გაქანების შესახებ.

არ უნდა დავივიწყოთ მხოლოდ ერთი გარემოება, რომელსაც ხშირად მხედველობიდან უშვებენ ამ «გაქანების» თემაზე მსჯელობის დროს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ლაპარაკია არა ამოცანის სიძნელეებზე, არამედ იმაზე, თუ რომელ გზაზე ვეძიოთ და მოვითხოვოთ მისი გადაჭრა. ლაპარაკია არა იმაზე, ადვილია თუ ძნელი, რომ რევოლუციის ეს გაქანება მძლავრი და უძლეველი გავხადოთ, არამედ იმაზე, თუ როგორ მოვიქცეთ ამ გაქანების გასაძლიერებლად. უთანხმოება ეხება სწორედ მოქმედების ძირითად ხასიათს, თვით მის მიმართულებას. ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავთ ამას იმიტომ, რომ უგულისყურო და არაკეთილსინდისიერი ადამიანები ძლიერ ხშირად ურევენ ერთმანეთში ორ სხვადასხვა საკითხს: გზის მიმართულების, ე. ი. ორი სხვადასხვა გზიდან ერთის არჩევის საკითხს, და მიზნის ადვილად განხორციელების ან ამა თუ იმ გზით მისი განხორციელების სიახლოვის საკითხს.

ამ უკანასკნელ საკითხს ჩვენ ზემოთ სრულებით არ შევხებივართ, რადგან ეს საკითხი ჩვენი პარტიის შიგნით აზრთა სხვადასხვაობასა და უთანხმოებას არ იწვევდა. მაგრამ, რა საკვირველია, თავისთავად ეს საკითხი მეტად მნიშვნელოვანია და ყველა სოციალ-დემოკრატის მხრივ უაღრესად სერიოზული ყურადღების ღირსია. მიუტევებელი ოპტიმიზმი იქნებოდა იმ სიძნელეთა დავიწყება, რომლებიც დაკავშირებულია მოძრაობაში არა მარტო მუშათა კლასის, არამედ აგრეთვე გლეხობის მასის ჩაბმასთან. სწორედ ამ სიძნელეებზე არა ერთხელ დამსხვრეულა დემოკრატიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანის ცდები, ამასთანავე იმარჯვებდა ყველაზე უფრო არათანამიმდევარი და ანგარებიანი ბურჟუაზია, რომელიც ხალხისაგან მონარქიის დაცვის «კაპიტალსაც იძენდა» და ლიბერალიზმის... ან «ოსვობოჟდენიელობის» «უმანკოებასაც ინარჩუნებდა». მაგრამ სიძნელე განუხორციელებლობა როდია. აქ მნიშვნელოვანია რწმენა, რომ არჩეული გზა სწორია, ეს რწმენა კი აასკეცებს რევოლუციურ ენერგიასა და რევოლუციურ ენთუზიაზმს, რომლებსაც სასწაულთა მოხდენა შეუძლიათ.

თუ რამდენად ღრმაა თანამედროვე სოციალ-დემოკრატების უთანხმოება გზის არჩევის საკითხში, ამას ერთბაშად გვიჩვენებს ახალისკრელთა კავკასიის რეზოლუციისა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III ყრილობის რეზოლუციის შედარება. ყრილობის რეზოლუცია ამბობს: ბურჟუაზია არათანამიმდევარია, იგი აუცილებლად შეეცდება რევოლუციის მონაპოვარნი ხელიდან გამოგვგლიჯოს. ამიტომ, ამხანაგო-მუშებო, უფრო ენერგიულად ემზადეთ ბრძოლისათვის, შეიარაღდით და მიიმხრეთ გლეხობა. ჩვენს რევოლუციურ მონაპოვართ ანგარებიან ბურჟუაზიას უბრძოლველად არ დავუთმობთ. კავკასიელ ახალისკრელთა რეზოლუცია ამბობს: ბურჟუაზია არათანამიმდევარია, მას შეუძლია რევოლუციას ჩამოშორდეს. ამიტომ, ამხანაგო-მუშებო, ნუ იფიქრებთ, გეთაყვათ. დროებითს მთავრობაში მონაწილეობაზე. ვინაიდან მაშინ ბურჟუაზია უსათუოდ ჩამოგეშორდება და რევოლუციის გაქანება შესუსტდებაო!

ერთნი ამბობენ: წინ წასწიეთ რევოლუცია, ბოლომდე მიიყვანეთ იგი, მიუხედავად არათანამიმდევარი ბურჟუაზიის წინააღმდეგობისა ან პასიურობისა.

მეორენი ამბობენ: ნუ ფიქრობთ რევოლუციის ბოლომდე დამოუკიდებლად გატარებაზე, რადგან არათანამიმდევარი ბურჟუაზია მაშინ მას ჩამოშორდებაო.

განა ჩვენს წინაშე ორი დიამეტრულად მოპირდაპირე გზა არ არის? განა აშკარა არ არის, რომ ერთი ტაქტიკა მეორეს აუცილებლად უარყოფს? განა აშკარა არ არის, რომ პირველი ტაქტიკა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ერთადერთი სწორი ტაქტიკაა, ხოლო მეორე არსებითად წმინდა ოსვობოჟდენიელური ტაქტიკა?

13. დასკვნა. გავბედავთ თუ არა გამარჯვებას?

ისინი, ვინც ზერელედ არიან გაცნობილი საქმის მდგომარეობას რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში ან გარედან მსჯელობენ, ვინც არ იცნობენ მთელი ჩვენი შინაპარტიული



157-ე გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა
«სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში». — 1905 წ.

დაპატარავებული

ბრძოლის ისტორიას ეკონომიზმის წარმოშობის დროიდან, ძლიერ ხშირად არიდებენ თავს იმ ტაქტიკურ უთანხმოებასაც, რომელიც ახლა, განსაკუთრებით III ყრილობის შემდეგ, გამოიკვეთა, უბრალო მითითებით იმაზე, რომ ყოველ სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას ორი ბუნებრივი, აუცილებელი, სავსებით შესარიგებელი ტენდენცია აქვსო. ერთი მხრივ, გაძლიერებული ხაზის გასმა ჩვეულებრივი, მიმდინარე, ყოველდღიური მუშაობისათვის, პროპაგანდა-აგიტაციის განვითარების, ძალების მომზადების, მოძრაობის გაღრმავების აუცილებლობისათვისო და სხვა. მეორე მხრივ, მოძრაობის საბრძოლო, საერთო პოლიტიკურ, რევოლუციურ ამოცანათა ხაზგასმა, შეიარაღებული აჯანყების აუცილებლობაზე მითითება, წამოყენება ლოზუნგებისა: რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა, დროებითი რევოლუციური მთავრობა. არც ერთი, არც მეორე მხარე არ უნდა გავაზვიადოთ, არც იქ, არც აქ (ისე როგორც არსად ქვეყანაზე) არ ვარგა უკიდურესობანიო და სხვ. და სხვ.

მაგრამ ცხოვრების («პოლიტიკურისაც» ბრჭყალებში) სიბრძნის იაფფასიანი ჭეშმარიტებანი, რომლებიც უეჭველად არის ამგვარ მსჯელობაში, ძლიერ ხშირად ჩქმალავენ პარტიის საარსებო, მწვავე საჭიროებათა გაუგებლობას. აიღეთ თანამედროვე ტაქტიკური უთანხმოებანი რუსეთის სოციალ-დემოკრატებს შორის. რასაკვირველია, თავისთავად მუშაობის ყოველდღიური, ჩვეულებრივი მხარისათვის გაძლიერებული ხაზგასმა, რასაც ჩვენ ვხედავთ ახალისკრელთა მსჯელობაში ტაქტიკის შესახებ, კიდევ არ წარმოადგენს არავითარ საფრთხეს და ტაქტიკურ ლოზუნგებშიც ვერავითარ უთანხმოებას ვერ გამოიწვევდა. მაგრამ საკმარისია შევადაროთ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III ყრილობის რეზოლუციები კონფერენციის რეზოლუციებს, რომ ეს უთანხმოება აშკარა გახდეს.

მაშ რაშია საქმე? ჯერ-ერთი, იმაში, რომ არ კმარა მარტო ზოგადი, აბსტრაქტული მითითება მოძრაობაში არსებულ ორ ნაკადზე და უკიდურესობათა მავნებლობაზე. უნდა ვიცოდეთ

კონკრეტულად, რა ნაკლი აქვს. ამა თუ იმ მომენტში ამა თუ იმ მოძრაობას, რაში მდგომარეობს ახლა პარტიისათვის რეალური პოლიტიკური საფრთხე. მეორეც, უნდა ვიცოდეთ რომელ რეალურ პოლიტიკურ ძალებს უმაგრებენ ზურგს ესა თუ ის ტაქტიკური ლოზუნგები, — ან, შეიძლება, ამა თუ იმ ლოზუნგების უქონლობა. მოუსმინეთ ახალისკრელებს — და თქვენ იმ დასკვნამდე მიხვალთ, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას მოელის იმის საფრთხე, რომ ის უკუაგდებს პროპაგანდასა და აგიტაციას, ეკონომიურ ბრძოლას და ბურჟუაზიული დემოკრატიის კრიტიკას, რომ მას ზომაზე მეტად გაიტაცებს სამხედრო სამზადისი, შეიარაღებული თავდასხმები, ძალაუფლების დაპყრობა და სხვა. ნამდვილად კი რეალური საფრთხე პარტიას სულ სხვა მხრიდან ემუქრება. ვინც რაოდენადმე მაინც ახლოს იცნობს მოძრაობის მდგომარეობას, ვინც მას ყურადღებით და დაკვირვებით ადევნებს თვალყურს, მას არ შეუძლია არ დაინახოს ახალისკრელთა შიშის სასაცილო მხარე. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მთელი მუშაობა სავსებით ჩამოყალიბდა უკვე მტკიცე, უცვლელ ჩარჩოებში, რომელნიც სრულიად უზრუნველყოფენ სიმძიმის ცენტრის გადატანას პროპაგანდა-აგიტაციაზე, სახელდახელო და მასობრივ მიტინგებზე, ფურცლებისა და ბროშურების გავრცელებაზე, ეკონომიური ბრძოლისათვის ხელშეწყობასა და მისი ლოზუნგების მიღებაზე. არ არსებობს პარტიის არც ერთი კომიტეტი, არც ერთი რაიონული კომიტეტი, არც ერთი ცენტრალური კრება, არც ერთი საქარხნო ჯგუფი, რომელშიც ყურადღების, ძალებისა და დროის ოთხმოცდაცხრამეტი მეასედი ნაწილი ყოველთვის და მუდმივ არ ეთმობოდეს ყველა ამ ფუნქციას, რომლებიც ჯერ კიდევ 90-ანი წლების მეორე ნახევრიდან დამკვიდრდნენ. ეს არ იციან მხოლოდ იმ ადამიანებმა, რომელნიც მოძრაობას სრულიად არ იცნობენ. ახალისკრელთა მხრივ გაცვეთილი აზრების განმეორება, როცა ამ განმეორებას განსაკუთრებული სერიოზული გამომეტყველებით აკეთებენ, მხოლოდ ძალიან გულუბრ-

ყვილო ან საქმესთან გაუცნობელ ადამიანებს შეუძლიათ ხალას ჭეშმარიტებად მიიჩნიონ.

ფაქტი ის არის, რომ ჩვენში არამცთუ ზედმეტად არ არიან გატაცებული აჯანყების ამოცანებით, საერთო პოლიტიკური ლოზუნგებით, მთელი სახალხო რევოლუციის ხელმძღვანელობის საქმით, არამედ, პირიქით, სწორედ ამ მხრივ ჩამორჩენილობა გვხვდება თვალში. იგი წარმოადგენს ყველაზე მტკივნეულ ადგილს, მოძრაობის რეალურ საფრთხეს, მოძრაობისა, რომელიც შეიძლება გადაგვარდეს და აქა-იქ კიდეც ხდება მისი გადაგვარება საქმით დამტკიცებული რევოლუციური მოძრაობიდან სიტყვით გამოთქმულ რევოლუციურ მოძრაობად. მრავალი ასეული ორგანიზაციიდან, ჯგუფიდან და წრიდან, რომლებიც პარტიის სამუშაოს ასრულებენ, თქვენ ვერ ნახავთ ვერც ერთს, რომელშიც დღიდან მისი წარმოშობისა არ წარმოებდეს ის ყოველდღიური მუშაობა, რომლის შესახებ ახალი «ისკრის» ბრძენნი მოგვითხრობენ ისეთი სახით, თითქოს ახალი ჭეშმარიტებანი აღმოეჩინოთ. და, პირიქით, თქვენ ნახავთ ჯგუფებისა და წრეების უმნიშვნელო პროცენტს, რომლებმაც შეიგნეს შეიარაღებული აჯანყების ამოცანები, შეუდგნენ მათს განხორციელებას, გაითვალისწინეს ცარიზმის წინააღმდეგ მთელი სახალხო რევოლუციის ხელმძღვანელობის აუცილებლობა, საამისოდ სწორედ ასეთი და არა სხვა მოწინავე ლოზუნგების წამოყენების აუცილებლობა.

ჩვენ წარმოუდგენლად ჩამოვრჩით მოწინავე და ნამდვილ რევოლუციურ ამოცანებს, ჩვენ ისინი ჯერ კიდევ ვერ შეგვიგნია უამრავ შემთხვევაში, ჩვენ გამოგვეპარა აქაც და იქაც რევოლუციური ბურჟუაზიული დემოკრატიის გაძლიერება ჩვენი ამ მხრივ ჩამორჩენილობის გამო. ახალი «ისკრის» მწერლები კი, რომლებმაც ზურგი შეაქციეს მოვლენათა მსვლელობას და დროის მოთხოვნებს, დაჟინებით იმეორებენ: ნუ დაივიწყებთ ძველს! ნუ გაგიტაცებთ ახალი! ეს არის კონფერენციის ყველა მნიშვნელოვანი რეზოლუციის ძირი-

თადი უცვლელი მოტივი, მაშინ როდესაც ყრილობის რეზოლუციებში თქვენ აგრეთვე მუდამ კითხულობთ: ვადასტურებთ რა ძველს (და არ ვჩერდებით რა მის გადაღეჭვაზე სწორედ იმიტომ, რომ იგი ძველია, უკვე გადაწყვეტილი და დადასტურებულია ლიტერატურით, რეზოლუციებითა და გამოცდილებით), ჩვენ ვაყენებთ ახალ ამოცანას, ვაქცევთ მას ყურადღებას, ვაყენებთ ახალ ლოზუნგს და ნამდვილი რევოლუციური სოციალ-დემოკრატებისაგან მოვითხოვთ დაუყოვნებლივ შეუდგნენ მუშაობას მისი განხორციელებისათვის.

აი ნამდვილად როგორა დგას საკითხი სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკის ორი მიმდინარეობის შესახებ. რევოლუციურმა ეპოქამ წამოაყენა ახალი ამოცანები, რომელთა მხოლოდ სრულიად ბრმები ვერ ხედავენ. ზოგი სოციალ-დემოკრატი ამ ამოცანებს გადაჭრით ცნობს და დღის წესრიგში აყენებს: შეიარაღებული აჯანყება გადაუდებელია, ემზადეთ მისთვის დაუყოვნებლივ და ენერგიულად, გახსოვდეთ, რომ იგი აუცილებლად საჭიროა გადამწყვეტი გამარჯვებისათვის, წამოაყენეთ რესპუბლიკის, დროებითი მთავრობის, პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის ლოზუნგები. სხვები კი უკან იხევენ, ერთ ადგილს ტკეპნიან, ლოზუნგების ნაცვლად წინასიტყვაობებს იძლევიან, ძველის დადასტურებასთან ერთად ახლის მითითების ნაცვლად ამ ძველს ვრცლად და მოსაწყენად ღეჭავენ, თხზავენ ახლისაგან თავის არიდების მიზეზებს, არ შესწევთ უნარი — განსაზღვრონ გადამწყვეტი გამარჯვების პირობები, წამოაყენონ ლოზუნგები, რომლებიც ერთადერთნი შეეფერებიან სრული გამარჯვების მოპოვების მისწრაფებას.

ამ მაჩანჩალობის პოლიტიკური შედეგი უკვე გვაქვს. არაკი იმის შესახებ, თითქოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის «უმრავლესობა» დაუახლოვდა რევოლუციურ ბურჟუაზიულ დემოკრატიას, არაკად რჩება, მას არ ადასტურებს არც ერთი პოლიტიკური ფაქტი, «ბოლშევიკების» არც ერთი გავლენიანი რეზოლუცია, რუსეთის სოციალ-დე-

მოკრატიული მუშათა პარტიის III ყრილობის არც ერთი აქტი. ხოლო იმავე დროს ოპორტუნისტული, მონარქისტული ბურჟუაზია «ოსვობოჟდენიეს» სახით დიდი ხანია იწონებს ახალისკრელობის «პრინციპულ» ტენდენციებს, ახლა კი უკვე პირდაპირ მათი წყლით თავის წისქვილს აბრუნებს, ითვისებს ყველა მათს სიტყვებსა და უბადრუკ «იდეებს» «კონსპირაციისა» და «ამბოხის» წინააღმდეგ, რევოლუციის «ტექნიკური» მხარის გაზვიადების წინააღმდეგ, შეიარაღებული აჯანყების ლოზუნგის პირდაპირი წამოყენებისა და უკიდურეს მოთხოვნათა «რევოლუციონიზმის» წინააღმდეგ და სხვა და სხვა. კავკასიის სოციალ-დემოკრატ-«მენშევიკების» მთელი კონფერენციის რეზოლუცია და ახალი «ისკრის» რედაქციის მიერ ამ რეზოლუციის მოწონება ყოველივე ამას სრულიად გარკვეულ არაორაზროვან პოლიტიკურ ჯამს უკეთებს: ვაითუ ბურჟუაზია ჩამოგვშორდეს, თუ პროლეტარიატმა რევოლუციურ-დემოკრატიულ დიქტატურაში მონაწილეობა მიიღოო! ამით ყველაფერია ნათქვამი. ამით საბოლოოდ განმტკიცებულია პროლეტარიატის გადაქცევა მონარქისტული ბურჟუაზიის მაჩანჩალად. ამით საქმით დადასტურებულია ახალისკრელთა მაჩანჩალობის პოლიტიკური მნიშვნელობა, დადასტურებულია არა ერთი პირის შემთხვევითი განცხადებით, არამედ მთელი მიმართულების მიერ სპეციალურად მოწონებული რეზოლუციით.

ვინც ამ ფაქტებს ჩაუფიქრდება, ის გაიგებს სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ორ მხარესა და ორ ტენდენციაზე გაცვეთილ მითითებათა ნამდვილ მნიშვნელობას. აიღეთ ბერნშტეინიადა, რათა ეს ტენდენციები დიდ მასშტაბზე შეისწავლოთ. ბერნშტეინელები ხომ სიტყვასიტყვით ამბობდნენ და ამბობენ, რომ სწორედ მათ ესმით პროლეტარიატის ჭეშმარიტი საჭიროებანი, მის ძალთა ზრდის, მთელი მუშაობის გაღრმავების, ახალი საზოგადოების ელემენტების მომზადების, პროპაგანდისა და აგიტაციის ამოცანები. ჩვენ მოვითხოვთ აშკარად იქნას აღიარებული ის, რაც არისო! — ამბობს ბერნ-

შტეინი და მით აკანონებს «მოძრაობას» «საბოლოო მიზნის» გარეშე, აკანონებს მხოლოდ მოგერიებითს ტაქტიკას, ქადაგებს შიშის ტაქტიკას, «ვაითუ ბურჟუაზია ჩამოგვშორდესო». ბერნშტეინელებიც გაჰკიოდნენ რევოლუციური სოციალ-დემოკრატების «იაკობინიზმზე», «ლიტერატორებზე», რომელთაც არ ესმით «მუშათა თვითმოქმედება» და სხვა და სხვა. ნამდვილად კი, როგორც ყველასთვის ცნობილია, რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებს არც კი უფიქრნიათ მიენებებინათ თავი ყოველდღიური და წვრილმანი მუშაობისთვის, ძალთა მომზადებისთვის და სხვ., და სხვ.. ისინი მხოლოდ მოითხოვდნენ საბოლოო მიზნის ნათლად შეგნებას, რევოლუციური ამოცანების ნათლად დაყენებას, მათ სურდათ პროლეტარიატის რევოლუციურობამდე აეყვანათ ნახევრადპროლეტარული და ნახევრადწვრილბურჟუაზიული ფენები და არა დაეკნინებინათ ეს რევოლუციურობა ოპორტუნისტულ მოსაზრებამდე, «ვაითუ ბურჟუაზია ჩამოგვშორდესო». მგონი, ყველაზე რელიეფური გამოხატულება პარტიის ინტელიგენტურ-ოპორტუნისტული და პროლეტარულ-რევოლუციური ფრთის ამ განხეთქილებისა იყო კითხვა: **dürfen wir siegen?** «გავბედავთ თუ არა. გამარჯვებას?» ნება გვეძლევა თუ არა გავიმარჯვოთ? საშიში ხომ არ არის ჩვენთვის გამარჯვება? უნდა გავიმარჯვოთ თუ არა? ერთი შეხედვით ეს კითხვა უცნაურია, მაგრამ იგი დასმულ იქნა და კიდევაც უნდა ყოფილიყო დასმული, რადგან ოპორტუნისტებს გამარჯვებისა ეშინოდათ, პროლეტარიატს აშინებდნენ გამარჯვების საფრთხით, მისგან უბედურებას წინასწარმეტყველებდნენ, სასაცილოდ იგდებდნენ ლოზუნგებს, რომლებიც პირდაპირ მისკენ უხმობდნენ.

ჩვენც იგივე ძირითადი დაყოფა გვაქვს ინტელიგენტურ-ოპორტუნისტულ და პროლეტარულ-რევოლუციურ ტენდენციად, მხოლოდ იმ, მეტად არსებითი, განსხვავებით, რომ აქ ლაპარაკია არა სოციალისტურ, არამედ დემოკრატიულ გადატრიალებაზე. ჩვენც ვაყენებთ ერთი შეხედვით შეუსაბამო

კითხვას: «გავბედავთ თუ არა გამარჯვებას?». იგი დასმულია მარტინოვის მიერ მის «ორ დიქტატურაში», რომელიც უბედურებას გვიწინასწარმეტყველებდა იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ აჯანყებას ძლიერ კარგად მოვამზადებთ და საესებით წარმატებით ჩავატარებთ. იგი დასმულია ახალისკრელთა მთელ ლიტერატურაში დროებითი რევოლუციური მთავრობის საკითხზე, ამასთანავე ყოველთვის გულმოდგინედ, მაგრამ უშედეგოდ ცდილობდნენ ერთმანეთში აერიათ მილიერანის მონაწილეობა ბურჟუაზიულ-ოპორტუნისტულ მთავრობაში და ვარლენის[29] მონაწილეობა წვრილბურჟუაზიულ რევოლუციურ მთავრობაში. იგი განმტკიცებულია რეზოლუციით: «ვაითუ ბურჟუაზია ჩამოგვშორდესო». და თუმცა, მაგალითად, კაუტსკი დღეს ცდილობს დაგვცინოს, რომ ჩვენი დავა დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ ჯერ კიდევ ცოცხალი დათვის ტყავის გაყოფას ჰგავსო, მაგრამ ეს ირონია მხოლოდ იმის მაჩვენებელია, თუ როგორ ხდება, რომ თვით ჭკვიანი და რევოლუციური სოციალ-დემოკრატებიც კი არასახარბიელო მდგომარეობაში ვარდებიან, როცა ისინი მხოლოდ ყურმოკრულ რამეზე ლაპარაკობენ. გერმანიის სოციალ-დემოკრატია ჯერ კიდევ არც ისე ახლოს არის იმასთან, რომ დათვი მოკლას (ე. ი. სოციალისტური გადატრიალება მოახდინოს), მაგრამ დავას იმის შესახებ, «გავბედავთ» თუ არა მის მოკვლას, უდიდესი პრინციპული და პრაქტიკულ-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. რუსეთის სოციალ-დემოკრატები ჯერ კიდევ არც ისე ახლოს არიან იმასთან, რომ შესწევდეთ ძალა «მოკლან თავიანთი დათვი» (მოახდინონ დემოკრატიული გადატრიალება), მაგრამ საკითხს იმის შესახებ, «გავბედავთ» თუ არა მის მოკვლას, რუსეთის მთელი მომავლისა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მომავლისათვის უაღრესად სერიოზული მნიშვნელობა აქვს. ლაპარაკიც კი შეუძლებელია არმიის ენერგიულ, წარმატებით შეკრებაზე, მისთვის ხელმძღვანელობის გაწევაზე, თუ არ არის რწმენა, რომ ჩვენ გამარჯვებას «გავბედავთ».

აიღეთ ჩვენი ძველი ეკონომისტები. ისინიც გაჰკიოდნენ, რომ მათი მოწინააღმდეგენი — შეთქმულები, იაკობინელები არიან (იხ. «რაბოჩეე დელო», განსაკუთრებით № 10, და მარტინოვის სიტყვა II ყრილობაზე პროგრამის გამო გამართულ დებატებში), რომ ისინი მასას შორდებიან, ეტანებიან რა პოლიტიკას, რომ ისინი ივიწყებენ მუშათა მოძრაობის საფუძვლებს, ანგარიშს არ უწევენ მუშათა თვითმოქმედებასაო და სხვა და სხვა. სინამდვილეში კი «მუშათა თვითმოქმედების» ეს მომხრენი ინტელიგენტი ოპორტუნისტები იყვნენ, რომლებიც მუშებს თავს ახვევდნენ პროლეტარიატის ამოცანების თავიანთ ვიწრო და ფილისტერულ გაგებას. სინამდვილეში ეკონომიზმის მოწინააღმდეგეებს, როგორც ამას ძველი «ისკრის» მიხედვით ყველა დაინახავს, თავი არ მიუნებებიათ და უკანა რიგში არ დაუყენებიათ სოციალ-დემოკრატიული მუშაობის არც ერთი მხარე, სრულებითაც არ დავიწყებიათ ეკონომიური ბრძოლა, ამავე დროს კი მათ ეხერხებოდათ საარსებო და მორიგი პოლიტიკური ამოცანების მთელი სიგრძე-სიგანით დასახვა, წინააღმდეგობას უწევდნენ რა მუშათა პარტიის გადაქცევას ლიბერალური ბურჟუაზიის «ეკონომიურ» დანამატად.

ეკონომისტებმა გაიზეპირეს, რომ პოლიტიკას საფუძვლად ეკონომიკა უდევსო, და ეს ისე «გაიგეს», თითქოს საჭირო იყოს პოლიტიკური ბრძოლის დაყვანა ეკონომიურ ბრძოლამდე. ახალისკრელებმა გაიზეპირეს, რომ დემოკრატიული გადატრიალების ეკონომიური საფუძველი არის ბურჟუაზიული რევოლუციაო, და ეს ისე «გაიგეს», თითქოს საჭიროა პროლეტარიატის დემოკრატიული ამოცანების დაკნინება ბურჟუაზიული ზომიერების დონემდე, იმ საზღვრამდე, რომლის იქით «ბურჟუაზია ჩამოგვშორდება». მუშაობის გაღრმავების, მუშათა თვითმოქმედებისა და წმინდა კლასობრივი პოლიტიკის საბაბით, — ეკონომისტები ნამდვილად მუშათა კლასს ლიბერალურ-ბურჟუაზიულ პოლიტიკოსებს უგდებდნენ ხელში, ე. ი. პარტია იმ გზით მიჰყავდათ, რომლის ობიექტური

მნიშვნელობა სწორედ ასეთი იყო. ახალისკრელები, იმავე საბაბით, საქმით ბურჟუაზიის სასარგებლოდ ღალატობენ პროლეტარიატის ინტერესებს დემოკრატიულ რევოლუციაში, ე. ი. პარტია იმ გზით მიჰყავთ, რომლის ობიექტური მნიშვნელობა სწორედ ასეთია. ეკონომისტებს ეგონათ, რომ პოლიტიკურ ბრძოლაში მეთაურობა სოციალ-დემოკრატების საქმე კი არ არის, არამედ საკუთრივ ლიბერალების საქმეაო. ახალისკრელებს ჰგონიათ, რომ დემოკრატიული რევოლუციის აქტიური ჩატარება სოციალ-დემოკრატების საქმე კი არ არის, არამედ საკუთრივ დემოკრატიული ბურჟუაზიის საქმეა, რადგან პროლეტარიატის მხრივ ხელმძღვანელობა და უპირატესი მონაწილეობა რევოლუციის «გაქანებას შეასუსტებსო».

ერთი სიტყვით, ახალისკრელები ეკონომიზმის ეპიგონები არიან არა მარტო იმით, რომ პარტიის მეორე ყრილობაზე წარმოიშვნენ, არამედ აგრეთვე დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ტაქტიკურ ამოცანათა ახლანდელი დასახვის მხრივაც. ესეც პარტიის ინტელიგენტურ-ოპორტუნისტული ფრთაა. ორგანიზაციაში ის ინტელიგენტთა ანარქისტული ინდივიდუალიზმის დებიუტით გამოვიდა და «დეზორგანიზაცია-პროცესით» დაამთავრა, ხოლო კონფერენციის მიერ მიღებულ «წესდებაში» [30] განამტკიცა პარტიული ორგანიზაციისგან ლიტერატურის მოწყვეტა, არაპირდაპირი, თითქმის ოთხსაფეხურიანი არჩევნები, ბონაპარტისტულ პლებისციტთა სისტემა დემოკრატიული წარმომადგენლობის ნაცვლად, ბოლოს, ნაწილსა და მთელს შორის «შეთანხმების» პრინციპი. პარტიის ტაქტიკაშიც ისინი ასეთივე მოლიპული გზით მიექანებოდნენ. «საერობო კამპანიის გეგმაში» «დემონსტრაციის უმაღლეს ტიპად» ერობის მოღვაწეთა წინაშე გამოსვლა გამოაცხადეს და პოლიტიკურ ასპარეზზე მხოლოდ ორ აქტიურ ძალას (9 იანვრის წინ!) — მთავრობასა და ბურჟუაზიულ დემოკრატიას ხედავდნენ. ისინი შეიარაღების საარსებო ამოცანას «აღრმავებდნენ» და პირდაპირი პრაქტიკული ლოზუნგის ნაცვლად მოითხოვდნენ თვითშეიარაღების მხურვალე

მოთხოვნილებით შეიარაღებას. შეიარაღებული აჯანყების, დროებითი მთავრობის, რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის ამოცანები ახლა მათს ოფიციალურ რეზოლუციებში დამახინჯებული და დაჩლუნგებულია. «ვაითუ ბურჟუაზია ჩამოგვშორდესო» — მათი უკანასკნელი რეზოლუციის ეს დასკვნითი აკორდი — სავსებით ნათელს ჰფენს საკითხს იმის შესახებ, თუ საით მიჰყავს პარტია მათს გზას.

რუსეთში დემოკრატიული გადატრიალება, თავისი საზოგადოებრივ-ეკონომიური დედაარსით, ბურჟუაზიული რევოლუციაა. არ კმარა ამ სწორი მარქსისტული დებულების მხოლოდ განმეორება. უნდა იცოდე მისი გაგება და პოლიტიკურ ლოზუნგებთან შეფარდება. მთელი პოლიტიკური თავისუფლება საერთოდ, თანამედროვე, ე. ი. კაპიტალისტური, წარმოებითი ურთიერთობის საფუძველზე, ბურჟუაზიული თავისუფლებაა. თავისუფლების მოთხოვნა უწინარეს ყოვლისა ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავს. პირველად ეს მოთხოვნა მისმა წარმომადგენლებმა წამოაყენეს. ბურჟუაზიის მომხრეებმა, როგორც ბატონ-პატრონებმა, მიღებული თავისუფლებით ყველგან ისარგებლეს, განსაზღვრეს რა იგი ზომიერი და წესიერი ბურჟუაზიული საზომით, შეუთავსეს რა იგი რევოლუციური პროლეტარიატის დათრგუნვას, მშვიდობიან დროს უაღრესად დახვეწილ, ხოლო ქარიშხლის დროს მხეცურ და სასტიკ დათრგუნვას.

მაგრამ აქედან თავისუფლებისათვის ბრძოლის უარყოფის ან მისი დაკნინების დასკვნა შეეძლო მხოლოდ მეამბოხე-ნაროდნიკებს, ანარქისტებსა და «ეკონომისტებს». პროლეტარიატისათვის ამ ინტელიგენტურ-ფილისტერულ მოძღვრებათა თავს მოხვევა შესაძლებელი ხდებოდა ყოველთვის მხოლოდ დროებით, მხოლოდ მისი წინააღმდეგობის მიუხედავად. პროლეტარიატი ალღოთი გრძნობდა, რომ პოლიტიკური თავისუფლება საჭიროა მისთვის, ყველაზე უფრო მისთვისაა საჭირო, მიუხედავად იმისა, რომ იგი უშუალოდ განამტკიცებს და დარაზმავს ბურჟუაზიას. პროლეტარიატი თავის ხსნას

მოელის არა კლასობრივი ბრძოლისათვის თავის არიდებაში, არამედ მის განვითარებაში, მის გაფართოებაში, შეგნებულობის, დარაზმულობისა და გამბედაობის გადიდებაში. ვინც პოლიტიკური ბრძოლის ამოცანებს აკნინებს, ის სოციალ-დემოკრატს სახალხო ტრიბუნის მაგიერ ტრედ-უნიონის მდივნად აქცევს. ვინც დემოკრატიულ ბურჟუაზიულ რევოლუციაში პროლეტარულ ამოცანებს აკნინებს, იგი სოციალ-დემოკრატს სახალხო რევოლუციის ბელადის მაგიერ მუშათა თავისუფალი კავშირის წინამძღოლად აქცევს.

დიახ, ს ა ხ ა ლ ხ ო რევოლუციისა. სოციალ-დემოკრატია იბრძოდა და სრული უფლებით იბრძვის სიტყვის «ხალხის» ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გამოყენების, ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ. იგი მოითხოვს, რომ ამ სიტყვით არ იჩქმალებოდეს ხალხის შიგნით კლასობრივ ანტაგონიზმთა გაუგებლობა. იგი უსათუოდ მოითხოვს პროლეტარიატის პარტიის სრულ კლასობრივ დამოუკიდებლობას. მაგრამ იგი ჰყოფს «ხალხს» «კლასებად» არა იმისათვის, რომ მოწინავე კლასი თავის ნაჭუჭში ჩაიკეტოს, შეიზღუდოს თავი ვიწრო საზომით, პასიური გახადოს თავისი მოღვაწეობა იმ მოსაზრებით, ვაითუ ჩამოგვშორდნენ ქვეყნის ეკონომიური მბრძანებელნიო, არამედ იმისთვის, რომ მოწინავე კლასმა, შუათანა კლასების ორჭოფობის, მერყეობისა და გაუბედაობისაგან თავისუფალმა, მით უფრო მეტი ენერგიით, მეტი ენთუზიაზმით იბრძოლოს მთელი ხალხის საქმისათვის, მთელი ხალხის საკეთილოში.

აი რა არ ესმით ასე ხშირად თანამედროვე ახალისკრელებს, რომლებიც დემოკრატიულ რევოლუციაში აქტიური პოლიტიკური ლოზუნგების წამოყენების ნაცვლად სიტყვის «კლასობრივის» ყველა ბრუნვაში მარტო რეზონიორული განმეორებით კმაყოფილდებიან!

დემოკრატიული გადატრიალება ბურჟუაზიულია. ბურჟუაზიულია აგრეთვე «მიწის გადანაწილების» ანუ მიწისა და თავისუფლების ლოზუნგი. — ეს უაღრესად გავრცელებული ლო-

ზუნგი დაბეჩავებული და ბნელი გლეხური მასისა, რომელიც ასე გატაცებით ეძებს სინათლესა და ბედნიერებას. მაგრამ ჩვენ, მარქსისტებმა, უნდა ვიცოდეთ, რომ არ არის და არც შეიძლება იყოს სხვა გზა პროლეტარიატისა და გლეხობის ნამდვილი თავისუფლებისაკენ, გარდა ბურჟუაზიული თავისუფლების და ბურჟუაზიული პროგრესის გზისა. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამჟამად არ არის და არც შეიძლება იყოს სოციალიზმის მოახლოების სხვა საშუალება, გარდა სრული პოლიტიკური თავისუფლებისა, გარდა დემოკრატიული რესპუბლიკისა, გარდა პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურისა. როგორც წარმომადგენლებმა მოწინავე, ერთადერთი რევოლუციური, უყოყმანოდ, უეჭვოდ რევოლუციური კლასისა, რომელსაც თვალი უკან არ რჩება, ჩვენ მთელი ხალხის წინაშე რაც შეიძლება უფრო ფართოდ, უფრო გაბედულად და მეტი თანმიმდევნობით უნდა დავაყენოთ დემოკრატიული გადატრიალების ამოცანები. ამ ამოცანათა დაკნინება თეორიულად მარქსიზმის კარიკატურა და მისი ფილისტერული დამახინჯება არის, ხოლო პრაქტიკულ-პოლიტიკურად — რევოლუციის საქმის გადაცემა ბურჟუაზიის ხელში, რომელიც აუცილებლად განუდგება რევოლუციის თანამიმდევრად ჩატარებას. მეტად დიდია ის სიძნელენი, რომლებიც რევოლუციის სრული გამარჯვების გზაზე გვხვდება. ვერავინ ვერ შესძლებს პროლეტარიატის წარმომადგენლები გაიცხოს, თუ ისინი გააკეთებენ ყველაფერს, რაც კი შეუძლიათ, და თუ ყველა მათი ღონისძიება რეაქციის წინააღმდეგობისა, ბურჟუაზიის გამცემლობისა და მასის სიბნელის გამო ამაო აღმოჩნდება. მაგრამ ყველა და თვითეული — და უწინარეს ყოვლისა შეგნებული პროლეტარიატი — სოციალ-დემოკრატიას გაიცხავს, თუ იგი შეკვეცს დემოკრატიული გადატრიალების რევოლუციურ ენერგიას, შეკვეცს რევოლუციურ ენთუზიაზმს გამარჯვების შიშით, იმ მოსაზრებით, ვაითუ ბურჟუაზია ჩამოგვშორდესო.

რევოლუციები — ისტორიის ლოკომოტივები არიანო, — ამბობდა მარქსი [31]. რევოლუციები — ჩაგრულთა და ექსპლოატირებულთა დღესასწაულია. არასდროს ხალხის მასას არ შეუძლია გამოვიდეს ახალი საზოგადოებრივი წესწყობილების ისეთ აქტიურ შემოქმედად, როგორც რევოლუციის დროს. ასეთ დროს ხალხს სასწაულების უნარი შესწევს, თანდათანობითი პროგრესის ვიწრო, ფილისტერული საზომის თვალსაზრისით. მაგრამ საჭიროა, რომ ასეთ დროს რევოლუციური პარტიების წარმომადგენლებმაც თავიანთი ამოცანები უფრო ფართოდ და უფრო გაბედულად წამოაყენონ, რათა მათი ლოზუნგები მასის რევოლუციურ თვითმოქმედებას ყოველთვის წინ მიუძღოდეს, შუქურა იყოს მისთვის და მთელი სიდიადით, მთელი სიმშვენიერით უჩვენებდეს მას ჩვენს დემოკრატიულ და სოციალისტურ იდეალს, უჩვენებდეს უაღრესად მოკლე, უაღრესად პირდაპირ გზას სრული, უეჭველი და გადამწყვეტი გამარჯვებისაკენ. «ოსვობოჟდენიელური» ბურჟუაზიის ოპორტუნისტებისათვის დაგვილოცნია რევოლუციის შიშითა და პირდაპირი გზის შიშით მიხვეულ-მოხვეული, მიკიბულ-მოკიბული და კომპრომისული გზების შეთხზვა. თუ ძალით გვაიძულებენ ასეთი გზებით ვიჩანჩალოთ, ჩვენ შევძლებთ ჩვენი მოვალეობა შევასრულოთ წვრილმანი ჩვეულებრივი მუშაობის დროსაც. მაგრამ დაე ჯერ დაუნდობელმა ბრძოლამ გადაწყვიტოს გზის არჩევის საკითხი. ჩვენ რევოლუციის მოღალატენი და გამცემლები ვიქნებით, თუ არ გამოვიყენებთ მასების ჯერ გამოუყენებელ ენერგიას და მათს რევოლუციურ ენთუზიაზმს პირდაპირი და გადამწყვეტი გზისათვის ულმობელი და თავდადებული ბრძოლის საწარმოებლად. დაე ბურჟუაზიის ოპორტუნისტებმა ლაჩრულად იფიქრონ მომავალ რეაქციაზე. მუშებს ვერ დააფრთხობს ვერც ის აზრი, რომ რეაქცია საშინელი იქნება, და ვერც ის, რომ ბურჟუაზია ჩამოშორებას აპირებს. მუშები არ ელოდებიან გარიგებას, არ თხოულობენ მოწყალებას, ისინი მიისწრაფიან იმისაკენ, რომ დაუნდობლად გასრისონ რეაქ-

ციული ძალები, ე. ი. პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურისაკენ.

თქმა არ უნდა, მშფოთვარე დროს ჩვენს პარტიულ გემს მეტი საფრთხე მოელის, ვიდრე ლიბერალური პროგრესის წყნარი «ცურვის» დროს, პროგრესისა, რომელიც მოასწავებს ექსპლოატატორების მიერ მუშათა კლასის ძალღონის გამოწურვას ნელი წამებით. თქმა არ უნდა, რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის ამოცანები ათასჯერ უფრო ძნელი და რთულია, ვიდრე «უკიდურესი ოპოზიციისა» და მარტო პარლამენტური ბრძოლის ამოცანები. მაგრამ ვინც დღევანდელ რევოლუციურ მომენტში მშვიდობიან ცურვას და უხიფათო «ოპოზიციის» გზას შეგნებულად ამჯობინებს, — უმჯობესია ის სოციალ-დემოკრატიულ მუშაობას დროებით ჩამოშორდეს, დაე დაუცადოს მან რევოლუციის დასასრულს, როცა დღესასწაული გაივლის და კვლავ დაიწყება საქმის დღე, როცა მისი ჩვეულებრივი შეზღუდული საზომი აღარ იქნება ასეთი გულისამრევი დისონანსი, მოწინავე კლასის ამოცანათა ასეთი საშინელი დამახინჯება.

მთელი ხალხისა და განსაკუთრებით გლეხობის სათავეში — სრული თავისუფლებისათვის, თანამიმდევარი დემოკრატიული გადატრიალებისათვის, რესპუბლიკისათვის! ყველა მშრომელთა და ექსპლოატირებულთა სათავეში — სოციალიზმისათვის! ასეთი უნდა იყოს სინამდვილეში რევოლუციური პროლეტარიატის პოლიტიკა, ასეთია კლასობრივი ლოზუნგი, რომელმაც უნდა გამსჭვალოს და განსაზღვროს ყოველი ტაქტიკური საკითხის გადაჭრა, მუშათა პარტიის ყოველი პრაქტიკული ნაბიჯი რევოლუციის დროს.

ბოლოსიტყვაობა

ერთხელ კიდევ ოსვობოჟდენიელობა, ერთხელ კიდევ ახალისკრელობა

«ოსვობოჟდენიეს» 71—72 და «ისკრის» 102—103 ნომრებმა მოგვცეს ახალი, უაღრესად მდიდარი მასალა იმ საკითხზე, რომელსაც ჩვენ ვუძღვენით ჩვენი ბროშურის § 8. არავითარი შესაძლებლობა არა გვაქვს გამოვიყენოთ აქ მთელი ეს მდიდარი მასალა და ამიტომ შევჩერდებით მხოლოდ უმთავრესზე: ჯერ-ერთი, იმაზე, თუ რა სახის «რეალიზმს» აქებს «ოსვობოჟდენიე» სოციალ-დემოკრატიაში და რატომ უნდა აქებდეს მას; მეორე, რევოლუციისა და დიქტატურის ცნებების თანაფარდობაზე.

I. რისთვის აქებენ ბურჟუაზიულ-ლიბერალური რეალისტები სოციალ-დემოკრატიულ «რეალისტებს»?

სტატიები: «გათიშვა რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში» და «საღი გონების გამარჯვება» («ოსვობოჟდენიეს» № 72) წარმოადგენენ ლიბერალური ბურჟუაზიის წარმომადგენლების ისეთ მსჯელობას სოციალ-დემოკრატიაზე, რომელიც მეტისმეტად საგულისხმოა შეგნებული პროლეტარებისთვის. ძნე-

ლია საკმაო სიძლიერით ვურჩიოთ ყოველ სოციალ-დემოკრატს გაეცნოს ამ სტატიებს მათი სრული სახით და ჩაუფიქრდეს მათს ყოველ ფრაზას. უწინარეს ყოვლისა მოვიყვანთ ორივე სტატიის მთავარ დებულებებს:

«გარეშე მეთვალყურისთვის — ამბობს «ოსვობოჟდენიე» — საკმაოდ ძნელია იმ უთანხმოების რეალური პოლიტიკური აზრის გაგება, რომელმაც ორ ფრაქციად გათიშა სოციალ-დემოკრატიული პარტია. «უმრავლესობის» ფრაქციის, როგორც უფრო რადიკალურისა და სწორხაზოვანი ფრაქციის, განსაზღვრა, «უმცირესობისაგან» განსხვავებით, რომელიც საქმის ინტერესების გულისთვის ზოგიერთ კომპრომისს იწყნარებს, არ არის სავსებით ზუსტი და, ყოველ შემთხვევაში, არ წარმოადგენს ამომწურავ დახასიათებას. ყოველ შემთხვევაში, მარქსისტული ორთოდოქსიის ტრადიციულ დოგმატებს უმცირესობის ფრაქცია, ვგონებ, უფრო მეტი გულმოდგინებით იცავს, ვიდრე ლენინის ფრაქცია. ჩვენ უფრო ზუსტად გვეჩვენება შემდეგი დახასიათება. «უმრავლესობის» ძირითად პოლიტიკურ განწყობილებას წარმოადგენს განყენებული რევოლუციონიზმი, ბუნტარობა, მისწრაფება ყოველგვარი საშუალებით გამოწვეულ იქნას აჯანყება ხალხის მასაში და მისი სახელით დაუყოვნებლივ დაპყრობილ იქნას ძალაუფლება; ეს რაოდენადმე აახლოებს «ლენინელებს» სოციალისტ-რევოლუციონერებთან და მათს შეგნებაში ჩრდილავს კლასობრივი ბრძოლის იდეას რუსეთის საყოველთაო სახალხო რევოლუციის იდეით; უარყოფენ რა პრაქტიკულად სოციალ-დემოკრატიული დოქტრინის ბევრ შეზღუდულობას, «ლენინელები», მეორე მხრივ, მთლიანად გაჟღენთილი არიან რევოლუციონიზმის შეზღუდულობით, უარს აცხადებენ ყოველგვარ სხვა პრაქტიკულ მუშაობაზე, გარდა დაუყოვნებლივი აჯანყების მომზადებისა, პრინციპულად უგულებელყოფენ ლეგალური და ნახევრადლეგალური აგიტაციის ყველა ფორმას და სხვა ოპოზიციურ მიმდინარეობებთან პრაქტიკულად სასარგებლო კომპრომისების ყველა სახეს. პირიქით, უმცირესობა მტკიცედ ადგას მარქსიზმის დოგმას და ამასთან ერთად ინარჩუნებს მარქსისტული მსოფლმხედველობის რეალისტურ ელემენტებსაც. ამ ფრაქციის ძირითად იდეას წარმოადგენს «პროლეტარიატის» ინტერესების დაპირისპირება ბურჟუაზიის ინტერესებთან. მაგრამ, მეორე მხრივ, პროლეტარიატის ბრძოლა — რა თქმა უნდა, განსაზღვრულ ფარგლებში, რომელთაც მათ უკარნახებს სოციალ-დემოკრატიის ურყევი დოგმატები, — რეალისტურად ფხიზლად არის გაგებული, ამ ბრძოლის ყველა კონკრეტული პირობისა და ამოცანის ნათელი შეგნებით. ორივე ფრაქცია თავის ძირითად თვალსაზრისს ატარებს არა სავსებით თანამიმდევრად, რადგან თავიანთ იდეურ-პოლიტიკურ შემოქმედებაში შებოჭილი არიან სოციალ-დე-

მოკრატიული კატეხიზმოს მკაცრი ფორმულებით, რომლებიც ხელს უშლიან «ლენინელებს» გახდნენ პირდაპირი მეამბოხეები, მსგავსად, ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთი სოციალისტ-რევოლუციონერისა, ხოლო «ისკრელებს» — მუშათა კლასის რეალური პოლიტიკური მოძრაობის პრაქტიკული ხელმძღვანელები».

«ოსვობოჟდენიეს» მწერალს მოჰყავს შემდეგ მთავარი რეზოლუციების შინაარსი და მათ შესახებ რამდენიმე კონკრეტული შენიშვნით განმარტავს თავის ზოგად «აზრებს». III ყრილობასთან შედარებით, — ამბობს იგი, — «უმცირესობის კონფერენცია სულ სხვანაირად ეკიდება შეიარაღებულ აჯანყებას». «შეიარაღებული აჯანყებისადმი დამოკიდებულებასთან არის დაკავშირებული» რეზოლუციების განსხვავება დროებითი მთავრობის შესახებ. «ასეთივე ხასიათის უთანხმოება მეღავნდება მუშათა პროფესიული კავშირების მიმართაც. «ლენინელებმა» თავიანთ რეზოლუციებში კრინტიც არ დასძრეს მუშათა კლასის პოლიტიკური აღზრდისა და შეკავშირების ამ უმნიშვნელოვანესი ამოსავალი წერტილის შესახებ. პირიქით, უმცირესობამ მეტად სერიოზული რეზოლუცია შეიმუშავა». ლიბერალების მიმართ ორივე ფრაქცია ერთსულოვანიაო, მაგრამ III ყრილობა «თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს პლეხანოვის იმ რეზოლუციას ლიბერალებისადმი დამოკიდებულების შესახებ, რომელიც მიღებული იყო II ყრილობაზე, და უარყოფს იმავე ყრილობის მიერ მიღებულ, ლიბერალებისადმი უფრო კეთილგანწყობილ, სტაროვერის რეზოლუციას». გლეხთა მოძრაობის შესახებ ყრილობისა და კონფერენციის რეზოლუციების ერთგვარობისას ««უმრავლესობა უფრო ხაზს უსვამს მემამულეთა და სხვა მიწების რევოლუციური კონფისკაციის იდეას, მაშინ როდესაც «უმცირესობას» სურს თავისი აგიტაციის საფუძვლად გახადოს დემოკრატიული სახელმწიფოებრივი და ადმინისტრაციული რეფორმების მოთხოვნები».

ბოლოს, «ოსვობოჟდენიეს» მოჰყავს ციტატი «ისკრის» მე-100 ნომერში მოთავსებული ერთი მენშევიკური რეზოლუციიდან, რომლის მთავარი მუხლი ამბობს: «იმის გამო, რომ ამჟამად მარტო არალეგალური მუშაობა არ უზრუნველყოფს მასის საკმაო მონაწილეობას პარტიულ ცხოვრებაში და მასას, როგორც ასეთს, რაოდენადმე უპირისპირებს პარტიას, როგორც არალეგალურ ორგანიზაციას, უკანასკნელისთვის აუცილებელია ხელში აიღოს მუშების მიერ ლეგალურ ნიადაგზე პროფესიული ბრძოლის წარმოება და მტკიცედ დაუკავშიროს ეს ბრძოლა სოციალ-დემოკრატიულ ამოცანებს»; ამ რეზოლუციის გამო «ოსვობოჟდენიე» ამბობს: «ჩვენ მხურვალედ მივესალმებით ამ რეზოლუციას, როგორც საღი გონების გამარჯვებას, როგორც სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთი ნაწილის ტაქტიკურ თვალის ახელას».

ახლა მკითხველის წინაშე გადაშლილია «ოსვობოჟდენიეს» მთელი არსებითი მსჯელობა. რასაკვირველია, უდიდესი შეცდომა იქნებოდა ამ მსჯელობის სწორად აღიარება მისი ობიექტურ ჭეშმარიტებასთან შესაბამისობის აზრით. შეცდომებს ადვილად აღმოაჩენს მათში ყოველ ნაბიჯზე ყოველი სოციალ-დემოკრატი. გულუბრყვილობა იქნებოდა იმის დავიწყება, რომ ყველა ეს მსჯელობა მთლიანად გაჟღენთილია ლიბერალური ბურჟუაზიის ინტერესებითა და თვალსაზრისით, რომ ისინი მთლიანად მიკერძოებული და ტენდენციურია ამ მხრივ. ისინი ისევე ასახავენ სოციალ-დემოკრატიის შეხედულებებს, როგორც ჩაზნექილი ან ამოზნექილი სარკე ასახავს საგნებს. მაგრამ უფრო მეტი შეცდომა იქნებოდა იმის დავიწყება, რომ ეს ბურჟუაზიულად გაყალბებული მსჯელობა ასახავს, საბოლოო ანგარიშით, ნამდვილ ინტერესებს ბურჟუაზიისას, რომელსაც, როგორც კლასს, უეჭველად სწორად ესმის, თუ სოციალ-დემოკრატიის შიგნით არსებული ტენდენციებიდან რომელია მისთვის, ბურჟუაზიისთვის, უფრო ხელსაყრელი, ახლობელი, მონათესავე, სიმპათიური, და რომელი — მავნე, შორეული, უცხო, ანტიპათიური. ბურჟუაზიული ფილოსოფოსი ან ბურჟუაზიული პუბლიცისტი ვერასოდეს ვერ გაიგებს სწორად სოციალ-დემოკრატიას, ვერც მენშევიკურ და ვერც ბოლშევიკურ სოციალ-დემოკრატიას. მაგრამ თუ ის ოდნავ მაინც გონიერი პუბლიცისტია, მას არ მოატყუებს მისი კლასობრივი ინსტინქტი, და იგი არსებითად ყოველთვის სწორად გაიგებს სოციალ-დემოკრატიის შიგნით არსებული ამა თუ იმ მიმდინარეობის მნიშვნელობას ბურჟუაზიისთვის, თუმცა მას უკუღმართად გამოხატავს. ჩვენი მტრის კლასობრივი ინსტინქტი, მისი კლასობრივი მსჯელობა ამიტომ ყოველთვის ღირსია ყოველი შეგნებული პროლეტარის უაღრესად სერიოზული ყურადღებისა.

მერე რას გვეუბნება ჩვენ, ოსვობოჟდენიელების პირით, რუსეთის ბურჟუაზიის კლასობრივი ინსტინქტი?

ის სრულიად გარკვეულად გამოხატავს თავის სიამოვნებას ახალისკრელობის ტენდენციათა გამო, აქებს მის რეალიზმს.

სიფხიზლეს, საღი გონების გამარჯვებას, რეზოლუციების სერიოზულობას, ტაქტიკურ გამოფხიზლებას, პრაქტიკულობას და სხვ., — და უსიამოვნებას III ყრილობის ტენდენციების გამო, გმობს მას შეზღუდულობისა, რევოლუციონიზმისა, ბუნტარობისათვის, პრაქტიკულად სასარგებლო კომპრომისების უარყოფისათვის და სხვ.. ბურჟუაზიის კლასობრივი ინსტინქტი მას უკარნახებს სწორედ იმას, რაც არა ერთხელ ყოფილა დამტკიცებული ჩვენს ლიტერატურაში უაღრესად სწორი მონაცემებით, სახელდობრ: რომ ახალისკრელები წარმოადგენენ თანამედროვე რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტულ, ხოლო მათი მოწინააღმდეგენი — რევოლუციურ ფრთას. ლიბერალებს არ შეუძლიათ არ თანაუგრძნონ პირველის ტენდენციებს, არ შეუძლიათ არ დაგმონ მეორის ტენდენციები. ლიბერალებს, როგორც ბურჟუაზიის იდეოლოგებს, მშვენივრად ესმით, რომ ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელია მუშათა კლასის «პრაქტიკულობა, სიფხიზლე, სერიოზულობა», ე. ი. მისი მოღვაწეობის ასპარეზის ფაქტიური შეზღუდვა კაპიტალიზმის, რეფორმების, პროფესიული ბრძოლისა და სხვ. ფარგლებით. ბურჟუაზიისათვის სახიფათო და საშიშია პროლეტარიატის «რევოლუციონისტური შეზღუდულობა» და მისი მისწრაფება თავისი კლასობრივი ამოცანების გულისთვის მოიპოვოს ხელმძღვანელი როლი რუსეთის საყოველთაო სახალხო რევოლუციაში.

რომ მართლაც ასეთია სიტყვის «რეალიზმის» აზრი, მისი ოსვობოჟდენიელური მნიშვნელობით, ეს სხვათა შორის ჩანს ამ სიტყვის წინანდელი ხმარებით «ოსვობოჟდენიეს» და ბ-ნ სტრუვეს მიერ. თვით «ისკრას» არ შეეძლო არ ეღიარებინა ოსვობოჟდენიელური «რეალიზმის» ა ს ე თ ი მნიშვნელობა. მოიგონეთ, მაგალითად, სტატია «დროა!» «ისკრის» 73—74-ე ნომრის დამატებაში. ამ სტატიის ავტორმა («ჭაობის» შეხედულებათა თანამიმდევარმა გამომხატველმა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეორე ყრილობაზე) პირდაპირ გამოთქვა აზრი, რომ «აკიმოვმა ყრილობაზე შე-

ასრულა უფრო ოპორტუნიზმის აჩრდილის როლი, ვიდრე მისი ნამდვილი წარმომადგენლისა». და «ისკრის» რედაქციაც მაშინვე იძულებული იყო გაესწორებინა სტატიის «დროა!» ავტორისთვის, განაცხადა რა შენიშვნაში:

«ამ აზრს ვერ დავეთანხმებით. ამხ. აკიმოვის პროგრამულ შეხედულებებს აზის ოპორტუნიზმის აშკარა ნიშანი, რასაც აღიარებს «ოსვობოჟდენიეს» კრიტიკოსიც — ერთ-ერთ მის უკანასკნელ ნომერში, როცა აღნიშნავს, რომ ამხ. აკიმოვი ემხრობა «რეალისტურ», — იგულისხმე: რევიზიონისტულ — მიმართულებასაო».

ამრიგად, «ისკრამ» თვითონაც ჩინებულად იცის, რომ ოსვობოჟდენიელური «რეალიზმი» სწორედ ოპორტუნიზმია და სხვა არაფერი. ახლა, როცა «ისკრა» თავს ესხმის «ლიბერალურ რეალიზმს» («ისკრის» № 102) და სდუმს იმის შესახებ, თუ როგორ შეაქეს ის ლიბერალებმა რეალიზმისთვის, ეს დუმილი იმით აიხსნება, რომ ასეთი შექება ყოველგვარ გაკიცხვაზე უმწარესია. ასეთი შექებანი (არა შემთხვევით და არა პირველად გამოთქმული «ოსვობოჟდენიეს» მიერ) სინამდვილეში ამტკიცებენ ლიბერალური რეალიზმისა და სოციალ-დემოკრატიული «რეალიზმის» (იგულისხმე: ოპორტუნიზმის) იმ ტენდენციების ნათესაობას, რომლებიც გამოსჭვივის ახალისკრელთა ყოველ რეზოლუციაში, მთელი მათი ტაქტიკური პოზიციის მცდარობის გამო.

მართლაც, რუსეთის ბურჟუაზიამ უკვე სავსებით გამოააშკარავა თავისი არათანამიმდევრობა და ანგარება «საყოველთაოსახალხო» რევოლუციაში, — გამოააშკარავა ბატონ სტრუვეს მსჯელობებითაც და უამრავი ლიბერალური გაზეთის კილოთი და შინაარსითაც, უამრავი ერობელის, უმრავი ინტელიგენტის, საზოგადოდ ბატონთ ტრუბეცკოის, პეტრუნკევიჩის, როდიჩევისა და კომპ. ყოველგვარ მომხრეთა პოლიტიკური გამოსვლების ხასიათითაც. რა თქმა უნდა, ბურჟუაზიას ყოველთვის გარკვევით არ ესმის, მაგრამ იგი საერთოდ და მთლიანად ჩინებულად სწვდება კლასობრივი ალღოთი, რომ, ერთი მხრივ, პროლეტარიატი და «ხალხი» სასარგებლოა მი-

ს ი რევოლუციისათვის, როგორც საზარბაზნე ხორცი, როგორც იარაღი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, მაგრამ, მეორე მხრივ, პროლეტარიატი და რევოლუციური გლეხობა საშინლად საშიშია მისთვის იმ შემთხვევაში, თუ ისინი «ცარიზმზე გადამწყვეტ გამარჯვებას» მოიპოვებენ და დემოკრატიულ რევოლუციას ბოლომდე მიიყვანენ. ამიტომ ბურჟუაზია მთელი ძალღონით მიისწრაფის იმისაკენ, რომ პროლეტარიატი «მცირე» როლს დასჯერდეს რევოლუციაში, რომ ის იყოს უფრო ფხიზელი, უფრო პრაქტიკული, უფრო რეალისტური, რომ მისი მოქმედება განისაზღვრებოდეს პრინციპით: «ვაითუ ჩამოგვშორდეს ბურჟუაზია».

ინტელიგენტ ბურჟუებს მშვენივრად ესმით, რომ მუშათა მოძრაობას ისინი თავიდან ვერ აიცილებენ. ამიტომ ისინი სრულიადაც არ ილაშქრებენ მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ, სრულიადაც არ არიან პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის წინააღმდეგნი, — არა, ისინი ყოველნაირად მიესალმებიან კიდევაც გაფიცვის თავისუფლებას, კულტურულ კლასობრივ ბრძოლას, ხოლო მუშათა მოძრაობა და კლასობრივი ბრძოლა ესმით ბრენტანოსებური ან ჰირშ-დუნკერისებური აზრით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი სავსებით მზად არიან «დაუთმონ» მუშებს (ფაქტიურად თვით მუშების მიერ თითქმის უკვე მოპოვებული) გაფიცვათა და კავშირთა თავისუფლება, ოღონდ მუშებმა ხელი აიღონ «ბუნტარობაზე», «ვიწრო რევოლუციონიზმზე», «პრაქტიკულად სასარგებლო კომპრომისებისადმი» მტრობაზე, პრეტენზიებსა და მისწრაფებებზე, რომ თ ა ვ ი ს ი კლასობრივი ბრძოლის ბეჭედი, პროლეტარული თანამიმდევრობის, პროლეტარული გაბედულების, «პლებეური იაკობინიზმის» ბეჭედი დაასვან «რუსეთის საყოველთაო სახალხო რევოლუციას». ამიტომ ინტელიგენტი ბურჟუები მთელ რუსეთში ათასი საშუალებითა და გზით, — წიგნებით *, ლექციებით, სიტყვებით, საუბრებით და

* შეადარე: პ რ ო კ ო პ ო ვ ი ჩ ი. «მუშათა საკითხი რუსეთში».

სხვ. და სხვ., — ცდილობენ მთელი ძალღონით ჩაუნერგონ მუშებს (ბურჟუაზიული) სიფხიზლის, (ლიბერალური) პრაქტიკულობის, (ოპორტუნისტული) რეალიზმის, (ბრენტანოსეული) კლასობრივი ბრძოლის, (ჰირშ-დუნკერული) პროფესიული კავშირების[32] იდეები და სხვა. ორი უკანასკნელი ლოზუნგი განსაკუთრებით ხელსაყრელია «კონსტიტუციურ-დემოკრატიული» ანუ «ოსვობოჟდენიელური» პარტიის ბურჟუებისათვის, რადგან გარეგნულად ისინი ემთხვევიან მარქსისტულ ლოზუნგებს, რადგან სულ მცირე მიჩქმალვისა და პატარა დამახინჯებისას ადვილად შეიძლება მათი არევა სოციალ-დემოკრატიულ ლოზუნგებში, ზოგჯერ კი შეიძლება სოციალ-დემოკრატიულ ლოზუნგებადაც კი გასაღება. აი, მაგალითად, - ლეგალური ლიბერალური გაზეთი «რასსვეტ» (რომლის შესახებაც ჩვენ შევეცდებით როგორმე დაწვრილებით ვესაუბროთ «პროლეტარის» მკითხველებს) ხშირად ისეთ «გაბედულ» რამეებს ამბობს კლასობრივ ბრძოლაზე, ბურჟუაზიის მიერ პროლეტარიატის შესაძლებელ მოტყუებაზე, მუშათა მოძრაობაზე, პროლეტარიატის თვითმოქმედებაზე და სხვ. და სხვ., რომ უყურადღებო მკითხველი და განუვითარებელი მუშა ადვილად მიიღებენ მის «სოციალ-დემოკრატიზმს» ხალას ჭეშმარიტებად. სინამდვილეში კი ეს არის სოციალ-დემოკრატიზმის ბურჟუაზიული გაყალბება, კლასობრივი ბრძოლის ცნების ოპორტუნისტული გაუკულმართება და დამახინჯება.

მთელ ამ გიგანტურ (მასებზე ზედმოქმედების სიფართოვით) ბურჟუაზიულ სიყალბეს საფუძვლად უდევს ტენდენცია მუშათა მოძრაობის გადაქცევისა უმთავრესად პროფესიულ მოძრაობად, მისი ჩამოშორებისა დამოუკიდებელი (ე. ი. რევოლუციური და დემოკრატიული დიქტატურისაკენ მიმართული) პოლიტიკისაგან, «მათი, მუშების, ცნობიერებაში რუსეთის საყოველთაო სახალხო რევოლუციის იდეის კლასობრივი ბრძოლის იდეით დაჩრდილვისა».

როგორც მკითხველი ხედავს, ჩვენ ყირამალა დავაყენეთ «ოსვობოჟდენიეს» ფორმულირება. ეს — დიდებული ფორმუ-

ლირებაა, რომელიც საუცხოოდ გამოხატავს ორ შეხედულებას პროლეტარიატის როლზე დემოკრატიულ რევოლუციაში, ბურჟუაზიულ შეხედულებას და სოციალ-დემოკრატიულ შეხედულებას. ბურჟუაზიას სურს პროლეტარიატი გადაიყვანოს მხოლოდ პროფესიულ მოძრაობაზე და მით «მის ცნობიერებაში რუსეთის საყოველთაო სახალხო რევოლუციის იდეა კლასობრივი ბრძოლის (ბ რ ე ნ ტ ა ნ ო ს ე ულ ი) იდეით დაჩრდილოს», — სავსებით «Credo»-ს ბერნშტეინელი ავტორების სულისკვეთების მიხედვით, რომლებიც მუშათა ცნობიერებაში პოლიტიკური ბრძოლის იდეას ჩრდილავდნენ «წმინდა მუშათა» მოძრაობის იდეით. სოციალ-დემოკრატიას კი სურს, პირიქით, განავითაროს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა ისე, რომ მან მიიღოს ხელმძღვანელი მონაწილეობა რუსეთის საყოველთაო სახალხო რევოლუციაში, ე. ი. ეს რევოლუცია მიიყვანოს პროლეტარიატისა და გლეხობის დემოკრატიულ დიქტატურამდე.

ჩვენი რევოლუცია საყოველთაო სახალხოა, — ეუბნება პროლეტარიატს ბურჟუაზია. — ამიტომ შენ, როგორც განსაკუთრებული კლასი, უნდა დასჯერდე შენს კლასობრივ ბრძოლას, — მთავარი ყურადღება, როგორც ამას «საღი აზრი» მოითხოვს, უნდა მიმართო პროფესიულ კავშირებსა და მათ ლეგალიზაციაზე, — სწორედ ეს პროფესიული კავშირები უნდა მიიჩნიო «შენი პოლიტიკური აღზრდისა და ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს გამოსავალ წერტილად», — რევოლუციურ მომენტში უნდა გამოიმუშაო უმთავრესად «სერიოზული» რეზოლუციები, ახალისკრულის მსგავსი, — ფრთხილად უნდა მოეპყრო რეზოლუციებს, რომლებიც «უფრო კეთილგანწყობილია ლიბერალებისადმი», — უპირატესობა უნდა მისცე იმ ხელმძღვანელებს, რომლებსაც ტენდენცია აქვთ გახდნენ «მუშათა კლასის რეალური პოლიტიკური მოძრაობის პრაქტიკული ხელმძღვანელები», — უნდა «შეინარჩუნო მარქსისტული მსოფლმხედველობის რეალისტური ელემენტები» (თუ შენ უკვე გადაგედო, სამწუხაროდ, ამ «არამეცნიერული» კატეხიზმოს «მკაცრი ფორმულები»),

ჩვენი რევოლუცია საყოველთაო სახალხოა, — ეუბნება სოციალ-დემოკრატია პროლეტარიატს. — ამიტომ შენ, როგორც ყველაზე მოწინავე და ერთადერთი ბოლომდე რევოლუციური კლასი, უნდა მიისწრაფოდე, რომ არათუ უაღრესად ენერგიული, არამედ აგრეთვე ხელმძღვანელი მონაწილეობა მიიღო ამ რევოლუციაში. ამიტომ შენ კი არ უნდა ჩაიკეტო კლასობრივი ბრძოლის ვიწროდ გაგებულ ფარგლებში, უპირატესად პროფესიული მოძრაობის აზრით, არამედ, პირიქით, უნდა მიისწრაფოდე იმდენად გააფართოო შენი კლასობრივი ბრძოლის ფარგლები და შინაარსი, რომ ამ ფარგლებით მ ო ი ც ვ ა რუსეთის ნამდვილი, დემოკრატიული, საყოველთაო სახალხო რევოლუციის არა მარტო ყ ვ ე ლ ა ამოცანა, არამედ შემდგომი სოციალისტური რევოლუციის ამოცანებიც. ამიტომ არ უნდა უგულებელჰყოფდე პროფესიულ მოძრაობას, უარს არ უნდა ამბობდე ლეგალობის სულ ცოტაოდენი გასაქანის გამოყენებაზე და რევოლუციის ეპოქაში პირველ რიგში უნდა წამოაყენო ამოცანები შეიარაღებული აჯანყებისა, რევოლუციური არმიისა და რევოლუციური მთავრობის შედგენისა, როგორც ერთადერთი გზა ცარიზმზე ხალხის სრული გამარჯვებისაკენ, დემოკრატიული რესპუბლიკისა და ნამდვილი პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებისაკენ.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა ორჭოფი, არათანამიმდევარი და, ბუნებრივია, ბურჟუაზიისათვის სიმპათიური პოზიცია დაიკავეს ამ საკითხში ახალისკრულმა რეზოლუციებმა, მათი მცდარი «ხაზის» წყალობით.

II. საკითხის ახალი «გალრმავება» ამხ. მარტინოვის მიერ

გადავიდეთ «ისკრის» 102 და 103 ნომრებში მოთავსებულ მარტინოვის სტატიებზე. თავისთავად ცხადია, ჩვენ არ გავცემთ პასუხს მარტინოვის ცდას — დაამტკიცოს, რომ ენგელსისა და მარქსის ნაწერების მთელი რიგი ციტატები ჩვენ სწორად არ განვმარტეთ, ხოლო მან კი სწორად განმარ-

ტა. ეს ცდები იმდენად არასერიოზულია, მარტინოვის ფანდები იმდენად ცხადია, საკითხი იმდენად ნათელია, რომ მასზე ერთხელ კიდევ შეჩერება საინტერესო არ იქნებოდა. ყოველი დაკვირვებული მკითხველი თვითონაც ადვილად გაერკვევა მარტინოვის მთელი ხაზით უკანდახევის მარტივ ხრიკებში, განსაკუთრებით მაშინ, როცა გამოვა «პროლეტარის» თანამშრომელთა ერთი ჯგუფის მიერ მომზადებული სრული თარგმანი ენგელსის ბროშურისა: «ბაკუნისტები მუშაობენ» და მარქსისა: «კომუნისტთა კავშირის გამგეობის მიმართვა» 1850 წლის მარტის თარიღით[33]. საკმარისია ერთი ციტატი მარტინოვის სტატიიდან, რათა თვალსაჩინო გახდეს მკითხველისათვის მისი უკანდახევა.

«ისკრა» «აღიარებს» — ამბობს მარტინოვი 103 ნომერში — «დროებითი მთავრობის დაწესებას, როგორც რევოლუციის განვითარების ერთ-ერთ შესაძლებელ და მიზანშეწონილ გზას, და უარყოფს ბურჟუაზიულ დროებითს მთავრობაში სოციალ-დემოკრატების მონაწილეობის მიზანშეწონილობას, მომავალში სოციალ-დემოკრატიული გადატრიალების მოსახდენად სახელმწიფო მანქანის სწორედ სრულად დაპყრობის გულისთვის». სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: «ისკრამ» ახლა აღიარა უაზრობა მთელი მისი შიშისა რევოლუციური მთავრობის პასუხისმგებლობაზე ხაზინისა და ბანკების ბედის გამო, «საპყრობილეების» თავის ხელში აღების საშიშროებისა და შეუძლებლობის გამო და სხვ.. «ისკრას» მხოლოდ ძველებურად შეაქვს საკითხში აბნეულობა, როცა ერთმანეთში ურევს დემოკრატიულ და სოციალისტურ დიქტატურას. აბნეულობა აუცილებელია, როგორც უკანდახევის მიჩქმალვის საშუალება.

მაგრამ ახალი «ისკრის» ამბნევთა შორის მარტინოვი განირჩევა როგორც 1-ლი რანგის ამბნევი, როგორც, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნიჭიერი ამბნევი. მან დახლართა საკითხი მისი «გაღრმავების» მიზნით, ამასთანავე ის თითქმის ყოველთვის «იგონებს» ახალ ფორმულირებებს, რომლებიც საუც-

ხოლ ამუქებენ მისი პოზიციის მთელ სიყალბეს. მოიგონეთ, როგორ «აღრმავებდა» ის ეკონომიზმის ეპოქაში პლეხანოვს და შემოქმედებითი გზით შექმნა ფორმულა: «ეკონომიური ბრძოლა მეპატრონეებთან და მთავრობასთან». ძნელია ეკონომისტების მთელ ლიტერატურაში მოინახოს ამ მიმართულების მთელი სიყალბის უფრო მოხერხებული გამოხატვა. ასეა ახლაც. მარტინოვი გულმოდგინედ ემსახურება ახალ «ისკრას» და თითქმის ყოველთვის, როცა სიტყვას იღებს, ახალ და ჩინებულ მასალას გვაძლევს ყალბი ახალისკრული პოზიციის შესაფასებლად. 102 ნომერში ის ამბობს, რომ ლენინმა «შეუმჩნევლად შეუნაცვლა ერთმანეთს ცნებები: რევოლუცია და დიქტატურაო» (გვ. 3, სვ. 2).

არსებითად ამ ბრალდებით განისაზღვრება ახალისკრელთა ყველა ბრალდება ჩვენს წინააღმდეგ. და მერე რა მადლობელი ვართ მარტინოვისა ამ ბრალდებისათვის! რა ფასდაუდებელ სამსახურს გვიწევს ის ახალისკრელობასთან ბრძოლის საქმეში, როცა ბრალდების ასეთ ფორმულირებას იძლევა! უსათუოდ უნდა ვთხოვოთ «ისკრის» რედაქციას, რომ მან ხშირ-ხშირად გამოუშვას ჩვენს წინააღმდეგ მარტინოვი «პროლეტარზე» თავდასხმების «გასაღრმავებლად» და მათი «ჭეშმარიტად პრინციპული» ფორმულირებისათვის. ვინაიდან რაც უფრო მეტად ცდილობს მარტინოვი პრინციპულად იმსჯელოს, მით უფრო ცუდად გამოუდის მას და მით უფრო აშკარად გვიჩვენებს ახალისკრელობის ნაკლს, მით უფრო წარმატებით აწარმოებს თავის თავზე და თავის მეგობრებზე სასარგებლო პედაგოგიურ ოპერაციას: **reductio ad absurdum** (ახალი «ისკრის» პრინციპების აბსურდამდე მიყვანას).

«ვპერიოდი» და «პროლეტარი» რევოლუციისა და დიქტატურის ცნებებს ერთმანეთს «შეუნაცვლებენ» ხოლმე. «ისკრას» არა სურს ასეთი «შენაცვლება». სწორედ ასეა, უპატივცემულესო ამხ. მარტინოვ! თქვენ უნებლიეთ დიდი სიმართლე სთქვით. ა ხ ა ლ ი ფორმულირებით თქვენ დაადასტურეთ ჩვენი დებულება, რომ «ისკრა» კუდში მისჩანჩალებს

რევოლუციას, გადადის მისი ამოცანების ოსვობოჟდენიელურ ფორმულირებაზე, ხოლო «ვპერიოდი» და «პროლეტარი» ისეთ ლოზუნგებს იძლევიან, რომლებსაც წინ მიჰყავთ დემოკრატიული რევოლუცია.

თქვენთვის ეს გაუგებარია, ამხ. მარტინოვ? საკითხის დიდი მნიშვნელობის გამო ჩვენ გავირჯებით მოგცეთ ვრცელი განმარტება.

დემოკრატიული რევოლუციის ბურჟუაზიული ხასიათი თავს იჩენს, სხვათა შორის, იმაში, რომ მთელი რიგი საზოგადოებრივი კლასები, ჯგუფები და ფენები, რომლებიც სავსებით დგანან კერძო საკუთრებისა და სასაქონლო მეურნეობის აღიარების ნიადაგზე და არ ძალუძთ თავი დააღწიონ ამ ფარგლებს, საქმეთა ვითარებით იქამდე მიდიან, რომ ცნობენ ოვითმპყრობელობისა და საზოგადოდ მთელი ბატონყმური წყობილების უვარგისობას, ემხრობიან თავისუფლების მოთხოვნას. ამასთან ბურჟუაზიული ხასიათი ამ თავისუფლებისა, რომელსაც «საზოგადოება» მოითხოვს და რომელსაც მემამულეები და კაპიტალისტები იცავენ სიტყვების ნიაღვარით (მხოლოდ სიტყვების!), სულ უფრო ცხადი ხდება. ამასთანავე სულ უფრო თვალსაჩინო ხდება ძირითადი განსხვავებაც მუშათა და ბურჟუაზიის ბრძოლისა თავისუფლებისათვის, პროლეტარული და ლიბერალური დემოკრატიზმისა. მუშათა კლასი და მისი შეგნებული წარმომადგენელნი წინ მიდიან და ბიძგს აძლევენ ამ ბრძოლას, არათუ არ ეშინიათ მისი ბოლომდე მიყვანისა, არამედ დემოკრატიული რევოლუციის სულ შორეულ ბოლოზე გაცილებით უფრო შორს მიისწრაფიან. ბურჟუაზია არათანამიმდევარი და ანგარებიანია, და თავისუფლების ლოზუნგებს მხოლოდ არასრულად და ფარისევლურად იღებს. ყოველგვარ ცდას — განსაკუთრებული ნიშნით, განსაკუთრებულად შემუშავებული «მუხლებით» (მსგავსად სტაროვერისა ან კონფერენტების რეზოლუციის მუხლებისა) განსაზღვრონ ის მიჯნები, რომელთა იქითაც იწყება თავისუფლების ბურჟუაზიული მეგობრების ეს ფარისევლო-

ბა ან, თუ გნებავთ, თავისუფლებისადმი ეს ღალატი მისი ბურჟუაზიული მეგობრების მხრივ, გარდუვალად მარცხი მოელის, რადგან ბურჟუაზიას, ორ ცეცხლშუა მოქცეულს (თვითმპყრობელობა და პროლეტარიატი), ათასი გზითა და საშუალებით შეუძლია შეცვალოს თავისი პოზიცია და ლოზუნგები, შეეგუოს ერთი გოჯით მარცხნივ და ერთი გოჯით მარჯვნივ, მუდამ ევაჭროს და იშუამავლოს. პროლეტარული დემოკრატიზმის ამოცანაა არა ამ მკვდარი «მუხლების» გამოგონება, არამედ განვითარების პროცესში მყოფი პოლიტიკური სიტუაციის დაუღალავი კრიტიკა, ბურჟუაზიის სულ ახალ-ახალი, წინასწარ გაუთვალისწინებელი, არათანამიმდევრობისა და ღალატის მხილება.

მოიგონეთ ისტორია ბ-ნ სტრუვეს პოლიტიკური გამოსვლებისა არალეგალურ ლიტერატურაში, მის წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატიის ომის ისტორია, და თქვენ თვალნათლივ დაინახავთ ამ ამოცანების განხორციელებას სოციალ-დემოკრატიის, პროლეტარული დემოკრატიზმისთვის მებრძოლის მიერ. ბ-მა სტრუვემ დაიწყო წმინდა შიპოვისებური ლოზუნგით: «უფლებები და ძალაუფლებიანი ერობა» (იხ. ჩემი სტატია «ზარიაში»: «ერობის მდევნელნი და ლიბერალიზმის ჰანიბალები»*). სოციალ-დემოკრატია ამხელდა და უბიძგებდა მას გარკვეულ-კონსტიტუციონალისტური პროგრამისაკენ. როცა ამ «ბიძგებმა» ნაყოფი გამოიღეს რევოლუციური ამბების განსაკუთრებით ჩქარი მსვლელობის გამო, ბრძოლა წარიმართა დემოკრატიზმის შ ე მ დ გ ო მ ი საკითხისაკენ: არა მარტო კონსტიტუცია საერთოდ, არამედ აუცილებლად საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლება ხმის ფარული კენჭისყრით. როცა ჩვენ «მტრის» ეს ახალი პოზიციაც «დავიკავეთ» (საყოველთაო საარჩევნო უფლების მიღება «განთავისუფლების კავშირის» მიერ), ჩვენ კიდევ შევუტიეთ და ცხადვყავით ორპალატიანი სისტემის თვალთმაქ-

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 5, გვ. 25 — 89. რ ე დ.

ცობა და სიყალბე, ოსვობოჟდენიელების მიერ საყოველთაო საარჩევნო უფლების არასრულად აღიარება, ცხადვყავით მათი მ ო ნ ა რ ქ ი ზ მ ი ს მიხედვით მათი დემოკრატიზმის მაკლერული ხასიათი ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, ფულის ქისის ამ ოსვობოჟდენიელური გმირების მიერ რუსეთის დიდი რევოლუციის ინტერესებით ვ ა ჭ რ ო ბ ა.

ბოლოს, თვითმპყრობელობის ველურმა ჯიუტობამ, სამოქალაქო ომის გიგანტურმა პროგრესმა, იმ მდგომარეობის უიმედობამ, რომელშიც ჩააყენეს რუსეთი მონარქისტებმა, იწყეს უაღრესად დამყაყებული გონების მოტეხაც. რევოლუცია ფ ა ქ ტ ი ხდებოდა. რევოლუციის აღიარებისთვის უკვე საჭირო აღარ იყო რევოლუციონერობა. თვითმპყრობელური მთავრობა ფაქტიურად იხრწნებოდა და იხრწნება ყველას თვალწინ. როგორც ეს სამართლიანად შენიშნა ერთმა ლიბერალმა (ბ-მა გრედესკულმა) ლეგალურ პრესაში, შეიქმნა ფაქტიური ურჩობა ამ მთავრობის მიმართ. მიუხედავად მთელი თავისი მოჩვენებითი ძლიერებისა, თვითმპყრობელობა უძლური აღმოჩნდა, სულ უფრო განვითარებული რევოლუციის ამბები თანდათან განზე სწევენ ამ ცოცხლად გახრწნილ პარაზიტულ ორგანიზმს. ლიბერალურმა ბურჟუებმა, რომლებიც იძულებული იყვნენ თავიანთი მოღვაწეობა (ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, თავიანთი პოლიტიკური გეშეფტები) ეშენებინათ არსებულ, ფაქტიურად შექმნილ ურთიერთობათა ნიადაგზე, იწ ყ ე ს ი მ ი ს შ ე გ ნ ე ბ ა, რ ო მ რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ა ღ ი ა რ ე ბ ა ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ა. ამას ისინი სჩადიან არა იმიტომ, რომ რევოლუციონერები არიან, არამედ მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციონერები არ არიან. ამას ისინი სჩადიან გაჭირვების გამო და იძულებით, გაბოროტებით ხედავენ რა რევოლუციის წარმატებებს, რევოლუციურობას აბრალებენ თვითმპყრობელობას, რომელსაც არა სურს მორიგება, არამედ სურს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ბუნებით ჩარჩებს, მათ სძაგთ ბრძოლა და რევოლუცია, მაგრამ გარემოებანი აიძულებენ მათ დადგნენ რევოლუციის ნიადაგზე, რადგან სხვა ნიადაგს ვერ გრძნობენ ფეხქვეშ.

ჩვენ მოწმენი ვართ დიდად საგულისხმო და დიდად კომიკური სანახაობისა. ბურჟუაზიული ლიბერალიზმის მეძავები ცდილობენ მოისხან რევოლუციურობის სამოსელი. ოსვობოჟდენიელები — risum tenealis, amici! * — ოსვობოჟდენიელები ლაპარაკს იწყებენ რევოლუციის სახელით! ოსვობოჟდენიელები გვარწმუნებენ, «რევოლუციისა არ გვეშინიაო» (ბ-ნი სტრუვე «ოსვობოჟდენიეს № 72-ში)!!! ოსვობოჟდენიელები «რევოლუციის სათავეში ჩადგომის პრეტენზიას აცხადებენ»!!!

ეს მეტისმეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა, რაც ახასიათებს არა მარტო ბურჟუაზიული ლიბერალიზმის პროგრესს, არამედ უფრო მეტად იმ რევოლუციური მოძრაობის რეალურ წარმატებათა პროგრესს, რომელმაც აიძულა ეცნოთ იგი. ბურჟუაზიაც კი გრძნობს უკვე იმას, რომ უფრო ხელსაყრელია რევოლუციის ნიადაგზე დადგომა, — იმდენად შერყეულია თვითმპყრობელობა. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს მოვლენა, რომელიც მთელი მოძრაობის ახალ, უმაღლეს საფეხურზე ასვლას მოწმობს, ჩვენს წინაშე აგრეთვე ახალ და აგრეთვე უმაღლეს ამოცანებს აყენებს. ბურჟუაზიის მიერ რევოლუციის აღიარება არ შეიძლება გულწრფელი იყოს, მიუხედავად ბურჟუაზიის ამა თუ იმ იდეოლოგის პირადი კეთილსინდისიერებისა. ბურჟუაზიას არ შეუძლია თან არ შეიტანოს ანგარება და არათანამიმდევრობა, ჩარჩობა და წვრილმანი რეაქციული ფანდები მოძრაობის ამ უმაღლეს სტადიაშიც. ჩვენ ახლა სხვაგვარად უნდა ჩამოვაყალიბოთ რევოლუციის უახლოესი კონკრეტული ამოცანები ჩვენი პროგრამის გულისთვის და ჩვენი პროგრამის გასავითარებლად. ის, რაც გუშინ საკმარისი იყო, დღეს არ კმარა. გუშინ, შესაძლებელია, საკმარისი იყო, როგორც მოწინავე დემოკრატიული ლოზუნგი, რევოლუციის აღიარების მოთხოვნა. ახლა ეს ცოტაა. რევოლუციამ ბ-ნი სტრუვეც კი აიძულა ეცნო ის.

* — ჭერ ნუ იცინით, ბატონებო!

ახლა მოწინავე კლასს მოეთხოვება ზუსტად განსაზღვროს ამ რევოლუციის საარსებო და გადაუდებელ ამოცანათა თ ვ ი თ შ ი ნ ა ა რ ს ი. ბატონი სტრუვეები, აღიარებენ რა რევოლუციას, იქვე გამოაჩენენ ხოლმე ისევ და ისევ თავიანთ ვირის ყურებს, კვლავ იწყებენ ძველ სიმღერას მშვიდობიანი დასასრულის შესაძლებლობაზე, ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს მიერ ბატონ ოსვობოჟდენიელების მიპატიჟებაზე ხელისუფლების სათავეში და სხვ. და სხვ.. ბატონი ოსვობოჟდენიელები აღიარებენ რევოლუციას, რათა თავისთვის მით უფრო უვნებლად მოახდინონ ამ რევოლუციის ესკამოტირება, უღალატონ მას. ამჟამად ჩვენი საქმეა — მივუთითოთ პროლეტარიატს და მთელ ხალხს უკმარისობა ლოზუნგისა: რევოლუცია, ვუჩვენოთ რევოლუციის თ ვ ი თ შ ი ნ ა ა რ ს ი ს ნათელი და მკაფიო, თანამიმდევარი და გადამწყვეტი განსაზღვრის აუცილებლობა. ასეთი განსაზღვრა კი თვით წარმოადგენს ლოზუნგს, რომელსაც ერთადერთს შეუძლია სწორად გამოხატოს რევოლუციის «გადამწყვეტი გამარჯვება», ლოზუნგს: პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დემოკრატიული დიქტატურა [34].

სიტყვების ბოროტად გამოყენება — უაღრესად ჩვეულებრივი მოვლენაა პოლიტიკაში. «სოციალისტები», მაგალითად, არა ერთხელ უწოდებიათ თავიანთი თავისთვის ინგლისის ბურჟუაზიული ლიბერალიზმის წარმომადგენლებსაც («ჩვენ ახლა ყველანი სოციალისტები ვართო» «We all are socialists now». თქვა ჰარკორტმა). ბისმარკის მომხრეებსაც და პაპის ლევ XIII-ის მეგობრებსაც. სიტყვა «რევოლუციაც» სავსებით გამოსადეგია საიმისოდ, რომ ბოროტად გამოიყენონ იგი, ხოლო მოძრაობის განვითარების განსაზღვრულ სტადიაზე ასეთი ბოროტად გამოყენება აუცილებელიცაა. როდესაც ბ-მა სტრუვემ რევოლუციის სახელით დაიწყო ლაპარაკი, ჩვენ უნებურად მოგვაგონდა ტიერი. რამდენიმე დღით ადრე თებერვლის რევოლუციამდე ამ შესაზარმა ქონდრისკაცმა, ბურჟუაზიის პოლიტიკური გამცემლობის ამ იდეალურმა გამომ-

ხატველმა, იგრძნო სახალხო ქარიშხლის მოახლოება. პარლამენტის ტრიბუნიდან მან განაცხადა, რევოლუციის პარტიას ვეკუთვნიო! (იხ. მარქსის «სამოქალაქო ომი საფრანგეთში»[35]). რევოლუციის პარტიისაკენ ოსვობოჟდენიელების გადასვლის პოლიტიკური მნიშვნელობა მთლიანად ემსგავსება ტიერის ამ «გადასვლას». როდესაც რუსმა ტიერებმა ლაპარაკი დაიწყეს იმაზე, რომ რევოლუციის პარტიას ვეკუთვნითო, ეს იმას ნიშნავს, რომ რევოლუციის ლოზუნგი საკმარისი აღარაა, ის არაფრის მთქმელი არ არის, არავითარ ამოცანას არ არკვევს, რადგან რევოლუცია ფაქტი გახდა, მისკენ მიაშურეს სულ სხვადასხვაგვარმა ელემენტებმა.

მართლაც, რა არის რევოლუცია მარქსისტული თვალსაზრისით? ძალით დამსხვრევა მოძველებული პოლიტიკური ზედნაშენისა, რომლის წინააღმდეგურობამ ახალ წარმოებითს ურთიერთობასთან განსაზღვრულ მომენტში მისი კრახი გამოიწვია. თვითმპყრობელობის წინააღმდეგურობამ კაპიტალისტური რუსეთის მთელ წყობილებასთან, მისი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული განვითარების ყველა მოთხოვნილებასთან ახლა მით უფრო ძლიერი კრახი გამოიწვია, რაც უფრო ხანგრძლივი იყო ამ წინააღმდეგურობის ხელოვნურად შენარჩუნება. ზედნაშენი თავიდან ბოლომდე გაიბზარა, მოწოლას ვეღარ უძლებს, სუსტდება. ხალხს თვითონ უხდება, სრულიად სხვადასხვა კლასთა და ჯგუფთა წარმომადგენლების სახით, ახალი ზედნაშენის შექმნა. განვითარების განსაზღვრულ მომენტში ძველი ზედნაშენის უვარგისობა ყველასათვის ცხადი ხდება. რევოლუციას ყველანი აღიარებენ. ახლა ამოცანა ის არის, რომ განისაზღვროს, სახელდობრ რომელმა კლასებმა და სახელდობრ როგორ უნდა ააგონ ახალი ზედნაშენი. ასეთი განსაზღვრის გარეშე რევოლუციის ლოზუნგი დღევანდელ მომენტში ცარიელი და უშინაარსოა, რადგან თვითმპყრობელობის სისუსტე «რევოლუციონერებად» ხდის დიდ მთავრებსაც და «მოსკოვსკიე ვედო-

მოსტისაც»[36]! ასეთი განსაზღვრის გარეშე მოწინავე კლასის მოწინავე დემოკრატიულ ამოცანებზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია. ხოლო სწორედ ასეთ განსაზღვრას წარმოადგენს ლოზუნგი: პროლეტარიატისა და გლეხობის დემოკრატიული დიქტატურა. ეს ლოზუნგი განსაზღვრავს იმ კლასებსაც, რომელთაც შეიძლება და უნდა დაეყრდნონ ახალი ზედნაშენის ახალი «მშენებლები», ამ ზედნაშენის ხასიათსაც («დემოკრატიული» დიქტატურა სოციალისტური დიქტატურისაგან განსხვავებით) და შენების წესსაც (დიქტატურა, ე. ი. ძალით გაწეული წინააღმდეგობის ძალითვე ჩახშობა, ხალხის რევოლუციურ კლასთა შეიარაღება). ვინც ახლა არ აღიარებს რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის ამ ლოზუნგს, რევოლუციური არმიის, რევოლუციური მთავრობის, რევოლუციური გლეხთა კომიტეტების ლოზუნგს, მას ან სრულიად არ გაეგება რევოლუციის ამოცანები, არ ეხერხება განსაზღვროს დღევანდელი მომენტის მიერ წამოყენებული მისი ახალი და უმაღლესი ამოცანები, ანდა ის ატყუებს ხალხს, ღალატობს რევოლუციას «რევოლუციის» ლოზუნგის პოროტად გამოყენებით.

პირველი შემთხვევის მაგალითია ამხ. მარტინოვი და მისი მეგობრები. მეორის — ბ-ნი სტრუვე და მთელი საერობო «კონსტიტუციურ-დემოკრატიული» პარტია.

ამხ. მარტინოვმა იმდენი მიხვედრილობა და გონებამახვილობა გამოიჩინა, რომ წამოაყენა ბრალდება რევოლუციისა და დიქტატურის ცნებათა «შენაცვლების» შესახებ სწორედ იმ დროს, როცა რევოლუციის განვითარებამ მოითხოვა მისი ამოცანების განსაზღვრა დიქტატურის ლოზუნგით! ამხ. მარტინოვს ბედის უკუღმართობამ ფაქტიურად კვლავ მაჩანჩალობა, ბოლოდან მეორე საფეხურზე გახირვა, ოსვობოჟდენიელობის დონეზე. ყოფნა არვუნა, რადგან სწორედ ოსვობოჟდენიელურ პოლიტიკურ პოზიციას, ე. ი. ლიბერალური მონარქისტული ბურჟუაზიის ინტერესებს შეეფერება ახლა «რევოლუციის» აღიარება (სიტყვიერად) და

პროლეტარიატისა და გლეხობის დემოკრატიული დიქტატურის (ე. ი. საქმით რევოლუციის) აღიარების სურვილის უქონლობა. ლიბერალური ბურჟუაზია ახლა, ბ-ნ სტრუვეს პირით, რევოლუციის მომხრეა. შეგნებული პროლეტარიატი, რევოლუციური სოციალ-დემოკრატების პირით, მოითხოვს პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურას. და აი აქ დავაში ერევა ახალისკრელი ბრძენი და გაჰკივის: არ გაბედოთ რევოლუციისა და დიქტატურის ცნებათა «შენაცვლება»! აბა, ერთი მითხარით, განა მართალი არ არის, რომ ახალისკრელთა პოზიციის სიყალბე მათ ბედად არგუნებს იმას, რომ მუდამ ოსვობოჟდენიელობის კუდში იჩანჩალონ?

ჩვენ ცხადვყავით, რომ ოსვობოჟდენიელები იწევენ ზევით (სოციალ-დემოკრატიის წამახალისებელი ბიძგების გავლენით) საფეხურიდან საფეხურზე დემოკრატიზმის აღიარების საქმეში. თავდაპირველად ჩვენს დავაში იდგა საკითხი: შიპოველობა (უფლებები და ძალაუფლებიანი ერობა) თუ კონსტიტუციონალიზმი? შემდეგ, შეკვეცილი არჩევნები თუ საყოველთაო საარჩევნო უფლება? შემდეგ: რევოლუციის აღიარება თუ თვითმპყრობელობასთან მაკლერული გარიგება? ბოლოს, ახლა: რევოლუციის აღიარება პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის გარეშე თუ ამ კლასების დიქტატურის მოთხოვნის აღიარება დემოკრატიულ რევოლუციაში? შესაძლებელია და მოსალოდნელი, რომ ბატონი ოსვობოჟდენიელებიც (სულ ერთია, ახლანდელნი თუ მათი მემკვიდრენი ბურჟუაზიული დემოკრატიის მემარცხენე ფრთაში) კიდევ აიწევენ ერთი საფეხურით, ე. ი. დროთა ვითარებაში (შესაძლებელია, იმ დროისთვის, როცა კიდევ ერთი საფეხურით აიწევს ამხ. მარტინოვი) იცნობენ დიქტატურის ლოზუნგსაც. ეს აუცილებლად ასეც იქნება, თუ რუსეთის რევოლუცია წარმატებით გასწევს წინ და გადამწყვეტ გამარჯვებას მიაღწევს. როგორი იქნება მაშინ სოციალ-დემოკრატიის პოზიცია? ახლანდელი რევოლუციის სრული გამარჯვება იქნება დემოკრატიული გადატრიალების დასასრული და სოციალისტური გა-

დატრიალებისათვის გადამწყვეტი ბრძოლის დასაწყისი. თანამედროვე გლეხობის მოთხოვნათა განხორციელება, რეაქციის სრული განადგურება, დემოკრატიული რესპუბლიკის მოპოვება — ეს იქნება ბურჟუაზიისა და თვით წვრილი ბურჟუაზიის რევოლუციურობის სრული დასასრული, — ეს იქნება დასაწყისი პროლეტარიატის ნამდვილი ბრძოლისა სოციალიზმისათვის. რაც უფრო სრული იქნება დემოკრატიული გადატრიალება, მით უფრო ჩქარა, ფართოდ, წმინდად, გადამწყვეტად გაიშლება ეს ახალი ბრძოლა. «დემოკრატიული» დიქტატურის ლოზუნგი გამოხატავს სწორედ ახლანდელი რევოლუციის ისტორიულად შეზღუდულ ხასიათს და ახალი წესწყობილების ნიადაგზე ახალი ბრძოლის აუცილებელ საჭიროებას მუშათა კლასის სრული განთავისუფლებისათვის ყოველგვარი ჩაგვრისა და ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: როცა დემოკრატიული ბურჟუაზია ან წვრილი ბურჟუაზია კიდევ ერთი საფეხურით აიწევს, როცა ფაქტი იქნება არათუ რევოლუცია, არამედ რევოლუციის სრული გამარჯვება, — მაშინ ჩვენ «შევცვლით» (შესაძლებელია, ახალი მომავალი მარტინოვების საშინელი გოდებით) დემოკრატიული დიქტატურის ლოზუნგს პროლეტარიატის სოციალისტური დიქტატურის, ე. ი. სრული სოციალისტური გადატრიალების ლოზუნგით.

III. დიქტატურის ვულგარულ-ბურჟუაზიული გამოხატულება და მარქსის შეხედულება დიქტატურაზე

მერინგი[37] თავის შენიშვნებში მარქსის სტატიებისადმი, რომლებიც მან 1848 წლის «ახალი რეინის გაზეთიდან» ამოიღო და გამოსცა, მოგვითხრობს, რომ ბურჟუაზიული ლიტერატურა, სხვათა შორის, ასეთს საყვედურს ეუბნებოდა ამ გაზეთს. «ახალი რეინის გაზეთი» თითქოს მოითხოვდა «დიქტატურის დაუყოვნებლივ შემოღებას, როგორც დემოკრა-

ტიის განხორციელების ერთადერთ საშუალებას» (Marx' Nachlass, ტომი III, გვ. 53). ვულგარულ-ბურჟუაზიული თვალსაზრისით, დიქტატურის ცნება და დემოკრატიის ცნება ერთმანეთს გამორიცხავენ. არ ესმის რა კლასთა ბრძოლის თეორია, შეჩვეულია რა პოლიტიკურ ასპარეზზე ბურჟუაზიის სხვადასხვა წრისა და კოტერიის წვრილმანი აყალმაყალის დანახვას, ბურჟუას დიქტატურა ესმის როგორც დემოკრატიის ყველა თავისუფლებისა და გარანტიის გაუქმება, ყოველგვარი თვითნებობა, უფლების ყოველგვარი ბოროტად გამოყენება დიქტატორის პიროვნების ინტერესებისათვის. არსებითად, სწორედ ეს ვულგარულ-ბურჟუაზიული თვალსაზრისი გამოსჭვივის ჩვენი მარტინოვის ნაწერებშიც, რომელიც ახალ «ისკრაში» თავისი «ახალი ლაშქრობის» დასასრულს «ვპერიოდისა» და «პროლეტარის» მიდრეკილებას დიქტატურის ლოზუნგისადმი იმით ხსნის, რომ ლენინს «გულით უნდა ბედი სცადოსო» («ისკრა» № 103, გვ. 3, სვ. 2). რათა მარტინოვს განვუმარტოთ კლასის დიქტატურის ცნება პიროვნების დიქტატურის ცნებისაგან განსხვავებით და დემოკრატიული დიქტატურის ამოცანები სოციალისტურისაგან განსხვავებით, უსარგებლო არ იქნება შევჩერდეთ «ახალი რეინის გაზეთის» შეხედულებებზე.

«ყოველგვარი დროებითი სახელმწიფოებრივი წყობილება, — წერდა «ახალი რეინის გაზეთი» 1848 წლის 14 სექტემბერს, — რევოლუციის შემდეგ მოითხოვს დიქტატურას და მასთან ენერგიულ დიქტატურასაც. ჩვენ თავიდანვე ვუსაყვედურებდით კამპჰაუზენს (სამინისტროს მეთაურს 1848 წლის 18 მარტის შემდეგ), რომ იგი არ გამოვიდა დიქტატორულად, რომ მან მაშინვე არ გაანადგურა და არ მოიშორა თავიდან ძველ დაწესებულებათა ნაშთები. და აი იმ დროს, როცა ბ-ნი კამპჰაუზენი თავს ინუგეშებდა კონსტიტუციური ილუზიებით, დამარცხებულმა პარტიამ (ე. ი. რეაქციის პარტიამ) განამტკიცა თავისი პოზიციები ბიუროკრატიასა და არმიაში, და აქა-იქ ის აშკარა ბრძოლასაც კი ბედავდა» [38].

ამ სიტყვებში, — სამართლიანად ამბობს მერინგი, — რამდენიმე დებულებით შეჯამებულია ის, რასაც «ახალი რეინის გაზეთი» ვრცლად ავითარებდა თავის გრძელ სტატიებში კამპჰაუზენის სამინისტროს შესახებ. რას გვეუბნება მარქსის ეს სიტყვები? რომ დროებითი რევოლუციური მთავრობა დიქტატორულად უ ნ დ ა გამოდიოდეს (დებულება, რომლის გაგება ვერასგზით ვერ შესძლო «ისკრამ», რომელიც უფრთხოდა ლოზუნგს: დიქტატურა); — რომ ამ დიქტატურის ამოცანაა ძველ დაწესებულებათა ნაშთების მოსპობა (სწორედ ის, რაც ნათლადაა აღნიშნული რსდმპ III ყრილობის რეზოლუციაში კონტრრევოლუციასთან ბრძოლის შესახებ, და რაც გამოტოვებულია კონფერენციის რეზოლუციაში, როგორც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ). ბოლოს, მესამე, ამ სიტყვებიდან გამომდინარეობს, რომ მარქსი ამათრახებდა ბურჟუაზიულ დემოკრატებს «კონსტიტუციური ილუზიებისთვის» რევოლუციისა და აშკარა სამოქალაქო ომის ეპოქაში. თუ როგორია ამ სიტყვების აზრი, განსაკუთრებით ნათლად ჩანს «ახალი რეინის გაზეთის» სტატიიდან 1848 წლის 6 ივნისის თარიღით. «დამფუძნებელი სახალხო კრება, — წერდა მარქსი, — უწინარეს ყოვლისა აქტიური, რევოლუციურად აქტიური კრება უნდა იყოს. ფრანკფურტის კრება კი პარლამენტარიზმის სასკოლო ვარჯიშობითაა გართული და მთავრობისთვის მიუნდვია იმოქმედოს. ვთქვათ, რომ ამ მეცნიერულმა კრებამ საღი მსჯელობის შემდეგ შესძლო საუკეთესო დღის წესრიგისა და საუკეთესო კონსტიტუციის შემუშავება. მერე რა გამოვა ამ საუკეთესო დღის წესრიგიდან და საუკეთესო კონსტიტუციიდან, თუ გერმანიის მთავრობებმა ამ დროს უკვე ხიშტი დააყენეს დღის წესრიგში?» [39].

აი როგორია აზრი ლოზუნგისა: დიქტატურა. აქედან შეიძლება დავინახოთ, თუ როგორ მოექცეოდა მარქსი იმ რეზოლუციებს, რომლებიც «დამფუძნებელი კრების მოწყობის გადაწყვეტილებას» უწოდებენ გადამწყვეტ გამარჯვებას ანდა

მოუწოდებენ — «დავრჩეთ უკიდურესი რევოლუციური ოპოზიციის პარტიადაო»!

დიდ საკითხებს ხალხთა ცხოვრებაში მხოლოდ ძალა წყვეტს. ჩვეულებრივ თვით რეაქციული კლასები პირველნი მიმართავენ ძალადობას, სამოქალაქო ომს, «დღის წესრიგში აყენებენ ხიშტს», როგორც ეს ჩაიდინა რუსეთის თვითმპყრობელობამ და განაგრძობს ამას სისტემატურად და ურყევად, ყველგან და ყოველთვის, დაწყებული 9 იანვრიდან. ხოლო რაკი ასეთი მდგომარეობა შეიქმნა, რაკი ხიშტი მართლაც დადგა პოლიტიკური დღის წესრიგის პირველ რიგში, რაკი აჯანყება აუცილებელი და გადაუდებელი აღმოჩნდა,— მაშინ კონსტიტუციური ილუზიები და პარლამენტარიზმის სასკოლო ვარჯიშობანი მხოლოდ რევოლუციის ბურჟუაზიული გამცემლობის საფარველად ხდებიან, იმის საფარველად, თუ როგორ «შორდება» ბურჟუაზია რევოლუციას. ნამდვილმა რევოლუციურმა კლასმა მაშინ უნდა წამოაყენოს სწორედ დიქტატურის ლოზუნგი.

ამ დიქტატურის ამოცანების საკითხზე მარქსი ჯერ კიდევ «ახალ რეინის გაზეთში» წერდა: «ეროვნული კრება დიქტატორულად უნდა გამოსულიყო დრომოჭმულ მთავრობათა რეაქციული ზრახვების წინააღმდეგ, და მაშინ ის ხალხის თვალში ისეთ ძალას მოიპოვებდა, რომელზედაც ყველა ხიშტი დაიმტვრეოდა... ეს კრება კი გერმანიის ხალხს ღლის მოსაწყენი სიტყვებით ნაცვლად იმისა, რომ გაიტაცოს იგი ან გატაცებულ იქნას მის მიერ» [40]. ეროვნულ კრებას, მარქსის აზრით, «გერმანიის ფაქტიურად არსებული წყობილებიღან უნდა გაედევნა ყველაფერი, რაც ეწინააღმდეგებოდა ხალხის თვითმპყრობელობის პრინციპს», შემდეგ «განემტკიცებინა ის რევოლუციური ნიადაგი, რომელსაც იგი ეყრდნობა, უვნებელეყო რევოლუციის მიერ მოპოვებული თვითმპყრობელობა ხალხისა ყოველგვარი თავდასხმისაგან» [41].

მაშასადამე, თავისი შინაარსით, ის ამოცანები, რომლებსაც უყენებდა მარქსი 1848 წელს რევოლუციურ მთავრობას ან

დიქტატურას, უწინარეს ყოვლისა დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი გადატრიალება იყო: კონტრრევოლუციისაგან თავდაცვა და ფაქტიურად მოცილება ყოველივე იმისა, რაც ხალხის თვითმპყრობელობას ეწინააღმდეგებოდა. ეს არის სწორედ რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა და სხვა არაფერი.

გავყვეთ ქვემოთ: რომელ კლასებს შეეძლოთ და უნდა განეხორციელებინათ, მარქსის აზრით, ეს ამოცანა (საქმით ხალხის თვითმპყრობელობის პრინციპის ბოლომდე გატარება და კონტრრევოლუციის იერიშების მოგერიება?). მარქსი ლაპარაკობს «ხალხზე». მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ის ყოველთვის დაუნდობლად იბრძოდა «ხალხის» ერთიანობის წვრილბურჟუაზიული ილუზიების, ხალხში კლასობრივი ბრძოლის არარსებობის ილუზიების წინააღმდეგ. როცა მარქსი ხმარობდა სიტყვას: «ხალხი», ის ამ სიტყვით კლასთა სხვადასხვაობას კი არ ჩქმალავდა, არამედ აერთიანებდა გარკვეულ ელემენტებს, რომლებსაც ძალუძთ რევოლუციის ბოლომდე მიყვანა.

18 მარტს ბერლინის პროლეტარიატის გამარჯვების შემდეგ, — წერდა «ახალი რეინის გაზეთი», — რევოლუციის შედეგები ორგვარი აღმოჩნდა: «ერთი მხრივ, სახალხო შეიარაღება, კავშირების უფლება, ფაქტიურად მოპოვებული ხალხის თვითმპყრობელობა; მეორე მხრივ, მონარქიის შენარჩუნება და კამპჰაუზენ-ჰანზემანის სამინისტრო, ე. ი. მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენელთა მთავრობა. ამგვარად, რევოლუციას ჰქონდა ორგვარი შედეგები, რომელთაც გარდუვალად უნდა გამოეწვიათ გათიშვა. ხალხმა გაიმარჯვა; მან მოიპოვა აშკარა დემოკრატიული ხასიათის თავისუფლებანი, მაგრამ უშუალო ბატონობა გადავიდა არა მის ხელში, არამედ მსხვილი ბურჟუაზიის ხელში. ერთი სიტყვით, რევოლუცია ბოლომდე არ ყოფილა მიყვანილი. ხალხმა მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენლებს მიანება სამინისტროს შედგენა, ხოლო მსხვილი ბურჟუაზიის ამ წარმომადგენლებმა თავიანთი მისწრაფებანი მაშინვე იმით დაამტკიცეს, რომ კავშირი შეს-

თავაზეს ძველ პრუსიელ თავადაზნაურობასა და ბიუროკრატიას. სამინისტროში შევიდნენ არნიმი, კანიტცი და შვერინი,

«მსხვილმა ბურჟუაზიამ, თავიდანვე ანტირევოლუციურმა, თავდაცვითი და თავდასხმითი კავშირი შეკრა რეაქციასთან ხალხის, ესე იგი მუშებისა და დემოკრატიული ბურჟუაზიის შიშით» (ხაზგასმა ჩვენია)[42].

ამრიგად, არამცთუ «დამფუძნებელი კრების მოწყობის გადაწყვეტილება» არ კმარა რევოლუციის გადამწყვეტი გამარჯვებისათვის, არამედ მისი ნამდვილი მოწვევაც კი! შეიარაღებულ ბრძოლაში ნაწილობრივი გამარჯვების შემდეგაც კი (ბერლინის მუშების გამარჯვება ჯარზე 1848 წლის 18 მარტს) შესაძლებელი არის «დაუმთავრებელი», «ბოლომდე მიუყვანელი» რევოლუცია. რაზეა დამოკიდებული მისი ბოლომდე მიყვანა? იმაზე, თუ ვის ხელში გადადის უშუალო ბატონობა: პეტრუნკევიჩებისა და როდიჩევების, ე. ი. კამპჰაუზენებისა და ჰანზემანების ხელში, თუ ხალხის, ე. ი. მუშებისა და დემოკრატიული ბურჟუაზიის ხელში. პირველ შემთხვევაში ბურჟუაზიას ექნება ძალაუფლება, ხოლო პროლეტარიატს — «კრიტიკის თავისუფლება», «უკიდურესი რევოლუციური ოპოზიციის პარტიად დარჩენის» თავისუფლება. ბურჟუაზია გამარჯვებისთანავე შეკრავს კავშირს რეაქციასთან (ეს გარდუვალად მოხდებოდა რუსეთშიც, რომ, მაგალითად, პეტერბურგის მუშებს მხოლოდ ნაწილობრივი გამარჯვება მოეპოვებინათ ჯართან ქუჩის ბრძოლაში და მთავრობის შედგენა მიენდოთ ბ-ნ პეტრუნკევიჩებისა და კომპანიისათვის). მეორე შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა, ე. ი. რევოლუციის სრული გამარჯვება.

დაგვრჩენია უფრო ზუსტად განვსაზღვროთ, სახელდობრ როგორ ესმოდა მარქსს «დემოკრატიული ბურჟუაზია» (demokratische Bürgerschaft), რომელსაც მუშებთან ერთად ის უწოდებდა ხალხს მსხვილი ბურჟუაზიისაგან განსხვავებით?

ამ კითხვაზე გარკვეულ პასუხს იძლევა 1848 წლის 29 ივლისის «ახალი რეინის გაზეთის» სტატიის შემდეგი ადგილი: «...გერმანიის 1848 წლის რევოლუცია საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის მხოლოდ პაროდიას წარმოადგენს.

1789 წლის 4 აგვისტოს, ბასტილიის აღებიდან სამი კვირის შემდეგ, საფრანგეთის ხალხმა ერთ დღეში დასძლია ყველა ფეოდალური ბეგარა.

1848 წლის 11 ივლისს, მარტის ბარიკადების ოთხი თვის შემდეგ, ფეოდალურმა ბეგარებმა დასძლიეს გერმანიის ხალხი. Teste Gierke cum Hansemanno *.

საფრანგეთის 1789 წლის ბურჟუაზია ერთი წუთითაც არ სტოვებდა თავის მოკავშირეებს, გლეხებს. მან იცოდა, რომ მისი ბატონობის საფუძველს წარმოადგენდა ფეოდალიზმის მოსპობა სოფლად, თავისუფალ მიწათმფლობელ (grundbesitzenden) გლეხთა კლასის შექმნა.

გერმანიის 1848 წლის ბურჟუაზია ყოვლად უსინდისოდ ღალატობს გლეხებს, თავის ყველაზე ბუნებრივ მოკავშირეებს, რომლებიც მის სისხლს სისხლთაგანს წარმოადგენენ და რომელთა დაუხმარებლადაც ის უძლურია თავადაზნაურობის წინააღმდეგ.

ფეოდალურ უფლებათა შენარჩუნება, მათი სანქციონირება (ილუზორული) გამოსყიდვის სახით — ასეთია გერმანიის 1848 წლის რევოლუციის შედეგი. აქლემმა რწყილი «შობა»[43].

---

* «მოწმენი: ბ-ნი გირკე ბ-ნ ჰანზემანთან ერთად». ჰანზემანი — მსხვილი ბურჟუაზიის პარტიის მინისტრი (რუსულად: ტრუბეცკოი ან როდიჩევი და სხვ.). გირკე — მიწათმოქმედების მინისტრი ჰანზემანის სამინისტროში; გირკემ შეიმუშავა პროექტი. «გაბედული» პროექტი «ფეოდალურ ბეგარათა» ვითომ «უსასყიდლოდ მოსპობისა». სინამდვილეში კი წვრილი და უმნიშვნელო ბეგარების მოსპობისა, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ბეგარების შენარჩუნების ან გამოსყიდვის პროექტი. ბ-ნი გირკე მოგვაგონებს რუს ბ-ნთ კაბლუკოვებს, მანუილოვებს, გერცენშტეინებსა და მათ მსგავს ბურჟუაზიულ-ლიბერალურ მეგობრებს გლეხისას, მეგობრებს, რომელთაც სურთ «გლეხური მიწათმფლობელობის გაფართოება», მაგრამ მემამულეების წყენინება არა სურთ.

ეს მეტად საგულისხმო ადგილია, რაც გვაძლევს ოთხ მნიშვნელოვან დებულებას: 1) გერმანიის დაუმთავრებელი რევოლუცია საფრანგეთის დამთავრებული რევოლუციისაგან იმით განსხვავდება, რომ ბურჟუაზიამ უღალატა არა მარტო დემოკრატიზმს საერთოდ, არამედ კერძოდ გლეხობასაც. 2) დემოკრატიული გადატრიალების სრული განხორციელების საფუძველს წარმოადგენს გლეხობის თავისუფალი კლასის შექმნა. 3) ასეთი კლასის შექმნა — ეს არის ფეოდალურ ბეგარათა მოსპობა, ფეოდალიზმის დანგრევა, ჯერ კიდევ სრულებითაც არა სოციალისტური გადატრიალება. 4) გლეხები — ბურჟუაზიის «ყველაზე ბუნებრივი» მოკავშირეები არიან, სახელდობრ დემოკრატიული ბურჟუაზიისა, რომელიც უგლეხებოდ «უძლურია» რეაქციის წინააღმდეგ.

კონკრეტულ ნაციონალურ თავისებურებათა სათანადო ცვლილებით, ფეოდალიზმის ადგილას ბატონყმობის დაყენებით, ყველა ეს დებულება მთლიანად მიუდგება 1905 წლის რუსეთსაც. უეჭველია, რომ გერმანიის გამოცდილებიდან აღებულ გაკვეთილებს თუ გამოვიყენებთ, გამოცდილებიდან, რომელიც გაშუქებულია მარქსის მიერ, ჩვენ ვერ მივალთ რევოლუციის გადამწყვეტი გამარჯვების ვერავითარ სხვა ლოზუნგამდე, გარდა: პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურისა. უეჭველია, რომ იმ «ხალხის» მთავარ შემადგენელ ნაწილებს, რომელსაც მარქსი 1848 წელს წინააღმდეგობის გამწევ რეაქციასა და მოღალატე ბურჟუაზიას უპირისპირებდა, წარმოადგენენ პროლეტარიატი და გლეხობა. უეჭველია, რომ ჩვენშიც, რუსეთშიც, ლიბერალური ბურჟუაზია და ბატონი ოსვობოჟდენიელები ღალატობენ და უღალატებენ გლეხობას, ე. ი. დაკმაყოფილდებიან ცრურეფორმით, დაღგებიან მემამულეთა მხარეზე გადამწყვეტ ბრძოლაში მათსა და გლეხობას შორის. მხოლოდ პროლეტარიატს შეუძლია გლეხობისათვის ბოლომდე მხარისდაჭერა ამ ბრძოლაში. ბოლოს, უეჭველია, რომ ჩვენშიც, რუსეთშიც, გლეხობის ბრძოლის წარმატებას, ე. ი. გლეხობის ხელში მთელი მიწის გადასვლას, სრული დემოკრატიული გადატრია-

ლების მნიშვნელობა ექნება, ის იქნება ბოლომდე მიყვანილი რევოლუციის სოციალური დასაყრდენი, მაგრამ სრულებითაც არა სოციალისტური გადატრიალება და არა «სოციალიზაცია», რაზედაც ლაპარაკობენ წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგები, სოციალისტ-რევოლუციონერები. გლეხთა აჯანყების წარმატება, დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება მხოლოდ გზას გაუკაფავს სოციალიზმისათვის ნამდვილ და გადამწყვეტ ბრძოლას დემოკრატიული რესპუბლიკის ნიადაგზე. გლეხობა, როგორც მიწათმფლობელი კლასი, ამ ბრძოლაში იმავე გამცემლურ, მერყევ როლს შეასრულებს, როგორსაც ამჟამად ბურჟუაზია ასრულებს დემოკრატიისათვის ბრძოლაში. ამის დავიწყება სოციალიზმის დავიწყება იქნებოდა, თავის თავისა და სხვების მოტყუება პროლეტარიატის ნამდვილი ინტერესებისა და ამოცანების შესახებ.

რომ ხარვეზი არ დაგვრჩეს მარქსის 1848 წლის შეხედულებათა გადმოცემაში, საჭიროა აღვნიშნოთ გერმანიის მაშინდელი სოციალ-დემოკრატიის (ანუ პროლეტარიატის კომუნისტური პარტიის, მაშინდელი ენით თუ ვიტყვით) ერთი არსებითი განსხვავება რუსეთის თანამედროვე სოციალ-დემოკრატიისაგან. მივცეთ სიტყვა მერინგს:

««ახალი რეინის გაზეთი» პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა, როგორც «დემოკრატიის ორგანო». არ შეიძლება არ შევამჩნიოთ ის წითელი ზოლი, რომელიც ყველა მის სტატიაშია გატარებული. მაგრამ, უშუალოდ, იგი უფრო ბურჟუაზიული რევოლუციის ინტერესებს იცავდა აბსოლუტიზმისა და ფეოდალიზმის წინააღმდეგ, ვიდრე პროლეტარიატის ინტერესებს ბურჟუაზიის ინტერესების წინააღმდეგ. მის ფურცლებზე ცოტა მასალას იპოვით ცალკე მუშათა მოძრაობაზე რევოლუციის დროს, თუმცა არ უნდა დავივიწყოთ, რომ მასთან ერთად კვირაში ორჯერ, მოლისა და შაპერის რედაქციით, გამოდიოდა კელნის მუშათა კავშირის[44] ცალკე ორგანო. ყოველ შემთხვევაში თანამედროვე მკითხველს თვალში ხვდება, თუ რა ცოტა ყურადღებას აქცევდა «ახალი რეინის გაზე-

თი» გერმანიის მაშინდელ მუშათა მოძრაობას, თუმცა მისი ყველაზე ნიჭიერი მოღვაწე, სტეფან ბორნი, მარქსთან და ენგელსთან სწავლობდა პარიზსა და ბრიუსელში და 1848 წელს მათს გაზეთში კორესპონდენტობდა ბერლინიდან. ბორნი თავის «მოგონებებში» მოგვითხრობს, რომ მარქსსა და ენგელსს არასდროს არც ერთი სიტყვით არ გამოუთქვამთ უკმაყოფილება ჩემი მუშათა აგიტაციის გამოო. მაგრამ ენგელსის მერმინდელი განცხადებანი სარწმუნოდ ხდიან იმ ვარაუდს, რომ ისინი უკმაყოფილონი იყვნენ, ყოველ შემთხვევაში, ამ აგიტაციის ხერხების გამო. მათი უკმაყოფილება საფუძვლიანი იყო იმდენად, რამდენადაც ბორნი იძულებული იყო მრავალი დათმობა გაეკეთებინა გერმანიის უდიდეს ნაწილში ჯერ კიდევ სავსებით განუვითარებელი პროლეტარიატის კლასობრივი შეგნების მიმართ, — დათმობანი, რომლებიც «კომუნისტური მანიფესტის» თვალსაზრისით კრიტიკას ვერ უძლებდნენ. მათი უკმაყოფილება უსაფუძვლო იყო იმდენად, რამდენადაც ბორნი მაინც ახერხებდა თავისი ხელმძღვანელობით წარმოებული აგიტაციის დაყენებას შედარებით მნიშვნელოვან სიმაღლეზე... უეჭველია, მარქსი და ენგელსი ისტორიულად და პოლიტიკურად მართალი იყვნენ, როცა მუშათა კლასის ყველაზე უმნიშვნელოვანეს ინტერესს ხედავდნენ უწინარეს ყოვლისა ბურჟუაზიული რევოლუციის რაც შეიძლება მეტად წინ წაწევაში... მიუხედავად ამისა, იმის საუცხოოდ დამტკიცებას, თუ როგორ შეუძლია მუშათა მოძრაობის ელემენტარულ ინსტინქტს გამოასწოროს უაღრესად გენიალურ მოაზროვნეთა კონცეფციები, წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ისინი 1849 წლის აპრილში მომხრე იყვნენ სპეციფიკური მუშათა ორგანიზაციის დაარსებისა და მათ კიდევაც გადაწყვიტეს მონაწილეობა მიეღოთ მუშათა ყრილობაში, რომელსაც განსაკუთრებით ამზადებდა ოსტ-ელბის (აღმოსავლეთი პრუსია) პროლეტარიატი».

ამრიგად, მხოლოდ 1849 წლის აპრილში, რევოლუციური გაზეთის გამოცემის თითქმის ერთი წლის შემდეგ («ახალი

რეინის გაზეთის» გამოცემა დაიწყო 1848 წლის 1 ივნისს), მარქსმა და ენგელსმა მხარი დაუჭირეს მუშათა ცალკე ორგანიზაციის დაარსებას! მანამდე ისინი უძღვებოდნენ მხოლოდ «დემოკრატიის ორგანოს», რომელიც არავითარ ორგანიზაციულ კავშირში არ იყო დამოუკიდებელ მუშათა პარტიასთან»! ეს ფაქტი, — საოცარი და წარმოუდგენელი ჩვენი თანამედროვე თვალსაზრისით, — ცხადად გვიჩვენებს, რა უდიდესი განსხვავება არსებობდა მაშინდელი გერმანიისა და ახლანდელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას შორის. ეს ფაქტი გვიჩვენებს, რამდენად ნაკლებად აშკარავდებოდა გერმანიის დემოკრატიულ რევოლუციაში (გერმანიის ჩამორჩენილობის გამო 1848 წელს ეკონომიურადაც და პოლიტიკურადაც — სახელმწიფოებრივი დაქსაქსულობა) მოძრაობის პროლეტარული ნიშნები, მისი პროლეტარული ნაკადი. ეს არ უნდა დავივიწყოთ, როდესაც შეფასებას ვაძლევთ მარქსის, ამ და ცოტა უფრო გვიანდელი ეპოქის, მრავალგზის განცხადებებს პროლეტარიატის პარტიის დამოუკიდებელი ორგანიზაციის საჭიროების შესახებ. მარქსმა მხოლოდ დემოკრატიული რევოლუციის გამოცდილებიდან, თითქმის ერთი წლის შემდეგ, გამოიყვანა პრაქტიკულად ეს დასკვნა: იმდენად ფილისტერული, წვრილბურჟუაზიული იყო მაშინ მთელი ატმოსფერო გერმანიაში. ჩვენთვის ეს დასკვნა უკვე დიდი ხნის და მტკიცე მონაპოვარია საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ნახევარსაუკუნოვანი გამოცდილებისა, — მონაპოვარი, რომლითაც ჩვენ დ ა ვ ი წ ყ ე თ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ორგანიზაცია. ჩვენში ლაპარაკიც კი შეუძლებელია, მაგალითად, იმაზე, რომ პროლეტარიატის რევოლუციური გაზეთები პროლეტარიატის სოც.-დემ. პარტიის გარეშე იდგნენ, რომ მათ შეეძლოთ თუნდაც ერთი წუთით გამოვიდნენ მხოლოდ როგორც «დემოკრატიის ორგანოები».

მაგრამ ის წინააღმდეგობა, რომელმაც ოდნავ იჩინა თავი მარქსსა და სტეფან ბორნს შორის, ჩვენში მით უფრო განვი-

თარებული ფორმით არსებობს, რაც უფრო მძლავრად ჩქეფს პროლეტარული ნაკადი ჩვენი რევოლუციის დემოკრატიულ მდინარებაში. როცა მერინგი სტეფან ბორნის აგიტაციის გამო მარქსისა და ენგელსის შესაძლებელ უკმაყოფილებაზე ლაპარაკობს, იგი მეტად რბილად და მორიდებულად გამოთქვამს თავის აზრებს. აი რას წერდა ენგელსი ბორნის შესახებ 1885 წელს (წინასიტყვაობაში — «Enthüllungen über den Kommunistenprocess zu Köln». Zürich. 1885 *):

«კომუნისტთა კავშირის»[45] წევრები ყველგან სათავეში უდგნენ უკიდურეს დემოკრატიულ მოძრაობას, რითაც ამტკიცებდნენ, რომ კავშირი რევოლუციური მოღვაწეობის საუცხოო სკოლას წარმოადგენდა. «ასოთამწყობმა სტეფან ბორნმა, რომელიც კავშირის აქტიური წევრი იყო ბრიუსელსა და პარიზში, ბერლინში დააარსა «მუშათა ძმობა» («Arbeiterverbrüderung»), რომელიც ძლიერ გავრცელდა და 1850 წლამდე არსებობდა. მაგრამ ბორნმა, ნიჭიერმა ახალგაზრდამ, ძალიან იჩქარა გამოსვლა, როგორც პოლიტიკურმა მოღვაწემ. ის «უძმობილდებოდა» უალრესად ჰრელ ბრბოს (Kreti und Plethi), ოლონდ კი თავის გარშემო შემოეკრიბა ხალხი. ის სრულებითაც არ ჰგავდა ისეთ ადამიანებს, რომელთაც შეუძლიათ ერთიანობა შეიტანონ წინააღმდეგურ მისწრაფებებში, სინათლე შეიტანონ ქაოსში. ამიტომ მისი ძმობის ოფიციალურ განცხადებებში ხშირად ვხვდებით აბნეულობას და «კომუნისტური მანიფესტის» შეხედულებებისა და ამქრულ მოგონებათა და სურვილების, ლუი ბლანისა და პრუდონის შეხედულებათა ნაწყვეტების, პროტექციონიზმის დაცვისა და სხვათა ერთმანეთში არევას; ერთი სიტყვით, ამ ადამიანებს სურდათ ყველასთვის ესიამოვნებინათ (Allen alles sein). ისინი განსაკუთრებით გართული იყვნენ გაფიცვების, პროფესიული კავშირებისა და საწარმოო ამხანაგობათა მოწყობით და

* — «მხილებანი კომუნისტთა კელნის პროცესის შესახებ». ციურიხი. 1885. რედ.

ის კი ავიწყდებოდათ, რომ ამოცანა უწინარეს ყოვლისა ის იყო, რომ პოლიტიკური გამარჯვებით მოეპოვებინათ ჯერ ისეთი ასპარეზი, მარტოოდენ რომელზედაც შეიძლებოდა მტკიცედ, საიმედოდ ასეთი საქმეების განხორციელება (ხაზგასმა ჩვენია). და აი როცა რეაქციის გამარჯვებებმა აიძულეს ამ ძმობის მეთაურები ეგრძნოთ რევოლუციურ ბრძოლაში პირდაპირი მონაწილეობის აუცილებლობა, — მაშინ, თავისთავად ცხადია, მათ გარშემო შემოკრებილმა განუვითარებელმა მასამ ისინი მიატოვა. ბორნმა მონაწილეობა მიიღო დრეზდენის აჯანყებაში 1849 წლის მაისს და შემთხვევით გადარჩა. მუშათა ძმობა კი პროლეტარიატის დიად პოლიტიკურ მოძრაობას განზე მოექცა, როგორც განცალკევებული კავშირი, რომელიც უმთავრესად ქალალდზე არსებობდა და იმდენად უმნიშვნელო როლს ასრულებდა, რომ რეაქციამ მისი დახურვა საჭიროდ სცნო მხოლოდ 1850 წელს, მისი ფილიალები კი მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ დახურეს. ბორნი, რომელსაც, ნამდვილად რომ ითქვას, Buttermilch-ი (არაჟანი) * უნდა რქმეოდა, მაინც ვერ გახდა პოლიტიკური მოღვაწე; ის აღმოჩნდა პატარა შვეიცარიელი პროფესორი, რომელიც ახ-

---

* ენგელსის თარგმნის დროს მე აქ შეცდომა დავუშვი პირველ გამოცემაში, რადგან სიტყვა Buttermilch მივიღე არა საკუთარ, არამედ საზოგადო სახელად. ამ შეცდომამ, რა თქმა უნდა, დიდი სიამოვნება მოჰგვარა მენშევიკებს. კოლცოვი წერდა, რომ მე «გავაღრმავე ენგელსი» (გადაბეჭდილია კრებულში «ორი წლის მანძილზე»), პლეხანოვი ახლაც მოგვაგონებს ამ შეცდომას «ტოვარიშჩში» 46 — ერთი სიტყვით, მშვენიერი საბაბი გამონახეს, რათა მიეჩქმალათ საკითხი გერმანიის 1848 წლის მუშათა ძმობის ორი ტენდენციის შესახებ, — ბორნის (ჩვენი ეკონომისტების მონათესავე) ტენდენციისა და მარქსისტული ტენდენციის შესახებ. ოპონენტის შეცდომის გამოყენება, თუნდაც ბორნის გვარის საკითხზე, ეს მეტად ბუნებრივია. მაგრამ თარგმანის შესწორებით ორი ტაქტიკის საკითხის არსის მიჩქმალვა — ეს ნიშნავს იარაღის დაყრას დავის დედაარსის წინაშე. (ავტორის შენიშვნა 1907 წლის გამოცემისათვის. რ ე დ.)

ლა მარქსს კი არ სთარგმნის ამქრულ ენაზე, არამედ გულკეთილ რენანს მოშაქრულ გერმანულ ენაზე» [47].

აი როგორ შეფასებას აძლევდა ენგელსი სოციალ-დემოკრატიის ორ ტაქტიკას დემოკრატიულ რევოლუციაში!

ჩვენი ახალისკრელებიც «ეკონომიზმისაკენ» იხრებიან ისეთი წრეგადასული გულმოდგინებით, რომ მონარქისტული ბურჟუაზიის ქებას იმსახურებენ «თვალის ახელისათვის», ისინიც იკრებენ თავიანთ გარშემო ჭრელ ხალხს, მლიქვნელობენ «ეკონომისტების» წინაშე, დემაგოგიურად იზიდავენ განუვითარებელ მასას «თვითმოქმედების», «დემოკრატიზმის», «ავტონომიისა» და სხვა ამისთანა ლოზუნგებით. ხშირად მათი მუშათა კავშირებიც მხოლოდ ხლესტაკოვური ახალი «ისკრის» ფურცლებზე არსებობენ. მათი ლოზუნგები და რეზოლუციები «პროლეტარიატის დიადი პოლიტიკური მოძრაობის» ამოცანების ასეთსავე გაუგებლობას ამჟღავნებენ.

დასკვნითი ნაწილი სტატიისა «პარიზის კომუნა და დემოკრატიული დიქტატურის ამოცანები» [48]

ეს ცნობა, უწინარეს ყოვლისა, იმას გვასწავლის, რომ რევოლუციურ მთავრობაში წვრილ ბურჟუაზიასთან ერთად სოციალისტური პროლეტარიატის წარმომადგენლების მონაწილეობა პრინციპულად სავსებით დასაშვებია, ხოლო განსაზღვრულ პირობებში პირდაპირ სავალდებულოცაა. შემდეგ, ეს ცნობა ცხადყოფს, რომ რეალური ამოცანა, რომლის შესრულება წილად ხვდა კომუნას, უწინარეს ყოვლისა დემოკრატიული და არა სოციალისტური დიქტატურის განხორციელება იყო, ჩვენი «პროგრამა-მინიმუმის» გატარება. დასასრულ, ეს ცნობა მოგვაგონებს, რომ, როცა პარიზის კომუნისაგან გაკვეთილებს ვიღებთ, ჩვენ უნდა მივბაძოთ არა მის შეცდომებს (ხელთ არ იგდეს საფრანგეთის ბანკი, არ დაიწყეს შეტევა ვერსალზე, არ ჰქონდათ გარკვეული პროგრამა და სხვ.), არამედ მის პრაქტიკულად წარმატებითს ნაბიჯებს, რომლებიც სწორ გზას სახავდნენ. სიტყვა «კომუნა» კი არ უნდა გადმოვიღოთ 1871 წლის დიდ მებრძოლთაგან, ბრმად კი არ ვიმეოროთ თვითეული მათი ლოზუნგი, არამედ გარკვეულად უნდა გამოვყოთ ის პროგრამული და პრაქტიკული ლოზუნგები, რომლებიც შეესაბამებიან რუსეთში არსებულ ვითარებას და რომლებიც ჩამოყალიბებულია სიტყვებში: პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დემოკრატიული დიქტატურა.

«პროლეტარი» № 8,
1905 წ. 17 (4) ივლისი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სამდივნოს ბრიუსელში

ჟენევა,
1905 წ. 24 ივლისი.

ძვირფასო ამხანაგებო! რამდენიმე დღის წინათ მივიღეთ თქვენი წერილი 28 ივნისის თარიღით და მასთან ერთად საინტერესო დოკუმენტები (ამხანაგების — ბებელისა და პლეხანოვის წერილები), მაგრამ სრული მოუცლელობის გამო საშუალება არ გვქონდა დაუყოვნებლივ გვეპასუხნა.

I. რაც შეეხება ამხ. პლეხანოვის წერილს, იძულებული ვართ შემდეგი შენიშვნები გავაკეთოთ: 1) ამხ. პლეხანოვის მტკიცება, თითქოს ჩვენი პარტიის მეორე ყრილობის (1903 წ. აგვისტო) შემდეგ ჩვენს შორის უთანხმოება მხოლოდ ორგანიზაციულ საკითხში არსებობდა, მთლად როდი შეეფერება სინამდვილეს. II ყრილობის «უმცირესობამ» (ამხ. აქსელროდის, ვ. ზასულიჩისა და მარტოვის მეთაურობით) ფაქტიურად პარტია გათიშა ყრილობის დამთავრებისთანავე, როცა ბოიკოტი გამოუცხადა ყრილობის მიერ არჩეულ ცენტრალურ დაწესებულებებს და შექმნა «უმცირესობის» ფარული ორგანიზაცია, რომელიც დაშლილ იქნა მხოლოდ 1904 წლის შემოდგომაზე. თვით ამხ. პლეხანოვი, რომელიც პარტიის II ყრილობაზე და რუსეთის სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული ლიგის ყრილობაზე (1903 წ. ოქტომბერი) ჩვენს მხარეზე იყო, ცხადია, რაოდენადმე სხვა აზრისა იყო

ჩვენი უთანხმოების შესახებ, როცა «ისკრის» 52-ე ნომერში საჯაროდ განაცხადა (1903 წ. ნოემბერი), საჭიროა მოხერხებულად დავუთმოთ «რევიზიონისტებს» (პლეხანოვის გამოთქმაა), რათა თავიდან ავიცილოთ პარტიის გათიშვაო.

2) სინამდვილეს არ შეეფერება აგრეთვე იმის მტკიცებაც, თითქოს პარტიის III ყრილობა «სრულიად თვითნებურად» ყოფილიყოს მოწვეული. პარტიის წესდების მიხედვით საბჭო ვალდებულია მოიწვიოს ყრილობა, თუ კი ამას კომიტეტთა ნახევარი მოითხოვს. საბჭომ, როგორც მოგეხსენებათ III ყრილობის რეზოლუციებიდან, რომელნიც ფრანგულ ენაზეა გადათარგმნილი, პარტიის წესდება უგულებელყო. პარტიის კომიტეტები და მათ მიერ არჩეული «უმრავლესობის კომიტეტთა ბიურო» [40] მორალურად და ფორმალურად ვალდებული იყვნენ მოეწვიათ ყრილობა, თუნდაც საბჭოს ნების წინააღმდეგ, რომელიც თავს არიდებდა მის მოწვევას.

3) III ყრილობის იმავე რეზოლუციებიდან თქვენ იცით, რომ ამ ყრილობაზე წარმოდგენილი იყო «სრულუფლებიანი ორგანიზაციების რაღაც დაახლოებით ნახევარი» კი არა, არამედ ყველაზე უფრო დიდ კომიტეტთა მნიშვნელოვანი უმრავლესობა. 4) მართალია ის, რომ ჩვენს პარტიაში არიან ამხანაგები, რომელთაც ხუმრობით «ჭაობს» ეძახიან. მისი წევრები შინაპარტიულ ბრძოლაში მუდამ ერთი მხარიდან მეორე მხარეზე გადადიოდნენ. პირველი ასეთი გადამრბენი იყო პლეხანოვი, რომელიც 1903 წლის ნოემბერს უმრავლესობიდან უმცირესობის მხარეზე გადავიდა, ხოლო 1905 წლის 29 მაისს უმცირესობას ჩამოშორდა და «ისკრის» რედაქციიდან გავიდა. ჩვენ არ მოგვწონს ასეთი გადასვლა-გადმოსვლა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ჩვენ დანაშაულად ვერ ჩაგვეთვლება, თუ «ჭაობის» წევრები ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ ჩვენს მხარეზე გადმოსვლის მიდრეკილებას იჩენენ. 5) ამხ. პლეხანოვმა წერილში ბიუროს მიმართ (1905 წ. 16 ივნისს) მეტად უალაგოალაგას დაივიწყა მოეხსენებინა თავისი 1905 წლის 29 მაისის წერილი, დაბეჭდილი «ისკრაში» (№ 101), რომლის ზუსტი

და სრული თარგმანი უკვე მოგაწოდეთ. 6) როცა ამხ. პლეხანოვი ლაპარაკობს, პარტიის მეორე ფრაქცია პარტიის წინანდელი ცენტრალური ორგანოს — «ისკრის» გარშემო ირაზმებაო, მას კვლავ ავიწყდება დასძინოს, რომ «უმცირესობის» კონფერენციამ (1905 წ. მაისი) გააუქმა II ყრილობაზე შემუშავებული წესდება და მას ახალი ცენტრალური ორგანო არ შეუქმნია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს უნდა ჰქონდეს ამ კონფერენციის ყველა რეზოლუციის სრული თარგმანი. ხოლო თუ «ისკრა» არ მოისურვებს გაუგზავნოს ისინი ბიუროს, ჩვენ მზად ვართ ვიკისროთ ეს. 7) ამხ. პლეხანოვი ამბობს, III ყრილობის მოწვევას ც. კ-ის მხოლოდ ორი გადარჩენილი წევრი მოითხოვდაო (დანარჩენები დააპატიმრეს). ამხ. პლეხანოვის წერილი დათარიღებულია 1905 წლის 16 ივნისით; მეორე დღეს, 17-ს, «პროლეტარის» № 4-ში, პარტიის ცენტრალურ ორგანოში, რომელიც III ყრილობამ შექმნა, მოთავსებული იყო შემდეგი განცხადება: «გავეცანით რა ც. კ-ის ღია წერილს პარტიის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. პლეხანოვის მიმართ და სავსებით ვეთანხმებით რა ც. კ-ს, აუცილებლად მიგვაჩნია — იმ მიზეზების გამო, რომელთაც მიხვდებიან შინაპარტიული ცხოვრების ვითარებას გაცნობილი ამხანაგები, — საჯაროდ განვაცხადოთ ც. კ-თან ჩვენი სოლიდარობა». ხელმოწერილია ფსევდონიმებით: მა, ბემ, ვლადიმირ, ინოკენტი, ანდრეი, ვორონ. შეგვიძლია კონფიდენციურად გაცნობოთ, რომ ეს ფსევდონიმები ეკუთვნის ც. კ-ის დაპატიმრებულ წევრებს [50]. მაშასადამე, გაიგეს თუ არა ც. კ-ის წევრებმა, რომ ც. კ-სა და ამხ. პლეხანოვს (და, მაშასადამე, საბჭოს) შორის კონფლიქტი იყო ყრილობის მოწვევის საკითხის გამო, მათმა უმრავლესობამ მაშინვე მხარი დაუჭირა ც. კ-ს ამხ. პლეხანოვის წინააღმდეგ. ჩვენ დაბეჯითებით ვთხოვთ საერთაშორისო სამდივნოს გვაცნობოს, საჭიროდ ცნო თუ არა ამხ. პლეხანოვმა გაეცნო ბიუროსთვის ც. კ-ის დაპატიმრებულ წევრთა ეს მნიშვნელოვანი განცხადება, რომელიც სრულიად უარყოფს

ამხ. პლეხანოვის მტკიცებას მის 16 ივნისის წერილში? 8) ამხ. პლეხანოვი ცდება, როცა ამბობს, ორივე ფრაქცია მთხოვდა დავრჩენილიყავი პარტიის წარმომადგენლად საერთაშორისო ბიუროშიო. აქამდე ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს არავითარი თხოვნით არ მიუმართავს მისთვის ამის გამო. როგორც ამ რამდენიმე დღის წინათ გაცნობებდით, ეს საკითხი საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი, თუმცა მორიგ საკითხად კი დასმულია. 9) ამხ. პლეხანოვი ფიქრობს, რომ მისთვის ძნელი არ არის მიუდგომელი იყოს ჩვენი უთანხმოების საკითხში. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ კი ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მისთვის საკმაოდ ძნელია, ხოლო, ყოველ შემთხვევაში, ახლანდელ მომენტში თითქმის შეუძლებელიცაა [51].

II. გადავდივარ ამხ. ბებელის წინადადებაზე ჩვენი საქმეების გამო.

აქ აუცილებელია შემდეგი შენიშვნები გავაკეთო: 1) მე ც. კ-ის მხოლოდ ერთ-ერთი წევრი და პარტიის ცენტრალური ორგანოს «პროლეტარის» პასუხისმგებელი რედაქტორი ვარ. მთელი ც. კ-ის მაგივრად მე შემიძლია გადავწყვიტო მხოლოდ საზღვარგარეთული და ზოგიერთი სხვა საქმე, რომელიც სპეციალურად მაქვს დავალებული. ყოველ შემთხვევაში, ყველა ჩემი გადაწყვეტილება შეუძლია გააუქმოს ცენტრალური კომიტეტის საერთო კრებას. მაშასადამე, მე არ შემიძლია გადავწყვიტო ჩვენი პარტიის საქმეებში ბიუროს ჩარევის საკითხი. მაგრამ მე დაუყოვნებლივ გავუგზავნე რუსეთში ც. კ-ის ყველა წევრს თქვენი წერილი და აგრეთვე ამხ. ბებელისა და პლეხანოვის წერილებიც. 2) ც. კ-ის პასუხის დასაჩქარებლად ფრიად სასარგებლო იქნებოდა ზოგიერთი აუცილებელი განმარტების მიღება ბიუროსაგან: a) გავიგოთ თუ არა სიტყვა «ჩარევა» (intervention) მხოლოდ როგორც შემარიგებელი შუამავლობა და რჩევა, რასაც მხოლოდ მორალური და არა იძულებითი ძალა აქვს; b) ან შეიძლება ბიუროს მხედველობაში აქვს სამედიატორო სასამართლოს მიერ მი-

ღებული საკალდებულო გადაწყვეტილება? c) წინადადებას იძლევა თუ არა ბიუროს აღმასრულებელი კომიტეტი საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს საერთო კრებას მიენიჭოს ჩვენი უთანხმოების საკითხის საბოლოოდ და უაპელაციოდ გადაწყვეტის უფლება. 3) ჩემი მხრივ, თავს ვალდებულად ვთვლი ვაუწყო ბიუროს ცნობად, რომ ამხ. ბებელმა III ყრილობამდე რამდენიმე ხნით ადრე მე და ჩემს თანამოაზრეებს უკვე მოგვცა ასეთი წინადადება და თან თავისი ან გერმანიის პარტიის მთელი გამგეობის (Parteivorstand) სამსახური შემოგვთავაზა სამედიატორო სასამართლოს სახით ჩვენი პარტიის უმრავლესობისა და უმცირესობის დავაში.

მე ვუპასუხე, მალე შესდგება პარტიის ყრილობა და პირადად მე არ შემიძლია პარტიის მაგივრად ან მისი სახელით გადავწყვიტო ეს საკითხი-მეთქი.

უმრავლესობის კომიტეტთა ბიუროს ბებელის წინადადება უარყო. III ყრილობას არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია ამ წინადადების გამო და მით უსიტყვოდ შეუერთდა უმრავლესობის კომიტეტთა ბიუროს პასუხს. 4) რადგან საერთაშორისო ბიურო შესაძლებლად თვლის ისარგებლოს «ზოგიერთი გერმანული გაზეთის» ცნობებით, მე იძულებული ვარ განვაცხადო, რომ თითქმის ყველა გერმანული სოციალისტური გაზეთი, განსაკუთრებით კი «Die Neue Zeit» და «Leipziger Volkszeitung»[52] მთლიანად «უმცირესობის» მხარეზე დგანან და ჩვენს საქმეებს მეტად ცალმხრივ და არასწორად აშუქებენ. მაგალითად, კაუტსკიც პირუთვნელს უწოდებს თავის თავს, სინამდვილეში კი იქამდე მივიდა, რომ უარი თქვა «Neue Zeit»-ში მოეთავსებინა პასუხი როზა ლუქსემბურგის ერთი სტატიის წინააღმდეგ, რომელშიც იგი პარტიაში არსებულ დეზორგანიზაციას იცავდა[53]. «Leipziger Volkszeitung»-ში კაუტსკი რჩევასაც კი იძლეოდა არ გაევრცელებინათ გერმანული ბროშურა, რომელიც III ყრილობის რეზოლუციების თარგმანს შეიცავდა!! ამის შემდეგ ძნელი არ არის იმის გაგება, თუ რატომაა, რომ ბევრ ამხა-

ნაგს რუსეთში გერმანიის სოციალ-დემოკრატია მიკერძოებულად და მეტად წინასწარშეგონებულად მიაჩნია რუსეთის სოციალ-დემოკრატიის რიგებში არსებული გათიშვის საკითხში.

მიიღეთ, ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენი ძმური სალამი.

ვლ. ულიანოვი (ნ. ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს ჟურნალ «კრასნაია ლეტოპისში» № 1

იბეჭდება ჟურნალის ტექსტის მიხედვით, რომელიც შეჯერებულია მანქანით გადაბეჭდილ ფრანგულ ტექსტთან

რევოლუცია გვასწავლის

პოლიტიკურ პარტიათა შიგნით და პოლიტიკურ პარტიათა შორის არსებულ უთანხმოებას ჩვეულებრივ წყვეტს არა მარტო პრინციპული პოლემიკა, არამედ თვით პოლიტიკური ცხოვრების განვითარებაც. განსაკუთრებით ის უთანხმოებანი, რომლებიც პარტიის ტაქტიკას, ე. ი. მის პოლიტიკურ მოქმედებას ეხებიან, ხშირად ამოიწურება იმით, რომ ისინი, ვინც არასწორად მსჯელობდნენ, ფაქტიურად ბრძოლის სწორ გზაზე გადადიან თვით ამბების მსვლელობის ზეგავლენით, რომელიც ყურადღებას აღარ აქცევს მცდარ მსჯელობას, შინაარსს უკარგავს მას, ინტერესს მოკლებულად ხდის ყველასათვის. რა თქმა უნდა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ პრინციპული უთანხმოება ტაქტიკის საკითხებში არ საჭიროებდეს პრინციპულ განმარტებას, რასაც მხოლოდ და მხოლოდ შეუძლია შეუნარჩუნოს პარტიას მის თეორიულ რწმენათა სიმაღლე. არა. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ აუცილებელია რაც შეიძლება ხშირად შ ე ვ ა მ ო წ მ ო თ მიღებული ტაქტიკური გადაწყვეტილებანი ახალ პოლიტიკურ მოვლენათა საფუძველზე. ასეთი შემოწმება აუცილებელია თეორიულადაც და პრაქტიკულადაც: თეორიულად იმიტომ, რომ საქმით დავრწმუნდეთ, სწორია თუ არა მიღებული გადაწყვეტილებანი, რა და რა შესწორების შეტანას გვაიძულებენ მათში ის პოლიტიკური მოვლენები, რომლებიც ამ გადაწყვეტილებათა მიღების შემდეგ მოხდა; — პრაქტიკულად იმიტომ, რომ ვის-

წავლოთ, როგორც წესი და რიგია, ვიხელმძღვანელოთ ამ გადაწყვეტილებებით, ვისწავლოთ მათში დირექტივების დანახვა, რომლებიც საქმით უშუალოდ უნდა იქნან გამოყენებული.

რევოლუციური ეპოქა ყოველ სხვა ეპოქაზე უფრო მეტ მასალას იძლევა ასეთი შემოწმებისათვის პოლიტიკური განვითარების უდიდესი სისწრაფისა და პოლიტიკური შეხლა-შემოხლის სიმწვავის მეოხებით. რევოლუციურ ეპოქაში ძველი «ზედნაშენი» სკდება, ხოლო ახალი ყველას თვალწინ იქმნება იმ სრულიად სხვადასხვა სოციალური ძალების თვითმოქმედებით, რომლებიც თავიანთ ჭეშმარიტ ბუნებას საქმით ამჟღავნებენ.

ასევე რუსეთის რევოლუციაც თითქმის ყოველკვირა გვაძლევს საოცრად მდიდარ პოლიტიკურ მასალას ჩვენს მიერ წინასწარ შემუშავებულ ტაქტიკურ გადაწყვეტილებათა შესამოწმებლად და უაღრესად საგულისხმო გაკვეთილებს მთელი ჩვენი პრაქტიკული მოღვაწეობის შესახებ. აიღეთ ოდესის ამბები. აჯანყების ერთ-ერთი ცდა მარცხით დამთავრდა. მარცხი მწარეა, დამარცხება მძიმეა. მაგრამ რა უფსკრული ჰყოფს ბრძოლაში განცდილ ამ მარცხს ვაჭრობაში განცდილ მარცხთაგან, რომელნიც თავს ატყდებათ ბატონ შიპოვებს, ტრუბეცკოიებს, პეტრუნკევიჩებს, სტრუვეებსა და მეფის ყველა ამ ბურჟუაზიულ მსახურთ! ენგელსმა როგორღაც თქვა: დამარცხებული არმიები ჩინებულად სწავლობენო. ეს საუცხოო სიტყვები გაცილებით უფრო მეტად მიუდგება რევოლუციურ არმიებს, რომელთაც ავსებენ მოწინავე კლასების წარმომადგენლები. სანამ არ აღიგვება ძველი, დამპალი ზედნაშენი, რომელიც თავისი ხრწნით მთელ ხალხს წამლავს, — მანამდე ყოველი ახალი დამარცხება მებრძოლთა ახალ-ახალ არმიებს აამხედრებს. რა თქმა უნდა, არსებობს კაცობრიობის ბევრად უფრო ფართო კოლექტიური გამოცდილება, რომელიც აღბეჭდილია საერთაშორისო დემოკრატიისა და საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ისტორიაში და განმტკიცებულია რევოლუციური აზრის მოწინავე წარმომადგენლების მიერ. ჩვენი პარტია ამ გამოცდილებიდან იღებს მასალას ყოველდღიუ-

რი პროპაგანდისა და აგიტაციისათვის. მაგრამ, სანამ საზოგადოება აგებულია მილიონობით მშრომელთა ჩაგვრასა და ექსპლოატაციაზე, ამ გამოცდილების მიხედვით უშუალოდ სწავლა მხოლოდ მცირე ნაწილს შეუძლია. მასებს უფრო მეტად უხდებათ სწავლა საკუთარი გამოცდილებით, ყოველი გაკვეთილისთვის მძიმე მსხვერპლის გაღებით. მძიმე იყო 9 იანვრის გაკვეთილი, მაგრამ მან მთელი რუსეთის პროლეტარიატის განწყობილება რევოლუციური გახადა. მძიმეა ოდესის აჯანყების გაკვეთილი, მაგრამ უკვე რევოლუციონიზებული განწყობილების ნიადაგზე იგი ახლა რევოლუციურ პროლეტარიატს ასწავლის არა მარტო ბრძოლას, არამედ გამარჯვებასაც. ოდესის ამბების გამო ჩვენ ვიტყვით: რევოლუციური არმია დამარცხდა, — გაუმარჯოს რევოლუციურ არმიას!

ჩვენი გაზეთის მე-7 ნომერში უკვე ვილაპარაკეთ იმაზე, თუ ოდესის აჯანყებამ როგორ მოფინა ახალი სინათლე ჩვენს ლოზუნგებს: რევოლუციური არმია და რევოლუციური მთავრობა*. წინა ნომერში ჩვენ ვილაპარაკეთ (ამხ. ვ. ს.-ს სტატია) აჯანყების სამხედრო გაკვეთილებზე. ამ ნომერში ჩვენ ერთხელ კიდევ შევჩერდებით მის ზოგიერთ პოლიტიკურ გაკვეთილზე (სტატია: «ქალაქის რევოლუცია»). ახლა საჭიროა კიდევ შევჩერდეთ ჩვენს ამასწინანდელ ტაქტიკურ გადაწყვეტილებათა შემოწმებაზე ორივე მხრივ — თეორიული სისწორისა და პრაქტიკული მიზანშეწონილობის მხრივ, რაზედაც ჩვენ ზემოთ ვლაპარაკობდით.

თანამედროვე მომენტის საარსებო პოლიტიკური საკითხებია — აჯანყება და რევოლუციური მთავრობა. ამ საკითხებზე ყველაზე მეტს ლაპარაკობდნენ და დავობდნენ ერთმანეთს შორის სოციალ-დემოკრატები. ამ საკითხებისადმია მიძღვნილი რსდმპ III ყრილობისა და პარტიის გამოთიშული ნაწილის კონფერენციის მთავარი რეზოლუციები. ახლა იბადება კითხვა: როგორ მოჩანს ეს უთანხმოებანი ოდესის აჯანყების შემდეგ? ყველა, ვინც გაირჯება და ახლა გადაიკითხავს,

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 8, გვ. 665—675. რედ.

ერთი მხრივ, ამ აჯანყების გამო გამოქვეყნებულ შეფასებებს და სტატიებს, ხოლო, მეორე მხრივ, ოთხ რეზოლუციას, რომლებიც პარტიის ყრილობამ და ახალისკრელთა კონფერენციამ მიუძღვნეს აჯანყებისა და დროებითი მთავრობის საკითხებს, მყისვე დაინახავს, თუ ახალისკრელები მოვლენათა გავლენით ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ როგორ გადადიოდნენ თავიანთი ოპონენტების მხარეზე, ე. ი. მოქმედებდნენ არა თავიანთი რეზოლუციების, არამედ III ყრილობის რეზოლუციების შესაბამისად. შემცდარი დოქტრინის საუკეთესო კრიტიკოსი თვით რევოლუციურ მოვლენათა მსვლელობაა.

ამ ამბების ზეგავლენით «ისკრის» რედაქციამ გამოუშვა ფურცელი სათაურით: «რევოლუციის პირველი გამარჯვება», მიმართული «რუსეთის მოქალაქეებისადმი, მუშებისა და გლეხებისადმი». აი ამ ფურცლის ყველაზე არსებითი ნაწილი:

«დადგა დრო, როცა საჭიროა გაბედულად ვიმოქმედოთ და მთელი ძალღონით დავუჭიროთ მხარი ჯარისკაცთა გაბედულ აჯანყებას. ახლა გაბედულება გაიმარჯვებს!

მაშ მოიწვიეთ ხალხის ღია კრებები და აუწყეთ მას ცარიზმის სამხედრო დასაყრდენის დამსხვრევის ამბავი! სადაც კი შესაძლებელია, ხელთ იგდეთ ქალაქის დაწესებულებები და ისინი ხალხის რევოლუციური თვითმმართველობის დასაყრდენად გახადეთ! განდევნეთ მეფის მოხელეები და დანიშნეთ რევოლუციური თვითმმართველობის დაწესებულებათა საყოველთაო სახალხო არჩევნები, დაწესებულებათა, რომელთაც დაავალებთ საზოგადოებრივი საქმეების დროებით გაძღოლას მეფის მთავრობაზე საბოლოო გამარჯვებამდე და ახალი სახელმწიფო წესწყობილების დამყარებამდე. ხელთ იგდეთ სახელმწიფო ბანკის განყოფილებები და იარაღის საწყობები და შეაიარაღეთ მთელი ხალხი! დაამყარეთ კავშირი ქალაქებს შორის, ქალაქსა და სოფელს შორის, და დაე შეიარაღებული მოქალაქენი ერთიმეორის დასახმარებლად გაეშუოონ ყველგან, სადაც ეს დახმარება საჭიროა! ხელთ იგდეთ საპყრობილეები და გაათავისუფლეთ მათში გამომწყვდეული ჩვენი საქმისათვის მებრძოლნი: აღნიშნული ძალებით თქვენ გააძლიერებთ თქვენს რიგებს! გამოაცხადეთ ყველგან მეფის მონარქიის დამხობა და მისი თავისუფალი დემოკრატიული რესპუბლიკით შეცვლა! აღსდეგით, მოქალაქენო! დადგა განთავისუფლების ჟამი! გაუმარჯოს რევოლუციას! გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას! გაუმარჯოს რევოლუციურ ჯარს! ძირს თვითმპყრობელობა!»

ამრიგად, ჩვენს წინაშეა გაბედული, აშკარა და ნათელი მოწოდება საყოველთაო სახალხო შეიარაღებული აჯანყებისაკენ. ჩვენს წინაშეა ასევე გაბედული, თუმცა, სამწუხაროდ, დაფარული და ბოლომდე გამოუთქმელი მოწოდება დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნისაკენ. განვიხილოთ ჯერ აჯანყების საკითხი.

არის თუ არა პრინციპული განსხვავება III ყრილობისა და კონფერენციის მიერ ამ საკითხის გადაჭრის მხრივ? უსათუოდ არის. ამაზე ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ «პროლეტარის» მე-6 ნომერში («მესამე ნაბიჯი უკან»*), ახლა კი კვლავ დავიმოწმებთ «ოსვობოჟდენიეს» საგულისხმო აღიარებას. მის 72-ე ნომერში ვკითხულობთ, რომ «უმრავლესობა» ვარდება «განყენებულ რევოლუციონიზმში, მეამბოხეობაში, იჩენს მისწრაფებას ყოველგვარი საშუალებით გამოიწვიოს აჯანყება ხალხის მასაში და მისი სახელით დაუყოვნებლივ ხელში ჩაიგდოს ძალაუფლება». «პირიქით, უმცირესობა მტკიცედ იცავს მარქსიზმის დოგმას და ამასთანავე მარქსისტული მსოფლმხედველობის რეალისტურ ელემენტებსაც ინარჩუნებს». ეს მსჯელობა ლიბერალებისა, რომელთაც განვლეს მარქსიზმის მოსამზადებელი სკოლა და ბერნშტეინელობა, უაღრესად საგულისხმოა. ლიბერალური ბურჟუები მუდამ უსაყვედურებდნენ სოციალ-დემოკრატიის რევოლუციურ ფრთას «განყენებულ რევოლუციონიზმს და მეამბოხეობას», მუდამ აქებდნენ ოპორტუნისტულ ფრთას მათ მიერ საკითხის «რეალისტურად» დაყენებისათვის. თვით «ისკრა» იძულებული იყო ეღიარებინა (იხ. № 73, შენიშვნა ბ-ნ სტრუვეს მიერ ამხ. აკიმოვის ბროშურის «რეალიზმის» მოწონების გამო), ოსვობოჟდენიელების ენაზე «რეალისტური» «ო პ ო რ ტ უ ნ ი ს ტ უ ლ ს» ნიშნავსო. ბატონი ოსვობოჟდენიელები მხოლოდ მცოცავ რეალიზმს იცნობენ; მათთვის სრულიად უცხოა რევოლუციური დიალექტიკა მარქსისტული რეალიზმისა, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს მოწინავე კლასის საბრძოლო ამო-

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 8, გვ. 647 — 659. რ ე დ.

ცანებს და არსებულში მისი დამხობის ელემენტებს პოულობს. ამიტომ სოციალ-დემოკრატიის ორი მიმდინარეობის დახასიათება, რომელსაც «ოსვობოჟდენიე» იძლევა, ერთხელ კიდევ ადასტურებს ჩვენს ლიტერატურაში დამტკიცებულ ფაქტს, რომ «უმრავლესობა» რევოლუციური, ხოლო «უმცირესობა» ოპორტუნისტული ფრთაა რუსეთის სოციალ-დემოკრატიისა.

«ოსვობოჟდენიე» გადაჭრით აღიარებს, რომ ყრილობასთან შედარებით «უმცირესობის კონფერენცია სრულიად სხვანაირად უყურებს შეიარაღებულ აჯანყებას». მართლაც, კონფერენციის რეზოლუცია, ჯერ-ერთი, თავის თავს ეწინააღმდეგება, როცა ხან უარყოფს გეგმაზომიერი აჯანყების შესაძლებლობას (მ. 1), ხან კი აღიარებს მას (მ. d); მეორეც, კმაყოფილდება «აჯანყების მომზადების» მხოლოდ ზ ო გ ა დ ი პირობების ჩამოთვლით, როგორიცაა: a) აგიტაციის გაფართოება, b) კავშირის განმტკიცება მასების მოძრაობასთან, c) რევოლუციური შეგნების განვითარება, d) კავშირის დამყარება სხვადასხვა ადგილებს შორის, e) არაპროლეტარული ჯგუფების მიზიდვა პროლეტარიატის დასახმარებლად. პირიქით, ყრილობის რეზოლუცია პირდაპირ აყენებს პოზიტიურ ლოზუნგებს, როცა აღიარებს, რომ მოძრაობამ უ კ ვ ე მ ი გ ვ ი ყ ვ ა ნ ა აჯანყების აუცილებლობამდე და მოუწოდებს დავრაზმოთ პროლეტარიატი უშუალო ბრძოლისათვის, მივიღოთ უაღრესად ენერგიული ზომები მის შესაიარაღებლად, პროპაგანდასა და აგიტაციაში განვუმარტოთ აჯანყების «არა მარტო პოლიტიკური მნიშვნელობა» (არსებითად კონფერენციის რეზოლუცია ამას სჯერდება), არამედ მისი პრაქტიკულ-ორგანიზაციული მხარეც.

რათა უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ საკითხის ორივე გადაჭრის განსხვავება, მოვიგონოთ აჯანყების საკითხზე სოციალ-დემოკრატიულ შეხედულებათა განვითარება მასობრივი მუშათა მოძრაობის წარმოშობის დროიდან. პირველი საფეხური. 1897 წელი. ლენინის «რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანებში» ნათქვამია, რომ «ახლა იმ საკითხის გადაჭრა,

თუ რა საშუალებას მიმართავს სოციალ-დემოკრატია თვითმპყრობელობის უშუალოდ დასამხობად, აირჩევს იგი აჯანყებას თუ ფართო პოლიტიკურ გაფიცვას, ანდა იერიშის სხვა ხერხს, ეს იმას ემგვანებოდა, რომ გენერლებს არმიის შეკრებამდე სამხედრო ბჭობა მოეწყოთ» (გვ. 18)*. აქ, როგორც ვხედავთ, ლაპარაკიც კი არ არის აჯანყების მომზადებაზე, ლაპარაკია მხოლოდ არმიის შეკრებაზე, ე. ი. პროპაგანდაზე, აგიტაციაზე, ორგანიზაციაზე საერთოდ.

მეორე საფეხური. 1902 წელი. ლენინის ნაშრომში «რა ვაკეთოთ?» ვკითხულობთ:

...«წარმოიდგინეთ სახალხო აჯანყება. დღეს (1902 წლის თებერვალი), ალბათ, ყველა დაგვეთანხმება, რომ ჩვენ უნდა ვიფიქროთ მასზე და ვემზადოთ მისთვის. მაგრამ როგორ ვემზადოთ? ცენტრალური კომიტეტი ხომ ვერ დანიშნავს ყველგან აგენტებს აჯანყების მოსამზადებლად! კიდეც რომ გვყავდეს ცენტრალური კომიტეტი, ის ასეთი დანიშვნით ვერაფერს გახდებოდა რუსეთის თანამედროვე პირობებში. პირიქით, აგენტების ქსელი, თავისთავად წარმოშობილი საერთო გაზეთის დაყენებისა და გავრცელების საქმის ნიადაგზე, ვერ «დაჯდებოდა და დაუცდიდა» აჯანყების ლოზუნგს, არამედ გააკეთებდა სწორედ ისეთ რეგულარულ საქმეს, რომელიც უზრუნველყოფდა წარმატების ყველაზე მეტ შესაძლებლობას აჯანყების შემთხვევაში. სწორედ ასეთი საქმე განამტკიცებდა კავშირს როგორც მუშათა უფართოეს მასებთან, ისე თვითმპყრობელობით უკმაყოფილო ყველა ფენასთან, რაც ასე მნიშვნელოვანია აჯანყებისათვის. სწორედ ასეთი საქმის ნიადაგზე შემუშავდებოდა უნარი საერთო პოლიტიკური მდგომარეობის სწორად შეფასებისა და, მაშასადამე, უნარი აჯანყებისთვის შესაფერი მომენტის შერჩევისა. სწორედ ასეთი საქმე შეაჩვევს ყველა ადგილობრივ ორგანიზაციას ერთსა და იმავე დროს გამოეხ-

* იხ. თხზულებანი. გამოც. მე-4, ტომი 2, გვ. 421. რედ.

მაუროს მთელი რუსეთის ამაღელვებელ ერთსა და იმავე პოლიტიკურ საკითხებს, შემთხვევებსა და ამბებს, გამოეხმაუროს ამ «ამბებს» რაც შეიძლება ენერგიულად, რაც შეიძლება ერთგვარად და მიზანშეწონილად, — ხოლო აჯანყება არსებითად ხომ უაღრესად ენერგიული, უაღრესად ერთგვარი და უაღრესად მიზანშეწონილი «პასუხია» მთელი ხალხისა მთავრობის მიმართ. დასასრულ, სწორედ ასეთი საქმე შეაჩვევს ყველა რევოლუციურ ორგანიზაციას რუსეთის ყოველ კუთხეში დაამყაროს უაღრესად მუდმივი და ამავე დროს უაღრესად კონსპირაციული ურთიერთობა, რაც ქმნის პარტიის ფ ა ქ ტ ი უ რ ერთიანობას, — ასეთი ურთიერთობის დაუმყარებლად კი შეუძლებელია აჯანყების გეგმის კოლექტიური განხილვა და იმ აუცილებელი მოსამზადებელი ღონისძიების განხორციელება აჯანყების წინ, რომელიც უაღრესად საიდუმლოდ უნდა იყოს დაცული» (გვ. 136 — 137*).

რა დებულებებს აყენებს ეს მსჯელობა აჯანყების საკითხზე? 1) უაზრობაა აჯანყების «მომზადების» იდეა იმ აზრით, რომ დანიშნულ იქნან საგანგებო აგენტები, რომლებიც «დაჯდებოდნენ და დაუცდიდნენ» ლოზუნგის მიღებას. 2) აუცილებელია ს ა ე რ თ ო მ უ შ ა ო ბ ი ს ნ ი ა დ ა გ ზ ე ჩ ა მ ო ყ ა ლ ი ბ ებ უ ლ ი კავშირი ადამიანებსა და ორგანიზაციებს შორის, რომლებიც რეგულარულად ეწევიან საქმიანობას. 3) აუცილებელია ასეთი საქმიანობის ნიადაგზე კავშირის განმტკიცება პროლეტარულ (მუშები) და არაპროლეტარულ (ყველა უკმაყოფილონი) ფენებს ფორის. 4) აუცილებელია ერთად გამომუშავება პოლიტიკური ვითარების სწორად შეფასებისა და პოლიტიკურ ამბებზე უფრო მიზანშეწონილად «გამოხმაურების» უნარისა. 5) აუცილებელია ყველა ადგილობრივი რევოლუციური ორგანიზაციის ფაქტიური გაერთიანება.

---

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 5, გვ. 657 — 658. რ ე დ.

მაშასადამე, ჩვენს წინაშე უკვე ნათლად არის წამოყენებული აჯანყების მომზადების ლოზუნგი, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის პირდაპირი მოწოდება აჯანყებისაკენ, ჯერ კიდევ არ არის აღიარებული, რომ მოძრაობამ «უკვე მიგვიყვანა» მის აუცილებელ საჭიროებამდე, რომ აუცილებელია დაუყოვნებლივ შევიარაღდეთ, დავირაზმოთ მებრძოლ ჯგუფებად და სხვა. ჩვენს წინაშეა — აჯანყების მომზადების სწორედ იმ პირობების განხილვა, რომლებიც თითქმის სიტყვა-სიტყვით განმეორებულია კონფერენციის რეზოლუციებში (1905 წელს!!).

მესამე საფეხური. 1905 წელი. გაზეთ «ვპერიოდში» და შემდეგ III ყრილობის რეზოლუციაში გადადგმულია შემდგომი ნაბიჯი: აჯანყების საერთო პოლიტიკური მომზადების გარდა წამოყენებულია პირდაპირი ლოზუნგი ახლავე დავირაზმოთ და შევიარაღდეთ აჯანყებისათვის, მოვაწყოთ საგანგებო (მებრძოლი) ჯგუფები, რადგან მოძრაობამ «უკვე მიგვიყვანა შეიარაღებული აჯანყების აუცილებელ საჭიროებამდე» (ყრილობის რეზოლუციის მე-2 მ.).

ეს მოკლე ისტორიული ცნობა სამს უცილობელ დასკვნას იძლევა: 1) პირდაპირ სიცრუეს წარმოადგენს ლიბერალური ბურჟუების, ოსვობოჟდენიელების, მტკიცება, თითქოს ჩვენ «განყენებულ რევოლუციონიზმში, მეამბოხეობაში» ვვარდებით. ჩვენ ამ საკითხს ყოველთვის ვაყანებთ და ვაყენებდით სწორედ არა «განყენებულად», არამედ კონკრეტულ ნიადაგზე და სხვადასხვანაირად ვწყვეტდით მას 1897, 1902 და 1905 წლებში. მეამბოხეობის დაბრალება ოპორტუნისტული ფრაზაა ბატონ ლიბერალური ბურჟუებისა, რომლებიც ემზადებიან უღალატონ რევოლუციის ინტერესებს, უღალატონ რევოლუციას თვითმპყრობელობასთან გადამწყვეტი ბრძოლის ეპოქაში. 2) ახალისკრელთა კონფერენცია შეჩერდა აჯანყების საკითხის განვითარების მეორე საფეხურზე. 1905 წელს მან მხოლოდ გაიმეორა ის, რაც საკმაო იყო მხოლოდ 1902 წელს. იგი სამი წლით ჩამორჩა რევოლუციურ განვითარებას. 3) ცხოვრების გაკვეთილების, სახელდობრ ოდე-

სის აჯანყების, გავლენით ახალისკრელებმა ფაქტიურად აღიარეს, რომ აუცილებელია იმოქმედონ არა თავიანთი, არამედ ყრილობის რეზოლუციის მითითებებით, ე. ი. აჯანყების ამოცანა გადაუდებელ საქმედ აღიარეს, ხოლო პირდაპირი და დაუყოვნებლივი მოწოდებანი აჯანყების უშუალო მოწყობისა და შეიარაღებისაკენ აუცილებელ საჭიროებად სცნეს.

ჩამორჩენილი სოციალ-დემოკრატიული დოქტრინა ერთბაშად უკუაგდო რევოლუციამ. ახალისკრელებთან ჩვენს პრაქტიკულ გაერთიანებას საერთო მუშაობის ნიადაგზე კიდევ ერთი დაბრკოლება ჩამოსცილდა, მასთან, რასაკვირველია, ეს კიდევ არ ნიშნავს პრინციპულ უთანხმოებათა სრულ მოსპობას. ჩვენ არ შეგვიძლია დავჯერდეთ იმას, რომ ჩვენი ტაქტიკური ლოზუნგები უკან მისჩანჩალებდნენ მოვლენებს, ეგუებოდნენ უკვე მომხდარ ამბებს. ჩვენ უნდა მივისწრაფოდეთ იმისკენ, რომ ამ ლოზუნგებს წინ მივყავდეთ, რომ ისინი შემდგომ სავალ გზას გვინათებდნენ და წუთიერ უშუალო ამოცანებზე მაღლა გვაყენებდნენ. თანამიმდევარი და მტკიცე ომის საწარმოებლად პროლეტარიატის პარტიას არ შეუძლია თავისი ტაქტიკა შემთხვევიდან შემთხვევამდე განსაზღვროს. თავის ტაქტიკურ გადაწყვეტილებებში მან მარქსიზმის პრინციპებისადმი ერთგულება უნდა შეაერთოს რევოლუციური კლასის მოწინავე ამოცანათა სწორ გათვალისწინებასთან.

აიღეთ მეორე საჭირბოროტო პოლიტიკური საკითხი დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ. აქ ჩვენ, ვგონებთ, კიდევ უფრო ნათლად ვხედავთ, რომ თავის ფურცელში «ისკრის» რედაქცია ფაქტიურად კონფერენციის ლოზუნგებს შორდება და III ყრილობის ტაქტიკურ ლოზუნგებს იღებს. უაზრო თეორია «მიზნად არ დავისახოთ ძალაუფლების ხელში ჩაგდება» (დემოკრატიული გადატრიალებისათვის) «ან ძალაუფლების გაზიარება დროებითს მთავრობაში» უკუგდებულია, ვინაიდან ფურცელი პირდაპირ მოგვიწოდებს «ხელში ჩავიგდოთ ქალაქის დაწესებულებები» და მოვაწყოთ «საზოგადოებრივ საქმეთა დროებითი გაძღოლა». უაზრო

ლოზუნგი «უკიდურესი რევოლუციური ოპოზიციის პარტიად დარჩენისა» (უაზრო რევოლუციის ეპოქაში, თუმცა მეტად სწორი მხოლოდ პარლამენტური ბრძოლის ეპოქისთვის) ფაქტიურად არქივს ჩაბარდა, რადგან ოდესის ამბებმა «ისკრა» აიძულეს გაეგო, რომ აჯანყების დროს ამ ლოზუნგით დაკმაყოფილება სასაცილოა, რომ საჭიროა აქტიურად მოვუწოდოთ აჯანყებისაკენ, მისი უაღრესად ენერგიულად გატარებისა და რევოლუციური ხელისუფლების გამოყენებისაკენ. უკუგდებულია აგრეთვე უაზრო ლოზუნგი «რევოლუციური კომუნები», რადგან ოდესის ამბებმა «ისკრა» აიძულეს გაეგო, რომ ეს ლოზუნგი მხოლოდ აადვილებს დემოკრატიული და სოციალისტური გადატრიალების ერთმანეთში არევას. ხოლო ამ ფრიად სხვადასხვაგვარი რამეების ერთმანეთში არევა იქნებოდა მხოლოდ ავანტიურიზმი, დამადასტურებელი თეორიული აზრის სრული გაურკვევლობისა, და გააძნელებდა ფრიად აუცილებელი პრაქტიკული ზომების განხორციელებას, რომლებიც მუშათა კლასს უადვილებენ სოციალიზმისათვის ბრძოლას დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

მოიგონეთ ახალი «ისკრის» პოლემიკა «ვპერიოდთან», მისი ტაქტიკა «მხოლოდ ქვევიდან» წინააღმდეგ «ვპერიოდის» ტაქტიკისა — «ქვევიდანაც და ზევიდანაც», — და თქვენ დაინახავთ, რომ «ისკრამ» მიიღო საკითხის ჩვენი გადაწყვეტა, როცა ახლა თვითონ პირდაპირ მოუწოდებს ზევიდან მოქმედებისაკენ. მოიგონეთ «ისკრის» შიში იმის შესახებ, ვაითუ სახელი გავიტეხოთ ხაზინის, ფინანსებისა და სხვათა გამო პასუხისმგებლობის აღებითაო, — და დაინახავთ, რომ თუ «ისკრა» ვერ დაარწმუნა ჩვენმა მოსაზრებებმა, ამ მოსაზრებათა სისწორეში იგი დაარწმუნა თვით მოვლენებმა, რადგან დასახელებულ ფურცელში «ისკრა» პირდაპირ გვირჩევს «ხელში ჩავიგდოთ სახელმწიფო ბანკის განყოფილებები». უაზრო თეორია, თითქოს პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა და დროებითს რევოლუციურ მთავრობაში მათი ერთად მონაწილეობა «ღალატი

იყოს პროლეტარიატის მიმართ» ან «ვულგარული ჟორესიზმი (მილიერანიზმი)» — პირდაპირ დაივიწყეს ახალისკრელებმა, რომლებიც ახლა თვითონ მიმართავენ მოწოდებით სწორედ მუშებსა და გლეხებს ხელში ჩაიგდონ ქალაქის დაწესებულებები, სახელმწიფო ბანკის განყოფილებები, იარაღის საწყობები, «შეაიარაღონ მთელი ხალხი» (ცხადია, ახლა უკვე შეაიარაღონ ი ა რ ა ღ ი თ და არა მარტო «თვითშეიარაღების მწვავე მოთხოვნილებით»), გამოაცხადონ მეფის მონარქიის დამხობა და სხვ. — ერთი სიტყვით, იმოქმედონ სავსებით III ყრილობის რეზოლუციაში მოცემული პროგრამის მიხედვით, იმოქმედონ სწორედ ისე, როგორც ამას რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურისა და დროებითი რევოლუციური მთავრობის ლოზუნგი მიუთითებს.

მართალია, «ისკრა» თავის ფურცელში არც ერთს, არც მეორე ლოზუნგს არ იხსენიებს. ის ჩამოთვლის და ასწერს ყოველგვარ მოქმედებას, რომელთა ერთობლიობა დამახასიათებელია დროებითი რევოლუციური მთავრობისათვის, მაგრამ ამ სიტყვას პირდაპირ გაურბის. ამაოდ ირჯება ასე. ფაქტიურად ის თვითონ იღებს ამ ლოზუნგს. გარკვეული ტერმინის უქონლობას კი შეუძლია გამოიწვიოს ყოყმანი, გაუბედაობა, აბნეულობა მებრძოლთა გონებაში. შიში ს ი ტ ყ ვ ი ს ა: «რევოლუციური მთავრობა», «რევოლუციური ხელისუფლება» წმინდა ანარქისტული და მარქსისტისათვის შეუფერებელი შიშია. იმისათვის, რომ «ხელში ჩავიგდოთ» დაწესებულებები და ბანკები, «დავნიშნოთ არჩევნები», მივანდოთ «საქმეების დროებით გაძღოლა», «გამოვაცხადოთ მონარქიის დამხობა», — ამისათვის უსათუოდ აუცილებელია ჯერ განვახორციელოთ და გამოვაცხადოთ დროებითი რევოლუციური მთავრობა, რომელიც გააერთიანებდა და ერთი მიზნისაკენ წარმართავდა რევოლუციური ხალხის მთელ სამხედრო და პოლიტიკურ მოქმედებას. ასეთი გაერთიანების, **რევოლუციური ხალხის მიერ დროებითი მთავრობის საყოველთაო აღიარების, მთელი ძალაუფლების დროებითი მთავ-**

რობის ხელში გადასვლის გარეშე დაწესებულებების ყოველ-გვარი «ხელში ჩაგდება», რესპუბლიკის ყოველგვარი «გამოცხადება» უბრალო და ცარიელი მეამბოხური საქციელი იქნება. თუ ხალხის რევოლუციური ენერგია რევოლუციური მთავრობის მიერ არ არის კონცენტრირებული, იგი აჯანყების პირველი წარმატების შემდეგ მხოლოდ დაიქსაქსება, დაქუცმაცდება, დაკარგავს საერთო ნაციონალურ გაქანებას, ვერ მოერევა ხელში ჩაგდებულის შენარჩუნებასა და აღიარებულის განხორციელების ამოცანებს.

ვიმეორებთ: ფაქტიურად, საქმით, ის სოციალ-დემოკრატები, რომლებიც რსდმპ III ყრილობის გადაწყვეტილებებს არ სცნობენ, მოვლენათა მსვლელობით იძულებული არიან იმოქმედონ სწორედ ყრილობის მიერ მიცემული ლოზუნგების მიხედვით და უკუაგდონ კონფერენციის ლოზუნგები. რევოლუცია გვასწავლის. ჩვენი საქმეა — უკანასკნელ ნაწილამდე გამოვიყენოთ მისი გაკვეთილები, ჩვენი ტაქტიკური ლოზუნგები შევუფარდოთ ჩვენს მოქმედებას და ჩვენს უახლოეს ამოცანებს, გავავრცელოთ მასაში ამ უახლოესი ამოცანების სწორი გაგება, უაღრესად ფართოდ შევუდგეთ ყველგან მუშების დარაზმვას აჯანყების საბრძოლო მიზნების განსახორციელებლად, რევოლუციური არმიის შესაქმნელად და დროებითი რევოლუციური მთავრობის შესადგენად!

«პროლეტარი» № 9,
1905 წლის 26 (13) ივლისი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

ბრაზიანი უძლურება

«ისკრის» 104-ე ნომერში მოთავსებულია შენიშვნა ჩვენი ფელეტონის გამო: «მესამე ნაბიჯი უკან» * («პროლეტარი» № 6). ჩვენ იქ სრულიად დამშვიდებით ვამბობდით, რომ ახალისკრელები პარტიის სახელით სარგებლობდნენ სტამბით, საწყობითა და ფულით, ხოლო პარტიული ქონების ჩაბარებას მათ თავი აარიდეს. თუ რა მდგომარეობამდე მიიყვანა «ისკრა» გაგულისებამ ამ განცხადების გამო, ეს ჩანს ბუნდის დაუვიწყარი «სიბილწის» მსგავსი გამოთქმებიდან. «ისკრა» თავაზიანად გვიწოდებს «ძენძის ბინძურ ცოცხს», «ცილისმწამებელ ლაჩრებს» და სხვ. და სხვ.. სწორედ ისევე, როგორც ოდესღაც ენგელსი ახასიათებდა ერთი ჯურის ემიგრანტთა პოლემიკას: «ყოველი სიტყვა — ღამის ჭურჭელია, და მასთან არცთუ ცარიელი (Jedes Wort — ein Nachttopf und kein leerer)[54]. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ დაგვიწყნია ფრანგული ნაკვესი: ლანძღვა იმის საბუთია, ვისაც არგუმენტები არ მოეპოვება. ჩვენ ახლაც წინადადებას მივცემთ მიუდგომელ მკითხველებს გულდამშვიდებით ასწონ-დასწონონ, თუ რის გამოა ეს აურზაური. ახალისკრელებმა არ უპასუხეს წერილზე ც. კ-ს, რომელმაც III ყრილობის შემდეგ წინადადება მისცა მათ ჩაებარებინათ პარტიული ქონება. ისინი არ სცნობენ III ყრილობას, არ სცნობენ ც. კ-ის შემობრუნებას ბოლშევიკებისაკენ. დაე ასე იყოს. მაგრამ ამ არცნობი-

* იხ. თხზულებანი, ჯამოც. მე-4, ტომი 8, გვ. 647 — 659. რ ე დ.

დან მხოლოდ ის გამომდინარეობს, რომ ახალისკრელებს მართებდათ, მათი თვალსაზრისით, ჩაებარებინათ არა ყველაფერი, არამედ პარტიული ქონების განსაზღვრული ნაწილი. ეს იმდენად ნათელია, რომ «ისკრა» ახლა თვითონ ლაპარაკობს თავის შენიშვნაში «მთელი პარტიული ქონების გაყოფის შესაძლებლობაზე». თუ ეს ასეა, ჩვენო ძვირფასო მოწინააღმდეგენო, მაშ რატომაც არ უნდა გასცეთ სათანადო პასუხი ცენტრალური კომიტეტის წერილზე? თორემ, მიუხედავად თქვენი სიტყვების მთელი ენერგიისა, ხომ უეჭველი რჩება ის ფაქტი, რომ უმრავლესობა ყველაფერში საჯარო ანგარიშს იძლევა III ყრილობის ოქმების გამოცემით, თქვენ კი არავის არავითარ ანგარიშს არ აძლევთ თქვენს მიერ პარტიული ქონების მოხმარების შესახებ, არავითარ ოქმებს არა სცემთ და მხოლოდ ილანძღებით. აბა გულდამშვიდებული ჩაუფიქრდით, თუ რა შთაბეჭდილება უნდა მიიღოს დაფიქრების უნარის მქონე საზოგადოებამ ასეთი საქციელისაგან!

შემდეგ. «ისკრას» არ მოსწონს ც. კ-ის შემობრუნება ყრილობის სასარგებლოდ. ეს ბუნებრივია. მაგრამ ეს ხომ მისი პირველი შემობრუნება არ არის. ერთი წლის წინათ, 1904 წლის აგვისტოში, ც. კ. უმცირესობისაკენ შებრუნდა. ერთი წლის წინათ ჩვენ პრესაში და საჯაროდ განვაცხადეთ, არ ვცნობთ ცენტრალური კომიტეტის მოქმედების კანონიერებასო. იბადება კითხვა, როგორ მოვიქეცით ჩვენ მაშინ პარტიული ქონების მიმართ? ჩ ვ ე ნ ს ტ ა მ ბ ა ც, ს ა წ ყ ო ბ ი ც და ს ა ლ ა რ ო ც მ ე ნ შ ე ვ ი კ ე ბ ს გ ა დ ა ვ ე ც ი თ. «ისკრას» შეუძლია რამდენიც სურს გვლანძღოს, მაგრამ ეს ფაქტი ფაქტად რჩება. ჩვენ ანგარიში მივეცით და ქონება ჩავაბარეთ ჩვენს მოწინააღმდეგეებს, რადგან გვსურდა პარტიული საშუალებებით ბრძოლა და მოვითხოვდით ყრილობის მოწვევას. ჩვენი მოწინააღმდეგენი ყრილობას დაემალნენ და არავისთვის არავითარი ანგარიში არ ჩაუბარებიათ (გარდა თავიანთი საკუთარი მომხრეებისა, იმათაც არა საჯაროდ, რადგან, ჯერ-ერთი, არ არის «კონფერენციის» ოქმები, ხოლო მეორე, ცნობილი არ არის არც მისი დღის წესრიგი, არც

მისი ძალაუფლების ფარგლები, ე. ი. იმის ფარგლები, თუ რამდენად სავალდებულოა მისი გადაწყვეტილებანი თვითონ მენშევიკებისათვის).

ჩვენი შინაპარტიული ბრძოლა გათიშვით დამთავრდა; ახლა არის მხოლოდ ბრძოლა ერთი პარტიისა მეორესთან, რომელიც ორგანიზაცია-პროცესის მდგომარეობაში იმყოფება. და აი ახლა, ყველა, ვინც საერთოდ თვალს გადაავლებს ბრძოლის ისტორიას გათიშვამდე (რა თქმა უნდა, იმათგან, ვინც თავისი პარტიის ისტორიას დოკუმენტების მიხედვით სწავლობს და ზღაპრებს არ სჯერდება, როგორც ამას მრავალი, რუსეთიდან ჩამოსული, სჩადის), — ნათლად დაინახავს ბრძოლის საერთო ხასიათს. უმრავლესობამ, რომელსაც «ფორმალიზმს», «ბიუროკრატიზმს» და სხვა ამისთანას აბრალებენ, თავის მოწინააღმდეგეებს მისცა ყველა ფორმალური პრეროგატივი, ყველა ბიუროკრატიული დაწესებულება: ჯერ ც. ო-ს რედაქცია, შემდეგ პარტიის საბჭო, ბოლოს ცენტრალური კომიტეტიც. არ აძლევდნენ და არ მიუციათ მხოლოდ ყრილობა. და ისე გამოვიდა, რომ ბოლშევიკებმა აღადგინეს პარტია (ან შექმნეს თავისთვის საკუთარი პარტია, როგორც ფიქრობენ, ცხადია, ახალისკრელები), მთლიანად პარტიულ მუშაკთა ნებაყოფლობითს თანხმობაზე დააფუძნეს ყველა თავიანთი პარტიული დაწესებულება, — ჯერ უმრავლესობის კომიტეტთა ბიურო, შემდეგ «ვპერიოდი», ბოლოს, III პარტიული ყრილობა. პირიქით, ჩვენი ოპონენტები სწორედ ამ, მათთვის სამოწყალოდ ნაჩუქარ, ფორმალურ პრეროგატივებსა და ბიუროკრატიულ დაწესებულებებს ჩასჭიდებიან! მართლაცდა, ერთი შეხედეთ: განა მათ «ც. ო-ს რედაქცია» ლენინმა და პლეხანოვმა არ აჩუქეს? როდესაც თავის თავს «პარტიის ც. ო-ს» უწოდებს, «პროლეტარი» ეყრდნობა III ყრილობის გადაწყვეტილებებს, რომელთაც მენშევიკები არ სცნობენ, მაგრამ რომელთაც ნათლად, ზუსტად და გარკვევით სცნობს პარტიის უმრავლესობა, რომლის შემადგენლობა ყველასთვის ცნობილია. «ისკრა» კი, როდესაც იგი თავის თავს «პარტიის ც. ო-ს» უწოდებს, ეყრდნობა II

ყრილობის გადაწყვეტილებებს, რომელთაც ახლა არც ბოლშევიკები (ჩვენ ისინი III ყრილობის გადაწყვეტილებებით შევცვალეთ) და არც მენშევიკები აღარ სცნობენ!! აი რა არის თავიდათავი! მენშევიკების კონფერენციამ ხომ თითონვე გააუქმა II ყრილობის წესდება. ახალისკრელები ახლა ხომ მათი საკუთარი მომხრეების მიერ გაუქმებულ სათაურებს ებღაუჭებიან!

თვით პლეხანოვმა, რომელიც პრინციპულად ვერასოდეს ვერ ახერხებდა ახალისკრელებთან სავსებით შეთანხმებას, მაგრამ რომელიც დაუსრულებელ პირად დათმობებზე მიდიოდა მათ მიმართ, რომელიც ძალიან თავს ესხმოდა ბოლშევიკებს და რომელსაც ამისთვის მუდამ თაყვანს სცემდნენ და სცემენ ახალისკრელები, — თვით მანაც კი განაცხადა, რომ კონფერენციამ სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ცენტრალურ დაწესებულებებსაო და ამჯობინა განყრა მტვერისა ფერხთაგან თვისთა. ახალისკრელები კი კვლავ «ც. ო-ს» უწოდებენ თავიანთ თავს და ლანძღვა-გინებით ამკობენ იმათ, ვინც მათ მიუთითებს მთელი მათი პარტიული პოზიციის არათუ უმართებულობას, არამედ აბსოლუტურ ურიგობასაც. ლანძღვა, რის გამოც ჩამოვაგდეთ მთელი ეს ლაპარაკი, ამ ურიგობის ბუნდოვანი შეგნების სწორედ ფსიქოლოგიურად აუცილებელი შედეგია. მოგაგონებთ, რომ ბ-ნი სტრუვეც კი, რომელსაც მრავალჯერ გამოუთქვამს თავისი პრინციპული სიმპათიები ტროცკისადმიც, სტაროვერისადმიც, აკიმოვისა და მარტინოვისადმიც, საზოგადოდ ახალისკრელობისა და კერძოდ მათი კონფერენციის ტენდენციებისადმიც, თავის დროზე იძულებული იყო ეღიარებინა, რომ მათი პოზიცია არცთუ სავსებით თავაზიანია ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, სრულიად მოკლებულია თავაზიანობასაო (იხ. «ოსვობოჟდენიე» № 57).

ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ სოციალ-დემოკრატების, განსაკუთრებით მუშების, ფართო წრეები საშინლად უკმაყოფილონი არიან გათიშვით (ვინ შეიძლება ამის კმაყოფილი იყოს?) და მზადაც არიან «სადაც გნებავთ» იქ ეძიონ

მისგან გამოსავალი. ჩვენ სავსებით გვესმის და უცილობლად პატივს ვცემთ ამ გუნებაგანწყობილებას, მაგრამ ჩვენ ყველასა და თვითეულს ვაფრთხილებთ: მარტოოდენ გუნებაგანწყობილება არ კმარა. ფორმულა «სადაც გნებავთ» არაფრად ვარგა, რადგან მასში არ არის მთავარი: გათიშვის შეწყვეტის ს ა შ უ ა ლ ე ბ ა თ ა გაგება. ვერავითარი მწარე სიტყვა, ვერავითარი ცდა რაღაც «მესამის» შექმნისა, არც ბოლშევიკურისა და არც მენშევიკურის, — საქმეს ვერ უშველის, არამედ უფრო მეტად დახლართავს მას. ეს ფაქტიურად, ორი წლის გამოცდილებით, დაამტკიცა ისეთი ძლიერი პიროვნების მაგალითმა, როგორიცაა პლეხანოვი. დაე გერმანელმა სოციალ-დემოკრატებმა, რომელნიც, კ. კაუტსკის მსგავსად, ჩვენს გათიშვას მეტწილად ცალმხრივი ნაამბობით იცნობენ, თავი აირიდონ მწარე სიტყვებით. მათ კიდევ ეპატიებათ მათი უცოდინარობა — თუმცა შეუწყნარებელია, რა თქმა უნდა, მათი პრეტენზიები იმსჯელონ იმაზე, რაც არ იციან. რუსეთის სოციალ-დემოკრატებმა, ბოლოს და ბოლოს, უნდა ისწავლონ იმ ადამიანთა უღირსად მიჩნევა, რომელთაც შეუძლიათ მწარე სიტყვებით თავის დაძვრენა, რომელნიც აქეთ-იქით ეხეთქებიან, ლაყბობენ «მშვიდობაზე» და უძლურნი არიან თუნდაც ცოტა რეალური რამ გააკეთონ მშვიდობის გულისათვის. პარტიის მშვიდობისა და ერთიანობის რეალურ გზას წარმოადგენს არა ნაჩქარევი შეთანხმებები, რაც ახალ კონფლიქტებს იწვევს და რასაც ახალი და უარესი არევ-დარევა შეაქვს საქმეში, არამედ ორივე ნაწილის ტაქტიკურ და ორგანიზაციულ ტენდენციათა სრული გ ა მ ო რ კ ვ ე ვ ა ს ა ქ მ ი თ. ამ მხრივ ჩვენ მეტისმეტად კმაყოფილი ვართ ახალისკრელთა კონფერენციისა. მან გვიჩვენა ახალისკრელობის სამუდამო რღვევა. რევოლუცია ამსხვრევს მათს ტაქტიკურ მაჩანჩალობას. მათი «ორგანიზაცია-პროცესი» ყველას სასაცილოდ ხდება. მათ შორდება, ერთი მხრივ, პლეხანოვი, რომლისთვისაც, ცხადია, კონფერენციამ «ნათელი გახადა» არა მარტო თავისი ორგანიზაციული აზრი, არამედ ახალისკრელთა პრინციპულობაც. მეორე მხრივ, მათ შორდება აკიმოვი,

რომელიც «ცარიელ ფრაზად» აცხადებს პეტერბურგელ მენშევიკთა დაპირებებსა და «პრინციპებს» («პოსლედნიე იზვესტია»[55] № 235). პარტიის III ყრილობამ უფრო მჭიდროდ შეაკავშირა ერთი მხარე. კონფერენციამ თვითონ დაქსაქსა მეორე მხარე. ჩვენ მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, რომ ვურჩიოთ «შემარიგებლებს»: შეისწავლეთ, ამხანაგებო, გათიშვის ისტორია, გაერკვიეთ პლეხანოვის შემარიგებლობის წარუმატებლობის მიზეზებში, ნუ ჩაასხამთ ახალ ღვინოს ძველ ტიკებში!

«პროლეტარი» № 9,
1905 წლის 26 (13) ივლისი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

პირველი ვარიანტი წინასიტყვაობისა ბროშურისათვის «მუშები პარტიული გათიშვის შესახებ»[56]

ბარეკანი: მუშების ხმა და პარტიის გათიშვა
გამოცემა რსდმპ ც. კ-ისა

შინაარსი:

I. წინასიტყვაობა «პროლეტარის» რედაქციისა.
II. ოდესელი მუშის წერილი.
III. პასუხი მუშის წერილზე. ა ბ რ ა მ ო ვ ი ს ა.
IV. რსდმპ ც. კ-ის ღია წერილი საორგანიზაციო კომისიის მიმართ.

წინასიტყვაობა

«პროლეტარის» მე-8 ნომერში ჩვენ უკვე განვაცხადეთ ოდესელი მუშის წერილის გამოცემის შესახებ; ჩვენი აზრით, ოდესელი მუშა საკმაოდ ბევრი მუშის განწყობილებას გამოხატავს. ამ წერილის პასუხად ვბეჭდავთ, ჯერ-ერთი, გაზეთ «პროლეტარის» თანამშრომლის ამხ. აბრამოვის სტატიას «პასუხი მუშის წერილზე», მეორეც, რსდმპ ცენტრალური კომიტეტის ამას წინათ რუსეთში გამოსულ და «პროლეტარის» მე-10 ნომერში მოთავსებულ «ღია წერილს საორგანიზაციო კომისიის მიმართ»[57].

ჩვენდათავად კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ რამეს: გაერთიანება აუცილებელია. ამხ. მუშა

სრულიად მართალია, როცა დაჟინებით მოითხოვს ამას. მაგრამ არ კმარა დაჟინებით მოითხოვო ეს, უნდა შეგეძლოს გაერთიანების განხორციელება, უნდა შეგწევდეს ძალა მიაღწიო გაერთიანებას. განზე გადგომა, მესამე პარტიისა ან ნეიტრალური ჯგუფის შექმნა — ძნელი არ არის. მაგრამ ეს კი არ მოგვიახლოებს, არამედ დაგვაშორებს გაერთიანებას, ახლანდელ არეულ მდგომარეობას კი არ გაამარტივებს, არამედ უფრო მეტად არევს. უმცირესობის ანუ ახალისკრელების კონფერენციის გადაწყვეტილებები არ იძლევიან პირდაპირ და გარკვეულ პასუხს კითხვაზე: სახელდობრ როგორ შეიძლება და როგორ უნდა გავერთიანდეთ? რსდმპ III ყრილობის გადაწყვეტილებანი ასეთს პასუხს იძლევიან პარტიის წესდების სახით, რომელიც სავსებით უზრუნველყოფს უმცირესობის უფლებებს. სასაცილო იქნებოდა ეს პასუხი მიგვეჩნია უშეცდომო, იდეალურ პასუხად. მაგრამ ვისაც სურს არა მარტო ლაპარაკი გაერთიანებაზე, არამედ ნამდვილად მისი მიღწევა რეალური ზომებით და წინადადებებით, დაე ის ნუ დასჯერდება საყვედურებსა და დაყვედრებას, დაე ნუ აძლიერებს გათიშვას მესამე პარტიის შექმნით, არამედ დაე ხელი მოჰკიდოს მან თავისი პასუხის შემუშავებას კითხვაზე გაერთიანების პირობებისა და ფორმების შესახებ. ეს საქმე ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე მშვიდობისა და სიყვარულის ცარიელი ქადაგება, მაგრამ სამაგიეროდ ის ბევრად უფრო სასარგებლოცაა.

«პროლეტარის» რედაქცია.

დაწერილია 1905 წლის ივლისში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს «ლენინის კრებულში» V

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

წინასიტყვაობა ბროშურისა «მუშები პარტიული გათიშვის შესახებ»

როდესაც «პროლეტარში» (№ 8) ამბ. «მუშას — ერთ მრავალთაგანს» მისი წერილის სრულად დაბეჭდვას შევპირდით, ჩვენ არავითარი წარმოდგენა არ გვქონდა, თუ ვინ იყო ის. ჩვენ ვიცით, რომ მის მიერ გამოთქმულ აზრებს მართლაც მრავალი მუშა იზიარებს, და ეს ჩვენთვის საკმარისი იყო, რომ მისი წერილის გამოცემა გადაგვწყვიტა. ახლა «ისკრის» № 105-დან ვიგებთ, რომ წერილის ავტორი «წინათ უმცირესობას ეკუთვნოდა», რომ ის «ეგრეთწოდებული უმრავლესობის დიდი ხნის გააფთრებული მოწინააღმდეგეა». მით უკეთესი. მით უფრო მეტად საგულისხმოა ჩვენთვის ამ ყოფილი მენშევიკის განცხადება, რომ კეთილი სურვილები «პროლეტარული თვითმოქმედების» შესახებ «ლამაზ სიტყვებს» წარმოადგენდნენ. მით უფრო ძვირფასია მის მიერ ინტელიგენტური «მანილოვობის» გადაჭრით დაგმობა. ეს იმის უცილობელი ნიშანია, რომ მენშევიკების დემაგოგია, მათი დაპირება მარჯვნივ და მარცხნივ ყოველგვარი სიკეთისა: ავტონომიის, თვითმოქმედების, დემოკრატიზმისა და სხვ. — როგორც მოსალოდნელი იყო, თავს აბეზრებს შეგნებულ მუშებს და მათს კანონიერ უნდობლობასა და კრიტიკას იწვევს.

უაღრესად დამახასიათებელია აგრეთვე ის ფაქტიც, რომელიც, ეჭვი არ გვეპარება, მთელ რიგ მუშა მენშევიკებს «ყოფილ მენშევიკებად» გახდის, — ის ფაქტი, რომ მუშის ამ წერილში «ისკრამ» «ქვევიდან მოღერებული მუშტი» დაინახა! ეს ფაქტი მეტისმეტად დამაფიქრებელია.

მართლაცდა, რა შუაშია აქ «მუშტი»? გამოხატავს ეს მენშევიკების მიერ ესოდენ გაცვეთილი «საშინელი სიტყვა» რაიმე ცნობილ გარკვეულ ორგანიზაციულ ცნებებს თუ უბრალო ინტელიგენტურ გულისწყრომას, ახირებას ყოველგვარი მტკიცე, ინტელიგენტური კაპრიზების შემზღუდველი ორგანიზაციის წინააღმდეგ?

რა სურს წერილის ავტორს? გათიშვის შეწყვეტა. თანაუგრძნობს თუ არა «ისკრა» ამ მიზანს? დიახ, ის ამას პირდაპირ აცხადებს. თვლის თუ არა «ისკრა» შესაძლებლად ამის ახლავე განხორციელებას? დიახ, ვინაიდან ის ამბობს: «უთანხმოებანი (ტაქტიკური) იმდენად დიდი არაა, რომ გათიშვა გავამართლოთო».

თუ ასეა, მაშინ რად დასჭირდა «ისკრას» კვლავ გამოექექა, ძუშისადმი გაცემულ პასუხში, ტაქტიკური უთანხმოებანი, მოეგონებინა თვით «მხოლოდ პარტიის წევრთათვის» გამოქვეყნებულ «ისკრის» ფურცლებსა და პლეხანოვის «კონსპირაციულ» ბროშურაში დამარხული «საერობო კამპანიის გეგმა»? რა საჭიროა ეს? აკი არც მუშა უარყოფს პოლემიკისა და დავის აუცილებლობას და არც ბოლშევიკები უარყოფენ ამას! პარტიის წესდებაც ხომ, მიღებული III ყრილობის მიერ, ზუსტად განსაზღვრავს ყოველი კომიტეტის უფლებას ლიტერატურის გამოცემის მხრივ! საკითხი ხომ იმას ეხება, თუ როგორ მოვიქცეთ, რომ ტაქტიკურმა უთანხმოებამ არ გამოიწვიოს გათიშვა, ე. ი. ორგანიზაციული კავშირის დარღვევა? მაშ რათ ა რ ი დ ე ბ ს თ ა ვ ს «ისკრა» ამ ნათლად დასმულ კითხვას ტაქტიკურ უთანხმოებაზე მსჯელობით, რომელიც საქმეს არ ეხება? მუშის «მუშტი» იმის მომასწავებელი ხომ არ არის, რომ უადგილო ლაყბობა არ დაუშვას?

გათიშვის შესაწყვეტად მარტო სურვილი როდი კმარა. უნდა იცოდე, რ ო გ ო რ გააკეთო ეს. გათიშვის შეწყვეტა ნიშნავს ე რ თ ორგანიზაციად შეერთებას. და ვისაც სურს მართლა მოგვიახლოოს გათიშვის შეწყვეტა, ის არ უნდა დასჯერდეს ჩივილს, საყვედურებს, დაყვედრებას, წამოძახილებს,

დეკლამაციას გათიშვის გამო (როგორც სჯერდება ამას მუშა, აგრეთვე, მაგალითად, პლეხანოვიც მას შემდეგ, რაც ის ჭაობში იმყოფება), — ის დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს ამ საერთო, ერთიანი ორგანიზაციის ტიპის შ ე მ უ შ ა ვ ე ბ ა ს.

მუშის წერილის სუსტი ადგილი სწორედ ისაა, რომ ავტორი მხოლოდ დ ა ს ტ ი რ ი ს გათიშვას, ხოლო პირდაპირ წინადადებებს ა მ ა დ ა ა მ ორგანიზაციული ნორმების მიღებით მისი შეწყვეტის შესახებ არ იძლევა. იმის ნაცვლად, რომ ეს ნაკლი გამოასწოროს, «ისკრა» ა ძ ლ ი ე რ ე ბ ს მას, როცა «პანიკური შიშით შეპყრობილი» გაჰკივის: «მუშტი!» მუშის მხრივ მხოლოდ იმ ა ზ რ ი ს გამოთქმის გამო, რომ საერთო ორგანიზაციული ნორმები სავალდებულოდ ყოფილიყო აღიარებული!! გათიშვას უთანხმოება როდი ამართლებსო, — ამბობს მუშა. ეს სწორიაო, ეთანხმება «ისკრა». მაშასადამე, ახლა საჭიროა ისეთი მაგარი თოკის დაგრეხა (დახეთ! რა ტლანქი მექანიკური ენით ვლაპარაკობ! რა «კულაკური» იდეაა! მაგრამ ერთი წუთით მოთმინება იქონიეთ, ისკრელო ამხანაგებო, ნუ იჩქარით გულის წასვლას «სასიკვდილო მარყუჟის» და სხვა საშინელებათა გამო!), რომელიც მაგრად შეკრავდა ორივე ნაწილს და შეკრული ეყოლებოდა ისინი, მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ ტაქტიკური უთანხმოებისაო, — განაგრძობს მუშა.

ამის პასუხად «ისკრა» კვლავ ისტერიკას მართავს და გაჰკივის: მუშტიო!

ჩვენ კი ამის პასუხად ვიტყვით: სწორია, ამხ. მუშავ! თქვენ საფუძვლიანად მსჯელობთ. საჭიროა ახალი, მაგარი თოკი. მაგრამ გასწით წინ, გადადგით შემდგომი ნაბიჯი: დაიწყეთ ფიქრი იმაზე, თუ ს ა ხ ე ლ დ ო ბ რ რ ო გ ო რ ი უნდა იყოს ეს თოკი, ს ა ხ ე ლ დ ო ბ რ რ ო გ ო რ ი უნდა იყოს ორივე ნაწილისთვის ს ა ვ ა ლ დ ებ უ ლ ო (გვიშველეთ! ისევ მუშტი!) ს ა ე რ თ ო ორგანიზაცია?

ამხ. მუშა თავის ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი უ ლ წინადადებათა გარკვეულობის მხრივ ს ა კ მ ა ო დ შორს არ წასულა (ვი-

ნაიდან გათიშვის შეწყვეტის საკითხი მხოლოდ და მხოლოდ ორგანიზაციული საკითხია, თუ ორივე მხარე აღიარებს, ტაქტიკური უთანხმოება გათიშვას როდი ამართლებსო!) — «ისკრა» კი ფიქრობს, რომ ის მეტად შორს წავიდა, იმდენად შორს, რომ კვლავ ყვირილი მორთო მუშტის შესახებ!!

კვლავ ვეკითხებით მკითხველებს: რას ნიშნავს მართლაც ეს ყბადაღებული მუშტი, რომლის შიშით ახალ «ისკრას», შეიძლება ითქვას, «საყმაწვილო» ემართება? რას გამოხატავს ეს მუშტი: გარკვეულ ორგანიზაციულ იდეებს, თუ უბრალო ბრმა და სასაცილო ინტელიგენტურ შიშს პარტიის ყველა წევრისთვის ყოველგვარი სავალდებულო ორგანიზაციის ყოველგვარი «არტახის» წინაშე?

ამ საკითხის გადაჭრას ვანდობთ შეგნებულ მუშებს, ჩვენ კი გავყვებით ქვევით.

შეერთების ნამდვილი სიძნელე, თუ ვივარაუდებთ, რომ ორივე მხარეს გულწრფელად სურს შეერთება, აი რაში მდგომარეობს. ჯერ-ერთი, უნდა შევქმნათ უსათუოდ ყველასთვის სავალდებულო ორგანიზაციული ნორმები, პარტიის წესდება; მეორე, უნდა შევაერთოთ პარტიის ყველა პარალელური, ერთიმეორის მეტოქე ადგილობრივი და ცენტრალური ორგანიზაციები და დაწესებულებები.

პირველი ამოცანის გადაჭრას დღემდე მხოლოდ რსდმპ III ყრილობა შეეცადა, მან შექმნა წესდება, რომელიც ყოველ უმცირესობას უფლებათა კონსტიტუციურ გარანტიებს აძლევს. III ყრილობამ იზრუნა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ადგილის დათმობაზე პარტიის ყოველი უმცირესობისთვის, რომელიც აღიარებს პროგრამას, ტაქტიკასა და ორგანიზაციულ დისციპლინას. ბოლშევიკებმა იზრუნეს იმისათვის, რომ ერთიან პარტიაში გარკვეული ადგილი დაეთმოთ მენშევიკებისთვისაც. მენშევიკების მხრივ ჩვენ ამას ვერ ვხედავთ: მათი წესდება უფლებათა არავითარ კონსტიტუციურ გარანტიას არ აძლევს პარტიის ყოველ უმცირესობას.

თავისთავად ცხადია, III ყრილობაზე მიღებულ წესდებას არც ერთი ბოლშევიკი არ თვლის იდეალურად და უნაკლოდ. ვისაც მისი შეცვლა აუცილებლად მიაჩნია, ის უნდა გამოვიდეს ზუსტად გარკვეულ ცვლილებათა პროექტით, — ეს იქნება საქმიანი ნაბიჯის გადადგმა გათიშვის შესაწყვეტად, ეს იქნება გაცილებით უფრო მეტი რამ, ვიდრე ჩივილი და ყვედრება.

შესაძლოა გვისაყვედურონ კიდეც: რატომ ჩვენ თვითონ არ ვიწყებთ ამ საქმეს «კონფერენციის» წესდების მიმართ? ამაზე ჩვენ ვუპასუხებთ, რომ ეს საქმე უკვე დავიწყეთ: იხ. «პროლეტარი» № 6, «მესამე ნაბიჯი უკან» *. ჩვენ მზადა ვართ ერთხელ კიდევ გავიმეოროთ ის ძირითადი ორგანიზაციული საფუძვლები, რომელთა აღიარებაც, ჩვენი შეხედულებით, აუცილებელია შეერთებისათვის: 1) უმრავლესობისადმი უმცირესობის დამორჩილება (ამაში არ უნდა ავურიოთ უმცირესობა და უმრავლესობა ბრჭყალებში! ლაპარაკია საერთოდ პარტიის ორგანიზაციის პრინციპებზე და არა «უმცირესობისა» და «უმრავლესობის» შეერთებაზე, რის შესახებაც ქვემოთ ვილაპარაკებთ. განყენებულად თუ ვილაპარაკებთ, შეიძლება შეერთება ისეთი ფორმით წარმოვიდგინოთ, რომ «მენშევიკები» და «ბოლშევიკები» თანაბრად იქნებიან წარმოდგენილი, მაგრამ ასეთი შეერთებაც შეუძლებელია, თუ აღიარებული არ იქნება უმრავლესობისადმი უმცირესობის დამორჩილების პრინციპი და ვალდებულება). 2) პარტიის უმაღლესი ორგანო უნდა იყოს ყრილობა, ე. ი. ყველა სრულუფლებიანი ორგანიზაციის არჩეულ წარმომადგენელთა კრება, მასთან ამ არჩეულთა გადაწყვეტილება საბოლოო უნდა იყოს (ეს არის დემოკრატიული წარმომადგენლობის პრინციპი წინააღმდეგ სათათბირო კონფერენციებისა და მათ გადაწყვეტილებათა გარშემო ორგანიზაციებში კენჭისყრისა, ე. ი. პლებისციტის პრინციპისა). 3) პარტიის ცენტრალური დაწესებულების (ან

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 8, გვ. 647 — 659. რედ.

მის ცენტრალურ დაწესებულებათა) არჩევნები უნდა იყოს პირდაპირი და ხდებოდეს ყრილობაზე. არჩევნები ყრილობის გარეშე, ორსაფეხურიანი არჩევნები და სხვა, დაუშვებელია. 4) მთელი პარტიული ლიტერატურა, როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური, უსათუოდ უნდა ემორჩილებოდეს როგორც პარტიულ ყრილობას, ისე პარტიის სათანადო ცენტრალურ ან ადგილობრივ ორგანიზაციას. პარტიასთან ორგანიზაციულად დაუკავშირებელი პარტიული ლიტერატურის არსებობა დაუშვებელია. 5) პარტიის წევრობის ცნება სავსებით ზუსტად უნდა იქნას განსაზღვრული. 6) ასეთივე სიზუსტით უნდა იქნას განსაზღვრული პარტიის წესდებაში ყოველი პარტიული უმცირესობის უფლებები.

ასეთია, ჩვენი აზრით, ის უსათუოდ სავალდებულო ორგანიზაციული საფუძვლები, რომელთა აუღიარებლად შეერთება შეუძლებელია. ჩვენთვის სასურველი იქნებოდა ამ საკითხზე ამხ. «მუშის — ერთი მრავალთაგანის» და საერთოდ შეერთების ყველა მომხრის აზრის მოსმენა.

მერე, პერიფერიებისადმი კომიტეტების დამოკიდებულების საკითხი? არჩევითობის პრინციპის საკითხი?—შეგვეკითხებიან. ამაზე ჩვენ ვუპასუხებთ, რომ ამ საკითხში ძირითადი ორგანიზაციული საფუძვლების დანახვა შეუძლებელია, რაკი წამოყენებული არაა არჩევითობის პრინციპის უსათუოდ გატარება. ეს პრინციპი კი მენშევიკებს არ წამოუყენებიათ. პოლიტიკური თავისუფლების დროს არჩევითობის პრინციპი აუცილებელი იქნება, ახლა კი «კონფერენციის» წესდებაც არ აწესებს მას კომიტეტებისათვის. პერიფერიის უფლებათა და რწმუნებათა ესა თუ ის განსაზღვრა პრინციპის საკითხი არ არის (რასაკვირველია, თუ საქმით განვახორციელებთ იმას, რაზედაც ვლაპარაკობთ, თუ დემაგოგიას არ მივმართავთ და მარტო «ლამაზ სიტყვებს» არ დავჯერდებით). რსდმპ მესამე ყრილობა შეეცადა ზუსტად განესაზღვრა კომიტეტისა და პერიფერიის ცნებები, განესაზღვრა მათ შორის არსებული ურთიერთობა. გარკვეულ ცვლილებათა, დამატებათა და შემცი-

რებათა ყოველგვარ წინადადებას ყოველი ბოლშევიკი სრული სიდინჯით გაარჩევდა. ჩვენს წრეში, რამდენადაც ვიცი, ამ საკითხში ამა თუ იმ მუხლის მიმართ «შეურიგებელნი» არ მოიპოვებიან, და ამას III ყრილობის ოქმებიც დაადასტურებენ.

შემდგომი და, თითქმის, არა ნაკლებ ძნელი საკითხია: საზელდობრ როგორ შევაერთოთ ყველა პარალელური ორგანიზაცია? პოლიტიკური თავისუფლების არსებობისას ეს ადვილი იქნებოდა, რაკი გვექნებოდა პარტიული ორგანიზაციები ზუსტად ცნობილ წევრთა გარკვეული რაოდენობით. სულ სხვაა ფარული ორგანიზაციის არსებობისას. წევრობის განსაზღვრა მით უფრო ძნელია, რაც უფრო ზერელედ ესმით ზოგჯერ ეს წევრობა, რაც უფრო ხშირად მიმართავენ დემაგოგიას, პარტიაში შეუგნებელ პირთა ფიქციურ ჩარიცხვას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ სიძნელეთა დაძლევის საშუალებათა საკითხში გადამწყვეტი ხმა უნდა ეკუთვნოდეთ ადგილობრივ ამხანაგებს, რომლებიც კარგად იცნობენ საქმის ვითარებას. ორგანიზაციების წევრთა დროებით გამოკლება საპყრობილეში, გადასახლებაში და საზღვარგარეთ «მისავლინებლად» აგრეთვე შემაფერხებელი გარემოებაა, რომელიც აუცილებლად მხედველობაში უნდა მივიღოთ. შემდეგ, მცირე სიძნელეს არ წარმოადგენს, რასაკვირველია, ცენტრალურ დაწესებულებათა შეერთება. პარტიის ნამდვილი ერთიანობა შეუძლებელია, თუ არ იქნება ერთიანი ხელმძღვანელი ცენტრი, ერთიანი ცენტრალური ორგანო. აქ საკითხი ასე დგას: ან შეგნებული მუშები შესძლებენ (და არ შეუშინდებიან არავითარ გოდებას «მუშტის» შესახებ) აიძულონ ისინი, ვინც ნამდვილად პარტიის უმცირესობას წარმოადგენენ, რათა მათ თავიანთი შეხედულებანი გაატარონ, ისე რომ მუშაობაში დეზორგანიზაცია არ შეიტანონ, ადგილობრივ კომიტეტთა ორგანოებში, კონფერენციებზე, ყრილობებზე, კრებებზე და სხვ.. ანდა შეგნებული მუშა-სოციალ-დემოკრატები ვერ დასძლევენ ახლა ამ ამოცანას (საერთოდ რომ ვთქვათ, ისინი უსა-

თუოდ და აუცილებლად დასძლევენ მას: ამის თავდებია რუსეთის მთელი მუშათა მოძრაობა), — და მაშინ მეტოქე ცენტრებს, მეტოქე ორგანოებს შორის შესაძლებელი გახდება მხოლოდ შეთანხმება და არა შეერთება.

დასასრულ ერთხელ კიდევ გავიმეორებთ: ამხ. მუშა და მისი თანამოაზრენი უნდა ცდილობდნენ თავიანთი მიზნის განხორციელებას არა საჩივრებითა და ბრალდებებით და არა ახალი, მესამე პარტიებისა და ჯგუფების, წრეებისა და სხვ. შექმნით (მსგავსად იმისა, როგორიც ახლა პლეხანოვმა დააარსა თავისი ახალი პარტიული გამომცემლობის[58] სახით პარტიის გარეშე). მესამე პარტიის ან ახალი ჯგუფების შექმნა მხოლოდ გაართულებს და არევს საქმეს. უნდა შევუდგეთ შეერთების კონკრეტული პირობების შემუშავებას: როცა ამას ხელს მოჰკიდებს პარტიის ყველა ჯგუფი და ორგანიზაცია, ყველა შეგნებული მუშა, ისინი უსათუოდ და უცილობლად შესძლებენ გონიერული პირობების შემუშავებას, და არათუ შემუშავებას, არამედ პარტიის ზედა ფენებსაც აიძულებენ (ისე რომ არ შეუშინდებიან გოდებას მუშტის შესახებ) დაემორჩილონ ამ პირობებს.

ამხ. მუშის წერილის დამატებად ჩვენ ვბეჭდავთ რსდმპ ც. კ-ის ღია წერილს საორგანიზაციო კომისიის მიმართ, რაც პირველ საქმიან ნაბიჯს წარმოადგენს გათიშვის შესაძლებელი შეწყვეტის საკითხის გადაჭრისაკენ.

«პროლეტარის» რედაქცია

1905 წ. ივლისი.

პირველად დაიბეჭდა 1905 წელს რსდმპ ც. კ-ის მიერ გამოცემულ ბროშურაში

იბეჭდება ბროშურის ტექსტის მიხედვით

პროლეტარიატი იბრძვის, ბურჟუაზია ხელისუფლებისაკენ მიიპარება

ომის დროს დიპლომატიას გასაკეთებელი არაფერი აქვს. საომარ მოქმედებათა დამთავრების შემდეგ პირველ რიგში დიპლომატები წარმოდგებიან, აჯამებენ, ანგარიშებს ადგენენ, პატიოსან მაკლერობაში ვარჯიშობენ.

რაღაც ამდაგვარი რუსეთის რევოლუციაშიც ხდება. თვითმპყრობელობის ძალებთან ხალხის საომარ შეტაკებათა დროს ლიბერალური ბურჟუები თავიანთ სოროებში იმალებიან. ისინი წინააღმდეგი არიან ძალადობისა როგორც ზევიდან, ისე ქვევიდან, ისინი მტრები არიან როგორც ხელისუფლების თვითნებობისა, ისე ბრბოს ანარქიისა. ისინი სცენაზე გამოდიან საომარი მოქმედების დამთავრების შემდეგ, და მათს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში ნათლად ისახება ამ მოქმედებით გამოწვეული ცვლილება პოლიტიკური სიტუაციისა. ლიბერალური ბურჟუაზია 9 იანვრის შემდეგ «გავარდისფერდა»; ახლა იგი «გაწითლებას» იწყებს ოდესის ამბების შემდეგ, რომლებიც მომასწავებელი შეიქნა (კავკასიაში, პოლონეთში და სხვაგან მომხდარ ამბებთან დაკავშირებით) თვითმპყრობელობის წინააღმდეგ სახალხო აჯანყების დიდი ზრდისა რევოლუციის ნახევარი წლის მანძილზე.

ახლახან შემდგარი ლიბერალთა სამი ყრილობა ამ მხრივ მეტად საგულისხმოა. ყველაზე კონსერვატიული იყო მრეწველთა და ვაჭრების ყრილობა. მათ ყველაზე უფრო მეტად ენდობა თვითმპყრობელობა. პოლიცია მათ არ აწუხებს. ისი-

ნი აკრიტიკებენ ბულიგინის პროექტს, გმობენ მას, მოითხოვენ კონსტიტუციას, მაგრამ, რამდენადაც ჩვენი არასრული ცნობების მიხედვით შეგვიძლია განვსაჯოთ, ბულიგინის არჩევნების ბოიკოტის საკითხსაც კი არ აყენებენ. ყველაზე რადიკალურია — «კავშირთა კავშირის» [59] დელეგატთა ყრილობა. ის უკვე მიმდინარეობს ფარულად და არა რუსეთის ტერიტორიაზე, თუმცა პიტერის გვერდით, ფინეთში. როგორც ამბობენ, ყრილობის წევრები სიფრთხილის გამო მალავენ ქალაქებს და საზღვარზე პოლიციის ჩხრეკა არავითარ ცნობას არ უგდებს მას ხელში. ეს ყრილობა ხმების უმრავლესობით (მგონი, მნიშვნელოვანი უმცირესობის წინააღმდეგ) მომხრეა ბულიგინის არჩევნების სრული და გადამჭრელი ბოიკოტისა, ფართო აგიტაციისა საყოველთაო საარჩევნო უფლების განხორციელების მიზნით.

შუათანა ადგილი უჭირავს ერობათა და ქალაქთა მოღვაწეების უაღრესად «გავლენიან», საზეიმო და მყვირალა ყრილობას. ის თითქმის ლეგალურია: პოლიცია მხოლოდ მოსაჩვენებლად ადგენს ოქმს და მოითხოვს დაიშალონ, რასაც ღიმილით ხვდებიან. გაზეთებს, რომლებმაც დაიწყეს ცნობების გამოქვეყნება ამ ყრილობის შესახებ, სჯიან გამოცემის შეჩერებით («სლოვო» [60]) ან გაფრთხილებით («რუსსკიე ვედომოსტი»). ყრილობაზე, ბ-ნ პეტრე დოლგორუკოვის დასკვნითი ანგარიშის თანახმად, რომელიც «Times»-ში [61] გამოქვეყნდა, წარმოდგენილია 216 დელეგატი. ამ ყრილობის შესახებ უცხოეთის გაზეთების კორესპონდენტები მსოფლიოს ყველა მხარეში გზავნიან დეპეშებს. მთავარ პოლიტიკურ საკითხზე — გამოეცხადოს თუ არა ბოიკოტი ბულიგინის «კონსტიტუციას», ყრილობა სრულიად არაფერს ამბობს. ინგლისის გაზეთების ცნობებით, უმრავლესობა ბოიკოტის მომხრე იყო, ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტი — წინააღმდეგი. შეთანხმდნენ კომპრომისზე: ბულიგინის პროექტის გამოქვეყნებამდე საკითხი ღიად დარჩეს და მაშინ დეპეშით მოწვეულ იქნას ახალი ყრილობა. რასაკვირველია, ყრილობა გადაჭრით

გმობს ბულიგინის პროექტს და იღებს კონსტიტუციის «ოსვობოჟდენიელურ» პროექტს (მონარქია და ორპალატიანი სისტემა), უარყოფს მეფისადმი მიმართვას და ადგენს «მიმართოს ხალხს».

ამ მიშართვის ტექსტი ჯერ ხელთ არა გვაქვს. უცხოეთის გაზეთების ცნობებით, იგი წარმოადგენს საერობო მოღვაწეთა ნოემბრის ყრილობის შემდეგ მომხდარი ამბების თავშეკავებულად შედგენილ ნარკვევს, იმ ფაქტების ჩამოთვლას, რომლებიც მოწმობენ მთავრობის მხრივ საქმის არაკეთილსინდისიერ გაჭიანურებას, მის დაპირებათა დარღვევას, საზოგადოებრივი აზრის მოთხოვნებისადმი ცინიკურ გულგრილობას. გარდა ხალხისადმი მიმართვისა თითქმის ერთხმად მიიღეს აგრეთვე რეზოლუცია მთავრობის თვითნებურ და უსამართლო მოქმედებათათვის წინააღმდეგობის გაწევის შესახებ. ეს რეზოლუცია აცხადებს, რომ, «ადმინისტრაციის თვითნებურ მოქმედებათა და მის მიერ საზოგადოების უფლებათა მუდმივი დარღვევის გამო, ყრილობა ყველას მოვალეობად თვლის დაიცვას ადამიანის ბუნებრივი უფლებები მშვიდობიანი საშუალებებით, ამ უფლებების დამრღვევ ხელისუფალთა მოქმედებათათვის წინააღმდეგობის გაწევის ჩათვლით, თუნდაც ასეთი მოქმედება ზუსტად ემყარებოდეს კანონს» (ციტატი მოგვყავს «Times»-ის მიხედვით).

ამრიგად, ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენმა ლიბერალურმა ბურჟუაზიამ მარცხნივ გადადგა ნაბიჯი. წინ მიიწევს რევოლუცია, მას უკან მისჩანჩალებს ბურჟუაზიული დემოკრატიაც. ჭეშმარიტი ხასიათი ამ დემოკრატიისა, როგორც ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი დემოკრატიისა, რომელიც შეძლებული კლასების ინტერესთა წარმომადგენელია და რომელიც თავისუფლების დაცვის საქმეში არათანამიმდევრობას და ანგარებას იჩენს, უფრო და უფრო ცხადი ხდება, მიუხედავად იმისა, რომ ბურჟუაზიული დემოკრატია «წითლდება» და ცდილობს ხანდახან «თითქმის რევოლუციური» ენით ილაპარაკოს.

მართლაცდა, რას ნიშნავს ბულიგინის კონსტიტუციის ბოიკოტის საკითხის გადაჭრის გადადება? ეს არის სურვილი ერთხანს კიდევ ევაჭრონ თვითმპყრობელობას. თავის თავისადმი რწმენის უქონლობა იმ უმრავლესობის მხრივ, რომელიც თითქოს ჩამოყალიბდა ბოიკოტის სასარგებლოდ. ჩუმი აღიარება იმისა, რომ მართალია ბატონი მემამულეები და ვაჭრები კონსტიტუციას მოითხოვენ, მაგრამ შეიძლება უფრო ნაკლებზეც შეთანხმდნენ. თუკი ლიბერალური ბურჟუების ყრილობაც კი ვერა წყვეტს ერთბაშად კავშირს თვითმპყრობელობასა და ბულიგინის კომედიასთან, მაშინ რაღას უნდა მოველოდეთ ყველა და ყოველგვარი ბურჟუის იმ ყრილობისაგან, რომელსაც ბულიგინის «სათათბირო» დაერქმევა და რომელიც არჩეული იქნება (თუკი მას ოდესმე აირჩევენ!) თვითმპყრობელი მთავრობის მხრივ ზეგავლენის ყოველგვარი ხერხის გამოყენებით?

თვითმპყრობელი მთავრობა ლიბერალების ამ აქტს სწორედ ამგვარად უყურებს და მას ბურჟუაზიული ჩარჩობის მხოლოდ ერთ-ერთ ეპიზოდად თვლის. ერთი მხრივ, თვითმპყრობელობა, როცა ლიბერალების უკმაყოფილებას ხედავს, ცოტათი «ადიდებს» თავის დაპირებებს: საზღვარგარეთის გაზეთების ცნობით, ბულიგინის პროექტში მთელი რიგი ახალი «ლიბერალური» ცვლილებები შეაქვთ. მეორე მხრივ, საერობო მოღვაწეთა უკმაყოფილებას თვითმპყრობელობა ახალი მუქარით უმასპინძლდება: დამახასიათებელია «ტაიმსის» კორესპონდენტის ცნობა, ბულიგინი და გორემიკინი წინადადებას იძლევიან ერობის «რადიკალიზმის» პასუხად გლეხები მიუსიონ «ბატონებს», გლეხებს კი მეფის სახელით შეჰპირდნენ მიწის მიმატებას და მოაწყონ «სახალხო» პლებისციტი (საერობო უფროსთა დახმარებით) წოდებრივი თუ უწოდებრივი არჩევნების შესახებაო. რასაკვირველია, ეს ცნობა მხოლოდ ჭორია, რომელსაც, ალბათ, განგებ ავრცელებენ. მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ მთავრობას არ ეშინია დემაგოგიის უაღრესად ველური, უხეში და მხეცური ფორმებისა, არ ეში-

ნია «გაველურებული მასებისა» და მოსახლეობის ნაძირალების აჯანყებისა, ხოლო ლიბერალებს კი ეშინიათ მოძალადეების, ძარცვა-გლეჯის, ყაჩაღობისა და თურქული მხეცობის გმირთა წინააღმდეგ სახალხო აჯანყებისა. მთავრობამ უკვე დიდი ხანია დაიწყო სისხლისღვრა გაუგონარი ოდენობითა და ფორმით. ლიბერალები კი უპასუხებენ — ჩვენ გვინდა თავიდან ავიშოროთ სისხლისღვრაო! განა ასეთი პასუხის შემდეგ ყოველ დაქირავებულ მკვლელს უფლება არა აქვს აბუჩად აიგდოს ისინი, როგორც ბურჟუაზიული ჩარჩები? განა ამის შემდეგ სასაცილო არ არის ხალხისადმი მიმართვის რეზოლუცია, რომელიც აღიარებს «მშვიდობიანი წინააღმდეგობის გაწევას» თვითნებობისა და ძალადობისათვის? მთავრობა მარცხნივ თუ მარჯვნივ იარაღს არიგებს და არავის მოსყიდვას არ ერიდება «ურიების», «დემოკრატების», სომხების, პოლონელებისა და სხვათა დასარბევად და ამოსაჟლეტად. ჩვენს «დემოკრატებს» კი «რევოლუციურ» ნაბიჯად მიაჩნიათ აგიტაცია «მშვიდობიანი წინააღმდეგობის» სასარგებლოდ!

ეს-არის ახლა მიღებულ «ოსვობოჟდენიეს» 73-ე ნომერში ბ-ნი სტრუვე გულისწყრომას გამოთქვამს ბ-ნ სუვორინის[62] წინააღმდეგ, რომელიც ბ-ნ ივანე პეტრუნკევიჩს წასახალისებლად მხარზე ხელს უთათუნებს და წინადადებას იძლევა ასეთი ლიბერალები სამინისტროებსა და დეპარტამენტებში მოაწყონ და მით დაამშვიდონ ისინი. ბ-ნი სტრუვე აღშფოთებულია, რადგან მას სურს სწორედ ბ-ნი პეტრუნკევიჩი და მისი ერობელი თანამოაზრენი («რომლებიც პროგრამით» — რა პროგრამით? სად?—«არიან შებოჭილი ისტორიისა და ერის წინაშე») კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის მომავალ სამინისტროში ჰყავდეს. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ბატონთ პეტრუნკევიჩების საქციელი როგორც მეფის მიერ მათი მიღების დროს, ისე საერობო ყრილობაზე 6 (19) ივლისს თვით სუვორინებსაც კი სრულ უფლებას აძლევს ზიზღით მოიხსენიონ და აბუჩად აიგდონ ასეთი «დემოკრატები». ბ-ნი სტრუ-

ვე წერს: «ყოველი გულწრფელი და მოაზროვნე ლიბერალი რუსეთში რევოლუციას მოითხოვს». ჩვენ კი ვიტყვით, რომ თუ ეს «რევოლუციის მოთხოვნა» 1905 წლის ივლისში გამოიხატება რეზოლუციის მიღებით წინააღმდეგობის მშვიდობიან საშუალებათა შესახებ, მაშინ სუვორინებს სრული უფლება აქვთ ასეთ «მოთხოვნას» და ასეთ «რევოლუციონერებს» ზიზღითა და დაცინვით მოეპყრონ.

ბ-ნი სტრუვე, ალბათ, გვიპასუხებს, რომ მოვლენები, რომლებიც დღემდე ჩვენს ლიბერალებს მარცხნივ სწევდნენ, დროთა განმავლობაში მათ კიდევ უფრო შორს წასწევენ. იმავე № 73-ში ის ამბობს: «პოლიტიკურ ბრძოლაში არმიის ფიზიკური ჩარევის პირობები ნამდვილად მხოლოდ მაშინ იქნება მოცემული, როცა თვითმპყრობელი მონარქია შეეჯახება სახალხო წარმომადგენლობაში ორგანიზებულ ერს. მაშინ არმიის წინაშე დაისმება არჩევანი: მთავრობა თუ ერი, და არჩევანიც არ იქნება ძნელი და შემცდარი».

ეს მშვიდობიანი იდილია ძლიერ წააგავს რევოლუციის გადადებას ბერძნულ კალენდებამდე [63]. მერე და ვინ რაზმავს ერს სახალხო წარმომადგენლობაში? თვითმპყრობელობა? შაგრამ ის ხომ თანახმაა მოაწყოს მხოლოდ ბულიგინის საათბირო, რომლის წინააღმდეგ თვით თქვენ პროტესტს აცხადებთ, რადგან არ სცნობთ მას სახალხო წარმომადგენლობად! ან იქნებ «ერი» თვითონ მოაწყობს სახალხო წარმომადგენლობას? თუ ეს ასეა, მაშინ ლიბერალებს რატომ გაგონებაც არ უნდათ დროებითს რევოლუციურ მთავრობაზე, რომელსაც შეუძლია მხოლოდ რევოლუციურ არმიას დაეყრდნოს? რატომაა, რომ, როცა ისინი თავიანთ ყრილობაზე ხალხის სახელით გამოდიან, არ დგამენ ისეთ ნაბიჯს, რომელიც მოწმობდეს ერის დარაზმვას სახალხო წარმომადგენლობაში? თუ თქვენ, ბატონებო, მართლაც ხალხის წარმომადგენლები ხართ და არა ბურჟუაზიისა, რომელიც რევოლუციაში ხალხის ინტერესებს ღალატობს, რატომ არ მიმართავთ არმიას? რატომ არ აცხადებთ, რომ კავშირს სწყვეტთ თვით-

მპყრობელ მონარქიასთან? რატომ არიდებთ თვალს რევოლუციურ არმიასა და მეფის არმიას შორის გადამწყვეტი ბრძოლის აუცილებლობას?

იმიტომ, რომ თქვენ გეშინიათ რევოლუციური ხალხისა და როცა მას ფრაზებით მიმართავთ, საქმით ანგარიშს უწევთ და ევაჭრებით თვითმპყრობელობას. ამის ზედმეტი დამამტკიცებელია: საერობო ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის, ბ-ნ გოლოვინის, მოლაპარაკება მოსკოვის გენერალ-გუბერნატორ კოზლოვთან. ბ-მა გოლოვინმა დაარწმუნა კოზლოვი, რომ ხმები, თითქოს სურდეთ ამ ყრილობის დამფუძნებელ კრებად გადაქცევა სისულელეაო. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ორგანიზებული ბურჟუაზიული დემოკრატიის წარმომადგენელმა გარანტია მისცა თვითმპყრობელობის წარმომადგენელს, რომ ბურჟუაზიული დემოკრატია თვითმპყრობელობასთან კავშირს არა წყვეტს! მხოლოდ პოლიტიკურ ბალღებს შეიძლება არ ესმოდეთ, რომ დაპირება — არ გამოაცხადონ ყრილობა დამფუძნებელ კრებად უდრის დაპირებას, რომ არ მიიღებენ ნამდვილად რევოლუციურ ზომებს, რადგან კოზლოვს, რასაკვირველია, ეშინოდა არა დამფუძნებელი კრების გამომხატველი სიტყვებისა, არამედ ს ა ქ მ ე ე ბ ი ს ა, რომელთაც შეეძლოთ კონფლიქტის გამწვავება და ცარიზმთან ხალხისა და არმიის გადამწყვეტი ბრძოლის გამოწვევა! განა ეს პოლიტიკური თვალთმაქცობა არაა, როცა სიტყვიერად რევოლუციონერებს უწოდებთ თავს, ლაპარაკობთ ხალხისადმი მიმართვაზე, იმაზე, რომ არავითარ იმედს აღარ ამყარებთ მეფეზე, ხოლო საქმით ამშვიდებთ მეფის მსახურთ თქვენი ზრახვების შესახებ?

ოჰ, ეს მაღალფარდოვანი ლიბერალური სიტყვები! რამდენი ასეთი სიტყვა წარმოთქვა ყრილობაზე «კონსტიტუციურ-დემოკრატიული» პარტიის ბელადმა ბ-მა პეტრუნკევიჩმა! მაშ ვნახოთ, როგორი განცხადებით «იბოჭავს ის თავს ისტორიისა და ერის წინაშე». ციტატები მოგვყავს «ტაიმსის» კორესპონდენციების მიხედვით.

ბ-ნი დე-რობერტი მომხრეა იმისა, რომ პეტიციით მიმართონ მეფეს. საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამენ პეტრუნკევიჩი, ნოვოსილცევი, შახოვსკოი, როდიჩევი. კენჭისყრის შედეგად აღმოჩნდა, რომ პეტიციას ხმა მისცა მხოლოდ ექვსმა. ბ-ნ პეტრუნკევიჩის სიტყვიდან: «როცა 6 (19) ივნისს პეტერჰოფში მივემგზავრებოდით, კიდევ გვქონდა იმედი, რომ მეფე გაიგებდა მდგომარეობის მრისხანე საფრთხეს და რაიმე ზომებს მიიღებდა მის თავიდან ასაცილებლად. ახლა ამის ყოველგვარი იმედი დაკარგულია. დარჩა მხოლოდ ერთი გამოსაცალი. აქამდე ჩვენ იმედი გვქონდა ზევიდან რეფორმისა, ამიერიდან ჩვენი ერთადერთი იმედი ხალხია. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.) ხალხს ჩვენ სიმართლე უნდა ვუთხრათ უბრალო და მკაფიო სიტყვებით. მთავრობის უნიჭობამ და უძლურებამ გამოიწვია რევოლუცია. ეს ისეთი ფაქტია, რომელიც ყველამ უნდა აღვიაროთ. ჩვენი მოვალეობაა — მთელი ძალღონე გამოვიყენოთ სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად. ბევრმა ჩვენგანმა მრავალი წელი შესწირა სამშობლოს სამსახურს. ახლა ჩვენ გაბედულად უნდა წავიდეთ ხალხთან და არა მეფესთან». მეორე დღეს ბ-ნი პეტრუნკევიჩი განაგრძობდა: «ჩვენ უნდა გავარღვიოთ ჩვენი მოღვაწეობის ვიწრო ფარგლები და წავიდეთ გლეხთან. აქამდე ჩვენ იმედი გვქონდა რეფორმებისა ზევიდან, მაგრამ, ჩვენს მოლოდინში, დრომ თავისი გაიტანა. რევოლუციამ, რომელსაც მთავრობა ხელს უწყობდა, წინ გაგვისწრო. სიტყვამ რევოლუციამ ისე დაიფრთხო გუშინ ორი ჩვენი წევრი, რომ მათ ყრილობა დასტოვეს. მაგრამ ჩვენ მამაცურად უნდა გავუსწოროთ თვალი სიმართლეს. ჩვენ არ შეგვიძლია გულზე ხელდაკრეფილი ველოდოთ რა მოხდება. ჩვენ გვიპასუხებდნენ, ერობათა და ქალაქთა თვითმმართველობის მიმართვა ხალხისადმი არეულობის გამომწვევი აგიტაცია იქნებაო. მაგრამ განა სოფლად მშვიდობა მეფობს? არა, არეულობა უკვე არის და ისიც მისი უარესი სახით. ჩვენ ვერ შევაკავებთ ქარიშხალს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში უნდა ვეცადოთ თავიდან ავიცილოთ მე-

ტისმეტად დიდი შერყევა. ჩვენ უნდა ვუთხრათ ხალხს, რომ უსარგებლო საქმეა ფაბრიკებისა და ეკონომიების განადგურება. ამ განადგურებას ჩვენ არ უნდა შევხედოთ როგორც უბრალო ვანდალიზმს. ეს არის ბრმა, უვიცი გლეხური ხერხი ბოროტების აღმოფხვრისა, რომელსაც ისინი ინსტინქტურად გრძნობენ, მაგრამ რომლის გაგება არ ძალუძთ. დაე ხელისუფალნი მათ მათრახებით გაუმასპინძლდენ. ჩვენი მოვალეობაა მაინც ხალხთან წავიდეთ. ჩვენ ეს ადრევე უნდა გვექნა. ეროობა 40 წელიწადია არსებობს, მაგრამ მას მჭიდრო და ინტიმური კავშირი ვერ დაუმყარებია გლეხებთან. მაშ ნუ ვკარგავთ დროს და ეს შეცდომა გამოვასწოროთ. ჩვენ უნდა ვუთხრათ გლეხს, რომ მასთან ვართ».

ძალიან კარგი, ბ-ნო პეტრუნკევიჩ! ჩვენ გლეხთან, ხალხთან ვართ, ჩვენ აღვიარებთ რევოლუციას როგორც ფაქტს, ჩვენ ყოველივე იმედი დავკარგეთ მეფისა... კეთილი და პატიოსანი, ბატონებო! მხოლოდ... მხოლოდ ეს რა გამოდის? არა მეფესთან, არამედ ხალხთან, და ამიტომ გენერალ-გუბერნატორ კოზლოვს ჰპირდებით, რომ ყრილობა არ იმოქმედებს, როგორც დამფუძნებელი კრება, ე. ი. როგორც ნამდვილი სახალხო, და ჭეშმარიტად სახალხო, წარმომადგენლობა? რევოლუცია აღიარო და ამიტომ წინააღმდეგობის მშვიდობიანი საშუალებებით გასცე პასუხი მთავრობის მსახურთა მხეცობას, მკვლელობასა და ყაჩაღობას? წახვიდე გლეხთან, გვერდში ამოუდგე მას, და ამიტომ დაკმაყოფილდე უაღრესად გაურკვეველი პროგრამით, რომელიც ჰპირდება გლეხს მხოლოდ მიწის გამოყიდვას მემამულეთა თანხმობით! იყო არა მეფესთან, არამედ ხალხთან, და ამიტომ მიიღო კონსტიტუციის პროექტი, რომელიც უზრუნველყოფს, ჯერ-ერთი, მონარქიას, უნარჩუნებს მეფეს ძალაუფლებას ჯარისა და მოხელეების მიმართ, ხოლო, მეორე, წინასწარ უზრუნველყოფს მემამულეებისა და მსხვილი

ბურჟუაზიის პოლიტიკურ ბატონობას ზედა პალატის შემწეობით *.

ლიბერალური ბურჟუაზია ხალხთან მიდის. ეს მართალია. იგი იძულებულია ხალხთან წავიდეს, რადგან უამისოდ ის უძლურია თვითმპყრობელობას ებრძოლოს. მაგრამ მას ეშინია რევოლუციური ხალხისა და მასთან მიდის არა როგორც მისი ინტერესების წარმომადგენელი, არა როგორც ახალი მგზნებარე მებრძოლი ამხანაგი, არამედ როგორც ჩარჩი, დალალი, რომელიც გარბი-გამორბის ერთი მებრძოლი მხარიდან მეორისაკენ. დღეს მეფესთანაა და «ხალხის» სახელით გამოსთხოვს მას მონარქიულ კონსტიტუციას და ამავე დროს ლაჩრულად ზურგს აქცევს ხალხს, «არეულობას», «ჯანყს», რევოლუციას. ხვალ იგი თავისი ყრილობიდან მეფეს ემუქრება, ემუქრება მონარქიული კონსტიტუციით და მშვიდობიანი წინააღმდეგობით ხიშტის წინააღმდეგ. და თქვენ კიდევ გიკვირთ, ბატონებო, რომ მეფის მსახურებმა განჭვრიტეს თქვენი ლაჩრული და ორპირი სულმდაბლობა? თქვენ გეშინიათ უმეფოდ დარჩენისა. მეფეს კი არ აშინებს უთქვენოდ დარჩენა. თქვენ გეშინიათ გადამწყვეტი ბრძოლისა. მეფეს არ ეშინია მისი, მას ბრძოლა სურს, თვითონ იწვევს და იწყებს ბრძოლას, მას სურს ძალა სცადოს, სანამ დასთმობდეს. სრულიად ბუნებრივია, რომ მეფეს თქვენ ეზიზღებით. სრულიად ბუნებრივია, რომ ამ ზიზღს თქვენდამი გამოხატავენ მეფის ლაქიები, ბატონი სუვორინები იმით, რომ თქვენს პეტრუნკევიჩს წასახალისებლად მხარზე ხელს უთათუნებენ. თქვენ დაიმსახურეთ ეს ზიზღი, რადგან თქვენ ხალხთან ერთად კი არ იბრძვით, არამედ რევოლუციური ხალხის ზურგს უკან მხოლოდ ხელისუფლებისაკენ მიიპარებით.

ბურჟუაზიის უცხოელი კორესპონდენტები და პუბლიცისტები ხანდახან საკმაოდ მარჯვედ სწვდებიან ხოლმე საქმის

* იხ. ფურცელი «სამი კონსტიტუცია», გამოცემული ჩვენი გაზეთის მიერ (თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 8, 662 — 664. რ ე დ.).

დედაარსს, თუმცა მეტად თავისებურად გამოხატავენ მას. ბ-ნი გასტონ ლერუ «Matin»-ში[64] შესდგომია ერობის მოღვაწეთა შეხედულებების გადმოცემას. «უწესოება ზევით, უწესოება ქვევით, მარტო ჩვენა ვართ წესიერების წარმომადგენლებიო». ერობის მოღვაწეთა შეხედულება მართლაც ასეთია. ხოლო ჩვენს პირდაპირს ენაზე თუ გადმოვიტანთ, ეს ნიშნავს: ზევით და ქვევით მზად არიან საბრძოლველად, ჩვენ კი პატიოსანი მაკლერები ვართ, ჩვენ ხელისუფლებისაკენ მივიპარებით. ჩვენ ველოდებით, ჩვენშიც ხომ არ დატრიალდება 18 მარტის ამბები, ხომ არ დაამარცხებს ხალხი ერთხელ მაინც ქუჩის ბრძოლაში მთავრობას, ხომ არ მოგვეცემა შესაძლებლობა, გერმანიის ლიბერალური ბურჟუაზიის მსგავსად, ხელთ ვიგდოთ ძალაუფლება ხალხის პირველი გამარჯვების შემდეგ. მაშინ კი, როცა ძალა გავხდებით თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, პირს ვიბრუნებთ რევოლუციური ხალხის წინააღმდეგ და შევუთანხმდებით მეფეს ხალხის საწინააღმდეგოდ. კონსტიტუციის ჩვენი პროექტი — ასეთი შეთანხმების მზა პროგრამაა.

ანგარიში არცთუ სულელურია. რევოლუციურ ხალხზე ზოგჯერ გვიხდება იგივე ვთქვათ, რასაც რომაელები ჰანიბალზე ამბობდნენ: შენ გეხერხება გამარჯვება, მაგრამ გამარჯვებით სარგებლობა არ გეხერხებაო! აჯანყების გამარჯვება ჯერ კიდევ ვერ იქნება ხალხის გამარჯვება, თუ მან არ გამოიწვია რევოლუციური გადატრიალება, თვითმპყრობელობის სრული დამხობა, არათანამიმდევარი და ანგარებიანი ბურჟუაზიის ჩამოშორება, პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა.

საფრანგეთის კონსერვატიული ბურჟუაზიის ორგანო «Temps»* პირდაპირ ურჩევს ერობის მოღვაწეთ მალე მოუღონ ბოლო კონფლიქტს და მ ო უ რ ი გ დ ნ ე ნ მეფეს (მოწინავე სტატია 24 ივლისისა ახ. სტ.). რეფორმები შეუძლე-

* — «დროება». რ ე დ.

ბელია, — ამბობს ის, — მორალური და მატერიალური ძალის შეუერთებლადაო. მატერიალური ძალა მოეპოვება მხოლოდ მთავრობას. მორალური — ერობის მოღვაწეთაო.

ბურჟუაზიულ შეხედულებათა საუცხოო ფორმულირებაა — და თან ერობის მოღვაწეთა პოლიტიკის ჩვენი ანალიზის საუცხოო დადასტურებაც. მხოლოდ ბურჟუას გამორჩა წვრილმანი, ხალხი, ათეული მილიონობით მუშა და გლეხი, რომლებიც თავიანთი შრომით ქმნიან ბურჟუაზიის მთელ სიმდიდრეს, რომლებიც იბრძვიან თავისუფლებისათვის, რაც მათთვის ისევე აუცილებელია, როგორც სინათლე და ჰაერი. ბურჟუას უფლება ჰქონდა დაევიწყნა ისინი, რამდენადაც მათ ჯერ კიდევ არ დაუმტკიცებიათ თავიანთი «მატერიალური ძალა» მთავრობის დამარცხებით. არც ერთი დიდი საკითხი ისტორიაში არ გადაჭრილა სხვა გზით, თუ არა «მატერიალური ძალით», და მეფის მთავრობაც, ვიმეორებთ, თვითონ იწყებს ბრძოლას, იწვევს ხალხს თავისი ძალის გამოსაცდელად.

საფრანგეთის ბურჟუაზია რუსეთის ბურჟუაზიას ურჩევს სასწრაფოდ მოურიგდეს მეფეს. მას ეშინია, შორიდან ეშინია გადამწყვეტი ბრძოლისა. ჯერ კიდევ არ ვიცით, ხალხის გამარჯვების შემთხვევაში მიუშვებს თუ არა ხალხი ხელისუფლებასთან ბატონ პეტრუნკევიჩებს, რომლებიც მისკენ მიიპარებიან! წინასწარ იმის გათვალისწინება, თუ რამდენად გადამწყვეტი იქნება გამარჯვება და როგორი იქნება მისი შედეგები, შეუძლებელია, — ამით სავსებით აიხსნება ბურჟუაზიის გაუბედაობა.

პროლეტარიატი მთელ რუსეთში ემზადება ამ გადამწყვეტი ბრძოლისათვის. ის ძალებს იკრებს, სწავლობს და წელში მაგრდება ყოველი ახალი შეტაკებით, რომელიც დღემდე მარცხით თავდებოდა, მაგრამ რომელიც მუდამ ახალ და უფრო ძლიერ იერიშს იწვევდა. პროლეტარიატი გამარჯვებისაკენ მიდის. ის ამხედრებს გლეხობას. გლეხობაზე დაყრდნობით ის გააქარწყლებს ბურჟუაზიის მერყეობას და გამცემლობას, ჩამოიშორებს მის პრეტენდენტებს და ძალით გას-

რესს თვითმპყრობელობას, ძირფესვიანად აღმოფხვრის რუსეთის ცხოვრებიდან წყეული ბატონყმობის ყოველგვარ ნაშთს. და მაშინ ჩვენ მოვუპოვებთ ხალხს არა მონარქიულ კონსტიტუციას, რომელიც უზრუნველყოფს ბურჟუაზიის პოლიტიკურ პრივილეგიებს. ჩვენ მოვუპოვებთ რუსეთს რესპუბლიკას და სრულ თავისუფლებას ყველა დაჩაგრულ ეროვნებას, სრულ თავისუფლებას გლეხებსა და მუშებს. მაშინ ჩვენ ვისარგებლებთ პროლეტარიატის მთელი რევოლუციური ენერგიით უაღრესად ფართო და გაბედული ბრძოლის გასაჩაღებლად სოციალიზმისათვის, ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან ყველა მშრომელის სრული განთავისუფლებისათვის.

«პროლეტარი» № 10,
1905 წ. 2 აგვისტო (20 ივლისი)

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

ბულიგინის სათათბიროს ბოიკოტი და აჯანყება

რუსეთის თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობა ასეთია. შესაძლებელია მოკლე ხანში მოწვეულ იქნას ბულიგინის სათათბირო, ე. ი. მემამულეთა და მსხვილი ბურჟუაზიის იმ წარმომადგენელთა სათათბირო კრება, რომლებიც არჩეული არიან თვითმპყრობელური მთავრობის მსახურთა მეთვალყურეობით და დახმარებით ისეთი ტლანქ-ცენზიანი, წოდებრივი და არაპირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, რომელიც სახალხო წარმომადგენლობის იდეის პირდაპირ დაცინვას წარმოადგენს. როგორ მოვიქცეთ ამ სათათბიროს მიმართ? ლიბერალური დემოკრატია ორგვარ პასუხს იძლევა ამ კითხვაზე: მისი მემარცხენე ფრთა, «კავშირთა კავშირის» სახით, ე. ი. უმთავრესად ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენელთა სახით, ამ სათათბიროს ბოიკოტის მომხრეა, მომხრეა იმისა, რომ არჩევნებში მონაწილეობა არ მივიღოთ და მომენტი გამოვიყენოთ გაძლიერებული აგიტაციისათვის დემოკრატიული კონსტიტუციის სასარგებლოდ საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე. მისი მემარჯვენე ფრთა, ერობათა და ქალაქთა მოღვაწეების ივლისის ყრილობის სახით, ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ამ ყრილობის განსაზღვრული ნაწილის სახით, — ბოიკოტის წინააღმდეგია, მომხრეა არჩევნებში მონაწილეობისა, სათათბიროში თავისი კანდიდატების რაც შეიძლება მეტი რიცხვის გაყვანისა. მართალია, ყრილობას ამ საკითხზე რაიმე გადაწყვეტი-

ლება ჯერ არ გამოუტანია და საკითხი შემდგომი ყრილობისათვის გადადო, რომელიც მოწვეულ უნდა იქნას დეპეშით როგორც კი ბულიგინის «კონსტიტუცია» გამოქვეყნდება. ჰაგრამ ლიბერალური დემოკრატიის მემარჯვენე ფრთის აზრი საკმაოდ გამოირკვა.

რევოლუციური დემოკრატია, ე. ი., უმთავრესად, პროლეტარიატი და მისი შეგნებული გამომხატველი, სოციალ-დემოკრატია, უცილობლად, საერთოდ და მთლიანად, აჯანყების მომხრეა. ტაქტიკის ეს სხვაობა სწორად აქვს შემჩნეული ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიის ორგანოს, «ოსვობოჟდენიეს», რომლის უკანასკნელ (74) ნომერში, ერთი მხრივ, გადაჭრით დაგმობილია «შეიარაღებული აჯანყების აშკარა ქადაგება», როგორც «უგუნური და დანაშაულებრივი», ხოლო მეორე მხრივ, გაკრიტიკებულია ბოიკოტის იდეა, როგორც «პრაქტიკულად უნაყოფო», და გამოთქმულია რწმენა, რომ არათუ კონსტიტუციურ-«დემოკრატიული» (იგულისხმე: მონარქისტული) პარტიის საერობო ფრაქცია, არამედ კავშირთა კავშირებიც «ჩააბარებენ სახელმწიფო გამოცდას», ე. ი. ხელს აიღებენ ბოიკოტის იდეაზე.

იბადება კითხვა, როგორ უნდა მოეკიდოს შეგნებული პროლეტარიატის პარტია ბოიკოტის იდეას და პირველ რიგში როგორი ტაქტიკური ლოზუნგი უნდა წამოაყენოს მან ხალხის მასების წინაშე? ამ კითხვაზე რომ პასუხი გავცეთ, უწინარეს ყოვლისა უნდა გავიხსენოთ, რაში მდგომარეობს ბულიგინის «კონსტიტუციის» დედაარსი და ძირითადი მნიშვნელობა. ეს არის ცარიზმის მორიგება მემამულეებთან და მსხვილ ბურჟუებთან, რომლებიც უწყინარი და თვითმპყრობელობისთვის სრულიად უვნებელი ვითომ-კონსტიტუციური ნასუფრალის საშუალებით თანდათან უნდა ჩამოშორდნენ რევოლუციას, ე. ი. მებრძოლ ხალხს, და შეურიგდნენ თვითმპყრობელობას. რადგან მთელი ჩვენი კონსტიტუციურ-«დემოკრატიული» პარტია მოწადინებულია შეინარჩუნოს მონარქია და ზედა პალატა (ე. ი. წინასწარ უზრუნველყოს ქვეყნის სა-

ხელმწიფო წყობილებაში «ზედაფენის ათი ათასი» მდიდრის პოლიტიკური პრივილეგიები და პოლიტიკური ბატონობა),— ასეთი მორიგების შესაძლებლობა ეჭვს გარეშეა. უფრო მეტიც: ამა თუ იმ ფორმით, ადრე თუ გვიან, ასეთი მორიგება, ყოველ შემთხვევაში ბურჟუაზიის ერთ ნაწილთან, აუცილებელია, რადგან ბურჟუაზიას ამას უკარნახებს მისი კლასობრივი მდგომარეობა კაპიტალისტურ წყობილებაში. საკითხი მხოლოდ ისაა, როდის და როგორ მოხდება ეს მორიგება, და პროლეტარიატის პარტიის მთელი ამოცანაც ის არის, რომ შეძლებისდაგვარად შორს გადასწიოს ამ მორიგების მომენტი, შეძლებისდაგვარად გათიშოს ბურჟუაზია, რაც შეიძლება მეტად გამოიყენოს რევოლუციისთვის ბურჟუაზიის დროებითი მიმართვები ხალხისადმი, ამ ხნის განმავლობაში მოამზადოს რევოლუციური ხალხის ძალები (პროლეტარიატი და გლეხობა) თვითმპყრობელობის ძალით დამხობისათვის და მოღალატე ბურჟუაზიის ჩამოშორების, ნეიტრალიზაციისათვის.

მართლაცდა, ბურჟუაზიის პოლიტიკური მდგომარეობის დედაარსი, როგორც არა ერთხელ აღგვინიშნავს, ის არის, რომ ის მეფესა და ხალხს შორის დგას და სურს პატიოსანი მაკლერის როლი შეასრულოს, მებრძოლი ხალხის ზურგს უკან მიპარვით დაეპატრონოს ძალაუფლებას. ამიტომაც ბურჟუაზია დღეს მეფეს მიმართავს, ხვალ ხალხს, პირველს — პოლიტიკური გეშეფტის «სერიოზული, საქმიანი» წინადადებებით, მეორეს — ცარიელი ფრაზებით თავისუფლების შესახებ (ბ-ნ ი. პეტრუნკევიჩის სიტყვები ივლისის ყრილობაზე). ჩვენთვის ხელსაყრელია, რომ ბურჟუაზია ხალხს მიმართავდეს, რადგან ასეთი მიმართვით იგი იძლევა მასალას ისეთი ჩამორჩენილი და ისეთი ფართო მასების პოლიტიკური გამოფხიზლებისა და პოლიტიკური განათლებისათვის, რომელთა სოციალ-დემოკრატიული აგიტაციით მოცვა ჯერჯერობით წმინდაწყლის უტოპია იქნებოდა. დაე ბურჟუაზიამ შეანჯღრიოს ყველაზე ჩამორჩენილნი, დაე აქა-იქ მოხნას ნიადა-

გი, — ჩვენ დაუღალავად დავთესავთ ამ ნიადაგზე სოციალ-დემოკრატიულ თესლს. დასავლეთში ყველგან ბურჟუაზია თვითმპყრობელობასთან საბრძოლველად იძულებული იყო ხალხის პოლიტიკური თვითშეგნება გაეღვიძებინა და ამავე დროს ცდილობდა მუშათა კლასში ბურჟუაზიული თეორიების თესლი ჩაეყარა. ჩვენი საქმეა — ვისარგებლოთ ბურჟუაზიის დამანგრეველი მუშაობით თვითმპყრობელობის მიმართ და განუხრელად გავათვითცნობიეროთ მუშათა კლასი მისი სოციალისტური ამოცანების, მისი ინტერესების ბურჟუაზიის ინტერესებთან მტრული შეურიგებლობის შესახებ.

აქედან ცხადია, რომ ამჟამად ჩვენი ტაქტიკა, ჯერ-ერთი, ბოიკოტის იდეის მხარდაჭერა უნდა იყოს. თვით ამ ბოიკოტის საკითხი ბურჟუაზიული დემოკრატიის შინაური საკითხია. მუშათა კლასი აქ პირდაპირ დაინტერესებული არ არის, მაგრამ ის უსათუოდ დაინტერესებულია ბურჟუაზიული დემოკრატიის იმ ნაწილის მხარდაჭერით, რომელიც უფრო რევოლუციურია, ის დაინტერესებულია პოლიტიკური აგიტაციის გაფართოებითა და მისი გამწვავებით. სათათბიროს ბოიკოტი — ეს არის ხალხისადმი ბურჟუაზიის გაძლიერებული მიმართვა, მისი აგიტაციის გაფართოება, ჩვენი აგიტაციის საბაბთა გადიდება, პოლიტიკური კრიზისის, ე. ი. რევოლუციური მოძრაობის წყაროს გაღრმავება. ლიბერალური ბურჟუაზიის მონაწილეობა სათათბიროში — ეს არის მისი აგიტაციის შესუსტება ამჟამად, მისი მიმართვა უფრო მეფისადმი, ვიდრე ხალხისადმი, კონტრრევოლუციური გარიგების მოახლოება მეფესა და ბურჟუაზიას შორის.

უდავოა, ბულიგინის სათათბირო, კიდევაც რომ არ «ჩაიშალოს» იგი, მომავალში თვითონ წარმოშობს აუცილებელ პოლიტიკურ კონფლიქტებს, რომლებითაც პროლეტარიატმა უსათუოდ უნდა ისარგებლოს, მაგრამ ეს მომავლის საკითხია. სასაცილო იქნება «აღთქმა დავდოთ», რომ ამ ბურჟუაზიულ-მოხელეურ სათათბიროს არ გამოვიყენებთ აგიტაციისა და ბრძოლის მიზნით, მაგრამ ახლა საკითხი ამაში როდია. ახ-

ლა თვით ბურჟუაზიული დემოკრატიის მემარცხენე ფრთამ წამოაყენა ბოიკოტის გზით სათათბიროსთან პირდაპირი და უშუალო ბრძოლის საკითხი, და ჩვენც მთელი ძალღონით უნდა დავეხმაროთ ამ უფრო გადამწყვეტ შეტევას. ჩვენ სიტყვაში უნდა ვიჭერდეთ ბურჟუაზიულ დემოკრატებს, ოსვობოჟდენიელებს: რაც შეიძლება ფართოდ უნდა გავავრცელოთ მათი «პეტრუნკევიჩისებური» ფრაზები ხალხისადმი მიმართვის შესახებ, ვამხილოთ ისინი ხალხის წინაშე, ცხადვყოთ, რომ საქმით ამ ფრაზების პირველ და სულ მცირე შემოწმებას წარმოადგენს სწორედ საკითხი — გამოვუცხადოთ თუ არა ბოიკოტი სათათბიროს, ე. ი. მივმართოთ ხალხს პროტესტით, თუ მივიღოთ სათათბირო, ე. ი. უარი ვთქვათ პროტესტზე, ერთხელ კიდევ წავიდეთ მეფესთან, შევურიგდეთ ხალხის წარმომადგენლობის აბუჩად აგდებას.

შემდეგ, მეორე, მთელი ძალღონე უნდა მოვახმაროთ იმას, რომ ბოიკოტმა რეალური სარგებლობა მოიტანოს აგიტაციის გაფართოებისა და გაღრმავების მხრივ და არ დარჩეს არჩევნებისაგან უბრალო პასიურ ჩამოშორებად. თუ არ ვცდებით, ეს იდეა უკვე საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული რუსეთში მომუშავე ამხანაგებში, რომლებიც თავიანთ აზრს გამოხატავენ სიტყვებით: ა ქ ტ ი უ რ ი ბოიკოტი. წინააღმდეგ პასიური ჩამოშორებისა, აქტიური ბოიკოტი უნდა ნიშნავდეს აგიტაციის გაათკეცებას, კრებების მოწყობას ყველგან, საარჩევნო კრებების გამოყენებას თუნდაც ძალით შეჭრა მოგვიხდეს შიგ, დემონსტრაციების, პოლიტიკური გაფიცვების მოწყობას და სხვ. და ა. შ.. თავისთავად ცხადია, ასეთი საბაბით აგიტაციისა და ბრძოლისათვის განსაკუთრებით მიზანშეწონილია ჩვენი პარტიის მთელი რიგი გადაწყვეტილებით დაშვებული დროებითი შეთანხმებანი რევოლუციური ბურჟუაზიული დემოკრატიის ამა თუ იმ ჯგუფებთან. ამავე დროს ჩვენ, ერთი მხრივ, განუხრელად უნდა დავიცვათ პროლეტარიატის პარტიის კლასობრივი სახე და ერთი წუთითაც არ უნდა ავიღოთ ხელი ჩვენი ბურჟუაზიული მოკავშირეების სო-

ციალ-დემოკრატიულ კრიტიკაზე. მეორე მხრივ, ჩვენ, როგორც მოწინავე კლასის პარტია, ვერ შევასრულებდით ჩვენს მოვალეობას, თუ აგიტაციის დროს ვერ შევძლებდით დემოკრატიული რევოლუციის ახლანდელ მომენტში მოწინავე რევოლუციური ლოზუნგის წამოყენებას.

ეს ჩვენს მესამე უშუალო და უახლოეს პოლიტიკურ ამოცანას შეადგენს. «აქტიური ბოიკოტი», როგორც უკვე ვთქვით, ეს არის რევოლუციური ძალების აგიტაცია, მიზიდ-ვა, ორგანიზაცია გადიდებული მასშტაბით, გაორკეცებული ენერგიით, გასამკეცებული დაძაბვით. მაგრამ ასეთი მუშაობა წარმოუდგენელია ნათელი, ზუსტი და პირდაპირი ლოზუნგის უქონლად. ასეთი ლოზუნგი შეიძლება იყოს მხოლოდ შეიარაღებული აჯანყება. მთავრობის მიერ ტლანქად გაყალბებული «სახალხო» წარმომადგენლობის მოწვევა შესანიშნავ საბაბს იძლევა ნამდვილი სახალხო წარმომადგენლობისათვის აგიტაციის გასაწევად, უაღრესად ფართო მასებისათვის იმის განსამარტებლად, რომ ამ ნამდვილი წარმომადგენლობის მოწვევა ახლა (მეფის ამდენი ტყუილებისა და მის მიერ ხალხის ასე აბუჩად აგდების შემდეგ) შეუძლია მხოლოდ დროებითს რევოლუციურ მთავრობას, რომლის შესაქმნელად აუცილებელია შეიარაღებული აჯანყების გამარჯვება და მეფის ხელისუფლების ფაქტიური დამხობა. უკეთესი მომენტი აჯანყების სასარგებლოდ ფართო აგიტაციისათვის წარმოუდგენელია, და ასეთი აგიტაციისათვის აუცილებელია აგრეთვე სრული გარკვეულობა დროებითი რევოლუციური მთავრობის პროგრამის შესახებ. ასეთ პროგრამას უნდა წარმოადგენდეს ჩვენს მიერ უკვე წინათ დასახული («პროლეტარი» № 7, «რევოლუციური არმია და რევოლუციური მთავრობა» *) ე ქ ვ ს ი მუხლი: 1) საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრების მოწვევა; 2) ხალხის შეიარაღება; 3) პოლიტიკური თავისუფლება — დაუყოვნებლივ გაუქმება ყველა კანონისა, რო-

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 8, გვ. 673. რ ე დ.

მელიც მას ეწინააღმდეგება; 4) სრული, კულტურული და პოლიტიკური თავისუფლება ყველა დაჩაგრულ და არასრულუფლებიან ეროვნებას. რუსი ხალხი ვერ მოიპოვებს თავისუფლებას, თუ არ იბრძოლებს სხვა ხალხთა თავისუფლებისათვის; 5) რვასაათიანი სამუშაო დღე; 6) გლეხთა კომიტეტების შექმნა ყველა დემოკრატიული გარდაქმნის მხარდასაჭერად და გასატარებლად, მათ შორის საადგილმამულო ცვლილებათა და თვით მემამულეთა მიწების კონფისკაციის გასატარებლად.

ამრიგად: ბოიკოტის იდეის უაღრესად ენერგიული მხარისდაჭერა; ბურჟუაზიული დემოკრატიის ბოიკოტის უარმყოფელი მარჯვენა ფრთის გამცემლობის მხილება; ამ ბოიკოტის აქტიურ ბოიკოტად გადაქცევა, ე. ი. უაღრესად ფართო აგიტაციის გაჩაღება; შეიარაღებული აჯანყების ქადაგება, მოწოდება რევოლუციური არმიის რაზმების დაუყოვნებლივ შექმნისაკენ თვითმპყრობელობის დასამხობად და დროებითი რევოლუციური მთავრობის შესაქმნელად; გავრცელება და განმარტება ამ დროებითი რევოლუციური მთავრობის ძირითადი და უცილობლად სავალდებულო პროგრამისა, რომელიც აჯანყების დროშად უნდა გახდეს და ნიმუშად გადაიქცეს ოდესის ამბების ყველა მომავალი განმეორების დროს.

ასეთი უნდა იყოს შეგნებული პროლეტარიატის პარტიის ტაქტიკა. ამ ტაქტიკის სრული გარკვევისა და მისი ერთიანობის მიღწევისათვის ჩვენ კვლავ უნდა შევჩერდეთ «ისკრის» ტაქტიკაზე. ეს ტაქტიკა მოცემულია 106-ე ნომრის სტატიაში «თავდაცვა თუ შეტევა». ჩვენ არ შევჩერდებით წვრილმან და კერძო ხასიათის უთანხმოებებზე, რომლებიც თავისთავად გაქრება საქმეზე გადასვლის პირველ ცდისთანავე, და აღვნიშნავთ ძირითად უთანხმოებას. «ისკრა» სამართლიანად გმობს პასიურ ბოიკოტს და მას უპირისპირებს «რევოლუციური თვითმმართველობის», როგორც «აჯანყების შესაძლებელი პროლოგის», დაუყოვნებლივ «ორგანიზების» იდეას. «ისკრის» აზრით, ჩვენ «ხელთ უნდა ვიგდოთ საარჩევნო აგიტა-

ციის უფლება მუშათა სააგიტაციო კომიტეტების შექმნის საშუალებით». ამ კომიტეტებმა «მიზნად უნდა დაისახონ ხალხის მიერ თავის რწმუნებულ რევოლუციურ დეპუტატთა არჩევის მოწყობა იმ «კანონიერი» ფარგლების გარეშე, რომლებიც დაწესებული იქნება მინისტრთა პროექტებით», ჩვენ უნდა «მოვფინოთ ქვეყანა რევოლუციური თვითმმართველობის ორგანოთა ქსელით».

ამგვარი ლოზუნგი ყოვლად უვარგისია. პოლიტიკური ამოცანების თვალსაზრისით ის წარმოადგენს საერთოდ დომხალს, ხოლო არსებული პოლიტიკური მდგომარეობის თვალსაზრისით ხელს უწყობს ოსვობოჟდენიელობას. რევოლუციური თვითმმართველობის ორგანიზაცია, ხალხის მიერ თავის რწმუნებულთა არჩევა არის აჯანყების არა პ რ ო ლ ო გ ი, არამედ ე პ ი ლ ო გ ი. ამ ორგანიზაციის განხორციელების მიზნად დასახვა ახლა, აჯანყებამდე, აჯანყების გარეშე, ეს ნიშნავს უაზრო მიზანი დაისახო და არევ-დარევა შეიტანო რევოლუციური პროლეტარიატის შეგნებაში. ჯერ უნდა გაიმარჯვო აჯანყებაში (თუნდაც ცალკეულ ქალაქში) და დააარსო დროებითი რევოლუციური მთავრობა, რომ ამ უკანასკნელს, როგორც აჯანყების ორგანოს, როგორც რევოლუციური ხალხის აღიარებულ ბელადს, შეეძლოს ხელი მიჰყოს რევოლუციური თვითმმართველობის ორგანიზაციას. აჯანყების ლოზუნგის დაჩრდილვა ან თუნდაც უკან გადაწევა რევოლუციური თვითმმართველობის ორგანიზაციის ლოზუნგით — ეს რაღაც იმის მსგავსი რჩევაა, რომ ბუზი დაიჭირო და შემდეგ მას ბუზების საწინააღმდეგო ფხვნილი დააყარო. ოდესის სახელოვან დღეებში ოდესელი ამხანაგებისთვის რომ ერჩიათ აჯანყების პროლოგის სახით არა რევოლუციური არმიის ორგანიზაცია, არამედ ოდესელი ხალხის მიერ თავის რწმუნებულთა არჩევნების ორგანიზაცია, ოდესელ ამხანაგებს, რასაკვირველია, სასაცილოდ არ ეყოფოდათ ასეთი წინადადება. «ისკრა» იმეორებს ეკონომისტების შეცდომას, რომელთაც სურდათ «უფლებებისათვის ბრძოლაში» თვითმპყრობელო-

ბასთან ბრძოლის პროლოგი დაენახათ. «ისკრა» უბრუნდება ბედუკულმართი «საერობო კამპანიის გეგმის» ვაივაგლახს, რომელიც აჯანყების ლოზუნგს «დემონსტრაციის უმაღლესი ტიპის» თეორიით ჩრდილავდა.

აქ უადგილოა შევჩერდეთ «ისკრის» ამ ტაქტიკური შეცდომის სათავეზე, — დაინტერესებულ პირთ ვურჩევთ მიმართონ ნ. ლენინის ბროშურას: «სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში». აქ უფრო მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რანაირად იქცევა ხოლმე ახალისკრული ლოზუნგი ოსვობოჟდენიელურ ლოზუნგად. სინამდვილეში აჯანყების გამარჯვებამდე ხალხის მიერ თავის რწმუნებულთა არჩევის მოწყობის ცდები მთლიანად ხელსაყრელი იქნება ოსვობოჟდენიელებისათვის და გადაიქცევა იმად, რომ სოციალ-დემოკრატები მათ მაჩანჩალად გახდებიან. თვითმპყრობელობა, ვიდრე ის არ შეცვლილა დროებითი რევოლუციური მთავრობით, მუშებს და ხალხს არავითარი ისეთი არჩევნების საშუალებას არ მისცემს, რომელიც რაოდენადმე ღირსი იყოს სახალხო არჩევნების სახელწოდებისა (თვითმპყრობელობის დროს «სახალხო» არჩევნების კომედიის გათამაშებას სოციალ-დემოკრატია არ დასთანხმდება), — ხოლო ოსვობოჟდენიელები, ერობის მოღვაწენი, ხმოსნები მოახდენენ არჩევნებს და უბოდიშოდ გაასაღებენ მას «სახალხო არჩევნებად», «რევოლუციურ თვითმმართველობად». ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიის მთელი პოზიცია ახლა ის არის, რომ შეეცადონ აჯანყების თავიდან აცილებას, აიძულონ თვითმპყრობელობა საერობო არჩევნები სახალხო არჩევნებად აღიაროს ცარიზმზე ხალხის გაუმარჯვებლად, საერობო და ქალაქის თვითმმართველობა «რევოლუციურ თვითმმართველობად» გადააქციოს (პეტრუნკევიჩისებური გაგებით) ნამდვილი რევოლუციის მოუხდენლად. «ოსვობოჟდენიეს» 74-ე ნომერში ეს პოზიცია საუცხოოდაა გამოხატული. ძნელია წარმოიდგინო რაიმე იმაზე უფრო საზიზღარი, ვიდრე ლაჩარი ბურჟუაზიის ეს იდეოლოგი ბრძანდება, რომელიც ირწმუ-

ნება აჯანყების ქადაგებას «დემორალიზაცია შეაქვს» როგორც არმიაში, ისე ხალხშიო! ამას ლაპარაკობენ ისეთ დროს, როცა ბრმებიც კი ხედავენ, რომ რუსეთის მოსახლეს და ჯარისკაცს მხოლოდ აჯანყებით შეუძლია იხსნას თავი საბოლოო დემორალიზაციისაგან და დაამტკიცოს თავისი მოქალაქეობის უფლება! ბურჟუაზიული მანილოვი არკადიის იდილიას ისახავს, თუ როგორ მოხდება, რომ მხოლოდ «საზოგადოებრივი აზრის» ზეგავლენით «მთავრობა იძულებული იქნება ახალ-ახალ დათმობაზე წავიდეს, ვიდრე, ბოლოს და ბოლოს, მეტი გზა აღარ ექნება და იძულებული გახდება ძალაუფლება გადასცეს დამფუძნებელ კრებას, არჩეულს საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული ხმის მიცემის საფუძველზე, როგორც ამას საზოგადოება მოითხოვს»... (! ზედა პალატით?). «ძალაუფლების ამ მშვიდობიან (!!) გადასვლაში ახლანდელი მთავრობის ხელიდან საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრების ხელში, რომელიც სახელმწიფო და მთავრობის ხელისუფლებას ახალ საფუძველზე აწყობს, სრულიად არაფერია დაუჯერებელი». მლიქვნელი ბურჟუაზიის ამ გენიალურ ფილოსოფიას თან ერთვის რჩევა: არმიის, განსაკუთრებით ოფიცრების მიმხრობა, სახალხო მილიციის დაარსება «გამოცხადების წესით», ადგილობრივი თვითმმართველობის (იგულისხმე: მემამულეთა და კაპიტალისტთა) ორგანოების შექმნა, როგორც «მომავალი დროებითი მთავრობის ელემენტებისა».

ამ აბდაუბდას თავისი აზრი აქვს. ბურჟუაზიასაც სწორედ ის უნდა, რომ ძალაუფლება მის ხელში გადავიდეს «მშვიდობიანად», სახალხო აჯანყების მოუხდენლად, რომელმაც, შეიძლება, კიდევაც გაიმარჯვოს, რესპუბლიკა და ნამდვილი თავისუფლება მოიპოვოს, პროლეტარიატი შეაიარაღოს და მილიონობით გლეხობა აამხედროს. აჯანყების ლოზუნგის მიჩქმალვა, აჯანყებაზე უარისთქმა და სხვებისთვისაც უარის თქმევინება, «პროლოგის» სახით (მხოლოდ ტრუბეცკოიებისთვის, პეტრუნკევიჩებისთვის, ფედოროვებისა და

კომპანიისთვის ხელმისაწვდომი) თვითმმართველობის დაუ-ყოვნებლივ მოწყობის რჩევის მიცემა, — აი სწორედ ის, რაც საჭიროა რევოლუციის ბურჟუაზიული გამცემლობისთვის, მეფესთან მორიგებისთვის (მონარქია და ზედა პალატა) «ბრბოს» წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. ამიტომ ლიბერალური მანი-ლოვობა ფულის ქისის უაღრესად იდუმალ ზრახვებს და მის უღრმეს ინტერესებს გამოხატავს.

«ისკრის» სოციალ-დემოკრატიული მანილოვობა მხოლოდ ამას გამოხატავს, რომ სოციალ-დემოკრატების ერთი ნაწი-ლი აზრის ნაკლებობას იჩენს და თავს არიდებს პროლეტა-რიატის ერთადერთ რევოლუციურ ტაქტიკას: დაუნდობლად ამხილოს ბურჟუაზიულ-ოპორტუნისტული ილუზიები, თით-ქოს შესაძლებელი იყოს ცარიზმის მხრივ მშვიდობიანი დათ-მობანი, თითქოს შეიძლებოდეს თვითმმართველობის გან-ხორციელება თვითმპყრობელობის დაუმხობლად, თითქოს შესაძლებელი იყოს ხალხის მიერ თავის რწმუნებულთა არ-ჩევნები აჯანყების პროლოგის სახით. არა, ჩვენ გარკვევითა და გადაჭრით უნდა ცხადყოთ აჯანყების საჭიროება საქმის ახლანდელ ვითარებაში, პირდაპირ უნდა მოვუწოდოთ აჯან-ყებისაკენ (რასაკვირველია, აჯანყების მომენტის წინასწარ დაუსახელებლად), მოვუწოდოთ რევოლუციური არმიის დაუ-ყოვნებლივ ორგანიზაციისაკენ. მხოლოდ ასეთი არმიის უაღ-რესად გაბედული, ფართო ორგანიზაცია შეიძლება გახდეს აჯანყების პროლოგი. მხოლოდ აჯანყებას შეუძლია საქმით უზრუნველყოს რევოლუციის გამარჯვება, — ამასთან, რასა-კვირველია, ვინც ადგილობრივ პირობებს იცნობს, ის ყოველ-თვის გაგვაფრთხილებს ნაადრევად არ ვეცადოთ აჯანყების მოწყობა. მხოლოდ ძლევამოსილი აჯანყების ეპილოგად შე-იძლება იყოს ნამდვილი სახალხო ნამდვილი თვითმმართვე-ლობის ნამდვილი ორგანიზაცია.

«პროლეტარი» № 12,
1905 წ. 16 (3) აგვისტო

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

შენიშვნა რსდმპ საზღვარგარეთული ორგანიზაციების კონფერენციის რეზოლუციის გამო [65]

თუ რამდენად ენერგიულად მიისწრაფის პარტიის ერთიანობისაკენ რსდმპ ცენტრალური კომიტეტი, ეს ჩანს ამ ნომერში დაბეჭდილი მისი ღია წერილიდან საორგანიზაციო კომისიის მიმართ. მოგაგონებთ მხოლოდ, რომ გაერთიანებისათვის საჭიროა საერთო საორგანიზაციო ნიადაგი. ასეთ ნიადაგად აქამდე ვიცნობთ მხოლოდ რსდმპ წესდებას, რომელიც მიღებულია პარტიის მესამე ყრილობაზე და რომელიც სავსებით უზრუნველყოფს უმცირესობის კანონიერ უფლებებს.

«პროლეტარი» № 12,
1905 წლის 16 (3) აგვისტო

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

შენიშვნა მ. ნ. პოკროვსკის სტატიის გამო: «პროფესიული ინტელიგენცია და სოციალ-დემოკრატები»

ჩვენ ვფიქრობთ, რომ უთანხმოება სტატიის «ოსვობოჟდენიელები მუშაობენ» ავტორსა და ამხ. «მასწავლებელს» [66] შორის უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ეს უკანასკნელი ფიქრობს. ვინც დიდი ხანია ჩაბმულია რევოლუციურ მოძრაობაში, ის ეჩვევა მიმართულებათა პოლიტიკურ ბრძოლას, იძენს თვითონ შეხედულებათა გარკვეულობას და, ბუნებრივია, სხვებსაც აგრეთვე გარკვეულ შეხედულებებს აწერს, აკუთვნებს მათ ამა თუ იმ «პარტიას» კერძო საკითხზე ამა თუ იმ აზრის გამოთქმის (თუ აზრის უქონლობის) საფუძველზე. უდავოა, რომ აგიტატორისთვის სასარგებლოა სახალხო კრებებზე «პოლიტიკურ» თვალსაზრისს გარდა მხედველობაში მიიღოს აგრეთვე «პედაგოგიური» თვალსაზრისიც, თავისი თავი წარმოიდგინოს თავის მსმენელთა მდგომარეობაში, უფრო მეტად განმარტება აძლიოს, ვიდრე «ანადგუროს» და სხვა. უკიდურესობა არაფერში არ ვარგა, მაგრამ არჩევანზე რომ საქმე მიდგეს, — ჩვენ ვიწრო და შეწყნარებას მოკლებულ გარკვეულობას ვარჩევდით, ვიდრე ლმობიერ და დამთმობ უსახობას. «ტირანიის» შიში მხოლოდ დონდლო და უხერხემლო ადამიანებს ჩამოგვაშორებს. ვისაც «ნაპერწკალი» უღვივის, სწრაფად დაინახავს თვითონაც, და

ცხოვრებაც დაანახვებს, რომ გარკვეული და მკაცრი პოლიტიკური შეფასება «მითური ოსვობოჟდენიელისა» სავსებით სამართლიანია და თვითონაც ამ ტიპიურ ოსვობოჟდენიელს «მითურად» თვლიდა მხოლოდ იმის გამო, რომ პოლიტიკური გამოცდილება აკლდა. ამხ. «მასწავლებელი», რომლის მითითებანი მეტად სასარგებლოა, რადგან ის გარემოს იცნობს, თვითონ აღნიშნავს «მწარე ჭეშმარიტებათა მონელების» სისწრაფეს.

«პროლეტარი» № 13,
1905 წ. 22 (9) აგვისტო

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

«პროლეტარის» რედაქციის პასუხი ამხანაგ «მუშის» შეკითხვებზე [67]

რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ. ვუპასუხებთ ამხანაგს შეკითხვებზე: 1) დიახ, კიდევაც უნდა უხელმძღვანელოს და კიდევაც უნდა განაგოს საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრების მოწვევამდე; 2) ისეთ გარემოებაში, როდესაც ეს მონაწილეობა უზრუნველყოფს «ყოველგვარი კონტრრევოლუციური ცდის წინააღმდეგ ულმობელი ბრძოლისა და მუშათა კლასის დამოუკიდებელი ინტერესების დაცვის» შესაძლებლობას (III ყრილობის რეზოლუციიდან); 3) III ყრილობის რეზოლუციაში აჯანყების შესახებ პირდაპირაა ნათქვამი, რომ საჭიროა «პროპაგანდისა და აგიტაციის გზით განემარტოს პროლეტარიატს მომავალი შეიარაღებული აჯანყების ა რ ა მ ა რ ტ ო პოლიტიკური მნიშვნელობა, ა რ ა მ ე დ ა გ რ ე თ ვ ე მისი პრაქტიკულ-ორგანიზაციული მხარეც». ეს ნიშნავს: საჭიროა განვავითაროთ მასების შეგნება, განვუმარტოთ მათ აჯანყების პოლიტიკური მნიშვნელობა. მაგრამ ეს არ კმარა. გარდა ამისა, საჭიროა მოვუწოდოთ მასებს შეიარაღებული ბრძოლისაკენ, დაუყოვნებლივ დავიწყოთ შეიარაღება და რევოლუციური არმიის რაზმებად შეკავშირება. შემდეგ, უნდა ვუთხრათ წერილის ავტორს, რომ დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ ყრილობისა და კონფერენციის რეზოლუციებისადმია მიძღვნილი ნ. ლენინის მთელი ბროშურა: «სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში». დასასრულ, გათიშვის გამო ვიტყვით, რომ ავტო-

რის აღშფოთება სავსებით კანონიერია. ვურჩევთ მას იბრძოლოს პარტიული ორგანიზაციის ერთიანი წესების საყოველთაო აღიარებისათვის, იბრძოლოს ისე, რომ არ მოერიდოს არავითარ ინტელიგენტურ გოდებას არც ზევიდან მუშტის შესახებ, არც ქვევიდან მუშტის შესახებ, იბრძოლოს არა ფარულად, არა ინტრიგების გზით, არა ახალი ჯგუფებისა ან ახალი პარტიის დაარსებით, არამედ აშკარად, პირდაპირ, რსდმპ ერთ-ერთი ორგანიზაციის ფარგლებში.

«პროლეტარი» № 13,
1905 წ. 22 (9) აგვისტო

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

«მეფის ერთობა ხალხთან და ხალხისა მეფესთან»

«პროლეტარის» მე-12 ნომერში, რომელიც 3 (16) აგვისტოს გამოვიდა, ჩვენ ვლაპარაკობდით ახლო ხანში ბულიგინის სათათბიროს მოწვევის შესაძლებლობაზე და ვარჩევდით სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკას მის მიმართ *. ახლა ბულიგინის პროექტი უკვე კანონი გახდა, და 6 (19) აგვისტოს მანიფესტმა გვაუწყა «სახელმწიფო სათათბიროს» მოწვევა «არა უგვიანეს 1906 წლის შუა იანვრისა».

სწორედ 9 იანვრის წლისთავზე, როცა პეტერბურგის მუშებმა თავიანთი სისხლით აღბეჭდეს რევოლუციის დასაწყისი რუსეთში და თავიანთი მტკიცე გადაწყვეტილება, რომ თავგამოდებით იბრძოლონ მისი გამარჯვებისათვის, — სწორედ ამ დიადი დღის წლისთავზე აპირებს მეფე მოიწვიოს მემამულეების, კაპიტალისტების, მდიდარ და ხელისუფალთა წინაშე მონურად ქედმოხრილ ერთ მუჭა გლეხთა კრება, რომელიც უაღრესად ტლანქად გაყალბებული და პოლიციის ცხრილში გატარებული იქნება. მეფე აპირებს ეთათბიროს ამ კრებას, როგორც «ხალხის» წარმომადგენელთა კრებას. მთელ მუშათა კლასს კი, მილიონობით მშრომელთ და იმათ, რომელთაც საკუთარი სახლკარი და მეურნეობა არ გააჩნიათ, აკრძალული აქვთ რაიმე მონაწილეობის მიღება «ხალხის წარმომადგენელთა» არჩევნებში. მოვესწრებით და ვნახავთ, გამართლდება თუ არა მეფის ასეთი ვარაუდი მუშათა კლასის უძლურებისა...

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 212 — 222. რ ე დ.

სანამ რევოლუციური პროლეტარიატი არ შეიარაღებულა და თვითმპყრობელი მთავრობა არ დაუმარცხებია, არც შეიძლებოდა სხვა რისამე მოლოდინი გვქონოდა, გარდა მსხვილი ბურჟუაზიისათვის ამ ნასუფრალის გადაგდებისა, რაც მეფეს არც არაფრად უღირს და არც არაფერ ვალდებულებას აკისრებს. ამჟამად, ალბათ, არც ამ ნასუფრალს გვიბოძებდნენ, ომისა თუ ზავის საკითხი რომ მრისხანედ არ ახლოვდებოდეს. მემამულეებთან და კაპიტალისტებთან მოუთათბირებლად თვითმპყრობელური მთავრობა ვერ ბედავს ვერც ომის უგუნურ განგრძობის ტვირთის ხალხზე დაკისრებას, ვერც ისეთი ზომების შემუშავებას, რომ ომის შედეგების მთელი სიმძიმე მდიდრებს მოხსნას და მთლიანად მუშებსა და გლეხებს დააკისროს.

რაც შეეხება სახელმწიფო სათათბიროს თაობაზე გამოცემული კანონის თვით შინაარსს, მან სავსებით გაამართლა უცუდესი მოლოდინი. არ ვიცით, მოიწვევენ თუ არა ნამდვილად ამ სათათბიროს, — მსგავსი მოწყალების უკან წაღება ძნელი არ არის, და ყოველი ქვეყნის თვითმპყრობელ მონარქებს ათობით ასეთი დაპირება მოუციათ და დაურღვევიათ; — ჯერ კიდევ არ ვიცით, რამდენად შესძლებს ეს მომავალი სათათბირო, თუ იგი შეიკრიბება და არ ჩაიშლება, ხალხის მასებში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მართლაც ფართო პოლიტიკური აგიტაციის ცენტრი გახდეს. მაგრამ სახელმწიფო სათათბიროს შესახებ გამოცემული ახალი კანონის თვით შინაარსი რომ ფრიად უხვ მასალას იძლევა ჩვენი აგიტაციისათვის, თვითმპყრობელობის არსის განმარტებისათვის, მისი კლასობრივი საფუძვლის მხილებისათვის, მისი ინტერესებისა და ხალხის ინტერესების მთელი შეურიგებლობის გამოაშკარავებისათვის, ჩვენი, რევოლუციურ-დემოკრატიული, მოთხოვნების გავრცელებისა და პოპულარიზაციისათვის, — ეს ყოველ ეჭვს გარეშეა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ 6 (19) აგვისტოს მანიფესტი და კანონი ახლა ყოველი პოლიტიკური აგიტატორის, ყოველი შეგნებული მუშის ნიადაგ-

სახმარი წიგნი უნდა გახდეს, რადგან ეს მართლაც «სარკეა» ყოველგვარი საზიზღრობისა, სისაძაგლისა, აზიურობისა, ძალმომრეობისა, ექსპლოატაციისა, რითაც გაჟღენთილია რუსეთის მთელი სოციალური და პოლიტიკური წყობილება. ამ მანიფესტისა და ამ კანონის თითქმის ყოველი ფრაზა — ქარგაა უმდიდრესი და უაღრესი შინაარსით აღსავსე პოლიტიკური კომენტარიებისათვის, რომლებიც აღვიძებენ დემოკრატიულ აზროვნებას და რევოლუციურ თვითშეგნებას.

ნათქვამია: თუ ხელს არ ახლებ — არ ყარსო. როცა კითხულობ მანიფესტს და კანონს სახელმწიფო სათათბიროს შესახებ, თავს ისე გრძნობ, თითქოს შენს ცხვირწინ დაიწყეს უხსოვარი დროიდან დაგროვილ სიბინძურეთა ქექვა.

თვითმპყრობელობა ემყარებოდა მშრომელი ხალხის საუკუნოვან ჩაგვრას, მის სიბნელეს, სიბეჩავეს, ეკონომიური და ყოველგვარი სხვა კულტურის უძრაობას. ასეთ საფუძველზე დაუბრკოლებლივ იზრდებოდა და თვალთმაქცურად ვრცელდებოდა მოძღვრება: «მეფის განუყრელი ერთობა ხალხთან და ხალხისა მეფესთან», მოძღვრება იმის შესახებ, რომ მეფის თვითმპყრობელი ხელისუფლება ხალხის ყველა წოდებასა და კლასზე მაღლა დგას, ღარიბებად და მდიდრებად დაყოფაზე მაღლა დგას, რომ იგი გამოხატავს მთელი ხალხის საყოველთაო ინტერესებს. აი ახლა ჩვენ ვხედავთ ცდას — გამოხატონ ს ა ქ მ ი თ ეს «ერთობა» მეტად გაუბედავი, ჩანასახური ფორმით, «მთელი რუსეთის არჩეულ წარმომადგენლებთან» უბრალო თ ა თ ბ ი რ ი ს სახით. და მერე რა? ერთბაშად ირკვევა, რომ «ხალხთან მეფის ერთობა» შესაძლოა მხოლოდ მოხელეთა და პოლიციელთა მთელი არმიის მეშვეობით, რომლებიც იცავენ იმას, რომ ხალხს მაგრად ჰქონდეს ამოდებული ლაგამი, «ერთობისათვის» საჭირო ყოფილა, რომ ხალხი ხმის ამაღლებას ვერ ბედავდეს. «ხალხად» ითვლებიან მხოლოდ მემამულეები და კაპიტალისტები, რომელთაც უფლებას აძლევენ მონაწილეობა მიიღონ ორსაფეხურიან არჩევნებში (ისინი, მაზრებისა ან ქალაქის უბნების მიხედვით, ჯერ

ირჩევენ ამომრჩევლებს, ამომრჩევლები კი ირჩევენ უკვე სახელმწიფო სათათბიროს წევრებს). სახლკარიანი გლეხები ხალხად ითვლებიან მხოლოდ მას შემდეგ, როცა მათ გაცხრილავენ ოთხსაფეხურიანი არჩევნებით თავადაზნაურობის წინამძღოლის, საერობო უფროსთა და პოლიციელთა მეთვალყურეობით, დახმარებითა და დარიგებით. სახლკარიანები ჯერ ირჩევენ სათემო ყრილობების წევრებს. შემდეგ, სათემო ყრილობები ირჩევენ თემთა რწმუნებულებს, ორ-ორს თვითეული ყრილობა. შემდეგ თემთა ეს რწმუნებულნი ირჩევენ საგუბერნიო ამომრჩევლებს. ბოლოს, გლეხთა ეს საგუბერნიო ამომრჩევლები მემამულეთა და კაპიტალისტთა (ქალაქელთა) საგუბერნიო ამომრჩევლებთან ერთად ირჩევენ სახელმწიფო სათათბიროს წევრებს! საგუბერნიო ამომრჩეველთა საერთო რიცხვში გლეხები თითქმის ყველგან უმცირესობას შეადგენენ. მათთვის უზრუნველყოფილია სახელმწიფო სათათბიროს მხოლოდ ერთი წევრის არჩევა თვითეული გუბერნიიდან აუცილებლად გლეხებისავე წრიდან, ე. ი. 51 ადგილი 412-დან (ევროპული რუსეთის 51 გუბერნიიდან).

ქალაქის მთელი მუშათა კლასი, სოფლის მთელი ღარიბობა, მოჯამაგირეები, უსახლკარო გლეხები სრულიად არ იღებენ მონაწილეობას არავითარ არჩევნებში.

ხალხთან მეფის ერთობა ეს არის მეფის ერთობა მემამულეებთან და კაპიტალისტებთან ერთი მუჭა მდიდარი გლეხების დამატებით და პოლიციის უსასტიკესი მეთვალყურეობისადმი მთელი არჩევნების დაქვემდებარებით. ერთი სიტყვაც კი არ არის ნათქვამი სიტყვის, პრესის, კრებების, კავშირების თავისუფლებაზე, ურომლისოდაც არჩევნები წმინდა წყლის კომედიაა.

სახელმწიფო სათათბიროს სრულიად არავითარი უფლება არა აქვს, რადგან ყველა მის გადაწყვეტილებას აქვს არა საკალდებულო, არამედ მხოლოდ სათათბირო ხასიათი. ყველა

მისი გადაწყვეტილება გადადის სახელმწიფო საბჭოში, ე. ი. ისევ მოხელეთა განსახილველად და მოსაწონებლად. ეს მხოლოდ მოხელეთა და პოლიციის შენობის პაწაწა მინაშენია. სახელმწიფო სათათბიროს სხდომებზე საზოგადოების დასწრება აკრძალულია. სახელმწიფო სათათბიროს სხდომათა ანგარიშების პრესაში გამოქვეყნება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა სხდომები დახურულად არაა გამოცხადებული, ხოლო მათი დახურულად გამოცხადებისათვის საკმარისია მოხელის განკარგულება, ე. ი. მინისტრის მიერ განსახილველი საკითხის სახელმწიფო საიდუმლოებათა რიცხვისადმი მიკუთვნება.

ახალი სახელმწიფო სათათბირო იგივე რუსეთის საპოლიციო უბანია გაფართოებული სახით. მდიდარ მემამულეს და მეფაბრიკე-კაპიტალისტს (ხანდახან მდიდარ გლეხსაც) უშვებენ ხოლმე «სათათბიროდ» საპოლიციო უბნის «ღია» სხდომებზე (ან საერობო უფროსთან ან საფაბრიკო ინსპექტორთან და სხვ.); მათ ყოველთვის აქვთ უფლება თავიანთი აზრი უმორჩილესად წარუდგინონ ხელმწიფე იმპერატორს... ე. ი. უბნის ზედამხედველს «კეთილმოსაზრებისამებრ» გადასაწყვეტად. ხოლო «შავი ხალხი», ქალაქის მუშები და სოფლის ღარიბ-ღატაკნი, რასაკვირველია, არასდროს არავითარ «თათბირზე» არ დაიშვებიან.

განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ საპოლიციო უბანი ბევრია და იქ ყველაფერი ჩუმჩუმად კეთდება. სახელმწიფო სათათბირო კი ერთია, და ახლა იძულებული გახდნენ გამოექვეყნებინათ მისი არჩევნების წესი და მის უფლებათა ფარგლები. ეს პუბლიკაცია, ვიმეორებთ, უკვე თავისთავად მეფის თვითმპყრობელობის მთელი საზიზღრობის საუცხოო მხილებას წარმოადგენს.

ხალხის ინტერესების თვალსაზრისით სახელმწიფო სათათბირო «სახალხო წარმომადგენლობის» უაღრესად თავხედური გამასხარავებაა. და თითქოს განგებ, რომ ამ გამასხარავებას უფრო მეტად გაესვას ხაზი, ხდება ისეთი ფაქტები, როგო-

რიცაა ბ-ნ დურნოვოს სიტყვა, ბ-ნ მილიუკოვისა და კომპ. დაპატიმრება, ბ-ნ შარაპოვის კადნიერი საქციელი. მოსკოვის ახალმა გენერალ-გუბერნატორმა დურნოვომ, რომელსაც აღტაცებით მიესალმა რეაქციული პრესა, თავის სიტყვაში წამოროშა ჭეშმარიტი ზრახვები მთავრობისა, რომელმაც სახელმწიფო სათათბიროს შესახებ 6 აგვისტოს გამოცემულ მანიფესტსა და კანონთან ერთად იმავე 6 აგვისტოს გამოსცა ბრძანება 1905 წლის 18 თებერვალს გამოცემული «სენატისადმი ბრძანების» გაუქმების შესახებ. 18 თებერვლის ბრძანება კერძო პირთ უფლებას ანიჭებდა შეემუშავებინათ მოსაზრებანი და ვარაუდები სახელმწიფო კეთილმოწყობის საკითხებზე. ამ ბრძანებას ეყრდნობოდნენ ერობის მოღვაწენი და ინტელიგენციის წარმომადგენლები და აწყობდნენ კრებებს, თათბირებს, ყრილობებს, რომელთაც პოლიცია ითმენდა. ახლა ეს ბრძანება გაუქმებულია. ახლა ყველა «მოსაზრება და ვარაუდი სახელმწიფო კეთილმოწყობის საკითხებზე» უნდა «წარედგინოს» თვითმპყრობელურ მთავრობას იმ «წესით, რომელიც დადგენილია სახელმწიფო სათათბიროს დაწესებით»! ეს ნიშნავს — ბოლო ეღება აგიტაციას, ბოლო ეღება კრებებსა და ყრილობებს. არსებობს სახელმწიფო სათათბირო, მორჩა და გათავდა. სწორედ ასე თქვა ბ-მა დურნოვომაც, რომელმაც განაცხადა, ამიერიდან არავითარ საერობო ყრილობებს არ დავუშვებთო.

ჩვენი «კონსტიტუციურ-დემოკრატიული» (იგულისხმე: მონარქისტული) პარტიის ლიბერალები კვლავ გაბრიყვებულნი აღმოჩნდნენ. მათ კონსტიტუციის მიღების იმედი ჰქონდათ, ახლა კი კონსტიტუციის სასარგებლოდ ყოველგვარი აგიტაცია აუკრძალეს ისეთი დაწესებულების «ბოძების» გამო, რომელიც კონსტიტუციის დაცინვას წარმოადგენს!

ხოლო ბ-ნი შარაპოვი კიდევ უფრო მეტს რომავს. მთავრობის მიერ სუბსიდირებულ თავის გაზეთში («რუსსკოე დელო») ის პირდაპირ რჩევას იძლევა იმ სასახლეში, სადაც სათათბიროს სხდომები იქნება, კაზაკები იყოლიონ... ამ

სათათბიროს «უადგილო» გამოსვლების შემთხვევისათვის. ხალხთან მეფის ერთობისათვის ხალხის წარმომადგენლებმა ისე უნდა ილაპარაკონ და იმოქმედონ, როგორც ეს მეფეს სურს. არა და კაზაკები სათათბიროს გარეკენ. არა და სათათბიროს წევრთა დაპატიმრება უკაზაკებოდაც შეიძლება ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ისინი სათათბიროში მოხვდებოდნენ. შაბათს, 6 აგვისტოს, გამოვიდა მანიფესტი ხალხთან მეფის ერთობის შესახებ. კვირას, 7 აგვისტოს, ოსვობოჟდენიელების ანუ «კონსტიტუციურ-დემოკრატიული» (იგულისხმე: მონარქისტული) პარტიის ზ ო მ ი ე რ ი ფრთის ერთ-ერთი ბელადი, ბ-ნი მილიუკოვი, დააპატიმრეს პიტერის ახლოს ათეულ მის პოლიტიკურ კოლეგასთან ერთად. მათ სდევნიან «კავშირთა კავშირში» მონაწილეობისათვის. მათ, ალბათ, მალე გაათავისუფლებენ, მაგრამ მათთვის სათათბიროს კარის დახურვა ადვილი იქნება: საკმარისია განაცხადონ, რომ ისინი «გამოძიებაში იმყოფებიან ან სამართალში არიან მიცემულნიო»!..

რუსი ხალხი კონსტიტუციონალიზმის პირველ პატარა გაკვეთილებს იღებს. ყოველგვარი კანონი სახალხო წარმომადგენელთა არჩევნების შესახებ გახვრეტილ გროშად არა ღირს, სანამ არა გვაქვს ხალხის ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ მ ო პ ო ვ ე ბ უ ლ ი თვითმპყრობელობა, სიტყვის, პრესის, კრებების, კავშირების სრული თავისუფლება, სანამ არა გვაქვს მოქალაქეთა შეიარაღება, რომელსაც შეეძლება პიროვნების ხელუხლებლობის უზრუნველყოფა. ზემოთ ჩვენ ვთქვით, რომ სახელმწიფო სათათბირო სახალხო წარმომადგენლობის აბუჩად აგდებაა. ხ ა ლ ხ ი ს თ ვ ი თ მ პ ყ რ ო ბ ე ლ ო ბ ი ს თეორიის თვალსაზრისით ეს უსათუოდ ასეა. მაგრამ ამ თეორიას არ სცნობენ არც თვითმპყრობელური მთავრობა, არც მონარქისტული ლიბერალური ბურჟუაზია (ოსვობოჟდენიელები ანუ კონსტიტუციურ-მონარქისტული პარტია). თანამედროვე რუსეთში ჩვენს წინაშეა ს ა მ ი პოლიტიკური თეორია, რომელთა მნიშვნელობაზე ჩვენ არა ერთხელ გვექნება ლაპარაკი.

1) თეორია ხალხთან მეფის თ ა თ ბ ი რ ი ს ა (ანუ «ხალხთან მეფისა და მეფესთან ხალხის ერთობისა», როგორც ამბობს 6 აგვისტოს მანიფესტი). 2) თეორია ხალხთან მეფის შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ი ს ა (ოსვობოჟდენიელებისა და საერობო ყრილობათა პროგრამა). 3) თეორია ხ ა ლ ხ ი ს თ ვ ი თ მ პ ყ რ ო ბ ე ლ ო ბ ი ს ა (სოციალ-დემოკრატიისა და აგრეთვე საერთოდ რევოლუციური დემოკრატიის პროგრამა).

თ ა თ ბ ი რ ი ს თეორიის თვალსაზრისით, სავსებით ბუნებრივია, რომ მეფე თათბირს მართავს მხოლოდ იმათთან, ვისთანაც სურს, და მხოლოდ ისეთი საშუალებით, როგორითაც მას სურს. ხოლო ვისთან და როგორ სურს მეფეს თათბირი, ამას შესანიშნავად და თვალსაჩინოდ ცხადყოფს სახელმწიფო სათათბირო. შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ი ს თეორიის თვალსაზრისით, მეფე ხალხის ნებას კი არ ემორჩილება, არამედ მხოლოდ ანგარიში უნდა გაუწიოს მას. მაგრამ სახელდობრ როგორ გაუწიოს ანგარიში, რა ფარგლებში — ამას «შეთანხმების» «ოსვობოჟდენიელური» თეორიიდან ვერ გამოიყვან, და სანამ რეალური ძალაუფლება მეფის ხელშია, «ოსვობოჟდენიელურ» ბურჟუაზიას გარდუვალად უწერია უბადრუკი მდგომარეობა მათხოვრისა ან მაკლერისა, რომელსაც სურს ხალხის გამარჯვებით ხალხისავე წინააღმდეგ ისარგებლოს. ხ ა ლ ხ ი ს თ ვ ი თ მ პ ყ რ ო ბ ე ლ ო ბ ი ს თვალსაზრისით, ჯერ საჭიროა საქმით უზრუნველყოფილ იქნას აგიტაციისა და არჩევნების სრული თავისუფლება, ხოლო შემდეგ მოწვეულ იქნას მართლაც საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრება, ე. ი. ისეთი, რომელიც არჩეული იქნებოდა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით, მას ხელთ ექნებოდა მთელი ძალაუფლება, სრული, ერთიანი და განუყოფელი ძალაუფლება, და იგი ხალხის თვითმპყრობელობის ნამდვილი გამომხატველი იქნებოდა.

ამრიგად, ჩვენ მივადექით ჩვენს სააგიტაციო ლოზუნგს (რსდმპ ლოზუნგს) სახელმწიფო სათათბიროს გამო. ვის შეუძლია საქმით უზრუნველყოს დამფუძნებელი კრების არჩევ-

ნების თავისუფლება და მისი ძალაუფლების სისრულე? მხოლოდ შეიარაღებულ ხალხს, რევოლუციურ არმიად ორგანიზებულს, რომელიც მეფის არმიიდან მიიმხრობს ყოველივე ცოცხალსა და პატიოსანს, დაამარცხებს მეფის ძალებს და მეფის თვითმპყრობელურ მთავრობას დროებითი რევოლუციური მთავრობით შესცვლის. სახელმწიფო სათათბიროს დაწესება, რაც, ერთი მხრივ, «მიიტყუებს» ხალხს მართვა-გამგეობის წარმომადგენლობის ფორმაზე ფიქრით, ხოლო, მეორე მხრივ, სახალხო წარმომადგენლობის უაღრესად უხეშ გაყალბებას წარმოადგენს, — დაუშრეტელი წყარო იქნება მასაში უფართოესი რევოლუციური აგიტაციის გასაჩაღებლად, საუცხოო საბაბი გახდება კრებების, დემონსტრაციების, პოლიტიკური გაფიცვების მოსაწყობად და სხვა. მთელი ამ აგიტაციის ლოზუნგი უნდა იყოს: შეიარაღებული აჯანყება, რევოლუციური არმიის ლაშქრისა და რაზმების დაუყოვნებლივ შექმნა, მეფის ხელისუფლების დამხობა და დროებითი რევოლუციური მთავრობის დაწესება საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრების მოსაწვევად. აჯანყების მომენტის განსაზღვრა, რასაკვირველია, ადგილობრივ პირობებზეა დამოკიდებული. ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ საერთოდ რევოლუციური პროლეტარიატისთვის ამჟამად ხელსაყრელია აჯანყების მომენტის რაოდენადმე შორს გადაწევა: მუშების შეიარაღება თანდათან წინ მიდის, ჯარის სულიერი განწყობილება უფრო და უფრო არასაიმედო ხდება, სამხედრო კრიზისი დღეს თუ ხვალ უნდა გადაწყდეს (ომი ან მძიმე ზავი), და ასეთ ვითარებაში აჯანყების ნაადრევ ცდებს უდიდესი ზიანის მოტანა შეუძლია.

დასასრულ, ჩვენ დაგვრჩენია ტაქტიკის უკვე მოკლედ მოხაზული ლოზუნგი დავუპირისპიროთ სხვა ლოზუნგებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ «პროლეტარის» მე-12 ნომერში, ჩვენი ლოზუნგი ემთხვევა იმას, რასაც რუსეთში მომუშავე ამხანაგების უმრავლესობა «აქტიურ ბოიკოტად» გულისხმობს. ტაქტიკა «ისკრისა», რომელიც თავის 106-ე ნომერში გვირ-

ჩევდა რევოლუციური თვითმმართველობის დაუყოვნებლივ ორგანიზაციას და ხალხის მიერ თავის წარმომადგენელთა არჩევას, როგორც აჯანყების შესაძლებელ პროლოგს, სრულიად მცდარია. სანამ ჯერ კიდევ არ არსებობს ძალები შეიარაღებული აჯანყებისა და მისი გამარჯვებისათვის, მანამდე ხალხის რევოლუციურ თვითმმართველობაზე ლაპარაკიც კი სასაცილოა. ეს აჯანყების პროლოგი კი არა — ეპილოგია. ასეთი უმართებულო ტაქტიკა ხელსაყრელი იქნებოდა მხოლოდ «ოსვობოჟდენიელური» ბურჟუაზიისათვის, ჯერ-ერთი, იმით, რომ ის აჯანყების ლოზუნგს ჩრდილავს ან უკან სწევს რევოლუციური თვითმმართველობის ორგანიზაციის ლოზუნგით; მეორე, იმით, რომ ის ლიბერალურ ბურჟუებს გაუადვილებდა თ ა ვ ი ა ნ თ ი (საერობო და საქალაქო) არჩევნები სახალხო არჩევნებად გაესაღებინათ, რადგან სახალხო არჩევნები, სანამ ძალაუფლება მეფის ხელშია, შეუძლებელია, ხოლო საერობო და საქალაქო არჩევნების ჩატარება კიდევ შესაძლოა ლიბერალებმა მოახერხონ, მიუხედავად ბატონ დურნოვოების მუქარისა.

სათათბიროს არჩევნებიდან პროლეტარიატი გამორიცხულია. კაცმა რომ თქვას, პროლეტარიატს არც ესაჭიროება ბოიკოტი გამოუცხადოს სათათბიროს, რადგან ეს მეფის სათათბირო თვით თავისი დაწესებით ბოიკოტს უცხადებს პროლეტარიატს. მაგრამ პროლეტარიატისთვის ხელსაყრელია მხარი დაუჭიროს ბურჟუაზიული დემოკრატიის იმ ნაწილს, რომელიც რევოლუციური მოქმედებისაკენ იხრება და არა ჩარჩობისაკენ, იხრება სათათბიროს ბოიკოტისაკენ, ხალხში გაძლიერებული აგიტაციისაკენ ამ სათათბიროს წინააღმდეგ პროტესტის გამოცხადებისათვის. პროლეტარიატმა დუმილით არ უნდა აუაროს გვერდი ბურჟუაზიული დემოკრატიის ამ პირველ ღალატს ან არათანამიმდევრობას, როცა მისი წარმომადგენლები ლაპარაკობენ სათათბიროს ბოიკოტზე (ბოიკოტს მიემხრო კიდეც, პირველი კენჭისყრისას, ერობის მოღვაწეთა ივლისის ყრილობის უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა), ლაპარაკობენ მა-

ღალფარდოვან სიტყვებს ხალხისადმი და არა მეფისადმი მიმართვაზე (ბ-ნი ი. პეტრუნკევიჩი იმავე ყრილობაზე), ხოლო საქმით მზად არიან უპროტესტოდ დასტოვონ, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ფართო აგიტაციის გაუჩაღებლად დასტოვონ ეს ახალი დაცინვა ხალხის მოთხოვნებისა, მზად არიან უკუაგდონ ბოიკოტის აზრი და წავიდენ სათათბიროში. პროლეტარიატს არ შეუძლია არ უარყოს ის ცრუ ფრაზები, რომლებითაც ახლა აჭრელებულია სტატიები ლეგალურ ლიბერალურ პრესაში (იხ., მაგალითად, «რუს» 7 აგვისტოს თარიღით); ეს პრესა ჩაება ბოიკოტის იდეის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბატონი ლიბერალური მეგაზეთეები რყვნიან ხალხს იმით, რომ არწმუნებენ მას მშვიდობიანი გზის, «აზრთა მშვიდობიანი ბრძოლის» შესაძლებლობაში (აბა, ბრძანეთ, ბატონებო, რატომ ვერ შესძლო მილიუკოვმა «მშვიდობიანი» ბრძოლა შარაპოვთან?). ბატონი ლიბერალური მეგაზეთეები ატყუებენ ხალხს, როცა აცხადებენ, თითქოს ერობის მოღვაწეებს «შეუძლიათ რაოდენადმე (!) უეჭველად გააქარწყლონ (!!) გლეხ ამრჩევლებზე საერობო უფროსთა და საერთოდ ადგილობრივი ადმინისტრაციის მომავალი ზეგავლენა» («რუს», იქვე). ლიბერალური მეგაზეთეები ძირშივე ამახინჯებენ სახელმწიფო სათათბიროს მნიშვნელობას რუსეთის რევოლუციის მსვლელობაში, როდესაც ამ სათათბიროს ბისმარკთან საბიუჯეტო კონფლიქტის ეპოქის (1863 წ.) პრუსიის პალატას ადარებენ. ნამდვილად კი, თუ შედარებაზე მიდგება საქმე, მაგალითისათვის უნდა ავიღოთ არა კონსტიტუციური ეპოქა, არამედ კონსტიტუციისათვის ბრძოლის ეპოქა, რევოლუციის დასაწყისის ეპოქა. სხვანაირად მოქცევა ნიშნავს პირდაპირ გადახტომას რევოლუციური ბურჟუაზიის ეპოქიდან რეაქციასთან შერიგებული ბურჟუაზიის ეპოქაში. (შეადარე «პროლეტარის» № 5 ჩვენებური ბატონ პეტრუნკევიჩისა და «ყოფილი რევოლუციონერის», — ხოლო შემდგომ მინისტრის — ანდრაშის * პარალელის შესახებ.) სახელმწიფო

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 8, გვ. 625 — 631. რ ე დ.

სათათბირო მოგვაგონებს პრუსიის «შეერთებულ ლანდტაგს» (სეიმს), დაარსებულს 1847 წლის 3 თებერვალს, ერთი წლით ადრე რევოლუციამდე. პრუსიელი ლიბერალებიც მაშინ აპირებდნენ, მაგრამ ვერ გადაწყვიტეს, ბოიკოტი გამოეცხადებინათ მემამულეთა ამ სათათბირო პალატისთვის და ხალხს ეკითხებოდნენ: «Annehmen oder ablehnen?» («მივიღოთ თუ უარვყოთ?»—სათაური ბურჟუაზიული ლიბერალის ჰენრიხ სიმონის ბროშურისა, რომელიც 1847 წელს გამოვიდა). პრუსიის შეერთებული ლანდტაგი შეიკრიბა (პირველი სესია გაიხსნა 1847 წლის 11 აპრილს, დაიხურა 1847 წლის 26 ივნისს), მთელი რიგი კონფლიქტები გამოიწვია კონსტიტუციონალისტებსა და თვითმპყრობელურ ხელისუფლებას შორის, მაგრამ მაინც მკვდარ დაწესებულებად დარჩა, სანამ რევოლუციურმა ხალხმა ბერლინის პროლეტარიატის მეთაურობით არ დაამარცხა მეფის ჯარები 1848 წლის 18 მარტის აჯანყებაში. მაშინ სახელმწიფო სათათბირო... ესე-იგი შეერთებული ლანდტაგი პატრონს ჩაბარდა. მაშინ მოწვეულ იქნა (სამწუხაროდ, არა რევოლუციური მთავრობის, არამედ მეფის მიერ, რომელსაც «ბოლო ვერ მოუღეს» ბერლინის გმირმა მუშებმა) წარმომადგენელთა სახალხო კრება საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე აგიტაციის შედარებითი თავისუფლების პირობებში.

მაშ დაე რევოლუციის ბურჟუაზიული გამცემლები წავიდნენ ამ მკვდრად შობილ სახელმწიფო სათათბიროში. რუსეთის პროლეტარიატი შეუდგება გაძლიერებულ აგიტაციას ჩვენი, რუსეთის, 1848 წლის 18 მარტის (ან უკეთ 1792 წლის 10 აგვისტოს) მომზადებას.

«პროლეტარი» № 14,
1905 წლის 29 (16) აგვისტო

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

შავი რაზმეები და აჯანყების ორგანიზაცია

ნიჟნი ნოვგოროდისა და ბალაშოვის ამბებმა საყოველთაო ყურადღება მიიპყრეს. წინა ნომერში ჩვენ ვრცლად მოვათავსეთ ნიჟნი ნოვგოროდის ხოცვა-ჟლეტის ამბავი, ამ ნომერში ვათავსებთ ბალაშოვის ამბავს. შავი რაზმების საგმირო საქმენი სულ უფრო ფართოვდება. სოციალ-დემოკრატიამ ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ მოვლენას რევოლუციური განვითარების საერთო მსვლელობაში. სამარიდან მიღებული კორესპონდენციის დამატებით აი კიდევ საინტერესო ფურცელი, გამოშვებული რსდმპ ბორისოგლებსკის ჯგუფის მიერ:

«ქ. ბორისოგლებსკის მუშებო და მცხოვრებნო! ბალაშოვისა და ნიჟნი ნოვგოროდის ისტორიამ, სადაც პოლიციამ დიდი ნიჭი გამოიჩინა ყველა სხვაგვარად მოაზროვნეთა ხოცვა-ჟლეტის მოწყობაში, ცხადყო თქვენთვის იმ მომენტის სერიოზულობა, რომელიც რევოლუციამ ჩვენს წინაშე წამოაყენა. სიტყვებისა და პლატონური კრიტიკის დრომ განვლო. მოვლენათა ძალით მთავრობა გვაიძულებს სიტყვებიდან საქმეზე გადავიდეთ. იგი ჩედავს, რომ რევოლუციური მოძრაობა გამოვიდა იმ მდგომარეობიდან, როცა მასთან ბრძოლას აქამდე მხოლოდ პოლიცია და ჟანდარმერია ეწეოდნენ. მთავრობამ იგრძნო, რომ «შინაურ მტერთან» ბრძოლაში შინაგან საქმეთა სამინისტროს რეგულარული ჯარები მას არ ეყოფა. «შინაურ მტრად», «მეამბოხეთ» გადაიქცა რუსეთის იმპერიის მთელი მოსახლეობა, და მთავრობაც იძულებულია რეგულარული არმიის რიგებში მოხალისეოლონტიორთა მიღება დაიწყოს. მაგრამ, როცა ჩვენმა მთავრობამ «სახელმწიფო სამსახურში» მასობრივად მიღებისათვის კარი გაუღო მაწანწალებს,

ხულიგნებს, ქორვაჭრებს და სხვა ამგვარ ფენას, რომელიც არავითარ ბიუროკრატიულ შეზღუდვას არ სცნობს, ის იძულებული გახდა შეეცვალა როგორც მასებზე ზედმოქმედების ძველისძველი ხერხები, ისე რევოლუციის წინააღმდეგ უშუალო ბრძოლის ძველისძველი კონსპირაციული ხერხებიც. რითაც დაშავდი, იმითვე იმკურნალეო. აქამდე ჩვენი მთავრობა მხოლოდ ებრძოდა ბეჭდვითს სიტყვას. ახლა იგი თვითონვე ბეჭდავს პროკლამაციებს «მოსკოვსკიე ვედომოსტი»ში», «რუსსკოე დელო»ში», «გრაჟდანინ»ში», «დენსა» და სხვა ოფიციალურ ორგანოებში. აქამდე ჩვენი მთავრობა მხოლოდ სდევნიდა აგიტატორებს ახლა იგი თვითონ გზავნის მღვდელმთავრებს, გენერლებს, შარაპოვებს, გრინგმუტებსა და სხვა აგიტატორებს ხალხში აგიტაციის გასაჩაღებლად. აქამდე ჩვენი მთავრობა მხოლოდ ახრჩობდა ორგანიზაციას. ახლა იგი თვითონ აწყობს რუსი ხალხის კავშირებს, პატრიოტთა ლიგებს, მონარქისტთა კავშირებს. აქამდე ჩვენს მთავრობას ჟრუანტელს გვრიდა აჯანყების ფიქრი. ახლა იგი თვითონ აწყობს შავი რაზმის აჯანყებებს, თვითონ იმედოვნებს სამოქალაქო ომი გაჩაღოს. მთავრობამ, თავზარდაცემულმა მომავალი რევოლუციით, თვითონვე მოჰკიდა ხელი მის იარაღს: ორგანიზაციას, პროპაგანდასა და აგიტაციას. ამ ორპირი იარაღის საშუალებით, შავი რაზმის საშუალებით მთავრობა აწყობს სახალხო აღშფოთების სცენებს, კონტრრევოლუციის სცენებს. განაპირა მხარეებში «კალმის ცდის» შემდეგ იგი გასტროლებს იწყებს რუსეთის ცენტრშიც. ამას წინათ ასეთი სცენების მოწმენი ვიყავით ნიჟნი ნოვგოროდსა და ბალაშოვში, და არ შეიძლება ითქვას, რომ თვითმპყრობელობას აქაც წარმატება არ ჰქონოდეს. ბრძოლის «რევოლუციური» ხერხები მარჯვე აღმოჩნდა: თვითმპყრობელობის მრავალი მტერი მოკლულია და ნაცემ-ნაგვემი, ხოლო მოსახლეობა ტერორიზებულია ჩვენი მთავრობის ამ კანონიერი ტერორით.

ეჭვს გარეშეა, ამას მოჰყვება ექსპერიმენტის შემდგომი გაფართოება. ზოგიერთი შავი რაზმის დაფნის გვირგვინი ძილს დაუფრთხობს სხვებს მანამდე, სანამ ისინიც არ ცდიან თავიანთ ძალებს. სადაც რევოლუციაა, იქ კონტრრევოლუციაც არის და, მაშასადამე, ბორისოგლებსკიც უნდა ემზადოს იმისათვის, რომ თავის თავზე გამოსცადოს შავრაზმული მიმართულების გამოჩენილ წარმომადგენელთა ორგანიზატორული ნიჭი. ჩვენ საფუძველი გვაქვს ბორისოგლებსკზეც მოველოდეთ როგორც ებრაელების, ისე მუშებისა და ინტელიგენტების რბევას, ამიტომ ბორისოგლებსკის ჯგუფი ზრუნავს, რომ მოვემზადოთ და სათანადო წინააღმდეგობა გავუწიოთ მთავრობის ყოველ «არალეგალურ ღონისძიებას» რევოლუციური მოძრაობის ჩასახშობად, იგი იწყებს ხელისმოწერას შეიარაღებული თავდაცვის მოწყობის სასარგებლოდ და მოუწოდებს ყველას, ვისი თანაგრძნობაც მთავრობისა და შავი რაზმის მხარეზე არ არის, დახმარება გაუწიოს ფულითა და იარაღით თავდაცვის წრეების მოწყობას».

მართლაც, სამოქალაქო ომს მოსახლეობას თვით მთავრობა ახვევს თავს. «მაწანწალებს, ხულიგნებსა და ქორვაჭრებს» მართლაც ილებენ სახელმწიფო სამსახურში. ასეთ პირობებში ოსვობოჟდენიელების ბურჟუაზიული სიტყვები აჯანყების ქადაგების დანაშაულობისა და სიგიჟის, თავდაცვის მოწყობის მავნებლობის შესახებ («ოსვობ.» № 74) არის უკვე არა მარტო უსაზღვრო პოლიტიკური უგვანობა, არა მარტო თვითმპყრობელობის გამართლება და (ფაქტიური) ლაქიობა «მოსკოვსკიე ვედომოსტის» მიმართ. არა, ეს სიტყვები, გარდა ამისა, ხდება უბრალო უსიცოცხლო ბუზღუნად ოსვობოჟდენიელური მუმიებისა, რომელთაც რევოლუციური მოძრაობა ულმობლად გადაისვრის ხოლმე «ცხოვრებიდან», აბარებს იშვიათ ნივთთა არქივს, რომელიც მათთვის ყველაზე შესაფერი ადგილია. თეორიული დავა აჯანყების აუცილებლობის შესახებ შეიძლება და უნდა ვაწარმოოთ კიდეც, ტაქტიკური რეზოლუციები ამ საკითხზე გულმოდგინედ უნდა მოვიფიქროთ და შევიმუშაოთ, მაგრამ ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ მოვლენათა სტიქიური მსვლელობა მძლავრად იკაფავს გზას, მიუხედავად ჭკუის ყოველგვარი ძალდატანებისა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყველა იმ უდიდეს წინააღმდეგობათა განვითარება. რომლებიც საუკუნეობით დაგროვდნენ რუსეთის ცხოვრებაში, ულმობელი ძალით მიმდინარეობს და ასპარეზზე გამოჰყავს ხალხის მასები, სანაგვეში ისვრის მკვდარ და უსიცოცხლო მოძღვრებებს მშვიდობიან პროგრესზე. სხვადასხვა ჯურის ოპორტუნისტებს უყვართ ჩვენთვის თქმა: ისწავლეთ ცხოვრებისაგანაო. სამწუხაროდ, ცხოვრება მათ ესმით მხოლოდ როგორც მშვიდობიანი პერიოდების, უძრაობის დროის ჭაობი, როცა ცხოვრება ძლივძლივობით მიჩოჩავს წინ. ისინი, ეს ბრმა ხალხი, მუდამ ჩამორჩებიან რევოლუციური ცხოვრების გაკვეთილებს. მათი მკვდარი დოქტრინები მუდამ ჩამორჩება რევოლუციის ბობოქარ ნაკადს, რომელიც ცხოვრების უღრმეს მოთხოვნებს გამოხატავს და ხალხის მასების ყველაზე ძირეულ ინტერესებს ეხება.

შეხედეთ, მაგალითად, რა სასაცილოა ახლა, ცხოვრების ამ გაკვეთილების წინაშე, სოციალ-დემოკრატიის ერთი ნაწილის გოდება აჯანყების შესახებ შეთქმულებითი შეხედულების საშიშროებაზე, მისი აუცილებლობის ვიწრო «იაკობინურ» შეფასებაზე, მომავალ პოლიტიკურ ამბებში მატერიალური ძალის მნიშვნელობისა და როლის გაზვიადებაზე. ეს გოდება ატყდა სწორედ იმის წინ, როცა აჯანყება უაღრესად ნამდვილ და სასიცოცხლო სახალხო მოთხოვნილებად გადაიქცა, როდესაც სწორედ მასა, რომელიც ყველაზე უფრო უფრთხის ყოველგვარ «შეთქმულებას», აჯანყებაში ჩაება შავი რაზმების საგმირო საქმეების წყალობით. ცუდ დოქტრინას საუცხოოდ ასწორებს კარგი რევოლუცია. ახალ «ისკრაში» თქვენ შეხვდებით უკბილო, წმინდა ბურენინისებურ ოხუნჯობას[68] (თუ ღვარძლიან ქირდვას?) იმის შესახებ, რომ სპეციალურ სამხედრო ბროშურაში იხილავენ რევოლუციის სამხედრო საკითხებს, თვით დღისა და ღამის იერიშების საკითხებსაც კი, ან იმის შესახებ, რომ საჭიროა ფიქრი აჯანყების შტაბის მთავარ ბინაზე, ორგანიზაციის «მორიგე» წევრთა დანიშვნაზე, რომლებსაც შეეძლებათ დროზე გაიგონ ყოველგვარი რბევის ამბავი, «მტრის» ყოველგვარი მოქმედება, დროზე მისცენ სათანადო განკარგულებანი ჩვენს მებრძოლ ძალებს, ორგანიზებულ რევოლუციურ პროლეტარიატს. და სწორედ ამ დროს, თითქოს საზღვარგარეთელ მენშევიკთა უსიცოცხლო დოქტრინის დასაცინად, ჩვენ ვხედავთ რუსეთის მენშევიკთა მოქმედებას. ჩვენ ვკითხულობთ ეკატერინოსლავის შესახებ (იხ. «პროლეტარის» № 13), რომ მშფოთვარე ამბების დროს (შავრაზმელთაგან რბევას მოელოდნენ! განა არის ახლა რუსეთში ისეთი ქალაქი ან დაბა, სადაც რაიმე ამის მსგავსს არ მოელიან?) მოხდა ბოლშევიკების შეთანხმება მენშევიკებთან და ბუნდთან. «ფულის ერთად შეგროვება შეიარაღებისათვის, მოქმედების საერთო გეგმა და სხვა». ხოლო როგორია ეს გეგმა, ეს იქიდან ჩანს, რომ, მაგალითად, ბრიანსკის ქარხანაში სოციალ-დემოკრატე-

ბი 500 კაცისაგან შემდგარ მიტინგზე მუშებს მოუწოდებდნენ წინააღმდეგობის გასაწევად. «შემდეგ ბრიანსკის ქარხნის ორგანიზებული მუშები საღამოს დააბინავეს რამდენიმე სახლში; დააყენეს პატრულები, დანიშნეს მთავარი შტაბი და სხვ., — ერთი სიტყვით, სრულიად მზად ვიყავით საბრძოლველადაო» (სხვათა შორის, ეს სამი ზემოთ დასახელებული ორგანიზაცია ერთმანეთს აცნობებდა «თვითეული ორგანიზაციის მთავარი შტაბის ადგილსამყოფელს»).

ახალისკრელი პუბლიცისტები ღვარძლიანად დასცინიან... თავიანთსავე საკუთარ ამხანაგ-პრაქტიკოსებს!

რამდენიც გინდათ დაიღრიჯეთ, ბატონებო, ღამის იერიშებისა და სხვა ასეთ ვიწრო ტაქტიკურ სამხედრო საკითხებზე, რამდენიც გინდათ იმანჭეთ სასწრაფო სამხედრო მოქმედების შემთხვევისთვის ორგანიზაციის მორიგე მდივნებისა ან საერთოდ ორგანიზაციის წევრების დანიშვნის «გეგმის» გამო, — ცხოვრებას მაინც თავისი გააქვს, რევოლუცია ასწავლის ყველაზე გაუსწორებელ პედანტებს, ახალისებს და აჯანჯღარებს მათ. სამოქალაქო ომის დროს ჩვენ გ ვ ი ხ დ ე ბ ა სამხედრო საკითხების შესწავლა, თვით უაღრესად დეტალურისაც კი, და მუშების ინტერესი ამ საკითხებისადმი — უაღრესად კანონიერი და უაღრესად ჯანსაღი მოვლენაა. უ ნ დ ა მოვაწყოთ მთავარი შტაბები (ან ორგანიზაციის წევრთა მორიგეობა). პატრულების გაწესრიგება, რაზმების დაბინავება — ყოველივე ეს წმინდა სამხედრო ფუნქციებია, ყოველივე ეს რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ა რ მ ი ი ს დაწყებითი ოპერაციებია, ყოველივე ეს არის შეიარაღებული აჯანყების ორგანიზაცია, ორგანიზაცია რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა, რომელიც ვაჟკაცდება და მტკიცდება ამ პატარ-პატარა სამზადისებით, ამ მსუბუქი შეტაკებებით, ცდის თავის ძალებს, სწავლობს ბრძოლას, ემზადება გამარჯვებისათვის, — მით უფრო მახლობელი, მით უფრო სარწმუნო გამარჯვებისათვის, რაც უფრო ღრმავდება საერთო პოლიტიკური კრიზისი, რაც უფრო ძლიერია მღელვარება, უკმაყოფილება და მერყეობა მეფის არმიის რიგებში.

ეკატერინოსლაველი და ბორისოგლებსკელი ამხანაგების მაგალითს უნდა მიჰბაძონ და კიდევაც მიჰბაძავენ სულ უფრო ფართო მასშტაბით ამხანაგი სოციალ-დემოკრატები მთელ რუსეთში. მოწოდება ფულით და იარაღით დახმარებისათვის სავსებით დროულია. სულ იზრდება და კიდევ უფრო გაიზრდება იმ ადამიანთა რიცხვი, რომელთათვისაც სრულიად უცხო იყო ყოველგვარი «გეგმა» და რევოლუციის ყოველგვარი იდეაც კი, რომლებიც ხედავენ, გრძნობენ შეიარაღებული ბრძოლის საჭიროებას, როცა უყურებენ უიარაღო მოქალაქეების მიმართ პოლიციის, კაზაკებისა და შავრაზმელთა ამ მხეცობას. არჩევანი არ არის, ყველა დანარჩენი გზა დახშულია. შეუძლებელია არ აღელდე იმით, რაც ახლა რუსეთში ხდება, არ იფიქრო ომსა და რევოლუციაზე, ხოლო ყველა, ვინც ღელავს, ფიქრობს, ინტერესს იჩენს, იძულებულია ჩადგეს ამა თუ იმ შეიარაღებულ ბანაკში. თქვენ გცემენ, დაგასახიჩრებენ და მოგკლავენ თქვენი არქიმშვიდობიანი და წვრილმანობამდე მისული ლეგალური მოქმედების მიუხედავად. რევოლუცია არა სცნობს ნეიტრალურთ. ბრძოლა უკვე გაჩაღდა. წარმოებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, — ბრძოლა მონობის, ბატონყმობის, თვითმპყრობელობის ძველ რუსეთსა და ახალ, ახალგაზრდა, სახალხო რუსეთს, მშრომელთა მასების რუსეთს შორის, იმ მასების, რომლებიც მიილტვიან სინათლისა და თავისუფლებისაკენ, რათა შემდეგ კიდევ და კიდევ დაიწყონ ბრძოლა ყოველგვარი ჩაგვრისაგან და ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან კაცობრიობის სრული განთავისუფლებისათვის.

მაშ დაე მალე დაჰკრას სახალხო შეიარაღებული აჯანყების ჟამმა!

«პროლეტარი» № 14,
1905 წ. 29 (16) აგვისტო

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

რედაქციის ბოლოსიტყვაობა სტატიისათვის «მესამე ყრილობა კავკასიელი მენშევიკების სამსჯავროს წინაშე»

გადმოვბეჭდეთ რა ეს სტატია რსდმპ კავკასიის კავშირის ორგანოდან («ბორბა პროლეტარიატა»[69] № 1, რუსულ ენაზე; სომხურ ენაზე გამოვიდა № 6, ქართულ ენაზე № 9), ჩვენი მხრივ აღვნიშნავთ, რომ კავკასიელმა მენშევიკებმა თითქმის პირველებმა გაილაშქრეს პრესაში არათუ უსაფუძვლო ლანძღვა-გინებით ყრილობის წინააღმდეგ (ახალი «ისკრის» ყაიდაზე), არამედ იმის ცდითაც, რომ სადავოდ გაეხადათ პარტიის ზუსტად გარკვეული კომიტეტების წარმომადგენლობა. კავკასიის კავშირმა თავის ორგანოში დინჯად და საფუძვლიანად გააბათილა მენშევიკების მოსაზრებები და ჩინებულად დაამტკიცა რსდმპ III ყრილობის სრული კანონიერება იმ შემთხვევაშიც კი, მენშევიკების მიერ სადავოდ გამოცხადებული ხუთი მანდატი რომ ნამდვილ მანდატებად არ ყოფილიყო აღიარებული.

«პროლეტარი» № 14,
1905 წ. 29 (16) აგვისტო

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

«ლიბერალური» ერობელები» უკვე უკან იხევენ?

ჩვენ ეს-ეს არის წავიკითხეთ ლიბერალურ-ბურჟუაზიული «ფრანკფურტის გაზეთის» პეტერბურგელი კორესპონდენტის ცნობა 8 (21) აგვისტოს თარიღით, რომ ერობათა და ქალაქთა მოღვაწეების ყრილობა, რომელიც, ივლისის ყრილობის გადაწყვეტილებით, ბულიგინის პროექტის გამოქვეყნებისთანავე უნდა შეკრებილიყო და რომელიც უკვე დანიშნული იყო აგვისტოს დამლევისათვის, ა რ შ ე ს დ გ ე ბ ა. როგორ ფიქრობთ, რატომ? იმიტომ, რომ მეფემ 6 აგვისტოს გააუქმა თავისი 1905 წლის 18 თებერვლის ბრძანება სენატისადმი! კორესპონდენტი დასძენს: «ერობელთა ასეთი სრულიად გაუგებარი (?? «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ს» რ ე დ ა ქ ც ი ა) სილაჩრე საერთო განცვიფრებას იწვევს აქაურ პოლიტიკურ წრეებში, რადგან დღევანდელ მომენტში ერობის მოღვაწეთაგან ასეთ სიძაბუნეს არ მოელოდნენ. ამიტომ ჩემ მიერ გადმოცემული ცნობა ჯერ კიდევ სავსებით არ სჯერათ და ჯერჯერობით ლონდინში არიან». ჩვენ დიდი ხანია ვწინასწარმეტყველებდით, რომ მთავრობას არ გაუძნელდებოდა ლიბერალური ბურჟუები თავის მხარეზე გადაებირებინა და აეძულებინა ისინი «განდგომოდნენ რევოლუციის საქმეს».

«პროლეტარი» № 14,
1905 წ. 29 (16) აგვისტო

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

მუშათა კლასი და რევოლუცია

1. დემოკრატიული და სოციალისტური გადატრიალება.
2. დემოკრატიული რევოლუციის ბურჟუაზიული ხასიათი. («ბურჟუაზიული და სოციალისტური რევოლუცია».)
3. სოციალ-დემოკრატიის, როგორც პროლეტარიატის დამოუკიდებელი კლასობრივი პარტიის, ამოცანები.
4. გლეხობის როლი დემოკრატიულ რევოლუციაში.
5. შეიარაღებული აჯანყება და რევოლუციური არმია.
6. რევოლუციური მთავრობა. მისი ამოცანები.
7. პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა.

1. α) მუშათა კლასის მიზნები. β) **სოციალ-დემოკრატია.** ჩვენი პროგრამა. γ) პროგრამა-maximum-ი და δ) minimum-ი. { მისი დახასიათება (6 მუხლი შეადარე*).} ε) დემოკრატიული და სოციალისტური გადატრიალება.
2. **ბურჟუაზიული და სოციალისტური რევოლუცია.** რატომ არის დემოკრატიული გადატრიალება ბურჟუაზიული? α) სასაქონლო და კაპიტალისტური წარმოება. β) ეკონომიური არსი. γ) კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია, მისი პროგრამა და მისი კლასობრივი არსი. **კლასობრივი პარტია.** საერობო ყრილობები, ინტელიგენტური კავშირები. ლეგარული პრესა. δ) ბურჟუაზიული რჩევა პროლეტარიატს: პროფესიული ბრძოლა და ა. შ.

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 218. რ ე დ.

3. დასკვნები ზემოხსენებულიდან. **დამოუკიდებელი კლასობრივი პარტია.** ორგანიზაცია — პროფესიული და პარტიული, სააგიტაციო და სამხედრო. მარქსიზმი: «დოქტრინა».
4. გლეხობის განსაკუთრებული ინტერესები. ბატონყმობის ნაშთები. რატომაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გლეხობის როლი დემოკრატიულ რევოლუციაში? «მიწის გადანაწილება», მისი მნიშვნელობა. გლეხები მუშათა ბუნებრივი მოკავშირეები არიან.

გლეხობის წვრილბურჟუაზიულობა.

5. აჯანყება. მორალური და მატერიალური ძალა.

ხალხის შეიარაღება. **სამხედრო** ორგანიზაცია (სამხედრო საკითხები და სხვ.). რევოლუციური არმია. (მაგალითი: ნიჟნი ნოვგოროდი და ეკატერინოსლავი) ((ყუმბარები, იარაღი)),

6. რევოლუციური მთავრობა, აჯანყების **ორგანო.** რევოლუციური მთავრობის და რევოლუციური ძალაუფლების მნიშვნელობა. რევოლუციურ მთავრობაში მონაწილეობა. რევოლუციური მთავრობის პროგრამა: **6 მუხლი. ევროპაში ცეცხლის დანთება.**
7. რა არის დიქტატურა? **კლასის** დიქტატურა და პიროვნების დიქტატურა. დემოკრატიული დიქტატურა. კლასები.

დაწერილია 1905 წლის აგვისტოს
პირველად დაიბეჭდა 1926 წელს
ლენინის კრებულში. V

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

წინასიტყვაობა ბროშურის «რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანების» მესამე გამოცემისათვის

ამ ბროშურის მესამე გამოცემა რუსეთის რევოლუციის განვითარების ისეთ მომენტში გამოდის, რომელიც არსებითად განსხვავდება 1897 წლისგან; როცა ეს ბროშურა დაიწერა, და 1902 წლისგანაც, როცა მისი მეორე გამოცემა გამოვიდა. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ბროშურა იძლევა საერთოდ სოციალ-დემოკრატიის ამოცანების მხოლოდ ზოგად მიმოხილვას და არა იმ თანამედროვე ამოცანების კონკრეტულად აღნიშვნას, რომლებიც შეეფერებიან მუშათა და რევოლუციური მოძრაობის ახლანდელ მდგომარეობას, აგრეთვე რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მდგომარეობასაც. ჩვენი პარტიის თანამედროვე ამოცანებს მე ვუძღვენი ბროშურა «სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში» (ჟენევა, 1905 წ.). ორივე ბროშურის შედარებით მკითხველებს შეუძლიათ განსაჯონ, თანამიმდევრობით ვითარდებოდა თუ არა ავტორის შეხედულებანი სოციალ-დემოკრატიის ზოგად ამოცანებზე და ახლანდელი მომენტის სპეციალურ ამოცანებზე. ასეთი შედარება რომ უსარგებლო არ არის, ამას, სხვათა შორის, გვიჩვენებს კადნიერი საქციელი ჩვენებური ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიის ბელადის ბ-ნ სტრუვესი, რომელმაც ამას წინათ «ოსვობოჟდენიეში» ბრალი დასდო რევოლუციურ სოციალ-

დემოკრატიას (რსდმპ III ყრილობის სახით) — ბუნტარულად და განყენებულ-რევოლუციურად აყენებს შეიარაღებული აჯანყების საკითხსაო. «პროლეტარში» ჩვენ უკვე აღვნიშნეთ (№ 9, «რევოლუცია გვასწავლის»): უბრალოდ რომ შევადაროთ ერთმანეთს «რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანები» (1897 წ.), «რა ვაკეთოთ?» (1902 წ.) და «პროლეტარი» (1905 წ.), უკვე ეს აბათილებს ოსვობოჟდენიელების ბრალდებას და ამტკიცებს კავშირის არსებობას აჯანყებაზე სოციალ-დემოკრატიულ შეხედულებათა განვითარებასა და რუსეთში რევოლუციური მოძრაობის განვითარებას შორის. ოსვობოჟდენიელების ბრალდება მხოლოდ ოპორტუნისტული ოინია ლიბერალური მონარქიის მომხრეებისა, რომლებიც ცდილობენ დაფარონ თავიანთი გამცემლობა რევოლუციის ბიმართ, ხალხის ინტერესების გამცემლობა, თავიანთი მისწრაფება — მოურიგდნენ მეფის ხელისუფლებას.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

1905 წ. აგვისტო.

პირველად დაიბეჭდა 1905 წლის შემოდგომაზე რსდმპ ც. კ.-ის მიერ გამოცემულ ბროშურაში

იბეჭდება ბროშურის ტექსტის მიხედვით

შენიშვნა პ. ნიკოლაევის ბროშურის გამო «რევოლუცია რუსეთში»[70]

ეს ბროშურა დაწერილია 6 აგვისტომდე. ახლა სახელმწიფო სათათბირო უკვე დაწესებულია. მუშათა კლასსა და მთელ ღარიბ ხალხს სრულიად არა აქვთ უფლება სათათბიროს წევრები აირჩიონ. მდიდარი მემამულეები და ვაჭრები სათათბიროს წევრებს საგუბერნიო ამომრჩევთა მეშვეობით ირჩევენ. გლეხები თვით საგუბერნიო ამომრჩევთაც კი არა პირდაპირ, არამედ სათემო კრებებზე არჩეულ სამაზრო ამომრჩევთა მეშვეობით ირჩევენ. არჩევნების თავისუფლების, პრესის, კრებების თავისუფლების ხსენებაც კი არ არის. პოლიცია სრულუფლებიანი რჩება. სათათბირო იღებს მთავრობისთვის სავალდებულო გადაწყვეტილებებს კი არა, არამედ მხოლოდ სათათბირო ხასიათისას, ე. ი. სათათბიროს სრულიად არავითარი ძალაუფლება არა აქვს.

პირველად დაიბეჭდა
1905 წლის შემოდგომაზე

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

მოუნარჩისტული ბურჟუაზიის კუდში ჩანჩალი თუ რევოლუციური პროლეტარიატისა და გლეხობის მეთაურობა?

სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა სახელმწიფო სათათბიროს მიმართ კვლავ დღის წესრიგში დგას; მას რევოლუციური ბრძოლის ყველა დანარჩენ საკითხთან შედარებით კვლავ პირველი ადგილი უჭირავს. უთანხმოებანი ამ ტაქტიკის გამო, რამაც თავი იჩინა რსდმპ ოპორტუნისტულ («ისკრა») და რევოლუციურ («პროლეტარი») ფრთას შორის, განხილულ უნდა იქნას უაღრესი გულმოდგინებით არა შარიანი პოლემიკის მიზნით (რაც ზოგჯერ შეხლა-შემოხლაში გადადის), არამედ იმ მიზნით, რომ საკითხი სავსებით იქნას გარკვეული და ადგილობრივ მუშაკებსაც დახმარება გაეწიოს რაც შეიძლება უფრო ზუსტი, გარკვეული და ერთიანი ლოზუნგების შემუშავებაში.

ჯერ ორიოდე სიტყვა ამ უთანხმოების წარმოშობის შესახებ. «პროლეტარის» მე-12 ნომერში, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ გამოვიდოდა კანონი სახელმწიფო სათათბიროს შესახებ, ჩვენ გადმოვეცით ჩვენი ტაქტიკისა და «ისკრასთან» ჩვენი უთანხმოების საფუძვლები. ჩვენ მოვითხოვდით: 1) ბოიკოტის იდეისთვის მხარისდაჭერას აგიტაციის გაძლიერებისა და ხალხისადმი მიმართვის აზრით, პროლეტარიატის მხრივ ბურჟუაზიული დემოკრატიის მემარცხენე ფრთის მხარისდაჭერისა და მისი მემარჯვენე ფრთის გამცემლობის განუხრელი მხილების აზრით; 2) უსათუოდ აქტიურ ბოიკოტს და არა «პა-

სიურ განდგომას», ე. ი. მოვითხოვდით «აგიტაციის გაათკეცებას», «საარჩევნო კრებებზე ძალით შეჭრასაც კი», და, ბოლოს, 3) «აგიტაციის გარკვეულ, ზუსტ და პირდაპირ ლოზუნგს», სახელდობრ: შეიარაღებული აჯანყება, რევოლუციური არმია, დროებითი რევოლუციური მთავრობა. ჩვენ გადაჭრით უარვყავით «ისკრის» (№ 106) ლოზუნგი: «რევოლუციური თვითმმართველობის ორგანიზაცია», როგორც აბნეული და ოსვობოჟდენიელებისათვის, ე. ი. მონარქისტული ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელი. ამავე დროს, თითქოს ვიგრძენითო, რომ «ისკრა» კვლავ «მოამრავლებდა» უთანხმოებას, წინასწარ განვაცხადეთ, რომ ჩვენ ვეთანხმებით «ისკრის» მხრივ პასიური ბოიკოტის იდეის დაგმობას.

ამიტომ, თუ ახლა «ისკრა» 108-ე ნომერში რაღაც გადაკვრით ლაპარაკობს «ჩაურევლობის», «აბსენტეიზმის», «თავშეკავების», «გულზე ხელდაკრეფის» და სხვა ამგვარ თეორიაზე, ჩვენ უწინარეს ყოვლისა განზე ვდებთ ასეთ «საწინააღმდეგო მოსაზრებებს», ვინაიდან ეს არის არა პოლემიკა, არამედ მხოლოდ ოპონენტის «დაკაწვრის» ცდა. «პოლემიკის» ასეთი ხერხებით — რაც გვირგვინდება ინსინუაციით, თითქოს ზოგიერთ ბელადს თვითონ სურდა დროებითს მთავრობაში მოხვედრილიყო, — ახალმა «ისკრამ» უკვე დიდი ხანია სოციალ-დემოკრატიის უფართოეს წრეებში სრულიად გარკვეული დამოკიდებულება გამოიწვია თავისადმი.

ამრიგად, უთანხმოების არსი იმით გამოიხატა, რომ «ისკრა» არ ეთანხმება აგიტაციის ჩვენს ლოზუნგს, რომელსაც ჩვენ ცენტრალურ ლოზუნგად ვთვლით (შეიარაღებული აჯანყება, რევოლუციური არმია, დროებითი რევოლუციური მთავრობა). «პროლეტარს» კი უთუოდ შეუწყნარებლად მიაჩნია «აჯანყების ლოზუნგი დაჩრდილოს ან თუნდაც უკან გადასწიოს რევოლუციური თვითმმართველობის ორგანიზაციის ლოზუნგმა» («პროლეტარის» № 12). უთანხმოების ყველა დანარჩენი მუხლი შედარებით უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანია. პირიქით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, შემდეგ, ის

გარემოება, რომ «ისკრა» 108-ე ნომერში უკვე იწყებს (რაც მას არა ერთხელ დამართნია) უკანდახევას, კუდის ქნევას, თავდაძვრენას: რევოლუციური თვითმმართველობის ორგანიზაციის ლოზუნგს ის უმატებს «ხალხის მასების აქტიური საბრძოლო გამოსვლების ლოზუნგს» (რით განსხვავდება ეს შეიარაღებული აჯანყებისაგან, ალაჰმა უწყის). «ისკრა» იქამდეც კი მიდის, რომ ამბობს, «რევოლუციური თვითმმართველობის ორგანიზაცია ეს არის სწორედ საყოველთაო სახალხო აჯანყების ნამდვილი «ორგანიზაციის» ერთადერთი საშუალებაო». «ისკრის» № 108 დათარიღებულია 13 (26) აგვისტოთი, ხოლო 24 აგვისტოს ახ. სტ. ვენის «მუშათა გაზეთში» გამოქვეყნდა ამხ. მარტოვის სტატია, რომელშიც «ისკრის» «გეგმა» სავსებით 106-ე ნომრის მიხედვითაა გადმოცემული და არა № 108-ე ნომრის «შესწორებათა» მიხედვით. ამხ. მარტოვის ამ საგულისხმო სტატიის მთავარ ნაწილს ჩვენ ქვემოთ * ვთარგმნით, როგორც «სოციალ-დემოკრატიული მანილოვობის» ნიმუშს.

ვცადოთ გავერკვეთ ამ დომხალში.

საქმის ვითარების გასარკვევად უწინარეს ყოვლისა აუცილებელია გავითვალისწინოთ, რა ძალები და სახელდობრ როგორ «ქმნიან» რუსეთის რევოლუციის «ისტორიას» დღევანდელ მომენტში. თვითმპყრობელობამ მიიღო ხალხთან მეფის «თათბირის» თეორია. თვითმპყრობელობას სურს თათბირის გამართვა პოლიციის მეთვალყურეობით გაცხრილულ მემამულეთა და მედუქნეთა ერთ მუჭა წარმომადგენლებთან და გააფთრებული მძვინვარებით იწყებს რევოლუციის ჩახშობას. მონარქისტული ბურჟუაზიის უფრო ფართო წრეები ემხრობიან ხალხთან მეფის შეთანხმების თეორიას (ოსვობოჟდენიელები ანუ კონსტიტუციურ-«დემოკრატიული» პარტია). ბურჟუაზია ამ თეორიით გამოხატავს თავის გამცემლობას რევოლუციის მიმართ, მზადყოფნას ჯერ მხარი დაუჭიროს რე-

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 269 — 272. რ ე დ.

ვოლუციას, ხოლო შემდეგ მის წინააღმდეგ რეაქციას შეუერთდეს. რევოლუციური პროლეტარიატი, რამდენადაც მას სოციალ-დემოკრატია ხელმძღვანელობს, მოითხოვს ხალხის თვითმპყრობელობას, ე. ი. რეაქციის ძალების სრულიად განადგურებას და უწინარეს ყოვლისა მეფის მთავრობის ფაქტიურ დამხობას და დროებითი რევოლუციური მთავრობით შეცვლას. პროლეტარიატი მიისწრაფის (ხშირად შეუგნებლად, მაგრამ განუხრელად და ენერგიულად) იქით, რომ მიიმხროს გლეხობა და მისი დახმარებით რევოლუცია სრულ გამარჯვებამდე მიიყვანოს, მიუხედავად ბურჟუაზიის მერყეობისა და გამცემლობისა.

სახელმწიფო სათათბირო, უეჭველად, დათმობაა რევოლუციისადმი, მაგრამ დათმობა იმ მიზნით (ეს კიდევ უფრო მეტად უეჭველია), რომ ჩაახშონ რევოლუცია და არ მოგვცენ კონსტიტუცია. ბურჟუაზიულ «შემთანხმებლებს» სურთ კონსტიტუცია მოიპოვონ რევოლუციის ჩახშობის მიზნით; ბ-მა ვინოგრადოვმა («რუსსკიე ვედომოსტიში») ლიბერალური ბურჟუაზიის ეს მისწრაფება, რომელიც გარდუვალად გამომდინარეობს მისი კლასობრივი მდგომარეობიდან, განსაკუთრებული სიცხადით გამოხატა.

ახლა იბადება კითხვა: რა მნიშვნელობა აქვს, საქმის ასეთ ვითარებაში, სათათბიროსთვის ბოიკოტის გამოცხადების გადაწყვეტილებას, რომელიც მიიღო «კავშირთა კავშირმა» (იხ. «პროლეტარი» № 14), ე. ი. ბურჟუაზიული ინტელიგენციის ყველაზე ფართო ორგანიზაციამ? ბურჟუაზიულ ინტელიგენციასაც, საერთოდ და მთლიანად, «შეთანხმება» სურს. ამიტომ ისიც ყოყმანობს, როგორც უკვე არა ერთხელ აღუნიშნავს «პროლეტარს», რეაქციასა და რევოლუციას შორის, ვაჭრობასა და ბრძოლას შორის, მეფესთან მორიგებასა და მეფის წინააღმდეგ აჯანყებას შორის. ეს სხვანაირად შეუძლებელიცაა ბურჟუაზიული ინტელიგენციის კლასობრივი მდგომარეობის გამო. მაგრამ შეცდომა იქნებოდა იმის დავიწყება, რომ ამ ინტელიგენციას მეტი უნარი შესწევს გამოხატოს

ბურჟუაზიის მთელი კლასის ფართოდ გაგებული, არსებითი ინტერესები, ამავე ბურჟუაზიის მხოლოდ «ზედაფენების» დროებითი და ვიწრო ინტერესებისაგან განსხვავებით. ინტელიგენციას მეტი უნარი შესწევს გამოხატოს წვრილი ბურჟუაზიისა და გლეხობის ფართო მასების ინტერესები. ამიტომ მას, მთელი მისი მერყეობის მიუხედავად, მეტი უნარი შესწევს თვითმპყრობელობასთან რევოლუციური ბრძოლისა, და ხალხთან დაახლოების შემთხვევაში მას შეუძლია დიდი ძალა გახდეს ამ ბრძოლაში. თავისთავად უძლურს, მას შეეძლო წვრილი ბურჟუებისა და გლეხების ფრიად მნიშვნელოვანი ფენებისათვის მიეცა სწორედ ის, რაც მათ აკლიათ: ცოდნა, პროგრამა, ხელმძღვანელობა, ორგანიზაცია.

მაშასადამე, არსი «ბოიკოტის» იდეისა, როგორც ის წარმოიშვა «კავშირთა კავშირში», ის არის, რომ მსხვილი ბურჟუაზიის პირველმა ნაბიჯმა თათბირი-საკენ—მეფესთან შეთანხმებისაკენ გარდუვალად გამოიწვია წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის პირველი ნაბიჯი რევოლუციურ ხალხთან დაახლოებისაკენ. მემამულეები და კაპიტალისტები მარჯვნივ გადაიხარნენ, ბურჟუაზიული ინტელიგენცია, წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენელი, მარცხნივ გადაიხარა. პირველნი მეფესთან მიდიან და თან სულაც არ იღებენ ხელს იმაზე, რომ არა ერთხელ დაემუქრონ მას ხალხის ძლიერებით. მეორენი საგონებელში არიან, ხომ არ წავიდენ ხალხთან, და თან საბოლოოდ ვერ წყვეტენ კავშირს «შეთანხმების» თეორიასთან და სავსებით ვერ დგებიან რევოლუციურ გზაზე.

აი რაში მდგომარეობს არსი ბოიკოტის იდეისა, რომელიც, როგორც «პროლეტარის» მე-12 ნომერში აღვნიშნეთ, წარმოიშვა ბურჟუაზიული დემოკრატიის შიგნით. მხოლოდ ძალიან ბევ და ზერელე ადამიანებს შეეძლოთ დაენახათ ამ იდეაში

ჩაურევლობა, აბსენტეიზმი, თავშეკავება და სხვა. ბურჟუაზიულ ინტელიგენციას თ ა ვ შესაკავებელი არაფერი აქვს, ვინაიდან მაღალი ცენზი თვითონ აკავებს მას განზე სახელმწიფო სათათბიროსაგან. ბურჟუაზიული ინტელიგენცია თავის რეზოლუციაში ბოიკოტის შესახებ პირველ რიგში აყენებს «ქვეყნის ყველა დემოკრატიული ელემენტის მობილიზაციას». ბურჟუაზიული ინტელიგენცია ოსვობოჟდენიელური, კონსტიტუციურ-«დემოკრატიული» პარტიის ყველაზე მოქმედი, გაბედული და მებრძოლი ელემენტია. ბოიკოტის იდეის გამო ამ ინტელიგენციისთვის თავშეკავებისა და სხვათა დაბრალება ან უარისთქმა ამ ინტელიგენციისათვის მისი იდეის მხარდაჭერასა და მ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა ზ ე — ეს ნიშნავს, სიბეცის გამო, ხელი შევუწყოთ მსხვილ მონარქისტულ ბურჟუაზიას, რომლის ორგანო «ოსვობოჟდენიე» უმიზნოდ არ ებრძვის ბოიკოტის იდეას.

ზემომოყვანილი შეხედულების სისწორეს, ზოგად და ძირითად მოსაზრებათა გარდა, ადასტურებს ბ-ნ ს. ს.-ს [71] საგულისხმო აღიარება «ოსვობოჟდენიეს» 75-ე ნომერში. უაღრესად საგულისხმოა, რომ ბ-ნი ს. ს. ბოიკოტის იდეის მომხრეებს აკუთვნებს რადიკალურ, ხოლო მოწინააღმდეგეებს — «ზომიერ» ჯგუფს. პირველთ ის ბრალად სდებს «ნაროდოვოლჩესტვობას», «აქტიური რევოლუციური ჯგუფების» შეცდომათა განმეორებას (ეს ბრალდება სასახელოა იმისთვის, ვის წინააღმდეგაც მას «ოსვობოჟდენიე» აყენებს); მეორეთა შესახებ ის პირდაპირ ამბობს, ისინი ორ ცეცხლს შუა არიანო: თვითმპყრობელობასა და «სოციალურ (sic! *) რევოლუციას» შუაო, მასთან საბრალო ბ-მა ს. ს.-მ შიშით კინაღამ ერთმანეთში აურია დემოკრატიული რესპუბლიკა და სოციალური რევოლუცია! ბ-ნ ს. ს.-ს ყველაზე საგულისხმო აზრი კი შემდეგია: რადიკალებისათვის — ამბობს ის, ერთმანეთს ადარებს რა «კავშირთა კავშირის» ყრილობას და ერობის

* ასეა! რ ე დ.

მოღვაწეთა ყრილობას — «სიმძიმის ცენტრი უცილობლად (უსმინეთ!) არჩევნების სისტემის შეცვლის მოთხოვნაში იყო, მაშინ როდესაც უფრო ზომიერი ჯგუფისთვის მთავარი ინტერესი სათათბიროს უფლებათა გაფართოებაში მდგომარეობდა».

ამით ყველაფერია ნათქვამი. ბ-მა ს. ს.-მ წამოაყრანტალა მემამულეებისა და კაპიტალისტების იდუმალი «ზრახვები», რომლებიც ჩვენ ათასჯერ გვიმხილებია. მათთვის «მთავარ ინტერესს» წარმოადგენს არა ხალხის მიზიდვა არჩევნებში (მათ ამის ეშინიათ), არამედ სათათბიროს უფლებათა გაფართოება, ე. ი. მსხვილბურჟუაზიული კრების გადაქცევა კანონსათათბირო კრების ნაცვლად საკანონმდებლო კრებად. აი სად მარხია ძაღლის თავი. მსხვილი ბურჟუაზია ვერასდროს ვერ დაკმაყოფილდება კანონსათათბირო კრებით. აქედან წარმოდგება კონსტიტუციური კონფლიქტების აუცილებლობა სახელმწიფო სათათბიროში. მაგრამ მსხვილი ბურჟუაზია ვერასდროს ვერ გახდება ხალხის თვითმპყრობელობის საიმედო და ერთგული მომხრე. ის ყოველთვის შეეცდება ერთი ხელით მიიღოს კონსტიტუცია (თავისთვის), ხოლო მეორე ხელით უფლებები წაართვას ხალხს ანდა წინააღმდეგობა გაუწიოს ხალხის უფლებების გაფართოებას. მსხვილ ბურჟუაზიას არ შეუძლია არ მიისწრაფოდეს ისეთი კონსტიტუციისაკენ, რომელიც მსხვილი ბურჟუაზიის პრივილეგიებს უზრუნველყოფს. რადიკალურ ინტელიგენციას არ შეუძლია არ მიისწრაფოდეს წვრილი ბურჟუაზიისა და გლეხობის უფრო ფართო ფენების ინტერესების გამოხატვისაკენ. ბურჟუაზიული დემოკრატიის მემარჯვენე ფრთამ, «დღევანდელი კვერცხი» რომ მიიღო, მყისვე «დაჭკვიანება» იწყო და, როგორც დავინახეთ, უკვე უარს ამბობს «არალეგალურ» ყრილობებზე. მემარცხენე ფრთამ დაინახა, რომ მას ჭინჭრაქაც არ ერგო, რომ მემამულეები და კაპიტალისტები, გამოიყენეს რა «მე-3 ელემენტის» სამსახური (აგიტაცია, პროპაგანდა, პრესის ორგანიზაცია და სხვ.), მზად არიან უღალატონ მათ და სახელმწიფო

სათათბიროში მთელი ძალღონე მიმართონ არა ხალხის უფლებების, არამედ საკუთარი, ხალხის საწინააღმდეგო უფლებების დასაცავად. და აი, როცა ბურჟუაზიულმა ინტელიგენციამ გამცემლობის დასაწყისი იგრძნო, ის სამარცხვინო დაღს აკრავს საზელმწიფო სათათბიროს, როგორც მთავრობის მხრივ, რუსეთის ყველა ეროვნების «თავხედურ გამოწვევას», ბოიკოტს უცხადებს მას და გვირჩევს «დემოკრატიული ელემენტების მობილიზაცია» მოვახდინოთ.

საქმის ასეთი ვითარების დროს ბოიკოტის იდეის წინააღმდეგ გალაშქრება ს.-დ. მხრივ პოლიტიკურ მიამიტთა როლში გამოსვლას ნიშნავდა. რევოლუციური პროლეტარიატის უტყუარმა კლასობრივმა ინსტინქტმა რუსეთის ამხანაგების უმრავლესობას ა ქ ტ ი უ რ ი ბოიკოტის იდეა უკარნახა. ეს კი ნიშნავს: მხარი დაუჭირო მემარცხენე ფრთას და შ ე ნ ს კ ე ნ მ ი ი ზ ი დ ო, ეცადო გამოჰყო რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს ელემენტები, რათა მათთან ერთად ეკვეთო თვითმპყრობელობას. რადიკალურმა ინტელიგენციამ თითი გამოგვიწოდა, — ჩაეჭიდე მთელ ხელს! თუ ბოიკოტი კვეხნა არაა, თუ მობილიზაცია ლიტონი სიტყვა არაა, თუ თავხედური გამოწვევით აღშფოთება მსახიობობა არაა, — მაშინ კავშირი უნდა გასწყვიტოთ «შემთანხმებლებთან», მიემხროთ ხალხის თვითმპყრობელობის თეორიას, მიიღოთ, ს ა ქ მ ი თ მიიღოთ რევოლუციური დემოკრატიის ერთადერთი თანამიმდევრული და მთლიანი ლოზუნგები: შეიარაღებული აჯანყება, რევოლუციური არმია, დროებითი რევოლუციური მთავრობა. შეიერთოთ ისინი, ვინც საქმით იღებს ამ ლოზუნგებს, მთელი ხალხის წინაშე თავსლაფი დაასხათ იმათ, ვინც «შემთანხმებელთა» მხარეზე რჩება,—ასეთია რევოლუციური პროლეტარიატის ერთადერთი სწორი ტაქტიკა.

ჩვენს ახალისკრელებს გამოეპარათ ბოიკოტის იდეის კლასობრივი წარმოშობაც და რეალური პოლიტიკური მნიშვნელობაც და ასტეხეს სროლა... ჰაერში. ამხ. ჩერევანინი 108-ე ნომერში წერს: «როგორც დონის კომიტეტისა და ს.-პეტერ-

ბურგის ჯგუფის ფურცლებიდან ჩანს, ორივე ეს ორგანიზაცია» (NB *: მ ე ნ შ ე ვ ი კ უ რ ი. «პროლეტარის» რედაქციის შენიშვნა) «ბოიკოტს ემხრობა. ასეთი სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობა მათ სამარცხვინოდ, რევოლუციის საქმის ღალატად მიაჩნიათ და წინდაწინ აკრავენ სამარცხვინო ბოძზე იმ ლიბერალებს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ არჩევნებში. ა მ რ ი გ ა დ, ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ა თ ა თ ბ ი რ ო ს გ ა დ ა ქ ც ე ვ ა დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ი ა რ ა ღ ა დ გ ა მ ო რ ი ც ხ უ ლ ი ა დ ა, ც ხ ა დ ი ა, ა ქ ე თ კ ე ნ მ ი მ ა რ თ უ ლ ი ა გ ი ტ ა ც ი ა ც უ ა რ ყ ო ფ ი ლ ი ა». ჩვენ მიერ ხაზგასმული სიტყვები ცხადყოფენ სწორედ ახლა აღნიშნულ შეცდომას. ისინი ხომ, ვინც «ჩაურევლობის» წინააღმდეგ ლაპარაკობს, მხოლოდ ჩ რ დ ი ლ ა ვ ე ნ მართლაც მნიშვნელოვან საკითხს ჩარევის ს ა შ უ ა ლ ე ბ ა თ ა შესახებ. არსებობს ჩარევის ორი საშუალება, ლოზუნგების ორი ტიპი. პირველი საშუალება: «აგიტაციის გაათკეცება, კრებების მოწყობა ყველგან, სადაც კი შესაძლებელია, საარჩევნო კრებების გამოყენება თუნდაც მათში ძალით შეჭრა გახდეს საჭირო, დემონსტრაციების, პოლიტიკური გაფიცვების მოწყობა და სხვ. და ა. შ.» («პროლეტარი» № 12). ა მ საა გ ი ტ ა ც ი ო კ ა მ პ ა ნ ი ი ს ლ ო ზ უ ნ გ ე ბ ი ჩ ვ ე ნ უ კ ვ ე გ ა ნ ვ ი ხ ი ლ ე თ. მეორე საშუალებაა: «სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობის მიღების რევოლუციური ვალდებულება იკისრო იმ მიზნით, რომ შეეცადო გადააქციო იგი რევოლუციურ კრებად, რომელიც დაამხობს თვითმპყრობელობას და მოიწვევს დამფუძნებელ კრებას» (იხ. ამხ. ჩერევანინი «ისკრის» № 108-ში), ან «ზეგავლენა მოახდინო ამრჩევლებზე იმ მხრივ, რომ სათათბიროში აირჩიონ დემოკრატიული და თავისუფალი წარმომადგენლობის მხოლოდ მტკიცე მომხრეები» (ამხ. მარტოვი ვენის «მუშათა გაზეთში»).

---

* — Nota bene — დაიხსომეთ. რ ე დ.

აი საშუალებათა ეს განსხვავება ასახავს სწორედ სოციალ-დემოკრატიის «ორი ტაქტიკის» განსხვავებას. სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტული ფრთა მუდამ იქით იხრება, რომ «ზეგავლენა» მოახდინოს ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე მისი მხრით ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ა თ ა გ ა ნ ა ღ დ ე ბ ი ს საშუალებით. სოციალ-დემოკრატიის რევოლუციური ფრთა «გავლენას» ახდენს ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე და მარცხნივ უბიძგებს მას ი მ ი თ, რ ო მ გ მ ო ბ ს მ ა ს მ ა რ ჯ ვ ნ ი ვ გ ა დ ა ხ ვ ე ვ ი ს ა თ ვ ი ს, იმით, რომ მასაში გადამწყვეტი რევოლუციის ლოზუნგებს ავრცელებს. «ვალდებულებათა განაღდების» თეორია, სტაროვერის ლ ა კ მ უ ს ი ს ქ ა ღ ა ლ დ ი ს ეს ცნობილი თეორია, უდიდესი გულუბრყვილობაა, რომელსაც შეუძლია მხოლოდ შფოთის თესვა პროლეტარიატში და მისი გარყვნა. ვის წარუდგენს ამხ. ჩერევანინი განანაღდებლად მის მიერ მიღებულ «ვალდებულებას»? უფალ ღმერთს ხომ არა? ნუთუ ამხ. ჩერევანინმა არ იცის, რომ კლასის მატერიალური ინტერესების გავლენით ყ ო ვ ე ლ ა დ ა ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ვალდებულება გაქრება? ნუთუ ბალღობა არ არის იმავე ამხ. ჩერევანინის აზრი «იმპერატიული მანდატების» საშუალებით დაუკავშიროს სახელმწიფო სათათბიროს ბურჟუაზიული დეპუტატები რევოლუციურ პროლეტარიატს? ამხ. მარტოვს რომ ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ დაეწყო თავისი გეგმის განხორციელება, მას უნდა გ ა ნ ე ც ხ ა დ ე ბ ი ნ ა მუშათა კლასის წინაშე, რომ მემამულეთა ამა თუ იმ კრების მონაწილე N.N. ან M.M. «თავისუფალი და დემოკრატიული წარმომადგენლობის მედგარი მომხრეები» არიანო! ასეთი განცხადებებით გამოსვლა უდიდესი პოლიტიკური გარყვნილების შეტანა იქნებოდა!

დაიხსომეთ კიდევ შემდეგი: ბატონ პეტრუნკევიჩების, როდიჩევებისა და tutti quanti * ყველა ამ «რევოლუციურ ვალდებულებას», ყველა ამ «იმპერატიულ მანდატს», ყველა ამ ხელწერილს «დემოკრატიული და თავისუფალი წარ-

* — და მათ მსგავსთა. რ ე დ.

მომადგენლობისთვის გადაჭრით მხარისდაჭერის» შესახებ (განა შეიძლება ამაზე უფრო ზოგადი, გაურკვეველი, ბუნდოვანი ტერმინის არჩევა?) აიღებდნენ და გასცემდნენ სოციალ-დემოკრატიის სახელით პროლეტარიატის ზურგს უკან. ამის აშკარად გაკეთება ხომ შეუძლებელია; აშკარა აგიტაციის დროსაც კი თავისუფალ ქვეყნებში პოლიტიკური მოღვაწენი იმდენად კერძო გარიგებებით კი არ კისრულობენ ვალდებულებებს, რამდენადაც პარტიათა პროგრამებით, ხოლო ჩვენ ხომ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დროს არა გვაქვს და არც გვექნება გარკვეული და ჩამოყალიბებული პარტიები! აბა ერთი შეხედეთ, ამხანაგო ახალისკრელებო, კვლავ როგორ ჩაეფალით ჭაობში: სიტყვიერად ენაზე სულ «მასა» გაკერიათ — «მასის წინაშე», «მასის მონაწილეობით», «მასის თვითმოქმედება», საქმით კი თქვენი «გეგმა» წარმოადგენს საიდუმლო გარიგებას იმის შესახებ, რომ ბატონი პეტრუნკევიჩი ვალდებულია იყოს არა რევოლუციის მოღალატე, არამედ მისი «მედგარი» მომხრე!

ახალისკრელებმა თვითონ მიიყვანეს თავიანთი თავი აბსურდამდე. რუსეთში არავინ და არსად, თვით მათი მომხრეებიც კი, არ იფიქრებენ იკისრონ ასეთი უაზრო «რევოლუციური ვალდებულებანი». არა. ჩარევა ასე როდი უნდა. ჩარევა საჭიროა შეთანხმების თეორიისა და ბურჟუაზიული შემთანხმებლების, ყველა ამ პეტრუნკევიჩებისა და სხვათა დაუნდობლად დაგმობით. მათი მხრივ რევოლუციის ბურჟუაზიული ღალატის მხილება, რევოლუციური ძალების გაერთიანება თვითმპყრობელობის წინააღმდეგ (ყოველ შემთხვევისთვის სათათბიროს წინააღმდეგაც) აჯანყების მოსაწყობად — აი ერთადერთი საშუალება რეალურად «მოახდინო ზეგავლენა» სათათბიროზე, რეალურად ამზადო რევოლუციის გამარჯვება. მხოლოდ ამ ლოზუნგით უნდა ჩავერიოთ ჩვენ საარჩევნო აგიტაციაში, არა საარჩევნო მანევრების, გარიგებების, ვალდებულებები-

სათვის, არამედ აჯანყების საქადაგებლად. მხოლოდ შეიარაღებული ხალხის რეალური ძალა მოგვცემს შესაძლებლობას რევოლუციის სასარგებლოდ (და არა ვიწრობურჟუაზიული კონსტიტუციის სასარგებლოდ) გამოვიყენოთ სახელმწიფო სათათბიროს შიგნით ან მეფესთან სახელმწიფო სათათბიროს შესაძლებელი და მოსალოდნელი მომავალი კონფლიქტები. ნაკლები ნდობა სახელმწიფო სათათბიროს, მეტი ნდობა, ბატონებო, იმ პროლეტარიატის ძალებს, რომელიც იარაღს ისხამს!

ჩვენ ახლა მივადექით ლოზუნგს: რევოლუციური თვითმმართველობის ორგანიზაცია. განვიხილოთ ეს ლოზუნგი უფრო გულდასმით.

ჯერ-ერთი, წმინდა თეორიულად სწორი არ არის პირველ რიგში წამოვაყენოთ რევოლუციური თვითმმართველობის ლოზუნგი ნაცვლად ხალხის თვითმპყრობელობის ლოზუნგისა. პირველი ეხება მართვა-გამგეობას, მეორე — სახელმწიფოს მოწყობას. ამიტომ პირველი ეთავსება «შეთანხმების» გამცემლურ ბურჟუაზიულ თეორიას (თვითმმართველი ხალხი მეფის მეთაურობით, რომელიც «კი არ განაგებს, არამედ მეფობს»), მეორე უცილობლად შეუთავსებელია მასთან. პირველი მისაღებია ოსვობოჟდენიელებისათვის, მეორე — მიუღებელია.

მეორე, რევოლუციური თვითმმართველობის ორგანიზაციის გაიგივება საყოველთაო სახალხო აჯანყების ორგანიზაციასთან სავსებით უაზრობაა. აჯანყება არის სამოქალაქო ომი, ომი კი არმიას საჭიროებს. ამავე დროს თვითმმართველობა თავისთავად არმიას არ საჭიროებს. არის ისეთი ქვეყნები, სადაც თვითმმართველობა არსებობს, მაგრამ არმია არ არის. რევოლუციური თვითმმართველობაც არ საჭიროებს რევოლუციურ არმიას იქ, სადაც რევოლუცია ნორვეგიის ტიპის მიხედვით ხდება: მეფე «დაითხოვეს» და ხალხის დაკითხვა ჩაატარეს. მაგრამ როცა ხალხს ჩაგრავს დესპოტიზმი, რომელიც არმიას ეყრდნობა და სამოქალაქო ომს იწყებს, — მაშინ

რევოლუციური თვითმმართველობისა და რევოლუციური არმიის გაიგივება, პირველის წინ წამოწევა და მეორის მიჩქმალვა პირდაპირ ენით გამოუთქმელი უგვანობაა, რომელიც გამოხატავს ან რევოლუციის ღალატს, ან უკიდურეს მოუფიქრებლობას.

მესამე, ისტორიაც ადასტურებს იმ, ისედაც თავისთავად ცხად ჭეშმარიტებას, რომ მხოლოდ აჯანყების სრული და გადამწყვეტი გამარჯვება სავსებით უზრუნველყოფს ნამდვილი თვითმმართველობის ორგანიზაციის შესაძლებლობას. განა საფრანგეთში შესაძლებელი იქნებოდა მუნიციპალური რევოლუცია 1789 წლის ივლისში, 14 ივლისს ამხედრებულ და შეიარაღებულ. პარიზს რომ არ დაემარცხებინა მეფის ჯარები, არ აეღო ბასტილია, ძირშივე არ ჩაეკლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგობა? შეიძლება, ახალისკრელებმა დაიმოწმონ ქალაქ მონპელიეს მაგალითი, სადაც მუნიციპალური რევოლუცია, რევოლუციური თვითმმართველობის ორგანიზაცია მშვიდობიანად მოხდა, სადაც კენჭისყრით მადლობა გამოუცხადეს კიდეც ინტენდანტს იმ თავაზიანობისათვის, რომელიც მან გამოიჩინა საკუთარი თავის გადაყენების საქმეში? იქნებ ახალი «ისკრა» მოელის, რომ სათათბიროს არჩევნების სააგიტაციო კამპანიის დროს ჩვენ მადლობას გამოვუცხადებთ გუბერნატორებს თვითგადადგომისათვის რუსეთის ბასტილიების ა ღ ე ბ ა მ დ ე? განა დამახასიათებელი არ არის, რომ 1789 წლის საფრანგეთში მუნიციპალური რევოლუციის ხანა რ ე ა ქ ც ი ო ნ ე რ თ ა ე მ ი გ რ ა ც ი ი ს დაწყების ხანას ემთხვევა, ხოლო ჩვენში აჯანყების ლოზუნგის ნ ა ც ვ ლ ა დ რევოლუციური თვითმმართველობის ლოზუნგს მაშინ აყენებენ, როცა ჯერ კიდევ არსებობს რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ე რ თ ა ე მ ი გ რ ა ც ი ა? როცა ერთ რუს დიდკაცს შეეკითხნენ, 6 აგვისტოს რატომ არ გვებოძა ამნისტიაო, მან უპასუხა: «რად უნდა გავათავისუფლოთ 10 000 კაცი, რომელთა დაპატიმრებას ამდენი დავიდარაბა დასჭირდა და რომლებიც ხვალვე დაიწყებდნენ გააფთრებულ ბრძოლას

ჩვენს წინააღმდეგაო?». ეს დიდიკაცი ჭკვიანურად მსჯელობდა, ხოლო ისინი, ვინც «რევოლუციურ თვითმმართველობაზე» ლაპარაკობს ამ 10 000 კაცის განთავისუფლებამდე, ჭკვიანურად ვერ მსჯელობენ.

მეოთხე, რუსეთის თანამედროვე სინამდვილე ცხადყოფს, რომ «რევოლუციური თვითმმართველობის» ლოზუნგი არაა საკმარისი და აუცილებელია აჯანყების პირდაპირი და ზუსტი ლოზუნგი. შეხედეთ რა მოხდა სმოლენსკში 2 აგვისტოს ძვ. სტილით. ქალაქის თვითმმართველობამ უკანონოდ სცნო კაზაკების დაბინავება, შეუწყვიტა მათ ფულის მიცემა, მოსახლეობის დასაცავად მოაწყო ქალაქის მილიცია, მოწოდებით მიმართა ჯარისკაცებს მოქალაქეთა მიმართ ძალმომრეობის წინააღმდეგ. ჩვენ გვსურს ვიცოდეთ, საკმარისად მიაჩნიათ თუ არა ეს ჩვენს კეთილ ახალისკრელებს? მართებული არის თუ არა ეს მილიცია მივიჩნიოთ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ა რ მ ი ა დ, არა მარტო თავდაცვის, არამედ შეტევის ორგანოდაც? — შეტევისა არა მარტო სმოლენსკის კაზაკთა ასეულის წინააღმდეგ, არამედ საერთოდ თვითმპყრობელური მთავრობის წინააღმდეგ? უნდა ვეწეოდეთ თუ არა რევოლუციური არმიის გამოცხადებისა და მისი ამოცანების იდეის პროპაგანდას? შეიძლება თუ არა ქალაქ სმოლენსკის მართლაც ს ა ხ ა ლ ხ ო თვითმმართველობა უზრუნველყოფილად ჩაითვალოს, სანამ რევოლუციურ არმიას მეფის არმიაზე გადამწყვეტი გამარჯვება არ მოუპოვებია?

მეხუთე, ფაქტები უდავოდ მოწმობენ, რომ რევოლუციური თვითმმართველობის ლოზუნგი ნაცვლად აჯანყების ლოზუნგისა ან აჯანყების ლოზუნგის აზრით (?) არათუ «მისაღებია» ოსვობოჟდენიელებისთვის, არამედ მიღებულიცაა მათ მიერ. აიღეთ «ოსვობოჟდენიე» № 74. თქვენ დაინახავთ «შეიარაღებული აჯანყების გიჟური და დანაშაულებრივი ქადაგების» გადაჭრით დაგმობას და იმავე დროს ქალაქის მილიციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების

მოწყობის, როგორც მომავალი დროებითი მთავრობის ელემენტების, დაცვას (შეად. «პროლეტარის» № 12).

რა მხრივაც უნდა მიუდგეთ საკითხს, — ყოველთვის აღმოჩნდება, რომ ახალი «ისკრის» ახალი ლოზუნგი ოსვობოჟდენიელური ლოზუნგია. სოციალ-დემოკრატები, რომლებიც შეიარაღებული აჯანყების, რევოლუციური არმიის, დროებითი მთავრობის ლოზუნგს ჩრდილავენ ან უკან სწევენ და მის ნაცვლად რევოლუციური თვითმმართველობის ორგანიზაციის ლოზუნგს აყენებენ, მონარქისტული ბურჟუაზიის კუდში მიჩანჩალებენ იმის ნაცვლად, რომ სათავეში ჩაუდგნენ რევოლუციურ პროლეტარიატსა და გლეხობას.

ჩვენ გვისაყვედურებენ, ერთ და იმავე ლოზუნგებს დაჟინებით ჩასჩიჩინებთო. ეს საყვედური კომპლიმენტად მიგვაჩნია. ჩვენი ამოცანაც სწორედ ის არის, რომ სოციალ-დემოკრატიული პროგრამის ზოგად ჭეშმარიტებებთან ერთად დაუღალავად ჩავჩიჩინებდეთ საარსებო პოლიტიკურ ლოზუნგებს. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ უფართოესი გავრცელება მოვუპოვეთ ლიბერალებისთვის საძულველ «ოთხკუდიანს» (საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი, ფარული კენჭისყრით). ჩვენ მუშათა მასებს გავაცანით პოლიტიკურ თავისუფლებათა «ექვსეული» (სიტყვის, სინდისის, პრესის, კრებების, კავშირების, გაფიცვების თავისუფლება). ჩვენ ახლა მილიონჯერ და მილიარდჯერ უნდა გავიმეოროთ უახლოეს რევოლუციურ ამოცანათა «სამეული» (შეიარაღებული აჯანყება, რევოლუციური არმია, დროებითი რევოლუციური მთავრობა). სახალხო ძალები ამ ამოცანების შესასრულებლად სტიქიურად იზრდებიან არა დღითი დღე, არამედ საათობით. აჯანყების ცდები მრავლდება, მისი ორგანიზაცია იზრდება, შეიარაღების საქმე წინ მიდის. ზუბუნიან, პიჯაკიან და მუნდირიან მუშათა და გლეხთა რიგებიდან გამოდიან უცნობი გმირნი, რომელნიც განუყრელად არიან შეერთებული მასასთან და რომელნიც სულ უფრო ღრმად იმსჭვალებიან სახალხო განთავისუფლების კეთილშობილი ფანატიზმით. ჩვენი საქმეა —

ვიზრუნოთ იმაზე, რომ ყველა ეს ნაკადული ერთ მძლავრ ნიაღვრად შეერთდეს, რომ სტიქიური მოძრაობა გაანათოს და მისი ძალები გააათკეცოს ჩვენი უახლოესი ამოცანების შეგნებული, პირდაპირი, გარკვეული და ზუსტი რევოლუციური პროგრამის სინათლემ.

დასკვნები. ჩვენი ტაქტიკა სახელმწიფო სათათბიროს მიმართ შეიძლება გამოიხატოს ხუთ მუხლად: 1) გაძლიერებული აგიტაცია სახელმწიფო სათათბიროს კანონისა და მისი არჩევნების გამო, კრებების მოწყობა, საარჩევნო აგიტაციის, დემონსტრაციის გამოყენება და სხვ. და ა. შ.; 2) მთელი ამ სააგიტაციო კამპანიის გაჩაღება შემდეგი ლოზუნგების გარშემო: შეიარაღებული აჯანყება, რევოლუციური არმია, დროებითი რევოლუციური მთავრობა; ამ დროებითი მთავრობის პროგრამის გავრცელება; 3) ამ აგიტაციისა და შეიარაღებული ბრძოლისათვის რევოლუციური დემოკრატიის ყველა ელემენტის და მხოლოდ მათი მიმხრობა, ე. ი. მიმხრობა მხოლოდ იმათი, ვინც საქმით აღიარებს ზემოაღნიშნულ ლოზუნგებს; 4) მხარისდაჭერა ბურჟუაზიული დემოკრატიის მემარცხენე ფრთის რიგებში წარმოშობილი ბოიკოტის იდეისათვის იმ პირობით, რომ ეს იყოს აქტიური ბოიკოტი ზემოთ აღნიშნული უფართოესი აგიტაციის აზრით. ბურჟუაზიული დემოკრატიის მემარცხენე წარმომადგენლების მიზიდვა რევოლუციურ-დემოკრატიული პროგრამის მხარეზე და მათი ჩაბმა წვრილ ბურჟუაზიასა და გლეხობასთან დამაახლოებელ მუშაობაში; 5) მუშათა და გლეხთა უფართოესი მასების წინაშე «შეთანხმების» ბურჟუაზიული თეორიისა და ბურჟუაზიულ «შემთანხმებელთა» დაუნდობელი მხილება და დაგმობა; როგორც სათათბირომდე, ისე სათათბიროში მათი ყოველი გამცემლური და მერყევი ნაბიჯის გამომჟღავნება და განმარტება; მუშათა კლასის გაფრთხილება — ერიდოს რევოლუციის ამ ბურჟუაზიულ გამცემლებს.

«პროლეტარი» № 15,
1905 წ. 5 სექტემბერი (23 აგვისტო)

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

უაღრესად აბნეული გეგმის უაღრესად ნათლად გადმოცემა

მოწინავე სტატიაში* ჩვენ აღვნიშნეთ ახალი «ისკრის» «სათათბიროს კამპანიის» ახალი გეგმის აბნეულობა. აი ამ გეგმის უაღრესად ნათლად გადმოცემა თვით მარტოვის მიერ ვენის «მუშათა გაზეთში» (24 აგვისტოს თარიღით ახ. სტ.). (ხაზგასმა ციტატში ყველგან თვით მარტოვისაა.)

«გეგმა შემდეგია:» — ამბობს ამხ. მარტოვი და იმოწმებს იმ გარემოებას, რომ «რუსეთის მრავალი ორგანიზაცია მხარს უჭერს ამ გეგმასაო» — «მუშათა ორგანიზაციები ინიციატივას კისრულობენ დააარსონ ს ა ხ ა ლ ხ ო ს ა ა გ ი ტ ა ც ი ო კ ო მ ი ტ ე ტ ე ბ ი, რომელთაც უნდა ირჩევდეს მეფის რეფორმით უკმაყოფილო მოსახლეობის ყველა ელემენტი. ასეთი კომიტეტების ამოცანა ის არის, რომ უწინარეს ყოვლისა მთელს ქვეყანაში გააჩაღონ აგიტაცია ნამდვილი სახალხო წარმომადგენლობის სასარგებლოდ. ამ კომიტეტებს ფორმალურად ქმნიან მომავალ არჩევნებში მოსახლეობის მასის მონაწილეობის მიზნით. რადგან მოსახლეობის მასა საარჩევნო კანონის მიხედვით გამორიცხულია არჩევნებში პ ი რ დ ა პ ი რ ი მონაწილეობიდან, სახელმწიფოს მოქალაქეებს შეუძლიათ არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ არაპირდაპირ, აუწყებენ რა თავიანთ აზრს და მოთხოვნებს პრივილეგიურ ამომრჩეველთა უფრო ვიწრო კოლეგიებს. კომიტეტები ამომრჩეველთა კოლეგიებზე გავლენას ახდენენ იმ აზრით, რომ სათათბიროში არჩეულ იქნან მხოლოდ დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი და თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი ს მ ტ კ ი ც ე მ ო მ ხ რ ე ე ბ ი. მასთან კომიტეტები ცდილობენ «ლეგალური» წარმომადგენლობის გარეთ შექმნან ა რ ა ლ ე გ ა ლ უ რ ი წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა, რომელიც განსაზღვრულ მომენტში შ ე ს ძ ლ ე ბ დ ა ქვეყნის წინაშე ხ ა ლ ხ ი ს

* იხ. ეს ტომი, გვ. 253 — 268. რ ე დ.

ნების დროებით ორგანოდ გამოსვლას. კომიტეტები მოუწოდებენ მოსახლეობას აირჩიონ თავისი წარმომადგენლები საყოველთაო ხმისმიცემის საშუალებით; ამ წარმომადგენლებმა განსაზღვრულ მომენტში თავი უნდა შეიყარონ ერთს ქალაქში და თავიანთი თავი დამფუძნებელ კრებად გამოაცხადონ. ასეთია ამ კამპანიის, ასე ვთქვათ, იდეალური მიზანი. საქმე აქამდე მივა თუ არ მივა, სულ ერთია, ამ გზით მიმართული მოძრაობა მაინც შექმნის რევოლუციური თვითმმართველობის ორგანიზაციას, რომელიც დაამსხვრევს მეფის ლეგალობის ჩარჩოებს და საძირკველს ჩაუყრის რევოლუციის მომავალ ტრიუმფს. ასეთი რევოლუციური თვითმმართველობის ელემენტები ცოტცოტაობით მთელ რუსეთში იქმნებიან, როგორც, მაგალითად, უკვე ახლაც კავკასიის ორ გუბერნიაში ოფიციალურ ხელისუფალთ მთელი მოსახლეობის მიერ ბოიკოტი აქვს გამოცხადებული, და მოსახლეობას განაგებენ მის მიერვე არჩეული ხელისუფალნი. (ფრჩხილებში: გურიის გლეხები მოითხოვენ, რომ ეს ხელისუფალნი ჩვენმა კომიტეტმა დაამტკიცოს.)

ასეთი, ყველგან საჯაროდ მოქმედი, თვითმმართველობის ორგანიზაცია არის ის ფორმა, რომელშიც უნდა მოხდეს თვითმპყრობელობის ლიკვიდაცია, თვითმპყრობელობისა, რომელსაც არ სურს კონსტიტუციური ხანის ნებაყოფლობით დაწყება (ინაუგურირება). თავისთავად ცხადია, თვით ასეთი ორგანიზაციის შესაძლებლობას ქმნის მთავრობის აპარატის მზარდი დეზორგანიზაცია და ხალხის ქმედითი ძალის (wirkenden Kraft) ზრდა».

ამხანაგების ყურადღებას მივაქცევთ ამ უბადლო გეგმას როგორც მონარქისტული (ოსვობოჟდენიელური) ბურჟუაზიის იდეალურ მიზანს, როგორც ლიბერალური მემამულეების მიერ რუსეთის პროლეტარულ-გლეხური რევოლუციის ლიკვიდაციის იდეალურ მიზანს.

ოსვობოჟდენიელურ, ე. ი. მონარქისტულ ბურჟუაზიას, როგორც ათასჯერ აღგვინიშნავს, სწორედ ასეთი «ლიკვიდაცია» სურს, როცა ბურჟუაზიის ხელში ძალაუფლება გადავიდოდა სახალხო აჯანყების გარეშე ან თუნდაც სახალხო აჯანყების სრული გამარჯვების გარეშე. «არჩევნების» მანილოვისებური გეგმები იმ დროს, როცა თვითმპყრობელობას ძალაუფლება შენარჩუნებული აქვს, საკვლებით ხელსა-

ყ რ ე ლ ი ა ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ი ს ა თ ვ ი ს, რომელსაც მხოლოდ ერთადერთს შესწევს უნარი მოახდინოს თუნდაც ისეთი რამ, რაც ასეთს არჩევნებს დაემსგავსებოდა.

ამ სასაცილო გეგმის დეტალებზე ჩვენ მხოლოდ მოკლედ შევჩერდებით. განა გულუბრყვილობა არ იქნება იმის დავიწყება, რომ კავკასიაში (არა ორ გუბერნიაში, არამედ რამდენიმე თემში) თვითმმართველობა შ ე ი ა რ ა ღ ე ბ უ ლ ა ჯ ა ნ უ ე ბ ა ს ეყრდნობა? განა ბალღობა არ იქნება ვიფიქროთ, თითქოს ის, რაც შესაძლებელია შორეული განაპირა მხარის მთა-ადგილის რამდენიმე სოფელში, შესაძლებელი იყოს რუსეთის ცენტრში თვითმპყრობელობაზე ხალხის გამარჯვების გარეშე? განა ი დ ე ა ლ უ რ პ ე დ ა ნ ტ ო ბ ა ს არ წარმოადგენს მრავალსაფეხურიანი «არჩევნების» ეს გეგმა თ ვ ი თ მ პ ყ რ ო ბ ე ლ უ რ ი მ თ ა ვ რ ო ბ ი ს ხ ე ლ ში ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ი ს შ ე ნ ა რ ჩ უ ნ ე ბ ი ს ა ს? «მოსახლეობის უკმაყოფილო ელემენტები» (?) ირჩევენ სახალხო სააგიტაციო კომიტეტებს (უპროგრამოდ, გარკვეული ლოზუნგების უქონელად). კომიტეტები ქმნიან «არალეგალურ წარმომადგენლობას» (რომელიც, ალბათ, ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი მუშათა პარტიის არალეგალურ ორგანიზაციას პირდაპირ ო ს ვ ო ბ ო ჟ დ ე ნ ი ე ლ უ რ ი ორგანიზაციით სცვლის!). გარკვეული რევოლუციური ტერმინის: «დროებითი მთავრობა, როგორც აჯანყების ორგანო» — შეცვლა ბუნდოვანი ტერმინით «ხ ა ლ ხ ი ს ნ ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო» რომ სავსებით ხელსაყრელია საერობო-ბურჟუაზიული პარტიისათვის, ეს ცხადია. დამფუძნებელი კრების ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო არჩევნები «არალეგალური» კომიტეტების ინიციატივით და ტრეპოვებისა[72] და კომპ. ხელში ძალაუფლების დატოვება — ეს ხომ სავსებით ბავშვური იდეაა.

კამათში ზოგჯერ გამოადგება ხოლმე კაცს «ეშმაკის ადვოკატი» — შეუსაბამო, ყველას მიერ უარყოფილი შეხედულების დამცველი. ეს როლი უკისრნია ახლა «ისკრას». მისი გეგმა მეტად გამოსადეგია იმისთვის, რომ უაზრობის გაბათი-

ლების სწავლება მოეწყოს წრეებში, სახელდახელო კრებებზე, მიტინგებზე და სხვ., აგრეთვე იმისთვის, რომ უფრო მკაფიოდ დაუპირისპირდეს ერთმანეთს რევოლუციური პროლეტარიატის ლოზუნგები და მონარქისტული ლიბერალური ბურჟუაზიის ლოზუნგები.

«პროლეტარი» № 15,
1905 წ. 5 სექტემბერი (23 აგვისტო)

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

ჩვენი პარტიული საქმეების გაცნობა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიისათვის

საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიისათვის ჩვენი პარტიული საქმეების **გაცნობა** საზღვარგარეთ მცხოვრები ყველა სოციალ-დემოკრატის ერთ-ერთი უაღრესად სერიოზული მოვალეობაა. ჩვენ ამას მოვაგონებთ ამხანაგებს და მოვუწოდებთ უაღრესად ენერგიული აგიტაცია გასწიონ რსდმპ III ყრილობის პოზიციების დასაცავად. აგიტაციას უნდა ეწეოდნენ დაუღალავად, ყოველგვარი საბაბით, ყოველგვარ ხელსაყრელ შემთხვევაში, საზღვარგარეთელი მუშების ყველა წრისა და საზღვარგარეთული სოციალ-დემოკრატიული პარტიების ცალკეულ წევრთა წინაშე. აგიტაცია უნდა წარმოებდეს შეგნებული სოციალ-დემოკრატებისა და მუშათა პარტიის წევრების შესაფერისი ხერხებით. აგიტაციას საფუძვლად უნდა დაედოს საქმის დ ო კ უ მ ე ნ ტ უ რ ი მხარის ს რ უ ლ ი გაცნობა. აქ პირველ რიგში დგას გავრცელება რსდმპ III ყრილობის რეზოლუციებისა, რომლებიც ჩვენ გამოვეცით ფ რ ა ნ გ უ ლ ა დ ა ც (გაზეთ «Le Socialiste»-ს * 1905 წლის 25 ივნისის ნომრის დამატება. საფრანგეთის სოციალისტთა ცენტრალური ორგანოს «Le Socialiste»-ს მისამართი: Rue de la Corderie 16. Paris **) და გ ე რ მ ა ნ უ ლ ა დ ა ც (ბროშურა «Bericht über den 3. Parteitag» ***. გამომცემლის მისამართი: Birk et C⁰, Buchdruckerei und Verlag-

* — «სოციალისტი» რ ე დ.
** — კორდერის ქუჩა 16. პარიზი. რ ე დ.
*** — «III პარტიული ყრილობის ანგარიში». რ ე დ.

sanstalt in München, Vittelsbacherplatz 2. Preis 20 pf. *) რეზოლუციების ფრანგული და გერმანული თარგმანის მიღება შეიძლება აგრეთვე ჩვენი პარტიის ექსპედიციიდან.

ამ ძირითადი მასალის დამატებით საჭიროა ითარგმნოს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები და სტატიები ჩვენი ლიტერატურიდან. ამასთან განუხრელად უნდა ვამხილოთ ხლესტაკოვური ახალი «ისკრის» მთელი ურიგობა. «ისკრა» არც გერმანულად და არც ფრანგულად არა სცემს თავისი კონფერენციის რეზოლუციების სრულ ტექსტს (რომელიც ამხელს მას ცენტრალური ორგანოს ტიტულის თვითნებურად და უზურპატორულად მითვისებაში). «ისკრა» ევროპის სოციალ-დემოკრატიულ პრესაში ათავსებს ორგანიზებული მუშების «სტატისტიკას», რომელიც მხოლოდ სიცილს იწვევს (საკმარისია ითქვას, რომ ახალმა «ისკრამ» აქამდე ვერ გაბედა ამ «სტატისტიკის» რუსულად გამოქვეყნება, რადგან ეშინია, რომ თავი მოეჭრება, მაგრამ ჩვენ მთლიანად გადმოვბეჭდეთ ეს სტატისტიკა «პროლეტარის» მე-9 ნომერში [73]). ახლა «ისკრა» ყველა საზღვარგარეთულ კოლონიას უგზავნის რედაქციის მიერ ხელმოწერილ წერილს, რომელიც შეიცავს ასეთსავე სასაცილო ხლესტაკოვურ მტკიცებას, რომ უმცირესობას ძალა აქვს, რასაც აქამდე მორცხვად უმალავდნენ ჩვენი სოციალ-დემოკრატიული გაზეთების რუს მკითხველებს. საჭიროა მთელი ძალღონით ვებრძოლოთ რეკლამისტებს, მაგრამ ვებრძოლოთ ღირსეულად, ს ა ვ ს ე ბ ი თ გ ა ვ ა ც ნ ო თ საზოგადოებას და განვუმარტოთ საქმის ვითარება, ყოველგვარი კვეხნისა და ლიტერატურული ჯირითობის გარეშე, არ ავყვეთ ჭორებსა და კერძო ცნობებს, რომელთა საჯაროზე გამოტანას გაურბიან.

«პროლეტარი» № 15.
1905 წ. 5 სექტემბერი (23 აგვისტო)

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

---

* — ბირკი და კომპ., სტამბა და გამომცემლობა მიუნხენში. ვიტელბახის მოედანი 2. ფასი 20 პფენიგი. რ ე დ.

შენიშვნა სტატიის გამო «რუსეთის ფინანსები და რევოლუცია»

რედაქციისაგან. ავტორის დასკვნების შესანიშნავ დადასტურებას წარმოადგენს რუდოლფ მარტინის ახლახან ბერლინში გამოსული წიგნი სათაურით: «რუსეთისა და იაპონიის მომავალი». ჩვენ ჯერ კიდევ არ გვქონია შესაძლებლობა გავცნობოდით ამ წიგნს და ჯერჯერობით აღვნიშნავთ, უცხოური გაზეთების ცნობათა საფუძველზე, მხოლოდ მის მთავარ დასკვნებს. ავტორი დგას წმინდა საქმიან თვალსაზრისზე, რომლისთვისაც უცხოა ყოველგვარი პოლიტიკური გატაცება. იგი სპეციალობით სტატისტიკოსია, გულდასმით არკვევს რუსეთის ფინანსურ მდგომარეობას და იმ დასკვნამდე მიდის, რომ გაკოტრების გამოცხადება გარდუვალია როგორც ომის განგრძობის შემთხვევაში, ისე ზავის დადების შემთხვევაშიც. რუსეთის მიწათმოქმედება სრულიად დაცემულია და მის ფეხზე დასაყენებლად საჭიროა კაპიტალი 50 მილიარდი მანეთის რაოდენობით. ბიუჯეტის დეფიციტი უახლოეს ათწლედში იქნება სულ ცოტა 300 მილიონი მანეთი წლიურად. რუსეთის სახელმწიფო ვალი, რომელიც ახლა, ავტორის ვარაუდით, 8 მილიარდ მანეთს აღწევს, 5 წლის შემდეგ 12 მილიარდამდე უნდა გაიზარდოს. სესხის პროცენტების დასაფარავად რუსეთს აღარაფერი არ გააჩნია, რადგან მას ახლა არავინ არ მისცემს ფულს. პარალელი 1905 წლის რუსეთსა და ლუდოვიკო XVI-დროინდელ საფრანგეთს შორის

განსაცვიფრებელია. რუდოლფ მარტინი დაჟინებით ურჩევს გერმანიას რაც შეიძლება სასწრაფოდ გაასაღოს (შეძლებისდაგვარად, ამერიკაში) რუსეთის სესხები, რომლებშიც დაბანდებულია გერმანიის ფული ერთნახევარ მილიარდ მანეთამდე. ევროპის ბურჟუაზია ჩქარობს თავი დაიძვრინოს, ითვალისწინებს რა რუსეთის კრახის გარდუვალობას.

«პროლეტარი» № 15,
1905 წ. 5 სექტემბერი (23 აგვისტო)

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულება გლეხთა მოძრაობისადმი

გლეხთა მოძრაობის უდიდესი მნიშვნელობა რუსეთის დღევანდელ დემოკრატიულ რევოლუციაში მრავალჯერ განუმარტავს მთელ სოციალ-დემოკრატიულ პრესას. რსდმპ მესამე ყრილობამ, როგორც ვიცით, ამ საკითხზე საგანგებო რეზოლუცია მიიღო, რათა უფრო ზუსტად განესაზღვრა და გაეერთიანებინა შეგნებული პროლეტარიატის მთელი პარტიის მოქმედება გლეხობის სწორედ ახლანდელი მოძრაობის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ეს რეზოლუცია წინასწარ მომზადდა (პირველი პროექტი დაიბეჭდა «ვპერიოდის» № 11-ში ა. წ. 10 (23) მარტს *), მიუხედავად იმისა, რომ ის გულდასმით დაამუშავა პარტიის ყრილობამ, რომელიც ცდილობდა ჩამოეყალიბებინა მთელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიის უკვე დადგენილი შეხედულებანი, მიუხედავად ამისა, რეზოლუციამ გაკვირვება გამოიწვია რუსეთში მომუშავე მთელ რიგ ამხანაგებს შორის. სარატოვის კომიტეტმა ეს რეზოლუცია ერთხმად მიუღებლად სცნო (იხ. «პროლეტარის» № 10) [74]. სამწუხაროდ, ჩვენ მიერ მაშინვე გამოთქმული სურვილი — მოეცათ ამ ვერდიქტის განმარტება, ჯერჯერობით განუხორციელებელი დარჩა. ვიცით მხოლოდ, რომ სარატოვის კომიტეტმა მიუღებლად სცნო აგრეთვე ახალისკრელთა კონფერენციის აგრარული რეზოლუციაც, — მაშა-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 8, გვ. 270 — 271. რ ე დ.

სადამე, ის ვერ დააკმაყოფილა იმან, რაც ორივე რეზოლუციისათვის საერთოა, და არა იმან, რითაც ისინი ერთიმეორისაგან განსხვავდებიან.

ამ საკითხზე ახალ მასალას წარმოადგენს ჩვენ მიერ მიღებული მოსკოველი ამხანაგის (ჰექტოგრაფირებული ფურცლის სახით გამოცემული) წერილი. ვბეჭდავთ ამ წერილს მთლიანად.

ღია წერილი ცენტრალურ კომიტეტს და სოფლად მომუშავე ამხანაგებს

ამხანაგებო! მოსკოვის კომიტეტის საოკრუგო ორგანიზაცია პირისპირ მიადგა მუშაობას გლეხობაში. ასეთი სახის მუშაობის ორგანიზაციაში საკმაო გამოცდილების ნაკლებობა, ჩვენი ცენტრალური სოფლის განსაკუთრებული პირობები, აგრეთვე ამ საკითხზე III ყრილობის რეზოლუციათა დირექტივების არასაკმაო სიცხადე და ის გარემოება, რომ გლეხობაში მუშაობის შესახებ თითქმის სრულიად არ მოიპოვება ლიტერატურა როგორც პერიოდულ, ისე საერთო პრესაში, გვაიძულებს მივმართოთ ცენტრალურ კომიტეტს თხოვნით — გამოგვიგზავნოს დაწვრილებითი დირექტივები როგორც პრინციპული, ისე პრაქტიკული ხასიათისა, თქვენ კი, ამავე მუშაობაში ჩაბმულ ამხანაგებს, გთხოვთ გაგვაცნოთ ის პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც თქვენ მიიღეთ.

საჭიროდ მიგვაჩნია გაგიზიაროთ ის გაუგებრობანი, რომლებიც აღგვეძრა «გლეხთა მოძრაობისადმი დამოკიდებულების შესახებ» III ყრილობის რეზოლუციის კითხვისას, და ის ორგანიზაციული გეგმა, რომლის განჩორციელებას ჩვენ უკვე ვიწყებთ სოფლად.

«§ ა) პროპაგანდის გაჩაღება ხალხის ფართო ფენებში, რომ სოციალ-დემოკრატია ამოცანად ისახავს უაღრესად ენერგიულად დაუჭიროს მხარი გლეხობის ყველა რევოლუციურ ღონისძიებას, რომელსაც შეუძლია მისი მდგომარეობის გაუმჯობესება, მხარი დაუჭიროს მემამულეთა, სახაზინო, საეკლესიო, სამონასტრო და საუფლისწულო მიწების კონფისკაციასაც» (რსდმპ III ყრილობის რეზოლუციიდან).

ამ პარაგრაფში უწინარეს ყოვლისა ნათლად არა ჩანს, თუ რანაირად უნდა აწარმოონ პროპაგანდა პარტიულმა ორგანიზაციებმა. პროპაგანდა უწინარეს ყოვლისა მოითხოვს ორგანიზაციას, რომელიც სულ ახლოს უნდა იდგეს იმათთან, ვისაც სურთ გაუწიონ პროპაგანდა. იქნებიან თუ არა ასეთ ორგანიზაციად სოფლის პროლეტარიატის კომიტეტები, ან შესაძ-

ლებელია სხვა ორგანიზაციული გზებიც გვქონდეს, როგორც სიტყვიერი, ისე წერილობითი პროპაგანდისათვის — საკითხი ღიად რჩება.

იგივე შეიძლება ითქვას ენერგიული მხარისდაჭერის დაპირების შესახებაც. მხარისდაჭერა, და ისიც ენერგიულად, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივ არის ორგანიზაცია. «ენერგიული მხარისდაჭერის» საკითხი საერთოდ ჩვენ მიგვაჩნია უაღრესად ბუნდოვან საკითხად. შეუძლია თუ არა სოციალ-დემოკრატიას მხარი დაუჭიროს მემამულეთა იმ მიწების ექსპროპრიაციას, რომლებსაც უაღრესად ინტენსიურად ამუშავებენ მანქანების, უმაღლეს კულტურათა და სხვათა გამოყენებით? ასეთი მიწების გადასვლა წვრილბურჟუაზიულ მესაკუთრეთა ხელში, რარიგ მნიშვნელოვანიც უნდა იყოს მათი მდგომარეობის გაუმჯობესება, წარმოადგენს უკან გადადგმულ ნაბიჯს ამა თუ იმ მეურნეობის კაპიტალისტური განვითარების აზრით. და ჩვენ, როგორც სოციალ-დემოკრატებს, ჩვენი აზრით, ამ მუხლში «მხარისდაჭერის» შესახებ უნდა გაგვეკეთებინა შენიშვნა: «თუ ამ მიწების ექსპროპრიაცია და გლეხურ (წვრილბურჟუაზიულ) საკუთრებად გადასვლა იქნება ამა და ამ მიწებზე ამა და ამ მეურნეობის განვითარების უმაღლესი ფორმა».

შემდეგ ქვემოთ:

«§ დ) მისწრაფება სოფლის პროლეტარიატის დამოუკიდებელი ორგანიზაციისაკენ, სოციალ-დემოკრატიული პარტიის დროშით ქალაქის პროლეტარიატთან მისი შეერთებისაკენ და მისი წარმომადგენლების გლეხთა კომიტეტებში გაყვანისაკენ».

ეჭვს იწვევს ამ პარაგრაფის უკანასკნელი ნაწილი. საქმე ისაა, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ორგანიზაციები, მსგავსად, მაგ., «გლეხთა კავშირისა», და რეაქციულ-უტოპიური ორგანიზაციები, როგორიცაა სოციალისტ-რევოლუციონერთა ორგანიზაცია, თავის დროშის ქვეშ რაზმავენ გლეხობის როგორც ბურჟუაზიულ, ისე პროლეტარულ ელემენტებს. როცა ჩვენს წარმომადგენლებს სოფლის პროლეტარიატის ორგანიზაციებიდან ასეთ «გლეხთა» კომიტეტებში შევიყვანთ, ჩვენ ჩავვარდებით წინააღმდეგობაში ჩვენივე თავთან, ჩვენს შეხედულებებთან bloc*-ზე და სხვ.

აქაც, ჩვენ გვგონია, აუცილებელია შესწორებანი, მეტად მნიშვნელოვანი შესწორებანი.

აი ზოგიერთი ზოგადი შენიშვნა III ყრილობის რეზოლუციების მიმართ. სასურველია რაც შეიძლება მალე და რაც შეიძლება დაწვრილებით განვიხილოთ ისინი.

რაც შეეხება ჩვენს საოკრუგო ორგანიზაციაში «სასოფლო» ორგანიზაციის გეგმას, ჩვენ ისეთ პირობებში გვიხდება მუშაობა, რომელთა შესა-

* — ბლოკი. რ ე დ.

ხებ III ყრილობის რეზოლუციები სავსებით სდუმან. უწინარეს ყოვლისა აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ჩვენი სამოქმედო რაიონი — მოსკოვის გუბერნია და მეზობელი გუბერნიების მოსაზღვრე მაზრები — უმთავრესად ინდუსტრიულ მრეწველობაშია ჩაბმული; შედარებით სუსტად არის განვითარებული შინამრეწველური სარეწები და მოსახლეობის სულ უმნიშვნელო ნაწილი მისდევს **მ ხ ო ლ ო დ** და **მ ხ ო ლ ო დ** სოფლის მეურნეობას. უზარმაზარი მანუფაქტურების გვერდით, ს დაც 10 — 15 ათასი კაცი მუშაობს, არის პატარა ფაბრიკები 500 — 1000 კაცით, რომლებიც გაფანტული არიან მიყრუებულ დაბებსა და სოფლებში. თითქოს, ასეთ პირობებში სოციალ-დემოკრატიას აქ მეტად ხელსაყრელი ნიადაგი უნდა ჰქონოდა, მაგრამ საქმემ გვიჩვენა, რომ სინამდვილეს დაშორებული ასეთი წანამძღვრები კრიტიკას ვერ უძლებენ. ჩვენი «პროლეტარიატის» უდიდეს უმრავლესობას ჯერ კიდევ არ გაუწყვეტია კავშირი მიწასთან, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ფაბრიკა უკვე 40—50 წელიწადია არსებობს. «სოფელი» მას ისე მაგრად აქვს შეზრდილი, რომ ყველა ის ფსიქოლოგიური და სხვა წანამძღვარი, რომელიც კოლექტიური შრომის პროცესში უჩნდება «წმინდა» პროლეტარიატს, ჩვენს პროლეტარიატს არ უვითარდება. ჩვენი «პროლეტარების» სამიწათმოქმედო მეურნეობა წარმოადგენს რაღაც უდღეურ ფორმებს. ფაბრიკის ფეიქარი მოჯამაგირეს ქირაობს თავისი ნაკვეთის დასამუშავებლად. ამავე ნაკვეთზე მუშაობენ მისი ცოლი (თუ ის ფაბრიკაში არ არის), ბავშვები, მოხუცები, ინვალიდები და თვითონაც იმუშავებს, როცა მოხუცდება, დასახჩრდება ან გაავდებენ შფოთიანი ან არაკეთილსაიმედო ყოფაქცევისათვის. ასეთ «პროლეტარებს» ძნელია პროლეტარები ვუწოდოთ. თავიანთი ეკონომიური მდგომარეობით ესენი პაუპერები არიან. თავიანთი იდეოლოგიით — წვრილი ბურჟუები. ისინი უვიცნი და კონსერვატიულნი არიან. მათ შორის აგროვებენ «შავრაზმულ» ელემენტებს. მაგრამ უკანასკნელ ხანებში მათშიც იღვიძებს თვითშეგნება. «წმინდა» პროლეტარიატის ელემენტების საშუალებით ჩვენ ვაღვიძებთ ამ ბნელ მასას საუკუნო ძილისაგან, და არცთუ უშედეგოდ. ეს ხელჩასაჭიდი ელემენტები იზრდებიან, ალაგ-ალაგ მაგრდებიან, პაუპერები ჩვენს გავლენას ემორჩილებიან, ითვისებენ ჩვენს იდეოლოგიას როგორც ფაბრიკაში, ისე სოფლად. და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ორგანიზაციების შექმნა არა «წმინდა» პროლეტარულ წრეში არ იქნება არაორთოდოქსალური. სხვა წრე ჩვენ არა გვყავს, და თუ ორთოდოქსალობას დავიჩემებთ, მხოლოდ სოფლის «პროლეტარიატს» დავრაზმავთ, მაშინ უნდა დავშალოთ როგორც ჩვენი, ისე მეზობელი ორგანიზაციები. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენთვის ძნელი იქნება ვებრძოლოთ მემამულის მიერ მიტოვებული სახნავისა და სხვა მამულების ან იმ მიწების ექსპროპრიაციის წყურვილს, რომლებზედაც ბარტყულიანმა და ანა ფორიანმა მამებმა ვერ შესძლეს მეურნეობის გამართვა, როგორც წესი და

რიგია. ჩვენ ვიცით, რომ ბურჟუაზიული დემოკრატია, დაწყებული «დემოკრატიულ-მონარქისტული» ფრაქციით (ასეთი რუზსკის მაზრაში არსებობს) და გათავებული «გლეხთა» კავშირით, შეგვებრძოლებიან «პაუპერებზე» გავლენისათვის, მაგრამ ჩვენ უკანასკნელთ პირველთა წინააღმდეგ ავამხედრებთ. ჩვენ გამოვიყენებთ მთელ სოციალ-დემოკრატიულ ძალებს ოკრუგში, როგორც ინტელიგენტურს, ისე პროლეტარულ-უშურს, რათა ფეხზე დავაყენოთ და განვამტკიცოთ «პაუპერებისგან» შემდგარი ჩვენი სოციალ-დემოკრატიული კომიტეტები. ჩვენ ამას გავაკეთებთ ასეთი გეგმით. ყოველ სამაზრო ქალაქში ან დიდ სამრეწველო ცენტრში ჩვენ მოვაწყობთ საოკრუგო ორგანიზაციის ჯგუფების სამაზრო კომიტეტებს. თავისი რაიონის ფაბრიკა-ქარხნებში ორგანიზაციების მოწყობის გარდა სამაზრო კომიტეტი მოაწყობს «გლეხთა» კომიტეტებს. კონსპირაციული მოსაზრებით ასეთი კომიტეტები არ უნდა იყვნენ მრავალრიცხოვანნი, მათ შემადგენლობაში შევლენ ყველაზე უფრო რევოლუციურად განწყობილი და უნარიანი გლეხი-პაუპერები. იქ, სადაც ფაბრიკებიც არის და გლეხებიც, — მათი დარაზმვა აუცილებელია ქვეჯგუფის ერთ კომიტეტად.

უწინარეს ყოვლისა ასეთი კომიტეტი ნათლად და მკაფიოდ უნდა ერკვეოდეს მის გარშემო არსებულ პირობებში: ა) საადგილმამულო ურთიერთობანი: 1) გლეხთა მიწის ნაკვეთები, იჯარა, მფლობელობის ფორმა (სათემო, საკომლო და სხვ.). 2) გარშემო მდებარე მიწები: ა) ვის ეკუთვნის, ბ) რამდენია მიწა; გ) როგორია ამ მიწებისადმი გლეხების დამოკიდებულება; დ) ამ მიწებით სარგებლობის პირობები: 1) შრომამიგება, 2) მეტისმეტად დიდი საიჯარო გადასახადი «ჩამონაჭრებზე» და სხვ., 3) დავალიანება კულაკების, მემამულეების და სხვ. მიმართ. ბ) ბეგარები, გადასახადები, გლეხთა და მემამულეთა მიწების საადგილმამულო დაბეგვრის სიდიდე. გ) გარესაშოვარი და შინამრეწველობა, პასპორტები, ხომ არ არის საზამთრო დაქირავება და სხვ. დ) ადგილობრივი ფაბრიკები და ქარხნები: შრომის პირობები მათში: 1) ხელფასი, 2) სამუშაო დღე, 3) ადმინისტრაციის დამოკიდებულება, 4) საბინაო პირობები და სხვ. ე) ადმინისტრაცია: საერობო უფროსები, მამასახლისი, მწერალი, სათემო მოსამართლენი, ჩაფრები, მღვდელი, ვ) ერობა: ხმოსნები გლეხებიდან, საერობო მოსამსახურენი: მასწავლებელი, ექიმი, ბიბლიოთეკები, სკოლები, საჩაიეები, ზ) სათემო კრებები: მათი შემადგენლობა და საქმის წარმართვა. თ) ორგანიზაციები: «გლეხთა კავშირი», სოციალისტ-რევოლუციონერები, სოციალ-დემოკრატები.

ამ პირობების გაცნობის შემდეგ გლეხთა სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი ვალდებულია კრებებზე გაატაროს ის დადგენილებანი, რომლებიც გამომდინარეობენ საქმის ამა თუ იმ არანორმალური მდგომარეობიდან. ამასთანავე ასეთი კომიტეტი აწარმოებს აგრეთვე სოციალ-დემოკრატიის ბრძოლების გაძლიერებულ პროპაგანდას და აგიტაციას მასაში, აწყობს

წრეებს, სახელდახელო კრებებს, მიტინგებს, ავრცელებს პროკლამაციებსა და ლიტერატურას, კრებს ფულს პარტიული სალაროსათვის და სამაზრო ჯგუფის საშუალებით კავშირს იჭერს საოკრუგო ორგანიზაციასთან.

თუ ჩვენ მოვახერხებთ მთელი რიგი ასეთი კომიტეტების შექმნას, სოციალ-დემოკრატიის წარმატება უზრუნველყოფილი იქნება.

საოკრუგო ორგანიზატორი.

თავისთავად იგულისხმება, რომ ჩვენ ვერ ვიკისრებთ იმ დაწვრილებითი პრაქტიკული დირექტივების შემუშავებას, რომელთა შესახებ ამხანაგი ლაპარაკობს: ეს ადგილობრივი მუშაკებისა და პრაქტიკულად ხელმძღვანელი რუსეთის ცენტრის საქმეა. ჩვენ აზრად გვაქვს მოსკოველი ამხანაგის შინაარსიანი წერილით ვისარგებლოთ III ყრილობის რეზოლუციისა და საერთოდ პარტიის საარსებო ამოცანათა განსამარტებლად. წერილიდან ჩანს, რომ III ყრილობის რეზოლუციით გამოწვეული გაუგებრობანი მხოლოდ ნაწილობრივ არიან წარმოშობილი თეორიული ეჭვებით. მათი წარმოშობის მეორე სათავეა «რევოლუციური გლეხთა კომიტეტებისა» და გლეხობაში მომუშავე «სოციალ-დემოკრატიული კომიტეტების» ურთიერთობის ახალი საკითხი, რომელიც უწინ არ აღძრულა. თვით ამ უკანასკნელი საკითხის დასმა უკვე მოწმობს იმას, რომ გლეხობაში სოციალ-დემოკრატიული მუშაობის მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადადგმული წინ. დღის წესრიგში უკვე ჩნდება შედარებით უფრო დეტალური საკითხები, წარმოშობილნი «სასოფლო» აგიტაციის პრაქტიკული მოთხოვნილებით, აგიტაციისა, რომელმაც იწყო განმტკიცება და მაგარ, მუდმივ ფორმებში ჩამოყალიბება. წერილის ავტორი ხშირად ივიწყებს, რომ, როცა ის ყრილობის რეზოლუციას ბუნდოვანობას უსაყვედურებს, არსებითად, ეძებს პასუხს ისეთ კითხვაზე, რომელიც პარტიის ყრილობას არ დაუსვამს და არც შეეძლო დაესვა.

მაგალითად, არ არის სავსებით სწორი ავტორის აზრი, თითქოს ჩვენი იდეების პროპაგანდაც და გლეხთა მოძრაობისათვის მხარისდაჭერაც შესაძლებელია «მხოლოდ» იმ

შემთხვევაში, თუ ადგილობრივ არის ორგანიზაცია. ცხადია, ასეთი ორგანიზაციები სასურველია და მუშაობის ზრდისას აუცილებელიც, მაგრამ ხსენებული მუშაობა შესაძლებელია და აუცილებელი იქაც კი, სადაც ასეთი ორგანიზაციები არაა. მთელი ჩვენი მუშაობის დროს თვით მარტოდმარტო ქალაქის პროლეტარიატშიც ჩვენ არ უნდა გავუშვათ მხედველობიდან გლეხთა საკითხი და უნდა გავავრცელოთ განცხადება, რომელიც III ყრილობის სახით შ ე გ ნ ე ბ უ ლ ი პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს მ თ ე ლ მ ა პ ა რ ტ ი ა მ გააკეთა: ჩვენ მხარს ვუჭერთ გლეხთა აჯანყებას. გლეხებმა ეს უნდა იცოდნენ ლიტერატურის, მუშების, საგანგებო ორგანიზაციებისა და სხვ. საშუალებით. გლეხებმა უნდა იცოდნენ, რომ ს.-დ. პროლეტარიატი ამ მხარისდაჭერის საქმეში არ შ ე ჩ ერ დ ე ბ ა მიწის არავითარი კონფისკაციის წინაშე (ე. ი. ექსპროპრიაციისა მესაკუთრეთათვის აუნაზღაურებლად).

წერილის ავტორი აქ ერთს თეორიულ საკითხს აყენებს: ხომ არ არის საჭირო საგანგებო შენიშვნით შევზღუდოთ მსხვილი მამულების ექსპროპრიაცია და მისი «გლეხურ წვრილბურჟუაზიულ საკუთრებად» გადაქცევა. მაგრამ, როცა ასეთ შენიშვნას აყენებს, ავტორი თვითნებურად ზღუდავს III ყრილობის რეზოლუციის აზრს. რეზოლუციაში ე რ თ ი ს ი ტ ყ ვ ა ც ა რ ა რ ი ს ნ ა თ ქ ვ ა მ ი იმაზე, რომ ს.-დ. პარტია ვალდებულებას კისრულობს მხარი დაუჭიროს კონფისკებული მიწების გადასვლას სწორედ წვრილბურჟუაზიულ მესაკუთრეთა ხელში. რეზოლუცია ამბობს: ჩვენ მხარს ვუჭერთ «კონფისკაციასაც», ე. ი. აუნაზღაურებლად ჩამორთმევასაც, მაგრამ საკითხს იმის შესახებ, თუ ვის გადაეცეს ჩამორთმეული, რეზოლუცია სრულიადაც არ წყვეტს. ამ საკითხის ღიად დატოვება შემთხვევითი როდია: გაზეთ «ვპერიოდის» სტატიებიდან (№№ 11, 12, 15)* ჩანს, რომ წინასწარ ამ საკითხის გადაჭრა მიზანშეუწონლად იყო ცნო-

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 8, გვ. 264 — 271, 283 — 289 და 367 — 385. რ ე დ.

ბილი. იქ ნაჩვენებია, მაგ., რომ დემოკრატიული რესპუბლიკის დროს სოციალ-დემოკრატიას არ შეუძლია უარი თქვას და ხელები შეიბოჭოს მიწის ნაციონალიზაციის მიმართ.

მართლაცდა, ჩვენთვის, წვრილბურჟუაზიული სოციალისტ-რევოლუციონერებისაგან განსხვავებით, სიმძიმის ცენტრი ამჟამად გლეხთა აჯანყების რევოლუციურ-დემოკრატიული მხარე და სოფლის პროლეტარიატის კლასობრივ პარტიად ცალკე დარაზმვაა. ახლა საკითხის არსს შეადგენს არა «მიწის გადანაწილების» ან ნაციონალიზაციის პროექტები, არამედ გლეხობის მიერ ძველი წესწყობილების რევოლუციური მსხვრევის შეგნება და განხორციელება. ამიტომ აწვებიან სოციალისტ-რევოლუციონერები «სოციალიზაციას» და სხვ., ჩვენ კი რევოლუციურ გლეხთა კომიტეტებს: უმათოდ, ვამბობთ ჩვენ, ყოველგვარი გარდაქმნა არარაა. მათთან და მათზე დაყრდნობით არის შესაძლებელი გლეხთა აჯანყების გამარჯვება.

გლეხთა აჯანყებას ჩვენ ყოველნაირად მხარი უნდა დავუჭიროთ, თვით მიწების კონფისკაციასაც, — მაგრამ სრულიადაც არა ყოველგვარ წვრილბურჟუაზიულ პროექტებს. ჩვენ მხარს ვუჭერთ გლეხთა მოძრაობას იმდენად, რამდენადაც ის რევოლუციურ-დემოკრატიული ხასიათისაა. ჩვენ ვემზადებით (ახლავე, დაუყოვნებლივ ვემზადებით) მასთან საბრძოლველად, რამდენადაც მისი გამოსვლა რეაქციული, ანტიპროლეტარული იქნება. მარქსიზმის მთელი არსი ეს ორმაგი ამოცანაა, რომლის გამარტივება ან ერთიან და უბრალო ამოცანად შეკუმშვა მხოლოდ იმ ადამიანებს შეუძლიათ, რომლებსაც მარქსიზმი არ ესმით.

ავიღოთ კონკრეტული მაგალითი. ვთქვათ, გლეხთა აჯანყებამ გაიმარჯვა. რევოლუციურ გლეხთა კომიტეტებს და დროებით რევოლუციურ მთავრობას (რომელიც, ნაწილობრივ, სწორედ ამ კომიტეტებს ეყრდნობა) შეუძლია მოახდინოს მსხვილი საკუთრების ყოველგვარი კონფისკაცია. ჩვენ ვემხრობით კონფისკაციას, ჩვენ ეს უკვე განვაცხადეთ. მაგ-

რამ ვის უნდა მიეცეს ჩვენი რჩევით კონფისკებული მიწები? აქ ჩვენ ხელები არ შეგვიბოჭავს და არც არასდროს შევიბოჭავთ იმგვარი განცხადებებით, რომელთა დაყენებაში წერილის ავტორი სიფრთხილეს ვერ იჩენს. ავტორს დავიწყნია, რომ III ყრილობის იმავე რეზოლუციაში ლაპარაკია «გლეხთა მოძრაობის რევოლუციურ-დემოკრატიული შინაარსის გაწმენდაზე ყოველგვარი რეაქციული ნარევისაგან», ეს ერთი, მეორეც: ლაპარაკია «ყველა შემთხვევასა და ყოველგვარ პირობებში სოფლის პროლეტარიატის დამოუკიდებელი ორგანიზაციის» აუცილებლობაზე. აი ჩვენი დირექტივები. რეაქციული ნარევი გლეხთა მოძრაობაში ყოველთვის იქნება, და ჩვენ მას წინდაწინვე ვუცხადებთ ომს. კლასობრივი ანტაგონიზმი სოფლის პროლეტარიატსა და გლეხურ ბურჟუაზიას შორის აუცილებელია, და ჩვენც მას წინდაწინვე ვააშკარავებთ, განვმარტავთ, მის ნიადაგზე ბრძოლისათვის ვემზადებით. ასეთი ბრძოლის ერთ-ერთ საბაბად ადვილად შეიძლება გახდეს საკითხი: ვის და როგორ მიეცეს კონფისკებული მიწები? და ჩვენ არ ვჩქმალავთ ამ საკითხს, არ ვპირდებით გამათანაბრებელ დაყოფას, «სოციალიზაციას» და სხვ., არამედ ვამბობთ: მაშინ ჩვენ კიდევ ვიბრძოლებთ, კვლავ ვიბრძოლებთ, ახალ სარბიელზე ვიბრძოლებთ სხვა მოკავშირეებთან ერთად: მაშინ უსათუოდ სოფლის პროლეტარიატთან, მთელ მუშათა კლასთან ერთად ვიქნებით გლეხური ბურჟუაზიის წინააღმდეგ. პრაქტიკულად ეს შეიძლება ნიშნავდეს მიწის გადასვლასაც წვრილ მეურნე გლეხთა კლასის ხელში იქ, სადაც კაბალური, ბატონყმური მსხვილი საკუთრება სჭარბობს, სადაც ჯერ კიდევ არ არის მსხვილი სოციალისტური წარმოების მატერიალური პირობები, შეიძლება ნიშნავდეს ნაციონალიზაციასაც, დემოკრატიული რევოლუციის სრული გამარჯვების პირობებში, მსხვილი კაპიტალისტური მამულების მუშათა ასო-

ციაციებისათვის გადაცემასაც, ვინაიდან დემოკრატიული რევოლუციიდან ჩვენ მაშინვე დავიწყებთ გადასვლას და სწორედ ჩვენი ძლიერების, შეგნებული და ორგანიზებული პროლეტარიატის ძლიერების დაკვალად, დავიწყებთ გადასვლას სოციალისტურ რევოლუციაზე. ჩვენ განუწყვეტელი რევოლუციის მომხრენი ვართ. შუა გზაზე ჩვენ არ შევჩერდებით. თუ ჩვენ ახლავე და დაუყოვნებლივ არ ვპირდებით ყოველგვარ «სოციალიზაციას», ეს სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ ვიცით ამ ამოცანის ნამდვილი პირობები და კი არ ვაფუჩეჩებთ, არამედ ვამჟღავნებთ ახალ კლასობრივ ბრძოლას, რომელიც გლეხობის წიაღში მწიფდება.

ჯერ ჩვენ მხარს ვუჭერთ ბოლომდე, ყოველგვარი ღონისძიებით, კონფისკაციამდე, — საერთოდ გლეხს მემამულის წინააღმდეგ, შემდეგ კი (უკეთ, არა შემდეგ, არამედ ამავე დროს) ჩვენ მხარს ვუჭერთ პროლეტარიატს საერთოდ გლეხის წინააღმდეგ. ახლა იმის გათვალისწინება, თუ როგორი იქნება ძალთა კომბინაცია გლეხობის შიგნით (დემოკრატიული) რევოლუციის «მეორე დღეს» — ცარიელი უტოპიაა. ავანტიურიზმში რომ არ გადავვარდეთ, ჩვენს მეცნიერულ სინდისს რომ არ ვუღალატოთ და იაფფასიან პოპულარობას რომ არ გამოვედევნოთ, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ და ვამბობთ მხოლოდ ერთ რამეს: ჩვენ მთელი ძალღონით დავეხმარებით მთელ გლეხობას მოახდინოს დემოკრატიული რევოლუცია, რომ მით უფრო ადვილი იყოს ჩვენთვის, პროლეტარიატის პარტიისათვის, რაც შეიძლება მალე გადავიდეთ ახალ და უმაღლეს ამოცანაზე — სოციალისტურ რევოლუციაზე. ჩვენ არ ვპირდებით არავითარ ჰარმონიას, არავითარ გამთანაბრებლობას, არავითარ «სოციალიზაციას» გლეხთა ახლანდელი აჯანყების გამარჯვების შედეგად, — პირიქით, ჩვენ «ვპირდებით» ახალ ბრძოლას, ახალ უთანასწორობას, ახალ რევოლუციას, რომლისკენაც კიდევაც მივისწრაფით ჩვენ. ჩვენი მოძღვრება ნაკლებად «მოშაქრულია», ვიდრე სოციალისტ-რევოლუციონერთა ლათაიები, მაგრამ ვი-

საც სურს, რომ მას მხოლოდ ტკბილეულით უმასპინძლდებოდნენ, დაე წავიდეს ის სოციალისტ-რევოლუციონერებთან; ასეთ ხალხს ჩვენ ვეტყვით: გზა მშვიდობისა!

ეს მარქსისტული თვალსაზრისი, ჩვენი შეხედულებით, კომიტეტების საკითხსაც წყვეტს. სოციალ-დემოკრატიული გლეხთა კომიტეტები, ჩვენი აზრით, არ უნდა არსებობდნენ: თუ სოციალ-დემოკრატიულია, მაშასადამე, არა მარტო გლეხურია; თუ გლეხურია, მაშასადამე, არა წმინდა პროლეტარული, არა სოციალ-დემოკრატიულია; ამ ორი ხელობის ერთიმეორეში არევის მსურველი უამრავია, ჩვენ მათ რიცხვს არ ვეკუთვნით. ყველგან, სადაც შესაძლებელია, ჩვენ შევეცდებით შევქმნათ ჩვენი კომიტეტები, სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კომიტეტები. მათში შევლენ გლეხებიც, პაუპერებიც, ინტელიგენტებიც, პროსტიტუტი ქალებიც (ამას წინათ ერთი მუშა გვეკითხებოდა წერილში, რატომ არ უნდა გავწიოთ აგიტაცია პროსტიტუტ ქალებშიო), ჯარისკაცებიც, მასწავლებლებიც და მუშებიც, — ერთი სიტყვით, ყველა სოციალ-დემოკრატი და არავინ, გარდა სოციალ-დემოკრატებისა. ეს კომიტეტები გასწევენ მთელ სოციალ-დემოკრატიულ მუშაობას, მთელი მისი სიგრძე-სიგანით, ამასთანავე შეეცდებიან სპეციალურად და ცალკე დარაზმონ სოფლის პროლეტარიატი, რადგან სოციალ-დემოკრატია პროლეტარიატის კლასობრივი პარტიაა. «არაორთოდოქსალურ» საქმედ მიჩნევა ისეთი პროლეტარიატის ორგანიზებისა, რომელიც ჯერ კიდევ საკუთარ არ გაწმენდილა წარსულის სხვადასხვა ნაშთისგან, უდიდესი შეცდომაა, და ჩვენ გვინდა ვიფიქროთ, რომ წერილის საამისო ადგილები უბრალო გაუგებრობაზეა დამყარებული. ქალაქისა და სამრეწველო პროლეტარიატი აუცილებლად იქნება ჩვენი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ძირითადი ბირთვი, მაგრამ მისკენ უნდა მივიზიდოთ, გავათვითცნობიეროთ და დავრაზმოთ ყველა მშრომელი და ექსპლოატირებული, რო-

გორც ამას ჩვენი პროგრამაც ამბობს, ყველანი გამოუკლებლივ: შინამრეწველებიც, პაუპერებიც, მათხოვრებიც, ხელზემოსამსახურეებიც, მაწანწალებიც, პროსტიტუტი ქალებიც, — რასაკვირველია, იმ აუცილებელი და სავალდებულო პირობით, რომ ისინი ემხრობოდნენ სოციალ-დემოკრატიას და არა სოციალ-დემოკრატია მათ, რომ ისინი დგებოდნენ პროლეტარიატის თვალსაზრისზე და არა პროლეტარიატი მათ თვალსაზრისზე.

მაშინ რაღა შუაშია რევოლუციური გლეხთა კომიტეტები? — იკითხავს მკითხველი. მაშასადამე, ისინი საჭირო აღარ ყოფილან? არა, საჭირო არიან. ჩვენი იდეალია: სოფლად ყველგან წმინდა სოციალ-დემოკრატიული კომიტეტები, შემდეგ კი მათი შეთანხმება გლეხობის ყველა რევოლუციურ-დემოკრატიულ ელემენტებთან, ჯგუფებთან, წრეებთან რევოლუციური კომიტეტების შესაქმნელად. აქ სრული ანალოგიაა ქალაქად სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დამოუკიდებლობასა და აჯანყების მიზნით მისი მხრივ ყველა რევოლუციურ დემოკრატთან კავშირის დაჭერასთან. ჩვენ ნომხრე ვართ გლეხობის აჯანყებისა. ჩვენ უსათუოდ წინააღმდეგი ვართ სხვადასხვაგვარი კლასობრივი ელემენტებისა და სხვადასხვაგვარი პარტიების არევისა და შედუღებისა. ჩვენ გვინდა, რომ აჯანყების მიზნით სოციალ-დემოკრატია ბიძგს აძლევდეს მთელს რევოლუციურ დემოკრატიას, ეხმარებოდეს მას მთლიანად დარაზმვაში, მიდიოდეს მის გვერდით ქალაქთა ბარიკადებზე, სოფლის მემამულეთა და პოლიციის წინააღმდეგ, მაგრამ ისე, რომ არ ითქვიფებოდეს მასში.

გაუმარჯოს ქალაქისა და სოფლის აჯანყებას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ! გაუმარჯოს რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას, როგორც ახლანდელი რევოლუციის მთელი რევოლუციური დემოკრატიის მოწინავე რაზმს!

«პროლეტარი» № 16,
1905 წ. 14 (1) სექტემბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

რა სურთ და რისი ეშინიათ ჩვენს ლიბერალურ ბურჟუებს?

ჩვენში, რუსეთში, ხალხისა და ინტელიგენციის პოლიტიკური აღზრდა ჯერ კიდევ სრულიად უმნიშვნელოა. ჩვენში გარკვეული პოლიტიკური რწმენა და მტკიცე პარტიული შეხედულებანი ჯერ კიდევ თითქმის სრულიად არ არის შემუშავებული. ჩვენში მეტისმეტად ადვილად სჯერათ ყოველგვარი პროტესტი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, კარგი თვალით არ უყურებენ ამ პროტესტის ხასიათისა და დედაარსის ყოველგვარ კრიტიკას, როგორც განმათავისუფლებელი მოძრაობის მავნე გათიშვას. რაღა გასაკვირველია, რომ განთავისუფლების ამ საერთო დროშითა და ბ-ნ სტრუვეს რედაქციით გამომავალი «ოსვობოჟდენიე» ფართოდ ვრცელდება ყველა და ყოველგვარ თავისუფლად მოაზროვნე ინტელიგენტებს შორის, რომელთაც სძაგთ «ოსვობოჟდენიელური» ლიბერალიზმის კლასობრივი შინაარსის ანალიზი.

ხოლო ოსვობოჟდენიელური ლიბერალიზმი ხომ მთელი რუსული ლიბერალიზმის ძირითადი ნიშნების მხოლოდ უფრო სისტემატური, ცენზურისაგან თავისუფალი გამოხატულებაა. რაც უფრო წინ მიდის რევოლუცია, მით უფრო მეტად ამხელს თავის თავს ეს ლიბერალიზმი, მით უფრო მიუტევებელი ხდება ჭეშმარიტებისთვის თვალის გასწორების, ამ ლიბერალიზმის ნამდვილი არსის გაგების შიში. ამ მხრივ მეტისმეტად დამახასიათებელია ცნობილი ისტორიკოსის ბ-ნ პავლე. ვინოგრადოვის «პოლიტიკური წერილები», მოთავ-

სებული ცნობილ ლიბერალურ ორგანოში, «რუსსკიე ვედომოსტიში» (5 აგვისტოს). არა ნაკლებ დამახასიათებელია ისიც, რომ სხვა, «ნაშა ჟიზნის» მსგავსმა ლიბერალურმა გაზეთებმა ისე გადაბეჭდეს ადგილები ამ პატივსადები ნაწარმოებიდან, რომ აღშფოთებისა და გულისწყრომის ერთი სიტყვაც არ წამოსცდენიათ. ბ-მა პავლე ვინოგრადოვმა იშვიათი რელიეფობით გამოხატა ანგარებიანი ბურჟუაზიის ინტერესები, ტაქტიკა, ფსიქოლოგია: მისი გულახდილობა ამა თუ იმ უფრო გაქნილ ლიბერალებს შეიძლება უადგილოდ მიეჩნიათ, მაგრამ მით უფრო საგულისხმოა ის შეგნებული მუშებისათვის. აი ბ-ნ ვინოგრადოვის სტატიის დასკვინითი სიტყვები, რომლებიც მთელ მის კვინტესენციას გამოხატავენ:

«არ ვიცი, შესძლებს თუ არა რუსეთი ახალ წყობილებამდე მისვლას იმ გზით, რომელიც ახლოსაა იმ გზასთან, რომელიც გერმანიამ გაიარა 1848 წელს, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ საჭიროა ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა გავიდეთ ამ გზაზე და არა იმ გზაზე, რომელიც საფრანგეთმა აირჩია 1789 წელს».

«ნელსა და ცუდად დარაზმულს, ერთმანეთისადმი ბოროტებით აღსავსე რუს საზოგადოებას უკანასკნელ გზაზე მოელის გაუგონარი საფრთხე, თუ დაღუპვა არა. სასურველი როდია მოვესწროთ საგნობრივ გაკვეთილებს ძალაუფლების, წესწყობილების, ნაციონალური ერთიანობის, საზოგადოებრივი ორგანიზაციის თემებზე, მით უფრო იმიტომ, რომ ამ საგნობრივი გაკვეთილების მომცემი იქნება ან ახლად ძალამოკრებილი ურიადნიკი, ან გერმანელი ვახმისტრი, რომელსაც რუსეთის ანარქია პროვიდენციული მისიის გზას გაუხსნის».

აი ყველაზე მეტად რაზე ფიქრობს რუსი ბურჟუა: 1789 წლის «გზის» გაუგონარ საფრთხეზე! ბურჟუას გერმანიის 1848 წლის გზის საწინააღმდეგო არაფერი აქვს, მაგრამ ის «ყოველ ღონეს» მოახმარს საფრანგეთის გზის თავიდან აშორებას. ჭკუისსასწავლი თქმაა, რომელსაც საჭიროა ძალიან და ძალიან ჩავუფიქრდეთ.

რაში მდგომარეობს ძირითადი განსხვავება ამ ორ გზას შორის? იმაში, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გადატრიალება, რომელიც საფრანგეთმა განახორციელა 1789 წელს, ხოლო გერმანიამ 1848 წელს, პირველ შემთხვევაში ბოლომ-

დე იქნა მიყვანილი, მეორე შემთხვევაში კი — არა; — პირველ შემთხვევაში გადატრიალება რესპუბლიკისა და სრული თავისუფლების მოპოვებამდე მივიდა, ხოლო მეორე შემთხვევაში შეჩერდა ისე, რომ ვერ დასძლია მონარქია და რეაქცია; — მეორე შემთხვევაში ეს გადატრიალება მოხდა უმთავრესად იმ ლიბერალური ბურჟუების ხელმძღვანელობით, რომლებსაც თან მოჰყავდათ ბუქსირით არასაკმაოდ წელგამაგრებული მუშათა კლასი, ხოლო პირველ შემთხვევაში გადატრიალება ჩაატარა თუნდაც ნაწილობრივ ხალხის აქტიურ-რევოლუციურმა მასამ, მუშებმა და გლეხებმა, რომლებმაც, თუნდაც დროებით, განზე მისწიეს დარბაისელი და ზომიერი ბურჟუაზია; — მეორე შემთხვევაში ამ გადატრიალებამ ჩქარა გამოიწვია ქვეყნის «დამშვიდება», ე. ი. რევოლუციური ხალხის ჩახშობა და «ურიადნიკისა და ვახმისტრის» გამარჯვება, ხოლო პირველ შემთხვევაში განსაზღვრული პერიოდის მანძილზე ბატონობა არგუნა რევოლუციურ ხალხს, რომელმაც მოსპო «ურიადნიკებისა და ვახმისტრების» წინააღმდეგობა.

და აი რუსეთის ბურჟუაზიის სწავლული ლაქია გამოდის «ფრიად პატივცემულ» ლიბერალურ ორგანოში და გვაფრთხილებს არ გავყვეთ პირველს, «საფრანგეთის» გზას. სწავლულ ისტორიკოსს სურს «გერმანიის» გზა და ამას პირდაპირ ამბობს. მან საუცხოოდ იცის, რომ გერმანიის გზა ვერ ასცდა სახალხო შეიარაღებულ აჯანყებას. 1848 და 1849 წლებში მთელი რიგი აჯანყებები და თვით დროებითი რევოლუციური მთავრობებიც იყო გერმანიაში. მაგრამ არც ერთი ეს აჯანყება არ იყო სავსებით ძლევამოსილი. ყველაზე მეტად წარმატებული აჯანყება, ბერლინის 1848 წლის 18 მარტის აჯანყება, დამთავრდა არა მეფის ხელისუფლების დამხობით, არამედ დათმობებით მეფის მხრივ, რომელმაც ძალაუფლება შეინარჩუნა, ძალიან მალე შესძლო წელში გამართვა ნაწილობრივი დამარცხების შემდეგ და ყველა ამ დათმობის უკანვე წაღება.

ამრიგად, ბურჟუაზიის სწავლულ ისტორიკოსს ხალხის აჯანყებისა არ ეშინია. მას ეშინია ხალხის გამარჯვებისა. მას არ ეშინია, რომ ხალხმა ოდნავ ჭკუა ასწავლოს რეაქციას, ბიუროკრატიას, მისთვის საძულველ ბიუროკრატიას. მას ეშინია რეაქციული ხელისუფლების დამხობისა ხალხის მიერ. მას სძაგს თვითმპყრობელობა და სულითა და გულით სურს მისი დამხობა, მაგრამ რუსეთის დაღუპვას იგი მოელის არა თვითმპყრობელობის შენარჩუნებისაგან, არა მონარქიული ხელისუფლების ცოცხალი პარაზიტის ნელი ლპობის მეოხებით ხალხის ორგანიზმის მოწამვლისაგან, არამედ ხალხის სრული გამარჯვებისაგან.

მან, იაფფასიანი მეცნიერების ამ კაცმა, იცის, რომ რევოლუციის ხანა ეს არის საგნობრივი გაკვეთილების ხანა ხალხისთვის, და აი მას არა სურს საგნობრივი გაკვეთილები რეაქციის განადგურების დარგში და გვაშინებს საგნობრივი გაკვეთილებით რევოლუციის განადგურების დარგში. მას შავი ჭირივით აშინებს ის გზა, როცა რევოლუცია თუნდაც მოკლე ხნით აღწევდა სრულ გამარჯვებას, და სულითა და გულით მოწყურებულია ისეთ შედეგს, როგორიც გერმანიაში იყო, როცა რეაქცია დიდი ხნით აღწევდა სრულ გამარჯვებას.

ის რუსეთის რევოლუციას კი არ ეგებება, არამედ მხოლოდ ცდილობს შეამსუბუქოს მისი დანაშაული. მას სურს არა ძლევამოსილი რევოლუცია, არამედ ბედუკულმართი რევოლუცია. რეაქცია მას კანონიერ და გეგმაზომიერ, ბუნებრივ და მტკიცე, საიმედო და კეთილგონიერ მოვლენად მიაჩნია. რევოლუცია მას მიაჩნია უკანონო, ფანტასტიკურ, არაკანონზომიერ მოვლენად, რომელიც საუკეთესო შემთხვევაში შეიძლება რაოდენადმე გამართლებულ იქნას თვითმპყრობელური მთავრობის მერყეობით, «სისუსტით», «უსუსურობით». იგი, ეს «ობიექტური» ისტორიკოსი, რევოლუციას უყურებს არა როგორც ხალხის უკანონიერეს უფლებას,

არამედ მხოლოდ როგორც რეაქციის უკიდურესობათა გამოსწორების ცოდვიან და საშიშ ხერხს. მისთვის რევოლუცია, რომელმაც სავსებით გაიმარჯვა, არის «ანარქია», ხოლო რეაქცია, რომელმაც სავსებით გაიმარჯვა, ანარქია კი არ არის, არამედ სახელმწიფოს განსაზღვრული აუცილებელი ფუნქციების მცირედი გადამეტებაა. მან არ იცის სხვა ხელისუფლება, გარდა მონარქიულისა, სხვა «წესწყობილება» და სხვა «საზოგადოებრივი ორგანიზაცია», გარდა ბურჟუაზიულისა. ევროპის იმ ძალთაგან, რომელთაც რუსეთის რევოლუცია «გაუხსნის პროვიდენციული მისიის» გზას, ის იცნობს მხოლოდ «გერმანელ ვახმისტრს», მაგრამ არ იცნობს და არც სურს იცნობდეს გერმანელ სოციალ-დემოკრატ მუშას. მისთვის ყველაზე უფრო საზიზღარია იმათი «ქედმაღლობა», ვინც «დასავლეთის ბურჟუაზიის წინ გასწრებას აპირებს» (ბ-ნი პროფესორი სიტყვა ბურჟუაზიას ირონიულ ბრჭყალებში სვამს: ასეთი უაზრო ტერმინი უპოვიათ ევროპის, — ევ-რო-პის, — კულტურის მიმართო!). იგი, ეს «ობიექტური ისტორიკოსი», გულდამშვიდებით არიდებს თვალს იმას, რომ სწორედ რუსეთის ძველისძველ თვითმპყრობელური სიბილწის წყალობით ევროპა აი უკვე მრავალი ათეული წლებია ერთ ადგილს ტკეპნის ან უკან იხევს პოლიტიკურად. მას ეშინია «ახლად ძალამოკრებილი ურიადნიკის» საგნობრივი გაკვეთილებისა და ამიტომ — ჰოი, ხალხის ბელადო! ჰოი, პოლიტიკურო მოღვაწეე! — ის ყველაზე უფრო გვაფრთხილებს გადაჭრით არ გავანადგუროთ თანამედროვე ურიადნიკის მთელი «ძალები». რა გულის ამრევი მონური ფიგურაა! რა საზიზღარი გამცემლობაა რევოლუციისა საკითხის ვითომ მეცნიერული და ვითომ ობიექტური განხილვის ნიღაბით! რუსს დააკვირდით და თათარს აღმოაჩენთო, ამბობდა ნაპოლეონი. დააკვირდით ლიბერალურ რუს ბურჟუას, ვიტყვით ჩვენ, და ახალ მუნდირში გამოწყობილ ურიადნიკს აღმოაჩენთ. ამ ურიადნიკს ძველი ძალღონის $^{9}/_{10}$-ს უტოვებენ იმ ღრმააზროვანი «მეცნიერული» და «ობიექტური» მოსაზ-

რებით, რომ თუ ასე არ მოვიქცევითო, ის მოინდომებს «ა ხ ა ლ ი ძალის მოკრებასაო»! ბურჟუაზიის ყოველი იდეოლოგი — სულიან-ხორციანად ჩარჩია; ის ფიქრობს არა რეაქციისა და «ურიადნიკის» ძ ა ლ ე ბ ი ს მოსპობაზე, არამედ იმაზე, რომ მოისყიდოს, მოთაფლოს, მოალბოს ეს ურიადნიკი რაც შეიძლება უფრო მალე მორიგების საშუალებით.

რა სწორუპოვრად ადასტურებს ბურჟუაზიის ეს უაღრესად განსწავლული იდეოლოგი ყოველივე იმას, რაც უკვე ბევრჯერ გვითქვამს «პროლეტარში» რუსული ლიბერალიზმის დედაარსსა და ხასიათზე. ევროპის ბურჟუაზიისაგან განსხვავებით, რომელიც თავის დროზე რევოლუციური იყო და ათეული წლების შემდეგ რეაქციის მხარეზე დგებოდა, ჩვენს შინგაზრდილ ბრძენთ სურთ ერთბაშად გადაახტნენ რევოლუციას და რეაქციული ბურჟუაზიის ზომიერ და წესიერ ბატონობაზე გადავიდნენ. ბურჟუაზიას, თავისი კლასობრივი მდგომარეობით, არა სურს და არც შეუძლია სურდეს რევოლუცია. მას სურს მხოლოდ მორიგება მონარქიასთან რევოლუციური ხალხის წინააღმდეგ, მას სურს მხოლოდ მიეპაროს ხელისუფლებას ამ ხალხის ზურგს უკან.

რა ჭკუისსასწავლებელ გაკვეთილს აძლევს ლიბერალური ბურჟუაზიის ეს ბრძენი სოციალ-დემოკრატიის იმ დოქტრინიორებს, რომლებიც იმ რეზოლუციამდე მივიდნენ, რომელიც კავკასიელმა ახალისკრელებმა მიიღეს, ხოლო «ისკრის» რედაქციამ საგანგებო ფურცელში ს პ ე ც ი ა ლ უ რ ა დ მ ო ი წ ო ნ ა. ეს ქვემოთ მოყვანილი რეზოლუცია («ისკრის» მოწონებასთან ერთად) სრულადაა გადაბეჭდილი ნ. ლენინის ბროშურაში «ორი ტაქტიკა» (გვ. 68—69)*, მაგრამ რადგან რუსეთში მომუშავე ამხანაგები მას ნაკლებ იცნობენ, რადგან თვით «ისკრის» რედაქციამაც არ მოისურვა თავის გაზეთში გადაებეჭდა ეს, მისი აზრით, «ფრიად მარჯვე» რეზოლუცია, ამიტომ ის აქ მოგვყავს მთლიანად ყველა სოციალ-დემოკრატის ჭკუისსასწავლებლად და «ისკრის» შესარცხვენად:

* იხ. ეს ტომი, გვ. 102. რ ე დ.

«თვლის რა თავის ამოცანად გამოიყენოს რევოლუციური მომენტი პროლეტარიატის სოციალ-დემოკრატიული შეგნების გასაღრმავებლად, კონფერენცია (ახალისკრელთა კავკასიის კონფერენცია) იმ მიზნით, რომ პარტიისათვის უზრუნველყოფილ იქნას ახლად წარმოშობილი ბურჟუაზიულ-სახელმწიფოებრივი წყობილების კრიტიკის სრული თავისუფლება, წინააღმდეგია სოციალ-დემოკრატიული დროებითი მთავრობის შექმნისა და მასში შესვლისა, ხოლო ყველაზე მიზანშეწონილად თვლის იმას, რომ გარედან მოახდინოს ზეგავლენა ბურჟუაზიულ დროებითს მთავრობაზე სახელმწიფო წყობილების შეძლებისამებრ დემოკრატიზაციისათვის. კონფერენცია ფიქრობს, რომ სოციალ-დემოკრატების მიერ დროებითი მთავრობის შექმნა ან მასში შესვლა გამოიწვევს, ერთი მხრივ, სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან პროლეტარიატის იმედგაცრუებული ფართო მასების ჩამოშორებას, რადგან, მიუხედავად ძალაუფლების დაპყრობისა, სოციალ-დემოკრატია ვერ შესძლებს დააკმაყოფილოს მუშათა კლასის საარსებო საჭიროებანი თვით სოციალიზმის განხორციელებამდე, მეორე მხრივ, აიძულებს ბურჟუაზიულ კლასებს ჩამოშორდნენ რევოლუციის საქმეს და მით შეასუსტებს მის გაქანებას».

ეს რეზოლუცია სამარცხვინოა, რადგან ის გამოხატავს (მის დამწერთა ნებისა და შეგნების დამოუკიდებლად, ოპორტუნიზმის მოლიპულ გზას რომ დასდგომიან) მუშათა კლასის ინტერესების ღალატსა და ბურჟუაზიის ხელში ჩაგდებას. ეს რეზოლუცია აკანონებს დემოკრატიული რევოლუციის ეპოქაში პროლეტარიატის გადაქცევას ბურჟუაზიის მაჩანჩალად. საკმარისია ეს რეზოლუცია შევადაროთ ბ-ნ ვინოგრადოვის სტატიიდან ზემომოყვანილ ციტატს (ასეთ ციტატს კი ყველა ასობით და ათასობით იპოვის ლიბერალურ პუბლიცისტიკაში), რათა დავინახოთ, რა ჭაობში ჩაეფლნენ ახალისკრელები. ბ-ნი ვინოგრადოვი ხომ, ბურჟუაზიის ეს უაღრესად ტიპიური იდეოლოგი, უკვე ჩამოშორდა რევოლუციის საქ-

მეს. ხომ არ შეასუსტა მან ამით «რევოლუციის გაქანება», ბატონო ახალისკრელებო? იქნებ საჭირო იყოს წახვიდეთ ბატონ ვინოგრადოვებთან, აღიაროთ თქვენი დანაშაული და ემუდაროთ მათ, რომ რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო ბ ი ს ა გ ა ნ თ ქ ვ ე ნ ი თ ა ვ შ ე კ ა ვ ე ბ ი ს ფ ა ს ა დ. არ «ჩამოშორდნენ რევოლუციის საქმეს»?

«პროლეტარი» № 16,
1905 წ. 14 (1) სექტემბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

თვითწარმოშობის თეორია

««ისკრამ» ცხადყო, რომ დამფუძნებელი კრება შეიძლება თავისით წარმოიშვას ყოველგვარი მთავრობის დაუხმარებლად, მაშასადამე, დროებითი მთავრობის დაუხმარებლადაც. ამიერიდან ეს საშინელი საკითხი შეიძლება ამოწურულად ჩაითვალოს, და მასთან დაკავშირებული ყოველგვარი დავაც უნდა მოისპოს».

ასე წერს ბუნდი «პოსლედნიე იზვესტიას» 247-ე ნომერში 1 სექტემბრის (19 აგვისტოს) თარიღით. თუ ეს ირონია არ არის, ისკრულ შეხედულებათა უკეთეს «განვითარებას» ვერც კი წარმოიდგენს კაცი. ყოველ შემთხვევაში, «თვითწარმოშობის» თეორია დადგენილია, «საშინელი საკითხი» ამოწურულია, დავა «უნდა მოისპოს». რა მშვენიერებაა! ამიერიდან აღარ გვექნება დავა ამ საშინელ საკითხზე, სასოებით გავუფრთხილდებით ამ ახალ, ახლახან აღმოჩენილ უბრალო და ბავშვის თვალებივით ნათელ «თვითწარმოშობის» თეორიას. მართალია, თვითწარმოშობის ეს თეორია თავისნებისად კი არ წარმოშობილა, არამედ ყველას თვალწინ გაჩნდა როგორც ბუნდისა და ახალი «ისკრის» თანაცხოვრების ნაყოფი, — მაგრამ მნიშვნელოვანია თეორიის არა წარმოშობა, არამედ მისი ღირებულება!

რა მიუხვედრელნი იყვნენ რუსეთის საბრალო სოციალ-დემოკრატები, რომლებიც ამ «საშინელ საკითხს» იხილავდნენ რსდმპ III ყრილობაზედაც და ახალისკრელთა კონფერენციაზედაც: ერთნი სულ დროებითს მთავრობაზე მსჯელობ-

დნენ დამფუძნებელი კრების წარმოსაშობად, არა თავისნებისად წარმოსაშობად; სხვებს დასაშვებად მიაჩნდათ (კონფერენციის რეზოლუცია), რომ «ცარიზმზე რევოლუციის გადამწყვეტი გამარჯვება». «შეიძლება აღინიშნოს» «რომელიმე წარმომადგენლობითი დაწესებულების გადაწყვეტილებით — მოწვეულ იქნას, ხალხის უშუალო რევოლუციური ზეგავლენით, დამფუძნებელი კრება», და ვერავინ, ახალი «ისკრის» მთელმა რედაქციამაც კი, პლეხანოვთან ერთად რომ ესწრებოდა კონფერენციას, ვერ მოისაზრა ის, რაც ახლა ««ისკრამ» ცხადყო», ხოლო ბუნდმა შეაჯამა, საუცხოო სიტყვით განამტკიცა, მონათლა. როგორც ყოველმა გენიალურმა აღმოჩენამ, დამფუძნებელი კრების თვითწარმოშობის თეორიამ ერთბაშად შეიტანა სინათლე ქაოსში. ახლა ყველაფერი ცხადი გახდა. ზედმეტია ფიქრი დროებითს რევოლუციურ მთავრობაზე (მოიგონეთ «ისკრის» ღირსშესანიშნავი თქმა: დაე ნუ შებილწავს თქვენს ბაგეს შეერთება სიტყვებისა «გაუმარჯოს» და «მთავრობა»!), ზედმეტია სახელმწიფო სათათბიროს წევრებს ჩამოართვა «რევოლუციური ვალდებულება» «სახელმწიფო სათათბირო გადააქციონ რევოლუციურ კრებად» (ჩერევანინი «ისკრის» № 108-ში). დამფუძნებელი კრება შეიძლება თავისით წარმოიშვას!! ეს იქნება მისი უბიწო დაბადება თვით ხალხის მიერ, რომელიც არ იბილწავს თავს არავითარი მთავრობის, თუნდაც დროებითი, თუნდაც რევოლუციური მთავრობის «საშუალებით». ეს იქნება დაბადება «უხრწნელად», საყოველთაო არჩევნების წმინდა გზით, ძალაუფლებისათვის ყოველგვარი «იაკობინური» ბრძოლის გარეშე, წმიდა საქმის ბურჟუაზიული წარმომადგენლობითი კრებების გამცემლობით წაუბილწავად, თვით ყოველგვარ უხეშ ბეზიაქალთა ჩაურევლად, რომლებიც აქამდე ამ წაბილწულ, ცოდვიან, ბოროტ ქვეყანაში ყოველთვის წესიერად ჩნდებოდნენ ასპარეზზე, როცა ძველი საზოგადოება ფეხმძიმედ ხდებოდა ახალი საზოგადოების დასაბადებლად.

გაუმარჯოს თვითწარმოშობას! დაე შეაფასოს ახლა სრულიად რუსეთის ყველა რევოლუციურმა ხალხმა მისი «შესაძლებლობა», — და, მაშასადამე, მისი აუცილებელი საჭიროებაც ამ ხალხთათვის, როგორც ყველაზე რაციონალური, იოლი, უბრალო გზისა თავისუფლებისაკენ! დაე სასწრაფოდ აიგოს ძეგლი ბუნდისა და ახალი «ისკრის», თვითწარმოშობის თეორიის თავისნებისი მშობლების პატივსაცემად!

თუმცა ახალი მეცნიერული აღმოჩენის კაშკაშა სინათლე თვალს გვჭრის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ოდნავ მაინც უნდა შევეხოთ ამ მაღალი ქმნილების ზოგიერთ მდაბალ თავისებურებას. თუ მთვარეს ჰამბურგში მეტად უხეიროდ აკეთებენ [75], არც ახალ თეორიებს აცხობენ «პოსლედნიე იზვესტიას» რედაქციაში მაინცდამაინც გულდასმით. რეცეპტი უბრალოა, დიდი ხანია შეთვისებული აქვთ იმ ადამიანებს, რომლებიც არასდროს არ სცოდავდნენ არავითარი დამოუკიდებელი აზრის ნატამალითაც: აიღებენ ერთიმეორის საწინააღმდეგო შეხედულებებს, აურევენ ერთმანეთში და გაყოფენ შუაზე! «პროლეტარიდან» აიღებენ თვითმპყრობელობის დროის სახალხო არჩევნების კრიტიკას, «ისკრიდან» — «საშინელი საკითხის» დაგმობას; «პროლეტარიდან» — აქტიურ ბოიკოტს, «ისკრიდან» — აჯანყების, როგორც ლოზუნგის, უვარგისობას... «როგორც ფუტკარი ყოველი ყვავილიდან იღებს ღალას». კეთილი ბუნდელებიც თავმოწონებით ილამაზებენ თავს, გახარებული არიან საშინელ საკითხზე დავის მოსპობით და შეჰხარიან საკუთარ თავს: როგორ დავძლიეთ ორივე მოკამათე მხარის შეხედულებათა შეზღუდულობა და ცალმხრივობაო!

რაღაც დალაგებულად ვერ გამოგიდით, ბუნდელო ამხანაგებო. «თვითწარმოშობის» სხვა «გზები», გარდა ახალისკრულისა, თქვენ არ გიჩვენებიათ. ხოლო რაც შეეხება ახალისკრულს, თქვენ თვითონ იძულებული გახდით გეთქვათ, რომ «თვითმპყრობელობის ვითარებაში და მთავრობის ნების წი-

ნააღმდეგ, რომელსაც ხელთ უპყრია მთელი სახელმწიფო მანქანა», სახალხო წარმომადგენელთა არჩევნები მხოლოდ თავშესაქცევი არჩევნები შეიძლება იყოს. ნუ დაგვტოვებთ შუაგზაზე, ჰოი, ახალი თეორიის შემოქმედნო: გვითხარით, ახალისკრულს გარდა რა «გზითა» გაქვთ თქვენ «წარმოდგენილი» «თვითწარმოშობა»?

«ისკრის» წინააღმდეგ «პროლეტარი» წერდა, რომ თვითმპყრობელობის დროს არჩევნების ჩატარება შეუძლიათ მხოლოდ ოსვობოჟდენიელებს, რომლებიც სიამოვნებით გაასაღებენ მას სახალხო არჩევნებადაო *. ბუნდი უპასუხებს: «ეს მოსაზრება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, რადგან ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ თვითმპყრობელობა არავის — მათ შორის ოსვობოჟდენიელებსაც — არ მისცემს ნებას არჩევნები მოახდინოს კანონით დაწესებული ჩარჩოების გარეშეო». ჩვენ მოწიწებით შევნიშნავთ: ერობის მოღვაწეებმა, ქალაქის ხმოსნებმა და «კავშირთა» წევრებმა არჩევნები უკვე მოახდინეს და ახლაც ახდენენ. ეს ფაქტია. დამამტკიცებელი საბუთი მათი მრავალრიცხოვანი ბიუროებია.

ბუნდი წერს: «სათათბიროს წინააღმდეგ აგიტაციის დაწყება საერთოდ შეიარაღებული აჯანყების მიზნით (!) არ შეიძლება, რადგან აჯანყება, რომელიც მხოლოდ პოლიტიკური გადატრიალების საშუალებაა, ამ შემთხვევაში» (და არა «საერთოდ»?) «არ შეიძლება სააგიტაციო ლოზუნგად გამოდგეს. სათათბიროს შეიძლება და უნდა ვუპასუხოთ დამფუძნებელი კრების სასარგებლოდ პოლიტიკური აგიტაციის გაფართოებით და გაღრმავებით საყოველთაო და სხვ. ხმისმიცემის საფუძველზე». ჩვენ ვუპასუხებთ: ჯერ-ერთი, ბუნდელები რომ ცოტათი ჩაფიქრებულიყვნენ ანდა ჩვენს პარტიულ პროგრამაში მაინც ჩაეხედათ, დაინახავდნენ, რომ დამფუძნებელი კრებაც მხოლოდ «საშუალებაა». უგუნურებაა ერთი «საშუალება» გამოსადეგად გამოაცხადო ლოზუნგისათვის, ხოლო

* იხ. ეს ტომი, გვ. 238. რედ.

მეორე «საერთოდ» უვარგისად. მეორე, ჩვენ უკვე დიდი ხანია და მრავალჯერ დაწვრილებით განვმარტავდით, რომ მარტოოდენ დამფუძნებელი კრების ლოზუნგი არაფრად არ ვარგა, რადგან იგი ოსვობოჟდენიელურ ლოზუნგად, ბურჟუაზიულ «შემთანხმებელთა» ლოზუნგად იქცა (იხ. «პროლეტარი» № 3 და 4) *. ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიის მხრივ სავსებით ბუნებრივია, რომ ის აფუჩეჩებს დამფუძნებელი კრების მოწვევის საშუალების საკითხს. რევოლუციური პროლეტარიატის წარმომადგენელთა მხრივ ეს სრულიად შეუწყნარებელია. პირველთ სავსებით შეეფერება თვითწარმოშობის თეორია. მეორეებს ის მხოლოდ შეარცხვენს შეგნებული მუშების წინაშე.

ბუნდის უკანასკნელი საბუთი: «შეიარაღებული აჯანყება საჭიროა, მისთვის უნდა ვემზადოთ, ვემზადოთ და ვემზადოთ. მაგრამ ჯერჯერობით ჩვენ არ ძალგვიძს მისი გამოწვევა, ამიტომ (!!) ზედმეტია სათათბიროსთან მისი დაკავშირება». ჩვენ ვუპასუხებთ: 1) აჯანყებისა და მისთვის მომზადების საჭიროების აღიარება და ამავე დროს ზიზღით ტუჩის აკვრა «რაზმების» საკითხის გამო («აღებულია «ვპერიოდის» არსენალიდან», როგორც ბუნდი წერს), ეს ნიშნავს თავი გაიწბილო, არ დაუფიქრდე იმას, რასაც სწერ. 2) დროებითი რევოლუციური მთავრობა აჯანყების ორგანოა. ეს დებულება, რომელიც პირდაპირ გამოხატულია III ყრილობის რეზოლუციაში, არსებითად მიღებულია ახალისკრელთა კონფერენციის მიერაც, თუმცა, ჩვენი ფიქრით, გამოხატულია უფრო ცუდად (დროებითი რევოლუციური მთავრობა, «გამოსული ძლევამოსილი სახალხო აჯანყებიდან»: ლოგიკაც და ისტორიული გამოცდილებაც ცხადყოფს, რომ დროებითი რევოლუციური მთავრობა შესაძლებელია აჯანყების ორგანო იყოს სრულიადაც არა ძლევამოსილი ან არასავსებით ძლევამოსილი აჯანყებისა; გარდა ამისა, დროებითი რევოლუციური მთავრობა

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 8, გვ. 583, 607 — 615. რ ე დ.

არა მარტო «გამოდის» აჯანყებიდან, არამედ კიდევაც უძღვება აჯანყებას). ბუნდელები არ ცდილობენ სადავოდ გახადონ ეს დებულება და არც შეიძლება სადავოდ გავხადოთ იგი. აჯანყების და მისთვის მზადების აუცილებლობის აღიარება და ამავე დროს იმის მოთხოვნა, რომ მოისპოს კამათი დროებითი მთავრობის «საშინელ საკითხზე» — ეს იმას ნიშნავს, რომ დაუფიქრებლად სწერო. 3) ფრაზა დამფუძნებელი კრების შექმნის შესახებ «ყოველგვარი მთავრობის დაუხმარებლად, მაშასადამე, დროებითი მთავრობის დაუხმარებლადაც» ა ნ ა რ ქ ი ს ტ უ ლ ი ფრაზაა. ის მთლიანად დგას ისეთი ფრაზის დონეზე, როგორიცაა ცნობილი ისკრული ფრაზა ბაგეთა «შებილწვაზე» ასეთი სიტყვების შეერთებით: «გაუმარჯოს» და «მთავრობა». ეს ფრაზა ცხადყოფს რევოლუციური ხელისუფლების, როგორც პოლიტიკური გადატრიალების მოხდენის ერთ-ერთი უდიდესი და უმაღლესი «ს ა შ უ ა ლ ე ბ ი ს», მნიშვნელობის გაუგებლობას. იაფფასიანი «ლიბერალიზმი», რომლითაც აქ «ისკრასთან» ერთად თავი მოაქვს ბუნდს (სრულიად უმთავრობოდ, თუნდაც დროებითისაცაო!), სწორედ ანარქისტული ლიბერალიზმია. დამფუძნებელი კრების შექმნა აჯანყების დ ა უ ხ მ ა რ ე ბ ლ ა დ — ეს ისეთი აზრია, რომელიც შეეფერებათ მხოლოდ ბურჟუაზიულ უხამსებს, როგორც ამას ამხანაგი ბუნდელებიც ხედავენ. ხოლო აჯანყება დროებითი რევოლუციური მთავრობის მხრივ ხ ე ლ ი ს შ ე უ წ ყ ო ბ ლ ა დ ვერ გახდება ვერც საყოველთაო სახალხო და ვერც ძლევამოსილი. ისევ და ისევ მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ბუნდელები თავსა და ბოლოს სრულიად ვერ აბამენ ერთმანეთს. 4) თუ საჭიროა აჯანყებისათვის მზადება, ამ მზადებაში აუცილებლად შედის გავრცელება და განმარტება ლოზუნგებისა: სახალხო შეიარაღებული აჯანყება, რევოლუციური არმია, დროებითი რევოლუციური მთავრობა. ჩვენ თვითონ უნდა შევისწავლოთ ბრძოლის ახალი ხერხები, მათი პირობები, მათი ფორმები, მათი საშიშროებანი, მათი პრაქტიკული განხორციელება და სხვ. და მასა-

საც შევასწავლოთ ისინი. 5) დებულება: «ჯერჯერობით ჩვენ არ ძალგვიძს აჯანყების გამოწვევა» არ არის სწორი. «პოტიომკინის» ისტორიამ უფრო ის დაგვანახვა, რომ ჩ ვ ე ნ არ ძ ა ლ გ ვ ი ძ ს მ ო მ ზ ა დ ე ბ ი ს პ რ ო ც ე ს ს ი ი მ ყ ო ფ ი ა ჯ ა ნ ყ ე ბ ი ს ნ ა ა დ რ ე ვ ა ფ ე თ ქ ე ბ ა თ ა გ ა ნ შ ე კ ა ვ ე ბ ა. «პოტიომკინის» მატროსები უფრო ნაკლებ მომზადებული იყვნენ, ვიდრე სხვა გემების მატროსები, და აჯანყებაც უფრო ნაკლებ სრული გამოვიდა, ვიდრე უნდა ყოფილიყო. რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ აქედან? ის, რომ აჯანყების მზადების ამოცანაში შედის მომზადების პროცესში მყოფი ან თითქმის მომზადებული აჯანყების ნაადრევ აფეთქებათაგან შეკავების ამოცანა. ის, რომ სტიქიურად მზარდი აჯანყება წ ი ნ უ ს წ რ ე ბ ს ჩვენი მხრივ მისი მომზადების შეგნებულ და გეგმაშეწონილ მუშაობას. ახლაც არ ძალგვიძს ჩვენ შევაკავოთ აჯანყების აფეთქებები, რომლებიც ხდება დაქსაქსულად, განცალკევებულად, სტიქიურად ხან აქ, ხან იქ. მით უფრო მეტად ვალდებული ვართ დ ა ვ ა ჩ ქ ა რ ო თ წარმატებითი აჯანყების ყველა პოლიტიკური ამოცანის და ყველა პოლიტიკური პირობის გავრცელება და განმარტება. მით უფრო უაზროა, მაშასადამე, წინადადებანი მოისპოს დავა «საშინელ საკითხზე» დროებითი მთავრობის შესახებ. 6) სწორია თუ არა ის აზრი, რომ «ზედმეტია სათათბიროს დაკავშირება აჯანყებასთან»? არა, არ არის სწორი. აჯანყების მომენტის წინასწარ განსაზღვრა უაზრობაა, განსაკუთრებით ჩვენი მხრივ აქ, საზღვარგარეთიდან. ამ მხრივ «ხელფეხის შებოჭვაზე» ლაპარაკიც ზედმეტია, როგორც ეს არა ერთხელ აღუნიშნავს «პროლეტარს». მაგრამ ა გ ი ტ ა ც ი ა ა ჯ ა ნ ყ ე ბ ი ს ს ა ს ა რ გ ებ ლ ო დ, მ ი ს ი ქ ა დ ა გ ე ბ ა აუცილებლად უნდა «დავუკავშიროთ» ყველა მნიშვნელოვან და ხალხის ამაღელვებელ პოლიტიკურ მოვლენას. მთელი ჩვენი დავა ახლა იმის გამოა, თუ რომელი საგიტაციო ლოზუნგი უნდა იდგეს «სათათბიროს» გარშემო წარმოებული მთელი ჩვენი საგიტაციო კამპანიის ცენტრში. არის

თუ არა სათათბირო ასეთი მოვლენა? უსათუოდ, არის. შეგვეკითხებიან თუ არა მუშები და გლეხები: როგორი უნდა იყოს ჩვენი საუკეთესო პასუხი სათათბიროს მიმართ? უსათუოდ შეგვეკითხებიან და უკვე გვეკითხებიან კიდეც. როგორ გავცეთ პასუხი ამ კითხვებზე? თვითწარმოშობის დამოწმებით კი არა (ეს მხოლოდ სასაცილოდ თუ გამოდგება), არამედ აჯანყ ე ბ ი ს ორგანოთა პირობების, ფორმების, წანამძღვარების, ამოცანების გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ. რაც უფრო მეტ შედეგს მივაღწევთ ასეთი განმარტებით, მით უფრო მეტი შესაძლებლობა იქნება იმისა, რომ აჯანყების აუცილებელი აფეთქებანი უფრო ადვილად და მალე განვითარდება წარმატებულ, ძლევამოსილ აჯანყებად.

«პროლეტარი» № 16,
1905 წ. 14 (1) სექტემბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით.

წერილი საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს

1905 წ. 16 სექტემბერი.

ძვირფასო ამხანაგო! ყველა თქვენი წერილი, რომლებიც შეიცავენ საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს წინადადებას — ჩაერიოს საქმეში ჩვენი პარტიის ორი ფრაქციის შესარიგებლად, გაეგზავნა რუსეთში ცენტრალურ კომიტეტს. ამჟამად შემიძლია გაცნობოთ, რომ ცენტრალური კომიტეტი მზადაა მონაწილეობა მიიღოს კონფერენციაში, რომლის შესახებაც ლაპარაკია, იმ პირობით, რომ მას მხოლოდ წინასწარი მსჯელობის ხასიათი ექნება. იმედი მაქვს, ცენტრალური კომიტეტის დელეგატები უახლოეს მომავალში, ალბათ, სექტემბერში, ჩამოვლენ ჟენევაში ან ბერლინში.

მაგრამ უნდა გაცნობოთ, რომ ცენტრალური კომიტეტი ემზადება შეუთანხმდეს რუსეთში საორგანიზაციო კომისიას — პარტიის უმცირესობის აღმასრულებელ ორგანოს. წინასწარი მოლაპარაკება უკვე იყო და ორივე პარტია შეთანხმდა იმ თანხების შესახებ, რომლებიც საზღვარგარეთულმა ორგანიზაციებმა გაიღეს რუსეთის რევოლუციის სასარგებლოდ. ამ შეთანხმების ტექსტი ორი კვირის წინათ გამოგეგზავნათ.

რადგან შერიგება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მტკიცე, თუ ამხანაგები რუსეთში სავსებით შეუთანხმდებიან ერ-

თიმეორეს, ამიტომ მიზანშეწონილი იქნებოდა დაგვეცადა ამ მოლაპარაკების შედეგისათვის და შემდეგ მოგვეწვია კონფერენცია, რომლის შესახებ თქვენ გვწერთ.

ვლადიმირ ულიანოვი (ნ. ლენინი)

პირველად დაიბეჭდა
1929 წელს ვ. ი. ლენინის
თხზულებათა 2 — 3 გამოცემაში,
ტომი VIII

იბეჭდება თხზულებათა 2 — 3
გამოცემის ტექსტის მიხედვით,
რომელიც შეჯერებულია მანქანით
გადაბეჭდილი ასლის ფრანგული
ენის ტექსტთან

მეგობართა შეხვედრა

უკანასკნელ დღეებში უცხოეთის გაზეთები, რომელნიც უდიდესი ყურადღებით ადევნებენ თვალყურს პოლიტიკური კრიზისის განვითარებას რუსეთში, მთელ რიგ საინტერესო ცნობებს აქვეყნებენ ერობის მოღვაწეთა და ოსვობოჟდენიელების მოქმედების შესახებ. აი ეს ცნობები.

«თავადაზნაურობის წინამძღოლთა კონფერენცია პეტერბურგში ორი საათის მსჯელობის შემდეგ სავსებით შეუთანხმდა შინაგან საქმეთა მინისტრს სახელმწიფო სათათბიროს «არჩევნების შესახებ» («Vossische Zeitung» [76], 16 სექტემბერი). «რუსეთის ყველა გუბერნიიდან და ქალაქიდან იტყობინებიან ამომრჩეველთა უმრავლესობის სრულ გულგრილობას მათთვის მიცემულ პოლიტიკურ უფლებათა მიმართ») (იქვე). გოლოვინი (მოსკოვის გუბერნიის ერობის გამგეობის თავმჯდომარე) მოლაპარაკებას აწარმოებს დურნოვოსთან (მოსკოვის გენერალ-გუბერნატორთან) ერობის მოღვაწეთა ყრილობის ნებართვის მისაღებად. დურნოვომ უთხრა გოლოვინს, სავსებით თანავუგრძნობ ერობის მოღვაწეებს, მაგრამ ნაბრძანები მაქვს მთელი ძალღონით შევუშალო ხელი ყრილობის მოწვევასაო. გოლოვინმა მიუთითა პროფესორთა ყრილობაზე. დურნოვომ უპასუხა: «ეს სულ სხვა საქმეა, რადგან სტუდენტები ყოველ შემთხვევაში უნდა დაგვეჯერებინა განეახლებინათ მეცადინეობა» («Frankfurter Zeitung» *, 17 სექტემბერი). «ერობის მოღვაწეთა ყრილობა

* — «ფრანკფურტის გაზეთი». რ ე დ.

ნებადართულია მოსკოვში 25 სექტემბრისათვის საარჩევნო პროგრამის განსახილველად იმ პირობით, რომ ის არავითარ შემთხვევაში არ გადაუხვევს ამ საკითხს» («Times»*, 18 სექტემბერი, დეპეშა ს.-პეტერბურგიდან). «ბ-მა გოლოვინმა დღეს გენერალ-გუბერნატორი ინახულა ერობის მოღვაწეთა მომავალ ყრილობაზე მოსალაპარაკებლად. მისმა აღმატებულებამ განუცხადა, ყრილობა ნებადართულია, მაგრამ მისი პროგრამა სამი საკითხით უნდა განისაზღვროსო: 1) ერობათა და ქალაქთა მონაწილეობა სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში; 2) საარჩევნო კამპანიის ორგანიზაცია; 3) ერობათა და ქალაქთა მონაწილეობა დამშეულთა დახმარების საქმეში» (იქვე, დეპეშა მოსკოვიდან).

მეგობრები ერთმანეთს შეხვდნენ და მეგობრები შეთანხმდნენ. შეთანხმება გოლოვინსა (საერობო პარტიის ბელადი) და დურნოვოს შორის მიღწეულია. მხოლოდ ბალღები თუ ვერ დაინახავენ იმას, რომ შეთანხმება ემყარება ურთიერთ დათმობას, პრინციპს do ut des (გაძლევს, მაძლევ). თუ რა დაუთმო თვითმპყრობელობამ, ეს ცხადია: მან ყრილობის მოწვევის ნება დართო. მაგრამ რა დაუთმო საერობო (თუ ოსვობოჟდენიელურმა? ალაჰი ვერ გაარჩევს! და განა ღირს კი მათი გარჩევა?) პარტიამ, ამას არავინ ამბობს. ბურჟუაზიას სრული საფუძველი აქვს დამალოს თავისი მოლაპარაკება თვითმპყრობელობასთან. მაგრამ თუ დეტალები, წვრილმანი არ ვიცით, სამაგიეროდ საუცხოოდ ვიცით ბურჟუაზიის დათმობათა არსი. ბ ურ ჟ უ ა ზ ი ა თ ვ ი თ მ პ ყ რ ო ბ ე ლ ო ბ ა ს შ ე ჰ პ ი რ დ ა თ ა ვ ი ს ი რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ა ღ ტ ყ ი ნ ე ბ ი ს შ ე ნ ე ლ ე ბ ა ს, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ პეტრუნკევიჩს სასახლეში თვლიდნენ ყოფილ რევოლუციონერად... ბ ურ ჟ უ ა ზ ი ა შ ე ჰ პ ი რ დ ა ფ ას დ ა კ ლ ე ბ ა ზ ე ფ ა ს დ ა კ ლ ე ბ ი თ ვ ე გ ი პ ა ს უ ხ ე ბ ო. ფასდაკლების ოდენობა ჩვენ არ ვიცით. მაგრამ ვიცით, რომ

* — «დროება». რ ე დ.

ბურჟუაზიის «გადიდებული ფასი» ორგვარი იყო: ხალხისათვის — მონარქიული კონსტიტუცია ორი პალატით; მეფისთვის — სახალხო წარმომადგენელთა მოწვევა და მეტი არაფერი (ვინაიდან მეტ რამეზე ერობის მოღვაწეთა ცნობილმა დელეგაციამ ვერ გაუბედა ლაპარაკი ნიკოლოზ II-ს). და აი ამ ორმაგი გადიდებული ფასიდან ბურჟუაზია დაკლებას შეჰპირდა თვითმპყრობელობას. ბ ურ ჟ უ ა ზ ი ა შ ე ჰ პ ი რ დ ა ე რ თ გ უ ლ ი, ლ ო ი ა ლ უ რ ი, ლ ე გ ა ლ უ რ ი ქ ვ ე შ ე ვ ი რ დ ო მ ი ვ ი ქ ნ ე ბ ი ო*.

მეგობრები ერთმანეთს შეხვდნენ და მეგობრები შეთანხმდნენ.

დაახლოებით იმავე ხანებში ხვდებოდნენ და უთანხმდებოდნენ ერთმანეთს სხვა მეგობრებიც. საბირჟო «ფრანკფურტის გაზეთის» პეტერბურგელი კორესპონდენტი (15 სექტემბერს) იტყობინება, შესდგა «ოსვობოჟდენიეს კავშირის» ფარული ყრილობაო, ალბათ, მოსკოვში. «კრებაზე გადაწყდა «ოსვობოჟდენიეს კავშირი» დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ-კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი უ რ პ ა რ ტ ი ა დ გადააქციონ. ეს წინადადება შეიტანეს ერობის მოღვაწეებმა, რომლებიც «ოსვობოჟდენიეს კავშირს» ეკუთვნიან, და ყრილობამაც (თუ კონფერენციამ?) იგი ერთხმად მიიღო. შემდეგ აირჩიეს «ოსვობოჟდენიეს კავშირის» 40 წევრი პ ა რ ტ ი ი ს პ რ ო გ რ ა მ ი ს შესამუშავებლად და სარედაქციოდ. ეს კომისია მალე შეუდგება მუშაობას». იხილავდნენ სახელმწიფო სათათბიროს საკითხს. გაცხოველებული კამათის შემდეგ გადაწყვიტეს მ ო ნ ა წ ი-

* 21 სექტემბერს ახ. სტ. პეტერბურგიდან საზღვარგარეთულ გაზეთებს ატყობინებდნენ, რომ საერობო ყრილობის ბიუროს ცნობები მოსდის — ერობის ბევრი მოღვაწე უარს აცხადებს 25 სექტემბრის ყრილობაში მონაწილეობის მიღებაზე იმ საბაბით, რომ ყ რ ი ლ ო ბ ი ს პ რ ო გ რ ა მ ა მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ნ ა დ შ ე კ ვ ე ცა მ თ ა ვ რ ო ბ ა მ ა ო. ამ ცნობის სისწორის თავდებობას ვერ ვიკისრებთ, მაგრამ ხმების სახითაც ის უსათუოდ ადასტურებს ჩვენს შეხედულებას გოლოვინისა და დურნოვოს მოლაპარაკებათა მნიშვნელობის შესახებ.

ლეობა მიიღონ არჩევნებში, «მხოლოდ იმ პირობით, რომ არჩეულმა პარტიის წევრებმა სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობა მიიღონ არა მიმდინარე საქმეებში ჩასაბმელად, არამედ თვით სათათბიროს შიგნით ბრძოლის განსაგრძობად». კამათში აღნიშნავდნენ, რომ ფართო (ანუ ყოველმხრივი, weitgehender) ბოიკოტი შეუძლებელია, ხოლო აზრი სწორედ ასეთს ბოიკოტს ექნებოდაო. (ნუთუ, ბატონებო, თქვენს კრებაზე არავის არ წამოუძახნია: ნუ ამბობ: არ შემიძლია, სთქვი: არ მინდა? «პროლეტარის» რედაქციის შენიშვნა.) მაგრამ კრება ფიქრობს, რომ სახელმწიფო სათათბირო კარგი ასპარეზია დემოკრატიული იდეების პროპაგანდისათვის. «ხალხის ყოველი ჭეშმარიტი მეგობარი, — ნათქვამია კრების ოქმში, — თავისუფლების ყოველი მეგობარი სახელმწიფო სათათბიროში მხოლოდ იმისათვის წავა, რომ კონსტიტუციური სახელმწიფოსათვის იბრძოლოსო». (მოიგონეთ ოსვობოჟდენიელი ს. ს., რომელიც ყველას და თვითეულს განუმარტავდა, რადიკალური ინტელიგენციისათვის სიმძიმის ცენტრი საარჩევნო უფლების გაფართოებაშია, ხოლო ერობის მოღვაწეთათვის, მემამულეთა და კაპიტალისტებისათვის — სახელმწიფო სათათბიროს უფლებათა გაფართოებაშიო. «პროლეტარის» რედაქცია.) «ამავე დროს კრებამ აღნიშნა, რომ სათათბიროს დემოკრატიულმა წევრებმა ამ ბრძოლის დროს მხედველობაში უნდა იქონიონ არსებულ მთავრობასთან სრული კავშირის გაწყვეტა (ხაზგასმა ორიგინალისაა) და არ უნდა შეუშინდნენ ასეთს კავშირის გაწყვეტას. კრების ეს გადაწყვეტილებები, რასაკვირველია, დაიბეჭდება და გავრცელდება». («პროლეტარის» რედაქციას ჯერჯერობით არც ეს ფურცელი მოეპოვება და არც რაიმე ცნობა რუსეთიდან მის შესახებ.) ««ოსვობოჟდენიელების», როგორც თავიანთ თავს უწოდებენ «ოსვობოჟდენიეს კავშირის» წევრები, გავლენა მეტად დიდია. მათ რიცხვს ეკუთვნიან საზოგადოების სულ სხვადასხვაგვარი წრეების წარმომადგენლები, სათავეში მათ უდგანან ერობის

მოღვაწეები. ამიტომ მათი საარჩევნო აგიტაცია დიდ მნიშვნელობას იღებს საზოგადოების მათთან დაახლოებულ წრეებში, რომლებიც ცენზის მოთხოვნებს აკმაყოფილებენ. ეჭვს გარეშეა, რომ ოსვობოჟდენიელების მტკიცე ბირთვი შეიჭრება სახელმწიფო სათათბიროში და იქ მემარცხენე ფრთას შეადგენს, როგორც კი სახელმწიფო სათათბირო ნამდვილ სახალხო წარმომადგენლობად გადაიქცევა. თუ ამ რადიკალებმა მოახერხეს ზომიერ ერობათა და ქალაქთა კანდიდატების მიმხრობა, საქმე შეიძლება ისე დატრიალდეს, რომ დამფუძნებელი კრება გამოცხადდეს.

ამრიგად, არჩევნებში რუსეთის პოლიტიკური პარტიების მონაწილეობა, როგორც ჩანს, გადაწყვეტილი საკითხია, რადგან, ბოლოს და ბოლოს, «კავშირთა კავშირიც» მონაწილეობის მომხრეა. სათათბიროს არჩევნების წინააღმდეგ აგიტაციას ეწევა მხოლოდ ებრაელთა ბუნდი, აგრეთვე სხვადასხვა ქალაქში მუშებიც დიდ მიტინგებს აწყობენ და კატეგორიულ პროტესტს აცხადებენ სახელწმიფო სათათბიროს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, რომლიდანაც ისინი გამორიცხული არიან»...

ასე წერს რუსეთის რევოლუციის ისტორიას გერმანული ბურჟუაზიული გაზეთის კორესპონდენტი. ალბათ, მის ცნობებში არის კერძო ხასიათის შეცდომები, მაგრამ საერთოდ და მთლიანად ეს ცნობები, უსათუოდ, ახლოსაა ჭეშმარიტებასთან, — რასაკვირველია, ფაქტებისა და არა წინასწარმეტყველების მხრივ.

მერე როგორია მის მიერ აწერილი ფაქტების ჭეშმარიტი აზრი?

რუსეთის ბურჟუაზია, როგორც ეს მრავალჯერ აღგვინიშნავს, მაკლერობას ეწევა მეფესა და ხალხს შორის, ხელისუფლებასა და რევოლუციას შორის და ცდილობს უკანასკნელი გამოიყენოს ძალაუფლების უზრუნველსაყოფად თ ა ვ ი ს თ ვ ი ს თავისი კლასობრივი ინტერესების მიხედვით. ამიტომ, სანამ ჯერ კიდევ არ მოუპოვებია ძალაუფლება, ის ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი ა ეცადოს «მეგობრობა» დაამყაროს მეფეს-

თანაც და რევოლუციასთანაც. და აი კიდევაც ცდილობს. წარჩინებულ გოლოვინს ის დურნოვოსთან გზავნის მეგობრობის დასამყარებლად. ანონიმურ მჯღაბნელს კი ის გზავნის «ხალხთან», რევოლუციასთან, მეგობრობის დასამყარებლად. იქ მეგობრები ერთმანეთს შეხვდნენ და შეთანხმდნენ. აქ ისინი ხელს უწვდიან ხალხს, გულთბილად ეგებებიან, აღუთქვამენ მას ჭეშმარიტ მეგობრობას, თავისუფლების მეგობრობას, ფიცს დებენ სათათბიროში მხოლოდ ბრძოლისთვის მივიღებთ მონაწილეობასაო, მხოლოდ და მხოლოდ ბრძოლისთვისაო, ფიცულობენ, სრულიად ვწყვეტთ კავშირს, საბოლოოდ ვწყვეტთ კავშირს არსებულ მთავრობასთანაო, დამფუძნებელი კრების გამოცხადების პერსპექტივასაც კი ჰპირდებიან. ისინი რადიკალობენ, წინ ხვდებიან რევოლუციონერებს, ელაქუცებიან მათ, რათა ხალხისა და თავისუფლების მეგობრების სახელწოდება მიიღონ, მზად არიან ყველაფერი აღუთქვან, — ი ქ ნ ებ ა ნ კ ე ს წ ა მ ო ე გ ო ნ ო!

და წამოეგნენ კიდეც. წამოეგო ახალი «ისკრა» პარვუსის მეთაურობით. მეგობრები ერთმანეთს შეხვდნენ და მოლაპარაკება დაიწყეს შეთანხმებაზე. ოსვობოჟდენიელებს, რომლებიც სათათბიროში მიდიან, რევოლუციური ვალდებულება უნდა ჩამოვართვათო, — გაჰყვირის ჩერევანინი («ისკრა» № 108). — ჩვენ თანახმა ვართ, სავსებით თანახმა ვართ, — უპასუხებენ ოსვობოჟდენიელები. — ჩვენ გამოვაცხადებთ დამფუძნებელ კრებას. ზეგავლენა უნდა მოვახდინოთ, რათა მხოლოდ თავისუფალი და დემოკრატიული წარმომადგენლობის მტკიცე მომხრეები აირჩიონო, — ბანს აძლევს მარტოვი ჩერევანინს (ვენის «მუშათა გაზეთი», გადმოთარგმნილია «პროლეტარის» № 15-ში). — ოღონდაც, ოღონდაც, — უპასუხებენ ოსვობოჟდენიელები, — ჩვენ, ღმერთმანი, უაღრესად მტკიცენი ვართ, ჩვენ მზადა ვართ სავსებით გავწყვიტოთ კავშირი არსებულ მთავრობასთანაო. უნდა მოვაგონოთ მათ, რომ ისინი ვალდებული არიან ხალხის ინტერესები გამოხატონ, უნდა ვაიძულოთ ისინი ხალხის ინტერესები გამოხატო-

ნო, — ჰქუხს ჩვენი ‘ლედრიუ-როლენი[77], პარვუსი, — რა თქმა უნდა, უპასუხებენ ოსვობოჟდენიელები. — ჩვენ ოქმშიც კი ჩავწერეთ, რომ ხალხის ჭეშმარიტი მეგობრები, თავისუფლების მეგობრები ვართ. უნდა შევქმნათ პოლიტიკური პარტიებიო, — მოითხოვს პარვუსი. — მზადაა, უპასუხებენ ოსვობოჟდენიელები. — ჩვენ უკვე კონსტიტუციურ-დემოკრატიულ პარტიად ვიწოდებით. უნდა გქონდეთ გარკვეული პროგრამაო, — დაუჟინია პარვუსს. — რას ბრძანებთ, — უპასუხებენ ოსვობოჟდენიელები, — ის კი არა, ჩვენ ორმოცი კაცი დავსვით პროგრამის დასაწერად, რამდენსაც გნებავთ დავსვამთ, რას ბრძანებთ!.. — შეთანხმება უნდა დავდოთ სოციალ-დემოკრატების მხრივ ოსვობოჟდენიელებისთვის მხარისდაჭერის შესახებ, — ერთხმად დაასკვნიან ახალისკრელები. გულაჩვილებული ოსვობოჟდენიელები ცრემლს აფრქვევენ. გოლოვინი კი მისალოც დარბაზობაზე მიდის დურნოვოსთან.

ვინ არიან აქ კომედიანტები და ვინ გაბრიყვებულნი?

ყველა იმ ტაქტიკურმა შეცდომამ, რომელიც «ისკრამ» საათობიროს საკითხში დაუშვა, ახლა ისინი ბუნებრივ და გარდუვალ დასასრულამდე მიიყვანა. ახლა ყველა ხედავს იმ სამარცხვინო როლს, რომელიც «ისკრამ» შეასრულა თავისი ბრძოლით აქტიური ბოიკოტის იდეის წინააღმდეგ. ახლა ეჭვს გარეშეა, თუ ვის მ ო უ ტ ა ნ ა ს ა რ გ ე ბ ლ ო ბ ა ისკრულმა ტაქტიკამ. აქტიური ბოიკოტის იდეა დაასამარა მონარქისტული ბურჟუაზიის უმრავლესობამ. ისკრულ ტაქტიკას უცილობლად დაასამარებს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის უმრავლესობა.

პარვუსმა იმდენად გადაამლაშა, რომ ლაპარაკი დაიწყო ოსვობოჟდენიელებთან («დემოკრატებთან») ფორმალურ შეთანხმებაზე, მათი და სოციალ-დემოკრატების საერთო პოლიტიკური პასუხისმგებლობით დაკავშირებაზე, ზუსტად განსაზღვრული პირობებისა და მოთხოვნების საფუძველზე სოციალ-დემოკრატების მხრივ ოსვობოჟდენიელებისთვის მხარისდაჭერაზე, — ამ შეუსაბამობასა და ამ შერცხვენაზე, ალ-

ბათ, ახალისკრელებიც კი უარს იტყვიან. მაგრამ პარვუსმა მხოლოდ უფრო პირდაპირ და უფრო უხეშად გამოთქვა ახალისკრელობის ძირითადი იდეა. პარვუსის მიერ წამოყენებული ფორმალური მხარისდაჭერა მხოლოდ გარდუვალი დასკვნაა იმ მ ო რ ა ლ უ რ ი მხარისდაჭერისა, რომელსაც მუდამ იჩენდა ახალი «ისკრა» მონარქისტული ბურჟუაზიის მიმართ იმით, რომ გმობდა სათათბიროს აქტიურ ბოიკოტს, ამართლებდა და იცავდა სათათბიროში დემოკრატების შესვლის იდეას, პარლამენტარიზმობანას თამაშს ეწეოდა ისეთ პირობებში, როცა არავითარი პარლამენტი არ არსებობს. ტყვილად როდი იყო ნათქვამი: პარლამენტი ჯერ კიდევ არა გვაქვს, ხოლო პარლამენტური კრეტინიზმი რამდენიც გნებავთო.

ახალისკრელთა ძირითადმა შეცდომამ თავი იჩინა. ისინი მუდამ თვალს ხუჭავდნენ შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ი ს თ ე ო რ ი ა ზ ე, ოსვობოჟდენიელების ამ ძირითად პოლიტიკურ თეორიაზე, რუსეთის ბურჟუაზიის კლასობრივი პოზიციისა და კლასობრივი ინტერესების ამ უღრმეს და ნამდვილ გამოხატულებაზე. ისინი აწვებოდნენ და აწვებიან საქმის ერთ მხარეს, თვითმპყრობელობასთან ბურჟუაზიის კონფლიქტებს და ჩრდილში სტოვებენ საქმის მეორე მხარეს: თვითმპყრობელობასთან ბურჟუაზიის შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა ს ხალხის წინააღმდეგ, პროლეტარიატის წინააღმდეგ, რევოლუციის წინააღმდეგ. ამავე დროს კი საქმის სწორედ ეს მეორე მხარე სულ უფრო მეტად დგება პირველ რიგში, სულ უფრო მეტ ძირითად მნიშვნელობას იღებს რუსეთის რევოლუციის ყოველ წინგადადგმულ ნაბიჯთან ერთად, იმ მდგომარეობის გაჭიანურების თვითეული თვის მიხედვით, რაც ესოდენ აუტანელია წესრიგის ბურჟუაზიულ მომხრეთათვის.

ახალისკრელთა ძირითადმა შეცდომამ ის გამოიწვია, რომ მათ ძირფესვიანად არასწორად შეაფასეს სოციალ-დემოკრატიის მიერ ბურჟუაზიისა და თვითმპყრობელობის კონფლიქტების გამოყენების საშუალებები, ამ კონფლიქტების ჩვენი

ძალღონით გაღვივების საშუალებები. დიახ, ჩვენ ვალდებული ვართ უსათუოდ და მუდამ ვაღვივებდეთ ამ კონფლიქტებს, უსათათბირწდაც, სათათბირომდეც, სათათბიროშიც, თუ კი იგი შეიკრიბება. მაგრამ ახალისკრელები ამ გაღვივების საშუალებას ხედავენ სრულიადაც არა იქ, სადაც საჭიროა. ნაცვლად იმისა, რომ ცეცხლი გააღვივონ, ფანჯრები ჩალეწონ მუშათა აჯანყებების თავისუფალი ჰაერის ფართოდ შემოსაშვებად, ისინი ოფლში იწურებიან იმისათვის, რომ სათამაშო საბერველი გამოიგონონ და ოსვობოჟდენიელური რევოლუციური გზნება ოსვობოჟდენიელებისადმი წაყენებული ტაკიმასხრული მოთხოვნებითა და პირობებით გააძლიერონ.

დიახ, ჩვენ ვალდებული ვართ მხარი დავუჭიროთ ბურჟუაზიას ყოველთვის, როცა ის რევოლუციურად გამოდის. მაგრამ ეს მხარისდაჭერა ჩვენი მხრივ ყოველთვის იყო (მოიგონეთ «ზარიას» და ძველი «ისკრის» დამოკიდებულება «ოსვობოჟდენიეს ადმი») და რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მხრივ მუდამ იქნება ამ «დემოკრატიული», უკაცრავად პასუხია, ბურჟუაზიის ყოველი ყალბი ნაბიჯის უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად დაუნდობლად მხილება და გმობა. რამდენადაც ჩვენ შეგვიძლია გავლენა მოვახდინოთ ბურჟუაზიის დემოკრატიზმზე, ეს გავლენა რეალური იქნება მხოლოდ მაშინ, როცა ბურჟუაზიული დემოკრატის ყოველგვარი გამოსვლა მუშების წინაშე, შეგნებული გლეხების წინაშე სასიკვდილო სასჯელი იქნება ამ ბურჟუაზიის ყველა ღალატის, ყველა შეცდომისა, სასიკვდილო სასჯელი იქნება შეუსრულებელ დაპირებათათვის, ცხოვრებით და საქმეებით უარყოფილი ლამაზი სიტყვებისათვის. რაკი ეს ბურჟუაზია გუშინ მთელი ევროპის გასაგონად გაჰყვიროდა სათათბიროს ბოიკოტის შესახებ, დღეს კი არამზადობა ჩაიდინა, დაპირებები უკანვე წაიღო, გადაწყვეტილებები შეცვალა, რეზოლუციები გადააკეთა, ყოველგვარ დურნოვოს შეუთანხმდა ლეგალური მოქმედების შესახებ, — ჩვენ მორალურად მხარი კი

არ უნდა დავუჭიროთ ამ ცრუპენტელებსა და თვითმპყრობელობის ლაქიებს, საშუალება კი არ უნდა მივცეთ თავი დაიძვრინონ, ნება კი არ უნდა მივცეთ მათ ცხვირი შეჰყონ მუშებში ახალი დაპირებებით (რომელნიც ასევე ჩაბარდება პატრონს, როცა სათათბირო კანონსათათბირო ორგანოდან საკანონმდებლო ორგანოდ გადაიქცევა), არამედ სამარცხვინო ბოძზე უნდა გავაკრათ ისინი და მთელ პროლეტარიატს უნდა ჩავაგონოთ ამ ბურჟუაზიული «დემოკრატიის», ტრეპოვთან კონსტიტუციის, ოსვობოჟდენიელობასთან სოციალ-დემოკრატიის შემთანხმებლების ახალ გამცემლობათა აუცილებლობა და გარდუვალობა. ჩვენ ყველა მუშას უნდა დავუმტკიცოთ და დავანახვოთ, სხვათა შორის, ბოიკოტის საკითხში ბურჟუაზიის მიერ ხალხის მოტყუების საფუძველზედაც, — რომ ყველა ეს პეტრუნკევიჩი და კომპ. უკვე სავსებით ფრთებშესხმული კავენიაკები და ტიერები არიან [78].

ვთქვათ, რომ ჩვენ ვერ შევძელით ამ სათათბიროს ჩაშლა მის მოწვევამდე. ვთქვათ, რომ სათათბირო შეიკრიბა. მასში აუცილებელია კონსტიტუციური კონფლიქტები, რადგან ბურჟუაზიას არ შეუძლია ძალაუფლებისაკენ არ მიისწრაფოდეს. ჩვენ ვალდებული ვართ მაშინაც მხარი დავუჭიროთ ამ მისწრაფებას, რადგან კონსტიტუციური წესწყობილება ცოტა რამეს პროლეტარიატსაც მისცემს, რადგან ბურჟუაზიის, როგორც კლასის, ბატონობა გზას გაუკაფავს ჩვენს ბრძოლას სოციალიზმისათვის. ყველაფერი ეს ასეა. მაგრამ აქ კი არ თავდება, არამედ მხოლოდ იწყება ძირითადი უთანხმოება ჩვენსა და ახალ «ისკრას» შორის. ეს არის უთანხმოება არა იმ საკითხზე, მხარი უნდა დავუჭიროთ თუ არა ბურჟუაზიულ დემოკრატიზმს, არამედ იმ საკითხზე, რით დავუჭიროთ მას მხარი რევოლუციურ ეპოქაში, როგორ მოვახდინოთ მასზე გავლენა. თუ თქვენ მათი გამცემლობა გაამართლეთ ან თვალი აარიდეთ მას, სასწრაფოდ შეუთანხმდით მათ, პარლამენტარიზმობანას თამაში გამართეთ, დაპირებანი და ვალდებულება ჩამოართვით, მაშინ მხოლოდ იმას მიაღწევთ, რომ ი ს ი-

ნი თქვენზე მოახდენენ გავლენას და არა თქვენ მათზე! ჩვენ მოვესწარით რევოლუციას. მარტოოდენ ლიტერატურული ზეგავლენის ხანამ უკვე განვლო. პარლამენტური ზეგავლენის ხანა ჯერ კიდევ არ დამდგარა. ნამდვილი და არა ხუხულისებური გავლენა მხოლოდ აჯანყებას შეუძლია მოახდინოს. როცა სამოქალაქო ომი მთელ ქვეყანას ედება, — ზეგავლენას ახდენენ სამხედრო ძალით, პირდაპირი ბრძოლით, და ზეგავლენის ყოველგვარი სხვა ცდები — ფუჭი და უბადრუკი ფრაზაა. ჯერ კიდევ არავის გაუბედნია იმის მტკიცება, რომ აჯანყების ეპოქამ განვლო რუსეთისთვის. ხოლო რაკი ეს ასეა, — ყოველგვარი განდგომა აჯანყების ამოცანისაგან, ყოველგვარი თავის არიდება იმის მომიზეზებით, რომ აჯანყება აუცილებელი საჭიროება არ არისო, ყოველგვარი «დაკლება» ჩვენი მოთხოვნებისა, რომ ბურჟუაზიულმა დემოკრატიამ მონაწილეობა მიიღოს აჯანყებაში — ეს არის იარაღის დაყრა ბურჟუაზიის წინაშე, პროლეტარიატის გადაქცევა მის მაჩანჩალად. პროლეტარიატს ჯერ კიდევ არსად დედამიწის ზურგზე და არც ერთხელ არ გაუგდია ხელიდან იარაღი, როცა სერიოზული ბრძოლა იწყებოდა, ჯერ კიდევ არც ერთხელ არ დაუთმია მას ჩაგვრისა და ექსპლოატაციის წყეული მემკვიდრეობისთვის ისე, რომ არ შესჭიდებოდა მტერს. აი სად არის ახლა ზეგავლენის ჩვენი იარაღი, ზეგავლენის ჩვენი იმედი. ვერავინ ვერ შესძლებს ბრძოლის შედეგი იწინასწარმეტყველოს. თუ პროლეტარიატმა გაიმარჯვა — რევოლუციას მოაგვარებენ მუშები და გლეხები და არა გოლოვინები და სტრუვეები. თუ პროლეტარიატი დამარცხდა, — მაშინ ბურჟუაზია ახალ კონსტიტუციურ ჯილდოებს მიიღებს თვითმპყრობელობის დახმარებისათვის ამ ბრძოლაში. მაშინ, და ახლოლოდ მაშინ, დაიწყება ახალი ეპოქა, ასპარეზზე გამოვა ახალი თაობა, განმეორდება ევროპის ისტორია და პარლამენტარიზმი დროებით გახდება ახალი პოლიტიკის ნამდვილ გამოსაცდელ საშუალებად.

თქვენ გინდათ ახლავე მოახდინოთ ზეგავლენა? — მაშ მოამზადეთ აჯანყება, იქადაგეთ იგი, მოაწყეთ იგი. მხოლოდ მასში მარხია იმის შესაძლებლობა, რომ სათათბიროს კომედია გადაიქცეს არა რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დასასრულად, არამედ დასაწყისად სრული დემოკრატიული გადატრიალებისა, რომელიც პროლეტარული რევოლუციების ხანძარს გამოიწვევს მთელ მსოფლიოში. მხოლოდ მასშია იმის საწინდარი, რომ ჩვენი «შეერთებული ლანდტაგი» ფრანკფურტის ტიპის დამფუძნებელი კრების პრელუდიად არ გადაიქცევა, რომ რევოლუცია არ დამთავრდება მარტო 18 მარტით (1848), რომ ჩვენში დატრიალდება არა მარტო 14 ივლისი (1789), არამედ 10 აგვისტოც (1792). მხოლოდ ეს არის, და არა ოსვობოჟდენიელებისაგან ჩამორთმეული ხელწერილი, იმის საწინდარი, რომ მათი რიგებიდან გამოვლენ იოჰან იაკობის[79] მსგავსი ცალკეული პიროვნებანი, რომელთაც, ბოლოს და ბოლოს, შესძაგდებათ გოლოვინის მლიქვნელობის სისაძაგლე და რომელნიც უკანასკნელ წუთს პროლეტარიატისა და გლეხობის რიგებში ჩადგებიან რევოლუციისათვის საბრძოლველად.

«პროლეტარი» № 18,
1905 წ. 26 (13) სექტემბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

იკამათეთ ტაქტიკაზე, მაგრამ მოგვეცით გარკვეული ლოზუნგები!

უფრო და უფრო ცხოველდება კამათი ტაქტიკაზე სახელმწიფო სათათბიროს მიმართ. «ისკრისა» და «პროლეტარის» უთანხმოება უფრო და უფრო ღრმავდება, მეტადრე «ისკრაში» პარვუსის სტატიის მოთავსების შემდეგ.

კამათი ტაქტიკაზე საჭიროა. მაგრამ ამასთანავე საჭიროა სრული სიცხადის მიღწევაც. ტაქტიკის საკითხები — ეს პარტიის პოლიტიკური მოქმედების საკითხებია. ამა თუ იმ მოქმედების დასაბუთება შეიძლება და უ ნ დ ა დასაბუთდეს კიდეც თეორიითაც, ისტორიული ცნობებითაც, მთელი პოლიტიკური სიტუაციის ანალიზითაც და სხვ.. მაგრამ მებრძოლი კლასის პარტია ვალდებულია მთელი ამ კამათის დროს მხედველობიდან არ გაუშვას ის გარემოება, რომ საჭიროა ჩვენი პოლიტიკური მოქმედების კონკრეტულ კითხვებზე სრულიად ნათელი, ო რ ა ზ რ ო ვ ნ ო ბ ა ს მ ო კ ლ ე ბ უ ლ ი პასუხის გაცემა: ჰო თუ არა? უნდა ვაკეთოთ ახლავე, ამ მომენტში, ესა და ეს თუ არა?

ასეთი გარკვეული პასუხი სავალდებულოა იმისთვისაც, რომ არ გავაზვიადოთ, არ დავხლართოთ უთანხმოებანი, და იმისთვისაც, რომ მუშათა კლასმა სრული სიზუსტით იცოდეს, სახელდობრ რა კონკრეტულ რჩევებს აძლევენ მას ესა თუ ის სოციალ-დემოკრატები ამა თუ იმ მომენტში.

«ისკრასთან» ჩვენს კამათში სრული სიცხადის შესატანად ჩვენ ვიძლევით სათათბიროს დღევანდელ სააგიტაციო კამპა-

ნიაში სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკური მოქმედების კონ-კრეტულ საკითხთა შემდეგ სიას. ჩვენ სრულიადაც არ ვაცხა-დებთ პრეტენზიას, რომ ეს სია სრულიად ამომწურავი იქნე-ბა; ამიტომ ძალიან მოხარული ვიქნებით ყოველგვარი მითი-თებისა მისი შევსების, შეცვლის ან ამა თუ იმ საკითხთა და-ნაწევრების საჭიროების შესახებ. თავისთავად ცხადია, რაც საარჩევნო კრებებისთვის ითქმის, იგივე ითქმის აგრეთვე ყველა და ყოველგვარი კრებისთვის საერთოდ.

რა რჩევას აძლევენ სოციალ-დემოკრატები პროლეტარიატს სახელმწიფო სათათბიროს მიმართ?

	«ისკრა»	«პროლეტარი»
1. უნდა შეიჭრნენ თუ არა მუშები საარჩევნო კრებებზე?	ჰო.	ჰო.
2. უნდა შეიჭრნენ თუ არა მუშები საარჩევნო კრებებზე ძალითაც კი?	ჰო.	ჰო.
3. ვილაპარაკოთ თუ არა ამ კრებებზე სახელმწიფო სათათბიროს სრულ უვარგისობაზე და სოციალ-დემოკრატიის ყველა მიზანსა და მთელ პროგრამაზე?	ჰო.	ჰო.
4. მოვუწოდოთ თუ არა ამ კრებებზე მუშებსა და მთელ ხალხს შეიარაღებული აჯანყებისაკენ, რევოლუციური არმიისა და დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნისაკენ?	?	ჰო.

	«ისკრა»	«პროლეტარი»
5. გავხადოთ თუ არა ეს (მ. 4) ლოზუნგები «სათათბიროს» მთელი ჩვენი კამპანიის ცენტრალურ პუნქტად?	არა.	ჰო.
6. უნდა გავაკრათ თუ არა სამარცხვინო ბოძზე «ოსვობოჟდენიელები» (ანუ «კონსტიტუციონალისტ-დემოკრატები»), რომლებიც სახელმწიფო სათათბიროში მიდიან, როგორც ბურჟუაზიული გამცემლები, რომლებიც მეფეს «უთანხმდებიან»? .	არა.	ჰო.
7. ველაპარაკოთ თუ არა ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, ხალხს იმაზე, ვისი არჩევა სჯობს სახელმწიფო სათათბიროში — პეტრუნკევიჩებისა თუ სტახოვიჩებისა და სხვ.?	ჰო.	არა.
8. დავდოთ თუ არა რაიმე შეთანხმება ოსვობოჟდენიელებთან მათთვის მხარისდაჭერის შესახებ ამა თუ იმ პირობების, მოთხოვნების, ვალდებულებებისა და სხვ. საფუძველზე? . . .	ჰო.	არა.
9. გავხადოთ თუ არა ლოზუნგი: «რევოლუციური თვითმმართველობა» ჩვენი აგიტაციის ცენტრალურ პუნქტად?	ჰო.	არა.
10. მოვუწოდოთ თუ არა ხალხს ახლავე მოახდინოს რევოლუციური თვითმმართველობის ორგანოების, ხოლო მათი მეშვეობით დამფუძნებელი კრების არჩევნები საყოველთაო ხმისმიცემის საფუძველზე?	ჰო.	არა.

	«ისკრა»	«პროლეტარი»
11. ავირჩიოთ თუ არა სოციალ-დემოკრატიული საარჩევნო კომიტეტები? წამოვაყენოთ თუ არა ჩვენი, სოციალ-დემოკრატიული, კანდიდატურები სახელმწიფო სათათბიროსთვის?	ჰო.	არა.

«პროლეტარი» № 18,
1905 წ. 26 (13) სექტემბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

პარლამენტარიზმოგანას თამაში

ჩვენ არა ერთხელ განგვიმარტავს ჩვენი ტაქტიკა («პროლეტარის» მე-12 ნომერში, სანამ გამოქვეყნდებოდა კანონი სახელმწიფო სათათბიროს შესახებ, მე-14—17 ნომრებში 6 აგვისტოს შემდეგ) სახელმწიფო სათათბიროს მიმართ და ახლაც კვლავ უნდა განვიხილოთ იგი იმ ახალ შეხედულებებთან დასაპირისპირებლად, რომლებიც პარვუსმა გამოთქვა (ცალკე ანაბეჭდი «ისკრის» 110-ე ნომრიდან, სტატია: «სოციალ-დემოკრატია და სახელმწიფო სათათბირო»).

ჯერ კვალდაკვალ მივყვეთ პარვუსის ძირითად მსჯელობას. «ჩვენ უკანასკნელ შესაძლებლობამდე უნდა ვებრძოლოთ ყალბ პარლამენტს, ამ სისაძაგლისა და არარაობის ნარევს», — ამბობს პარვუსი თავისი სტატიის დასაწყისში და ამ სამართლიან დებულებას მყისვე უმატებს არა ნაკლებ სამართლიან შემდეგ დებულებას: «სახელმწიფო სათათბიროს დამხობა... მხოლოდ სახალხო აჯანყებით შეგვიძლია. მხოლოდ სახალხო აჯანყებითვე შეგვიძლია ვაიძულოთ მთავრობა შეცვალოს საარჩევნო უფლება და გააფართოოს სათათბიროს უფლებები». საუცხოოა. იბადება კითხვა, მაშ როგორი უნდა იყოს ჩვენი ა გ ი ტ ა ც ი ი ს ლოზუნგები სახელმწიფო სათათბიროს გამო? როგორია მთავარი და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფორმები იმ ბრძოლის ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ი ს ა, რომელიც სისაძაგლისა და არარაობის ნარევის წინააღმდეგ უნდა ვაწარმოოთ? პარვუსიც, არსებითად, ასევე აყენებს საკითხს, როცა ამბობს: «ის, რაც ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ აჯანყე-

ბის მოსამზადებლად, — ეს არის აგიტაცია და ორგანიზაცია». და აი როგორ წყვეტს იგი ამ საკითხის პირველ ნაწილს — საარჩევნო კრებებისადმი დამოკიდებულების შესახებ.

«თუ ჩვენ ხელს შევუშლით ამ კრებებს, — წერს პარვუსი, — თუ ჩვენ ჩავშლით მათ, ამით მხოლოდ სამსახურს გავუწევთ მთავრობას».

ამრიგად, პარვუსი წინააღმდეგია იმისა, რომ მუშები ხ ე ლ ს უ შ ლ ი დ ნ ე ნ ერთ მუჭა მემამულეებსა და ვაჭრებს — საარჩევნო კრებებზე განხილვის საგანი საძაგელი და არარაობის გამომხატველი სახელმწიფო სათათბიროთი შ ე ზ ღ უ დ ო ნ? პარვუსი წინააღმდეგია იმისა, რომ მუშებმა საარჩევნო კრებები გამოიყენონ «საძაგელი» სახელმწიფო სათათბიროს კრიტიკისა და თ ა ვ ი ა ნ თ ი სოციალ-დემოკრატიული შეხედულებებისა და ლოზუნგების განვითარებისათვის?

ასე გამოდის, მაგრამ ამ ფრაზის უმალვე პარვუსი უკვე სულ სხვა რამეს ამბობს: «ის, რასაც მუშებს ნებაყოფლობით არ აძლევენ, — ვკითხულობთ მის სტატიაში, — მათ ძალით უნდა მოიპოვონ. ისინი მასობრივად უნდა გამოცხადდნენ ამომრჩეველთა კრებებზე და ეს კრებები მ უ შ ა თ ა კ რ ე ბ ე ბ ა დ გადააქციონ (ხაზგასმა ციტატებში ყველგან ჩვენია. «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ს» რ ე დ ა ქ ც ი ა). ნ ა ც ვ ლ ა დ იმისა, რომ იმსჯელონ ივანე თომას-ძე აირჩიონ თუ თომა ივანეს-ძე, ისინი დღის წესრიგში პოლიტიკურ საკითხებს დააყენებენ (პარვუსს, ალბათ, უნდოდა ეთქვა: სოციალ-დემოკრატიულ საკითხებს, რადგან თომას თუ ივანეს არჩევის საკითხი იგივე პოლიტიკური საკითხია). აქ ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ მთავრობის პოლიტიკაც, ლიბერალების ტაქტიკაც, კლასობრივი ბრძოლაც და თვით სახელმწიფო სათათბიროს საკითხიც. ყოველივე ეს მასების გარევოლუციურებას იწვევს».

ახლა ნახეთ, რა გამოუდის პარვუსს. ერთი მხრივ, ხელი არ უნდა შევუშალოთ ტრუბეცკოიების, პეტრუნკევიჩებისა და სტახოვიჩების კრებებს. პარვუსი თავისი სტატიის ბოლო-

ში ბოიკოტის იდეას გადაჭრით გმობს. მეორე მხრივ, კრებაზე უნდა გამოცხადდნენ: 1) ძალით; 2) პეტრუნკევიჩებისა და სტახოვიჩების კრება «მუშათა კრებად» «გ ა დ ა ა ქ ც ი ო ნ»; 3) ნ ა ც ვ ლ ა დ იმაზე მსჯელობისა, რისთვისაც კრება შესდგა (თომა აირჩიონ თუ ივანე?), განვიხილოთ ჩვენი სოციალ-დემოკრატიული საკითხები, კლასობრივი ბრძოლაც, სოციალიზმიც და, რასაკვირველია, სახალხო აჯანყების საჭიროებაც, მისი პირობები, მისი ამოცანები, მისი საშუალებები, ხერხები, იარაღი, მისი ორგანოები, — ისეთები, როგორიცაა რევოლუციური არმია და რევოლუციური მთავრობა. ჩვენ ვამბობთ: რასაკვირველია, თუმცა პარვუსს კრინტიც არ დაუძრავს საარჩევნო კრებებზე აჯანყების ქადაგების შესახებ, რადგან მან თეითონ თავიდანვე აღიარა უკანასკნელ შესაძლებლობამდე უნდა ვიბრძოლოთ და ჩვენი უახლოესი მიზნების მიღწევა მ ხ ო ლ ო დ აჯანყებით შეგვიძლიაო.

ცხადია, პარვუსი დაიბნა. ის იბრძვის ბოიკოტის იდეის წინააღმდეგ, გვირჩევს ხელი არ შევუშალოთ და არ ჩავშალოთ კრებები, ხოლო იქვე, გვერდით, გვირჩევს ძ ა ლ ი თ შევიჭრათ კრებებზე (განა ეს «ჩაშლას» არ ნიშნავს?), გადავაქციოთ ისინი მუშათა კრებებად (განა ეს პეტრუნკევიჩებისა და სტახოვიჩებისათვის «ხელის შეშლას» არ ნიშნავს?), განვიხილოთ ა რ ა ს ა თ ა თ ბ ი რ ო ს, არამედ ჩვენი, სოციალ-დემოკრატიული, რევოლუციური საკითხები, რომელთა სერიოზულად განხილვა პეტრუნკევიჩებს არ სურთ, ხოლო მუშებსა და შეგნებულ გლეხებს ძალიან სურთ და უსათუოდ კიდეც განიხილავენო.

მაშ რატომ დაიბნა პარვუსი? იმიტომ, რომ ვერ გაიგო დავის საგანი. მან დააპირა ბრძოლა ბოიკოტის იდეის წინააღმდეგ, რადგან წარმოიდგინა, რომ ბოიკოტი ნიშნავს უბრალო განდგომას, ჩ ვ ე ნ ი აგიტაციისათვის საარჩევნო კრებების გამოყენებაზე უარისთქმას. ამავე დროს ასეთს პასიურ ბოიკოტს არავინ არ ქადაგებს არათუ არალეგალურ, თვით ლეგალურ პრესაშიც კი. პარვუსი რუსეთის პოლიტიკური საკით-

ხების სრულ უცოდინარობას იჩენს, როცა ერთიმეორეში ურევს პასიურ და აქტიურ ბოიკოტს, როცა ის ბოიკოტზე მსჯელობისას სრულიად არ განიხილავს მეორეგვარ ბოიკოტს.

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს პირობითი მნიშვნელობა ტერმინისა «აქტიური ბოიკოტი» და გვითქვამს, რომ მუშების მხრივ ზედმეტია სახელმწიფო სათათბიროსთვის ბოიკოტის გამოცხადება, რადგან სახელმწიფო სათათბირო თვითონ უცხადებს მათ ბოიკოტს. მაგრამ ამ პირობითი ტერმინის ნამდვილი შინაარსი ჩვენ სავსებით ნათლად განვსაზღვრეთ თავიდანვე, ჯერ კიდევ თვენახევრის წინათ, როცა სახელმწიფო სათათბიროს შესახებ კანონის გამოსვლამდე «პროლეტარის» მე-12 ნომერში ვწერდით: «პასიური ჩამოშორების დაპირისპირებით აქტიური ბოიკოტი უნდა ნიშნავდეს აგიტაციის გაათკეცებას, კრებების მოწყობას ყველგან, სადაც კი შესაძლებელია, საარჩევნო კრებების უტილიზაციას (გამოყენებას), თუნდაც ამ კრებებზე ძალით შეჭრის გზით, დემონსტრაციების, პოლიტიკური გაფიცვების მოწყობას და სხვ. და ა. შ.». და ცოტა უფრო ქვევით: «აქტიური ბოიკოტი» (ჩვენ ამ ტერმინს ბრჭყალებში ვსვამდით, როგორც პირობითს) «ეს არის აგიტაცია, რევოლუციური ძალების მიზიდვა, ორგანიზაცია გადიდებული მასშტაბით, გაორკეცებული ენერგიით, სამმაგი ზედდაწოლით».

ეს ისე ცხადადაა ნათქვამი, რომ ეს შეეძლოთ ვერ გაეგოთ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც სრულიად არ იცნობენ რუსეთის პოლიტიკურ საკითხებს, ანდა უიმედოდ აბნეულნი, Konfusionsräthe («აბნეულობის მრჩეველნი») არიან, როგორც გერმანელები ამბობენ.

ამრიგად, რა სურს, ბოლოსა და ბოლოს, პარვუსს? როცა ის გვირჩევს ძალით შევიჭრათ ამომრჩეველთა კრებებზე, გადავაქციოთ ისინი მუშათა კრებებად, ვიმსჯელოთ სოციალ-დემოკრატიულ საკითხებზე და აჯანყებაზე, «ნაცვლად მსჯელობისა იმის შესახებ, ივანე თომას-ძე ავირჩიოთ თუ თომა

ივანეს-ძე» (დაიხსომეთ: «ნაცვლად» და არა ერთად, არა ამასთანავე), — ის სწორედ აქტიურ ბოიკოტს გვირჩევს. პარვუსს, როგორც ხედავთ, პატარა უბედურება შეემთხვა: ის ერთი კარისკენ მიდიოდა და მეორეში მოხვდა. მან ომი გამოუცხადა ბოიკოტის იდეას, თვითონ კი (საარჩევნო კრებების საკითხში) აქტიურ ბოიკოტს მიემხრო, ე. ი. მიემხრო ბოიკოტის ერთადერთ სახეს, რომელიც რუსულ პოლიტიკურ პრესაში ირჩეოდა.

რა თქმა უნდა, პარვუსს შეუძლია გვიპასუხოს, რომ პირობითი ტერმინები მისთვის სავალდებულო არ არის. ფორმალურად ასეთი პასუხი მართებული იქნება, მაგრამ არსებითად იგი ყოვლად უვარგისია. სავალდებულოა იმის ცოდნა, რაზედაც ლაპარაკია. სიტყვების გამო დავას არ დავიწყებთ, მაგრამ პოლიტიკური ტერმინები, რომლებიც რუსეთში, მოქმედების ადგილას, უკვე ჩამოყალიბდნენ, მომხდარი ფაქტია, რომელიც გაიძულებს ანგარიში გაუწიო მას. საზღვარგარეთელი სოციალ-დემოკრატიული მწერალი, რომელიც იფიქრებდა მოქმედების ადგილზე ჩამოყალიბებული ამ ლოზუნგების უგულებელყოფას, მხოლოდ მეტად ვიწრო და უსიცოცხლო ლიტერატურულ ქედმაღლობას გამოიჩენდა. ვიმეორებთ: არავითარ სხვა ბოიკოტზე, გარდა აქტიური ბოიკოტისა, რუსეთში არავის არ ულაპარაკნია, რევოლუციურ პრესაში არავის არაფერი დაუწერია. პარვუსს სრული უფლება ჰქონდა კრიტიკის ქარცეცხლში გაეტარებინა ტერმინი, უარეყო ან სხვაგვარად განემარტა მისი პირობითი მნიშვნელობა და სხვ., მაგრამ მისი უგულებელყოფა ან უკვე დამკვიდრებული მნიშვნელობის დამახინჯება, ეს იმას ნიშნავს, რომ არევ-დარევა შეიტანო საკითხში.

ჩვენ ზემოთ ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ პარვუსმა თქვა: არა ერთად, არამედ ნაცვლადაო. პარვუსი იმას კი არ გვირჩევს, რომ თომას თუ ივანეს არჩევის საკითხთან ერთად წამოვაყენოთ ჩვენი სოციალ-დემოკრატიული საკითხები და აჯანყების საკითხი, არამედ არჩევნების საკითხის ნ ა ც ვ ლ ა დ

წამოვაყენოთ კლასობრივი ბრძოლისა და აჯანყების საკითხიო. ეს განსხვავება «არა ერთად, არამედ ნაცვლად» დიდად მნიშვნელოვანია, და მასზე მით უფრო აუცილებელია შევჩერდეთ, რომ პარვუსს, როგორც მისი სტატიის შემდგომი შინაარსიდან ჩანს, შესაძლოა, თვითონ მოესაზრა გამოესწორებინა და ეთქვა: არა ნაცვლად, არამედ ერთად.

ჩვენ უნდა განვიხილოთ ორი საკითხი: 1) შესაძლებელია თუ არა საარჩევნო კრებებზე «ერთად» განვიხილოთ ივანეს თუ თომას არჩევაც, კლასობრივი ბრძოლაც, სოციალიზმი, აჯანყება? 2) თუ შესაძლებელია, საჭიროა თუ არა ერთად განვიხილოთ პირველი და მეორე საკითხები ან მეორენი პირველის ნაცვლად? ვინც რუსეთის პირობებს იცნობს, მას არა გვგონია გაუჭირდეს ორივე კითხვაზე პასუხის გაცემა. საარჩევნო კრებებზე შეჭრა და მათი მუშათა კრებებად გადაქცევა ძალით მოგვიხდება, ე. ი. უწინარეს ყოვლისა პოლიციისა და ჯარის წინააღმდეგობის დათრგუნვით. რაოდენამდე დიდ მუშათა ცენტრებში (მუშათა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას მხოლოდ აქ შეუძლია იმედი იქონიოს, რომ ნამდვილად ფართო, სახალხო მოძრაობას უხელმძღვანელებს) პოლიციისა და ჯარის წინააღმდეგობა ფრიად სერიოზული იქნება. ჩვენი მხრივ ამაზე თვალის დახუჭვა პირდაპირ სისულელე იქნებოდა. პარვუსი თვითონვე ამბობს, რომ «საარჩევნო აგიტაცია ყოველ წუთში შეიძლება რევოლუციურ აჯანყებად გადაიქცესო». თუ ასეა, ჩვენ ვალდებული ვართ ჩვენი ძალები გავითვალისწინოთ და შევუფარდოთ სწორედ ა ჯ ა ნ ყ ე ბ ი ს ა მ ო ც ა ნ ა ს, და არა იმას, სახელმწიფო სათათბიროში თომას არჩევაზე მოვახდინოთ ზეგავლენა თუ ივანესი. თუ ასეა, მთელი ჩვენი სათათბიროს საგიტაციო კამპანიის მთავარი და ცენტრალური ლოზუნგი უნდა იყოს: შეიარაღებული აჯანყება, რევოლუციური არმია, რევოლუციური მთავრობა. თუ ასეა, ჩვენ ვალდებული ვართ უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად სწორედ ეს ლოზუნგები ვიქადაგოთ და განვმარტოთ ყველა და ყოველგვარ კრებაზე. ამიტომ პარვუსი კვლავ

თავის თავს ამტყუნებს, როცა, ერთი მხრივ, აჯანყებას «ყოველ წუთს» ელოდება, ხოლო მეორე მხრივ, სრულიად სდუმს აჯანყების ქადაგებაზე, მისი პირობების, საშუალებათა და ორგანოების, როგორც სათათბიროს კამპანიის «ნერვის», განხილვაზე.

შემდეგ. განვიხილოთ მეორე შემთხვევა, რომელიც შესაძლებელია ცალკეულ, მეტადრე არა დიდ ცენტრებში. ვთქვათ, კრებაზე ძალით შესვლის ცდები არ იწვევს სერიოზულ ბრძოლას მთავრობასთან, საქმე აჯანყებამდე არ მიდის. ვთქვათ, ეს ცდები ცალკეულ შემთხვევებში წარმატებით გვირგვინდება. ამ შემთხვევაში არ უნდა დავივიწყოთ, ჯერ-ერთი, ისეთი ღონისძიება, როგორიცაა ს ა მ ხ ე დ რ ო წ ე ს ე ბ ი. პოლიციასა და ჯარზე ხალხის ყოველგვარ ნაწილობრივ გამარჯვებას მთავრობა უპასუხებს, რაც, ალბათ, პარვუსისთვისაც საკმაოდ ცნობილია, სამხედრო წესების შემოღებით. გვაფრთხობს თუ არა ჩვენ ასეთი პერსპექტივა? არა, ვინაიდან ეს ისეთი ნაბიჯია, რომელიც გვიახლოებს აჯანყებას და საერთოდ მთელ ბრძოლასაც ამწვავებს. აფრთხობს თუ არა ეს ერობის მოღვაწეებს და საერთოდ სათათბიროს ამომრჩევლებს? უსათუოდ, ვინაიდან ეს აადვილებს მილიუკოვების დაპატიმრებას, ვინაიდან ეს მთავრობას საბაბს აძლევს დახუროს საარჩევნო კრებების ნაწილი, და შეიძლება ყველა კრებაც და მთელი სათათბიროც! მაშასადამე, საქმე კვლავ იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთებს სურთ აჯანყება, ქადაგებენ, ამზადებენ მას, აგიტაციას ეწევიან მის სასარგებლოდ, აწყობენ აჯანყების რაზმებს და სხვ., ხოლო სხვებს არა სურთ აჯანყება, ებრძვიან აჯანყების იდეას, გმობენ აჯანყების ქადაგებას, როგორც უგუნურ და დანაშაულებრივ მოქმედებას და სხვ.. ნუთუ პარვუსმა არ იცის, რომ ეს «სხვები» — ყ ვ ე ლ ა ო ს ვ ო ბ ო ე ბ ე ნ ი ე ლ ი ა, ე. ი. თვით ყველაზე მემარცხენე ბურჟუაზიული დემოკრატებიც კი, რომლებიც შეიძლება სათათბიროში მოხვდნენ??

ხოლო თუ ეს იცის პარვუსმა, მან უნდა იცოდეს შემდეგიც (ეს მეორე). საარჩევნო კრებებზე ძალით შეჭრას და მუშათა კრებებად მათ გადაქცევას წინააღმდეგობას გაუწევენ არა მარტო (ზოგჯერ არც იმდენად) პოლიცია და ჯარი, არამედ თვით ერობის მოღვაწენიც, თვით ოსვობოქდენიელებიც. ამაზე თვალის დახუჭვა მხოლოდ ბავშვებს თუ ეპატიებათ. ერობის მოღვაწეები და ოსვობოქდენიელები საკითხს უფრო ნათლად და უფრო პირდაპირ აყენებენ, ვიდრე ზოგიერთი სოციალ-დემოკრატი. ან უნდა ამზადო აჯანყება და ის გახადო აგიტაციისა და მთელი მუშაობის ცენტრად, ან სათათბიროს ნიადაგზე გადახვიდე და მთელი პოლიტიკური ბრძოლის საფუძვლად გახადო იგი. ერობის მოღვაწეებმა და ოსვობოქდენიელებმა ეს საკითხი უკვე გადაწყვიტეს, როგორც ეს ჩვენ არა ერთხელ აღვნიშნეთ ხაზგასმით ჯერ კიდევ «პროლეტარის» მე-12 ნომრით დაწყებული. ერობის მოღვაწენი და ოსვობოქდენიელები კრებებს სწორედ იმიტომ და მხოლოდ იმიტომ ესწრებიან, რომ იმსჯელონ, თომა აირჩიონ თუ ივანე, პეტრუნკევიჩი თუ სტახოვიჩი, რომ მიიღონ «ბრძოლის» პროგრამა (ბრძოლისა ბრჭყალებში, ბრძოლისა ლაქიის თეთრი ხელთათმანით) სათათბიროს ნიადაგზე და არა აჯანყებით. ერობის მოღვაწეებსა და ოსვობოქდენიელებს (ჩვენ განგებ ვაერთებთ მათ, ვინაიდან მათი პოლიტიკური დაყოფისათვის მონაცემები არ მოგვეპოვება), რა თქმა უნდა, საწინააღმდეგო არაფერი ექნებათ თავიანთ კრებებზე დაუშვან (მხოლოდ იქ და მაშინ, როცა ეს შესაძლებელია ძალის რაოდენადმე მნიშვნელოვანი ოდენობით გამოუყენებლად!!) რევოლუციონერები და სოციალ-დემოკრატები, თუ კი ამ უკანასკნელთა შორის მოიძებნებიან ისეთი რეგვნები, რომლებიც მზად იქნებიან «მხარი დაუჭირონ» თომას ივანეს წინააღმდეგ, პეტრუნკევიჩს — სტახოვიჩის წინააღმდეგ. მაგრამ ერობის მოღვაწენი ვერასდროს ვერ მოითმენენ იმას, რომ მათი კრება «მუშათა კრებად გადააქციონ», რომ მათი კრება სახალხო რევო-

ლუციურ კრებად გახადონ, რომ მ ა თ ი ტრიბუნიდან აშ-კარად და პირდაპირ მოუწოდონ შეიარაღებული აჯანყებისა-კენ. ამ ცხადი ჭეშმარიტების ჩიჩინი ცოტა არ იყოს უხერხუ-ლიცაა, მაგრამ იძულებული ვართ იგი პარვუსსა და «ისკრას» ვუჩიჩინოთ. ერობის მოღვაწენი და ოსვობოჟდენიელები აუცილებლად წინააღმდეგობას გაუწევენ მათი კრებების ა ს ე თ ს გამოყენებას, თუმცა ეს ბურჟუაზიული ჩარჩები წინააღმდეგობას გასწევენ, რა თქმა უნდა, არა ძალით, არა-მედ ნაკლებ სახიფათო, «მშვიდობიანი» და მიკიბულ-მოკი-ბული საშუალებით. ისინი მხოლოდ იმ პირობით შეუთან-ხმდებიან იმ ადამიანებს, რომლებიც მათ ჰპირდებიან «ხალ-ხის» მხარდაჭერას პეტრუნკევიჩისათვის სტახოვიჩის წინააღ-მდეგ, სტახოვიჩისათვის — გრინგმუტის წინააღმდეგ, რომ საარჩევნო კრებას არ გადააქცევენ მუშათა კრებად, რომ მა-თი ტრიბუნა არ იქნება გამოყენებული აჯანყებისაკენ მოწო-დებისათვის. თუ ისინი გაიგებენ, რომ მათ კრებაზე მუშები მიდიან (ამას კი ისინი თითქმის მუდამ იგებენ, ვინაიდან მა-სობრივ დემონსტრაციას ხომ ვერ დამალავ), ზოგი მათგანი პირდაპირ დაასმენს ხელისუფალთან, მეორენი დაიწყებენ სოციალ-დემოკრატების დაჯერებას — ნუ ჩაიდენენ ამას, მე-სამენი გუბერნატორს ეახლებიან დასარწმუნებლად, «ბრალი არაფერში მიგვიძღვისო», რომ მათ სათათბირო სურთ, სა-თათბიროში გასვლა სურთ, რომ ისინი მათი «ერთგული თა-ნამოძმის» ბ-ნ სტრუვეს პირით მუდამ გმობდნენ აჯანყების «უგუნურ და დანაშაულებრივ» ქადაგებას; მეოთხენი კრების დროისა და ადგილის შეცვლას ურჩევენ; მეხუთენი, ყველაზე «გაბედულნი» და პოლიტიკურად ყველაზე გაქნილნი, დაიწ-ყებენ ჩურჩულს, რომ მოხარული არიან მოუსმინონ მუშებს, მადლობას გადაუხდიან სოციალ-დემოკრატ ორატორს, მიე-ლაქუცებიან და მოწიწებით მიესალმებიან «ხალხს», ლამაზი, ეფექტური და გრძნობიერი სიტყვებით დაიწყებენ ყველასი და თვითეულის დარწმუნებას, რომ ისინი მუდამ ხალხის მხა-რეზე არიან, სულითა და გულით ხალხის ინტერესებს იცა-

ვენ, რომ ისინი მეფესთან კი არ არიან, არამედ ხალხთან, რომ «მათმა» პეტრუნკევიჩმა დიდი ხანია ეს განაცხადა, რომ ისინი «საკუთარი ეთანხმებიან» სოციალ-დემოკრატ ორატორს სახელმწიფო სათათბიროს «სისაძაგლისა და არარაობის» შესახებ, მაგრამ საჭიროა, დიდად პატივსაცემი პარლამენტარის პარვუსის სიტყვებით რომ ვთქვათ, პარვუსისა, რომელსაც არაპარლამენტური-რუსეთში ესოდენ დროულად გადმოაქვს კათოლიკეებთან სოციალ-დემოკრატების ფოლმარისებული კავშირის პარლამენტური ნიმუშები, — საჭიროა «არა ხელის შეშლა საარჩევნო აგიტაციისთვის, არამედ მისი გაფართოება»; გაფართოება კი ნიშნავს არა იმას, რომ სახელმწიფო სათათბიროს ბედი მოუფიქრებლობით ხიფათში ჩავაგდოთ, არამედ მთელ ხალხთან ერთად «მხარი დავუჭიროთ» თომას არჩევას ივანეს წინააღმდეგ, პეტრუნკევიჩისა და როდიჩევის არჩევას სტახოვიჩის წინააღმდეგ, სტახოვიჩისა — გრინგმუტის წინააღმდეგ და სხვ.

ერთი სიტყვით, რაც უფრო სულელნი და ლაჩარნი იქნებიან ერობის მოღვაწენი, მით უფრო ნაკლებია იმის შანსები, რომ თავიანთ საარჩევნო კრებაზე ისინი ყურს დაუგდებენ პარვუსს. რაც უფრო ჭკვიანნი და გაბედულნი არიან ერობის მოღვაწენი, მით უფრო მეტია ამის შანსები, აგრეთვე იმის შანსებიც, რომ პარვუსი ივანეს წინააღმდეგ თომას მხარისდაჭერის როლში გაბრიყვებული აღმოჩნდება.

არა, კეთილო პარვუს! სანამ რუსეთში პარლამენტი არ არსებობს, რუსეთში პარლამენტარიზმის ტაქტიკის გადმოტანა ნიშნავს პარლამენტარიზმობანას არასაკადრის თამაშს, ნიშნავს იმას, რომ რევოლუციური მუშებისა და შეგნებული გლეხების ბელადის ნაცვლად მემამულეების მაჩანჩალად გადაიქცევ. ჩვენში არარსებული ლეგალური პარტიების დროებითი შეთანხმების შეცელა როდიჩევებთან და პეტრუნკევიჩებთან ფარულ შეთანხმებად სტახოვიჩის წინააღმდეგ და მათთვის მხარისდაჭერის შესახებ — ნიშნავს გარყვნილება შეიტანო მუშათა წრეში. ხოლო მასის წინაშე აშკარა გამოსვლა ჯერჯე-

რობით სოციალ-დემოკრატიულ პარტიას არ შეუძლია, ხოლო რადიკალურ-დემოკრატიულ პარტიას ნაწილობრივ არ შეუძლია, ნაწილობრივ არა სურს, უფრო კი არა სურს, ვიდრე არ შეუძლია.

ერობის მოღვაწე-ოსვობოჟდენიელების პირდაპირსა და ნათელ ლოზუნგზე: ძირს აჯანყების დანაშაულებრივი ქადაგება, გაუმარჯოს მუშაობას სათათბიროში და სათათბიროს მეშვეობით, — ჩვენ უნდა ვუპასუხოთ პირდაპირი და ნათელი ლოზუნგით: ძირს თავისუფლების ბურჟუაზიული გამცემლები, ბატონი ოსვობოჟდენიელები და კომპანია, ძირს სათათბირო და გაუმარჯოს შეიარაღებულ აჯანყებას!

აჯანყების ლოზუნგის შეერთება თომას თუ ივანეს არჩევნებში «მონაწილეობასთან» იმას ნიშნავს, რომ «ფართო» და «მრავალმხრივი» აგიტაციის, «მოქნილი» და «ფხიზელი» ლოზუნგების საბაბით გამოიწვიო მხოლოდ აბნეულობა, რადგან პრაქტიკულად ასეთი შეერთება მანილოვობაა. ერობის მოღვაწეთა წინაშე პარვუსისა და მარტოვის გამოსვლა სტახოვიჩის წინააღმდეგ პეტრუნკევიჩისთვის მხარის დასაჭერად» პრაქტიკულად იქნება (იმ განსაკუთრებულ შემთხვევებს თუ ვივარაუდებთ, როცა ეს გამოსვლა განსახორციელებელი აღმოჩნდება) არა აშკარად გამოსვლა ხალხის მასის წინაშე, არამედ მუშების გაბრიყვებული ბელადის ფარული გამოსვლა მუშების ერთ მუჭა მოღალატეთა წინაშე. თეორიულად, ანუ ჩვენი ტაქტიკის ზოგადი საფუძვლების თვალსაზრისით, ამჟამად, ახლანდელ მომენტში, ამ ლოზუნგების შეერთება პარლამენტური კრეტინიზმის სახესხვაობაა. ჩვენთვის, რევოლუციური სოციალ-დემოკრატებისთვის, აჯანყება აბსოლუტური კი არა, კონკრეტული ლოზუნგია. ჩვენ განზე ვდებდით მას 1897 წელს, ჩვენ მას ზოგადი მომზადების აზრით ვაყენებდით 1902 წელს, ჩვენ ის, როგორც პირდაპირი მოწოდება, მხოლოდ 1905 წელს, 9 იანვრის შემდეგ წამოვაყენეთ. ჩვენ არ გვავიწყდება, რომ მარქსი 1848 წელს აჯანყების მომხრე იყო, ხოლო 1850 წელს გმობდა ბოდვასა და ფრაზებს აჯან-

ყების შესახებ[80], რომ ლიბკნეხტი 1870—1871 წლის ომამდე აცამტვერებდა რეიხსტაგში მონაწილეობას, ხოლო ომის შემდეგ თვითონ იღებდა მასში მონაწილეობას. «პროლეტარის» მე-12 ნომერში ჩვენ მაშინვე აღვნიშნეთ, რომ სასაცილო იქნებოდა ბრძოლის უარყოფა მომავალში სათათბიროს ნიადაგზე. ჩვენ ვიცით, რომ არათუ პარლამენტი, არამედ პარლამენტის პაროდიაც კი, როცა აჯანყების პირობები არ არსებობს, შეიძლება მთელი აგიტაციის მთავარ ცენტრად იქცეს მთელი იმ ხნის განმავლობაში, როცა სახალხო აჯანყებაზე ლაპარაკიც კი არ არის.

მაგრამ ჩვენ მოვითხოვთ საკითხის ნათლად და მკაფიოდ დაყენებას. თუ თქვენ ფიქრობთ, რომ რუსეთისათვის აჯანყებათა ხანამ უკვე განვლო, — სთქვით ეს და აშკარად დაიცავით თქვენი შეხედულება. ჩვენ მას ყოველმხრივ და დინჯად შევაფასებთ და განვიხილავთ კონკრეტული პირობების თვალსაზრისით. მაგრამ როცა თქვენ თვითონ ლაპარაკობთ აჯანყება «ყოველ წუთს» არის შესაძლებელი, იგი საჭიროაო, — ჩვენ ვგმობთ და კვლავაც დავგმობთ, როგორც უბადრუკ მანილოვობას, ყველა და ყოველგვარ მსჯელობას სათათბიროს აქტიური ბოიკოტის წინააღმდეგ. თუ აჯანყება შესაძლებელი და საჭიროა, მაშინ სწორედ ის უნდა გავხადოთ სათათბიროს გარშემო მთელი ჩვენი კამპანიის ცენტრალურ ლოზუნგად, მაშინ უნდა ვამხილოთ «ფრანკფურტის პარლამენტური მოლაყბის» გამყიდველი ბუნება ყოველი ოსვობოჟდენიელისა, რომელიც აჯანყების ამ ლოზუნგს გაურბის. თუ აჯანყება შესაძლებელი და საჭიროა, ეს იმას ნიშნავს, რომ აჯანყების მიზნებისთვის ლეგალური ბრძოლის არავითარი ლეგალური ცენტრი არ არსებობს, ხოლო მანილოვური ფრაზებით მას ვერ შესცვლი. თუ აჯანყება შესაძლებელი და საჭიროა, ეს იმას ნიშნავს, რომ მთავრობამ «ხიშტი დასვა დღის წესრიგის თავში», სამოქალაქო ომი დაიწყო და სამხედრო წესები წამოაყენა, როგორც დემოკრატიული კრიტიკის ანტიკრიტიკა», ხოლო ასეთ პირო-

ბებში სახელმწიფო სათათბიროს «თითქმის პარლამენტური» აბრის სერიოზულად მიჩნევა და პეტრუნკევიჩებთან ერთად პარლამენტარიზმობანას მალულად და ჩუმად თამაში, ეს ნიშნავს რევოლუციური პროლეტარიატის პოლიტიკა მოკომედიანტო ინტელიგენტების პოლიტიკანობად შეცვალო!

რაკი პარვუსის მთელი პოზიციის ძირითადი სიყალბე გამოვააშკარავეთ, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მოკლედ შევჩერდეთ ამ სიყალბის ცალკეულ, ყველაზე მკვეთრ გამოვლინებებზე. «არჩევნებამდე თუ არჩევნების შემდეგ, სახელმწიფო სათათბიროსთან დაკავშირებით — წერს პარვუსი — იქმნება პოლიტიკური პარტიების არსებობის კანონიერი ბაზა». ტყუილია. სინამდვილეში ა ხ ლ ა «კანონიერი ბაზა» იქმნება მთავრობის მხრივ არჩევნების გაყალბებისათვის. ამ ბაზას ეწოდება: 1) საერობო უფროსი (გლეხთა არჩევნები სავსებით მის ხელშია); 2) საიდუმლო პოლიცია (მილიუკოვის დაპატიმ_ რება); 3) სამხედრო წესები. როცა ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ, და არა მწერალთა ენის წვერზე, შეიქმნება «პოლიტიკური პარტიების არსებობის კანონიერი ბაზა» (მათ შორის რსდმპ-ისაც), მაშინ ჩვენ იძულებული ვიქნებით აჯანყების მთელი საკითხი ხელახლა გადავსინჯოთ, ვინაიდან აჯანყება ჩვენთვის მხოლოდ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, მაგრამ სრულიადაც არა ყოველთვის სავალდებულო საშუალებაა სოციალიზმისათვის ბრძოლის თავისუფალი ასპარეზის დასაპყრობად.

«აუცილებელია დაუყოვნებლივ გამოვიდეთ არა როგორც ცალკეული საზოგადოებრივი ჯგუფები, არა როგორც იურისტები, ინჟინრები, ერობის მოღვაწენი, არამედ როგორც ლიბერალური, დემოკრატიული, სოციალ-დემოკრატიული პარტია — ოფიციალურად და აშკარად. ამ მხრივ სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენლებს შეუძლიათ შეუთანხმდნენ ერთიმეორეს, როგორც პარლამენტის ცალკეული ფრაქციები უთანხმდებიან ერთმანეთს».

დიახ, მათ შეუძლიათ ამის ჩადენა, მაგრამ არა აშკარად, არამედ ფარულად, ვინაიდან თუ პარვუსს დაავიწყდა ტრეპოვი, სამაგიეროდ ტრეპოვს არ დავიწყებია პარვუსი. ის, რასაც პარვუსი პარლამენტურ შეთანხმებას უწოდებს (რაც ზოგჯერ სოციალ-დემოკრატებისათვის აუცილებელია პარლამენტურ ქვეყანაში), თანამედროვე რუსეთში, 1905 წლის სექტემბერს, პარლამენტარიზმობანას უსაძაგლესი თამაშია. რევოლუციის მოღალატენი ახლა პირველ რიგში აყენებენ შეთანხმებას ოსვობოჟდენიელებსა და რევოლუციონერებს შორის. რევოლუციის მომხრეები — შეთანხმებას სოციალ-დემოკრატებსა და ყველა რევოლუციურ დემოკრატებს, ე. ი. აჯანყების მომხრეთა შორის. თუ ახალი «ისკრა», პარვუსი და პლეხანოვი* ახლა «პარლამენტურ» შეთანხმებას დასდებენ ოსვობოჟდენიელებთან (მათ მიერ პარტიის დაარსებაზე იხილე ზემოთ, სტატიაში: «მეგობართა შეხვედრა» **), მაშინ ჩვენ საჯაროდ განვაცხადებთ, რომ ამ სოციალ-დემოკრატებს სინამდვილის ყოველგვარი ალღო დაუკარგავთ და თავიდან უნდა იქნან მოშორებული. მაშინ ჩვენ შეთანხმებას დავდებთ რევოლუციურ დემოკრატებთან აგიტაციის ერთად გასაწევად აჯანყების, მისი მომზადებისა და ჩატარების სასარგებლოდ.

ახალისკრელთა რეზოლუციების განხილვით ჩვენ უკვე ცხადვყავით (ლენინი: «ორი ტაქტიკა»), რომ «ისკრა» ლიბერალური მემამულის დონემდე ეშვება, «პროლეტარი» კი ამაღლებს და აფხიზლებს რევოლუციურ გლეხს ***.

---

* შენიშვნა: ჩვენ ვიხსენიებთ პლეხანოვს, ვინაიდან მან პრესაში განაცხადა, «ისკრის» ტაქტიკა «პროლეტარის» ტაქტიკას სჯობიაო. მართალია, პლეხანოვს ამასთანავე კრინტიც არ დაუძრავს ახალისკრელთა და III ყრილობის რეზოლუციებზე, მაგრამ სოციალ-დემოკრატი მწერლის ფანდები და თავდაძვრენა ისეთი გარემოებაა, რომელიც აძლიერებს და არა ამსუბუქებს მის დანაშაულს.

** იხ. ეს ტომი, გვ. 309 — 310. რედ.

*** იხ. ეს ტომი, გვ. 41 — 42. რედ.

«აუცილებელია, რომ ყოველი პარტია თავის საარჩევნო კომიტეტს აწყობდეს მთელ სახელმწიფოში არჩევნების გასაძღოლად. აუცილებელია, რომ ისინი ერთიმეორეს შეუთანხმდნენ იმ პრაქტიკულ ღონისძიებათა შემუშავებაში, რომლებიც მიღებულ უნდა იქნას არჩევნების დროს სიტყვის, კრებების და სხვ. თავისუფლების გასაფართოებლად. აუცილებელია, რომ მათ იკისრონ ურთიერთთან დამაკავშირებელი საერთო პოლიტიკური პასუხისმგებლობა (უსმინეთ, უსმინეთ, ამხანაგო მუშებო! ახალისკრელებს სურთ პეტრუნკევიჩებთან დაგაკავშირონ! ძირს პეტრუნკევიჩები, ძირს ახალისკრელებიც!) იმ მხრივ, რომ თუ ვინიცობაა რომელიმე პოლიტიკური პარტიის, როგორც ასეთის, ოფიციალურ წარმომადგენელს პოლიცია დაუწყებს დევნას ან სასამართლო დასჯის, რომ ყველა სხვა (!) პარტიის წარმომადგენლებმაც სოლიდარობა გამოუცხადონ მას და ყველამ ერთად მოაწყოს (!) სახალხო (??) პროტესტი და, თუ ეს შესაძლებელია (უსმინეთ!), სახალხო აჯანყებაც მის დასაცავად».

გზა მშვიდობისა, ძვირფასო პარვუს! მოაწყეთ პროტესტები და აჯანყება პეტრუნკევიჩებთან (დემოკრატი) და სტახოვიჩებთან (ლიბერალი) ერთად, — ჩვენი გზები გაიყარნენ. ჩვენ ამ საქმეს რევოლუციურ დემოკრატებთან ერთად გავაკეთებთ. ოღონდ შესცვალეთ მაინც ეს თქვენი ლოზუნგებიც, «პარლამენტურ შეთანხმებათა» უპატივცემულესნო გმირნო: — ნაცვლად ლოზუნგისა: «აჯანყება საჭიროა» სთქვით: «აჯანყება, თ უ ე ს შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ა, უნდა დაერთოს პროტესტებს». მაშინ ყველა ოსვობოჟდენიელი დაგეთანხმებათ! ნაცვლად ლოზუნგისა: «საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრა» წამოაყენეთ ასეთი: «მთავრობამ, თ უ ე ს შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ა, უნდა უზრუნველყოს პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო და ფარული კენჭისყრა». გზა დაგვილოცნია, ბატონებო! ჩვენ მოთმინებით დაველოდებით იმ დროს, როცა პარვუსი, პეტრუნკევიჩი, სტახოვიჩი და მარტოვი «მოაწყობენ სახალხო პრო-

ტესტს და, თუ შესაძლებელი გახდა, სახალხო აჯანყებასაც» მილიუკოვის დასაცავად. ეს ხომ ბევრად უფრო დროის შესაფერისია, ბატონებო, ჩვენს «თითქმის-პარლამენტურ» ხანაში: ბ-ნი მილიუკოვი დაიცვათ და არა მუშები, რომელთაც ასობით და ათასობით აპატიმრებენ და ჟლეტენ!..

პარვუსი კატეგორიულად აცხადებს: «ჩვენ არავითარი შანსი არა გვაქვს ჩვენი წარმომადგენლები დამოუკიდებლად გავიყვანოთ სათათბიროშიო». მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის მაინც წერს: «თუ საარჩევნო კომიტეტების მოწყობა განუხორციელებელი დარჩა, ჩვენ მაინც მთელი ძალღონე უნდა ვიხმაროთ საკუთარი კანდიდატურების წამოსაყენებლადაო». მიუხედავად ცენზისა, ფიქრობს პარვუსი, «ცალკეულ შემთხვევებში სოციალ-დემოკრატიული კანდიდატურების შესაძლებლობა გამორიცხული არ არისო». «ერთი, ორი სოციალ-დემოკრატიული კანდიდატურა, სადაც უნდა იყოს, პოლიტიკური ლოზუნგი გახდება მთელი ჩვენი ქვეყნისთვისაო».

გარკვეულობისთვისაც მადლობელი ვართ. მხოლოდ რაღა აყოვნებს საქმეს, ბატონებო? გაზეთმა «რუს» დიდი ხანია რაც თავისი კანდიდატურები წამოაყენა, ყველა ეს სტახოვიჩი, პეტრუნკევიჩი და რევოლუციის სხვა გამცემლები, რომლებიც ბატონ დურნოვოების კარებთან ატუზულან. გაზეთი «ისკრა» რაღადა სდუმს? სიტყვიდან საქმეზე რატომ არ გადადის? რატომ არ წამოაყენებს სახელმწიფო სათათბიროში აქსელროდის, სტაროვერის, პარვუსისა და მარტოვის კანდიდატურებს? სინჯეთ, ბატონებო, სცადეთ, experimentum in corpore vili *. სცადეთ, და ჩვენც მყისვე დავინახავთ, ვინ არის ჩვენს შორის მართალი: თქვენ, რომელნიც ფიქრობთ, რომ ეს კანდიდატები «მთელი ჩვენი ქვეყნის ლოზუნგი» გახდებიანო, თუ ჩვენ, რომელნიც ვფიქრობთ, რომ ეს კანდიდატები ამჟამად ტაკიმასხრების როლს შეასრულებენ?

პარვუსი წერს: «მთავრობამ ერთ მუჭა ადამიანებს საარჩევნო უფლებები მიანიჭა ისეთი დაწესებულების ასარჩევად,

* — ცდა მცირეფასოვან ორგანიზმზე. რ ე დ.

რომელმაც მთელი ხალხის საქმეები უნდა განაგოს. ეს გარემოება ხელოვნურად შერჩეულ ამომრჩევლებს ვალდებულებას აკისრებს თავიანთი განსაკუთრებული უფლება გამოიყენონ არა პირადი» (არამედ კლასობრივი და პარტიული?) «თვითნებობის მიხედვით, არამედ ხალხის მასების აზრს გაუწიონ ანგარიში. ჩვენს ამოცანას შეადგენს მოვაგონოთ მათ ეს ვალდებულება, ვაიძულოთ (!!) ისინი შეასრულონ იგი და ამ ამოცანის გასატარებლად არავითარ საშუალებას არ უნდა მოვერიდოთო».

ეს მსჯელობა, შევსებული, ცხადია, იმის მტკიცებით, რომ (აქტიური) ბოიკოტის ტაქტიკა თითქოს გამოხატავს რწმენის უქონლობას «ქვეყნის რევოლუციური ძალებისადმი» (sic!*), ძირფესვიანად მცდარია. ეს არის საკითხის სენტიმენტალურ-ბურჟუაზიული დაყენების ნიმუში, რომლის წინააღმდეგ ყველა სოციალ-დემოკრატმა უნდა გაილაშქროს. პარვუსის მსჯელობა ბურჟუაზიულია, ვინაიდან ის ვერ ხედავს სათათბიროს კლასობრივ არსს — თვითმპყრობელობასთან ბურჟუაზიის შეთანხმებას. პარვუსის მსჯელობა — უშინაარსო სენტიმენტალური ფრაზაა, ვინაიდან მას თუნდაც ერთი წუთით სერიოზულად სჯერა ოსვობოჟდენიელების სიცრუე, თითქოს მათ სურდეთ «ანგარიში გაუწიონ ხალხის მასების აზრს». სამი წლით მაინც დაიგვიანა პატივცემულმა პარვუსმა. როდესაც ლიბერალებს არც ორგანო, არც არალეგალური ორგანიზაცია არ ჰქონდათ, ხოლო ჩვენ ერთიც გვქონდა და მეორეც, ჩვენ ხელს ვუწყობდით მათს პოლიტიკურ განვითარებას. და ამ დამსახურებას ისტორია ვერ ამოშლის სოციალ-დემოკრატიის მოღვაწეობიდან. მაგრამ ახლა, როცა ლიბერალები — პოლიტიკის ბალღები — პოლიტიკის მთავარი საქმოსნები გახდნენ, მათ საქმით დაგვანახვეს, რომ რევოლუციის გამცემლები არიან. ა ხ ლ ა მთავარი ყურადღების მიქცევა არა ბურჟუაზიულ «შემთანხმებელთა» ჯამცემლობის

* — ასეა! რ ე დ.

მხილებაზე, არამედ იმაზე, რომ მათ მოვაგონოთ «მოვალეობანი» (არა ბურჟუაზიის, არამედ) მთელი ხალხის საქმეების გაძღოლისა — ნიშნავს ოსვობოჟდენიელების მაჩანჩალად გადაქცევას! მხოლოდ ოსვობოჟდენიელებს შეუძლიათ «ქვეყნის რევოლუციური ძალების» გამოხატულება სახელმწიფო სათათბიროში სერიოზულად ეძიონ. სოციალ-დემოკრატიამ იცის, რომ ყველაზე საუკეთესო რამ, რის მიღწევაც ჩვენ ახლა შეგვიძლია, ესაა ბურჟუაზიის გამცემლური ჭაპანწყვეტის ნეიტრალიზაცია, გაქარწყლება. საერობო მოღვაწენი და ოსვობოჟდენიელები — «ქვეყნის რევოლუციურ ძალას» არ წარმოადგენენ, ამის არცოდნა სირცხვილია, ამხანაგო პარვუს. რევოლუციურ ძალას ახლა, დემოკრატიულ რევოლუციაში, მხოლოდ პროლეტარიატი და მემამულეების წინააღმდეგ მებრძოლი გლეხობა წარმოადგენს.

პარვუსის შესანიშნავ სტატიაში ხელიხელ საგოგმანებელ მარგალიტს წარმოადგენს პროლეტარიატის მხრივ ოსვობოჟდენიელებისთვის მხარისდაჭერის პირობების ფორმულირება. «საჭიროა — წერს პარვუსი — ოპოზიციის იმ კანდიდატებს, რომლებიც მოისურვებენ ჩვენი მხარისდაჭერით ისარგებლონ, გარკვეული პოლიტიკური მოთხოვნები დავაკისროთო». (ეს ჩვენი ენა კი არა, გერმანულის ცუდი თარგმანია, მაგრამ აზრი მაინც ცხადია.) «ასეთი მოთხოვნები, მაგალითად, შეიძლება იყოს: 1) მოთხოვნა თვით სათათბიროში სათათბიროს დაუყოვნებლივ დათხოვნისა და დამფუძნებელი კრების მოწვევისა საყოველთაო და სხვ. საარჩევნო უფლების საფუძველზე; 2) უარი ეთქვას მთავრობას ყოველგვარ სამხედრო და ფინანსურ საშუალებებზე, სანამ ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იქნება».

ანის მთქმელმა ბანიც უნდა თქვას. ვისაც ერთხელ დაუცდა ფეხი და მოლიპულ გზაზე აღმოჩნდა, ის შეუკავებლად მისრიალებს თავქვე. პარტიის ორივე ნაწილის გარეთ მდგომი ჩვენი ზეკაცნი, როგორიც პარვუსი და პლეხანოვია, მედიდურად უგულებელყოფენ ახალისკრელთა სწორედ იმ რეზო-

ლუციებს, რომელთა გამო ისინი მორალურად და პოლიტიკურად პასუხისმგებელი არიან. ამ ზეკაცთ თავიანთი თავი წარმოუდგენიათ როგორც «უმრავლესობის», ისე «უმცირესობის» მაღლა მდგომად: ნამდვილად კი ისინი როგორც ერთის, ისე მეორის დ ა ბ ლ ა დგანან, ვინაიდან მათ იმდენი შესძლეს, რომ უმრავლესობის ყველა ნაკლს მიუმატეს უმცირესობის ყველა ნაკლი და თ ა ნ გ ა ნ დ გ ო მ ი ლ ი ს ყ ვ ე ლ ა ნ ა კ ლ ი ც.

აიღეთ პარვუსი. ის მუდამ «ისკრასთან» ხელიხელჩაკიდებული მიდიოდა, მაშინაც კი, როცა საერობო კამპანიის გეგმამ და ცხრა იანვარმა თვალი აუხილეს მას, ცოტა ხნით, «ისკრის» ოპორტუნისტულ პოზიციაზე. მაგრამ მიუხედავად ამისა პარვუსს მაინც სურდა «შემარიგებლად» ყოფილიყო მიჩნეული, — ალბათ, იმის გამო, რომ როცა მან 9 იანვრის შემდეგ დროებითი მთავრობის ლოზუნგების წამოყენება დაიწყო, ბოლშევიკებს უხდებოდათ შენიშვნის მიცემა მისთვის და მის ლოზუნგებში ფრაზეოლოგიის ელემენტებზე მითითება. უმეფოდ, მთავრობა კი მუშური! გაიძახოდა პარვუსი 9 იანვრის შთაბეჭდილებით. უხალხოდ, სათათბირო კი ლიბერალური! აი რას წარმოადგენს მისი ახლანდელი «ტაქტიკა» 6 აგვისტოს შემდეგ. არა, ამხანაგო, წუთიერ განწყობილებაზე, წუთიერების წინაშე მონურ ქედის მოხრაზე ვერ ავაგებთ ჩვენს ტაქტიკას!

პარვუსმა ახლა ლიბერალებისთვის «ახალი» პ ი რ ო ბ ე ბ ი შეთხზა. საბრალო ახალისკრელები, როგორ მოიქანცნენ ოსვობოჟდენიელებთან შეთანხმების «პირობების» შეთხზვით! სტაროვერმა II ყრილობაზე (იხ. მისი რეზოლუცია, გაუქმებული III ყრილობის მიერ) შეთხზა ერთგვარი პირობები, რომლებიც მაშინვე ფუჭი გამოდგა, ვინაიდან არც საერობო კამპანიის გეგმაში, არც ახლა ეს პირობები მთლიანად არავის არ წამოუყენებია იმ ახალისკრელთაგან, რომლებიც ოსვობოჟდენიელებთან «შეთანხმებაზე» წერდნენ. ახალისკრელთა კონფერენციამ რეზოლუციაში ლიბერალებისადმი დამო-

კიდებულების შესახებ სხვა, უფრო მკაცრი პირობები წამოაყენა. ახალისკრელი პარვუსი მორალურად პასუხისმგებელია ამ რეზოლუციისათვის — მაგრამ რა ესაქმებათ ლიტერატორზეკაცთ რაღაც რეზოლუციებთან, რომლებიც პროლეტარიატის პასუხისმგებელ წარმომადგენელთა მონაწილეობით მუშავდებოდნენ! ზეკაცთ ფეხებზე ჰკიდიათ პარტიული რეზოლუციები!

ახალისკრელთა რეზოლუციაში ოპოზიციური პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ თეთრზე შავად დაწერილია, რომ სოციალ-დემოკრატია «ცარიზმის ყველა მტრისაგან მოითხოვს»:

«1) ორგანიზებული პროლეტარიატის ყოველგვარი გაბედული მოქმედების ენერგიულად და აშკარად მხარისდაჭერას, მოქმედებისა, რომელიც მიმართული იქნება ცარიზმისათვის ახალი დარტყმებისაკენ».

პარვუსი მოითხოვს «შეთანხმებას» ოსვობოჟდენიელებთან და მათთვის «მხარისდაჭერის» დაპირებას, სამაგიეროს კი არაფერს ამდაგვარს არ მოითხოვს.

«2) სრულიად სახალხო დამფუძნებელი კრების მოთხოვნის აშკარად აღიარებას და უსიტყვოდ მხარისდაჭერას საყოველთაო და სხვ. ხმის მიცემის საფუძველზე და ყველა იმ პარტიისა და ჯგუფის წინააღმდეგ აშკარად გამოსვლას, რომლებიც ცდილობენ შეკვეცონ ხალხის უფლებები, საარჩევნო უფლების შეზღუდვა იქნება ეს თუ დამფუძნებელი კრების შეცვლა ბოძებული მონარქისტული კონსტიტუციით».

ამ პირობების მთელ მეორე ნაწილს პარვუსი არა სცნობს. ის სრულიად აფუჩეჩებს საკითხს, თუ ვის უნდა «მოსთხოვონ» ოსვობოჟდენიელებმა სათათბიროში დამფუძნებელი კრების «მოწვევა». რა თქმა უნდა, მეფეს? რატომ თვითონ არ უნდა მოიწვიონ იგი? გვიპასუხეთ, «პარლამენტურ შეთანხმებათა» უპატივცემულესო გმირო? ან იქნებ თქვენ ახლა უკვე აღარა ხართ «ბოძების» წინააღმდეგი?

«3) გადაჭრით მხარისდაჭერას მთავრობისა და კაპიტალის მაგნატების წინააღმდეგ მუშათა კლასის ბრძოლისთვის გაფიცვებისა და კავშირების თავისუფლების მოსაპოვებლად».

პარვუსი, ალბათ, ოსვობოჟდენიელებს ამ «პირობისგან» ათავისუფლებს სათათბიროს მოწვევის გამო და ტაქტიკის — «რაც უარესია, მით უკეთესია»-ს მავნებლობის გამო (თუმცა იქვე გვერდით პარვუსი ირწმუნება, მკითხველის დასაცინად, სათათბიროს რომ საკანონმდებლო უფლებები ჰქონოდა, უარესი იქნებოდაო, ე. ი. ერთი ნაბიჯი უკეთესობისკენ და სწორედ ის, რომლის მიღწევაც ოსვობოჟდენიელებს სურთ, ეს ყოფილა ნაბიჯი უარესობისკენ!!).

«4) აშკარა წინააღმდეგობის გაწევას მთავრობისა და თავადაზნაურ ფეოდალთა ყოველგვარი ცდებისათვის, რომელთა მიზანია გლეხთა პიროვნებისა და მათი ქონების მიმართ ძალმომრეობის ბარბაროსული ზომებით გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ჩახშობა».

კეთილო პარვუს, რად დაგავიწყდათ ეს პირობა? ნუთუ თქვენ ახლა თანახმა არა ხართ ეს საუცხოო მოთხოვნა წაუყენოთ პეტრუნკევიჩს? სტახოვიჩს? როდიჩევს? მილიუკოვს? სტრუვეს?

«5) უარისთქმას ყველა იმ ღონისძიებისათვის მხარისდაჭერაზე, რომელთა მიზანია თავისუფალ რუსეთში ცალკეულ ეროვნებათა უფლებების რაიმე შეზღუდვისა და ნაციონალური ჩაგვრის რაიმე კვალის შენარჩუნება;

და «6) სახალხო თვითშეიარაღების საქმეში აქტიურ მონაწილეობას რეაქციასთან საბრძოლველად და სოციალ-დემოკრატიისათვის მხარისდაჭერას შეიარაღებული მასობრივი ბრძოლის მოწყობის ცდებში».

კეთილო პირვუს, რად დაივიწყეთ ეს პირობები?

«პროლეტარი» № 18,
1905 წ. 26 (13) სექტემბერი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ლიბერალური კავშირები და სოციალ-დემოკრატია [81]

რა მნიშვნელობა აქვთ პროლეტარიატისთვის ინტელიგენციის «პროფესიულ» კავშირებს და გვმართებს თუ არა ჩვენ, სოციალ-დემოკრატებს, შევიდეთ ამ კავშირებში იმ მიზნით, რომ ვიბრძოლოთ მუშების კლასობრივი შეგნების დაბნელების წინააღმდეგ?

ინტელიგენციის «პროფესიული» კავშირები და «კავშირთა კავშირი» პოლიტიკური ორგანიზაციებია. ფაქტიურად ისინი ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი კავშირებია. საერთოდ და მთლიანად, ეს კავშირები შეადგენენ ეგრეთწოდებული კონსტიტუციურ-დემოკრატიული, ე. ი. ბურჟუაზიულ-ლიბერალური პარტიის ბირთვს. ამჟამად ჩვენ უაღრესად სერიოზული მოვალეობა გვეკისრება — მთელი ძალღონით შევუწყოთ ხელი პროლეტარიატის პ ა რ ტ ი უ ლ აღზრდას, მასი მოწინავე რაზმის შეკავშირებას ნამდვილ პოლიტიკურ პარტიად, რომელიც უ ს ა თ უ ო დ დამოუკიდებელი უნდა იყოს ყველა სხვა პარტიისაგან, უსათუოდ თავისთავადი პარტია უნდა იყოს. ამიტომ ჩვენ ვალდებული ვართ უდიდესი სიფრთხილით მოვეკიდოთ ყოველ ნაბიჯს, რომელსაც შეუძლია აბნეულობა შეიტანოს ნათელ და გარკვეულ პარტიულ ურთიერთობაში. ამჟამად მთელი ლიბერალური ბურჟუაზია წელებზე ფეხს იდგამს, რათა ხელი შეუშალოს პროლეტარიატის სავსებით დამოუკიდებელი კლასობრივი პარტიის შექმნას, რათა მ თ ე ლ ი «განმათავისუფლებელი» მოძრაობა დემოკრატიზმის

ერთ ნაკადად «გააერთიანოს» და «შეაერთოს» ამ დემოკრატიზმის ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ხასიათის დასაფარავად.

ასეთს პირობებში ლიბერალურ კავშირებში შესვლა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრების მხრივ უდიდესი შეცდომა იქნებოდა და ეს ჩააყენებდა მათ ორი სხვადასხვა-გვარი და მტრული პარტიის წევრთა მეტად ყალბ მდგომარეობაში. ორ ღმერთს ვერ ემსახურები. ორი პარტიის წევრობა შეუძლებელია. პოლიტიკური თავისუფლების უქონლობის პირობებში, თვითმპყრობელური წყობილების წყვდიადში, პარტიების ერთიმეორეში არევა ძალიან ადვილია, და ბურჟუაზიის ინტერესებიც სწორედ ასეთ არევას მ ო ი თ ხ ო ვ ე ნ. პროლეტარიატის ინტერესები მოითხოვენ პარტიების ზუსტ და გარკვეულ გამიჯვნას. ხოლო მოცემა იმის გარანტიებისა, რომ სოციალ-დემოკრატიის ჯგუფები ინტელიგენტების «პროფესიულ» კავშირებში შესვლისას შეინარჩუნებენ თავიანთ სრულ დამოუკიდებლობას, იქნებიან მხოლოდ რსდმპ და არა სხვა რომელიმე პარტიის წევრები, ყოველ თავიანთ ნაბიჯში ანგარიშს ჩააბარებენ თ ა ვ ი ა ნ თ პარტიულ ორგანიზაციას, — ასეთი გარანტიების, რეალურისა და არა მხოლოდ სიტყვიერის, მოცემა ამჟამად შეუძლებელია. ასიდან ოთხმოცდაცხრამეტი შანსი იმისაკენაა, რომ ასეთი წევრები ვერ შეინარჩუნებენ დამოუკიდებლობას და იძულებული გახდებიან მიმართონ «ცბიერებას», უნაყოფოს მისი შედეგების თვალსაზრისით, საზიანოს მუშების ჯერ კიდევ მოუმწიფებელი პ ა რ ტ ი უ ლ ი თვითშეგნების გარყვნის თვალსაზრისით.

«პროლეტარი» № 18,
1905 წ. 26 (13) სექტემბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

თავდაცვიდან თავდასხმაზე

დარბაისლური კონსერვატიული გაზეთის «Temps»*-ის სპეციალური კორესპონდენტი 21 (8) სექტემბერს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებდა ამ გაზეთს:

«გუშინწინ ღამით 70 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი თავს დაესხა რიგის ცენტრალურ საპყრობილეს, გადაჭრა ტელეფონის ხაზი და თოკის კიბით გადაძვრა საპყრობილის ეზოში, სადაც ცხარე შეტაკების შედეგად მოკლულ იქნა საპყრობილის ორი დარაჯი და სამიც მძიმედ დაიჭრა. მანიფესტანტებმა გაათავისუფლეს ორი პოლიტიკური პატიმარი, რომლებიც სამხედრო სამართალში იყვნენ მიცემული და სასიკვდილო განაჩენს მოელოდნენ. მანიფესტანტებმა, გარდა ორისა, რომლებიც დააპატიმრეს, მიმალვა მოასწრეს; მათი დევნის დროს მოკლულ იქნა ერთი აგენტი და დაიჭრა რამდენიმე პოლიციელი».

ამრიგად, საქმე მაინც წინ მიდის! შეიარაღების საქმეც, მიუხედავად განუზომელი, პირდაპირ აუწერელი სიძნელეებისა, მაინც წინ მიდის. ინდივიდუალური ტერორი, ინტელიგენტური უილაჯობის ნაყოფი, წარსულს ბარდება. ნაცვლად იმისა, რომ რამდენიმე ათი ათასი მანეთი და უამრავი რევოლუციური ძალა მოხმარდეს რომელიღაც სერგის მოკვლას (რომელმაც მოსკოვი თითქმის უფრო მეტად გაარევოლუციურა, ვიდრე მრავალმა რევოლუციონერმა), მოკვლას «ხალხის სახელით», — ამის ნაცვლად იწყება სამხედრო მოქმედება ხალხთან ერთად. აი როდის უერთდებიან მასას შეიარაღებული ბრძოლის პიონერები არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით, სათავეში უდგებიან პროლეტარიატის რაზ-

* — «დროება». რედ.

მებს, სამოქალაქო ომის ცეცხლითა და მახვილით ზრდიან ათეულ სახალხო ბელადებს, რომლებიც ხვალ, მუშათა აჯანყების დღეს, თავიანთი გამოცდილებითა და გმირული გაბედულობით შესძლებენ დახმარება გაუწიონ ათასობით და ათიათასობით მუშას.

სალამი რიგის რევოლუციური რაზმის გმირებს! დაე მათი წარმატება გამამხნევებელი იყოს და ნიმუში გახდეს მთელი რუსეთის სოციალ-დემოკრატ მუშებისათვის. გაუმარჯოს სახალხო რევოლუციური არმიის მოთავეებს!

დახეთ, რა წარმატებით, თვით წმინდა სამხედრო თვალსაზრისითაც კი, დაგვირგვინდა რიგელთა წამოწყება. მტერს მოუკლეს სამი და დაუჭრეს, ალბათ, 5 — 10 კაცი. ჩვენი დანაკლისია: სულ ორი — ალბათ, დაჭრილნი და ამიტომ ტყვედ წაყვანილნი მტრის მიერ. ჩვენი ნადავლია ორი რევოლუციონერი ბელადი, ტყვეობიდან დახსნილი. ეს ხომ ბრწყინვალე გამარჯვებაა!! ეს ნამდვილი გამარჯვებაა თავით ფეხამდე შეიარაღებულ მტერთან ბრძოლაში. ეს უკვე შეთქმულება როდია რომელიმე საძულველი პერსონის წინააღმდეგ, შურისძიების აქტი, სასოწარკვეთილების ნაბიჯი, უბრალო «დაშინება» როდია, — არა, ეს უკვე რევოლუციური არმიის რაზმთა მოფიქრებული და მომზადებული, ძალთა თანაფარდობის თვალსაზრისით გაანგარიშებული, საომარი მოქმედების დასაწყისია. თვითეულ დიდ ქალაქში და ხშირად დიდი ქალაქის გარეუბნებში 25—75 კაცისაგან შემდგარ ასეთ რაზმთა რიცხვი შეიძლება აყვანილ იქნას რამდენიმე ათეულამდე. მუშები ასობით შევლენ ამ რაზმებში, საჭიროა მხოლოდ დაუყოვნებლივ შევუდგეთ ამ იდეის ფართო პროპაგანდას, ამ რაზმების შექმნას, მათ მომარაგებას ყოველგვარი და ყოველი სახის იარაღით, დაწყებული დანებითა და რევოლვერებით და გათავებული უუმბარებით, — ამ რაზმების გაწვრთნას და სამხედრო აღზრდას.

საბედნიეროდ, წავიდა ის დრო, როცა რევოლუციური ხალხის უყოლობის გამო რევოლუციას «აკეთებდნენ» რევო-

ლუციური მარტოხელა-ტერორისტები. ყუმბარა უკვე აღარაა მარტოხელა-«მეყუმბარის» იარაღი. იგი სახალხო შეიარაღების აუცილებელ კუთვნილებად ხდება. სამხედრო ტექნიკის შეცვლასთან ერთად იცვლება და უნდა შეიცვალოს კიდეც ქუჩის ბრძოლის ხერხები და საშუალებები. ჩვენ ყველანი ვსწავლობთ (და კარგსაც ვშვრებით, რომ ვსწავლობთ) ბარიკადების აგებას და მათი დაცვის ოსტატობას. მაგრამ ამ ძველმა სასარგებლო საქმემ არ უნდა დაგვავიწყოს სამხედრო ტექნიკის უახლესი ნაბიჯები. ფეთქებად ნივთიერებათა გამოყენების პროგრესმა ბევრი სიახლე შეიტანა საარტილერიო საქმეში. იაპონელები რუსებზე უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ ნაწილობრივ იმიტომაც, რომ მათ იცოდნენ ფეთქებად ნივთიერებათა ბევრად უკეთ გამოყენება. უძლიერეს ფეთქებად ნივთიერებათა ფართოდ გამოყენება — უკანასკნელი ომის ერთ-ერთი ფრიად დამახასიათებელი თავისებურებაა. და ახლა სამხედრო საქმის მთელ მსოფლიოში საყოველთაოდ აღიარებული ეს ოსტატებიც, იაპონელებიც, ხელყუმბარაზე გადავიდნენ, რომელსაც ისინი საუცხოოდ იყენებდნენ პორტ-არტურის წინააღმდეგ. მაშ ვისწავლოთ იაპონელებისაგან! ნუ დავეცემით სულით მძიმე წარუმატებლობათა გამო, რაც ხშირად თან სდევს იარაღის მასობრივ შემოტანის ცდებს. ვერავითარი წარუმატებლობა ვერ გატეხს იმ ადამიანთა ენერგიას, რომლებიც გრძნობენ და საქმითაც ხედავენ თავიანთ მჭიდრო კავშირს რევოლუციურ კლასთან, რომელთაც შეგნებული აქვთ, რომ მათი უახლოესი მიზნებისათვის საბრძოლველად ახლა მართლაც მთელი ხალხია ამხედრებული. ყუმბარების დამზადება შესაძლებელია ყველგან. რუსეთში ახლა იგი ბევრად უფრო ფართო მასშტაბით მზადდება, ვიდრე თვითეულ ჩვენგანს ჰგონია (ხოლო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ყოველმა წევრმა, ალბათ, იცის სახელოსნოების მოწყობის არა ერთი მაგალითი). იგი შეუდარებლად უფრო ფართო მასშტაბით მზადდება, ვიდრე ეს პოლიციამ იცის (პოლიციამ კი,

უსათუოდ, მეტი იცის, ვიდრე რევოლუციონერებმა ცალკეულ ორგანიზაციებში). ვერავითარი ძალა ვერ დაუდგება წინ რევოლუციური არმიის რაზმებს, რომლებიც შეიარაღებული იქნებიან ყუმბარებით და ერთ მშვენიერ ღამეს რამდენიმე ისეთ თავდასხმას მოახდენენ, როგორიც რიგის თავდასხმა იყო; ამ რაზმებს გაჰყვება — ეს უკანასკნელი და ყველაზე მთავარი პირობაა — ასიათასობით მუშა, რომლებსაც არ დავიწყებიათ «მშვიდობიანი» ცხრა იანვარი და მხურვალედ ელოდებიან ისინი შ ე ი ა რ ა ღ ე ბ უ ლ ცხრა იანვარს.

აშკარად აქეთკენ მიდის რუსეთის საქმეები. ჩაუფიქრდით ლეგალური გაზეთების ამ ცნობებს გემთა მშვიდობიანი მგზავრების კალათებში ყუმბარების აღმოჩენის შესახებ. კარგად წაიკითხეთ ეს ცნობები უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში პოლიციელებსა და სამხედრო პირებზე ა ს ე უ ლ თავდასხმათა შესახებ, ა თ ე უ ლ იქვე მოკლულთა, ათეულ მძიმედ დაჭრილთა შესახებ. გამცემლურ-ბურჟუაზიული «ოსვობოჟდენიეს» კორესპონდენტებიც კი, «ოსვობოჟდენიესი», რომელიც გმობს შეიარაღებული აჯანყების «უგუნურ» და «დანაშაულებრივ» ქადაგებას, აღიარებენ, რომ ტრაგიკული ამბები ჯერ კიდევ არასდროს ისე მოახლოებული არ ყოფილა, როგორც ახლა.

მაშ გააჩაღეთ მუშაობა, ამხანაგებო! დაე თვითეული თქვენგანი თავის პოსტზე იდგეს. დაე თვითეულ მუშათა წრეს ახსოვდეს, რომ დღეს თუ არა — ხვალ მოვლენებმა შეიძლება მას მოსთხოვონ ხელმძღვანელი მონაწილეობის მიღება უკანასკნელ და გადამწყვეტ ბრძოლაში.

«პროლეტარი» № 18,
1905 წ. 26 (13) სექტემბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

მოამენტისათვის

«პროლეტარის» მე-15 ნომერში ნიმუშად ეგრეთწოდებული «რევოლუციური თვითმმართველობისა» (რასაც «ისკრა» საბალხო აჯანყების ლოზუნგში ურევს) უკვე აღნიშნული* იყო სმოლენსკის თვითმმართველობის გაბედული მოქმედება; თვითმმართველობამ უკანონოდ სცნო კაზაკების დაბინავება ქალაქში, შეუწყვიტა მათ ფულის მიცემა, მოსახლეობის დასაცავად მოაწყო ქალაქის მილიცია და პროკლამაციით მიმართა ჯარისკაცებს მოქალაქეებისადმი ძალმომრეობის ხმარების წინააღმდეგ. იმავე იდეის კიდევ ერთ ილუსტრაციად და მიმდინარე მომენტის დასახასიათებლად «L'Humanite»-დან** მოგვყავს ქერჩის თვითმმართველობის რეზოლუცია ამას წინათ ქალაქში მომხდარი დარბევის გამო.

თვითმმართველობა ადგენს: 1) გამოეცხადოს ებრაელ მოსახლეობას მწუხარება ადამიანთა (მოკლულთა და დაჭრილთა სახით) დანაკლისისა და მატერიალური დაზარალების გამო; 2) დაარსდეს ადგილობრივ გიმნაზიაში ორი სტიპენდია არეულობის დროს მოკლულ მოწაფეთა ხსოვნის აღსანიშნავად; 3) რადგან ადგილობრივმა ხელისუფლებმა უნარი და საკმაო სურვილი ვერ გამოიჩინეს მოსახლეობის სიცოცხლისა და ქონების დასაცავად, დაუყოვნებლივ შეწყდეს დახმარების გაცემა ქალაქის თანხებიდან პოლიციის შესანახად; 4) განაწილდეს

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 266. რ ე დ.

** — «ჯაცობრიობა». რ ე დ.

1 500 მანეთი იმ ღარიბ ებრაელთა შორის, რომლებიც ყველაზე მეტად დააზარალა არეულობამ; 5) გამოეცხადოს სიმპათია ნავსადგურის უფროსს, ერთადერთ ადგილობრივ მოხელეს, რომელმაც დიდი ენერგიითა და ჰუმანურობით მიიღო ზომები შემდგომი მასობრივი ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ; 6) ეცნობოს შინაგან საქმეთა მინისტრს ხელისუფალთა უკანონო მოქმედება არეულობის დროს და მოეთხოვოს, რათა სენატმა დანიშნოს კვლევაძიება.

რამდენადაც ქერჩის თვითმმართველობა თავისი ნებით აფართოებს კანონით მიჩენილს თვითმმართველობის კომპეტენციის ფარგლებს, რამდენადაც ის მონაწილეობას იღებს მთელი სახელმწიფოს საერთო რევოლუციურ ცხოვრებაში, — იმდენად ის ადგება ნამდვილ «რევოლუციური თვითმმართველობის» გზას. მაგრამ სად არის იმის გ ა რ ა ნ ტ ი ე ბ ი, რომ ეს თვითმმართველობა «ს ა ხ ა ლ ხ ო თ ვ ი თ მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ა დ» გადაიქცევა. და გვმართებს თუ არა ჩვენ, სოციალ-დემოკრატებს, გამოვყოთ ეს «რევოლუციის ნაჭერი» აგიტაციის მთავარ ლოზუნგად, თუ ვიქადაგოთ რევოლუციის სრული და გადამწყვეტი გამარჯვება, რაც უაჯანყებოდ შეუძლებელია?

«პროლეტარი» № 18,
1905 წ. 26 (13) სექტემბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

რსდმპ ცენტრალური ორგანოს რედაქციისაგან

ამხანაგებო! გვინდა თქვენი ყურადღება მივაქციოთ აგიტაციის საქმეში ცენტრალური ორგანოსი და ადგილობრივი გამომცემლობის თანამშრომლობის ერთ-ერთ საშუალებას. ც. ო.-ს ძალიან ხშირად ბრალად სდებენ, რომ ის მოწყვეტილია მოძრაობას, არაპოპულარულია და სხვ. და ა. შ. რა თქმა უნდა, ამ საყვედურებში არის სიმართლის ნაწილი და ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ ასეთს მშფოთვარე დროს ჩვენი შორიდან მუშაობა არ კმარა. მაგრამ ჩვენი მოწყვეტილობა ნაწილობრივ დამოკიდებულია ცენტრალური ორგანოსი და ადგილობრივ სოციალ-დემოკრატთა მ ა ს ი ს იშვიათ და არარეგულარულ ურთიერთობაზე და მათი ერთმანეთთან თანამშრომლობის ნაკლებობაზე. უდავოა, რომ ჩვენ საკმაოდ ვერ გეხმარებით. მაგრამ ვერც თქვენ გვიწევთ საკმაო დახმარებას. ახლა გვინდა ამხანაგურად მივაქციოთ თქვენი ყურადღება ე რ თ-ე რ თ ი ასეთი ნაკლის აღმოფხვრას.

ადგილობრივი ამხანაგები აგიტაციისათვის საკმაოდ ვერ იყენებენ ცენტრალურ ორგანოს. ცენტრალური ორგანო დაგვიანებით და მცირე რაოდენობით მოდის. ამიტომ საჭიროა 1) უფრო ხშირად გადაბეჭდოთ ადგილობრივ ფურცლებში სტატიები და შენიშვნები; 2) უფრო ხშირად გადააკეთოთ ან უფრო პოპულარულად განმარტოთ ცენტრალური ორგანოს ლოზუნგები (და სტატიები) ადგილობრივ ფურცლებში, მას-

თან თქვენ შეგიძლიათ ისინი შეავსოთ, შეცვალოთ, შეამციროთ და სხვ., რადგან ადგილობრივ თქვენ უფრო ხედავთ რაა საჭირო, ხოლო პარტიის ყველა გამოცემა მთელი პარტიის კუთვნილებაა; 3) უფრო ხშირად მ ო ი ყ ვ ა ნ ო თ ც ი ტ ა ტ ე ბ ი ცენტრალური ორგანოდან ადგილობრივ ფურცლებში, რათა პოპულარული გავხადოთ მასაში ცენტრალური ორგანოს სახელწოდება, საკუთარი მუდმივი გაზეთის ი დ ე ა, აზრი საკუთარი იდეური ცენტრის არსებობისა, მისდამი ყოველთვის მიმართვის შესაძლებლობისა და სხვ. და ა. შ.. უნდა ეცადოთ ყოველი საბაბი გამოიყენოთ და აღნიშნოთ ფურცლებში, რომ აი ასეთივე აზრია გატარებული «პროლეტარის» ამა და ამ სტატიაში, ანდა რომ ანალოგიური ცნობებია მოყვანილი მის ამა და ამ კორესპონდენციაში და სხვ. და ა. შ.. ეს ფრიად მნიშვნელოვანია მ ა ს ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ჩვენი ცენტრალური ორგანოს გასაცნობად და მთელი ჩვენი ზეგავლენის სფეროს გასაფართოებლად.

ადგილობრივ კომიტეტებს არა ერთხელ გადაუბეჭდავთ სტატიები, რომლებიც მათ უფრო მოსწონდათ. ახლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლ ო ზ უ ნ გ ე ბ ი ს ე რ თ ი ა ნ ო ბ ა (ლიბერალებისადმი, ოსვობოჟდენიელებისადმი, მათი «შეთანხმების თეორიისადმი», კონსტიტუციის მათი პროექტისადმი და სხვ. დამოკიდებულების შესახებ; საკითხი რევოლუციური არმიის, რევოლუციური მთავრობის პროგრამის შესახებ; სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტის შესახებ და სხვ. და სხვ.). უნდა ეცადოთ ყოველნაირად გამოიყენოთ ც. ო. ადგილობრივი აგიტაციის საქმეში არა მარტო სტატიების გადაბეჭდვით, არამედ აზრებისა და ლოზუნგების **თქვენი სიტყვით ფურცლებში გადაცემით**, ადგილობრივი პირობების შესაბამისად მათი გ ა ფ ა რ თ ო ე ბ ი თ ან შეცვლით და სხვ.. ეს მეტისმეტად მნიშვნელოვანია ჩვენსა და თქვენს შორის ნამდვილი **თანამშომლობისათვის, აზრთა გაზიარებისათვის**, ჩვენი ლოზუნგების **შესწორებებისათვის, მუშათა მ ა-**

სისათვის იმის გასაცნობად, რომ ჩვენ გვაქვს პარტიის მუდმივი ცენტრალური ორგანო.

დაბეჯითებით გთხოვთ წაიკითხოთ და განიხილოთ ეს წერილი პარტიის უსათუოდ ყველა ორგანიზაციასა და წრეში, სულ ძირეულ ფენამდე.

«პროლეტარის» რედაქცია

«რაბოჩი» 82 № 2,
1905 წ. სექტემბერი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის იენის ყრილობა[88]

გერმანიის სოციალ-დემოკრატების ყრილობები უკვე დიდი ხანია გადაიქცნენ ისეთ მოვლენად, რომლის მნიშვნელობა დიდად სცილდება გერმანიის მუშათა მოძრაობის ფარგლებს. გერმანიის სოციალ-დემოკრატია ყველაზე წინა დგას თავისი ორგანიზებულობით, მოძრაობის მთლიანობითა და დარაზმულობით, მარქსისტული ლიტერატურის სიმდიდრითა და შინაარსიანობით. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში გერმანიის სოციალ-დემოკრატიული ყრილობების გადაწყვეტილებანიც ხშირად თითქმის საერთაშორისო მნიშვნელობას იღებენ. ასეთი ბედი ეწია სოციალიზმის უახლეს ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა საკითხს (ბერნშტეინიადა). დრეზდენის სოციალ-დემოკრატიული ყრილობის გადაწყვეტილება, რომელმაც დაადასტურა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ძველი ნაცადი ტაქტიკა, მიიღო ამსტერდამის საერთაშორისო სოციალისტურმა კონგრესმა და ახლა მთელი მსოფლიოს მთელი შეგნებული პროლეტარიატის საერთო გადაწყვეტილებად გადაიქცა. ასევეა ახლაც. მასობრივი პოლიტიკური გაფიცვის საკითხი — იენის ყრილობის მთავარი საკითხი — მთელ საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიას აღელვებს. უკანასკნელ დროს მოვლენებმა ეს საკითხი პირველ ადგილზე წამოსწიეს მთელ რიგ ქვეყნებში, მათ შორის, მგონია განსაკუთრებითაც კი, რუსეთში. გერმანიის სოციალ-დემოკრატიის გადაწყვეტილება, უსათუოდ, მცირე გავლენას როდი მოახ-

დენს მთელ საერთაშორისო მუშათა მოძრაობაზე მებრძოლ მუშათა რევოლუციური სულისკვეთების შენარჩუნებისა და განმტკიცების მხრივ.

მაგრამ ჯერ მოკლედ აღვნიშნოთ დანარჩენი, უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც განიხილა და გადაწყვიტა იენის ყრილობამ. უწინარეს ყოვლისა მან განიხილა პარტიის ორგანიზაციის საკითხი. გერმანიის პარტიის პარტიული წესდების გადასინჯვის დეტალებზე ჩვენ აქ, რა თქმა უნდა, არ შევჩერდებით. დიდმნიშვნელოვანია ხაზგასმით აღინიშნოს ამ გადასინჯვის მეტად დამახასიათებელი ძირითადი ნიშანი: ცენტრალიზმის შემდგომი, უფრო სრულად და უფრო მკაცრად გატარების, უფრო მტკიცე ორგანიზაციის შექმნის ტენდენცია. ეს ტენდენცია, ჯერ-ერთი, იმით გამოიხატება, რომ წესდებაში პირდაპირ შეტანილ იქნა დადგენილება იმის შესახებ, რომ ყოველი სოციალ-დემოკრატი აუცილებლად უნდა შედიოდეს ერთ-ერთ პარტიულ ორგანიზაციაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამას შეუძლებელს ხდიან განსაკუთრებით სერიოზული მიზეზები. მეორე, ეს ტენდენცია გამოიხატა რწმუნებულ პირთა სისტემის ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების სისტემით შეცვლაში, ერთპიროვნული რწმუნებისა და პიროვნებისადმი ნდობის პრინციპის კოლექტიური, ორგანიზაციული კავშირის პრინციპით შეცვლაში. მესამე, ეს ტენდენცია გამოიხატა დადგენილებაში, რომლის თანახმად პარტიის ყველა ორგანიზაცია ვალდებულია თავისი შემოსავლის 25% პარტიის ცენტრალურ სალაროში შეიტანოს.

საერთოდ და მთლიანად, ჩვენ აქ ნათლად ვხედავთ, რომ სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ზრდა და მისი რევოლუციურობის გაძლიერება უეჭველად და გარდუვალად იწვევს ცენტრალიზმის უფრო თანამიმდევრად გატარებას. ამ მხრივ ჩვენთვის, რუსებისთვის, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის განვითარება მეტად საგულისხმოა. ამ ცოტა ხნის წინათ პარტიული ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს შორის ორ-

განიზაციულ საკითხებს ჩვენში არაპროპორციულად დიდი ადგილი ეჭირათ და ნაწილობრივ ახლაც უჭირავთ. III ყრილობის შემდეგ პარტიაში სავსებით ჩამოყალიბდა ორი ორგანიზაციული ტენდენცია: ერთი — მიმართული პარტიულ ორგანიზაციაში თანამიმდევარი ცენტრალიზმისა და დემოკრატიზმის მტკიცედ გაფართოებისაკენ არა სადემაგოგიოდ, არა ლამაზი სიტყვისთვის, არამედ მათი ნამდვილად განხორციელების მიზნით რუსეთის სოციალ-დემოკრატიის თავისუფალი სამოქმედო ასპარეზის გაფართოებასთან ერთად. მეორე — მიმართულია ორგანიზაციული უსახობისაკენ, «ორგანიზაციული ბუნდოვანობისაკენ», რომლის მთელი მავნებლობა ახლა თვით პლეხანოვმაც კი შეიგნო, რომელიც ასე დიდხანს იცავდა მას (იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მოვლენები მალე შეაგნებინებენ მას ამ ორგანიზაციული ბუნდოვანობის კავშირსაც ტაქტიკურ ბუნდოვანობასთან).

მოიგონეთ დავა ჩვენი წესდების 1 §-ის გამო. იმ ახალისკრელთა კონფერენციამ, რომლებიც წინათ მხურვალედ იცავდნენ თავიანთი მცდარი ფორმულირების «იდეას», ახლა სრულიად უკუაგდო მთელი ეს §-იც და მთელი იდეაც. III ყრილობამ დაადასტურა ცენტრალიზმისა და ორგანიზაციული კავშირის პრინციპი. ახალისკრელები იმთავითვე შეეცადნენ ზოგადი პრინციპების ნიადაგზე დაეყენებინათ პარტიის ყოველი წევრის ორგანიზაციის წევრობის საკითხი. ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ გერმანელები — ოპორტუნისტებიც და რევოლუციონერებიც ერთნაირად — საეჭვოდაც კი არ ხდიან ასეთი მოთხოვნის პრინციპულ კანონიერებას. მათ ეს მოთხოვნა (რომ პარტიის ყოველი წევრი ერთ-ერთ პარტიულ ორგანიზაციას ეკუთვნოდეს) პირდაპირ შეაქვთ წესდებაში და ამ წესის გამონაკლისის აუცილებლობას ასაბუთებენ არა პრინციპებით, არამედ... გერმანიაში საკმაო თავისუფლების უქონლობით! ფოლმარი, რომელიც იენაში მომხსენებლად იყო ორგანიზაციულ საკითხში, წესის გამონაკლისის დაშვებას იმით ამარ-

თლებდა, რომ ისეთი ადამიანებისთვის, როგორიც არიან დაბალი მოხელეები, შეუძლებელი იქნება ა შ კ ა რ ა დ სოციალ-დემოკრატების პარტიას ეკუთვნოდენო. თავისთავად ცხადია, ჩვენში, რუსეთში, სხვა სიტუაციაა: როცა თავისუფლება არ არსებობს, ყველა ორგანიზაცია ერთნაირად ფარულია. როცა რევოლუციური თავისუფლებაა, მაშინ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მკვეთრად გავმიჯნოთ პარტიები და ამ მხრივ «ბუნდოვანობა» არ დავუშვათ. ხოლო პრინციპი ორგანიზაციული კავშირის სასურველი განმტკიცებისა ურყევი რჩება.

რაც შეეხება რწმუნებულ პირთა სისტემას, რომელიც ახლა უარყვეს გერმანელმა სოციალ-დემოკრატებმა, მისი არსებობა სავსებით დაკავშირებულია სოციალისტების საწინააღმდეგო განსაკუთრებულ კანონთან. რაც უფრო ბარდებოდა წარსულს ეს კანონი, მით უფრო ბუნებრივი და აუცილებელი ხდებოდა მთელი პარტიის გადასვლა ორგანიზაციების ერთმანეთთან უშუალო კავშირის სისტემაზე და არა კავშირი რწმუნებულ პირთა მეშვეობით.

მეორე საკითხიც, რომელიც განხილულ იქნა იენაში პოლიტიკური გაფიცვის საკითხის განხილვამდე, მეტისმეტად საგულსხმოა რუსეთისათვის. ეს არის მაისობის დღესასწაულის საკითხი ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ (თუ ავიღებთ საკითხის დედაარსსა და არა იმ მუხლს, რომელიც დისკუსიის საბაბი გახდა), სოციალ-დემოკრატიული პარტიისადმი პროფესიული მოძრაობის დამოკიდებულების საკითხი. ჩვენ «პროლეტარში» არა ერთხელ გვითქვამს, თუ რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გერმანელ და არა მარტო გერმანელ, სოციალ-დემოკრატებზე პროფესიულ კავშირთა კელნის ყრილობამ [84]. ამ ყრილობაზე უაღრესი სიცხადით გამოაშკარავდა, რომ გერმანიაშიც კი, სადაც მარქსიზმის ტრადიციები და მისი გავლენა ყველაზე ძლიერია, პროფესიულ კავშირებში — დაიხსომეთ: ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ პროფესიულ კავშირებში — ვითარდება ა ნ ტ ი ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი

ტენდენციები, ტენდენციები ინგლისური იერის «წმინდა ტრედ-უნიონიზმისადმი», ე. ი. უცილობლად-ბურჟუაზიული ტრედ-უნიონიზმისადმი. და აი ამიტომ იენის ყრილობაზე სამაისო დემონსტრაციის საკითხიდან, ამ სიტყვის პირდაპირი აზრით, გარდუვალად წარმოიშვა ტრედ-უნიონიზმისა და სოციალ-დემოკრატიის საკითხი, «ეკონომიზმის» საკითხი, რუსეთის სოციალ-დემოკრატებში არსებულ მიმართულებებთან შეფარდებით თუ ვიტყვით.

ფიშერმა, მომხსენებელმა საპირველმაისო საკითხზე, პირდაპირ თქვა, დიდი შეცდომა იქნებოდა თვალი დაგვეხუჭა იმ ფაქტზე, რომ პროფესიულ კავშირებში აქა-იქ სოციალისტური სულისკვეთება ქრებაო. საქმე იქამდე მივიდა, რომ, მაგ., ბრინგმანი, დურგალთა კავშირის წარმომადგენელი, ამდაგვარ ფრაზებს წარმოთქვამდა და ბეჭდავდა: «საპირველმაისო გაფიცვა უცხო სხეულია ადამიანთა ორგანიზმშიო». «არსებულ პირობებში პროფესიული კავშირები მუშების მდგომარეობის გაუმჯობესების ერთადერთი საშუალება არისო» და სხვა. და «სნეულების ამ სიმპტომს», ფიშერის მოსწრებული თქმით, მთელი რიგი სხვა სიმპტომები ემატება. ვიწრო პროფესიონალიზმი, ანუ «ეკონომიზმი», გერმანიაში, ისე როგორც რუსეთშიც, ისე როგორც ყველგან, უკავშირდება ოპორტუნიზმს (რევიზიონიზმს). დურგალთა იმავე კავშირის გაზეთი წერდა მეცნიერული სოციალიზმის საფუძვლების ნგრევაზე, კრიზისების თეორიის, კატასტროფების თეორიის უმართებულობაზე და სხვ.. რევიზიონისტი კალვერი მუშებს მოუწოდებდა არა უკმაყოფილების გამოთქმისაკენ, არა მოთხოვნილებათა გადიდებისაკენ, არამედ თავდაჭერისაკენ და სხვა და სხვა. ყრილობამ მოიწონა ლიბკნეხტის გამოსვლა, როცა მან გაილაშქრა პროფესიულ კავშირთა «ნეიტრალობის» იდეის წინააღმდეგ და აღნიშნა, რომ «მართალია, ბებელიც ლაპარაკობდა ნეიტრალობის სასარგებლოდ, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს ერთი იმ იშვიათი მუხლთაგანია, როცა ბებელს პარტიის უმრავლესობა არ ემხრობაო».

თვითონ ბებელი უარყოფდა, თითქოს ის ვისმე პროფესიულ კავშირთა ნეიტრალობას ურჩევდა სოციალ-დემოკრატიის მიმართ. ვიწრო პროფესიონალიზმის საფრთხეს ბებელი უსათუოდ აღიარებდა. შემდგომ ბებელი ამბობდა, მე ვიცი ამ ამქრული გამოყეყეჩების კიდევ უფრო უარესი ნიმუშები: პროფესიულ კავშირთა ახალგაზრდა ბელადები იქამდე მიდიან, რომ აბუჩად იგდებენ პარტიას საერთოდ, სოციალიზმს საერთოდ, კლასობრივი ბრძოლის თეორიასაო. სოციალ-დემოკრატიული ყრილობა აღშფოთების საერთო ყვირილით შეეგება ბებელის ასეთ განცხადებას. მჭუხარე ტაში გაისმა, როცა ბებელმა გადაჭრით განაცხადა: «ამხანაგებო, იყავით თქვენ-თქვენს პოსტებზე; დაფიქრდით, რას სჩადიხართ; თქვენ საბედისწერო გზას ადგიხართ, რომლის დასასრული დაღუპვას გიქადით!»

ამრიგად, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის საშიშროებას პირისპირ შეეგება. მას არ მიუფუჩეჩებია ეკონომიზმის უკიდურესობანი, არ შეუთხზავს ურიგო მომიზეზებანი და ფანდები (რომელნიც ასე ბლომად შეთხზა, მაგალითად, ჩვენში პლეხანოვმა II ყრილობის შემდეგ). არა, მან მკვეთრად აღნიშნა სნეულება, გადაჭრით დაგმო მავნე ტენდენციები და პირდაპირ, აშკარად მოუწოდა პარტიის ყველა წევრს იბრძოლონ მათ წინააღმდეგ. საგულისხმო ამბავია რუსეთის სოციალ-დემოკრატებისთვის, რომელთაგან ზოგმა ბატონ სტრუვეს ქება დაიმსახურა პროფესიული მოძრაობის საკითხში «თვალის ახელისათვის»!

დაწერილია 1905 წ. სექტემბერს
პირველად დაიბეჭდა 1924 წ.
ჟურნალში «პოდ ზნამენემ მარქსიზმა» № 2

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

არავითარი სიყალბე! ჩვენი ძალა სიმართლის თქმაშია!

წერილი რედაქციის მიმართ[85]

«ჩვენ არ ძალგვიძს აჯანყების გამოწვევა... ამიტომ ზედმეტია სათათბიროსთან მისი დაკავშირება... აგიტაციის ლოზუნგია დამფუძნებელი კრება». ასე წერდა ბუნდი, და მას საკმაო პასუხი ვერ გასცა № 16-ში მოთავსებული სტატიის ავტორმა *.

ბუნდის ეს სიტყვები ჩინებულად ასახავს ფ ი ლ ი ს ტ ე რ ო ბ ა ს სოციალ-დემოკრატიაში, ფილისტერობას უგვანობის, მყუდროობის, უფერულობის, ზოგადი ადგილების, უნიჭობის აზრით (რაც ყოველთვის ახასიათებდა ბუნდს, რომელიც, როგორც ცნობილია, იდეური პარაზიტის როლს ასრულებდა 1897—1900 წლებშიც, 1901—1903 წლებშიც, 1904 წელსაც, და ახლაც, 1905 წელს).

ესაა გაცვეთილი შეხედულება, ჩვეულებრივი თვალსაზრისი, «საღი აზრი» («საღი აზრის გამარჯვება» **«ოსვობოჟდენიეში»** და «თვალის ახელა»).

ეს უდიდესი ს ი ყ ა ლ ბ ე ა, რომლის მხილებას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთის რევოლუციისათვის — და შეგნებული პროლეტარიატისთვის, როგორც ძ ლ ე ვ ა მ ო ს ი ლ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ე რ თ ა დ ე რ თ ი შესაძლებელი ავტორისთვის.

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 297 — 304. რ ე დ.

ჩვენ არ ძალგვიძს აჯანყების გამოწვევა, ამიტომ არ უნდა დავუკავშიროთ, ამიტომ ლოზუნგია არა შეიარაღებული აჯანყება, არამედ დამფუძნებელი კრება.

ეს იგივეა, რომ ვთქვათ: ჩვენ, შიშველ-ტიტველთ და უმწეოთ, მშიერ-მწყურვალთ და გაწამებულთ, არ ძალგვიძს თავი დავალწიოთ ჭაობს, სადაც ვიღუპებით, და ავიდეთ იმ მთაზე, სადაც სინათლე და მზე, ჰაერი და ყოველგვარი ამქვეყნიური სიკეთეა. ჩვენ არა გვაქვს კიბე, ურომლისოდაც ასვლა შეუძლებელია. ჩვენ არ ძალგვიძს კიბის შოვნა. ამიტომ ჩვენი ბრძოლა ასვლისათვის არ უნდა დავუკავშიროთ კიბის შოვნის (respective * შექმნის) ლოზუნგს. ამიტომ ჩვენი ლოზუნგი უნდა იყოს: მთისკენ, მთისკენ, მთაზეა ბედნიერება და ხსნა, ჰაერი და სინათლე, გამხნევება და ძალღონის მოკრება.

რადგან არ არის კიბე, ურომლისოდ ასვლა არ შეიძლება, — ამიტომ ნუ გავიხდით ლოზუნგად კიბის შოვნას და მის დამზადებაზე მუშაობას, — ამიტომ ლოზუნგი უნდა იყოს: მოხვდით ზევით, მთაზე, მთაზეა ბედნიერება და სხვ.!

«სისუსტე მუდამ სასწაულთა რწმენაში პოვებდა ხსნასაო», — ამბობდა მარქსი! [86]

პროლეტარიატის სისუსტე თუ ბუნდელთა და ახალისკრელთა გონების სისუსტე პოულობს ახლა ხსნას სასწაულთა რწმენაში? — იმის რწმენაში, რომ უკიბოდ შეიძლება მოხვედრა მთაზე? — დამფუძნებელი კრების უაჯანყებოდ მოწვევის რწმენაში?

ეს რწმენა — გიჟთა რწმენაა. შეიარაღებული აჯანყების გარეშე დამფუძნებელი კრება ფანტომია, ფრაზა, სიცრუე, ფრანკფურტის სალაყბოა.

ოსვობოჟდენიელობის სიცრუე და სიყალბე, **ბურჟუაზიული ლოზუნგის** ამ პირველი ფართო-პოლიტიკური, მასობრივ-პოლიტიკური, სახალხო ფორმისა რუსეთში,

---

* — შესაბამისად. რედ.

სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ განამტკიცოს სასწაულთა ეს რწმენა, ეს სიცრუე. ვინაიდან ლიბერალურ ბურჟუაზიას **ესაჭიროება** თავისი სიცრუე, მისთვის ეს არის არა სიცრუე, არამედ უდიდესი სიმართლე, სიმართლე მისი კლასობრივი ინტერესების, სიმართლე ბურჟუაზიული თავისუფლებისა, ჭეშმარიტება კაპიტალისტური თანასწორობისა, წმიდათა წმიდა ჩარჩული ძმობისა.

ესაა მისი (ბურჟუაზიის) სიმართლე, რადგან მას ესაჭიროება არა ხალხის გამარჯვება, არა მთა, არამედ ჭაობი მასისათვის, და ბრბოს მხრებზე წამოჭიმვა — ბობოლებისა და ფულის ქისებისათვის, ესაჭიროება არა გამარჯვება, არამედ გარიგება, შეთანხმება მტერთან,=ღალატი მტრის სასარგებლოდ.

ბურჟუაზიისათვის ეს არის არა «სასწაული», არამედ რეალობა, რევოლუციის ღალატისა და არა რევოლუციის გამარჯვების რეალობა.

...ჩვენ არ ძალგვიძს კიბის შოვნა... ჩვენ არ ძალგვიძს აჯანყების გამოწვევა... ასეა, არა ბატონებო?

თუ ასეა, მაშინ გარდაქმენით **მთელი** თქვენი პროპაგანდა და აგიტაცია, მაშინ უთხარით მუშებსა და მთელ ხალხს ახალი, გადაკეთებული სიტყვები, ახლად აგებული, სხვა სიტყვები.

მაშინ უთხარით ხალხს: პიტერის, რიგის, ვარშავის, ოდესის, თბილისის მუშებო... ჩვენ არ ძალგვიძს აჯანყების გამოწვევა და აჯანყებაში გამარჯვების მოპოვება. ამიტომ ამაოა ფიქრი, ამაოა ფუჭი ლაყბობა საყოველთაო სახალხო დამფუძნებელ კრებაზე. ნუ შებილწავთ დიად სიტყვებს წვრილმანი ფანდით. ნუ ჰფარავთ თქვენს სისუსტეს სასწაულთა რწმენით. ყველას და თვითეულის გასაგონად იყვირეთ ამ სისუსტეზე, — აღიარება სანახევროდ გამოსწორებას უდრის. ყალბი ფრაზა, ყალბი კვეხნა — ზნეობრივი დაღუპვაა, პოლიტიკური დაღუპვის უტყუარი საწინდარია.

მუშებო! ჩვენ უძლურნი ვართ აჯანყება გამოვიწვიოთ და გამარჯვება მოვიპოვოთ აჯანყებაში! ამიტომ თავი დაანებეთ მსჯელობას საყოველთაო სახალხო დამფუძნებელ კრებაზე, ნუ გაიკარებთ მატყუარებს, რომლებიც ამაზე ლაყბობენ, ამხილეთ ოსვობოჟდენიელების, «საერობო მოღვაწეთა», კადეტთა და სხვა სიბილწეთა გამცემლობა, ვინაიდან მათ მხოლოდ **სიტყვიერად** სურთ საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრება, ნამდვილად კი მათ სურთ ანტიხალხური დამფუძნებელი კრება, რომელიც ახალს კი არ დაამყარებს, არამედ ძველს შეაკეთებს, ახალ ტანსაცმელს, ახალ ცხოვრებას, ახალ იარაღს კი არ მოგცემთ ახალი დიადი ბრძოლისათვის, არამედ მხოლოდ ზიზილ-პიპილებს თქვენს ძველ ძონძებზე, მხოლოდ მირაქს და ტყუილს, სათამაშოს იარაღის ნაცვლად, ბორკილს თოფის ნაცვლად.

მუშებო! ჩვენ სუსტნი ვართ საიმისოდ, რომ აჯანყება მოვახდინოთ. ამიტომ ნუ ლაპარაკობთ და ნურც ოსვობოჟდენიელობის მეძავებს, კადეტებსა და სათათბიროს წევრებს მისცემთ ნებას **რევოლუციაზე** ილაპარაკონ, ნუ მისცემთ ნებას ამ ბურჟუაზიულ არამზადებს თავიანთი ენამრუშობით წაბილწონ ეს დიადი სახალხო ცნება.

ჩვენ სუსტნი ვართ? მაშასადამე, ჩვენში არ არის და არც შეიძლება იყოს რევოლუცია. ეს ხალხის რევოლუცია კი არ არის, ეს ხალხის მოტყუებაა პეტრუნკევიჩებისა და მეფის ლიბერალურ ლაქიათა ხროვის მიერ. ეს თავისუფლებისათვის ბრძოლა კი არ არის, ეს ხალხის თავისუფლების გაყიდვაა ოსვობოჟდენიელების სავარძლებისთვის. ეს ახალი ცხოვრების დასაწყისი კი არ არის, არამედ ძველებური სულის ამოხდის, კატორღის, ძველი დროის ბოგინობისა და ლპობის განმტკიცებაა.

ჩვენ არ ძალგვიძს აჯანყების გამოწვევა, ამხანაგო მუშებო! ჩვენ არ ძალგვიძს ავამხედროთ ხალხი რევოლუციისათ-

ვის! ჩვენ არ ძალგვიძს თავისუფლება მოვიპოვოთ... ჩვენ შეგვიძლია მტრის მხოლოდ შეჯანჯღარება და არა მისი წაქცევა, შეჯანჯღარება ისე, რომ მის ვვერდით პეტრუნკევიჩი დაჯდეს. მაშ შორს ყოველგვარი ლაყბობა რევოლუციაზე, თავისუფლებაზე, სახალხო წარმომადგენლობაზე, — ვინც ასეთ რამეებს ლაპარაკობს და კიბის საშოვნელად ს ა ქ მ ი თ ა რ ა ფ ე რ ს ა კ ე თ ე ბ ს, ვინც აჯანყებას არ ამზადებს, რათა ისინი მოიპოვოს, ის მატყუარა და ქარაფშუტაა, ის თქვენ გატყუებთ.

ჩვენ სუსტნი ვართ, ამხანაგო მუშებო! ჩვენს მხარეზეა მხოლოდ პროლეტარიატი და მრავალი მილიონი გლეხი, რომლებმაც უკვე დაიწყეს ბრძოლა დაქსაქსულად, შეუგნებლად, შეუიარაღებლად, ბრმად.

ჩვენს წინააღმდეგაა კარისკაცთა მთელი ხროვა, ჯარისკაცის ფარაჯაში გამოწყობილი ყველა მუშა და გლეხი და*

მორჩა და გათავდა. ჩვენ სუსტნი ვართ. სისუსტე ხსნას პოულობს სასწაულთა რწმენაში. ეს ფაქტია — ბუნდის სიტყვებიდან, «ისკრის» გეგმიდან ამოღებული.

მაგრამ რა არის ფაქტი, ბატონებო? მთელი რუსეთის პროლეტარიატის ძალების სისუსტე თუ ბუნდელთა და ახალისკრელთა გონების სისუსტე??

სთქვით სიმართლე:

1) არ არის რევოლუცია. არის ლიბერალური ბურჟუაზიის მორიგება მეფესთან...

2) არ არის ბრძოლა თავისუფლებისათვის. არის ხალხის თავისუფლების გაყიდვა.

3) არ არის ბრძოლა სახალხო წარმომადგენლობისათვის. არის ფ უ ლ ი ს ქ ი ს ი ს წარმომადგენლობა.

ჩვენ სუსტნი ვართ... აქედან გარდუვალად გამომდინარეობს მთელი გამცემლობა **რევოლუციის** მიმართ.

---

* ხელნაწერში ფრაზა დაუმთავრებელია. რ ე დ.

თუ თქვენ გსურთ რევოლუცია, თავისუფლება, სახალხო წარმომადგენლობა... **ძლიერნი უნდა იყოთ.**

თქვენ სუსტნი ხართ?

რევოლუცია ძლიერთა ხვედრია!

ჩვენ ძონძებში ყოფნა გვიწერია.

თქვენ სუსტნი ხართ?

თავისუფლება მხოლოდ ძლიერთა ხვედრია.

სუსტნი მუდამ მონები იქნებიან. მთელი ისტორიის გამოცდილება.

თქვეხ სუსტნი ხართ?

თქვენი წარმომადგენლობა იქნება თქვენს მონათმფლობელთა, ექსპლოატატორთა მეშვეობით.

«წარმომადგენლობა» ან ძლიერის მონაპოვარია, ან ფარატინა ქაღალდია, მოტყუებაა, **სუსტის თვალის ახვევაა, რათა გამოაუეუჩოს იგი...**

ბოლოდან

ω) ვინაა სუსტი? პროლეტარიატის ძალები თუ ისკრელთა და ბუნდელთა თავები?

γ) რევოლუცია გსურთ? ძლიერნი **უ ნ დ ა ი ყ ო თ!**

ξ) ჩვენ **სიმართლე** უნდა ვთქვათ: ამაშია **ჩვენი** ძალა, ხოლო მ ა ს ა, **ხალხი** გადაწყვეტს საქმით, ბრძოლის შემდეგ, არის თუ არა ძალა.

არის ძალა?

თუ ჩვენ ვართ სუსტნი.

ω) ვინაა სუსტი.

დაწერილია 1905 წ. სექტემბერს
პირველად დაიბეჭდა 1926 წ.
ლენინის კრებულში V

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ეგრეთწოდებული სომეხთა სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციის შესახებ

ჩვენ მივიღეთ ცენტრალური კომიტეტის წერილი, რომელიც გვატყობინებს, რომ «სომეხთა სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციას» სურვილი გამოუთქვამს ხელი მოაწეროს რეზოლუციას, რომელიც მიღებულია ყველა სოციალ-დემოკრატიული პარტიის კონფერენციაზე [87]. მაგრამ ც. კ. არ თანხმდება ამ ხელმოწერის მიღებაზე, რადგან ის წინააღმდეგი იყო კონფერენციაში ამ ორგანიზაციის მონაწილეობისა, რომელიც წმინდა საზღვარგარეთულ ორგანიზაციას წარმოადგენს და სერიოზული გავლენა არა აქვს რუსეთში. ჩვენ იმედი გვაქვს მოკლე ხანში მოვათავსოთ «პროლეტარში» უფრო ვრცელი ცნობები ამ ორგანიზაციის ნამდვილ ხასიათზე. ჯერჯერობით კი აღვნიშნავთ, რომ ყველამ, ვისაც სურს დახმარება აღმოუჩინოს ნამდვილ სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას სომეხ მუშებს შორის კავკასიაში, საქმე უნდა იქონიოს მხოლოდ რსდმპ კავკასიის ორგანიზაციებთან, რომლებიც სომხურ ლიტერატურას სცემენ კავკასიაში და არა ევროპაში.

დაწერილია 1905 წ.
სექტემბერ — ოქტომბერში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის კრებულში XVI

საერობო ყრილობა

ორშაბათს, 12 (25) სექტემბერს მოსკოვში გაიხსნა ერობათა და ქალაქთა მოღვაწეების ყრილობა, რომელმაც განიხილა და საბოლოოდ გადასწყვიტა სათათბიროსადმი დამოკიდებულების საკითხი. ეს ყრილობა, ისე როგორც წინა საერობო ყრილობები, მომასწავებელია ახალი ნაბიჯის გადადგმისა რუსეთის ბურჟუაზიის პოლიტიკური განვითარებისა და პოლიტიკური ორგანიზაციის გზაზე. ამიტომ ყოველი შეგნებული მუშა ყურადღებით უნდა მოეკიდოს ამ ბურჟუაზიული კონსტიტუციური პარტიის წარმოშობას. პროლეტარიატის, როგორც კლასის, პოლიტიკური განვითარება ყოველთვის და ყველგან ხელიხელჩაკიდებული მიჰყვებოდა ბურჟუაზიის, როგორც კლასის, პოლიტიკურ განვითარებას.

მაგრამ ამ საერთო მნიშვნელობის გარდა საერობო ყრილობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სახელმწიფო სათათბიროსადმი ჩვენი დამოკიდებულების მეტისმეტად საჭირბოროტო საკითხში. ბურჟუაზიის შეთანხმება ცარიზმთან თუ ბურჟუაზიის უფრო გაბედული ბრძოლა ცარიზმთან? — აი დედაარსი ამ საკითხისა, რომელიც, როგორც ვიცით, უთანხმოებას იწვევს სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკაშიც.

უწინარეს ყოვლისა უნდა მოგაგონოთ, რომ თავიანთ წინა ყრილობაზე ერობის მოღვაწეებმა გადაჭრით დაგმეს ბულიგინის სათათბირო და მიიღეს კონსტიტუციის ცნობილი ოსვობოჟდენიელური პროექტი (მონარქია და ორპალატიანი სისტემა). სათათბიროს ბოიკოტის საკითხი უმრავლესობამ

ჯერ დადებითად გადაწყვიტა, მაგრამ შემდეგ ხელახლა განიხილა და გადადო შემდგომ ყრილობამდე, რომელიც მოწვეული უნდა ყოფილიყო დაუყოვნებლივ, როგორც კი გამოქვეყნდებოდა კანონი სახელმწიფო სათათბიროს შესახებ, — დეპეშით მოწვევაზედაც კი ლაპარაკობდნენ. ნამდვილად კი ყრილობა არც ისე მალე მოუწვევიათ. ჯერ, როგორც «პროლეტარის» მე-14 ნომერში აღვნიშნეთ, ხმა გავრცელდა — ერობის მოღვაწეებმა უარი თქვეს მის მოწვევაზეო. შემდეგ ცნობილი გახდა დურნოვოსთან ბ-ნ გოლოვინის მოლაპარაკება, აწერილი და შეფასებული ჩვენ მიერ «პროლეტარის» წინა ნომერში *, რაც იმით დამთავრდა, რომ პოლიციამ ნება დართო ყრილობის მოწვევისა. ამრიგად, ყრილობა შესდგა სრულიად სხვა საფუძველზე, ვიდრე წინა ყრილობა: მაშინ პოლიციამ აკრძალა იგი, გარეკვას იმუქრებოდა, ოქმი შეადგინა, ყრილობის შემდეგ სენატის გამოძიება დანიშნა. ახლა ერობის მოღვაწენი და პოლიცია წინასწარ მორიგდნენ და შეთანხმდნენ.

რათა მკითხველს უფრო თვალსაჩინოდ დავანახოთ მაშინდელისა და ახლანდელის ამ განსხვავების მთელი მნიშვნელობა, მოვაგონებთ «ოსვობოჟდენიეს» უკანასკნელი ნომრის განცხადებებს. ბ-ნი «ინდეპენდენტი» (— «დამოუკიდებელი», ალბათ, პოლიციისაგან დამოუკიდებელი?) 76-ე ნომერში, იმავე ნომრის მოწინავე სტატიის ავტორთან სრული თანხმობით, შემდეგს წერდა: «რაიმე კომპრომისზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია. წინანდებურად გვიხდება თავისუფლების მოპოვება და არა გამოთხოვა... ერთი წუთითაც არ უნდა ვთქვათ უარი, და ამას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს — არც ბრძოლის წინანდელ ხერხებზე და არც უკვე დაპყრობილ პოზიციებზე. თუ აქაც არსებობს კომპრომისების შესაძლებლობა, ის ერთბაშად და გადაჭრით უნდა უკუვაგდოთ. ყველაფერი, რაც დღემდე გამათავისუფლებელ ძალთა ორგანიზაციი-

* იხ. ეს ტომი, გვ. 308 — 319 რედ.

სათვის კეთდებოდა, კვლავაც უნდა გაკეთდეს... ყრილობების, კავშირების, კრებების საქმიანობა იმავე წესით და იმავე მიმართულებით უნდა გაგრძელდეს, როგორც წინათ».

უფრო ნათლად თქმა შეუძლებელია. საერობო ანუ «კონსტიტუციურ-დემოკრატიული» პარტიის ორგანო 6 აგვისტოს შემდეგ გადაჭრით და აუცილებლად წინააღმდეგია უარი თქვას ბრძოლის წინანდელ ხერხებზე. მაგრამ ლიბერალური ბურჟუაზიის ყალბი პოზიციის არსი სწორედ ისაა, რომ თავისუფლების სურვილთან ერთად მას არა ნაკლებ მხურვალე სურვილი აქვს მოურიგდეს ცარიზმს. ამიტომ სიტყვიერად ერთი გამოდის, საქმით — მეორე. «ბრძოლის წინანდელ ხერხებზე რომ უარი არა სთქვა», საჭიროა ბოიკოტი გამოუცხადო სათათბიროს. როცა ბოიკოტზე უარს ამბობ, ლოგიკურად გიხდება უარი სთქვა ზოგიერთ «ბრძოლის წინანდელ ხერხზე». «ოსვობოჟდენიემ» კომპრომისების განადგურება სწორედ მაშინ დაიწყო, როცა გოლოვინმა კომპრომისი დასდო დურნოვოსთან. «ოსვობოჟდენიემ» სწორედ მაშინ დაიყვირა: «ერთი წუთითაც უარი არა ვთქვათ», როცა საერობო ყრილობამ უარი თქვა თავის სხდომათა წინანდებურ თავისუფლებაზე. სათათბიროს, თავისუფლების ვითომ ამ დასაწყისის, «ბოძების» გამო ერობის მოღვაწენი დათანხმდნენ ნაკლებ თავისუფლად ეთათბირათ.

მართლაც: 1) ყრილობის პროგრამა ბ-მა დურნოვომ, ე. ი. პოლიციამ, შეკვეცა; 2) თავმჯდომარემ პირობა დასდო დაეხურა ყრილობა, თუ ისეთი საკითხების განხილვა დაიწყებოდა, რომელნიც შეტანილი არ იყო პოლიციის მიერ ნებადართულ პროგრამაში, 3) ყრილობა დათანხმდა მის სხდომებს დასწრებოდა პოლიციელი — დურნოვოს დელეგატი (კანცელარიის მმართველი), რომელსაც რწმუნება ჰქონდა მიცემული დაეხურა ყრილობა, თუ დარღვეული იქნებოდა ბ-ნ გოლოვინსა და ბ-ნ დურნოვოს შორის დადებული «პირობები»; 4) პოლიციამ ყრილობას აუკრძალა, აგრეთვე დახურვის მუქარით, «მეამბოხური წამოძახილები» (დეპეშა კონსერვატი-

ული გაზეთის «Temps»-ის * სპეციალური კორესპონდენტისა, რომელიც დასძენს, ყველა ეს პირობა პირნათლად იყო შესრულებული).

თავისთავად ცხადია, რადგან ჩვენი ცნობები ამოღებულია უცხოეთის გაზეთებიდან, ჩვენ პასუხს არ ვაგებთ ამ ცნობების უსათუოდ სწორი და ამომწურავი ხასიათისათვის. მაგრამ ეჭვის შეტანა იმაში, რომ ეს ცნობები საერთოდ და მთლიანად სწორია, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. პირიქით, ბ-ნი გოლოვინი (რომელსაც, რა თქმა უნდა, განზრახული არ ჰქონდა დურნოვოსთან თავისი მოლაპარაკების გამოქვეყნება!), ალბათ, პოლიციას უფრო მეტ რამეს შეჰპირდა ერობის მოღვაწეთა ერთგულქვეშევრდომული მოქმედების მხრივ!

უდავო ფაქტია. «ოსვობოჟდენიეს» სიტყვები ძირფესვიანად განსხვავდება ოსვობოჟდენიელების საქმეებისაგან. «ოსვობოჟდენიელი» მწერლები ლამაზად ლაპარაკობენ პოლიციის წინააღმდეგ, საქმოსნები კი პოლიციასთან შეთანხმებით საქმეებს აჭახრაკებენ. სათათბიროს არჩევნების საერობო კამპანიის დასაწყისი დაემთხვა თვითმპყრობელობასთან საერობო ბურჟუაზიის შეთანხმების დასაწყისს.

უცხოელი კორესპონდენტები ერთხმად აღნიშნავენ ერობის მოღვაწეთა ამ ყრილობის მშვიდობიან ხასიათს წინა ყრილობასთან შედარებით. სათათბიროს ბოიკოტს ემხრობოდა მხოლოდ ერთი, სხვა ცნობებით — ორი ორატორი. უმრავლესობა მონაწილეობას უჭერდა მხარს (ჩვენ უკვე «პროლეტარის»** მე-12 ნომერში, ჯერ კიდევ სანამ გამოვიდოდა კანონი სათათბიროს შესახებ, ვამბობდით, რომ საერობო მოღვაწეთა მემარჯვენე ფრთის აზრი ამ საკითხზე უკვე გარკვეულია). უმრავლესობა იმ აზრს ადგა, რომ არჩევნებში მონაწილეობის მიუღებლობა «სიმხდალის ნიშანი» იქნებო-

* — «დროება». რედ.

** იხ. ეს. ტომი, გვ. 212 — 222. რედ.

დაო, — ამ შეხედულებას, როგორც ვიცით, სავსებით იზიარებდნენ პარვუსი და ახალი «ისკრა». პოლიციასთან შეთანხმებაში გამოვლინდა, პირიქით, ჩვენი ერობელების გ ა ბ ე დ უ ლ ე ბ ა...

ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც სათათბიროს გაკიცხვის ნაცვლად ლაპარაკია მხოლოდ იმაზე (არ ვიცით კი, გაუბედავად თუ გაბედულად?), რომ «სათათბირო არ არის სახალხო წარმომადგენლობა ამ სიტყვის ზუსტი აზრითაო». რუს მოქალაქეებს მოუწოდებს გაერთიანდნენ საერობო ყრილობების მიერ წინათ მიღებული პროგრამების საფუძველზე და იბრძოლონ სათათბიროს ნიადაგზე. ბრძოლაზე სათათბიროს გარეთ და სათათბიროს გვერდის აქცევით რეზოლუციაში ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი: ეს ნიშნავს «ერთი წუთითაც არა ვთქვათ უარი ბრძოლის წინანდელ ხერხებზე», როგორც ამბობს პოლიციისაგან «დამოუკიდებელი» ოსვობოჟდენიელი...

ერობის მოღვაწეებმა დაიცხრეს თავიანთი უადგილო «რევოლუციური» აღტყინება და დააწვნენ «დადებითს» მუშაობას სათათბიროს გამო. მათ შეიმუშავეს ვრცელი პოლიტიკური პროგრამა (მისი სრული ტექსტი ჯერ კიდევ არა გვაქვს); ისინი ცდილობდნენ დემოკრატიიდან გადახვევა დაეფარათ ზომიერი კონსტიტუციონალიზმის ძირითადი მუხლების განმეორებით; ისინი დაწვრილებით ამუშავებდნენ საარჩევნო კამპანიის, ადგილობრივ და ცენტრალურ საარჩევნო კომიტეტთა მოწყობის, კანდიდატთა სიების შედგენის და სხვა საკითხებს.

ნუთუ ამის შემდეგ კიდევ არ არის ცხადი, საით იხრება ერობის მოღვაწეთა და ოსვობოჟდენიელების მემამულური და ვაჭრული ლიბერალიზმი?

ერთიმეორის მიყოლებით დემოკრატიის საბრძოლო მოთხოვნების, ყოველივე იმის წამოყენება, რაც უზრუნველყოფს რევოლუციური ხალხის უფლებებს, რაც ავითარებს და აფართოებს თავისუფლებისათვის ბრძოლას (არ ილაპარა-

კო რეზოლუციაში ბრძოლაზე სათათბიროს გვერდის აქცევით და სხვ.)! დემოკრატიის ყველა იმ მოთხოვნის განმტკიცება, რომლებიც უზრუნველყოფენ მარტოოდენ ბურჟუაზიის ძალაუფლებას (ადგილები სათათბიროში უწინარეს ყოვლისა)! ნაკლები აგიტაცია ხალხში, მეტი საქმიანობა სათათბიროში!

რა მოსწრებულად თქვა «ლიბერალმა», თვითმპყრობელობის გუშინდელმა თაყვანისმცემელმა, ვილიამ სტედმა (იხ. მისი წერილი 26 სექტემბრის «Times»-ში *), რომ საგარეო ზავმა მოითხოვა საშინაო ზავი, ზავი მეფესა და ლიბერალურ ბურჟუაზიას შორის, რაც აღიარებული იყო 6 აგვისტოს კანონით! თავიანთი მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ერობის მოღვაწენი ამტკიცებენ, რომ ისინი ზ ა ვ ი ს მ ო მ ხ რ ე ა რ ი ა ნ, თუმცა, რა თქმა უნდა, ერთბაშად და ყველაფერში როდი დასდებენ ზავსაო. «ბ-ნ მიხეილ სტახოვიჩს, შიპოვის მეგობარსა და თანამშრომელს, — წერდა «Temps»-ის კორესპონდენტი 27 სექტემბერს, — იმედი აქვს ცენტრის პარტიის შექმხისა, რომელიც მხარს დაუჭერს თვითმპყრობელობას და სათათბიროს; ის ამტკიცებს, რომ უკიდურეს პარტიათა მრავალი წევრი (!! რა უნამუსობაა ოსვობოჟდენიელების მიმართ! «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ს» რ ე დ ა ქ ც ი ა) მზად არის მიემხროს ამ პარტიას». ბ-ნ სტახოვიჩის მტკიცებას ადასტურებს არა მარტო მრავალი ლეგალური გაზეთის სიტყვები, არამედ კიდევ უფრო მეტად ბატონ ერობის მოღვაწეთა ს ა ქ მ ე ე ბ ი. ბ-ნი მ. სტახოვიჩი ესწრებოდა ყრილობას — იტყობინება «Times»-ის კორესპონდენტი 26 სექტემბერს. «მას მტკიცედ სწამს ზომიერი ელემენტების გამარჯვება; მართლაც, ის გარემოება, რომ თ ი თ ქ მ ი ს ს რ უ ლ ი ა დ ვ ე რ ვ ხ ე დ ა ვ თ ჩვეულებრივ ცხარე თავდასხმებს (fiery denunciations) მთავრობაზე, გარდა კავკასიის საშინელებათა შემთხვევით (!!) დამოწმებისა, თითქმის ადასტურებს (rather confirms) მის წი-

* — «დროება». რ ე დ.

ნასწარმეტყველებებს» (forecast). «ყრილობის განწყობილება, — დეპეშით იტყობინება ინგლისური კონსერვატიული გაზეთის იგივე კორესპონდენტი — იმ განწყობილების გასაოცარ კონტრასტს წარმოადგენს, რომელიც ივლისის ყრილობაზე იყო გაბატონებული, როცა დელეგატთა დიდი რაოდენობა სათათბიროს ბოიკოტს ემხრობოდა».

ნუთუ «ისკრა» ახლაც არ აიღებს ხელს თავის შემცდარ შეხედულებაზე, თითქოს ბოიკოტის მომხრეებს სურდათ პასიურად ჩამოშორება, ხოლო მონაწილეობის მომხრე სტახოვიჩებს სერიოზული ბრძოლა სურთ? ნუთუ იგი პარვუსთან ერთად ახლაც მომხრე იქნება ოსვობოჟდენიელებთან შეთანხმებისა და მათთვის მხარისდაჭერისა მას შემდეგ, რაც მათ აშკარად დაიწყეს შეთანხმება ბატონ დურნოვოებთან?

P. S. * სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ სულ ახალ-ახალი ცნობები მოდის იმის შესახებ, რომ რუსი ახალისკრელები ახალ «ისკრას» არ ეთანხმებიან. ჩვენ ეს-ეს არის მივიღეთ ს.-პეტერბურგის ჯგუფის (მენშევიკურის) ფურცელი: «სახელმწიფო სათათბირო და დამფუძნებელი კრება». აქ სათათბიროს კრიტიკასთან ერთად ჩვენ ვხვდებით ლოზუნგს: «ძირს სათათბირო!». მუშების წარმომადგენლებს მოუწოდებენ უთხრან ლიბერალებს, «რომ მათ არ უნდა სცნონ სახელმწიფო სათათბირო», «რომ ისინი ვალდებული არიან უარი განაცხადონ სათათბიროში (გაურკვევლადაა დაბეჭდილი ფურცელში) არჩევის თავიანთ უფლებაზე», რომ ისინი უნდა დაეხმარონ მუშებს «შეიარაღდნენ შავ რაზმთან და სახელმწიფო სათათბიროსთან საბრძოლველად». ამრიგად, პეტერბურგის მენშევიკებმა აქტიური ბოიკოტის ლოზუნგი მიიღეს. როგორც «საერობო კამპანიის გეგმის» ცნობილ შემთხვევაშიც, «ისკრა» არ ეთანხმება თავის რუსეთელ მომხრეებს. პეტერბურგელი მენშევიკები მხოლოდ ერთი მხრივ უახლოვდე-

* — Postscriptum — მინაწერი. რ ე დ.

ბიან «ისკრას»: ისინი მოუწოდებენ მუშებს დაუყოვნებლივ აირჩიონ «წარმომადგენლები ფაბრიკებში, სახელოსნოებში, საამქროებში, როგორც ირჩევდნენ შიდლოვსკის კომისიაში[88]»... «დაე ჩვენმა წარმომადგენლებმა თავი შეიყარონ ერთად და დაიწყონ ბრძოლა სახელმწიფო სათათბიროს წინააღმდეგ ისევე, როგორც ჩვენი წარმომადგენლები შიდლოვსკის კომისიაში ებრძოდნენ თვითმპყრობელობის ამ თვალთმაქცურ მახეს». ეს ლოზუნგი ძალიან წააგავს «ისკრის» ლოზუნგს: «რევოლუციური თვითმმართველობა», თუმცა ს.-პეტერბურგის ჯგუფის ამხანაგები არ ხმარობენ, რა თქმა უნდა, ამ უადგილო მაღალფარდოვან სიტყვას. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ პეტერბურგელი მუშები შეიგნებენ ამ ლოზუნგის უმართებულობას და შიდლოვსკის კომისიასთან პარალელის გაყვანის უსწორობას. მაშინ მუშები ბოიკოტს უცხადებდნენ კომისიას, ახლა კი სათათბირო მუშებს უცხადებს ბოიკოტს.

რევოლუციური თვითმმართველობა, როცა ძალაუფლება მეფის ხელში რჩება, შეიძლება იყოს რევოლუციის მხოლოდ ერთ-ერთი ნამცეცი (სმოლენსკის საქალაქო საბჭოს გადაწყვეტილება და სხვ.). აქედან რევოლუციური პროლეტარიატის მთავარი ლოზუნგის გამოყვანა ნიშნავს არევ-დარევის შეტანას და ოსვობოჟდენიელებისთვის სამსახურის გაწევას. როცა ჩვენ პროლეტარიატისა და გლეხობის რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ძალების ორგანიზაციას ვავითარებთ, ვაფართოებთ, განვამტკიცებთ და ვავრცელებთ, ომის ეს ორგანიზაცია, აჯანყების ორგანიზაცია არ უნდა ავურიოთ თ ვ ი თ მ მ ა რ თ ვ ე ლ ობ ა ს თ ა ნ. როგორც თავისი დანიშნულებით, ისე წარმოშობის წესითა და ხასიათით შეიარაღებული აჯანყების ორგანიზაცია, რევოლუციური არმიის ორგანიზაცია ს რ უ ლ ი ა დ ა რ ა ჰ გ ა ვ ს რევოლუციური თვითმმართველობის ორგანიზაციას. რაც უფრო მეტი გულმოდგინებით ცდილობენ ლიბერალური ბურჟუები, ოსვობოჟდენიელები, შეკვეცონ, დააჩლუნგონ, დააკნინონ თანამიმდევარი რევოლუციურ-დემოკრატიული ლოზუნგები, მით უფრო მკაფიოდ და

აშკარად უნდა წამოვაყენოთ ეს ლოზუნგები: საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრების მოწვევა დროებითი რევოლუციური მთავრობის მიერ, შეიარაღებული აჯანყებისა და რევოლუციური არმიის ორგანიზაცია მეფის ძალაუფლების დასამხობად.

«პროლეტარი» № 19,
1905 წ. 3 ოქტომბერი (20 სექტემბერი)

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

სოციალიზმი და გლეხობა

რუსეთის დღევანდელი რევოლუცია საყოველთაო სახალხო რევოლუციაა. მთელი ხალხის ინტერესები შეურიგებლად ეწინააღმდეგება ერთ მუჭა პირთა ინტერესებს, რომლებიც თვითმპყრობელურ მთავრობას შეადგენენ და მხარს უჭერენ მას. სასაქონლო მეურნეობის საფუძველზე აგებული თანამედროვე საზოგადოების თვით არსებობა, მოსახლეობის სხვადასხვა კლასისა და ჯგუფის ინტერესთა უდიდესი განსხვავებისა და წინააღმდეგობის დროს, მოითხოვს თვითმპყრობელობის მოსპობას, პოლიტიკურ თავისუფლებას, სახელმწიფო მოწყობისა და მართვა-გამგეობის საქმეში გაბატონებული კლასების ინტერესთა აშკარად და უშუალოდ გამოხატვას. დემოკრატიულ გადატრიალებას, თავისი საზოგადოებრივ-ეკონომიური დედაარსით ბურჟუაზიულს, არ შეუძლია არ გამოხატოს მთელი ბურჟუაზიული საზოგადოების საჭიროებანი.

მაგრამ თვით ეს საზოგადოება, რომელიც დღეს ერთიანი და მთლიანი მოჩანს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში, სამუდამოდ გათიშულია კაპიტალსა და შრომას შორის არსებული უფსკრულით. თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აჯანყებული ხალხი, — ერთიანი ხალხი როდია. მესაკუთრენი და დაქირავებული მუშები, მდიდრების უმნიშვნელო რაოდენობა («ზედაფენის ათი ათასი») — და ათეული მილიონობით ღარიბნი და მშრომელნი, ეს, ჭეშმარიტად, «ორი ერია», როგორც ერთმა გამჭრიახმა ინგლისელმა თქვა ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში[89]. პროლეტარიატისა და ბურ-

ჟუაზიის ბრძოლა დღის წესრიგში დგას მთელ ევროპაში. ეს ბრძოლა უკვე დიდი ხანია რუსეთსაც მოედო. თანამედროვე რუსეთში რევოლუციის შინაარსს ავსებს არა ორი მებრძოლი ძალა, არამედ ორი განსხვავებული და სხვადასხვაგვარი სოციალური ომი: ერთი წარმოებს თანამედროვე თვითმპყრობელურ-ბატონყმური წყობილების წიაღში, მეორე — იმ მომავალი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წყობილების წიაღში, რომელიც ჩვენს თვალწინ იბადება. ერთია საყოველთაო სახალხო ბრძოლა თავისუფლებისათვის (ბურჟუაზიული საზოგადოების თავისუფლებისათვის), დემოკრატიისათვის, ე. ი. ხალხის თვითმპყრობელობისათვის, მეორე — პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიასთან საზოგადოების სოციალისტურად მოწყობისათვის.

ამრიგად, სოციალისტებს ეკისრებათ მძიმე და ძნელი ამოცანა — ერთ და იმავე დროს აწარმოონ ორი ომი, სრულიად სხვადასხვაგვარი როგორც თავისი ხასიათით, ისე თავისი მიზნებითა და იმ სოციალურ ძალთა შემადგენლობით, რომლებსაც უნარი შესწევთ გადამწყვეტი მონაწილეობა მიიღონ ამა თუ იმ ომში. ეს ძნელი ამოცანა სოციალ-დემოკრატიამ ნათლად დააყენა და მტკიცედ გადაწყვიტა იმის წყალობით, რომ მან მთელ თავის პროგრამას საფუძვლად დაუდო მეცნიერული სოციალიზმი, ე. ი. მარქსიზმი, იმის წყალობით, რომ იგი ერთ-ერთ რაზმად შევიდა მსოფლიო სოციალ-დემოკრატიის არმიაში, სოციალ-დემოკრატიისა, რომელმაც ევროპის სულ სხვადასხვაგვარი ქვეყნების მთელ რიგ დემოკრატიულ და სოციალისტურ მოძრაობათა გამოცდილებაზე დამყარებით შეამოწმა, დაადასტურა, განმარტა და უფრო დეტალურად განავითარა მარქსიზმის დებულებები.

რევოლუციური სოციალ-დემოკრატია დიდი ხანია ცხადყოფდა და ცხადყოფს რუსეთის დემოკრატიზმის ბურჟუაზიულ ხასიათს, დაწყებული ამ დემოკრატიზმის ლიბერალურ-ნაროდნიკული და გათავებული «ოსვობოჟდენიელური» ფორმულირებით. იგი მუდამ ააშკარავებდა ბურჟუაზიული დემო-

Социализм и христианство

[illegible]

[illegible]

[illegible]

კრატიზმის აუცილებელ ორჭოფობას, შეზღუდულობასა და ვიწროობას. დემოკრატიული რევოლუციის ეპოქაში მან სოციალისტური პროლეტარიატის წინაშე დააყენა ამოცანა: მიიმხროს გლეხობის მასა, გააქარწყლოს ბურჟუაზიის მერყეობა, წელში გასტეხოს და გასრისოს თვითმპყრობელობა. დემოკრატიული რევოლუციის გადამწყვეტი გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის სახით. მაგრამ რაც უფრო მალე და სრულად განხორციელდება ეს გამარჯვება, მით უფრო მალე და ღრმად გაიშლება ახალი წინააღმდეგობანი და ახალი კლასობრივი ბრძოლა სავსებით დემოკრატიზებული ბურჟუაზიული წყობილების ასპარეზზე. რაც უფრო მთლიანად განვახორციელებთ დემოკრატიულ გადატრიალებას, მით უფრო ახლო პირისპირ აღმოვჩნდებით სოციალისტური გადატრიალების ამოცანებთან, მით უფრო მკვეთრი და მწვავე იქნება პროლეტარიატის ბრძოლა თვით ბურჟუაზიული საზოგადოების საფუძვლების წინააღმდეგ.

სოციალ-დემოკრატიამ განუხრელი ბრძოლა უნდა აწარმოოს პროლეტარიატის რევოლუციურ-დემოკრატიული და სოციალისტური ამოცანების ასეთი დაყენებისაგან გადახრის წინააღმდეგ. უაზრობაა ახლანდელი რევოლუციის დემოკრატიული, ე. ი. ძირითადად ბურჟუაზიული ხასიათის უგულებელყოფა, უაზრობაა ამიტომ ისეთი ლოზუნგების წამოყენება, როგორიცაა რევოლუციური კომუნების შექმნა. უაზრო და რეაქციულია დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის მონაწილეობის, და მასთან ხელმძღვანელი მონაწილეობის ამოცანების დამცირება, ათვალწუნება თუნდაც პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის ლოზუნგისა. უაზრობაა დემოკრატიული და სოციალისტური რევოლუციის ამოცანებისა და პირობების ერთმანეთში არევა, ვინაიდან, ვიმეორებ, ეს რევოლუციები მათი მონაწილე სოციალური ძალების ხასიათითაც და შემადგენლობითაც სხვადასხვანაირია.

და აი ჩვენ განზრახული გვაქვს დაწვრილებით შევჩერდეთ ახლა სწორედ ამ უკანასკნელ შეცდომაზე. კლასობრივ წინააღმდეგობათა განუვითარებლობა ხალხში საერთოდ, და გლეხობაში განსაკუთრებით, გარდუვალი მოვლენაა დემოკრატიული რევოლუციის ეპოქაში, რომელიც პირველად ქმნის საფუძვლებს კაპიტალიზმის მართლაც ფართო განვითარებისათვის. ეკონომიკის ეს განუვითარებლობა კი იწვევს სოციალიზმის ჩამორჩენილი ფორმების ამა თუ იმ სახით განცდასა და გაცოცხლებას; ეს სოციალიზმი წვრილბურჟუაზიული სოციალიზმია, ვინაიდან აიდეალებს იმ გარდაქმნებს, რომლებიც წვრილბურჟუაზიულ ურთიერთობათა ფარგლებს ვერ სცილდება. გლეხთა მასას ვერ შეუგნია და არც შეუძლია შეიგნოს ის გარემოება, რომ უაღრესად სრული «თავისუფლება» და მთელი მიწის უაღრესად «სამართლიანი» განაწილება არათუ ვერ მოსპობს კაპიტალიზმს, არამედ, პირიქით, შექმნის პირობებს მისი განსაკუთრებით ფართო და მძლავრი განვითარებისათვის. და იმ დროს, როცა სოციალ-დემოკრატია გამოჰყოფს და იცავს ამ გლეხურ მისწრაფებათა მხოლოდ რევოლუციურ-დემოკრატიულ შინაარსს, წვრილბურჟუაზიული სოციალიზმი თეორიად აქცევს გლეხურ შეუგნებლობას, ერთმანეთში ურევს ან აერთებს ნამდვილი დემოკრატიული და ფანტაზიით წარმოსახული სოციალისტური გადატრიალების პირობებსა და ამოცანებს.

ამ ბუნდოვანი წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის ფრიად თვალსაჩინო გამოხატულებას წარმოადგენს პროგრამა, — უკეთ რომ ვთქვათ, პროგრამის პროექტი სოციალისტ-რევოლუციონერებისა, რომლებმაც მით უფრო ადრე იჩქარეს თავიანთი თავის პარტიად გამოცხადება, რაც უფრო ნაკლებ ჰქონდათ მათ განვითარებული პარტიულობის ფორმები და წანამძღვარები. მათი პროგრამის პროექტის განხილვისას (იხ. «ვპერიოდ» № 3 *) ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა გვეჩვენე-

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 8, გვ. 83 — 91. რედ.

ბინა, რომ სოციალისტ-რევოლუციონერების შეხედულებათა საფუძველს წარმოადგენს რუსეთის ძველი ნაროდნიკობა. მაგრამ რადგან რუსეთის მთელი ეკონომიური განვითარება, რუსეთის რევოლუციის მთელი მსვლელობა დღითი დღე და ყოველ საათში დაუნდობლად და შეუბრალებლად აცლის ხოლმე ნიადაგს წმინდა წყლის ნაროდნიკობის ბურჯებს, ამიტომ სოციალისტ-რევოლუციონერთა შეხედულებანი გარდუვალად ეკლექტიკური ხდება. ისინი ცდილობენ მარქსიზმის მოდური ოპორტუნისტული «კრიტიკის» საკერებლებით გაამთელონ ნაროდნიკობის გაცვეთილი ადგილები, მაგრამ ამით დაძველებული სამოსელი უფრო გამძლე როდი ხდება. საერთოდ და მთლიანად მათი პროგრამა რაღაც აბსოლუტურად უსიცოცხლო, შინაგანად წინააღმდეგურია, რაც რუსეთის სოციალიზმის ისტორიაში მხოლოდ ერთ-ერთ ეტაპს გამოხატავს ბატონყმური რუსეთიდან ბურჟუაზიული რუსეთისაკენ მიმავალ გზაზე, «ნაროდნიკობიდან მარქსიზმზე» გადასვლის გზაზე. ამ განსაზღვრას, რომელიც ტიპიურია თანამედროვე რევოლუციური აზროვნების მთელ რიგ მეტ-ნაკლებად წვრილ ნაკადულთათვის, ეფარდება პოლონეთის სოციალისტური პარტიის (პპს) აგრარული პროგრამის უახლესი პროექტიც, დაბეჭდილი «Przedswit»-ის * მე-6 — 8 ნომრებში.

პროექტის მიხედვით აგრარული პროგრამა იყოფა ორ ნაწილად. I ნაწილში გადმოცემულია ის «რეფორმები, რომელთა გატარებისათვის საზოგადოებრივი პირობები უკვე მომწიფებულია»; II ნაწილი — «აყალიბებს I ნაწილში გადმოცემული აგრარული რეფორმების დაგვირგვინებას და ინტეგრაციას». I ნაწილი, თავის მხრივ, იყოფა სამ განყოფილებად: ა) შრომის დაცვა — მოთხოვნები სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატის სასარგებლოდ; ბ) აგრარული რეფორმები (ვიწრო აზრით, ანუ, ასე ვთქვათ, გლეხთა მოთხოვნები) და გ) სოფლის მოსახლეობის დაცვა (თვითმმართველობა და სხვ.).

* — «განთიადი». რ ე დ.

ამ პროგრამაში მარქსიზმისაკენ წინგადადგმულ ნაბიჯს წარ-მოადგენს პროგრამა-მაქსიმუმიდან ერთგვარი პროგრამა-მინიმუმის გამოყოფის ცდა, — შემდეგ სრულიად დამოუკიდებ-ლად არის წამოყენებული წმინდა პროლეტარული ხასიათის მოთხოვნები, — შემდეგ, პროგრამის მოტივებში აღიარებუ-ლია ის, რაც სრულიად შეუწყნარებელია სოციალისტის-თვის — «გლეხთა მასების მესაკუთრული ინსტინქტების წახა-ლისება». კაცმა რომ თქვას, ამ უკანასკნელ დებულებაში მო-თავსებულ ჭეშმარიტებას თუ კარგად ჩაუფიქრდებოდნენ და მას თანამიმდევრად ბოლომდე განავითარებდნენ, აუცილებ-ლად მტკიცე მარქსისტული პროგრამა გამოვიდოდა. მაგრამ უბედურებაც ისაა, რომ პპს ვერ არის მტკიცე პროლეტარუ-ლი პარტია, ის თავის იდეებს ისევე სიამოვნებით იღებს მარქსიზმის ოპორტუნისტული კრიტიკის წყაროდან. «მიწის საკუთრების კონცენტრაციისადმი დაუმტკიცებელი ტენდენ-ციის გამო — ვკითხულობთ პროგრამის მოტივებში — წარმო-უდგენელია მეურნეობის ამ ფორმის დასაცავად სრული გულწრფელობითა და რწმენით გამოსვლა და გლეხის და-რწმუნება წვრილ მეურნეობათა გაქრობის აუცილებლობაში».

ეს არის ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის გამოძახი-ლი და სხვა არაფერი. ბურჟუაზიული ეკონომისტები მთელი ძალღონით ცდილობენ ჩაუნერგონ წვრილ გლეხს კაპიტა-ლიზმისა და წვრილი მესაკუთრე-მიწათმოქმედის კეთილ-დღეობის ერთმანეთთან შეთავსების იდეა. ამიტომ ისინი სა-საქონლო მეურნეობის, კაპიტალის უღლის, წვრილი გლეხუ-რი მეურნეობის დაქვეითებისა და დაკნინების საერთო საკითხს ჩრდილავენ მიწის საკუთრების კონცენტრაციის კერძო სა-კითხით. ისინი თვალს ხუჭავენ იმაზე, რომ მსხვილი წარმოე-ბა მიწათმოქმედების სპეციალურ სავაჭრო დარგებში ვითარ-დება როგორც წვრილ, ისე საშუალო მიწის საკუთრების სა-ფუძველზე, რომ ეს საკუთრება იშლება როგორც იჯარის ზრდის გამო, ისე ჰიპოთეკების სიმძიმით და მევახშეობის ზე-გავლენით. ისინი აფუჩეჩებენ მიწათმოქმედებაში მსხვილი მე-

ურნეობის ტექნიკური უპირატესობის უდავო ფაქტს და კაპიტალიზმთან ბრძოლაში გლეხის ცხოვრების პირობების დაქვეითებას. პპს მხოლოდ იმეორებს ამ ბურჟუაზიულ ცრურწმენებს, რომლებსაც თანამედროვე დავიდები აცოცხლებენ [90].

თეორიულ შეხედულებათა მერყეობა პროგრამის პრაქტიკულ ნაწილსაც ეტყობა. აიღეთ ნაწილი I — აგრარული რეფორმები ვიწრო აზრით. ერთი მხრივ, თქვენ წაიკითხავთ მუხლს 5) «ყოველგვარ შეზღუდვათა გაუქმება სანადელო მიწების ყიდვისას და 6) შარვარკების [91] და ურმების ბეგარათა (ნატურალური ბეგარები) გაუქმება». ეს წმინდა მარქსისტული მინიმალური მოთხოვნებია. ამ მოთხოვნების წამოყენებით (განსაკუთრებით მ. 5) პპს წინ დგამს ნაბიჯს ჩვენს სოციალისტ-რევოლუციონერებთან შედარებით, რომლებიც «მოსკოვსკიე ვედომოსტისთან» ერთად გატაცებული არიან ყბადაღებული «ნადელების განუსხვისებლობით». ამ მოთხოვნების წამოყენებით პპს მჭიდროდ უახლოვდება მარქსიზმის იდეას ბატონყმობის ნაშთებთან ბრძოლის შესახებ, როგორც ახლანდელი გლეხთა მოძრაობის საფუძველს და შინაარსს. თუმცა პპს უახლოვდება ამ იდეას, მაგრამ მისი სრულად და შეგნებულად მიღებისაგან მაინც შორსაა.

ჩვენ მიერ განსახილველი პროგრამა-მინიმუმის მთავარ მუხლებში ნათქვამია: «1) საუფლისწულო, სახელმწიფო და სასულიერო წოდების ადგილმამულების ნაციონალიზაცია კონფისკაციის გზით; 2) მსხვილი მიწის საკუთრების ნაციონალიზაცია, როცა პირდაპირი მემკვიდრეები არ არიან; 3) ტყეების, მდინარეებისა და ტბების ნაციონალიზაცია». ამ მოთხოვნებს აქვს ყველა ნაკლი იმ პროგრამისა, რომელიც დღევანდელი დროისთვის პირველ რიგში მიწის ნაციონალიზაციის მოთხოვნას აყენებს. სანამ არა გვაქვს სრული პოლიტიკური თავისუფლება და ხალხის თვითმპყრობელობა, სანამ არა გვაქვს დემოკრატიული რესპუბლიკა, ნაციონალიზაციის მოთხოვნის წამოყენება ნაადრევი და უგუნურია, ვი-

ნაიდან ნაციონალიზაცია ნიშნავს სახელმწიფოს ხელში გადასვლას, ახლანდელი სახელმწიფო კი პოლიციური და კლასობრივია, ხვალინდელი სახელმწიფო ყოველ შემთხვევაში კლასობრივი იქნება. დემოკრატიზაციის მიმართულებით წინ წამყვან ლოზუნგად კი ეს მოთხოვნა განსაკუთრებით გამოუსადეგარია, რადგან სიმძიმის ცენტრი მას გადააქვს არა მემამულეებისადმი გლეხთა დამოკიდებულებაზე (გლეხებს მემამულეთა მიწები მიაქვთ), არამედ სახელმწიფოსადმი მემამულეთა დამოკიდებულებაზე. საკითხის ამგვარი დაყენება ძირფესვიანად ყალბია ისეთი მომენტისათვის, როცა გლეხები რევოლუციური გზით ებრძვიან მიწისათვის მემამულეებსაც და მემამულეთა სახელმწიფოსაც. რევოლუციური გლეხთა კომიტეტები კონფისკაციისათვის, როგორც კონფისკაციის იარაღი, — აი ერთადერთი ლოზუნგი, რომელიც ასეთ მომენტს შეეფერება და წინ სწევს კლასობრივ ბრძოლას მემამულეების წინააღმდეგ მემამულეთა სახელმწიფოს რევოლუციურად დანგრევასთან განუყრელ კავშირში.

პპს პროექტში აგრარული პროგრამა-მინიმუმის დანარჩენი მუხლები შემდეგია: «4) საკუთრების უფლების შეზღუდვა, რამდენადაც ის აფერხებს ყოველგვარი გაუმჯობესების შეტანას მიწათმოქმედებაში (მელიორაციებს), თუ ამ გაუმჯობესებას აუცილებლად მიიჩნევს დაინტერესებულთა უმრავლესობა; ...7) ხანძრებისა და დასეტყვისაგან პურეულის და ეპიზოოტიისაგან პირუტყვის დაზღვევის ნაციონალიზაცია; 8) სახელმწიფოს მხრივ კანონმდებლობით ხელისშეწყობა სამიწათმოქმედო არტელებისა და კოოპერაციების შექმნისათვის; 9) აგრონომიული სკოლები».

ეს მუხლები სავსებით სოციალისტ-რევოლუციონერთა ანუ (რაც იგივეა) სავსებით ბურჟუაზიული რეფორმატორობის ყაიდისაა. რევოლუციური მათში არაფერია. ისინი, რა თქმა უნდა, პროგრესულია, ეს უდავოა, მაგრამ პროგრესულია მეხაკუთრეთა ინტერესებისათვის. სოციალისტის მხრივ მათი წამოყენება ეს არის სწორედ მესაკუთრული ინსტინქტების

წახალისება. მათი წამოყენება იგივეა, რომ მოითხოვო სახელმწიფომ ხელი შეუწყოს ტრესტებს, კარტელებს, სინდიკატებს, მრეწველთა საზოგადოებებს, რომელნიც არა ნაკლებ «პროგრესული» არიან, ვიდრე კოოპერაციები, დაზღვევები და სხვა მიწათმოქმედებაში. ყოველივე ეს კაპიტალისტური პროგრესია. მათზე ზრუნვა ჩვენი საქმე კი არაა, არამედ მეპატრონეთა, მეწარმეთა საქმეა. პროლეტარული სოციალიზმი, წვრილბურჟუაზიული სოციალიზმისაგან განსხვავებით, გრაფ დეროკინებს, ერობის მოღვაწე-მემამულეებს და სხვ. უთმობს მსხვილ და წვრილ მეპატრონეთა კოოპერაციებზე ზრუნვას, ხოლო თვითონ მთლიანად და განსაკუთრებით მხოლოდ დაქირავებული მუშების კოოპერაციისათვის ზრუნავს მეპატრონეებთან ბრძოლის მიზნით.

ახლა ნახეთ პროგრამის II ნაწილი. იგი შესდგება ერთი შემღეგი მუხლისაგან: «მსხვილი მიწის საკუთრების ნაციონალიზაცია კონფისკაციის გზით. სახნავი მიწები და მდელოები, ამ გზით მოპოვებული ხალხის მიერ, უნდა დაიყოს ნაკვეთებად და გადაეცეს უმიწაწყლო და მცირემიწიან გლეხებს ხანგრძლივ უზრუნველყოფილ იჯარად».

კარგი «დაგვირგვინება» კია, თქვენმა მზემ! პარტია, რომელიც თავის თავს სოციალისტურს უწოდებს, «აგრარული რეფორმების დაგვირგვინებისა და ინტეგრაციის» სახით გვთავაზობს საზოგადოების სოციალისტურად მოწყობას კი არა, არამედ უაზრო წვრილბურჟუაზიულ უტოპიას. ჩვენს წინაშეა დემოკრატიულ და სოციალისტურ გადატრიალებათა სრული არევის ნიმუშები, მათი სხვადასხვაგვარი მიზნების სრული გაუგებლობა. მიწის გადასვლა მემამულეთა ხელიდან გლეხების ხელში შეიძლება იყოს — და ევროპაში ყველგან იყო — დემოკრატიული გადატრიალების შემადგენელი ნაწილი, ბურჟუაზიული რევოლუციის ერთ-ერთი ეტაპი, მაგრამ მისი მიჩნევა დაგვირგვინებად ან ბოლომდე მიყვანად მხოლოდ ბურჟუაზიულ რადიკალებს შეუძლიათ. მიწის ხელახალი გადანაწილება მესაკუთრეთა ამა თუ იმ თანრიგებს შო-

რის, მეპატრონეთა ამა თუ იმ კლასებს შორის შეიძლება ხელსაყრელი და აუცილებელი იყოს დემოკრატიის გამარჯვების ინტერესებისათვის, ბატონყმობის ნაშთთა სრული აღმოფხვრის, მასის საარსებო დონის ამაღლების, კაპიტალიზმის განვითარების დაჩქარების ინტერესებისათვის და სხვ., — ასეთი ღონისძიებისთვის ფრიად გადაჭრით მხარისდაჭერა შეიძლება სავალდებულო იყოს სოციალისტური პროლეტარიატისათვის დემოკრატიული რევოლუციის ეპოქაში, მაგრამ «დაგვირგვინება და ბოლომდე მიყვანა» შეიძლება იყოს მხოლოდ ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი და არა წვრილი გლეხური წარმოება. წვრილ გლეხთა იჯარის «უზრუნველყოფა» სასაქონლო მეურნეობისა და კაპიტალიზმის შენარჩუნებისას რეაქციული ბურჟუაზიული უტოპიაა და სხვა არაფერი.

ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ პპს ძირითადი შეცდომა მარტო მას კი არ სჩვევია, ეს შეცდომა არც ერთადერთია, არც შემთხვევითი. უფრო ცხადი და გარკვეული ფორმით (ვიდრე სოციალისტ-რევოლუციონერთა ყბადაღებული «სოციალიზაცია», რომელიც თვით სოციალისტ-რევოლუციონერებსაც კი არ ესმით) ის გამოხატავს აგრარულ საკითხში მთელი რუსული ნაროდნიკობის, მ თ ე ლ ი რუსული ბურჟუაზიული ლიბერალიზმისა და რადიკალიზმის ძ ი რ ი თ ა დ შეცდომას, რომელიც გამოაშკარავდა მოსკოვის ერობის მოღვაწეთა უკანასკნელ (სექტემბრის) ყრილობაზედაც.

ეს ძირითადი შეცდომა შეიძლება ასე გამოვხატოთ:

უ ა ხ ლ ო ე ს ი მ ი ზ ნ ე ბ ი ს დ ა ს ა ხ ვ ი ს მ ხ რ ი ვ პ პ ს პ რ ო გ რ ა მ ა რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ა რ ა რ ი ს. თ ა ვ ი ს ი ს ა ბ ო ლ ო ო მ ი ზ ნ ე ბ ი ს მ ხ რ ი ვ ი ს ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ა რ ა რ ი ს.

ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ: დემოკრატიული და სოციალისტური გადატრიალების განსხვავების გაუგებლობა იმას იწვევს, რომ დემოკრატიული ამოცანები ვერ გამოხატავენ მათს ნამდვილ რევოლუციურ მხარეს, ხოლო სოციალისტურ ამოცანებში შეაქვთ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მსოფლმხედ-

ველობის მთელი გაურკვევლობა. ვიღებთ ლოზუნგს დემოკრატისთვის — არასაკმაოდ რევოლუციურს, სოციალისტისთვის — შეუწყნარებლად აბნეულს.

პირიქით, სოციალ-დემოკრატიის პროგრამა აკმაყოფილებს ნამდვილი რევოლუციური დემოკრატიზმის ყოველგვარ მოთხოვნას და მხარდაჭერას, ნათელი სოციალისტური მიზნის წამოყენებას. დღევანდელ გლეხურ მოძრაობაში ჩვენ ვხედავთ ბრძოლას ბატონყმობასთან, ბრძოლას მემამულეებთან და მემამულეთა სახელმწიფოსთან. ამ ბრძოლას ჩვენ ბოლომდე მხარს ვუჭერთ. ასეთი მხარდაჭერისათვის ერთადერთი სწორი ლოზუნგია: კონფისკაცია რევოლუციური გლეხთა კომიტეტების გზით. რა ვუყოთ კონფისკებულ მიწებს, — ეს მეორეხარისხოვანი საკითხია. ამ საკითხს ჩვენ კი ვერ გადავწყვეტთ, არამედ გლეხები. მისი გადაწყვეტის დროს დაიწყება სწორედ ბრძოლა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის გლეხობაში. აი ამიტომაა, რომ ჩვენ ამ საკითხს ან ღიად ვტოვებთ (რაც ასე არ მოსწონთ წვრილბურჟუაზიულ პროექტერებს), ანდა ჩვენი მხრივ მხოლოდ მივუთითებთ გზის დასაწყისზე ჩამონაჭრების ჩამორთმევის სახით (რაშიც ნაკლებ მოაზროვნე ადამიანები მოძრაობის შეფერხებას ხედავენ, მიუხედავად სოციალ-დემოკრატიის მრავალი განმარტებისა).

იმისათვის, რომ აგრარულმა რეფორმამ, რაც აუცილებელია თანამედროვე რუსეთში, რევოლუციურ-დემოკრატიული როლი შეასრულოს, არსებობს მხოლოდ ერთი საშუალება: ის უნდა განხორციელდეს თვით გლეხთა რევოლუციური თაოსნობით, წინააღმდეგ მემამულეებისა და ბიუროკრატიისა, წინააღმდეგ სახელმწიფოსი, ე. ი. უნდა განხორციელდეს რევოლუციური გზით. ასეთი გარდაქმნის შემდეგ მიწის უცუდესი განაწილება ახლანდელზე უკეთესი იქნება ყოველი მხრივ. და სწორედ ამ გზას მივუთითებთ ჩვენც, როცა ქვაკუთხედად ვსახავთ რევოლუციურ გლეხთა კომიტეტების მოთხოვნას.

მაგრამ ამასთან ერთად ჩვენ სოფლის პროლეტარიატს ვეუბნებით: «გლეხების უაღრესად რადიკალური გამარჯვება,

რომელსაც შენ ახლა მთელი ძალღონით უნდა შეუწყო ხელი, ვერ გიხსნის სიღატაკისაგან. ამ მიზნის მისაღწევად მხოლოდ ერთი საშუალება არსებობს: მთელი პროლეტარიატის — როგორც სამრეწველო, ისე სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატის გამარჯვება მთელ ბურჟუაზიაზე, სოციალისტური საზოგადოების მოწყობა».

მეპატრონე-გლეხებთან ერთად მემამულეებისა და მემამულეთა სახელმწიფოს წინააღმდეგ, ქალაქის პროლეტარიატთან ერთად მთელი ბურჟუაზიისა და ყველა მეპატრონე-გლეხის წინააღმდეგ. აი სოფლის შეგნებული პროლეტარიატის ლოზუნგი. და თუ ამ ლოზუნგს მეპატრონეები ერთბაშად არ მიიღებენ ანდა შეიძლება სრულიადაც არ მიიღონ, სამაგიეროდ ის გახდება მუშების ლოზუნგი, მას უცილობლად დაადასტურებს მთელი რევოლუცია, ის გვიხსნის წვრილბურჟუაზიული ილუზიებისაგან, ის ნათლად და გარკვევით დაგვანახვებს ჩვენს სოციალისტურ მიზანს.

«პროლეტარი» № 20,
1905 წ. 10 ოქტომბერი (27 სექტემბერი)

იბეჭდება გაზეთ
«პროლეტარის» ტექსტის
მიხედვით

ბურჟუაზია მაძლარი
და ბურჟუაზია მწყურვალი

გაზეთი «Le Temps» * — საფრანგეთის კონსერვატიული ბურჟუაზიის ერთ-ერთი ფრიად გავლენიანი ორგანოა. სოციალიზმის წინააღმდეგ ის უაღრესად გააფთრებულ კამპანიას ეწევა და იშვიათია ისეთი დღე, რომ მის ფურცლებზე მარქსის, ბებელის, გედის, ჟორესის სახელები არ შეგხვდეთ, რასაც თან ახლავს ფრიად გაბოროტებული კომენტარიები და იერიშები მათ წინააღმდეგ. თუ არ გაშმაგებული ცახცახით, «Le Temps»-ს არ შეუძლია სოციალიზმზე ლაპარაკი.

რუსეთის «კრიზისს», როგორც კეთილგანმზრახველი ევროპელები ამბობენ, ეს გაზეთი დიდი ყურადღებით ადევნებს თვალყურს, არასდროს არ აკლებს თავის ჭკუისასწავლებელ რჩევებს la nation amie et alliée «მეგობარ და მოკავშირე ერს». ახლაც ის მოწინავეს უძღვნის ერობის მოღვაწეთა უკანასკნელ ყრილობას. როცა წინა ივლისის ყრილობას იგონებს, უკანა რიცხვითაც კი ვერ იკავებს თავს, რომ უკმაყოფილება არ გამოთქვას. ჩანს, ეს იყო «აზრთა აბსოლუტური არევ-დარევისა და განზრახვათა სრული გაურკვევლობის სანახაობა»: ბულიგინის პროექტი უკვე ცნობილი იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დელეგატები დაკმაყოფილდნენ «მხურვალე სიტყვებით» და ვერ გადაჭრეს საკითხი — ბოიკოტი გამოეც-

* — «დროება». რ ე დ.

ხადებინათ თუ მონაწილეობა მიეღოთ. საფრანგეთის მმართველი ბურჟუაზიის განრისხებული ორგანო იმასაც კი მოაგონებს ერობის მოღვაწეებს: თქვენ მანდატები არ გქონდათო!

სამაგიეროდ ახლა რა მხიარულად იღიმება პოლიტიკური ძალაუფლებით მაძღარი ბურჟუა! რა თავაზიანად იჩქარის ის კეთილშობილური ხელი ჩამოართვას თავის თანამოძმეს, რომელიც ჯერ მხოლოდ მოწყურებულია პოლიტიკურ ძალაუფლებას, მაგრამ უკვე ამტკიცებს თავის «მომწიფებულობას»! ბოიკოტი უარყოფილია, და მანდატების უქონლობასაც არავინ იხსენიებს. «ერობის მოღვაწეთა გადაწყვეტილება, — ამბობს **«Le Temps»**, — პატივსა სდებს მათ. ის ამტკიცებს, რომ რუსი ხალხის ყველაზე განათლებული ელემენტების პოლიტიკური აღზრდა წინ მიდის, და რომ ისინი ხელს იღებენ პოლიტიკური ოინბაზობის ბუნდოვან გეგმებზე და მამაცურად დგებიან აუცილებელი ევოლუციის გზაზე».

პოლიტიკური ძალაუფლებით მაძღარი ბურჟუა, რომელსაც ბევრი რამ უნახავს იმ მხრივ, თუ სადამდე მივყავართ ხალხის, მუშებისა და გლეხების გამარჯვებას რევოლუციებში, ერთი წუთითაც არ ყოყმანობს ლიბერალური მემამულეებისა და ვაჭრების სექტემბრის ყრილობა რევოლუციაზე ევოლუციის გამარჯვებად გამოაცხადოს.

ის ქება-დიდებას ასხამს ყრილობის «ზომიერებას». იგი აშკარა კმაყოფილებით აღნიშნავს რეზოლუციის ჩაშლას «მიწების დაქუცმაცებისა» და ქალთა საარჩევნო უფლებების შესახებ. «ამ გადაწყვეტილებათა სიბრძნე და ზომიერება ცხადყოფს, რომ ამ ყრილობაზე უკიდურეს პარტიათა აზრს არ გაუმარჯვნია. პროგრამა, რომლის გარშემო ყველა ისინი შეთანხმდნენ, საკმაოდ დემოკრატიულია იმისათვის, რომ *რევოლუციონერები განაიარაღოს*. ხოლო რადგან საერობო ყრილობა თავისი პროექტების განხორციელებას ელოდება მხოლოდ და მხოლოდ კანონიერი საშუალებებით, მის პროგრამას შეუძლია ის რეფორმისტებიც შეი-

ერთოს, რომლებსაც პირადი დავა არ ჩამოაშორებს საერობო ყრილობის წევრებს».

მაძღარი ბურჟუა წასახალისებლად მხარზე ხელს უთათუნებს მოწყურებულ ბურჟუას: წამოაყენე პროგრამა, რომ იგი «საკმაოდ დემოკრატიული» იყოს თვალის ასახვევად, რომ განაიარაღო რევოლუციონერები და ლეგალურ გზას დაადგე, — ესე იგი, თუ უბრალო და გარკვეული ენით ვიტყვით, მოურიგდე ტრეპოვ-რომანოვებს, აი ნამდვილი სახელმწიფო სიბრძნე.

ხოლო მიამიტ რევოლუციონერებზე გამჭრიახი ბურჟუის იმედის დამყარება რომ მთლად უსაფუძვლო არ არის, ეს დაამტკიცეს ჩვენმა ახალისკრელმა ჭკუის კოლოფებმა. მათ, სადავემოშვებულთ, დაგებულ მახეს მიაშურეს და ყველანი ერთად გვირჩევენ დემოკრატიული ვალდებულებანი ჩამოვართვათ ზომიერ ბურჟუებს, რომლებიც სულითა და გულით მზად არიან ახლა ყველაფერი აღგვითქვან, რაცა გვსურს, და ყოველგვარი ვალდებულება იკისრონ. არა მარტო მტრულ პარტიებს შორის ბრძოლაში, არამედ სოციალისტურ პარტიებს შიგნით ბრძოლაშიც (როგორც II ყრილობის შემდეგ დავრწმუნდით ამაში) ყოველგვარი დაპირება არარად იქცევა, რაკი საქმე შეეხება მებრძოლ მხარეთა რაოდენადმე საარსებო ინტერესებს. The promises like pie-crust are leaven to be broken, ამბობს ინგლისური ანდაზა. «დაპირებანი და ქადის ქერქი ერთია: მას იმიტომ აცხობენ, რომ შემდეგ გატეხონ».

რად გადაიქცა «ისკრის» ტაქტიკა სათათბიროს მიმართ? რევოლუციონერთა სწორედ იდეურ და ტაქტიკურ განიარაღებად. ოპორტუნისტული «ისკრის» ბრძენნი ამ განიარაღებაზე მუშაობდნენ, აცამტვერებდნენ აქტიური ბოიკოტის იდეას, ნაცვლად აქტიური ბოიკოტისა პასიურს აყენებდნენ (სრულიად «ნოვოე ვრემიას»[92] ყაიდაზე და თითქმის იმავე სიტყვებით), ქადაგებდნენ რწმენასა და ნდობას ერთმანეთთან ჩაკონებული მილიუკოვებისა და სტახოვიჩებისადმი, აჯანყების რევოლუციურ ლოზუნგს ცვლიდ-

ნ ე ნ ოსვობოჟდენიელური ბურჟუაზიული დონდლობით, მსგავსად «მოქალაქეთა რევოლუციური თვითმმართველობისა».

ახლა მხოლოდ ბრმები ვერ ხედავენ, რა ჭაობში ჩაეფლო «ისკრა». არალეგალურ პრესაში ის სავსებით განმარტოებულია, მის მხარეზეა მ ხ ო ლ ო დ «ო ს ვ ო ბ ო ჟ დ ე ნ ი ე». ბუნდი, რომელსაც თვით მარტოვი და აქსელროდიც კი ვერ დასწამებენ სიმპათიას «ვპერიოდის არსენალისადმი», გადაჭრით მიემხრო აქტიურ ბოიკოტს. ლეგალურ პრესაში ყველა არამზადა და ყველა ზომიერი ლიბერალი გაერთიანდა იმ რადიკალური ბურჟუების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებმაც თანაგრძნობა გამოუცხადეს ბოიკოტს და რომლებიც ყველაზე მეგობრულად არიან განწყობილი გლეხობისადმი.

განა მართალი არა სთქვა ლენინმა თავის «ორ ტაქტიკაში», როცა ახალისკრელთა რეზოლუციებს არჩევდა, «ი ს კ რ ა» ლ ი ბ ე რ ა ლ ურ მ ე მ ა მ უ ლ ე ე ბ ა მ დ ე ქ ვ ე ი თ დ ე ბ ა, იმ დროს როცა «პროლეტარი» ცდილობს აამაღლოს რევოლუციური გლეხებიო?

ჩვენ მოვიხსენიეთ «ნოვოე ვრემია». არათუ ეს მოსყიდული ორგანო, არამედ «მოსკოვსკიე ვედომოსტიც» კი გააფთრებულ ბრძოლას ეწევა ბოიკოტის იდეის წინააღმდეგ, რითაც ყველასათვის ცხადყოფს სათათბიროს რეალურ პოლიტიკურ მნიშვნელობას. აი სანიმუშოდ «ნოვოე ვრემიას» ერთი დამახასიათებელი საქციელი, რაზედაც ჩვენ მით უფრო სიამოვნებით შეჩერდებით, რომ ის ახალ შუქსა ჰფენს თვით ისეთ «პატივსაცემ» ლიბერალურ ორგანოს უამრავ ბურჟუაზიულ სისაძაგლეს, როგორიცაა «რუსსკიე ვედომოსტი».

ამ უკანასკნელი გაზეთის ცნობილი ბერლინელი კორესპონდენტი ბ-ნი იოლოსი 247-ე ნომერში ეხება იენის ყრილობას. მისი ფილისტერული სული უწინარეს ყოვლისა იმითაა აღტაცებული, რომ აი აღმოჩნდა კეთილი და სამართლიანი ბურჟუა-ლიბერალი მდიდარი აბე, რომელმაც ქალაქ იენას შესწირა სახალხო სახლი ყველა პარტიის, მათ შორის სო-

ციალ-დემოკრატების პარტიისაც კი, თავისუფალი კრებების გასამართავად. და ბ-ნ იოლოსსაც გამოჰყავს თავისი მორალი: «განსაზღვრული პარტიული ჩარჩოების გარეშეც შეიძლება ხალხს სარგებლობა მოუტანოო». ეს, რა თქმა უნდა, მართალია. მაგრამ რა უნდა ვთქვათ ისეთ მწერალზე, რომელიც რუსეთში გააფთრებული პარტიული ბრძოლის ეპოქაში უპარტიულობას აქებს? ნუთუ ბ-ნ იოლოსს არ ესმის, რომ ამით უდიდეს პოლიტიკურ უტაქტობას სჩადის, როცა ხელს უწყობს «ნოვოე ვრემიას»? მაგრამ უპარტიულობის წინაშე ამ ფილისტერული აღტაცების ჭეშმარიტი აზრი მკითხველისთვის ცხადი გახდება ბ-ნ იოლოსის შემდეგი ფრაზიდან:

«არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ზოგჯერ არის ხოლმე ისეთი პოლიტიკური პირობები, როცა სასარგებლოა დროებით ჯიბეში გქონდეს დამალული საბოლოო მიზნები და გახსოვდეს ის უახლოესი მიზნები, რომლებიც საერთოა სოციალიზმისთვისაც და ლიბერალიზმისთვისაც».

აი ეს კი გულახდილადაა ნათქვამი! გმადლობთ აზრის სიცხადისთვის მაინც, ბ-ნო იოლოს! ჩვენ მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, ვისარგებლოთ ასეთი განცხადებებით ყოველთვის და ყოველი შემთხვევისას, მუშების წინაშე ყოველი გამოსვლისას, რათა ცხადვყოთ რუსული ლიბერალიზმის ბურჟუაზიული ხასიათი, რათა განვუმარტოთ მუშებს აუცილებლობა პროლეტარიატის დამოუკიდებელი პარტიისა, რომელიც განუხრელად მტრულადაა განწყობილი ბურჟუაზიის მიმართ, თუნდაც უაღრესად ლიბერალურიც იყოს იგი.

მაგრამ ჩვენი «დემოკრატის» ყველა ეს ტირადა მხოლოდ ყვავილებია. ნაყოფი შემდეგ იქნება. ბ-ნი იოლოსი არ სჯერდება პროლეტარიატისთვის რჩევის მიცემას «დროებით ჯიბეში დამალოს საბოლოო მიზნები», ე. ი. უარი თქვას სოციალიზმზე, არა, ამის გარდა ის ურჩევს უარი თქვას ახლანდელი პოლიტიკური რევოლუციის ბოლომდე მიყვანაზეც. ბ-ნ იოლოსს ციტატები მოჰყავს ბებელის სიტყვიდან და პირველ

რიგში აყენებს ამ სიტყვის იმ ადგილს, სადაც ბებელი ეჭვს გამოთქვამს, რომ ჩვენ «ასე მალე» შევძლებთ რუსეთის გადაქცევას კულტურულ სახელმწიფოდ და ამავე დროს აცხადებს, რომ ძველი, თვითმპყრობელური რეჟიმი ვეღარ დაბრუნდება, «რომ ძველი რუსეთი მეტს ვეღარ იარსებებსო». ამ ადგილის გამო ბ-ნი იოლოსი წერს:

«ბებელი მე არ მიმაჩნია ავტორიტეტად რუსეთის საქმეებში, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ თავისი სიტყვის ამ ნაწილში ის კარგი მხრით განირჩევა კაუტსკისა და ზოგიერთი სხვა დოქტრინიორისაგან, რომლებიც Revolution in Permanenz (განუწყვეტელ რევოლუციას) გვირჩევენ. როგორც ჭკვიანი ადამიანი და პოლიტიკოსი, რომელმაც იცის, რა კონკრეტულ ფორმებს იღებს ხალხის ცხოვრებაში მუდმივი ანარქიის მდგომარეობა, ბებელი წარმატებას ხედავს უპირველეს ყოვლისა კულტურის ამოცანების განხორციელებაში, და მისი სიტყვებიდან სრულიად ნათლად გამომდინარეობს, რომ მას სადემარკაციო ხაზი არ გაჰყავს, და ყოველ შემთხვევაში ცხადზე უცხადესია, რომ კედელს არ აშენებს რუსეთის ინტელიგენციასა და რუსეთის პროლეტარიატს შორის, ადამიანის ელემენტარულ უფლებათა განხორციელებამდე მაინც».

ჯერ-ერთი, ეს ცილისწამებაა ბებელის მიმართ, წმინდა ნოვოევრემიასებური ცილისწამება. ბებელს ყოველთვის და უსათუოდ გაჰყავს «სადემარკაციო ხაზი» ბურჟუაზიულ და პროლეტარულ დემოკრატიზმს შორის; ბ-მა იოლოსმა არ შეიძლება ეს არ იცოდეს. ბებელი გადაჭრით მიჯნავს ერთიმეორისაგან ბურჟუაზიულ ინტელიგენციას და სოციალ-დემოკრატიულ ინტელიგენციას. რუსი მკითხველის დარწმუნება იმაში, თითქოს ბებელი, «კულტურისათვის» ბრძოლის დროს თუნდ ოდესმე ჩქმალავდეს, ერთი მხრივ, ბურჟუაზიული დემოკრატიის სიყალბესა და გამცემლობას, ხოლო მეორე მხრივ, მუშათა კლასის სოციალისტურ მიზნებს, — ეს ნიშნავს უდიდესი ტყუილის თქმას გერმანიის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ბელადის მიმართ.

მეორე, ბებელის სიტყვიდან აბსოლუტურად არ გამომდინარეობს, თითქოს ის სხვანაირად უყურებდეს რუსეთის რევოლუციას, ვიდრე კაუტსკი. კაუტსკისაგან ბებელის «კარგი მხრით განსხვავება» შეთხზულია ბ-ნ იოლოსის მიერ, რომელიც ბებელის სიტყვიდან ერთ პატარა ნაწილს გლეჯს და ამახინჯებს მას, ხოლო მის მთელ რიგ განცხადებებზე რუსეთის რევოლუციისა და მისი გადამწყვეტი გამარჯვების სასარგებლოდ კი სდუმს.

მესამე, — და ესაა ჩვენთვის «რ უ ს ს კ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი ს» პოზიციის ყველაზე საინტერესო თავისებურება, — ბ-ნი იოლოსი თავისი საქციელით ცხადყოფს, რომ მას სწორედ ე შ ი ნ ი ა რუსეთის რევოლუციის გადამწყვეტი გამარჯვებისა. «მუდმივ რევოლუციას» ბ-ნი იოლოსი «მუდმივ ანარქიას» უწოდებს. ამის თქმა იმას ნიშნავს, რომ რევოლუციას ამბოხი უწოდო, ამის თქმა ნიშნავს რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს მ ო ღ ა ლ ა ტ ე გახდე. და დაე ნუღარ გვეუბნებიან «ოსვობოჟდენიეს» დიპლომატები, რომლებსაც უყვართ თქმა, თითქოს მათ მარცხნივ მტრები არ ჰყავდეთ, რომ ეს «რუსსკიე ვედომოსტის» შემთხვევითი შეცდომაა. ტყუილია. ესაა ლიბერალური მემამულისა და ლიბერალური მეფაბრიკის უღრმესი გრძნობებისა და უძირითადესი ინტერესების გამოხატულება. ეს იგივეა, რაც ფრაზა ბ-ნ ვინოგრადოვისა, რომელიც მოუწოდებდა ბრძოლისაკენ რუსეთის რევოლუციის 1789 წლის გზაზე დადგომის წინააღმდეგ. ეს იგივეა, რაც მონური ქედის მოხრა ბ-ნ ტრუბეცკოისა, რომელიც მეფეს ეუბნებოდა — ამბოხებას არ თანაეუგრძნობო. ეს შემთხვევითი როდია. ეს არის ერთადერთი სწორი სიტყვიერი ფორმულირება იმ ბურჟუაზიული დემოკრატების უთვალავი სამარცხვინო საქმეებისა, რომლებსაც ღ ლ ი ს «მუდმივი ანარქია», რომლებსაც სწყურიათ მ შ ვ ი დ ო ბ ა და წ ე ს რ ი გ ი, რომლებიც უკვე დ ა ი ღ ა ლ ნ ე ნ «ბრძოლით» (თუმცა მათ არასდროს არ უბრძოლნიათ), რომლებიც უ კ ვ ე შ ო რ დ ე ბ ი ა ნ რევოლუციას, როგორც კი დაინახავენ, რომ მუშები

და გლეხები მართლაც ნამდვილ ბრძოლას იწყებენ, რომ მათ სურთ ბრძოლა და არა მხოლოდ ის, რომ აბრძოლონ ისინი. დემოკრატი-ბურჟუები მზად არიან ცალი თვალი დახუჭონ ტრეპოვების უწესოებაზე, უიარაღო ხალხის ხოცვა-ჟლეტაზე; მათ აშინებთ არა ეს, არამედ სხვა «ანარქია», როცა ხელისუფლების სათავეში იქნებიან არა ტრეპოვი და არა პეტრუნკევიჩი როდიჩევთან ერთად, არამედ როცა გლეხთა და მუშათა აჯანყება გაიმარჯვებს. დემოკრატი-ბურჟუები სწორედ იმიტომ მიდიან სათათბიროში ასეთი ხალისით, რომ ისინი მასში ხედავენ რევოლუციის გაცემის საწინდარს, რევოლუციის — ამ საშინელი «მუდმივი ანარქიის» სრული გამარჯვების თავიდან აცილების საწინდარს.

ლიბერალური ფსიქოლოგიის ასეთი მნიშვნელობა რომ სწორად დავანახვეთ მკითხველს, ამის თავდებია «ნოვოე ვრემია». ტრეპოვების ამ გაქნილმა ლაქიებმა ერთბაშად შეამჩნიეს «რუსსკიე ვედომოსტის» მთელი სისაძაგლე და იჩქარეს სულიერად ჩაკონებოდნენ თავიანთ თანამოძმეებს. 13 (26) სექტემბრის ნომერში «ნოვოე ვრემია» თანაგრძნობით იმოწმებს ბ-ნ იოლოსის სწორედ ამ სიცრუეს კაუტსკისაგან ბებელის «კარგი მხრით განსხვავების» შესახებ და თან თავის მხრივ შენიშნავს:

«ამრიგად, ჩვენს რადიკალ-«აბსენტეისტებს» მოუხდებათ ბებელიც გამორიცხონ თავიანთ მოკავშირეთა რიცხვიდან».

დასკვნა სავსებით კანონიერია. «ნოვოე ვრემიას» პროფესიულმა გამცემლებმა სწორად შეაფასეს «რუსსკიე ვედომოსტის» «წამონაცდენთა» არსი და აზრი. ეგ კიდევ არაფერი. პოლიტიკაში გამოქნილმა «ნოვოე ვრემიამ» იმწამსვე გააკეთა დასკვნა სათათბიროსთან შესახამებლად. თუმცა ბ-ნ იოლოსს კრინტიც არ დაუძრავს ბებელის შეხედულებაზე ბოიკოტის მიმართ, მაგრამ «ნოვოე ვრემიამ» «აბსენტეისტები» სწორედ ბოიკოტის მომხრეებს უწოდა. «ნოვოე ვრემიამ» ბებელისადმი ცილისწამებას დაურთო ცილისწამება «რადიკალების» მიმართ, თუმცა ის სრულიად სწორი

აზრი გამოთქვა, რომ «რადიკალ-აბსენტეისტებისთვის» ტაქტიკის სახელმძღვანელო იდეაა სწორედ რევოლუციის სრული გამარჯვების იდეა, განუწყვეტელი რევოლუციის იდეა, მაშინ როდესაც სათათბიროში მიმავალი ლიბერალები ხელმძღვანელობენ «მუდმივი ანარქიის» შიშით. «ნოვოე ვრემია» მართალია. ტრეპოვის ლაქიას სრული უფლება ჰქონდა ადგილზევე ხელი ეტაცნა ბ-ნი იოლოსისთვის და ეთქვა: თუ «მუდმივი ანარქია» არა გსურს, მაშასადამე, ჩემი მოკავშირე ყოფილხარ, და ვერავითარი დემოკრატიული ლაყბობა ვერ გადამაჯერებს ამაში. ჩვენი ჩხუბი — პატარა ოჯახური ჩხუბია, მაგრამ «დოქტრინიორების», «მუდმივი ანარქიის» მომხრეთა წინააღმდეგ ჩვენ ერთად ვიქნებითო!

ნუთუ ახლაც ვერ მიხვდება «ისკრა», რომ როდესაც ის ბოიკოტის მომხრეებს თავშეკავებას, ე. ი. ა ბ ს ე ნ ტ ე ი ზ მ ს უსაყვედურებდა, იგი ნოვოევრემიასებურად ლაპარაკობდა? ნუთუ ვერ გაიგებს ის, რომ «ნოვოე ვრემიას» ლოზუნგებთან მისი ლოზუნგების ასეთი დამთხვევა მისი პოზიციის რაღაც ღრმა სიყალბეს ამტკიცებს?

ევროპის მაძღარი ბურჟუაზია ზომიერებისათვის აქებს ძალაუფლებას მოწყურებულ რუსეთის ბურჟუაზიას. ტრეპოვის ლაქიები «რუსსკიეედომოსტელ» ბ-ნ იოლოსს აქებენ «მუდმივი ანარქიის» იდეის დაგმობისათვის. ნოვოევრემიელები და ახალისკრელები «აბსენტეიზმს» დასცინიან...

«პროლეტარი» № 20,
1905 წ. 10 ოქტომბერი (27 სექტემბერი)

იბეჭდება გაზეთ
«პროლეტარის» ტექსტის
მიხედვით

მემამულეები სათათბიროს ბოიკოტის შესახებ

«ოსვობოჟდენიეს» 76-ე ნომერში დაბეჭდილია ერობის მოღვაწეთა ივლისის ყრილობის მოკლე ოქმები. ახლა, როცა საერთო ყურადღებას იპყრობს სახელმწიფო სათათბიროს მიმართ ტაქტიკის საკითხი, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ აღვნიშნოთ ეს უბადლო მასალა, რომელიც გვიჩვენებს თუ სახელდობრ როგორ მსჯელობდნენ ერობის მოღვაწეები და ოსვობოჟდენიელები ბოიკოტის შესახებ. რა თქმა უნდა, არავის ეჭვი არ ეპარება, რომ ზავის დადებამდე, სანამ გამოვიდოდა კანონი სათათბიროს შესახებ, ისინი უფრო რევოლუციური იყვნენ, ანდა ცდილობდნენ თავი მოეჩვენებინათ ასეთად. მაგრამ მაინც მათი არგუმენტების ხასიათი ეტისმეტად საგულისხმოა საკითხის ჩვენი შეფასების შესამოწმებლად. ეს ხომ თითქმის პირველი საკითხია რუსეთის პოლიტიკურ ისტორიაში, როცა კონკრეტულ პოლიტიკურ ნაბიჯებს ერთად იხილავენ ოპოზიციური და რევოლუციური პარტიები.

სრულიად ბუნებრივია, რომ ბურჟუაზიულ დემოკრატებს ბოიკოტის საკითხის დაყენების ბიძგს აძლევდა არა მათი ბრძოლის საერთო პროგრამა, არა განსაზღვრული კლასების ინტერესები, არამედ უწინარეს ყოვლისა უხერხულობისა და სირცხვილის ბუნდოვანი გრძნობა იმ წინააღმდეგური, ყალბი

მდგომარეობის გამო, რომელშიც ისინი ვარდებიან. «როგორ-ღა უნდა მივიღოთ მონაწილეობა იმ საქმეში, რომელიც ჩვენ თვითონ გავაკრიტიკეთ?» — კითხულობდა ბ-ნი შიშკოვი. «ხალხი ხომ იმას იფიქრებს, რომ ჩვენ ვიწონებთ პროექტს». როგორც ხედავთ, ამ ლიბერალის თავში პირველივე აზრის გაელვება ბოიკოტის შესახებ უკავშირდება ხალხის საკითხს — ის ინსტინქტურად გრძნობს, რომ სათათბიროში წასვლა რაღაც ცუდს ნიშნავს სწორედ ხალხის მიმართ. მას თავი ვერ დაუღწევია ხალხთან ყოფნის კარგი სურვილის ნიშანწყლისაგან. მეორე ორატორი, ბ-ნი რაევსკი, საკითხს უფრო განყენებულად აყენებს: «ჩვენ ყოველთვის პრინციპულ ნიადაგზე ვიდექით, ხოლო ტაქტიკურ გზაზე კომპრომისს ვადგევართო. ისე გამოდის, ვითომ ბულიგინის პროექტი დავგმეთ, მაგრამ ჩვენ უკვე დიდი სურვილი აღგვეძრა ხალხის წარმომადგენლები გავხდეთ. არ დავდგებით ამ მოლიპულ გზაზე». ეს, რა თქმა უნდა, ბ-ნ რაევსკის პატარა ჰიპერბოლაა, ვინაიდან ოსვობოჟდენიელები არასდროს არ მდგარან პრინციპულ ნიადაგზე. არც ის არის სწორი, თითქოს საკითხი ამოიწურებოდეს მხოლოდ კომპრომისის ლიტონი უარყოფით: რევოლუციონერი-სოციალ-დემოკრატები, რომლებსაც შეთვისებული აქვთ მარქსიზმის არსი, შემთხვევას არ გაუშვებდნენ და ორატორს შენიშნავდნენ, რომ სასაცილოა აბსოლუტურად უარყოფა ცხოვრების მიერ ნაკარნახევი კომპრომისებისა, რომ საკითხის დედაარსი ეს კი არ არის, არამედ ის, რომ ცხადად შევიგნოთ და ყოველგვარ გარემოებაში განუხრელად დავისახოთ ბრძოლის მიზნები. მაგრამ, ვიმეორებთ, ბურჟუაზიული დემოკრატისათვის ძირითადად უცხოა საკითხის მატერიალისტური დაყენება. მისი ეჭვები — მხოლოდ იმის სიმპტომია, თუ რა ღრმა გათიშვა ხდება ბურჟუაზიული დემოკრატიის სხვადასხვა ფენის შიგნით.

ფრაზიორი ბ-ნი როდიჩევი, რომელმაც ბ-ნ რაევსკის შემდეგ ილაპარაკა, იოლად წყვეტს საკითხს: «თავის დროზე ჩვენ პროტესტს ვაცხადებდით ერობის ახალი დებულების წი-

ნააღმდეგ, მაგრამ ერობაში მაინც მივიღეთ მონაწილეობა... ჩვენ რომ ძალა შეგვწევდეს ბოიკოტის განსახორციელებლად, საჭირო იქნებოდა მისი გამოცხადებაო» («ძალის უქონლობა» იმით ხომ არ აიხსნება, უპატივცემულესო, რომ მესაკუთრეთა ინტერესები ეწინააღმდეგებიან თვითმპყრობელობასთან გადამჭრელ ბრძოლას და ეწინააღმდეგებიან აგრეთვე მუშებისა და გლეხობის ინტერესებს?)... «სამხედრო ხელოვნების პირველი წესია: დროზე გაქცევა»... (ღმერთმანი, სწორედ ასე თქვა ტვერის ლიბერალიზმის რაინდმა! და ამის შემდეგ ლიბერალები კიდევ დასცინიან კუროპატკინს). «ბოიკოტი იმ შემთხვევაში იქნება, თუ ჩვენ სათათბიროში შესვლისთანავე პირველ დადგენილებად გამოვიტანთ: «ჩვენ მივდივართ. ეს არ არის ნამდვილი წარმომადგენლობა, რომელსაც თქვენ უკვე ვეღარ შეელევით. მოგვეცით ნამდვილი წარმომადგენლობა». აი ეს იქნება ნამდვილი «ბოიკოტი» (რაღა თქმა უნდა! განა შეიძლება ამაზე უფრო «ნამდვილი» რამ იყოს ერობის ბალალაიკინისთვის[93], ვიდრე «მოგვეცის» თქმა? ტყვილად კი არ იცინოდნენ ისინი ასე მხიარულად, როცა ბ-ნი გოლოვინი უამბობდა მათ, რა «ადვილად გადააჯერა» მან მოსკოვის გუბერნატორი, თითქოს არსებობდა საშიშროება, რომ საერობო ყრილობა დამფუძნებელ კრებად გამოაცხადებდა თავს).

ბ-ნი კოლიუბაკინი ამბობდა: «წინა ორატორები საკითხს ასე აყენებდნენ: «ან ბულიგინის სათათბიროში წავიდეთ, ან გულზე ხელი დავიკრიფოთო» («ისკრა» სწორედ ისე სვამს საკითხს, როგორც ეს მონარქისტული ბურჟუაზიის მემარჯვენე ფრთის «წინა ორატორები»). უნდა მივმართოთ მოსახლეობას, რომელიც ერთიანად ბულიგინის სათათბიროს წინააღმდეგ იქნება... მიმართეთ ხალხს, განახორციელეთ საქმით სიტყვისა და კრებების თავისუფლება. მაგრამ, როცა ურიგო დაწესებულებაში მიდიხართ, თავს იღუპავთ. თქვენ იქ უმცირესობაში იქნებით, და მოსახლეობის თვალში მას თავი მოეჭრება». ამ სიტყვაში კვლავ იგრძნობა ბოიკოტის იდეის კავშირი გლეხობისადმი მიმართვასთან, ამ იდეის მნიშვნელო-

ბა, როგორც მეფისთვის ზურგის შექცევა და ხალხისკენ მობრუნება. და ბ-ნი შჩეპკინიც სანაქებო გულახდილობით იჩქარის უპასუხოს ბ-ნ კოლიუბაკინს, რომლის სიტყვებს ის ასე ღრმად ჩასწვდა: «არა უშავს რა, თუ ჩვენ ხალხის თვალში შეცდომას ჩავიდენთ, საქმეს კი ვუშველით» (...ბ ურ ჟ უ ა ზ ი ი ს ს ა ქ მ ე ს ო, შესძახებდნენ, ალბათ, მუშები ორატორს, ამ კეთილშობილ კრებას რომ დასწრებოდნენ). «მე არ ვდავობ იმაზე, რომ, შეიძლება, ჩვენ მალე დავადგეთ რევოლუციურ გზას. მაგრამ ბიუროს პროექტს (ბოიკოტის საწინააღმდეგო რეზოლუციის პროექტს) სურს ასცდეს ამას, რადგან ჩვენ არც აღზრდით და არც სიმპათიებით» (კლასობრივი აღზრდით, კლასობრივი სიმპათიებით) «რევოლუციონერები არა ვართო».

ბრძნულად მსჯელობს ბ-ნი შჩეპკინი! მას ყველა ახალისკრელზე, ერთად რომ ავიღოთ, უკეთ ესმის, რომ აქ თავიდათავია არა საშუალებათა არჩევა, არამედ მიზანთა განსხვავება. უნდა «ვუშველოთ» წესიერების «საქმეს», აი დედააზრი. რისკი არ უნდა გავწიოთ რევოლუციურ გზაზე დადგომით, რასაც შეუძლია მუშებისა და გლეხების გამარჯვება გამოიწვიოსო.

სამაგიეროდ ტკბილმოუბარი და ლაქლაქა ბ-ნი დე-რობერტი სავსებით, სავსებით ახალისკრელივით ლაპარაკობს: «რა უნდა ვქნათ, თუ პროექტი, თავისი უვარგისობის გამო, კანონი გახდება? შეიარაღებული აჯანყება მოვაწყოთ?» (როგორ შეიძლება «სათათბიროსთან აჯანყების დაკავშირება», რას ბრძანებთ, ბ-ნო რობერტი!? რა სამწუხაროა, რომ არ იცნობთ ჩვენს ბუნდს, ის აგიხსნიდათ, რომ ამის დაკავშირება არ შეიძლება.) «აჯანყება, ვფიქრობ, ადრე თუ გვიან უსათუოდ მოხდება. დღეს კი წინააღმდეგობა უნდა იყოს ან უბრალო პასიური, ან პასიური, მაგრამ მუდამ მზად მყოფი აქტიური გახდეს». (ოჰ, რა საყვარელი რადიკალია! აი ვის შეჰფერის ისარგებლოს ახალი «ისკრის» ლოზუნგით: «რევოლუციური თვითმმართველობა», — მერწმუნეთ, ის აქ ისეთ არიებს დას-

ჭექდა, ისეთ არიებს...)... «მანდატები მიეცეს მხოლოდ იმათ, ვინც იმ გადაწყვეტილებით წავა, რომ რადაც უნდა დაჯდეს გადატრიალება მოახდინოს». ხედავთ, რა ბიჭები არიან! განა მართალი არ ვიყავით, როცა ვამბობდით, პარვუსი შეხვდა და ჩაეკონა აი ასეთს ოსვობოჟდენიელსაო? რომ ახალი «ისკრა» წამოეგო ტკბილმოუბარ მემამულეთა ლამაზ სიტყვებსაო?

«პროლეტარი» № 20,
1905 წ. 10 ოქტომბერი (27 სექტემბერი)

იბეჭდება გაზეთ
«პროლეტარის» ტექსტის
მიხედვით

პარტიული გაერთიანების საკითხისათვის [94]

ჩვენ, ჩვენი მხრივ, შეგვიძლია მხოლოდ მივეგებოთ ცენტრალური კომიტეტის მიერ საკითხის სრულიად ნათლად და გარკვეულად დაყენებას. ან პარტიასთან შეერთება III ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, ან გამაერთიანებელი ყრილობა. საბოლოო არჩევანი საორგანიზაციო კომისიამ უნდა მოახდინოს. თუ ის უარყოფს პარტიაში შესვლას III ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, მაშინ ახლავე უნდა შევუდგეთ გამაერთიანებელი ყრილობის მომზადებას და პირობების შემუშავებას. ამისთვის საჭიროა, ჯერ-ერთი, უცილობელი სიზუსტით და ფორმალურად გამოეცხადოს ორივე მხარეს, რომ პრინციპულად აუცილებლად მიგვაჩნია ორი ყრილობის მოწვევა ერთსა და იმავე დროს და ერთსა და იმავე ადგილას; მეორე, აგრეთვე ფორმალურად იქნას გარკვეული, რომ პარტიის თვითეული ნაწილის ყველა ორგანიზაცია უსათუოდ დაემორჩილება თავისი ნაწილის ყრილობის გადაწყვეტილებებს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ორივე ყრილობას უნდა ჰქონდეს გადამწყვეტი და არა სათათბირო მნიშვნელობა პარტიის სათანადო ნაწილისათვის; მესამე, აუცილებელია წინასწარ გარკვევით დავადგინოთ, სახელდობრ რა პრინციპების მიხედვით ხდება ყრილობათა მოწვევა, ე. ი. სახელდობრ რომელი ორგანიზაციებისგან რამდენი დელეგატი იქნება გადამწყვეტი ხმით (2 და 3 მუხლი პარტიის იმ ნაწილისთვის, რომელმაც III ყრილობა სცნო, განსაზღვრულია III ყრილობაზე მიღებული რსდმპ წესდებით); მეოთხე, დაუყოვ-

ნებლივ უნდა დაიწყოს მოლაპარაკება ყრილობის დროისა და ადგილის შესახებ (ორი ყრილობის ერთ ყრილობად შეერთების პირობებსა და შეერთების მომენტზე თვითონ ყრილობები გამოიტანენ დადგენილებას); მეხუთე, მეტად. მნიშვნელოვანია ახლავე შევუდგეთ შეერთების ფრიად ზუსტი და დეტალური პროექტის შემუშავებას, რომელიც გადასაწყვეტად უნდა წარედგინოს ორივე ყრილობას. ეს საქმე მეტისმეტად საჭიროა. როგორც სხვა პარტიებისა, ისე ჩვენი პარტიის გამოცდილება ნათლად გვიჩვენებს, რომ თუ გაერთიანების პროექტი ან პროექტები წინასწარ არ იქნა მომზადებული, გამოქვეყნებული და ყოველმხრივ განხილული, ყრილობებს არავითარი შესაძლებლობა არ ექნებათ ესოდენ ძნელი საკითხი გადაწყვიტონ.

ამრიგად, ახლა ჯერი საორგანიზაციო კომისიაზეა, და მის გადაწყვეტილებებს მოუთმენლად მოელოდება გაერთიანების ყველა მომხრე.

«პროლეტარი» № 20,
1905 წ. 10 ოქტომბერი (27 სექტემბერი)

იბეჭდება გაზეთ
«პროლეტარის» ტექსტის
მიხედვით

გაჯავრებული პასუხი

ჩვენმა სტატიამ: «თვითწარმოშობის თეორია» («პროლეტარი» № 16) * ბუნდის მეტად გაჯავრებული პასუხი გამოიწვია. მას გაჯავრების სიტყვების საკუთარი მარაგიც კი არ ეყო და უხეში პოლემიკის ცნობილი მოწინააღმდეგის — პლეხანოვისაგან ისესხა. რაშია საქმე? რისთვის გვიწყრება ბუნდი? იმისთვის, რომ ჩვენ, ერთი მხრივ, აღვნიშნეთ ირონიის შესაძლებლობა ბუნდის მხრივ «ისკრის» შექებაში, ხოლო, მეორე მხრივ, სასაცილოდ ავიგდეთ ბუნდის სოლიდარობა «ისკრასთან» მთელ რიგ მუხლებში. ამ ორჭოფობას ბუნდი ჩვენ გვახვევს თავს და გვაბრალებს ოინბაზობას და სხვ. კრინტსაც არა ძრავს ბუნდის უსათუოდ არაირონიული და ამდენადვე უსათუოდ არასწორი არგუმენტების მთელი ჩვენი განხილვის შესახებ. რატომ მიჩქმალა ბუნდმა მისგანვე აღძრული საკითხის ეს არსებითი განხილვა? იმიტომ, რომ ამ განხილვიდან ჩანს თვით ბუნდის პოზიციის ორჭოფობა; მან, ერთი მხრივ, უარყო «ისკრის» ტაქტიკა «სათათბიროს» მიმართ, ხოლო, მეორე მხრივ, ფრიად სერიოზულად გაიმეორა «ისკრის» მთელი რიგი შეცდომები. ის, რასაც გაჯავრებული ბუნდი ჩვენი ორჭოფობით ხსნის, ნამდვილად აიხსნება ბუნდის ორჭოფი პოზიციით იმ საკითხში, თუ რა ლოზუნგი წამოვაყენოთ: დამფუძნებელი კრება მოიწვიოს დროებითმა რევოლუციურმა მთავრობამ, მეფემ თუ სახელმწიფო სათათბირომ, ან იქნებ

* იხ. ეს ტომი, გვ. 297 — 304. რედ.

წამოვაყენოთ ამ დამფუძნებელი კრების თვითწარმოშობის ლოზუნგი. ჩვენ ცხადვყავით, რომ ბუნდი ა მ ს ა კ ი თ ხ შ ი დ ა ი ბ ნ ა. პირდაპირი პასუხი ბუნდს დღემდისაც არ გაუცია ამ კითხვაზე. და თუ ახლა ბუნდი ილანძღება იმის გამო, რომ ის სარკეში ჩავახედეთ, ჩვენ ვუპასუხებთ ანდაზით: «რაღასა ერჩი სარკესა, თუ...».

«პროლეტარი» № 20,
1905 წ. 10 ოქტომბერი (27 სექტემბერი)

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

ახალი მენშევიკური კონფერენცია

ჩვენ გამოგვიგზავნეს მენშევიკთა «სამხრეთის დამფუძნებელი (!?) კონფერენციის» ჰექტოგრაფირებული რეზოლუციები[95]. ყველაზე მნიშვნელოვან რეზოლუციას (სახელმწიფო სათათბიროს შესახებ) ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით. ჯერჯერობით კი აღვნიშნავთ, რომ «სათათბიროს» ისკრული ტაქტიკის ორი მთავარი მუხლიდან კონფერენციამ ამოაგდო «ზეგავლენის მოხდენა, რათა სახელმწიფო სათათბიროში არჩეულ იქნან გაბედულნი» (მარტოვის, ჩერევანინის, პარვუსის ყაიდისა), მაგრამ მიიღო «დამფუძნებელი კრების საყოველთაო სახალხო არჩევნების მოწყობა». «ისკრის» რედაქციის შემადგენლობის საკითხზე მიღებულია სამი რეზოლუცია, მაგრამ საკითხი მაინც გადაუწყვეტელი დარჩა. ერთი რეზოლუცია აქსელროდს სთხოვს არ გავიდეს რედაქციიდან, მეორე — პლეხანოვს სთხოვს დაბრუნდეს რედაქციაში (მასთან კონფერენცია, — ალბათ, ოხუნჯობის სურვილის გარეშე — «გაკვირვებას» გამოთქვამს პლეხანოვის გასვლის გამო), მესამე — მადლობას უძღვნის «ისკრას», სრულ ნდობას უცხადებს მას და სხვ., მაგრამ რედაქციის შემადგენლობის საკითხი «საბოლოოდ გადასაწყვეტად გადააქვს სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კონფერენციაზე». როგორც ვიცით, «სრულიად რუსეთის პირველმა კონფერენციამ» საკითხის გადაწყვეტა ადგილობრივ ორგანიზაციებს «მიანდო». ადგილობრივ ორგანიზაციებს გადასაწყვეტად «გადააქვთ» დ ა მ ფ უ ძ ნ ე ბ ე ლ კონფერენციაზე... ამას ეწოდება, ალბათ, ბიუროკრატიზმის და ფორმალიზმის განდევნა... ხოლო სანამ საქმე გაირჩეოდეს,

«ისკრა» სარგებლობს ცენტრალური ორგანოს სახელწოდებით, რომელიც მისთვის მის მომხრეებსაც კი არ მიუნიჭებიათ. ხელსაყრელი პოზიციაა, რაღა თქმა უნდა!

სამხრეთის კონფერენციის ორგანიზაციული წესდება უკვე ცნობილი წესდების ასლია, თუმცა მცირეოდენი ცვლილებებით; დამატებულია §: «პარტიის უმაღლესი ორგანო პარტიული ყრილობებია, რომელნიც შეძლებისდაგვარად იკრიბებიან წელიწადში ერთხელ». მხურვალედ მივესალმებით ამ გაუმჯობესებას. ახალი და მშვენიერი მუხლის გამო, რომ «ც. კ-ს ირჩევს ყრილობა», მშვენიერი სურვილიხ გამო, რომ რედაქციის შემადგენლობის საკითხიც (თუნდაც მომავლისთვის მაინც) ყრილობაზე წყდებოდესო, ეს გაუმჯობესება ამტკიცებს III ყრილობის გადაწყვეტილებებისაკენ მობრუნებას. იმედი ვიქონიოთ, რომ კიდევ ოთხიოდე თვის შემდეგ მოწვეული «დამფუძნებელი» კონფერენცია დააწესებს აგრეთვე ყრილობების, პარტიის ამ უმაღლესი ორგანოების, მოწვევის წესსაც... გაერთიანების საკითხს კონფერენცია, სამწუხაროდ, შორიახლოს უვლის და არ ამბობს პირდაპირ: გსურთ გაერთიანება III ყრილობის საფუძველზე თუ არა? თუ არა გსურთ, მაშინ გსურთ მოამზადოთ ორი ყრილობა ერთსა და იმავე დროს და ერთსა და იმავე ადგილას თუ არა? იმედი ვიქონიოთ, რომ შემდგომი «დამფუძნებელი» კონფერენცია (ნეტავი ოთხ თვეზე ადრე მოხდებოდეს!) გადაწყვეტს ამ საკითხს.

«პროლეტარი» № 20,
1905 წ. 10 ოქტომბერი (27 სექტემბერი)

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

რსდმპ წარმომადგენლობა საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში

მენშევიკთა «სამხრეთის დამფუძნებელმა კონფერენციამ» ამ საკითხზე შემდეგი რეზოლუცია მიიღო: «გაეცნო რა დოკუმენტებს, საიდანაც ჩანს, რომ ამხ. ლენინს არავითარი ნაბიჯი არ გადაუდგამს «უმცირესობასთან» შესათანხმებლად ინტერნაციონალურ ბიუროში რსდმპ წარმომადგენლობის საკითხზე, ეს საკითხი იქ პარტიის ორ ნაწილს შორის ბრძოლის საგნად გაუხდია და პირველ რიგში წვრილმანი ფრაქციული უთანხმოებანი წამოუყენებია, სამხრეთის ორგანიზაციების კონფერენცია ამის გამო დიდ სინანულს გამოთქვამს და ამასთანავე სთხოვს ამხ. პლეხანოვს დარჩეს პარტიის ჩვენი ნაწილის წარმომადგენლად ინტერნაციონალურ ბიუროში; კონფერენცია ამასთანავე წინადადებით მიმართავს «უმრავლესობის» ყველა ორგანიზაციას დაუყოვნებლივ გამოთქვან თავიანთი აზრი ამ საკითხზე და თავის მხრივ ასეთი წარმომადგენლობის რწმუნება მისცენ ამხ. პლეხანოვს იმ ერთიანობის გულისთვის, რომლისადმიც ჩვენ მივისწრაფით, და ყველა სხვა ქვეყნის ყველა სხვა სოციალისტური პარტიის წინაშე რსდმპ-ის ყველა ჩვენგანისათვის თანაბრად ძვირფასი პრესტიჟის დასაცავად».

ეს რეზოლუცია ქვემორე ხელის მომწერს ავალდებულებს განმარტოს საქმის ფაქტიური ვითარება: 1) შეუძლებელია მენშევიკებმა არ იცოდნენ, რომ ყველა და ყოველგვარი შეთანხმება დამოკიდებულია რუსეთში მყოფ ც. კ.-ზე. როცა განზრახ მარტოოდენ «ამხ. ლენინზე» ლაპარაკობენ, ისინი სი-

მართლეს არ ამბობენ. 2) III ყრილობის დამთავრებისთანავე ც. კ.-ის ორმა რუსეთში მყოფმა წევრმა მიმართეს პირადად პლეხანოვს და სურვილი გამოთქვეს, რომ მას ეკისრნა საერთაშორისო ბიუროში რსდმპ წარმომადგენლობაც და მეცნიერული ორგანოს რედაქტორობაც. პლეხანოვმა უარი განაცხადა. ფრაზა «არავითარი ნაბიჯი»... ჭეშმარიტების გვერდის ავლაზეა აგებული. 3) როცა პლეხანოვი ამ უარისთქმის შემდეგ «ისკრის» რედაქციიდან გამოვიდა, მან რსდმპ ც. კ.-ს ა დ მ ი მ ი უ მ ა რ თ ა ვ ა დ პრესაში განაცხადა (29 მაისს), დავთანხმდები მ ხ ო ლ ო დ რსდმპ ორივე ნაწილის წარმომადგენლობასაო და პრესის საშუალებითვე შეეკითხა იმათ, ვინც III ყრილობას სცნობდა, თანხმობის შესახებ. 4) «პროლეტარის» რედაქციამ მაშინვე გადაბეჭდა (№ 5-ში, 26 (13) ივნისს) პლეხანოვის განცხადება და თან დასძინა, საკითხი ც. კ.-შია დასმული გადასაწყვეტადაო. 5) სანამ ცენტრალური კომიტეტი ამ საკითხს გადაწყვეტდა, მე ც. კ.-ის სახელით დავუკავშირდი საერთაშორისო ბიუროს, რათა საერთაშორისო ბიუროსთვის გამეცნო III ყრილობის ვითარება, ხოლო ც. კ.-თვის — საერთაშორისო ბიუროს მუშაობა, ამასთანავე განვაცხადე, საერთაშორისო ბიუროში რსდმპ წარმომადგენლობის საკითხი ჯერჯერობით კიდევ არ არის გადაწყვეტილი-მეთქი *. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ბიუროში სპეციალური წარმომადგენლის საკითხის გადაწყვეტამდე ც. კ. საერთაშორისო ბიუროს დაუკავშირდა თავისი საზღვარგარეთელი წარმომადგენლის მეშვეობით. 6) როცა საერთაშორისო ბიუროში პირდაპირ და გარკვეულად განვაცხადე, რომ ჩემი ურთიერთობა მასთან დროებითი ხასიათისა იყო, მე «ბრძოლის» და «უთანხმოების» ა რ ა ვ ი თ ა რ ი საკითხი არ წამომიყენებია, მხოლოდ და მხოლოდ ვაცნობე III ყრილობის გადაწყვეტილებები; მე ვალდებული ვიყავი ეს უსათუოდ გამეკეთებინა. 7) პლეხანოვმა 16 ი ვ ნ ი ს ს საერთაშორისო ბიუროს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ის (ა) შეცდომით ამტკიცებდა, უკვე ორივე ფრაქციის წარმომადგენლობის რწმუნება მაქვსო, და (ბ) მოუთხ-

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 8, გვ. 537. რ ე დ.

რობდა გათიშვის ისტორიას II ყრილობის დროიდან, მოუთხრობდა ისე, რომ ჭეშმარიტებას სცილდებოდა მთელ რიგ შემთხვევაში მთლად მენშევიკურად, ცენტრალური კომიტეტის მიერ III ყრილობის მოწვევას უწოდა «სრულიად თვითნებური აქტი», ჩვენი პარტიის შემარიგებლები გამოაცხადა «ჭაობად» და ამბობდა, ყრილობაზე «სრულუფლებიანი ორგანიზაციები «რაღაც ნახევარს» შეადგენდნენო», ყრილობა «ულტრაცენტრალისტების და ჭაობის შეერთება» იყოო და სხვ.

8) პლეხანოვის ეს წერილი მუხლობრივად გავაბათილე წერილში საერთაშორისო ბიუროსადმი 1905 წლის 24 ივლისს* (პლეხანოვის წერილის შესახებ მე გავიგე მისი გაგზავნიდან მხოლოდ ერთი თვის შემდეგ, როცა საერთაშორისო ბიურომ მისი წერილის ასლი გამომიგზავნა). «ჭაობის» საკითხზე ჩემს წერილში ვწერდი: «მართალია ის, რომ ჩვენს პარტიაში არის «ჭაობი». მისი წევრები შინაპარტიულ ბრძოლაში მუდამ ერთი მხარიდან მეორე მხარეზე გადადიოდნენ. პირველი ასეთი გადამრბენი იყო პლეხანოვი, რომელიც 1903 წლის ნოემბერს უმრავლესობიდან უმცირესობის მხარეზე გადავიდა, ხოლო 1905 წლის 29 მაისს უმცირესობას ჩამოშორდა და «ისკრის» რედაქციიდან გავიდა. ჩვენ არ მოგვწონს ეს გადასვლა-გადმოსვლა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ჩვენ დანაშაულად ვერ ჩაგვეთვლება, თუ არამტკიცე ადამიანები, «ჭაობის» წევრნი, ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ ჩვენს მხარეზე გადმოსვლის მიდრეკილებას იჩენენ». გათიშვის შემდეგ არსებული მდგომარეობის საკითხზე მე იმავე წერილში აღვნიშნავდი, რომ აუცილებელია საერთაშორისო ბიუროს ჰქონდეს «კონფერენციის ყველა რეზოლუციის სრული თარგმანი»-მეთქი. «თუ «ისკრა» არ მოისურვებს გაუგზავნოს ბიუროს ეს თარგმანი, — დავძენდი მე, — მზად ვართ ეს შრომა ჩვენ ვიკისროთ»-მეთქი.

დაე თვითონ მკითხველებმა განსაჯონ ახლა, ჰგავს თუ არა პლეხანოვის საქციელი პირუთვნელობას, ხოლო საქმის ვითარების გადმოცემა ახალი კონფერენციის მიერ — სიმართლეს?

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 164 — 169. რ ე დ.

ვისი ბრალია რსდმპ პრესტიჟის შერყევა? ვინ ითავა საერთაშორისო ბიუროსთვის გაეცნო II ყრილობის შემდეგ მომხდარი გათიშვის ისტორია? ვინ აყენებს წინ «ფრაქციულ უთანხმოებას»??

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

P. S. * სამხრეთის კონფერენციის სურვილის შესასრულებლად — იცოდეს უმრავლესობის ორგანიზაციების აზრი, ქვემოთ იბეჭდება რსდმპ კოსტრომის კომიტეტის [96] რეზოლუცია, გამოგზავნილი 1905 წლის აგვისტოში. სხვა რეზოლუციები ამ საკითხზე რედაქციას არ მიუღია.

«პროლეტარი» № 20,
1905 წ. 10 ოქტომბერი (27 სექტემბერი)

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

---

* — Postscriptum — მინაწერი. რ ე დ.

მკითხველებთან საუბრიდან [97]

ვბეჭდავთ ამონაწერებს ამხანაგის, ჩვენი პარტიის ერთ-ერთი კომიტეტის წევრის, წერილიდან. ეს ამხანაგი ერთი იმ მცირერიცხოვან პირთაგანია, რომლებიც არათუ კორესპონდენტობენ ც. ო.-ში, არამედ კიდევაც საუბრობენ იმაზე, თუ როგორ ესმით მ ა თ ტაქტიკა, თ ვ ი თ ო ნ როგორ ახორციელებენ მას. თუ არ ასეთი საუბრები, რომელნიც სპეციალურად პრესისათვის სულაც არ არიან დანიშნული, შეუძლებელია სოლიდარული პარტიული ტაქტიკის ერთად შემუშავება. პრაქტიკოსებთან ასეთ აზრთა გაუცვლელად საზღვარგარეთული გაზეთის რედაქცია ვერასდროს ვერ გამოხატავს სინამდვილეში მთელი პარტიის ხმას. ამიტომაც ვბეჭდავთ ჩვენ იმ ამხანაგის აზრს, რომელიც იცნობს უახლესი ლიტერატურის მხოლოდ მცირე ნაწილს და გვსურს სურვილი აღვუძრათ რაც შეიძლება მეტ ამხანაგ-პრაქტიკოსებს ასეთი საუბრებისა და აზრთა გაცვლისათვის ყველა პარტიულ საკითხზე.

«პროლეტარი» № 20,
1905 წ. 10 ოქტომბერი (27 სექტემბერი)

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

სისხლისმღვრელი დღეები მოსკოვში[98]

ჟენევა, 1905 წ. 10 ოქტომბერი (27/IX).

მოსკოვში ხელახლა იფეთქა მუშათა აჯანყებამ — მასობრივმა გაფიცვამ და ქუჩის ბრძოლამ. დედაქალაქში 9 იანვარს პირველად დაიქუხა პროლეტარიატის რევოლუციურმა გამოსვლამ. ამ ჭექა-ქუხილის გრგვინვა მთელ რუსეთში გაისმა და წინათ გაუგონარი სისწრაფით გიგანტური ბრძოლისათვის აამხედრა მილიონზე მეტი პროლეტარი. პეტერბურგს მიჰყვნენ განაპირა მხარეები, სადაც ნაციონალურმა ჩაგვრამ კიდევ უფრო გაამწვავა ისედაც აუტანელი პოლიტიკური ჩაგვრა. რიგა, პოლონეთი, ოდესა, კავკასია ერთიმეორის მიყოლებით აჯანყების კერებად იქცნენ; აჯანყება თვიდან თვემდე, კვირიდან კვირამდე ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა. ახლა საქმე მიდგა რუსეთის ცენტრამდე, «ჭეშმარიტი რუსული» ოლქების შუაგულამდე, რომლებიც თავიანთი სიმტკიცით ყველაზე მეტხანს გულს უჩვილებდნენ რეაქციონერებს. რუსეთის ცენტრის ამ შედარებითი სიმტკიცის, ე. ი. ჩამორჩენილობის მიზეზია მთელი რიგი გარემოება: უფრო ნაკლებ განვითარებული ფორმებიც მსხვილი მრეწველობისა, რომელშიაც ჩაბმულია დიდძალი მუშათა მასები. მაგრამ მას უფრო ნაკლებ აქვს კავშირი გაწყვეტილი მიწასთან, უფრო ნაკლებ უყრის იგი თავს პროლეტარიატს ინტელექტუალურ ცენტრებში; — მეტი დაშორებაც საზღვარგარეთთან; — ნაციონალური შუღლის არარსებობაც. მუშათა მოძრაობა, რომელმაც ჯერ კიდევ 1885 — 1886 წლებში ასეთი სიძლიერით იჩინა თავი ამ რაიონში, თითქოს დიდი ხნით ჩაკვდა, და სოციალ-დემოკრატების ყოველგვარი ღონის-

ძიება ათჯერ და ასჯერ დამსხვრეულა მუშაობის ადგილობრივი მძიმე პირობების წინააღმდეგობის გამო.

მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ცენტრიც შეინძრა. ივანოვო-ვოზნესენსკის გაფიცვამ [99] მოულოდნელად ცხადყო მუშების მაღალი პოლიტიკური სიმწიფე. ამ გაფიცვის შემდეგ მღელვარება მთელს ცენტრალურ სამრეწველო რაიონში განუწყვეტლივ ძლიერდებოდა და ფართოვდებოდა. ახლა ამ მღელვარებამ გარეთ გადმოხეთქა და აჯანყებად გადაქცევა იწყო. ეჭვს გარეშეა, აფეთქება კიდევ უფრო გაამწვავა მოსკოვის რევოლუციურმა სტუდენტობამ, რომელმაც ახლახან მიიღო პეტერბურგის რეზოლუციის სრულიად ანალოგიური რეზოლუცია; იგი სამარცხვინო ბოძზე აკრავს სახელმწიფო სათათბიროს და მოუწოდებს რესპუბლიკისათვის საბრძოლველად, დროებითი რევოლუციური მთავრობის შესაქმნელად. «ლიბერალმა» პროფესორებმა, რომლებმაც ეს-არის ახლა აირჩიეს ულიბერალესი რექტორი, ყბადაღებული ბ-ნი ტრუბეცკოი, პოლიციის მუქარის ზეგავლენით უნივერსიტეტი დახურეს: როგორც თვითონ ამბობენ, მათ თითქოს შეეშინდათ უნივერსიტეტის კედლებში თბილისის ხოცვა-ჟლეტის [100] განმეორებისა. მათ დააჩქარეს მხოლოდ სისხლისღვრა ქუჩებში, უნივერსიტეტის გარეთ.

რამდენდაც შეგვიძლია განვსაჯოთ საზღვარგარეთული გაზეთების მოკლე სადეპეშო ცნობების მიხედვით, მოსკოვში ამბების მსვლელობა «ჩვეულებრივი» იყო, რაც, ასე ვთქვათ, ნორმად შემოვიდა 9 იანვრის შემდეგ. დაიწყო ასოთამწყობთა გაფიცვით, რომელიც სწრაფად გაფართოვდა. შაბათს, 24 სექტემბერს (7 ოქტომბერს), უკვე აღარ მუშაობდნენ სტამბები, ტრამვაი, თამბაქოს ქარხნები. გაზეთები არ გამოსულა. მოელოდნენ ქარხნებისა და რკინიგზელი მუშების საყოველთაო გაფიცვას. საღამოს შესდგა დიდი მანიფესტაციები, რომლებშიც ასოთამწყობთა გარდა მონაწილეობას იღებდნენ სხვა პროფესიების მუშებიც, სტუდენტები და სხვანი. კაზაკებმა და ჟანდარმებმა ბევრჯერ გარეკეს მანიფესტანტები, მაგრამ ისინი კვლავ იკრიბებოდნენ. მრავალი პოლიციელი დაიჭრა. მანიფესტანტები ქვებს უშენდნენ და რევოლვერებს ისროდნენ.

მძიმედ დაიჭრა ოფიცერი, რომელიც ჟანდარმებს მეთაურობდა. მოკლულია კაზაკთა ერთი ოფიცერი, ერთი ჟანდარმი და სხვ.

შაბათს გაფიცვას შეუერთდნენ პურისმცხობლები.

კვირას, 25 სექტემბერს (8 ოქტომბერს) ამბებმა ერთბაშად მრისხანე ხასიათი მიიღეს. დილის 11 საათიდან დაიწყო მუშების თავმოყრა ქუჩებში, — განსაკუთრებით სტრასტნი ბულვარსა და სხვა ადგილებში. ხალხი მარსელიეზას მღეროდა. ის სტამბები, რომლებიც უარს ამბობდნენ გაფიცვაზე, გაანადგურეს. კაზაკები მანიფესტანტების გაფანტვას ახერხებდნენ მხოლოდ ფრიად მედგარი წინააღმდეგობის შემდეგ.

ფილიპოვის მაღაზიის წინ, გენერალ-გუბერნატორის სახლთან, თავი მოიყარა 400 კაცმა, უმთავრესად მეფუნთუშე-ქარგლებმა. კაზაკებმა იერიში მიიტანეს ხალხზე. მუშები შეიჭრნენ სახლებში, ავიდნენ სახურავებზე და იქიდან ქვები დაუშინეს კაზაკებს. კაზაკები ესროდნენ სახურავს და, რადგან მუშების განდევნა ვერ შესძლეს, მათ ნამდვილ გარემოცვას მიმართეს. სახლს ალყა შემოარტყეს, პოლიციის რაზმმა და გრენადერთა ორმა ასეულმა შემოუარეს სახლს, შეიჭრნენ შიგ უკანა მხრიდან და ბოლოს და ბოლოს სახურავიც დაიკავეს. დაპატიმრებულია 192 ქარგალი. დაპატიმრებულთაგან რვა დაჭრილია; ორი მუშა მოკლულია (ვიმეორებთ, ყოველივე ეს მხოლოდ და მხოლოდ საზღვარგარეთული გაზეთების სადეპეშო ცნობებია, რასაკვირველია, დიდად დაშორებულია ჭეშმარიტებას და მხოლოდ დაახლოებითს წარმოდგენას იძლევა ბრძოლის მასშტაბზე). ბელგიის ერთ დიდ გაზეთს მოჰყავს ცნობა, მეეზოვები გულმოდგინედ წმენდნენ სისხლის კვალს ქუჩებშიო; ეს წვრილმანი ცნობა — ამბობს ის — ვრცელ ანგარიშებზე მეტს მეტყველებს ბრძოლის სერიოზულობის შესახებო.

ტვერის ქუჩაზე მომხდარი ხოცვა-ჟლეტის შესახებ, როგორც ჩანს, პეტერბურგის გაზეთებს ნება დართეს დაეწერათ. მაგრამ უკვე მეორე დღეს ცენზურას შეეშინდა გახმაურებისა. ორშაბათის, 26 სექტემბრის (9 ოქტომბრის) ოფიციალური დეპეშები იტყობინებოდნენ, მოსკოვში არავითარი სერიოზული მღელვარება არ ყოფილაო. მაგრამ პეტერბურგის გაზეთების

რედაქციებში ტელეფონით სულ სხვა ცნობები მოდიოდა. ხალხი, თურმე, კვლავ თავს იყრიდა გენერალ-გუბერნატორის სახლთან. ცხარე შეტაკებები იყო. კაზაკებს არა ერთხელ უსროლიათ. როცა ისინი დაქვეითდნენ სროლისთვის, მათმა ცხენებმა მრავალი ადამიანი გასრისა. საღამოს მუშები გუნდებად ავსებდნენ ბულვარებს რევოლუციური ძახილით და გაშლილი წითელი დროშებით, ხალხი ტეხდა ფურნეებსა და იარაღის მაღაზიებს. ბოლოს და ბოლოს პოლიციამ ხალხი გაფანტა. ბევრია დაჭრილი. ცენტრალური ტელეგრაფის სადგურს ჯარისკაცთა ასეული იცავს. მეფუნთუშეების გაფიცვამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. მღელვარება სტუდენტებში კიდევ უფრო ძლიერდება, კრებები უფრო და უფრო ხალხმრავალი და რევოლუციური ხდება. «ტ ა ი მ ს ი ს» პეტერბურგელი კორესპონდენტი იტყობინება პეტერბურგის პროკლამაციებზე, რომლებიც ბრძოლისაკენ მოუწოდებენ, იქაური მეფუნთუშეების მღელვარებაზე, იმაზე, რომ შაბათისთვის, 1 (14) ოქტომბრისთვის, დანიშნულია დემონსტრაციაო, ხალხში მეტისმეტად მშფოთვარე განწყობილება არისო.

თუმცა ეს ცნობები მეტად მცირეა, მაგრამ მაინც საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მოსკოვის აჯანყება, სხვა აჯანყებებთან შედრებით, არ წარმოადგენს მოძრაობის უმაღლეს საფეხურს. აქ არ არის არც წინასწარ მომზადებული და კარგად შეიარაღებული რევოლუციური რაზმების გამოსვლა, არც ხალხის მხარეზე ჯარის თუნდაც განსაზღვრული ნაწილების გადასვლა, არც სახალხო იარაღის «ახალ» სახეობათა — ყუმბარების (რომლებმაც თბილისში 26 სექტემბერს (9 ოქტომბერს) დიდი პანიკა გამოიწვია კაზაკებსა და ჯარისკაცებში) ფართოდ გამოყენება. რომელიმე ამ პირობის არარსებობისას შეუძლებელი იყო იმედი გვქონოდა როგორც მუშების დიდი რაოდენობის შეიარაღებისა, ისე აჯანყების გამარჯვებისა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოსკოვის ამბების მნიშვნელობა სულ სხვაა: ისინი მომასწავებელია დიდი ცენტრის საბრძოლო ნათლობისა, უდიდესი სამრეწველო რაიონის სერიოზულ ბრძოლაში ჩაბმისა.

რუსეთში აჯანყების ზრდა არ ხდება და, რა თქმა უნდა, არც შეიძლება ხდებოდეს თანაბარი და სწორი აღმავლობით. პეტერბურგში 9 იანვრის უმთავრესი მხარე იყო ერთსულოვანი სწრაფი მოძრაობა გიგანტური მასებისა, რომლებიც შეიარაღებული არ იყვნენ და არც საბრძოლველად გამოვიდნენ, მაგრამ ბრძოლის უდიდესი გაკვეთილი მიიღეს. პოლონეთსა და კავკასიაში მოძრაობა განსხვავდება უდიდესი შეუპოვრობით, იქ შედარებით უფრო ხშირად იყენებს მოსახლეობა იარაღსა და ყუმბარებს. ოდესაში განმასხვავებელი ნიშანი იყო ჯარის ნაწილის გადასვლა აჯანყებულთა მხარეზე. ყველა შემთხვევაში და ყოველთვის მოძრაობა ძირითადად იყო პროლეტარული, განუყრელად დაკავშირებული მასობრივ გაფიცვასთან. მოსკოვში მოძრაობამ იმავე ფარგლებში ჩაიარა, როგორც მთელ რიგ სხვა, უფრო ნაკლებ მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრებში.

ახლა ჩვენს წინაშე ბუნებრივად იბადება კითხვა: შეჩერდება თუ არა რევოლუციური მოძრაობა განვითარების ამ, უკვე მიღწეულ, «ჩვეულებრივად» ქცეულ და ნაცნობ სტადიაზე, თუ უმაღლეს საფეხურზე ავა? თუ გავბედავთ და მივუდგებით ესოდენ რთულ და მიუწვდომელ მოვლენათა შეფასების სფეროს, როგორიცაა რუსეთის რევოლუციის ამბები, ჩვენ აუცილებლად მივიჩნევთ ამ კითხვის მეორე პასუხს გაცილებით უფრო მოსალოდნელ პასუხად. მართალია, ბრძოლის ახლანდელმა, უკვე შესწავლილმა, თუ შეიძლება ითქვას, ფორმამ — პარტიზანულმა ომმა, განუწყვეტელმა გაფიცვებმა, მტრის მოქანცვამ თავდასხმებით და ქუჩის ბრძოლით ქვეყნის ხან ერთ, ხან მეორე კუთხეში, — ბრძოლის ამ ფორმამაც ფრიად სერიოზული შედეგები მოგვცა და იძლევა. ვერც ერთი სახელმწიფო ვერ გაუძლებს à la longue * ამ შეუპოვარ ბრძოლას, რომელიც აჩერებს მრეწველობის სიცოცხლეს, სრული დემორალიზაცია შეაქვს ბიუროკრატიასა და არმიაში, საქმეთა ვითარებით უკმაყოფილებას იწვევს ხალხის ყველა წრეში. მით უფრო ნაკლები უნარი შესწევს რუსეთის თვითმპყრობელურ მთავრობას ასე-

* — ხანგრძლივად. რ ე დ.

თი ბრძოლის გაძლებისა. ჩვენ შეგვიძლია სრულიად დარწმუნებული ვიყოთ, რომ ბრძოლის შეუპოვრად განგრძობა იმ ფორმებშიც კი, რომელნიც უკვე შექმნა მუშათა მოძრაობამ, აუცილებლად გამოიწვევს ცარიზმის კრახს.

მაგრამ თანამედროვე რუსეთში რევოლუციური მოძრაობის შეჩერება იმ საფეხურზე, რომელსაც მან უკვე მიაღწია ამჟამად, სრულიად წარმოუდგენელია. პირიქით, ყველა არსებული მასალა უფრო იმას მეტყველებს, რომ ეს არის ბრძოლის მხოლოდ ერთ-ერთი საწყისი საფეხური. სამარცხვინო და დამღუპველი ომის ყველა შედეგს ჯერ კიდევ სრულიად, სრულიად არავითარი გავლენა არ მოუხდენია ხალხზე. ეკონომიური კრიზისი ქალაქებში, შიმშილი სოფლად საშინლად აძლიერებს გაბოროტებას. მანჯურიის არმია, ყველა ცნობის მიხედვით, მეტად რევოლუციურადაა განწყობილი, და მთავრობასაც ეშინია მისი დაბრუნებისა, — ხოლო ამ არმიის დაუბრუნებლობაც არ შეიძლება ახალ და კიდევ უფრო სერიოზულ აჯანყებათა საფრთხის გამო. პოლიტიკური აგიტაცია მუშათა წრეში და გლეხობაში არასდროს არ წარმოებდა რუსეთში ისე ფართოდ, ისე გეგმაშეწონილად და ღრმად, როგორც ახლა. სახელმწიფო სათათბიროს კომედიას გარდუვალად თან სდევს მთავრობის ახალ-ახალი დამარცხება, მოსახლეობის ახალი გაბოროტება. აჯანყება საშინლად გაიზარდა ჩვენს თვალწინ რაღაც ათიოდე თვის განმავლობაში, და არა ფანტაზიას, არა კეთილ სურვილებს, არამედ მასობრივი ბრძოლის ფაქტიდან პირდაპირ და სავალდებულო დასკვნას წარმოადგენს ის დასკვნა, რომ მოახლოებულია აჯანყების ასვლა ახალ, უმაღლეს საფეხურზე, როცა ხალხის დასახმარებლად გამოვლენ რევოლუციონერთა მებრძოლი რაზმები ან ჯარის აჯანყებული ნაწილები, როცა ისინი დაეხმარებიან მასებს იარაღის შოვნაში, როცა ისინი უძლიერეს მერყეობას შეიტანენ «მეფის» (ჯერ კიდევ მეფის, მაგრამ უკვე არცთუ მთლად მეფის) ჯარის ნაწილებში, როცა აჯანყება დამთავრდება სერიოზული გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ი თ, რომლის შემდეგაც ცარიზმი ვეღარ შესძლებს წელში გამართვას.

მეფის ჯარებმა დაამარცხეს მოსკოვის მუშები. მაგრამ ამ გამარჯვებამ დამარცხებულნი კი არ დაასუსტა, არამედ უფრო

ძლიერ შეამჭიდროვა, უფრო ღრმად ჩაუნერგა მათ სიძულვილი, უფრო დაუახლოვა ისინი სერიოზული ბრძოლის პრაქტიკულ ამოცანებს. ეს ისეთი გამარჯვებაა, რომელსაც არ შეუძლია მერყეობა არ შეიტანოს გამარჯვებულთა რიგებში. ჯარი მხოლოდ ახლა იწყებს იმის შეგნებას, შეგნებას არა მარტო კანონის გაცნობით, არამედ საკუთარი გამოცდილებითაც, რომ მას ახლა საესებით და მხოლოდ და მხოლოდ «შინაურ მტერთან» საბრძოლველად უკეთებენ მობილიზაციას. ომი იაპონიასთან დამთავრდა. მაგრამ მობილიზაცია გრძელდება, მობილიზაცია რევოლუციის წინააღმდეგ. ჩვენ არ გვაშინებს ასეთი მობილიზაცია, ჩვენ არ შეეუშინდებით მივეგებოთ მას, ვინაიდან რაც უფრო მეტი იქნება იმ ჯარისკაცთა რიცხვი, რომლებიც გაწვეული იქნებიან ხალხის წინააღმდეგ სისტემატური ბრძოლისათვის, მით უფრო სწრაფად წავა წინ ამ ჯარისკაცთა პოლიტიკური და რევოლუციური აღზრდის საქმე. როცა ცარიზმი ახალ-ახალი სამხედრო ნაწილების მობილიზაციას ახდენს რევოლუციის წინააღმდეგ სომრად, ამით ის აჭიანურებს დასასრულს, მაგრამ ასეთი გაჭიანურება ყველაზე უფრო ჩვენთვისაა ხელსაყრელი, რადგან ამ გახანგრძლივებულ, პარტიზანულ ომში პროლეტარები ბრძოლას სწავლობენ, ხოლო ჯარები უცილობლად ებმებიან პოლიტიკურ ცხოვრებაში. და ამ ცხოვრების ძახილი, ახალგაზრდა რუსეთის საბრძოლო მოწოდება იჭრება თვით მაგრად ჩაკეტილ ყაზარმებშიც და აღვიძებს ყველაზე ბნელ, ყველაზე ჩამორჩენილ და ყველაზე დაბეჩავებულ ელემენტებს.

აჯანყების ალი ერთხელ კიდევ ჩაქრობილია. ერთხელ კიდევ გაუმარჯოს აჯანყებას!

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს ლენინის კრებულში V

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ბურჟუაზია მძინარე
და ბურჟუაზია გამოღვიძებული

სტატიის თემა

წარმოიდგინეთ, რომ ადამიანთა მცირე რიცხვი ებრძვის აღმაშფოთებელ, საზიზღარ ბოროტებას, რომელიც ვერ შეუგნიათ ან რომელსაც გულგრილად ეკიდება მძინარე ადამიანთა მასა. რა არის მებრძოლთა მთავარი ამოცანა? 1) გააღვიძოს რაც შეიძლება მეტი მძინარენი. 2) შეაგნებინოს მათ ბრძოლის ამოცანები და მისი პირობები. 3) დარაზმოს ისინი ისეთ ძალად, რომელიც შესძლებს გამარჯვების მოპოვებას. 4) ასწავლოს მათ გამარჯვების შედეგთა სწორი გამოყენება.

ბუნებრივია, რომ 1 წინ უნდა უსწრებდეს 2—4-ს, რომელნიც უპირველოდ შეუძლებელია.

და აი ადამიანთა მცირე რიცხვი აღვიძებს ყველას, ბიძგს აძლევს ყველას და თვითეულს.

მათი მეცადინეობა, თვით ცხოვრების განვითარების წყალობითაც, წარმატებით დაგვირგვინდა. მასა გაღვიძებულია. მაშინ აღმოჩნდება ხოლმე, რომ გაღვიძებულთა ნაწილი დაინტერესებულია ბოროტების შენარჩუნებით და ფიქრობს ან შეგნებულად დაუჭიროს მას მხარი, ან შეინარჩუნოს მისი ის მხარეები, ის ნაწილები, რომლებიც ხელსაყრელია გაღვიძებულთა აღნიშნული ჯგუფებისთვის.

განა ბუნებრივი არ არის, რომ მაშინ მებრძოლნი, ბრძოლის მქადაგებელნი, გამღვიძებელნი, რევოლუციის ზარის მრეკელნი, იღლაშქრებენ ამ გაღვიძებულთა წინააღმდეგ, რომელნიც თვით მათვე გააღვიძეს? განა ბუნებრივი არ

არის, რომ მაშინ მებრძოლნი თავიანთ ძალას «ყველას დათვითეულის» შენჯღრევაზე კი არ დახარჯავენ, არამედ სიმძიმის ცენტრს გადაიტანენ იმათზე, ვინც გამოიჩინა უნარი 1) გაღვიძებისა — ეს ერთი; 2) თანამიმდევრული ბრძოლის იდეის შეთვისებისა — ეს მეორე; 3) სერიოზულად და ბოლომდე ბრძოლისა — ეს მესამე.

ასეთია რუსი სოციალ-დემოკრატების დამოკიდებულება ლიბერალებისადმი 1900 — 1902 წლებში (აღვიძებდნენ), 1902 — 1904 წლებში (მიჯნავდნენ გაღვიძებულთ) და 1905 წელს (ებრძოდნენ გაღვიძებულ... გამცემლებს).

დაწერილია 1905 წ. სექტემბრის დამლევს

პირველად დაიბეჭდა 1926 წ. ლენინის კრებულში V

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

სანქტ-პეტერბურგის კომიტეტთან არსებულ მებრძოლ კომიტეტს

1905 წ. 16 ოქტომბერი.

ძვირფასო ამხანაგებო! დიდად გმადლობთ, რომ გამომიგზავნეთ 1) მებრძოლი კომიტეტის ანგარიში და 2) ბარათი აჯანყების მომზადების ორგანიზაციის საკითხზე+3) ორგანიზაციის სქემა. როცა ეს დოკუმენტები წავიკითხე, ჩემს მოვალეობად მივიჩნიე პირდაპირ მიმემართა მებრძოლი კომიტეტისთვის აზრთა ამხანაგური გაცვლა-გამოცვლისათვის. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მე არ ვკისრულობ საქმის პრაქტიკულად დაყენების განხილვას. ყველაფერი რომ კეთდება, რაც კი შესაძლებელია რუსეთის მძიმე პირობებში, ამაზე ეჭვის მიტანა შეუძლებელია. მაგრამ, დოკუმენტების მიხედვით თუ განვსჯით, საქმეს კანცელარიული გადაგვარება მოელის. მებრძოლი კომიტეტის ორგანიზაციის ყველა ეს სქემა, ყველა ეს გეგმა საქმის კანცელარიული გაჭიანურების შთაბეჭდილებას ახდენს, — გთხოვთ მომიტევოთ გულახდილობა, მაგრამ ვიმედოვნებ შარის მოდების სურვილს არ დამწამებთ. ასეთ საქმეში ყველაზე ნაკლებ გამოსადეგია სქემები, დავა და დაუსრულებელი ლაპარაკი მებრძოლი კომიტეტის ფუნქციებსა და უფლებებზე. აქ საჭიროა გააფთრებული ენერგია და კიდევ ენერგია. მე საშინელებად, ღმერთმანი საშინელებად, მიმაჩნია, როცა ვხედავ, რომ ნახევარ წელიწადზე მეტია ყუმბარებზე ლაპარაკობენ და ჯერ ერთიც არ გაუკეთებიათ! ლაპარაკობენ კი უაღრესად განსწავლული ადამიანები... მიმართეთ ახალგაზრდობას, ბატონებო! აი ერთადერთი,

ყოვლისმხსნელი საშუალება. თორემ, ღმერთმანი, დაიგვიანებთ (მე ამას ყველაფრით ვხედავ) და ხელში შეგრჩებათ «მეცნიერული» ბარათები, გეგმები, ნახაზები, სქემები, სანაქებო რეცეპტები, მაგრამ ორგანიზაცია, ცოცხალი საქმე კი არ გექნებათ. მიმართეთ ახალგაზრდობას. ა ხ ლ ა ვ ე მოაწყეთ მებრძოლი რაზმები ყველგან და ყოველ ადგილას სტუდენტებშიც, გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ მ უ შ ე ბ შ ი ც და სხვ. და სხვ.. დაე ახლავე მოეწყოს რაზმები 3-დან 10, 30-მდე კაცის შემადგენლობით თვითეული. დაე ახლავე შეიარაღდნენ ისინი თვითონ, ვის როგორ შეუძლია, ზოგი რევოლვერით, ზოგი დანით, ზოგი ნავთიანი ჩვრით ცეცხლის წასაკიდებლად და სხვ.. დაე ახლავე აირჩიონ ამ რაზმებმა თავიანთი ხელმძღვანელები და შეძლებისდაგვარად დ ა უ კ ა ვ შ ი რ დ ნ ე ნ პეტერბურგის კომიტეტთან არსებულ მებრძოლ კომიტეტს. ნუ მოითხოვთ ნურავითარ ფორმალობას, მიაფურთხეთ, თუ ღმერთი გწამთ, ყოველგვარ სქემას, ღვთის გულისათვის, ყველა «ფუნქცია, უფლება და პრივილეგია» ეშმაკს გაატანეთ. ნუ მოითხოვთ აუცილებლად რსდმპ წევრობას — ეს აბსურდული მოთხოვნა იქნებოდა შეიარაღებული აჯანყებისათვის. უარს ნუ იტყვით ყოველ წრესთან დაკავშირებაზე, თუნდაც იგი სამი კაცისაგან შესდგებოდეს, მხოლოდ იმ ერთადერთი პირობით, რომ პოლიციის მხრივ საფრთხეს არ წარმოადგენდეს და მზად იყოს მეფის ჯარის წინააღმდეგ საბრძოლველად. დაე წრეები, რომელთაც ეს სურთ, შევიდნენ რსდმპ ან მ ი ე მ ხ რ ო ნ რსდმპ, ეს ჩინებულია; მაგრამ ამის მ ო თ ხ ო ვ ნ ა ს უსათუოდ შეცდომად ჩავთვლიდი.

პეტერბურგის კომიტეტთან არსებული მებრძოლი კომიტეტის როლი უნდა იყოს — დ ა ხ მ ა რ ე ბ ი ს გ ა წ ე ვ ა რევოლუციური არმიის ამ რაზმებისთვის, დამაკავშირებელი «ბიუროს» ფუნქციის შესრულება და სხვა. თქვენს ს ა მ ს ა ხ ურ ს სიამოვნებით მიიღებს ყოველი რაზმი, მაგრამ თუ თქვენ ა ს ე თ ს ა ქ მ ე ს დაიწყებთ სქემებით, სიტყვებით მებრძოლი კომიტეტის «უფლებათა» შესახებ, გარწმუნებთ, მთელ საქმეს დაღუპავთ, დაღუპავთ სამუდამოდ.

უნდა იმოქმედოთ ფართო ქადაგების გაჩაღებით. დაე 5—10 კაცმა კვირაში მუშათა და სტუდენტთა ასეული წრეები შემოიარონ, შეძვრნენ ყველგან, სადაც კი შესაძლებელია, და ყველგან შესთავაზონ ცხადი, მოკლე, პირდაპირი და მარტივი გეგმა: ახლავე მოაწყეთ რაზმი, შეიარაღდით, რითაც შეგიძლიათ, მთელი ძალღონით იმუშავეთ, რითაც შეგვეძლება დაგეხმარებით, ოღონდ ჩვენი ლოდინი ნუ გექნებათ, თვითონ იმუშავეთ.

ასეთ საქმეში სიმძიმის ცენტრია — უამრავი წვრილი წრის ინიციატივა. ისინი ყველაფერს გააკეთებენ. მათ დაუხმარებლად მთელი თქვენი მებრძოლი კომიტეტი არარაა. მე მზადა ვარ მებრძოლი კომიტეტის მუშაობის ნაყოფიერება გავზომო მასთან დაკავშირებული ასეთი რაზმების რიცხვის მიხედვით. თუ მებრძოლ კომიტეტს პიტერში 1—2 თვეში minimum* 200—300 რაზმი არ ეყოლება, მაშინ ეს მკვდარი მებრძოლი კომიტეტია. მაშინ ის უნდა დავასაფლავოთ. თუ ახლანდელ მშფოთვარე დროს რამდენიმე ასეულ რაზმს ვერ შევქმნით,— მაშ ცხოვრების გარეთ ვყოფილვართ.

მქადაგებლებმა თვითეულ რაზმს ყუმბარების მოკლე და მარტივი რეცეპტები უნდა მისცენ, ფრიად ელემენტარულად უნდა უამბონ სამუშაოთა მთელი ტიპის ამბავი და შემდეგ მთელი მუშაობა თვითონ მათ მიანდონ. რაზმებმა ახლავე უნდა დაიწყონ სამხედრო გაწვრთნა საშურ ოპერაციებზე, ახლავე. ზოგნი ახლავე იკისრებენ ჯაშუშის მოკვლას, საპოლიციო უბნის აფეთქებას, ზოგნი — ბანკზე თავდასხმას აჯანყებისთვის საჭირო სახსრების საკონფისკაციოდ, ზოგნი — მანევრს ან გეგმების გადაღებას და სხვა. მაგრამ აუცილებლად ახლავე უნდა შეუდგეთ სწავლას საქმით: ნუ შეგაშინებთ ეს საცდელი თავდასხმები. რა თქმა უნდა, შესაძლებელია ისინი უკიდურესობად გადაგვარდნენ, მაგრამ ეს ხვალინდელი დღის უბედურებაა, დღევანდელი უბედურება კი ჩვენი დამყაყებულობაა, ჩვენი დოქტრინიორობა, მეცნიერული უძრაობა, ინიციატივის გამოჩენის ბებრული შიში. დაე თვითეული რაზმი

* — სულ ცოტა. რედ.

თვითონ დახელოვნდეს თუნდაც პოლიციელების დახოცვით: რამდენიმე ათეული მსხვერპლი ჭარბად ანაზღაურდება იმით, რომ შეგვძენს რამდენიმე ასეულ ახალ მებრძოლთ, რომლებიც ხვალ ასეულ ათასებს გაუძღვებიან.

მაგრად გართმევთ ხელს, ამხანაგებო, და გისურვებთ წარმატებას. ჩემს შეხედულებას სრულიადაც არ გახვევთ თავს, მაგრამ მოვალედ ვრაცხ თავს ს ა თ ა თ ბ ი რ ო ხმა მოგაწოდოთ.

თ ქ ვ ე ნ ი ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს
ლენინის კრებულში V

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

პოლიტიკური გაფიცვა და ქუჩის ბრძოლა მოსკოვში

მოსკოვის რევოლუციური ამბები — ჭექა-ქუხილის პირველი ელვაა, რომელმაც გაანათა ბრძოლის ახალი ველი. კანონის გამოცემა სახელმწიფო სათათბიროს შესახებ და ზავის დადება ახალი ხანის დასაწყისის მომასწავებელია რუსეთის რევოლუციის ისტორიაში. ლიბერალურმა ბურჟუაზიამ, უკვე მოქანცულმა მუშების შეუპოვარი ბრძოლით და შეშფოთებულმა «განუწყვეტელი რევოლუციის» აჩრდილით, თავისუფლად ამოისუნთქა და სიხარულით ჩასჭიდა ხელი მისთვის გადაგდებულ მოწყალებას. მთელი ხაზით დაიწყო ბრძოლა ბოიკოტის იდეის წინააღმდეგ, იწყებოდა ლიბერალიზმის აშკარა გადახრა მარჯვნივ. სამწუხაროდ, სოციალ-დემოკრატებს შორისაც აღმოჩნდნენ მერყევნი (ახალისკრელთა ბანაკში), რომლებიც მზად არიან განსაზღვრული პირობებით მხარი დაუჭირონ რევოლუციის ამ ბურჟუაზიულ გამცემლებს, მზად არიან «სერიოზულად მიიჩნიონ» სახელმწიფო სათათბირო. მოსკოვის ამბები, იმედი უნდა ვიქონიოთ, სირცხვილში ჩააგდებს მცირედმორწმუნეთ, ხოლო დაეჭვებულთ დაეხმარება ბრძოლის ახალი ასპარეზის საქმის ვითარების სწორად შეფასებაში. პროლეტარიატის პირველ დიდ რევოლუციურ გამოსვლისთანავე გაცამტვერდება როგორც უილაჯო ინტელიგენტების ოცნებანი თვითმპყრობელობის დროს საყოველთაო სახალხო არჩევნების შესაძლებლობაზე, ისე გონებაჩლუნგი ლიბერალების ილუზიები სახელმწიფო სათათბიროს ცენტრალურ მნიშვნელობაზე.

მოსკოვის ამბებზე ჯერჯერობით (12 ოქტომბერს ახ. სტ.) მეტად მცირე ცნობები მოგვეპოვება. ეს ცნობები იფარგლება საზღვარგარეთული გაზეთების მოკლე და ხშირად წინააღმდეგური ამბებით და ცენზურის მიერ გაცხრილული ლეგალური პრესის ანგარიშებით მოძრაობის დასაწყისის შესახებ. ეჭვს გარეშეა ერთი რამ: მოსკოვის მუშების ბრძოლა დასაწყისს სტადიაში იმ გზით მიიმართებოდა, რომელიც უკვე ჩვეულებრივი გახდა უკანასკნელი რევოლუციური წლის განმავლობაში. მუშათა მოძრაობამ თავისი ბეჭედი დაასვა რუსეთის მთელ რევოლუციას. იგი დაიწყო განცალკევებული გაფიცვებით და სწრაფად განვითარდა, ერთი მხრივ, მასობრივ გაფიცვებად, ხოლო მეორე მხრივ — ქუჩის დემონსტრაციებად. 1905 წელს მოძრაობის უკვე სავსებით ჩამოყალიბებულ ფორმას წარმოადგენს პოლიტიკური გაფიცვა, რომელიც ჩვენს თვალწინ აჯანყებად გადაიზარდა. და თუ მთელ მუშათა მოძრაობას რუსეთში ათი წელი დასჭირდა იმისათვის, რომ დღევანდელ (რასაკვირველია, ჯერ სრულიადაც არა საბოლოო) საფეხურამდე მიეღწია, ახლა მოძრაობა ქვეყნის ცალკეულ რაიონებში რამდენიმე დღის მანძილზე უბრალო გაფიცვიდან გიგანტურ რევოლუციურ აფეთქებამდე აღწევს.

როგორც გვატყობინებენ, ასოთამწყობთა გაფიცვა მოსკოვში შეუგნებელმა მუშებმა დაიწყეს. მაგრამ მოძრაობა ერთბაშად უსხლტებათ მათ ხელიდან და ფართო პროფესიულ მოძრაობად იქცევა. გაფიცვას სხვა პროფესიათა მუშებიც უერთდებიან. მუშების აუცილებელი გამოსვლა ქუჩაში, თუნდაც იმ ამხანაგების გასაგებინებლად, რომლებმაც ჯერ არაფერი იციან გაფიცვის შესახებ, იქცევა პოლიტიკურ დემონსტრაციად რევოლუციური სიმღერებითა და სიტყვებით. დიდი ხნის შეკავებულმა გაბოროტებამ სახელმწიფო სათათბიროს «სახალხო» არჩევნების საზიზღარი კომედიის წინააღმდეგ გარეთ გადმოხეთქა. მასობრივი გაფიცვა ნამდვილი თავისუფლებისათვის მებრძოლთა მასობრივ მობილიზაციად გაიზარდა. ასპარეზზე გამოდის რადიკალური სტუდენტობა, რომელმაც მოსკოვშიც ამას წინათ პეტერბურგის რეზოლუციის ანალოგიური რეზოლუცია მიიღო; ეს რეზოლუცია ნამდვილი ენით,

თავისუფალ მოქალაქეთა და არა მლიქვნელ მოხელეთა ენით სამარცხვინო ბოძზე აკრავს სახელმწიფო სათაბიროს, როგორც ხალხის თავხედურ აბუჩად აგდებას, მოგვიწოდებს ვიბრძოლოთ რესპუბლიკისათვის, დროებითი რევოლუციური მთავრობის მიერ ნამდვილად საყოველთაო სახალხო და ნამდვილად დამფუძნებელი კრების მოწვევისათვის. იწყება პროლეტარიატისა და რევოლუციური დემოკრატიის მოწინავე ფენათა ბრძოლა ქუჩებში მეფის მხედრობისა და პოლიციის წინააღმდეგ.

სწორედ ასეთი იყო მოძრაობის განვითარება მოსკოვში. შაბათს, 24 სექტემბერს (7 ოქტომბერს), ასოთამწყობთა გარდა, უკვე აღარ მუშაობდნენ თამბაქოს ფაბრიკები, ტრამვაი; იწყებოდა მეფუნთუშეთა გაფიცვა. საღამოს გაიმართა დიდი მანიფესტაციები, რომლებშიც, მუშებისა და სტუდენტების გარდა, მონაწილეობა მიიღო უამრავმა «გარეშე» პირმა (აშკარა სახალხო გამოსვლების დროს რევოლუციურ მუშებსა და რადიკალურ სტუდენტებს ერთიმეორის მიმართ გარეშედ უკვე აღარა თვლიან). კაზაკები და ჟანდარმები განუწყვეტლივ ერეკებოდნენ მანიფესტანტებს, მაგრამ ისინი კვლავ გროვდებოდნენ. ხალხი წინააღმდეგობას უწევდა პოლიციას და კაზაკებს; ისმოდა რევოლვერის სროლა, დაიჭრა მრავალი პოლიციელი.

კვირას, 25 სექტემბერს (8 ოქტომბერს), ამბები მრისხანე ხასიათს იღებს. დილის 11 საათიდან იწყება მუშების თავმოყრა ქუჩებში. ხალხი მარსელიეზას მღერის. იმართება რევოლუციური მიტინგები. სტამბები, რომლებმაც უარი თქვეს გაფიცვაზე, დარბეულია. ხალხი აბტვრევს საფუნთუშოებს და იარაღის მაღაზიებს: მუშებს ესაჭიროებათ პური საარსებოდ და იარაღი თავისუფლებისთვის საბრძოლველად (სწორედ ისე, როგორც ფრანგულ რევოლუციურ სიმღერაშია). კაზაკებს დიდად გააფთრებული წინააღმდეგობის გადალახვა უხდებათ მანიფესტანტების გასაფანტავად. ტვერის ქუჩაზე, გენერალ-გუბერნატორის სახლთან, ნამდვილი ბრძოლა ხდება. ფილიპოვის საფუნთუშეს ახლოს იკრიბება მეფუნთუშე-ქარგალთა ჯგუფი. როგორც შემდეგ ამ საფუნთუშეს ადმინისტ-

რაციამ განაცხადა, მუშები მშვიდობიანად გამოდიოდნენ ქუჩაში, მუშაობას წყვეტდნენ გაფიცულთათვის სოლიდარობის გამოსაცხადებლად. კაზაკთა რაზმი თავს ესხმის ხალხს. მუშები იჭრებიან სახლში, ადიან სახურავზე, სხვენზე და ქვებს უშენენ ჯარისკაცებს. სახლს ნამდვილ ალყას არტყამენ. ჯარი ტყვიას უშენს მუშებს. ყოველგვარი კავშირი სახლთან გაწყვეტილია. გრენადერთა ორი ასეული უკანა მხრიდან უვლის სახლს, იჭრება შიგ და იპყრობს მტრის პოზიციას. დაპატიმრებულია 192 ქარგალი, მათ შორის რვა დაჭრილია; მოკლულია ორი მუშა. პოლიციისა და ჯარის მხრივ არიან დაჭრილნი; სასიკვდილოდ დაჭრილია ჟანდარმთა როტმისტრი.

რასაკვირველია, ეს ცნობები მეტად აოასრულია. ზოგიერთ საზღვარგარეთულ გაზეთში მოთავსებული კერძო დეპეშების მიხედვით კაზაკთა და ჯარისკაცთა მხეცობას საზღვარი არ ჰქონდა. ფილიპოვის საფუნთუშეს ადმინისტრაცია პროტესტს აცხადებს ჯარის ყოვლად უმიზეზო უწესოებათა წინააღმდეგ. ბელგიის ერთ დიდ გაზეთს მოჰყავს ცნობა, მეეზოვეები გულმოდგინედ სწმენდნენ სისხლის კვალს ქუჩებშიო: ეს წვრილმანი ცნობა — წერს ის — ზოგიერთ ვრცელ ანგარიშზე მეტს მეტყველებს ბრძოლის სერიოზულობაზეო. «Vorwärts»-ი[101], გაზეთებში მოხვედრილი კერძო ცნობების საფუძველზე, იუწყება — ტვერის ქუჩაზე 10 000 გაფიცული იბრძოდა ქვეითი ჯარის ერთი ბატალიონის წინააღმდეგაო. ჯარებმა რამდენიმეჯერ ისროლესო. სასწრაფო დახმარების ეტლები გადატვირთული იყვნენ მუშაობით. მოკლულთა რიცხვს დაახლოებით 50-ს თვლიანო, დაჭრილთ — 600-მდე. იტყობინებიან, რომ დაპატიმრებულნი მიჰყავდათ ყაზარმებში და იქ უმოწყალოდ, მხეცურად სცემდნენ, ჯარისკაცთა მწყობრში ატარებდნენო. ამბობენ, ქუჩის ბრძოლის დროს ოფიცრები არაადამიანურ სიმხეცეს იჩენდნენ თვით ქალების მიმართაც (კონსერვატიული ბურჟუაზიული «Temps»-ის* პეტერბურგელი სპეციალური კორესპონდენტის დეპეშა 10 ოქტომბრის (27 სექტემბრის) თარიღით).

---

* — «დროება». რ ე დ.

შემდგომი დღეების ამბებზე ცნობები სულ უფრო მცირეა. მუშების გაბოროტება საშინლად გაიზარდა; მოძრაობა ძლიერდება; მთავრობა ყოველგვარი ზომებით კრძალავს და კვეცს ყოველგვარ ცნობებს. საზღვარგარეთული გაზეთები პირდაპირ აღნიშნავდნენ წინააღმდეგობას ოფიციალურ სააგენტოთა (რომელთაც ერთ დროს თითქმის დაუჯერეს) დამამშვიდებელ ცნობებსა და პეტერბურგს ტელეფონით გადაცემულ ცნობებს შორის. გასტონ ლერუ დეპეშით ატყობინებდა პარიზის გაზეთ «Matin»-ს *, ცენზურა სასწაულს სჩადის, რათა შეაჩეროს რაოდენადმე შემაშფოთებელი ცნობების გავრცელებაო. ორშაბათი, 26 სექტემბერი (9 ოქტომბერი) — წერს ის — ერთ-ერთი უაღრესად სისხლისმღვრელი დღე იყო რუსეთის ისტორიაშიო. იბრძვიან ყველა მთავარ ქუჩაზე და თვით გენერალ-გუბერნატორის სახლთან. მანიფესტანტებმა წითელი დროშა ააფრიალეს. ბევრია მოკლული და დაჭრილიო.

სხვა გაზეთების ცნობები ერთიმეორის საწინააღმდეგოა. ეჭვს გარეშეა მხოლოდ, რომ გაფიცვა იზრდება. მას უერთდება ქარხნების და თვით ფაბრიკების მუშების უმრავლესობა. გაფიცული არიან რკინიგზელები. გაფიცვა საყოველთაო ხასიათს იღებს (სამშაბათი, 10 ოქტომბერი (27 სექტემბერი), და ოთხშაბათი).

მდგომარეობა მეტისმეტად სერიოზულია. მოძრაობა პეტერბურგს ედება: სან-გალის ქარხნის მუშებმა უკვე შეაჩერეს მუშაობა.

ამჟამად აქ წყდება ჩვენი ცნობები. მათ საფუძველზე, რასაკვირველია, მოსკოვის ამბების სრული შეფასების ფიქრიც კი არ შეიძლება. ჯერ კიდევ არ შეიძლება ითქვას, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ პროლეტარიატის გადამწყვეტი შეტევის გენერალური რეპეტიციაა ეს, თუ უკვე ამ შეტევის დასაწყისი; — ცენტრალური რუსეთის ახალ ოლქზე ბრძოლის ზემოთ მოხაზული «ჩვეულებრივი» ხერხის გავრცელებაა ეს,

* — «დილა». რ ე დ.

თუ მას უწერია ბრძოლის უმაღლეს ფორმად და უფრო გადამწყვეტი აჯანყების დასაწყისად იქცეს.

ალბათ, ამ კითხვებზე პასუხს ახლო მომავალი მოგვცემს. ერთი რამ ეჭვს გარეშეა: აჯანყების ზრდა, ბრძოლის გაფართოება, მისი ფორმების გამწვავება განუწყვეტლივ წინ მიდის ჩვენს თვალწინ. პროლეტარიატი მთელ რუსეთში გზას იკაფავს გმირული ძალღონით, სახავს ხან აქ, ხან იქ, თუ რომელი მიმართულებით შეიძლება განვითარდეს და უსათუოდ განვითარდება შეიარაღებული აჯანყება. მართალია, ბრძოლის ახლანდელი ფორმაც, რომელიც უკვე შეიმუშავა მუშათა მასების მოძრაობამ, უაღრესად სერიოზულ ლახვარს სცემს ცარიზმს. სამოქალაქო ომმა თავგანწირული, შეუპოვარი და საყოველთაო პარტიზანული ომის ფორმა მიიღო. მუშათა კლასი მოსვენებას არ აძლევს მტერს, წყვეტს მრეწველობის მაჯისცემას, გამუდმებით აჩერებს ადგილობრივი მმართველობის მთელ მანქანას, მთელ ქვეყანაში შემაშფოთებელ მდგომარეობას ქმნის, ახდენს სულ ახალ-ახალი ძალების მობილიზაციას ბრძოლაში ჩასაბმელად. ვერც ერთი სახელმწიფო ვერ გაუძლებს ხანგრძლივად ასეთ იერიშებს, მით უმეტეს მეფის ძირმომპალი მთავრობა, რომელსაც ზედიზედ შორდებიან მისი წინანდელი მომხრეები. და თუ ლიბერალურ მონარქისტულ ბურჟუაზიას ბრძოლა ზოგჯერ მეტად შეუპოვარი ეჩვენება, თუ მას აშინებს სამოქალაქო ომი და სიმტკიცეს მოკლებული შემაშფოთებელი მდგომარეობა, რომელსაც ჩვენი ქვეყანა განიცდის, — სამაგიეროდ რევოლუციური პროლეტარიატისთვის ამ მდგომარეობის განგრძნობა, ბრძოლის გაჭიანურება საარსებო აუცილებელი საქმეა. თუ ბურჟუაზიის იდეოლოგებს შორის ჩნდებიან ადამიანები, რომლებიც მშვიდობიანი ლეგალური პროგრესის ქადაგებით იწყებენ რევოლუციური ხანძრის ჩაქრობას, რომლებიც ზრუნავენ პოლიტიკური კრიზისის მოდუნებაზე და არა გამწვავებაზე, — სამაგიეროდ შეგნებული პროლეტარიატი, რომელსაც არასდროს ეჭვი არ შესვლია ბურჟუაზიული თავისუფლებისმოყვარეობის გამცემლურ ხასიათში, განუხრელად წავა წინ, თან გაიყოლებს გლეხობას და რღვევას შეიტანს მეფის ჯარის რიგებში.

მუშების შეუპოვარი ბრძოლა, მუდმივი გაფიცვები, დემონსტრაციები, ნაწილობრივი აჯანყებები, ყველა ეს, ასე ვთქვათ, საცდელი ბრძოლა და შეტაკება გარდუვალად ჩაითრევს ჯარს პოლიტიკურ ცხოვრებაში და, მაშასადამე, რევოლუციურ საკითხთა რკალშიც. ბრძოლის გამოცდილება უფრო სწრაფად და ღრმად ათვითცნობიერებს ადამიანს, ვიდრე სხვა პირობებში მრავალი წლის პროპაგანდა შესძლებდა. საგარეო ომი დამთავრდა, მაგრამ მთავრობას აშკარად ეშინია ტყვეთა და მანჯურიის არმიის დაბრუნებისა. ცნობები ამ არმიის რევოლუციური განწყობილების შესახებ უფრო და უფრო ვრცელდება. მღელვარებას კიდევ უფრო აძლიერებს მანჯურიის არმიის ჯარისკაცებისა და ოფიცრებისთვის ციმბირში სამიწათმოქმედო კოლონიების შექმნის პროექტები, — თუნდაც ეს პროექტები პროექტებადვე დარჩეს. მიუხედავად ზავის შეკვრისა, მობილიზაცია გრძელდება. უფრო და უფრო ცხადი ხდება, რომ არმია ესაჭიროებათ მთლიანად და მხოლოდ და მხოლოდ რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. ასეთს პირობებში კი ჩვენ, რევოლუციონერებს, სრულიად არაფერი გვაქვს მობილიზაციის საწინააღმდეგო, პირიქით, მზადა ვართ კიდევაც მივესალმოთ მას. როცა მთავრობა დასასრულს აჭიანურებს იმით, რომ ბრძოლაში აბამს არმიის ახალ-ახალ ნაწილებს, ჯარის სულ უფრო მეტ ნაწილს აჩვევს სამოქალაქო ომს, ის ყოველგვარი კრიზისის წყაროს კი არა სპობს, არამედ, პირიქით, ნიადაგს უფართოებს მას. ამ გახანგრძლივებას ის აღწევს ბრძოლის ასპარეზის აუცილებელი გაფართოებისა და მისი გამწვავების ფასად. მთავრობა საბრძოლველად ამხედრებს ყველაზე ჩამორჩენილთ და ყველაზე უმეცართ, ყველაზე დაბეჩავებულთ და პოლიტიკურად ყველაზე მკვდართ, — ბრძოლა კი გაათვითცნობიერებს, გამოაფხიზლებს და გამოაცოცხლებს მათ. რაც უფრო დიდხანს გასტანს სამოქალაქო ომის ეს მდგომარეობა, მით უფრო გარდუვალი იქნება კონტრრევოლუციური არმიიდან ნეიტრალურთა მასისა და რევოლუციისათვის მებრძოლთა ბირთვის გამოყოფა.

რუსეთის რევოლუციის მთელი მსვლელობა უკანასკნელ თვეებში იმას მოწმობს, რომ ამჟამად მიღწეული საფეხური არ არის და არც შეიძლება იყოს უმაღლესი საფეხური. მოძრაობა კიდევ უფრო გაძლიერდება, როგორც უკვე გაძლიერდა ის 9 იანვრის შემდეგ. მაშინ ჩვენ პირველად ვიხილეთ ისეთი მოძრაობა, რომელმაც გააცვიფრა ქვეყნიერება პოლიტიკური მოთხოვნებისთვის ამხედრებული მუშათა გიგანტური მასების ერთსულოვნებითა და დარაზმულობით. მაგრამ რევოლუციური თვალსაზრისით ეს მოძრაობა ჯერ კიდევ მეტისმეტად შეუგნებელი, ხოლო შეიარაღებისა და სამხედრო მომზადების მხრივ სრულიად უმწეო იყო. პოლონეთმა და კავკასიამ უკვე უფრო მაღალი ბრძოლის ნიმუში მოგვცეს, იქ პროლეტარიატი ნაწილობრივ შეიარაღებული გამოვიდა, იქ ომმა გახანგრძლივებული ფორმა მიიღო. ოდესის აჯანყებამ წარმატებას ახალი და მნიშვნელოვანი პირობა შეჰმატა: ჯარის ნაწილების ხალხის მხარეზე გადასვლა. მართალია, ერთბაშად წარმატებისთვის არ მიუღწევიათ; «საზღვაო და სახმელეთო ძალების შეხამების» ძნელი ამოცანა (ერთ-ერთი უძნელესი ამოცანა თვით რეგულარული ჯარისთვისაც) ჯერ კიდევ არ იყო გადაჭრილი. მაგრამ ეს ამოცანა დაისვა, და ყველა ნიშანი იმას მოწმობს, რომ ოდესის ამბები ერთიეულ კაზუსად არ დარჩება. მოსკოვის გაფიცვა გვიჩვენებს, რომ ბრძოლა «ჭეშმარიტ რუსულ» ოლქსაც მოედო, რომლის სიმტკიცე ასე დიდხანს გულს უხარებდა რეაქციონერებს. რევოლუციურ გამოსვლას ამ რაიონში უკვე იმიტომაც აქვს გიგანტური მნიშვნელობა, რომ საბრძოლო ნათლობას იღებენ პროლეტარიატის მასები, ყველაზე ნაკლებ მოძრავი და იმავე დროს შედარებით მცირე ოლქში თავმოყრილი, ისეთი რაოდენობით, რომ რუსეთში მას ამ მხრივ ვერც ერთი ოლქი ვერ შეედრება. მოძრაობა დაიწყო პიტერიდან, მთელი რუსეთის განაპირა მხარეები შემოიარა, ფეხზე დააყენა რიგა, პოლონეთი, ოდესა, კავკასია, და ახლა ხანძარი თვით რუსეთის «გულს» მოედო.

სახელმწიფო სათათბიროს სამარცხვინო კომედია კიდევ უფრო მეტად საზიზღარი ჩანს ბრძოლისათვის მზად მყოფი

ჭეშმარიტად მოწინავე კლასის ამ მართლაც რევოლუციურ გამოსვლასთან შედარებით. რევოლუციურ დემოკრატიასთან პროლეტარიატის შეერთება, რაზედაც ჩვენ არა ერთხელ გვილაპარაკნია, ფაქტი ხდება. რადიკალური სტუდენტობა, რომელმაც პეტერბურგშიც და მოსკოვშიც რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ლოზუნგები მიიღო, ავანგარდია ყველა იმ დემოკრატიული ძალებისა, რომელთაც ზიზღს გვრის სახელმწიფო სათათბიროში მიმავალი «კონსტიტუციურ-დემოკრატიული» რეფორმისტების სისაძაგლე. ეს დემოკრატიული ძალები მონდომებული არიან რუსი ხალხის წყეული მტრის წინააღმდეგ ნამდვილ გადამწყვეტ ბრძოლას და არა თვითმპყრობელობასთან მაკლერობას.

შეხედეთ ამ ლიბერალურ პროფესორებს, რექტორებს, რექტორთა თანაშემწეებს და ტრუბეცკოიების, მანუილოვებისა და სხვათა მთელ ამ კომპანიას... ეს ხომ ლიბერალიზმის და კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის საუკეთესო ადამიანები არიან, ყველაზე იდეურნი, ყველაზე განათლებულნი, ყველაზე უანგარონი, ყველაზე თავისუფალნი ფულის ქისის ინტერესებისა და გავლენათა უშუალო ზედდაწოლისაგან. და მერე როგორ იქცევიან ეს საუკეთესო ადამიანები? როგორ გამოიყენეს მათ პირველი ძალაუფლება, უნივერსიტეტთა მართვა-გამგეობის ძალაუფლება, ძალაუფლება, რომელიც არჩევითი წესით ჩააბარეს მათ? ისინი უკვე კანკალებენ რევოლუციის შიშით, მათ ეშინიათ მოძრაობის გამწვავებისა და გაფართოებისა, ისინი უკვე აქრობენ ხანძარს და ცდილობენ სიწყნარე დაამყარონ, რისთვისაც თავადი მეშჩერსკები ქება-დიდებას ასხამენ მათ და ეს ქება-დიდება სრულიად დამსახურებულ ფურთხს უდრის.

და ისინი, ბურჟუაზიული მეცნიერების ეს ფილისტერები, კარგადაც დაისაჯნენ. მათ უნივერსიტეტი დახურეს მოსკოვში იმის შიშით, რომ უნივერსიტეტის შენობაში ხოცვა-ჟლეტა არ მომხდარიყო. მათ მხოლოდ დაიჩქარეს შეუდარებლად უფრო დიდი ხოცვა-ჟლეტა ქუჩაში. მათ უნდოდათ რევოლუცია ჩაექროთ უნივერსიტეტში, და ქუჩაში რევოლუციის ცეცხლი დაანთეს მხოლოდ. ბატონ ტრეპოვებთან და რომა-

ნოვებთან ერთად, რომელთაც ახლა გამალებით არწმუნებენ კრებების თავისუფლების აუცილებლობაში, ისინი მაგრად არიან მუხრუჭებში ჩაჭერილნი: უნივერსიტეტს დახურავ — ქუჩის ბრძოლას გაუღებ კარს. უნივერსიტეტს გააღებ — ტრიბუნას გახსნი სახალხო რევოლუციური კრებებისთვის, რომლებიც ახალ და თავისუფლებისათვის კიდევ უფრო მტკიცე მებრძოლებს ამზადებენ.

რა უსაზღვროდ ჭკუისსასწავლოა ამ ლიბერალი პროფესორების მაგალითი ჩვენი სახელმწიფო სათათბიროს შესაფასებლად! განა ახლა ცხადი არ არის, უმაღლესი სკოლების გამოცდილებიდან, რომ ლიბერალებსა და კადეტებს ისეთივე შიში ექნებათ «სათათბიროს ბედის» გამო, როგორი შიშიც აქვთ იაფფასიანი მეცნიერების ამ უბადრუკ რაინდებს «უნივერსიტეტთა ბედის» გამო? ნუთუ ახლა ცხადი არ არის, რომ ლიბერალებს და კადეტებს სხვანაირად არ შეუძლიათ გამოიყენონ სათათბირო, თუ არა მშვიდობიანი ლეგალური პროგრესის კიდევ უფრო ფართო, კიდევ უფრო მყრალი ქადაგებისათვის? ნუთუ ახლა ცხადი არ არის, რა სასაცილოა სათათბიროს რევოლუციურ კრებად გადაქცევის იმედები? ნუთუ ცხადი არ არის, რომ არსებობს მხოლოდ ერთადერთი საშუალება «ზეგავლენა მოვახდინოთ» არა სათათბიროზე სპეციალურად, არა უნივერსიტეტებზე სპეციალურად, არამედ მთელ ძველ თვითმპყრობელურ წესწყობილებაზე, და ეს საშუალება არის საშუალება მოსკოვის მუშებისა, სახალხო აჯანყების საშუალება? მხოლოდ ეს არის ის საშუალება, რომელიც არა მარტო აიძულებს მანუილოვებს, რომ უნივერსიტეტებში ითხოვონ კრებების თავისუფლება, პეტრუნკევიჩებს, რომ სათათბიროში ითხოვონ თავისუფლება ხალხისთვის, არამედ იგი ნამდვილ თავისუფლებას მოუპოვებს ხალხს.

მოსკოვის ამბებმა ცხადყვეს საზოგადოებრივ ძალთა ნამდვილი დაჯგუფება: ლიბერალები მთავრობისაგან რადიკალებისკენ გაიქცნენ და უკანასკნელთ არწმუნებდნენ ხელი აეღოთ რევოლუციურ ბრძოლაზე. რადიკალები პროლეტარიატის რიგებში იბრძოდნენ. მაშ ნუ დავივიწყებთ ამ გაკვეთილს: ის პირდაპირ სახელმწიფო სათათბიროსაც ეხება.

დაე პეტრუნკევიჩებმა და სხვა კადეტებმა პარლამენტარიზმობანას თამაში გამართონ თვითმპყრობელურ რუსეთში, — მუშები განაგრძობენ რევოლუციურ ბრძოლას ხალხის ნამდვილი თვითმპყრობელობის დასამყარებლად.

როგორც უნდა დამთავრდეს აჯანყების აფეთქება მოსკოვში, რევოლუციური მოძრაობა ყოველ შემთხვევაში ახლა კიდევ უფრო განმტკიცდება, უფრო ფართო არეს მოედება და ახალ ძალებს შემოიკრებს. ვთქვათ თუნდაც, რომ მეფის ჯარები ახლა მოსკოვში სრულ გამარჯვებას დღესასწაულობენ, — კიდევ რამდენიმე ასეთი გამარჯვება, და ცარიზმის სრული კრახიც ფაქტი გახდება. და მაშინ ეს უკვე იქნება მართლაც ბატონყმობის, თვითმპყრობელობისა და სიბნელის მთელი მემკვიდრეობის ნამდვილი კრახი და არა დამპალი ძველმანის დონდლოდ, ლაჩრულად და თვალთმაქცურად დაკერება, რითაც თავსაც იტყუებენ და სხვებსაც ატყუებენ ლიბერალური ბურჟუები. ვთქვათ ისიც, რომ ხვალინდელი ფოსტა მოგვიტანს მძიმე ცნობას: აჯანყების ალი ერთხელ კიდევ ჩაქრობილიაო. მაშინ ჩვენ შევძახებთ: ერთხელ კიდევ — გაუმარჯოს აჯანყებას!

«პროლეტარი» № 21,
1905 წ. 17 (4) ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

«ისკრული» ტაქტიკის უკანასკნელი სიტყვა ანუ სასაცილო არჩევნები, როგორც აჯანყების ახალი წამაქეზებელი მოტივები

ჩვენ უკვე არა ერთხელ აღვნიშნეთ «სათათბიროს» კამპანიაში ისკრული ტაქტიკის უსუსურობა. უსუსურია ამ ტაქტიკის ორივე ძირითადი ნიშანი: სათათბიროში მიმავალი ოსვობოჟდენიელებისთვის გარკვეულ რევოლუციურ ვალდებულებათა საფუძველზე მხარისდაჭერის მისწრაფებაც და «მოქალაქეთა რევოლუციური თვითმმართველობის» ლოზუნგის წამოყენებაც, მოწოდება თვითმპყრობელობის დროს დამფუძნებელი კრების საყოველთაო სახალხო არჩევნებისადმი. ახლა, ბოლოსა და ბოლოს, მენშევიკთა «სამხრეთის დამფუძნებელი (?) კონფერენციის» რეზოლუციაში ჩვენ მოგვეპოვება ცდა ისკრული ტაქტიკის ზუსტი და ოფიციალური ფორმულირებისა. ამ კონფერენციაზე წარმოდგენილი იყვნენ რუსეთის ახალისკრელთა საუკეთესო ძალები. რეზოლუცია გვაძლევს პროლეტარიატისადმი მიმართული წმინდა პრაქტიკული ხასიათის რჩევათა საქმიანი გადმოცემის ცდას. ამიტომაა, რომ ამ რეზოლუციის ყურადღებით გარჩევა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს როგორც გარკვეული პრაქტიკის შემუშავების თვალსაზრისით, ისე საერთოდ «ისკრის» მთელი ტაქტიკური პოზიციის შეფასების თვალსაზრისით.

მოგვყავს რეზოლუციის სრული ტექსტი:

სამხრეთის ორგანიზაციების დამფუძნებელი კონფერენციის რეზოლუცია სახელმწიფო სათათბიროს გამო. თვლის რა, რომ ერთადერთი, მთელი ხალხის ინტერესების შესაფერი გამოსავალი თანამედროვე მძიმე მდგომარეობიდან არის დამფუძ-

ნებელი კრების მოწვევა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე თვითმპყრობელური რეჟიმის ლიკვიდაციისა და დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებისათვის, რომელიც უწინარეს ყოვლისა პროლეტარიატს ესაჭიროება ბურჟუაზიული წყობილების ყველა საფუძვლის წინააღმდეგ საბრძოლველად და სოციალიზმის განსახორციელებლად, — და იღებს რა მხედველობაში:

1) რომ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების სისტემა შესაძლებლობას არ იძლევა მთელმა ხალხმა მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში, ამასთანავე, ქალაქის მცხოვრებთათვის მაღალი ქონებრივი ცენზის დაწესების გამო, პროლეტარიატი სრულიად მოკლებულია არჩევნების უფლებას, ხოლო გლეხობა, და ისიც მხოლოდ მისი ნაწილი, ირჩევს 4-საფეხურიანი სისტემის საფუძველზე, რაც სრულ გასაქანს აძლევს ადმინისტრაციულ ზეგავლენას არჩევნებზე; —

2) რომ მთელი რუსეთი წინანდებურად მოკლებულია ყველა აუცილებელ სამოქალაქო თავისუფლებას, ურომლისოდაც შეუძლებელია წინასაარჩევნო აგიტაცია და, მაშასადამე, რაოდენადმე სწორი არჩევნების ჩატარებაც, და რომ, პირიქით, ამჟამად ადმინისტრაციული თვითნებობა ყველგან უფრო მეტადაა გამეფებული, ვიდრე ოდესმე, და უდიდეს ტერიტორიებზე ზედიზედ სამხედრო წესები ცხადდება; —

და, ბოლოს, 3) რომ ყველა განაპირა მხარისთვის წარმომადგენლობის კიდევ უფრო მეტად კარიკატურული სისტემა მუშავდება; —

კონფერენცია წინადადებას აძლევს ყველა ორგანიზაციას უაღრესად ენერგიული აგიტაცია გააჩაღოს და გამო

ციო კომიტეტების დაარსება და ამ სააგიტაციო კომიტეტების გაერთიანება; გლეხებს შორის შესაფერი სააგიტაციო კომიტეტების შექმნა; საქალაქო და გლეხთა კომიტეტებს შორის უფრო მჭიდრო კავშირის დამყარება; საგუბერნიო კომიტეტების შექმნა და მათ შორის კავშირის დამყარება.

2) როცა ეს ორგანიზაცია საკმაოდ ძლიერი გახდება და მუშათა მასაში შესაფერისი განწყობილება იქნება, საარჩევნო კამპანიის დაწყებისას უნდა შეუდგნენ დამფუძნებელი კრების საყოველთაო სახალხო არჩევნების მოწყობას და მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ ორგანიზებული სახალხო მოძრაობა, მიმართული ამ არჩევნების განხორციელებისაკენ, შეიძლება გადაიქცეს ბუნებრივ გადასვლად ცარიზმის წინააღმდეგ საყოველთაო სახალხო აჯანყებაზე, რადგან ცარიზმის აუცილებელი წინააღმდეგობა და მასთან შეჯახება არჩევნების ნიადაგზე ახალ წამაქეზებელ მოტივებს შექმნიან აჯანყებისათვის, ხოლო ხალხის წინასწარი ორგანიზაცია უზრუნველყოფს ამ აჯანყების საყოველთაო ხასიათსა და ერთიანობას.

3) ამასთან ერთად კონფერენცია წინადადებას იძლევა ეცადონ საარჩევნო კრებების თავისუფლების მოპოვებას, ურჩევს პარტიულ ორგანიზაციებს საარჩევნო კამპანიაში ენერგიულ ჩარევას, ამრჩევთა კრებებში ხალხის ჩარევას, ამრჩევთა მიერ ფართო სახალხო კრებებზე იმ ამოცანების განხილვას, რომელნიც დგას სახელმწიფო სათათბიროში ასარჩევ წარმომადგენელთა წინაშე, ამასთანავე სოციალ-დემოკრატიული პარტია უნდა ეცადოს რევოლუციურ გზაზე დააყენოს მოსახლეობის ის ფენები, რომელნიც სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის უფლებით სარგებლობენ, რაც უნდა გამოიხატოს ან იმით, რომ შეუერთდნენ აჯანყებას, რომელსაც ხალხის დემოკრატიული ორგანიზაციები ხელმძღვანელობენ, ანდა, თუ აჯანყება არ არის, იმ მისწრაფებით, რომ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი სახელმწიფო სათათბირო გადააქციონ რევოლუციურ კრებად საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრების მოსაწვევად ან ხალხის დემოკრატიული ორგანიზაციების მიერ მისი მოწვევისთვის ხელის შესაწყობად.

4) ემზადონ სახელმწიფო სათათბიროზე ამავე მიმართულებით ზეგავლენის მოსახდენად, თუ მისი საბოლოო მოწვევის დროისათვის სახალხო მოძრაობა არ დაამხობს თვითმპყრობელობას და არ ჩამოაყალიბებს დამფუძნებელ კრებას. — ემზადონ იმისათვის, რომ სახელმწიფო სათათბიროს წაუყენონ დამფუძნებელი კრების მოწვევის, სიტყვის, კრებების, პრესის, კავშირების დაუყოვნებლივ შემოღებისა და ხალხის შეიარაღების ულტიმატუმი. — ემზადონ იმისათვის, რომ ამ ულტიმატუმს მხარი დაუჭირონ პოლიტიკური გაფიცვებით და სხვა ფართო სახალხო გამოსვლებით.

5) მთელი ეს ტაქტიკა უნდა მიიღონ ფართო სახალხო კრებებმა, რომლებიც მოეწყობა პროლეტარიატსა და გლეხობაში, საარჩევნო კამპანიამდე და სააარჩევნო კამპანიის დროს.

არ შევჩერდებით რეზოლუციის სარედაქციო ხასიათის ნაკლოვანებებზე და მის მრავალსიტყვაობაზე. აღვნიშნოთ პირდაპირ მისი ძირითადი შეცდომები.

1. შესავალ ნაწილში ლაპარაკია ერთადერთ გამოსავალზე თანამედროვე მდგომარეობიდან. ამასთან სიმძიმის მთელი ცენტრი გადატანილია დამფუძნებელი კრების ცნებაზე და ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი იმაზე, ვინ უნდა მოიწვიოს იგი, რომ ეს «გამოსავალი» მართლაც გამოსავალი იყოს არა მარტო სიტყვიერად, არამედ საქმით. ეს მიფუჩეჩება სოციალ-დემოკრატების ქედის მოხრაა ოსვობოჟდენიელების წინაშე. ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ ოსვობოჟდენიელებს სწორედ მონარქისტული ლიბერალური ბურჟუაზიის ინტერესები აიძულებს დასჯერდნენ მხოლოდ საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრების მოწვევას და მიაფუჩეჩონ ის საკითხი, თუ ვინ უნდა მოიწვიოს იგი. ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ რევოლუციის განვითარებამ სწორედ ეს საკითხი წამოაყენა პირველ რიგში, რომ სწორედ ეს არის ახლა ძირითადი განსხვავება ბურჟუაზიის ოპორტუნისტულ («შემთანხმებელ») ტაქტიკასა და პროლეტარიატის რევოლუციურ ტაქტიკას შორის. ახალისკრელებმა თავიანთი რეზოლუციით ახლა დოკუმენტურად დაამტკიცეს, რომ ისინი ტაქტიკის ძირითად საკითხებში განუკურნებელი სიბრმავით არიან შეპყრობილი და ოსვობოჟდენიელური ლოზუნგებისკენ იხრებიან.

რეზოლუციის შემდგომ ნაწილში კიდევ უფრო მეტად აბნეულია საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრების მოწვევის საკითხი. ქადაგება, რომელიც ამ მხრივ მთელ იმედს სახელმწიფო სათათბიროზე ამყარებს, პირდაპირ რეაქციული ქადაგებაა, ხოლო დამფუძნებელი კრების მოწვევას «ხალხის დემოკრატიული ორგანიზაციის მიერ» ისეთივე მნიშვნელობა აქვს, ჩვენ რომ გვეთქვა დამფუძნებელი კრება მოიწვიეთ ხალხის იმ მეგობართა კომიტეტის საშუალებით, რომელნიც პლანეტა მარსზე ცხოვრობენ. — თავიანთ სრულიად რუსეთის კონფერენციაზე ახალისკრელებმა მიუტევებელი შეცდომა ჩაიდინეს, როცა რევოლუციური მთავრობის მიერ საყოველ-

თაო სახალხო დამფუძნებელი კრების მოწვევა გაუთანაბრეს მის მოწვევას ერთ-ერთი წარმომადგენლობითი დაწესებულების მიერ. ახლა ახალისკრელებმა კიდევ უფრო მეტი ნაბიჯი გადადგეს უკან: მათ სრული დუმილით აუარეს გვერდი დროებითს რევოლუციურ მთავრობას. რატომ? რა საფუძვლით? რაში შეიცვალა მათი შეხედულებები? — ყოველივე ეს საიდუმლოებითაა მოცული. ტაქტიკური დირექტივების განვითარების ნაცვლად მენშევიკები თავიანთ კონფერენციებზე მხოლოდ ნახტომებისა და მარცხნივ და მარჯვნივ ქანაობის ნიმუშებს იძლევიან.

2. «ხალხის შეგნებულ მოღალატედ» გამოცხადება ყველასი, «ვინც მზადაა დასჯერდეს» და სხვ., სწორედ ასეთი ნახტომია ვითომ მარცხნივ და მასთან ნახტომი არა ნამდვილად რევოლუციური გზისაკენ, არამედ რევოლუციური ფრაზისაკენ. ჯერ-ერთი, რა საჭიროა ეს მკვახე სიტყვა «შეგნებულ» (მოღალატეზე)? განა ხალხის შეგნებული მოღალატე იყო იოჰან იაკობი, რომელიც 1847 წელს, როგორც ბურჟუაზიული ლიბერალი, სახელმწიფო სათათბიროში ანუ შეერთებულ ლანდტაგში მიდიოდა, ხოლო 1870 — 1871 წლის ომის შემდეგ სოციალ-დემოკრატების მხარეზე გადავიდა? განა შეგნებული მოღალატე იქნება ყოველი გლეხი, რომელიც სათათბიროში მიდის და «მზადაა» სულ მცირედსაც დასჯერდეს? მეორეც, გონივრულია თუ არა აქ წამოყენებული კრიტერიუმი გამცემლობისა: ვინც მზადაა დასჯერდეს, ვინც ამოცანებს არ ისახავს, და სხვა. რით მტკიცდება «მზადყოფნა» და «ამოცანების დაყენება», სიტყვიერად თუ საქმით? თუ სიტყვიერად, მაშინ სახელმწიფო სათათბიროში მიმავალ კადეტებს («კონსტიტუციონალისტ-დემოკრატებს», როგორც ახლა დაირქვეს ოსვობოჟდენიელებმა) უნდა ჩამოვართვათ ხელწერილი ანუ რევოლუციური ვალდებულება (პარვუსი, ჩერევანინი, მარტოვი). მაშინ რეზოლუციამ ეს აზრი უნდა გამოხატოს ნათლად და არა გააბუნდოვანოს იგი. ხოლო თუ «მზადყოფნა» მტკიცდება საქმით, მაშინ რეზოლუცია რატომ აშკარად და პირდაპირ არ ამბობს, რა და რა მოქმედება ამტკიცებს მის თვალში მზადყოფნას? იმიტომ, რომ რეზოლუციას დაეტყო

ძირითადი შეცდომა ახალი «ისკრისა», რომელსაც არ ეხერ-ხება მიჯნის გავლება რევოლუციურ დემოკრატიასა და მო-ნარქისტულ-ლიბერალურ დემოკრატიას შორის. მესამე, განა გონივრულია მებრძოლი პარტიის მხრივ ზოგადი ფორმით ლა-პარაკი პირებზე («ყველა», «ვინც») და არა კონკრეტული ფორმით ლაპარაკი მიმართულებებსა და პარტიებზე? ჩვენ-თვის ახლა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია პროლეტარია-ტის წინაშე ვამხილოთ სწორედ მიმართულება, სწორედ კა-დეტთა პარტია, რომელმაც თავისი «მოქმედებით» უკვე დაგ-ვანახვა, რა მოთხოვნებს უჭერს იგი მხარს და როგორ. სო-ციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების სახელით მიმართო მუშებს, ელაპარაკო მათ სათათბიროში მიმავალთა შესახებ, სათათბიროს ამრჩეველთა შესახებ და სხვ. და არაფერი სთქვა კადეტების პარტიაზე (იმავე ოსვობოჟდენიელებზე), ეს ნიშნავს ან არასაკადრისად იმლიქვნელო და იყალთაბანდო (ზურგს უკან ოსვობოჟდენიელებთან შეთანხმება გაატარო მათთვის მხარისდაჭერის შესახებ პარვუსის ან ჩერევანინის პირობებ ზე), ანდა შეუგნებლად გარყვნილება შეიტანო მუშათა წრეში და უარი სთქვა კადეტების წინააღმდეგ ბრძოლაზე.

გარდა ისტორიული ფაქტებისა «ოსვობოჟდენიეს», ოსვო-ბოჟდენიელების, ერობის მოღვაწეთა და სხვა კადეტთა მოღ-ვაწეობის შესახებ ჩვენ არავითარი სერიოზული მასალა არ მოგვეპოვება შევაფასოთ ბურჟუაზიის წრიდან გამოსული დემოკრატების «მზადყოფნა» იბრძოლონ ხალხთან ერთად. ახალისკრელები გვერდს უვლიან ამ მასალას და უშინაარსო ფრაზას სჯერდებიან. პლეხანოვი კი ცდილობს დაგვარწმუ-ნოს, «ისკრის» შეხედულებათა ორგანიზაციულ ბუნდოვანე-ბას არ ერთვის ტაქტიკური ბუნდოვანებაო!

ისკრელებმა ხომ საქმით არათუ თვალი დახუჭეს კადეტე-ბის მხრივ გამცემლობის ჩადენის «მზადყოფნაზე», რაც დაამ-ტკიცა მათმა აშკარა, ყველას მიერ აღნიშნულმა მარჯვნივ გადახრამ ივლისის საერობო ყრილობის დროიდან სექტემ-ბრის ყრილობამდე, არამედ დახმარებაც კი გაუ-წ ი ე ს ისკრელებმა ამ კადეტებს ბოიკოტის წინააღმდეგ ომის გაჩაღებით! ჰიპოთეზურ ოსვობოჟდენიელებს («ყველა, ვინც

ბზადაა» და სხვ.) ისკრელები «საშინლად მრისხანე» სიტყვებით ემუქრებიან, ხოლო რეალურ ოსვობოჟდენიელებს თავიანთი ტაქტიკით ეხმარებიან. ეს სავსებით ბ-ნ როდიჩევის, კადეტთა ერთ-ერთი ბელადის, ყაიდის ამბავია; ბ-ნი როდიჩევი მრისხანედ გაიძახის: «ჩვენ ხალხის სისხლით შეღებილი ხელებიდან თავისუფლებას ვერ მივიღებთო!» (ბ-ნ როდიჩევის ამ ფრაზას, წარმოთქმულს კერძო კრებაზე ვ. სტედის წინააღმდეგ, ამჟამად ყველა საზღვარგარეთული გაზეთი იმეორებს) — და ამავე დროს მოითხოვს საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრების სწორედ ამ ხელებით მოწვევას.

3. რეზოლუციის შემდგომი ძირითადი შეცდომაა ლოზუნგი: «ფართო დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნა და მათი სრულიად რუსეთის ორგანიზციად გაერთიანება». პირდაპირ საოცარია იმ სოციალ-დემოკრატების ქარაფშუტობა, რომლებიც ასეთს ლოზუნგს აყენებენ. რას ნიშნავს ეს: ფართო დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნა? ეს შეიძლება ნიშნავდეს ორში ერთს: ან სოციალისტების ორგანიზაციის (რსდმპ) გათქვეფას დემოკრატების ორგანიზაციაში (ამის შეგნებულად გატარება ახალისკრელებს არ შეუძლიათ, რადგან ეს სრული გამცემლობა იქნებოდა პროლეტარიატის მიმართ) — ანდა სოციალ-დემოკრატებისა და ბურჟუაზიული დემოკრატების განსაზღვრული ფენების დროებით შეერთებას. თუ ახალისკრელებს სურთ ასეთი შეერთება იქადაგონ, რატომ არ ამბობენ ამას პირდაპირ და აშკარად? რატომ ეფარებიან სიტყვა «შექმნას»? რატომ არ აღნიშნავენ ზუსტად, ბურჟუაზიული დემოკრატიის სახელდობრ რომელ მიმდინარეობებთან და ჯგუფებთან შეერთებისაკენ მოუწოდებენ ისინი სოციალ-დემოკრატებს? განა ეს ახალი ნიმუში არ არის შეუწყნარებელი ტ ა ქ ტ ი კ უ რ ი ბ უ ნ დ ო ვ ა ნ ე ბ ი ს ა, რომელიც საქმით მუშათა კლასს გარდუვალად აქცევს ბურჟუაზიული დემოკრატიის მაჩანჩალად?

რეზოლუციაში ამ «ფართო დემოკრატიული ორგანიზაციების» ხასიათის ერთადერთ განსაზღვრას წარმოადგენს მათი ორი მიზნის აღნიშვნა: ბრძოლა (1) სახელმწიფო სათათბიროს წინააღმდეგ და ბრძოლა (2) საყოველთაო სახალხო დამფუძ-

ნებელი კრების მოწვევისათვის. კადეტებმა სავსებით აღიარეს მეორე მიზანი მისი დონდლო, ისკრული ფორმულირებით, ე. ი. იმის აღუნიშნავად, თუ ვინ უნდა მოიწვიოს საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრება. მაშასადამე, ისკრელები ქადაგებენ სოციალ-დემოკრატებისა და კადეტების შეერთებას, ხოლო პირდაპირ ამის თქმა რცხვენიათ?? პირველი მიზანი იმ ბუნდოვანებითაა ფორმულირებული, რომლის დანახვას ჩვენ შეჩვეული ვართ მხოლოდ რუსეთის კანონებში, რომელნიც განზრახ ატყუებენ ხალხს. რას ნიშნავს ბრძოლა სახელმწიფო სათათბიროს წინააღმდეგ? თუ ამას სიტყვასიტყვით გავიგებთ და ვიგულისხმებთ, რომ რეზოლუციის შემდგენლებს სურთ მიუკიბ-მოუკიბავად ილაპარაკონ, ეს ნიშნავს სათათბიროს ბოიკოტს, ვინაიდან იმ დაწესებულების წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც ჯერ კიდევ არ არსებობს, ეს ნიშნავს მისი წარმოშობის წინააღმდეგ წასვლას. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ისკრელები ბოიკოტის წინააღმდეგი არიან, თვით რეზოლუციიდან ვხედავთ, რომ ისინი შემდეგ ლაპარაკობენ უკვე არა სახელმწიფო სათათბიროს წინააღმდეგ ბრძოლაზე, არამედ სახელმწიფო სათათბიროზე ზეგავლენის მოხდენაზე, მისწრაფებაზე, რომ გადააქციონ სახელმწიფო სათათბირო რევოლუციურ კრებად და სხვა. მაშასადამე, სიტყვები «ბრძოლა სახელმწიფო სათათბიროს წინააღმდეგ» უნდა გავიგოთ არა სიტყვასიტყვით, არა ვიწრო აზრით. მაგრამ თუ ასეა, მაშ რა აზრით? ბ-ნ მ. კოვალევსკის აზრით ხომ არა, რეფერატებს რომ კითხულობს და სახელმწიფო სათათბიროს აკრიტიკებს? სახელდობრ რას უნდა ვუწოდოთ ბრძოლა სახელმწიფო სათათბიროს წინააღმდეგ?? ეს საიდუმლოებად რჩება. ჩვენმა გზააბნეულებმა ამაზე გარკვეული რამ ვერაფერი თქვეს. ჩვენმა ახალისკრელებმა იციან შეგნებული მუშების განწყობილება, რაც უეჭველად ეწინააღმდეგება კადეტებთან შეთანხმების ტაქტიკას, განსაზღვრულ პირობებზე სათათბიროსთვის მხარისდაჭერის ტაქტიკას და ლაჩრულად საშუალო გზა აირჩიეს: ერთი მხრივ, განმეორება პროლეტარებს შორის პოპულარული ლოზუნგისა: «ბრძოლა სახელმწიფო სათათბიროს წინააღმ-

«დეგ», მეორე მხრივ, ზუსტი აზრის გამოცლა ამ ლოზუნგიდან, თვალის დაბნელება, სათათბიროს წინააღმდეგ ბრძოლის გაგება სათათბიროზე ზეგავლენის მოხდენის აზრით და სხვ.. და ამ უბადრუკ დომხალს აყენებენ ისკრელთა უგავლენიანესი ორგანიზაციები ისეთ მომენტში, როცა ოსვობოჟდენიელები მკერდზე ხელს იცემენ და მთელ ევროპას აყრუებენ ყვირილით, სახელმწიფო სათათბიროში მხოლოდ ბრძოლისათვის მივდივართ, მხოლოდ და მხოლოდ ბრძოლისათვის, მზადა ვართ სრულიად გავწყვიტოთ კავშირი მთავრობასთანაო!

ვეკითხებით მკითხველებს: გაგონილა კი სადმე სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკის ამაზე უფრო სამარცხვინო მერყეობა? განა შეიძლება წარმოვიდგინოთ რაიმე უფრო დამღუპველი სოციალ-დემოკრატიისთვის, ვიდრე ეს ქადაგება «ფართო დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნისა» ოსვობოჟდენიელებთან ერთად (ვინაიდან კადეტები ეთანხმებიან ასეთი ორგანიზაციების ისკრისებურად განმარტებულ მიზნებს), მაგრამ ისე, რომ ოსვობოჟდენიელებს პირდაპირ არ ასახელებენ??

პლეხანოვი კი, რომელმაც რუსეთის ყველა რევოლუციური სოციალ-დემოკრატის თვალში სახელი გაიტეხა იმით, რომ თითქმის ორი წლის განმავლობაში იცავდა «ისკრის» «ორგანიზაციულ ბუნდოვანებას», დაგვიწყებს ახლა მტკიცებას, რომ ახალისკრელთა ტაქტიკა კარგიაო!..

4. შემდეგ. მეტისმეტი უგუნურებაა ფართო (და უსახო) დემოკრატიული ორგანიზაციების შეერთებას «სრულიად რუსეთის სახალხო ორგანიზაცია» ანდა «ხალხის დემოკრატიული ორგანიზაცია» უწოდო. ეს უწინარეს ყოვლისა თეორიულად არ არის სწორი. ეკონომისტები, როგორც ცნობილია, იმაში ცდებოდნენ, რომ პარტიას და კლასს ერთიმეორეში ურევდნენ. ისკრელები ძველ შეცდომებს იმეორებენ და დემოკრატიული პარტიებისა თუ ორგანიზაციების შეერთებას ხალხის ორგანიზაციასთან ურევენ. ეს უშინაარსო, ყალბი, მავნე ფრაზაა. ის უშინაარსოა, ვინაიდან მასში არავითარი გარკვეული აზრი არ არის და იგი არ აღნიშნავს გარკვეულ დემოკრატიულ პარტიებს ან მიმდინარეობებს. ეს ფრაზა ყალბია, ვინაიდან კა-

პიტალისტურ საზოგადოებაში თვით მოწინავე კლასსაც, პროლეტარიატსაც კი არ ძალუძს შექმნას ისეთი პარტია, რომელიც მთელ კლასს მოიცავდეს, — ხოლო მთელ ხალხზე ლაპარაკი საერთოდ ზედმეტიცაა. ის მავნეა, ვინაიდან გონებას ანაგვიანებს მაღალფარდოვანი სიტყვით და წინა რიგში არ აყენებს რეალურ მუშაობას ნამდვილი დემოკრატიული პარტიების ნამდვილი მნიშვნელობის, მათი კლასობრივი საფუძვლის, პროლეტარიატისადმი მათი სიახლოვის და სხვ. განმარტების მხრივ. სწორედ ახლა, დემოკრატიული რევოლუციის ეპოქაში, რევოლუციის, რომელიც თავისი საზოგადოებრივ-ეკონომიური შინაარსით ბურჟუაზიულია, განსაკუთრებით ძლიერია ბურჟუაზიული დემოკრატების, ყველა ამ კ.-დ. და სხვათა, თვით სოციალისტ-რევოლუციონერთა მიდრეკილება, რომ იქადაგონ «ფართო დემოკრატიული ორგანიზაციები», საერთოდ, ხელი შეუწყონ, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, აშკარად თუ ფარულად, უპარტიულობას, ე. ი. დემოკრატებს შორის მკაცრი გამიჯვნის უქონლობას. პროლეტარიატის შეგნებული წარმომადგენლები გადაჭრით და ულმობლად უნდა შეებრძოლონ ამ ტენდენციას, რადგან ის თავისი დედაარსით უაღრესად ბურჟუაზიულია. ჩვენ პირველ რიგში უნდა ვაყენებდეთ ზუსტ პარტიულ განსხვავებას, ვამხელდეთ ყოველგვარ აბნეულობას, ვააშკარავებდეთ ფრაზების სიყალბეს ვითომ ერთიან, სოლიდარულ, ფართო დემოკრატიზმზე, ფრაზებისა, რომლებითაც სავსეა ჩვენი ლიბერალური გაზეთები. როცა ვაყენებთ დემოკრატიის განსაზღვრულ ფენებთან შეერთებას გარკვეული ამოცანებისთვის, ჩვენ უნდა გამოვყოთ მხოლოდ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი დემოკრატია, — განსაკუთრებით ჩვენს დროში, — უნდა აღვნიშნავდეთ იმ თვისებებს, რომლებიც ყველაზე ცხადად მიჯნავენ ბრძოლისთვის «მზადმყოფთ» (ახლავე რევოლუციური არმიის რიგებში) იმათგან, ვინც «მზადაა» ივაჭროს თვითმპყრობელობასთან.

რათა უფრო თვალსაჩინოდ განვუმარტოთ ისკრელებს მათი შეცდომა, ავიღოთ უფრო მარტივი მაგალითი. ჩვენს პროგრამაში ლაპარაკია გლეხთა კომიტეტებზე. რსდმპ III ყრილობის რეზოლუცია უფრო ზუსტად განსაზღვრავს ამ კომი-

ტეტთა მნიშვნელობას და მათ გლეხთა რევოლუციურ კომიტეტებს უწოდებს (ამ მხრივ III ყრილობას, არსებითად, ახალისკრელთა კონფერენციაც ეთანხმება). მათ ამოცანად ვუყენებდით საერთოდ დემოკრატიული და კერძოდ აგრარული გარდაქმნების განხორციელებას რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი გ ზ ი თ, ო ვ ი თ მემამულეთა მიწების კ ო ნ ფ ი ს კ ა ც ი ა მ დ ე. ახლა ისკრელები რეზოლუციაში გვირჩევენ კიდევ ახალი «სააგიტაციო კომიტეტების შექმნას გლეხობაში». ასეთი რჩევის მოცემა შეჰფერით არა სოციალისტ მუშებს, არამედ ლიბერალ ბურჟუებს. ასეთი «გლეხთა სააგიტაციო კომიტეტები», თუ ისინი შეიქმნებიან, მთლიანად ოსვობოჟდენიელებისთვის იქნებიან ხელსაყრელი, ვინაიდან მათი რევოლუციური ხასიათი ლიბერალურით შეიცვლებოდა: როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ სააგიტაციო კომიტეტების აგიტაციის ისკრისებურად განსაზღვრული შინაარსი (ბრძოლა სახელმწიფო სათათბიროს «წინააღმდეგ» და საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრების მოწვევისათვის) არ სცილდება ოსვობოჟდენიელური პროგრამის ფარგლებს. ცხადია თუ არა ახლა ახალისკრელებისთვის, რომ, როცა ისინი გლეხთა რევოლუციური კომიტეტების ლოზუნგს «გლეხთა სააგიტაციო კომიტეტების» ლოზუნგით ავსებენ, სოციალ-დემოკრატიულ ლოზუნგებს ოსვობოჟდენიელურ ლოზუნგებად აქცევენ?

5. დასასრულ, ჩვენ ვუახლოვდებით ამ «სრულიად რუსეთის სახალხო ორგანიზაციის» მთავარ ამოცანას — დამფუძნებელი კრების საყოველთაო სახალხო არჩევნების ორგანიზაციას. საყოველთაო სახალხო არჩევნები თვითმპყრობელობის არსებობის დროს! და თვითმპყრობელობასთან «შეჯახებებიც» «ახალ წამაქეზებელ მოტივებს იძლევიან აჯანყებისათვის»... აი ჭეშმარიტად სასაცილო არჩევნები, როგორც ახალი წამაქეზებელი მოტივები აჯანყებისათვის!

«რევოლუციური თვითმმართველობის» ლოზუნგმა, დამფუძნებელი კრების «თვითწარმოშობის» თეორიამ გარდუვალად გამოიწვია ისეთი უაზრობა, რომელიც კლასიკურ უაზრობად უნდა გახდეს. საყოველთაო სახალხო არჩევნებზე ლაპარაკი ტრეპოვების ბატონობის დროს, ე. ი. აჯანყების გამარჯვე-

ბამდე, მეფის ხელისუფლების ფაქტიურ დამხობამდე, უდიდესი მანილოვობაა, რომელსაც შეუძლია მხოლოდ წარმოუდგენელი პოლიტიკური გარყვნილება შეიტანოს მუშების თავში. მხოლოდ იმ ადამიანებს, რომელნიც ახალმა «ისკრამ» ფრაზის ბატონობას შეაჩვია, შეუძლიათ მიიღონ ასეთი ლოზუნგები, რომლებიც ფხიზელი კრიტიკის შეხებისთანავე გაცამტვერდებიან. საკმარისია ოდნავ ჩავუფიქრდეთ იმას, თუ რა არის ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ს ა ხ ა ლ ხ ო არჩევნები ამ სიტყვის სერიოზული მნიშვნელობით, საკმარისია მოვიგონოთ, რომ ისინი მოითხოვენ აგიტაციის თავისუფლებასაც, მთელი მოსახლეობისთვის საქმის ვითარების გაცნობასაც, მთელი მოსახლეობის მიერ ისეთი ცენტრის თუ ისეთი ადგილობრივი ცენტრების აღიარებასაც, რომელნიც მთელი მოსახლეობის სიებს შეადგენენ და მართლაც გამოუკლებლივ ყველას დაკითხვას მოახდენენ, — საკმარისია ოდნავ ჩავუფიქრდეთ ამას, რომ «ისკრის» მიერ ნავარაუდევი «საყოველთაო სახალხო არჩევნები» საყოველთაო სახალხო სეირად ან საყოველთაო სახალხო შარლატნობად მივიჩნიოთ. არც ერთი დეპუტატი, რომელიც რაოდენადმე ღირსი იქნება «საყოველთაო სახალხო წარმომადგენლის» სახელწოდებისა, ე. ი. ისეთის, რომელმაც შეკრიბა მართლაც თავისუფლად და შეგნებულად მიცემული 50 — 100 ათასი ხმა, არც ერთი ასეთი დეპუტატი მთელ რუსეთში «საარჩევნო კამპანიის დროს» არ შეიძლება არჩეულ იქნას.

ისკრული რეზოლუცია პროლეტარიატს ურჩევს კ ო მ ე დ ი ა გ ა ი თ ა მ ა შ ო ს, და ვერავითარი შენიშვნა და მოიზეზება ვერ შესცვლის ამ კომედიანტური რეზოლუციის მნიშვნელობას. გვეუბნებიან, არჩევნებს მხოლოდ მაშინ მოახდენენ, როცა «ორგანიზაცია საკმაოდ ძლიერი იქნებაო», მხოლოდ მაშინ, როცა «წინასწარი ორგანიზაცია უზრუნველყოფს მის (აჯანყების) საყოველთაო ხასიათსა და ერთიანობას». ჩვენ ვუპასუხებთ: ძალის დამტკიცება შეიძლება საქმითა და არა სიტყვით. აჯანყების გამარჯვებამდე სასაცილოა კია ლაპარაკი ისეთ ძალაზე, რომელსაც არათუ «საყოველთაო

სახალხო არჩევნების» ჩატარება, არამედ თუნდაც მისი გამოცხადება შეეძლოს ისე, რომ სასაცილოდ არ გახდეს საქმე. აჯანყების გამარჯვებას ვერ «უზრუნველყოფს» ვერავითარი საყოველთაო ხასიათი და ორგანიზაციის ვერავითარი ერთიანობა, თუ (1) ეს ორგანიზაცია არ შესდგება ისეთი ადამიანებისაგან, რომელთაც მართლაც შესწევთ აჯანყების უნარი (ჩვენ კი დავინახეთ, რომ რეზოლუცია ქადაგებს მხოლოდ «ფართო», ე. ი. სინამდვილეში ოსვობოჟდენიელურ ორგანიზაციებს, რომლებიც უსათუოდ უღალატებდნენ აჯანყებას, ის რომ დაწყებულიყო); თუ (2) არ აღმოჩნდება ძალა აჯანყების გამარჯვებისათვის (გამარჯვებისათვის კი საჭიროა რევოლუციური არმიის მატერიალური ძალა, გარდა საზოგადოებრივი აზრის მორალური ძალისა, ხალხის კეთილგანწყობილებისა და სხვ.). საბრძოლო მოწოდებაში პირველ რიგში წამოყენება ამ მორალური ძალისა, ამ მაღალფარდოვანი სიტყვებისა «საყოველთაო ხალხურობის» შესახებ და გ ა ჩ უ მ ე ბ ა ნამდვილ მატერიალურ ძალაზე — ნიშნავს პროლეტარიატის რევოლუციური ლოზუნგების ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ფრაზად დაკნინებას.

სასაცილო არჩევნები წარმოადგენს სწორედ არა «ბუნებრივ», არამედ ხ ე ლ ო ვ ნ უ რ გადასვლას აჯანყებაზე, გადასვლას, გამოგონილს ერთი მუჭა ინტელიგენტების მიერ. ასეთი ხელოვნური გადასვლების შეთხზვა ისეთი საქმიანობაა, რომელიც სავსებით ანალოგიურია ნადეჟდინის ძველი საქმიანობისა: «ექსციტატიური» ტერორის გამოგონებისა. ახალისკრელებს ასევე ხელოვნურად სურთ ხალხის «ექსციტირება», აღგზნება აჯანყებისათვის, — იდეა, რომლის საფუძველი ყალბია. ნამდვილი საყოველთაო სახალხო ორგანიზაციის შექმნა ჩვენ არ შეგვიძლია; ის არჩევნები, რომლის დანიშვნას ჩვენ განვიზრახავდით თვითმპყრობელობის დროს, აუცილებლად კომედიად გადაიქცეოდა, და ასეთი შ ე თ ხ ზ უ ლ ი საბაბის გამოყენება აჯანყებისათვის — ეს იგივეა, რომ დავადგინოთ აჯანყების მოწყობა ისეთს მომენტში, როცა ხალხში ნ ა მ დ ვ ი ლ ი მღელვარება არ არსებობს. მხოლოდ იმ ადამიანებს, რომელთაც არ სწამთ პროლეტარიატის რევო-

ლუციური აქტივობა, მხოლოდ იმ ინტელიგენტებს, რომლებიც მკვახე სიტყვებს ეტანებიან, შეეძლოთ 1905 წლის სექტემბერს შეეთხზათ «აჯანყების ახალი წამაქეზებელი მოტივები». თითქოს ცოტა იყოს ჩვენში, რუსეთში, აჯანყების ნ ა მ დ ვ ი ლ ი და არა კომედიანტური მოტივები, თითქოს ცოტა იყოს მასების ა ღ გ ზ ნ ე ბ ი ს ნამდვილი და არა ინსცენირებული, ყალბი შემთხვევები! სასაცილო არჩევნები ვერასდროს ვერ აღაგზნებს მასებს. მაგრამ გაფიცვას, დემონსტრაციას, სამხედრო ამბოხს, სტუდენტთა სერიოზულ მღელვარებას, შიმშილს, მობილიზაციას, კონფლიქტს სახელმწიფო სათათბიროში და სხვ., და სხვ., და სხვ. მუდამ, ყოველ საათში შეუძლია მართლაც ა ღ ა გ ზ ნ ო ს მასები. არათუ აზრი «აჯანყების ახალი წამაქეზებელი მოტივების» შეთხზვისა უდიდესი სისულელეა, არამედ მასების ნამდვილად აღგზნების ამა და ამ და არა სხვა მოტივების წინასწარ აღნიშვნის აზრიც უგუნურება იქნებოდა. ვინც თავის თავს ოდნავ მაინც პატივსა სცემს, ოდნავ მაინც სერიოზულად უყურებს თავის სიტყვებს, არასდროს არ იკისრებს «აჯანყების ახალი წამაქეზებელი მოტივების» შეთხზვას.

«ახალი მოტივები» კი არ გვაკლია, უპატივცემულესო მანილოვებო, არამედ სამხედრო ძალა, რევოლუციური ხალხის (და არა ხალხისა საერთოდ) სამხედრო ძალა, რომელსაც წარმოადგენენ 1) შეიარაღებული პროლეტარიატი და გლეხობა, 2) ამ კლასების წარმომადგენლების ორგანიზებული მოწინავე რაზმები და 3) ჯარის ის ნაწილები, რომელნიც მზად არიან ხალხის მხარეზე გადავიდენ. ყოველივე ეს, ერთად აღებული, შეადგენს სწორედ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ა რ მ ი ა ს. ილაპარაკო აჯანყებაზე, მის ძალაზე, მისკენ ბუნებრივ გადასვლაზე და არაფერი სთქვა რევოლუციურ არმიაზე, უაზრობა და აბნეულობაა, — მით უფრო მეტი, რაც უფრო მეტად მობილიზებულია კონტრრევოლუციური არმია. კავკასიისა და შავი ზღვის, პოლონეთისა და რიგის აჯანყებათა ეპოქაში «აჯანყების ახალი წამაქეზებელი მოტივების» შეთხზვა, — ეს ნიშნავს განგებ მოემწყვდიო შენს ნაჭუჭში და ჩამოშორდე მოძრაობას. ჩვენს წინაშეა მუშებისა და გლეხების უძლიერესი მღელ–

ვარება. ჩვენს წინაშეა აჯანყების მთელი რიგი აფეთქებანი, რომლებიც განუხრელად და უდიდესი სისწრაფით ფართოვდებიან, ძლიერდებიან და შეუპოვარნი ხდებიან, დაწყებული 9 იანვრიდან. ვერავინ ვერ იკისრებს იმის თავდებობას, რომ ხვალ ეს აფეთქებანი არ განმეორდებიან ყოველ დიდ ქალაქში, ყოველ სამხედრო ბანაკში, ყოველ სოფელში. პირიქით, ყველა ნიშანი იმას მოწმობს, რომ ასეთი აფეთქებანი მოსალოდნელია, ახლოსაა, გარდუვალია. მათი წარმატება დამოკიდებულია, ჯერ-ერთი, რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი აგიტაციისა და ორგანიზაციის წარმატებებზე, — სწორედ რევოლუციურისა და არა «ფართო დემოკრატიულისა», რომელზედაც ლაყბობს «ისკრა», ვინაიდან დემოკრატებს შორის უამრავი არარევოლუციონერია. მეორეც, წარმატება დამოკიდებულია რევოლუციური არმიის ძალასა და მზადყოფნაზე. პირველ პირობას დიდი ხანია ყველა აღიარებს და ის მთელ რუსეთში ხორციელდება ყველა რევოლუციონერის მიერ წრის, ჯგუფის ყოველ კრებაზე, სახელდახელო კრებებზე, მიტინგებზე. მეორე პირობა ჯერ კიდევ ძალიან და ძალიან ნაკლებად არის აღიარებული. ლიბერალურ ბურჟუაზიას არა სურს და არც შეუძლია მისი აღიარება თავისი კლასობრივი მდგომარეობის გამო. რევოლუციონერთაგან მასზე არაფერს ამბობენ მხოლოდ ისინი, ვინც უიმედოდ მიჩანჩალებს მონარქისტული ბურჟუაზიის კუდში.

აჯანყება — ძალიან დიდი სიტყვაა. აჯანყებისაკენ მოწოდება — მეტისმეტად სერიოზული მოწოდებაა. რაც უფრო რთულდება საზოგადოებრივი წყობილება, რაც უფრო მაღალია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაცია, რაც უფრო სრულყოფილია სამხედრო ტექნიკა, მით უფრო შეუწყნარებელია ასეთი ლოზუნგის მოუფიქრებლად წამოყენება. ჩვენც არა ერთხელ გვითქვამს, რომ რევოლუციური სოციალ-დემოკრატები დიდი ხანია ამზადებდნენ მის წამოყენებას, მაგრამ ის, როგორც პირდაპირი მოწოდება, მხოლოდ მაშინ წამოაყენეს, როცა შეუძლებელი იყო რაიმე მერყეობა რევოლუციური მოძრაობის სერიოზულობის, სიფართოვისა და სიღრმის შესახებ, შეუძლებელი იყო რაიმე მერყეობა იმის შესახებ,

რომ საქმე დასასრულს უახლოვდებოდა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. დიდ სიტყვებს წინდახედულად უნდა მოვექცეთ. დიდი სიტყვების დიდ საქმეებად გადაქცევა უზარმაზარ სიძნელეს წარმოადგენს. მაგრამ სწორედ ამიტომაც მიუტევებელი იქნებოდა ამ სიძნელეებისგან თავის დაძვრენა ფრაზის შემწეობით, სერიოზული ამოცანებისთვის თავის არიდება სიტყვების მანილოვისებური შეთხზვით, თვალის ახვევა მოშაქრული ჩმახვით ვითომ «ბუნებრივი გადასვლების» შესახებ ამ ძნელ ამოცანებზე.

რევოლუციური არმია — ესეც ძალიან დიდი სიტყვაა. მისი შექმნა — ძნელი, რთული და ხანგრძლივი პროცესია. მაგრამ როცა ვხედავთ, რომ მისი შექმნა უკვე დაიწყო და დრო და დრო, ნაწილ-ნაწილ ყველგან წარმოებს; — როცა ვიცით, რომ თუ ასეთი არმია არ გვეყოლება, რევოლუციის ნამდვილი გამარჯვება შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ი ა, — ჩვენ უნდა წამოვაყენოთ გადამწყვეტი და პირდაპირი ლოზუნგი, ვიქადაგოთ იგი, პოლიტიკის საჭირბოროტო ამოცანების ქვაკუთხედად გავხადოთ იგი. შეცდომა იქნებოდა იმის ფიქრი, თითქოს რევოლუციურ კლასებს ყოველთვის საკმაო ძალა შესწევთ გადატრიალების მოსახდენად, როცა ეს გადატრიალება სავსებით მომწიფებულია საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების პირობების გამო. არა, ადამიანთა საზოგადოება მოწინავე ელემენტებისთვის ასე გონივრულად და ასე «მოხერხებულად» როდია მოწყობილი. გადატრილება შეიძლება მომწიფდეს, ხოლო ამ გადატრიალების რევოლუციურ შემოქმედთ შეიძლება ძალა არ ეყოთ მის მოსახდენად, — მაშინ საზოგადოება იწყებს ლპობას და ეს ლპობა ზოგჯერ მთელი ათეული წლების მანძილზე გრძელდება. რუსეთში რომ დემოკრატიული გადატრიალება მომწიფებულია, ეს ეჭვს გარეშეა. მაგრამ ეყოფათ თუ არა ახლა ძალა რევოლუციურ კლასებს მის განსახორციელებლად, ეს კიდევ არ ვიცით. ამას გადაწყვეტს ბრძოლა, რომლის კრიტიკული მომენტი უდიდესი სისწრაფით ახლოვდება, — თუ მთელი რიგი პირდაპირი და არაპირდაპირი ნიშნები არ გვატყუებს. მორალური უპირატესობა უეჭველია, მორალური ძალა უკვე ჭარბადაა; უამისოდ, რა თქმა უნდა, რაიმე გადატ-

რიალებაზე ლაპარაკი შეუძლებელიც იქნებოდა. ეს ძალა აუცილებელი პირობაა, მაგრამ ჯერ კიდევ არა საკმარისი. ხოლო გადაიქცევა თუ არა ეს მორალური ძალა მატერიალურ ძალად, რომელიც საკმარისი იქნება თვითმპყრობელობის ფრიად და ფრიად სერიოზული (ნუ ავარიდებთ თვალს ამას) წინააღმდეგობის შესამუსრავად, — ამას ბრძოლის შედეგი გვიჩვენებს. აჯანყების ლოზუნგი ესაა საკითხის მატერიალური ძალით გადაწყვეტის ლოზუნგი, — ხოლო მატერიალურ ძალას ევროპის თანამედროვე კულტურის პირობებში წარმოადგენს სამხედრო ძალა. ამ ლოზუნგის წამოყენება არ შეიძლება მანამდე, სანამ არ მომწიფებულა გადატრიალების საერთო პირობები, სანამ გარკვევით არ უჩენია თავი მასების მღელვარებასა და მოქმედებისათვის მზადყოფნას, სანამ გარეშე გარემოებას აშკარა კრიზისი არ გამოუწვევია. მაგრამ რაკი ასეთი ლოზუნგი წამოყენებულია, — მაშინ პირდაპირ სამარცხვინო იქნებოდა უკან დახევა ისევ მორალური ძალისაკენ, ისევ აჯანყების ნიადაგის მომზადების ერთ-ერთი პირობისაკენ, ისევ ერთ-ერთი «შესაძლებელი გადასვლისაკენ» და სხვ. და ა. შ.. არა, რაკი არჩევანი მოხდა, თავი უნდა დავანებოთ ყოველგვარ თავდაძვრენას, საჭიროა პირდაპირ და აშკარად განვუმარტოთ უაღრესად ფართო მასებს, თუ როგორია ახლა გადატრიალების წარმატების პრაქტიკული პირობები.

ჩვენ სრულიადაც არ ამოგვიწურავს ყველა შეცდომა ისკრული რეზოლუციისა, რომელიც, — დაფიქრების უნარის მქონე ადამიანთათვის და არა იმათთვის, ვინც «მომენტის შერჩევით» კმაყოფილდება, — დიდი ხნით დარჩება სოციალ-დემოკრატიის ამოცანების გაუხამსების სავალალო ძეგლად. ჩვენ უფრო მნიშვნელოვნად მიგვაჩნია შეცდომათა ძირითადი წყაროების გამოკვლევა, ვიდრე ძირითადი სიყალბის ყოველგვარ, თუნდაც შედარებით წვრილმან გამოვლინებათა ჩამოთვლა. ამიტომ ჩვენ მხოლოდ გაკვრით აღვნიშნავთ საათაბიროსადმი «ულტიმატუმების» (სამხედრო სიტყვაა, რომელიც გაცვეთილ კვეხნად გაისმის მომზადებული

სამხედრო ძალის უყოლობისას) წაყენების, ამ სათათბიროს რევოლუციურ კრებად გადაქცევის ცდის იდეის უაზრობას და რეაქციულობას *, — და გადავალთ «ხალხის რევოლუციური თვითმმართველობის» ლოზუნგის ზოგადი მნიშვნელობის განხილვაზე.

«ისკრის» მთელი მერყეობის საფუძველი ეს ლოზუნგია, ანუ, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, ამ ლოზუნგის ცენტრალურ ლოზუნგად გადაქცევა. ამ ლოზუნგის დაცვას «ისკრა» შეეცადა «დიალექტიკის», — სწორედ იმ პლეხანოვისეული დიალექტიკის დამოწმებით, რომლის წყალობით «ისკრის» «ორგანიზაციულ ბუნდოვანებას» პლეხანოვი ჯერ იცავდა და შემდეგ ამხელდა.

ხალხის რევოლუციური თვითმმართველობა, ვამბობდით ჩვენ, აჯანყების პროლოგი, მასზე «ბუნებრივი გადასვლა» კი არ არის, არამედ ეპილოგიაო. აჯანყების გაუმარჯვებლად ნამდვილ და სრულ თვითმმართველობაზე სერიოზულად ლაპარაკიც კი შეუძლებელიაო. და თან იმასაც დავძენდით, რომ რეაქციულია თვით აზრი სიმძიმის ცენტრის სახელმწიფოს მართვა-გამგეობაზე და არა სახელმწიფოს მოწყობაზე გადატანისა, რომ რევოლუციური თვითმმართველობისა და რევოლუციური არმიის გაიგივება უდიდესი სისულელეა, რომ რე-

* თუ ჩვენ ცარიზმის წინააღმდეგ მომავალ გადამწყვეტ ბრძოლაში ძლიერი აღმოჩნდებით, სახელმწიფო სათათბირო აუცილებლად მარცხნივ გადაიხრება (ყოველ შემთხვევაში მისი ლიბერალური ნაწილი, რეაქციულ ნაწილზე არ ვლაპარაკობთ), მაგრამ მეფის ხელისუფლების გაუნადგურებლად სახელმწიფო სათათბიროზე სერიოზული ზეგავლენის მოხდენის ცდა — ეს ისეთივე სისულელე იქნება, იაპონიამ რომ «ულტიმატუმები» წაუყენოს ჩინეთს ან სერიოზული მნიშვნელობა მისცეს ჩინეთის დახმარებას რუსეთის სამხედრო ძალის გაუნადგურებლად. 1848 წლის 18 მარტის შემდეგ პრუსიის სახელმწიფო სათათბირომ (შეერთებულმა ლანდტაგმა) «უყოყმანოდ ხელი მოაწერა» ქაღალდს დამფუძნებელი კრების მოწვევის შესახებ, მანამდე კი რევოლუციონერთა ყველა «ულტიმატუმი» და მთელი მათი «მისწრაფება», რომ გავლენა მოეხდინათ სახელმწიფო სათათბიროზე, მთელი მათი მუქარა ლიტონი სიტყვები იყო **სახელმწიფო სათათბიროში მოკალათებული პეტრუნკევიჩებისთვის, როდიჩევებისთვის, მილიუკოვებისთვის** და სხვ.

ვოლუციური არმიის გამარჯვება უსათუოდ გულისხმობს რევოლუციურ თვითმმართველობას, ხოლო რევოლუციური თვითმმართველობა უსათუოდ როდი გულისხმობს რევოლუციურ არმიასაო.

«ისკრა» ცდილობდა თავისი შეგნებული ლოზუნგების დომხალი დაეცვა შეუგნებელი სტიქიური პროცესის «დიალექტიკის» დამოწმებით. ცხოვრებაში მკვეთრი საზღვრები არ არსებობსო. მუშათა ბირჟები ახლაც არსებობენო («სოციალ-დემოკრატი»[102] № 12), აი თქვენი თვითმმართველობის ელემენტები. განვითარების დიალექტიკურ პროცესში პროლოგი და ეპილოგი ხშირად ერთიმეორეშია გადახლართულიო.

ეს უკანასკნელი დებულება სავსებით მართებულია. დიახ, ნამდვილი განვითარების პროცესი ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს დახლართულად მიმდინარეობს და ნამდვილ პროლოგზე ადრე ეპილოგის ნაწყვეტები გამოჩნდება ხოლმე. მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ შეგნებული პარტიის ბელადს ეპატიება ბრძოლის ამოცანების დ ა ხ ლ ა რ თ ვ ა, ეპატიება პროლოგისა და ეპილოგის ერთიმეორეში არევა? განა დახლართული სტიქიური პროცესის დიალექტიკას შეუძლია გაამართლოს დომხალი შეგნებული სოციალ-დემოკრატების ლოგიკაში? განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მარქსისტულად გაგებული დიალექტიკა შესცვალო პლეხანოვისებურად გაგებული დიალექტიკით?

ჩვენი აზრი რომ უფრო თვალსაჩინო გავხადოთ, ავიღოთ მაგალითი. ვთქვათ, ლაპარაკია არა დემოკრატიულ, არამედ სოციალისტურ გადატრიალებაზე. კრიზისი მწიფდება, ახლოვდება პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქა. და აი, ოპორტუნისტებიც პირველ რიგში აყენებენ ლოზუნგს: მომხმარებელთა საზოგადოებები, ხოლო რევოლუციონერები — ლოზუნგს: პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა. ოპორტუნისტები დავობენ: მომხმარებელთა საზოგადოებები — პროლეტართა რეალური ძალაა, რეალური ეკონომიური პოზიციის დაპყრობაა, სოციალიზმის ნამდვილი ნაწილაკია; თქვენ, რევოლუციონერებს, არ გესმით დიალექ-

ტიკური განვითარება, კაპიტალიზმის ეს გადაზრდა სოციალიზმად, უჯრედთა ეს შეჭრა თვით კაპიტალიზმის წიაღში, კაპიტალიზმის ეს გამოფიტვა და ახალი სოციალისტური შინაარსით შევსება.

დიახ, უპასუხებენ რევოლუციონერები, გეთანხმებით, რომ მომხმარებელთა საზოგადოებები განსზაღვრული აზრით სოციალიზმის ნაწილაკია. ჯერ-ერთი, სოციალისტური საზოგადოება ერთი დიდი მომხმარებელთა საზოგადოებაა, რომელსაც გეგმაშეზომილად ორგანიზებული წარმოება აქვს მოხმარებისათვის; მეორე, სოციალიზმი განუხორციელებელია, თუ არ იქნება მძლავრი, მრავალმხრივი მუშათა მოძრაობა, ხოლო ერთ-ერთ ამ მრავალ მხარეს აუცილებლად წარმოადგენს მომხმარებელთა საზოგადოებები. მაგრამ საქმე ამაში როდია. სანამ ძალაუფლება ბურჟუაზიის ხელშია, მანამდე მომხმარებელთა საზოგადოებები — უბადრუკი ნაწილაკია, რომელიც არავითარი სერიოზული გარდაქმნის გარანტიას არ იძლევა, არავითარი გადამწყვეტი ცვლილება მას არ შეაქვს, ხანდახან კი ხელსაც უშლის სერიოზულ ბრძოლას გადატრიალებისათვის. უდავოა, მუშების მიერ მომხმარებელთა საზოგადოებებში შეძენილი ჩვევები მეტად სასარგებლოა. მაგრამ ასპარეზი ამ ჩვევების სერიოზულად გამოსაყენებლად მხოლოდ მაშინ შეიქმნება, როცა ძალაუფლება პროლეტარიატის ხელში გადავა. მაშინ მომხმარებელთა საზოგადოებების სისტემის განკარგულებაში შევა ზედმეტი ღირებულებაც; ამჟამად ამ სასარგებლო ინსტიტუტის გამოყენების სფერო უმწეობამდე შეზღუდულია ხელფასის უბადრუკი ოდენობით. მაშინ ეს იქნება ნამდვილად თავისუფალ მუშაკთა სამომხმარებლო კავშირი; ამჟამად ესაა კაპიტალიმზის მიერ დაბეჩავებულ და დათრგუნვილ დაქირავებულ მონათა კავშირი. ამრიგად, მომხმარებელთა საზოგადოებები — სოციალიზმის ნაწილაკს წარმოადგენს. განვითარების დიალექტიკური პროცესი მართლაც ქმნის ჯერ კიდევ კაპიტალიზმის ფარგლებში ახალი საზოგადოების ელემენტებს, მის მატერიალურ და სულიერ ელემენტებს. მაგრამ სოციალისტებს უნდა შეეძლოთ ნაწილაკის გარჩევა მთელისაგან, თავიანთ ლოზუნგად უნდა წამოაყენონ

მთელი და არა ნაწილაკი, ნამდვილი გადატრიალების ძირითადი პირობები უნდა დაუპირისპირონ იმ ნაწილობრივ შეკეთებას, რაც ხშირად ნამდვილ რევოლუციურ გზას უბნევს მებრძოლთ.

როგორ ფიქრობს «ისკრა», ვინ არის მართალი ამ დავაში? იგივე ითქმის ლოზუნგზედაც: «რევოლუციური თვითმმართველობა» დემოკრატიული გადატრიალების ეპოქაში. ჩვენ რევოლუციური თვითმმართველობის წინააღმდეგნი არა ვართ, დიდი ხანია ცნობილია, რომ მას თავისი შესაფერი ადგილი დავუთმეთ ჩვენს პროგრამა-მინიმუმში (იხ. § ფართო ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ), გეთანხმებით, რომ ეს არის დემოკრატიული გადატრიალების ნაწილაკი, როგორც ეს აღნიშნა ჯერ კიდევ «პროლეტარის» № 15-მა*, რომელმაც სმოლენსკის საბჭო დაიმოწმა. დემოკრატიული გადატრიალება შეუძლებელი იქნებოდა, მძლავრი და მრავალმხრივი დემოკრატიული მოძრაობა რომ არ ყოფილიყო, ხოლო ერთი ამ მრავალმხარეთაგანია მოძრაობა თვითმმართველობის სფეროში. მაგრამ დემოკრატიული გადატრიალება შეუძლებელი იქნებოდა, მაგალითად, მაშინაც, თუ რევოლუციური სკოლა არ იქნებოდა, რომელიც ისეთივე უეჭველი ნიშანია ცარიზმის ფაქტიური დაშლისა, როგორც მუშათა ბირჟების დაარსება პოლიციის სურვილის წინააღმდეგ, როგორც მღელვარება სამღვდელოებაში, როგორც კანონის საწინააღმდეგო ადგილობრივი თვითმმართველობა და სხვა. მერე რა დასკვნის გამოტანა შეიძლება აქედან, აბა ერთი იფიქრეთ, ისკრელო ამხანაგებო! ის ხომ არა, რომ დაშლის ყველა ეს ნაწილაკი უნდა შევაჯამოთ აჯანყების მთლიან ლოზუნგად? თუ ის, რომ უნდა დავამახინჯოთ აჯანყების ლოზუნგი და დავუკავშიროთ ის ერთ-ერთ ნაწილაკს, თვითმმართველობას?

«რევოლუციური თვითმმართველობის ორგანიზაცია ანუ, რაც იგივეა, სახალხო ძალების ორგანიზაცია აჯანყებისათვის» — წერდა გულადი «ისკრა» (№ 109, გვ. 2, სვ. 1). ეს იგივეა, რომ ვთქვათ: რევოლუციური სკოლის ორგანიზა-

* იხ. ეს ტომი, გვ. 266. რედ.

ცია — ეს არის ძალების ორგანიზაცია აჯანყებისათვის, მღელვარების ორგანიზაცია სამღვდელოებაში — ეს არის ძალების ორგანიზაცია აჯანყებისათვის, მომხმარებელთა საზოგადოებების ორგანიზაცია — ეს არის ძალების ორგანიზაცია სოციალისტური გადატრიალებისთვისაო. არა, ცუდი დიალექტიკოსები ხართ თქვენ, ისკრელო ამხანაგებო. თქვენ არ გეხერხებათ დიალექტიკურად მსჯელობა, თუმცა მშვენივრად გეხერხებათ კუდის ქნევა და წრიალი, პლეხანოვსავით, თქვენს შეხედულებათა ორგანიზაციულ და ტაქტიკურ ბუნდოვანებათა საკითხის გამო. თქვენ გამოგეპარათ, რომ აჯანყების გამარჯვების შემთხვევაში გადატრიალების ყველა ეს ნაწილაკი აუცილებლად შეერთდება აჯანყების მთლიან, დასრულებულ «ეპილოგად», მაშინ როდესაც თუ აჯანყებამ ვერ გაიმარჯვა, ნაწილაკები ნაწილაკებადვე დარჩებიან, უბადრუკ ნაწილაკებადვე, რომელნიც ვერაფერს ვერ შეცვლიან და მხოლოდ ფილისტერებს თუ დააკმაყოფილებენ.

მორალი: 1) სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტებს როგორც სოციალისტური, ისე დემოკრატიული გადატრიალების წინ დასჩემდათ ცუდი ჩვეულება — ელოლიავონ დიადი პროცესის ერთ-ერთ წვრილმან ნაწილაკს, მთელად წარმოიდგინონ ეს ნაწილაკი, ამ ნაწილაკს დაუმორჩილონ მთელი, ამით დაამახინჯონ მთელი, რის გამო ისინი გადაიქცნენ არათანამიმდევარი და ლაჩარი რეფორმისტების მაჩანჩალად. 2) დიალექტიკა სტიქიური პროცესისა, რომელიც ყოველთვის და უსათუოდ დახლართულია, ვერ ამართლებს იმ ლოგიკური დასკვნებისა და პოლიტიკური ლოზუნგების დომხალს, რომლებიც საკმაოდ ხშირად (მაგრამ არა უსათუოდ) აბნეულია.

P. S. * ეს სტატია უკვე გვერდებად შეკრული იყო, როცა მივიღეთ სამხრეთის დამფუძნებელი კონფერენციის რეზოლუციების საზღვარგარეთული ისკრული გამოცემა. რეზო-

* — Postscriptum — მინაწერი. რ ე დ.

ლუციის ტექსტი სახელმწიფო სათათბიროს შესახებ რაოდენადმე განსხვავდება რუსეთში გამოცემული და ჩვენს მიერ ზემოთ გადმობეჭდილი ტექსტისაგან. მაგრამ ეს განსხვავება არსებითი არ არის და ჩვენს კრიტიკას სრულიად არა ცვლის.

«პროლეტარი» № 21,
1905 წ. 17 (4) ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

შენიშვნა მ. ბორისოვის სტატიის გამო «პროფესიული მოძრაობისა და სოციალ-დემოკრატიის ამოცანების შესახებ» [103]

ჩვენ სიამოვნებით ვათავსებთ რუსეთში მოქმედი ამხანაგის ამ სტატიას, რადგან ახლა დღის წესრიგში დგას პროფესიულ კავშირთა საკითხის ყოველმხრივი განხილვა. მხოლოდ მთელი პარტიის გამოცდილება, რომელსაც მუდამ შუქსა ჰფენს მარქსიზმის თეორია, დაგვეხმარება სოციალ-დემოკრატიულ პროფესიულ კავშირთა რუსეთის პირობებისთვის ყველაზე უფრო შესაფერისი ფორმების შემუშავებაში. უნდა გამოვიყენოთ აგრეთვე ის გაკვეთილებიც, რომლებსაც მტრები გვაძლევენ. მთელი მსოფლიოს ბურჟუაზია ზეიმობდა კელნის ყრილობის «ამქრული» ტენდენციების გამო იმის იმედით, რომ ეს მუშებს ჩამოაშორებდა სოციალიზმს და «წმინდა», ე. ი. ბურჟუაზიული ტრედ-უნიონიზმის მხარეზე გადაიყვანდა. რუსეთში თვით «მოსკოვსკიე ვედომოსტიმაც» კი ისწავლა ახლა ასეთ ჰანგებზე მღერა. და თუ ბურჟუაზია რომელიმე ჩვენგანს ქებას დაუწყებს «თვალის ახელისა» და «გულმოდგინებისათვის» «გონივრული» პროფესიული მოძრაობის საკითხში, ეს იმის უტყუარი ნიშანი იქნება, რომ ჩვენს მუშაობაში არის შეცდომები. ამხანაგი მ. ბორისოვი საკითხს სწორედ ისე აყენებს, რომ ყოველმხრივ შევასრულოთ ჩვენი სოციალისტური მოვალეობა და არ დავუშვათ ასეთი შეცდომები.

«პროლეტარი» № 21,
1905 წ. 17 (4) ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

ტრუბეცკოის გარდაცვალების გამო

ლიბერალური გაზეთი «Frankfurter Zeitung»* საშინლად აღშფოთებული იყო მოსკოვის იმ სტუდენტების თანამიმდევრულ-რევოლუციური რეზოლუციით, რომლებიც მოითხოვდნენ დამფუძნებელი კრება მოეწვია არა მეფეს, არც სახელმწიფო სათათბიროს და (დაე ნუ გაჯავრდებიან ახალისკრელი ამხანაგები!) არც «ხალხის დემოკრატიულ ორგანიზაციას», არამედ დროებითს რევოლუციურ მთავრობას. ამის გამო გერმანელი ლიბერალური საქმოსნები გოდებდნენ სტუდენტების მოუმწიფებლობაზე და სხვ.. ახლა იგივე გაზეთი (13/X, abendblatt**) ათავსებს დეპეშას ტრუბეცკოის გარდაცვალების შესახებ და შენიშნავს: «შესაძლოა, მას (ტრუბეცკოის) უსიამოვნება მიაყენეს სახალხო განათლების სამინისტროშიო».

საბრალო ტრუბეცკოი! კაცი ხალხის თავისუფლებისაკენ ისწრაფოდეს და მეფის მინისტრის დერეფანში «უსიამოვნების» გამო სული განუტევოს... ჩვენ მზადა ვართ დავუშვათ, რომ ეს მეტისმეტად სასტიკი სასჯელია, რუსეთის ლიბერალისთვისაც კი. მაგრამ ნუთუ, ბატონებო, ხალხის თავისუფლების მომხრეთათვის უფრო კარგი, უფრო ღირსეული არ იქნება, რომ სრულიად გაწყვიტონ ყოველგვარი ურთიერთობა ჯალათთა და ჯამუშთა მთავრობასთან? ნუთუ უმჯო-

* — «ფრანკფურტის გაზეთი». რ ე დ.
** — სალამოს გამოშვება. რ ე დ.

ბესი არ იქნება სიკვდილი უშუალო, პატიოსან, აშკარა, ხალხის განმანათლებელ და აღმზრდელ ქუჩის ბრძოლაში ამ ქვეწარმავლებთან, რომელთა გაუნადგურებლად ნამდვილი თავისუფლება შეუძლებელია, ვიდრე სიკვდილი «უსიამოვნების» გამო ტრეპოვებთან და მის საზიზღარ ლაქიებთან საუბრის დროს?

დაწერილია 1905 წ.
ოქტომბრის შუა რიცხვებში

პირველად დაიბეჭდა 1926 წ.
ლენინის კრებულში V

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

მოსკოვის ამბების გაკვეთილები

მოსკოვის პროლეტარიატის რევოლუციური აღმავლობა, რომელიც ასე მკაფიოდ გამოიხატა პოლიტიკურ გაფიცვასა და ქუჩის ბრძოლაში, ჯერ კიდევ არ დამცხრალა. გაფიცვა გრძელდება. იგი მოედო ნაწილობრივ პეტერბურგსაც, სადაც გაიფიცნენ ასოთამწყობნი თავიანთი მოსკოველი ამხანაგების თანაგრძნობის ნიშნად. ჯერ კიდევ არ ვიცით, დაცხრება დღევანდელი მოძრაობა სანამ მას შემდგომი ზვირთი მოუსწრებდეს, თუ იგი ხანგრძლივ სახეს მიიღებს. მაგრამ მოსკოვის ამბების ზოგიერთმა, მეტად საგულისხმო შედეგმა უკვე თავი იჩინა, და ამ შედეგებზე ღირს შეჩერება.

საერთოდ და მთლიანად, მოძრაობას მოსკოვში ცარიზმის ძალების წინააღმდეგ რევოლუციური მუშების გადამწყვეტი ბრძოლის ხასიათი არ მიუღია. ეს იყო მხოლოდ პატარა შეჯახებანი ფორპოსტებზე, ნაწილობრივ, შეიძლება, სამხედრო დემონსტრაცია სამოქალაქო ომში, მაგრამ არ ყოფილა არც ერთი ბრძოლა იმ ბრძოლათაგანი, რომელნიც განსაზღვრავენ ომის შედეგს. ჩვენ მიერ ერთი კვირის წინათ გამოთქმული ორი ვარაუდიდან თითქოს პირველი მართლდება, სახელდობრ ის, რომ ჩვენს წინაშეა არა გადამწყვეტი იერიშის დასაწყისი, არამედ მხოლოდ მისი რეპეტიცია. მაგრამ რეპეტიციამ მაინც ისტორიული დრამის ყველა მოქმედი პირი მთელი სიგრძე-სიგანით დაგვანახვა და ამრიგად ნათელი მოჰფინა თვით დრამის მოსალოდნელ მსვლელობას, ნაწილობრივ აუცილებელსაც კი.

მოსკოვის ამბების საბაბი გახდა, პირველი შეხედვით, წმინდა აკადემიური ხასიათის მოვლენები. მთავრობამ უბოძა ნაწილობრივი «ავტონომია», თუ ვითომდა ავტონომია, უნივერსიტეტებს. ბატონმა პროფესორებმა თვითმმართველობა მიიღეს. სტუდენტებს კრებების უფლება მიეცათ. თვითმპყრობელურ-ბატონყმური ჩაგვრის საერთო სისტემას, ამრიგად, პატარა ნაპრალი გაუჩნდა. და ამ ნაპრალში მაშინვე მოულოდნელი ძალით ახალი რევოლუციური ნაკადები შეიჭრა. უმნიშვნელო დათმობამ, ერთი ციცქნა რეფორმამ, რომელიც იმ მიზნით იყო გატარებული, რომ შეერბილებინა პოლიტიკური წინააღმდეგობანი და «შეერიგებინა» ავაზაკები გაძარცულებთან, სინამდვილეში ბრძოლის უზარმაზარი გამწვავება და მის მონაწილეთა შემადგენლობის გაფართოება გამოიწვია. სტუდენტების კრებებს მუშებმა მიაშურეს. გამოდიოდა რევოლუციური სახალხო მიტინგები, რომლებზედაც სჭარბობდა თავისუფლებისათვის ბრძოლის მოწინავე კლასი — პროლეტარიატი. მთავრობა აღშფოთდა. «დარბაისელი» ლიბერალები, რომლებმაც პროფესორთა თვითმმართველობა მიიღეს, აწრიალდნენ და რევოლუციური სტუდენტებისაგან პოლიციურ მთავრობასთან, მათრახის მთავრობასთან გაიქცნენ. ლიბერალებმა თავისუფლება გამოიყენეს, რათა ეღალატნათ თავისუფლებისათვის, რათა შეეკავებინათ სტუდენტები ბრძოლის გაფართოებისა და გამწვავებისაგან, რათა ექადაგნათ «წესიერი საქციელი» — ბაშიბუზუკებისა და შავრაზმელების, ბატონ ტრეპოვისა და რომანოვის წინაშე! ლიბერალებმა თვითმმართველობა იმისთვის გამოიყენეს, რომ განეგოთ ხალხის ჯალათთა საქმეები, დაეხურათ უნივერსიტეტი, ეს მათრახოსანთა მიერ ნებადართული «მეცნიერების» საკურთხეველი, რომელიც სტუდენტებმა შებილწეს იმით, რომ «საძაგელი ბრბო» შეუშვეს თვითმპყრობელური ბანდის მიერ «ნებადაურთველი» საკითხების განსახილველად. თვითმმართველი ლიბერალები ღალატობდნენ ხალხს და ღალატობდნენ თავისუფლებას, ვინაიდან მათ ეშინოდათ უნივერსიტეტის კედლებში ხოცვა-ჟლეტისა. და ისინიც სამაგალი-

თოდ დაისაჯნენ თავიანთი საძაგელი სილაჩრისთვის. რევოლუციური უნივერსიტეტის დახურვით მათ ქუჩის რევოლუციას გაუღეს კარი. ეს უბადრუკი პედანტები თითქოს უკვე ზეიმობდნენ, არამზადა გლაზოვებთან ერთად, ხანძრის ჩაქრობას სკოლაში. სინამდვილეში კი მათ მხოლოდ გააღვივეს ხანძარი უზარმაზარ სამრეწველო ქალაქში. ამ ორჩოფეხა კაცუნებმა მუშებს აუკრძალეს სტუდენტობასთან მისვლა; ამით მხოლოდ წაუბიძგეს სტუდენტობას რევოლუციური მუშებისკენ. ისინი ყოველგვარ პოლიტიკურ საკითხებს თავიანთი, საუკუნოვანი კაზიონურობით გაჟღენთილი საქათმის თვალსაზრისით აფასებდნენ; ისინი ემუდარებოდნენ სტუდენტებს შეებრალებინათ ეს საქათმე. საკმაო იყო პირველი გრილი ნიავი, თავისუფალი და ნორჩი რევოლუციური სტიქიონის შემოჭრა, — რომ ყველას დავიწყებოდა ფიქრიც კი საქათმეზე, ვინაიდან ნიავი ძლიერდებოდა და იქცეოდა ქარიშხლად, რომელიც მიმართული იყო მთელი კაზიონურობისა და რუსი ხალხის აბუჩად აგდების ძირითადი სათავის წინააღმდეგ, მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. და დღესაც კი, როცა პირველმა საფრთხემ განვლო, როცა ქარიშხალი აშკარად დაცხრა, თვითმპყრობელობის ლაქიები შიშით კიდევ ცახცახებენ, როცა აგონდებათ ის უფსკრული, რომელიც გაიშალა მათ წინაშე მოსკოვის სისხლის ღვრის დღეებში: «ეს ჯერ კიდევ არაა ხანძარი, მაგრამ უკვე უეჭველი ცეცხლის წაკიდებაა», ლუღლუღებს ბ-ნი მენშიკოვი ლაქიურ «ნოვოე ვრემიაში» (30 სექტემბერი) — «ეს ჯერ კიდევ რევოლუცია არაა... მაგრამ უკვე რევოლუციის პროლოგია». ««იგი მოდის», ვამტკიცებდი მე (ბ-ნი მენშიკოვი) აპრილში, და მას შემდეგ რა საშინელი ნაბიჯები გადადგა «მან»!.. ხალხის სტიქიონი ააფორიაქა თვით უფსკრულამდე»...

დიახ, კარგ მუხრუჭში მოექცნენ ტრეპოვები და რომანოვი მოღალატე ლიბერალურ ბურჟუებთან ერთად. უნივერსიტეტს გახსნი — ტრიბუნას მისცემ სახალხო რევოლუციურ კრებებს, დაუფასებელ სამსახურს გაუწევ სოციალ-დემოკრატიას. უნივერსიტეტს დახურავ — ბრძოლას გაუღებ კარს ქუჩაში. და აი, აქეთ-იქით ეხეთქებიან კბილთა ღრჭენით მათრა-

ხის ეს რაინდები: ისინი ხელახლა ხსნიან მოსკოვის უნივერსიტეტს, თავს ისე იჭერენ, თითქოს სურთ ნება მისცენ სტუდენტებს თვითვე დაიცვან წესრიგი ქუჩის პროცესიების დროს, ისინი თვალს არიდებენ სტუდენტების რევოლუციურ თვითმმართველობას, სტუდენტებისა, რომელნიც აფორმებენ დაყოფას სოციალ-დემოკრატთა, სოციალისტ-რევოლუციონერთა და სხვ. პარტიებად, ქმნიან სწორ პოლიტიკურ წარმომადგენლობას სტუდენტთა «პარლამენტში» (ჩვენ დარწმუნებული ვართ, სტუდენტები არ დასჯერდებიან რევოლუციურ თვითმმართველობას და დაუყოვნებლივ და სერიოზულად შეუდგებიან რევოლუციური არმიის რაზმების ორგანიზაციასა და შეიარაღებას). ხოლო ტრეპოვთან ერთად აწრიალდნენ ლიბერალი პროფესორებიც, რომელნიც დღეს სტუდენტებს არწმუნებენ ზომიერება დაიცავითო, ხვალ მათრახოსანთ, უფრო ლმობიერი იყავითო. მათი ეს მოუსვენრობა უდიდეს სიამოვნებას გვგვრის: ჩანს, კარგად ქრის რევოლუციური ნიავი, თუ პოლიტიკური კომანდირები და პოლიტიკური მოღალატეები ასე მაღლა ხტებიან ზედა გემბანზე.

მაგრამ კანონიერი სიამაყისა და კანონიერი სიამოვნების გარდა, ჭეშმარიტმა რევოლუციონერებმა რაღაც მეტი უნდა მიიღონ მოსკოვის ამბებიდან: ესაა გარკვევა იმისა, თუ რა სოციალური ძალები მოქმედებენ და სახელდობრ როგორ მოქმედებენ რუსეთის რევოლუციაში, — უფრო გარკვეული წარმოდგენა ამ ძალების მოქმედების ფორმებზე. წარმოიდგინეთ მოსკოვის ამბების პოლიტიკური თანამიმდევრობა და თქვენ დაინახავთ მთელი რევოლუციის შესანიშნავ ტიპიურ და კლასობრივად დამახასიათებელ სურათს. აი ეს თანამიმდევრობა: ძველი წესწყობილება ცოტათი იბზარება; მთავრობა ცდილობს შეაკეთოს ეს ბზარი მცირე დათმობებით, მაცთური «რეფორმებით» და სხვ.; დამშვიდების ნაცვლად ისევ ბრძოლის ხელახლა გამწვავება და გაფართოება; ლიბერალური ბურჟუაზია მერყეობს და აქეთ-იქით აწყდება, რევოლუციონერებს ურჩევს თავი დაანებონ რევოლუციას, ხოლო პოლიციელებს — რეაქციას; ასპარეზზე გამოდის რევოლუციური ხალხი პროლეტარიატის მეთაურობით და აშკარა

ბრძოლა ახალ პოლიტიკურ სიტუაციას ქმნის; დაპყრობილ უფრო მაღალ და ფართო ბრძოლის ველზე მტრის სიმაგრეში ხელახლა ნაპრალი ჩნდება და მოძრაობა იმავე გზით უფრო და უფრო ზევით მიიწევს. ჩვენ თვალწინ მთელ ხაზზე ხდება მთავრობის უკანდახევაო, — სამართლიანად შენიშნავდა ამას წინათ «მოსკოვსკიე ვედომოსტი». ხოლო ერთი ლიბერალური გაზეთი[104] საკმაოდ მოსწრებულად უმატებდა: უკან დახევა საარიერგარდო ბრძოლითაო. ბერლინის ლიბერალური გაზეთის «Vossische Zeitung»-ის * პეტერბურგელმა კორესპონდენტმა 3 (16) ოქტომბერს ტელეგრაფით გადასცა რედაქციას თავისი საუბარი ტრეპოვის კანცელარიის უფროსთან. «მთავრობისაგან, — უთხრა კორესპონდენტს პოლიციის ვირთაგვამ, — არ უნდა ველოდეთ რაიმე თანამიმდევრული გეგმის გატარებას, ვინაიდან ყოველდღე ისეთი ამბები ხდება, რომელთა გათვალისწინება შეუძლებელია. მთავრობა იძულებულია მიკიბულ-მოკიბულად იმოქმედოს; ძალით ვერ ჩაახშობ ახლანდელ მოძრაობას, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს ორ თვესაც და ორ წელსაც».

დიახ, მთავრობის ტაქტიკა სავსებით გამოირკვა. ეს, უეჭველად, მიკიბ-მოკიბვა და უკანდახევაა საარიერგარდო ბრძოლით. და. ეს სავსებით სწორი ტაქტიკაა თვითმპყრობელობის ინტერესების თვალსაზრისით: რევოლუციონერების მხრივ კი უდიდესი შეცდომა, საბედისწერო ილუზია იქნებოდა იმის დავიწყება, რომ მთავრობას შეუძლია კიდევ ძალიან, ძალიან დიდხანს დაიხიოს უკან ისე, რომ არ დაკარგოს ყველაზე არსებითი. გერმანიის 1848 წლის დაუმთავრებელი, უდღეური ნახევარ-რევოლუციის მაგალითი, — (მაგალითი, რომელსაც კიდევ დავუბრუნდებით «პროლეტარის» შემდგომ ნომერში და რომელსაც ყოველთვის გავიხსენებთ), — გვიჩვენებს, რომ მთავრობა დამფუძნებელი (ს ი ტ ყ ვ ი ე რ ა დ) კრების მოწვევამდე უკან დახევის დროსაც კი შეინარჩუნებს საკმაო ძალებს რევოლუციის დასამარცხებლად უკანასკნელ, გადამწყვეტ ბრძოლაში. აი ამიტომაა, რომ, როცა ვსწავლობთ მოს-

* — «ფოსის გაზეთი». რ ე დ.

კოვის ამბებს, ამ ბოლონდელ ბრძოლას ჩვენი სამოქალაქო ომის მთელ რიგ ბრძოლათა შორის, ჩვენ ფხიზლად უნდა ვუყურებდეთ მოვლენათა განვითარებას, უდიდესი ენერგიითა და უდიდესი შეუპოვრობით უნდა ვემზადოთ ხანგრძლივი, თავგანწირული ომისათვის, უნდა ვერიდოთ იმ მოკავშირეებს, რომელნიც უკვე მტრის მხარეზე გადასული მოკავშირეები არიან. როცა ჯერ კიდევ არავითარი გადამწყვეტი მონაპოვარი არა გვაქვს, როცა მტერს კიდევ უზარმაზარი გასაქანი აქვს შემდგომი, ხელსაყრელი და უხიფათო უკან დახევისათვის, როცა სულ უფრო და უფრო სერიოზული ბრძოლები წარმოებს, — მაშინ ასეთი მოკავშირეების მინდობა, მათთან შეთანხმების დადების ცდა ან მათთვის მხარისდაჭერა განსაზღვრული პირობებით, შეიძლება არა მარტო სისულელე აღმოჩნდეს, არამედ ღალატიც პროლეტარიატის მიმართ.

მართლაც, ნუთუ შემთხვევითი მოვლენაა ლიბერალური პროფესორების საქციელი მოსკოვის ამბების წინ და ამ ამბების დროს? გამონაკლისია ეს, თუ საერთო წესი მთელი კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიისთვის? გამოხატავს ეს საქციელი ლიბერალური ბურჟუაზიის ამა თუ იმ ჯგუფის ნაწილობრივ თავისებურებებს, თუ მთელი კლასის ძირითად ინტერესებს საერთოდ და მთლიანად? შეუძლებელია სოციალისტებს შორის ორი აზრი არსებობდეს ამ საკითხებზე, მაგრამ ყველა სოციალისტს როდი შეუძლია თანამიმდევრობით გაატაროს ჭეშმარიტად სოციალისტური ტაქტიკა.

რათა საქმის ვითარება უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ, ავიღოთ ლიბერალური ტაქტიკის განმარტება თვით ლიბერალების მიერ. რუსეთის პრესის ფურცლებზე ისინი გაურბიან პირდაპირ ლაპარაკს სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ, სოციალ-დემოკრატების შესახებ პირდაპირ ლაპარაკსაც კი. მაგრამ აი ბერლინის «Vossische Zeitung»-ის საინტერესო ცნობა, რომელიც უსათუოდ უფრო გულახდილად გამოხატავს ლიბერალების შეხედულებებს:

«სტუდენტთა არეულობა პეტერბურგსა და მოსკოვში სასწავლო წლის დასაწყისიდანვე მეტისმეტად მძაფრად განახლდა, მიუხედავად იმისა, რომ

უნივერსიტეტებსა და უმაღლეს სასწავლებლებს ავტონომია ებოძა, — თუმცა, დიდი დაგვიანებით. მოსკოვში ამას ერთვის აგრეთვე მუშათა ფართო მოძრაობა. ეს არეულობა გვიჩვენებს, რომ რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში ახალი ფაზა დაიწყო. სტუდენტთა კრებების მიმდინარეობა და მათი რეზოლუციები ცხადყოფს, რომ სტუდენტობამ მიიღო სოციალ-დემოკრატიული ბელადების პაროლი: უნივერსიტეტების გადაქცევა სახალხო კრებების ადგილად და ამრიგად რევოლუციის შეტანა მოსახლეობის ფართო ფენებში. თუ როგორ ხორციელდება ეს პაროლი, მოსკოვის სტუდენტებმა უკვე გვიჩვენეს: მათ უნივერსიტეტის შენობაში მოიწვიეს მუშები და სხვა პირნი, რომელთაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ უნივერსიტეტთან, და ისიც ისეთი რაოდენობით, რომ თვით სტუდენტები უმცირესობაში დარჩნენ. თავისთავად ცხადია, ასეთი მოვლენა არსებულ პირობებში შეუძლებელია დიდხანს გაგრძელდეს. მთავრობა ამჯობინებს დახუროს უნივერსიტეტები, ვიდრე ასეთი კრებები დაუშვას. ეს იმდენად ნათელია, რომ პირველი შეხედვით გაუგებარიცაა, როგორ შეეძლოთ სოციალ-დემოკრატ ბელადებს ასეთი პაროლის მიცემა. მათ მშვენივრად იცოდნენ, რა მოჰყვებოდა ამას; მათ სწორედ ის უნდოდათ, რომ მთავრობას უნივერსიტეტები დაეხურა. და მერე რის გულისთვის? მხოლოდ იმისთვის, რომ ისინი ცდილობენ ყოველი შესაძლებელი საშუალებით ხელი შეუშალონ ლიბერალურ მოძრაობას. ისინი გრძნობენ, რომ მათ არ ძალუძთ თავიანთი საკუთარი ძალებით მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოქმედება განახორციელონ; ამიტომ დაე ნურც ლიბერალები და რადიკალები ბედავენ რისამე გაკეთებას, ვინაიდან ეს, თურმე ნუ იტყვით, მხოლოდ ზიანს მოუტანს სოციალისტურ პროლეტარიატს. მან თვითონ უნდა მოიპოვოს თავისი უფლებები. რუსეთის სოციალ-დემოკრატიას შეუძლია ძალიან იამაყოს ამ «მტკიცე» («unbeugsame» — მოუდრეკავი) ტაქტიკით, მაგრამ ყოველ პირუთვნელ მეთვალყურეს იგი უკიდურეს სიბეცედ უნდა ეჩვენოს; საეჭვოა მან რუსეთის სოციალ-დემოკრატია გამარჯვებამდე მიიყვანოს. სავსებით გაუგებარია, რას მოიგებს იგი უნივერსიტეტების დახურვით, რაც აუცილებელია, თუ ასეთი ტაქტიკა გაგრძელდა. ამავე დროს მეცადინეობის განგრძობას უნივერსიტეტებსა და უმაღლეს სასწავლებლებში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს პროგრესის ყოველი პარტიისათვის. სტუდენტებისა და პროფესორების ხანგრძლივმა გაფიცვებმა რუსეთის კულტურას უკვე დიდი ზიანი მიაყენეს. აკადემიური მუშაობის განახლება აუცილებლად საჭიროა. ავტონომიამ შესაძლებელი გახადა, რომ პროფესორებმა თავისუფლად აწარმოონ მეცადინეობა. ამიტომ ყველა უნივერსიტეტისა და უმაღლესი სასწავლებლის პროფესორები თანახმანი არიან, რომ საჭიროა კვლავ ენერგიულად შეუდგნენ მეცადინეობას. ისინი მთელ თავიანთ გავლენას იყენებენ, რათა სტუდენტებს უარი ათქმევინონ სოციალ-დემოკრატიული პაროლის გატარებაზე».

ამრიგად, ბრძოლა ბურჟუაზიულ ლიბერალიზმსა (კონსტიტუციონალისტ-დემოკრატებსა) და სოციალ-დემოკრატებს შორის სავსებით გამოისახა. ნუ უშლით ხელს ლიბერალურ მოძრაობას! აი ლოზუნგი, შესანიშნავად გამოსახული მოყვანილ სტატიაში. ხოლო რაში მდგომარეობს ეს ლიბერალური მოძრაობა? — უკუსვლითს მოძრაობაში, ვინაიდან პროფესორები უნივერსიტეტის თავისუფლებას იყენებენ და სურთ გამოიყენონ არა რევოლუციური, არამედ რევოლუციის საწინააღმდეგო ქადაგებისათვის, არა ხანძრის გასაღვივებლად, არამედ მის ჩასაქრობად, არა ბრძოლის ველის გასაფართოებლად, არამედ გადამწყვეტ ბრძოლაზე ხელის ასაღებად და ტრეპოვებთან მშვიდობიან თანამშრომლობაზე გადასასვლელად. «ლიბერალური მოძრაობა» ბრძოლის გამწვავების დროს რევოლუციონერებიდან რეაქციონერებისაკენ გადასვლად გადაიქცა (ჩვენ ეს სინამდვილეში დავინახეთ). ლიბერალებს, რა თქმა უნდა, ერთგვარი სარგებლობა მოაქვთ ჩვენთვის, რამდენადაც რყევა შეაქვთ ტრეპოვებისა' და რომანოვის სხვა მსახურთა რიგებში, მაგრამ ამ სარგებლობას მხოლოდ მაშინ ვერ გადააჭარბებს მათ მიერ ჩვენს რიგებში შემოტანილი მერყეობით გამოწვეული ზიანი, თუ ჩვენ გადაჭრით გავემიჯნებით კონსტიტუციონალისტ-დემოკრატებს და ულმობლად დავგმობთ ყოველ მათს მერყევ ნაბიჯს. ლიბერალები, რომელთაც შეგნებული აქვთ ანდა უფრო ხშირად გრძნობენ თავიანთ ბატონობას თანამედროვე სამეურნეო წყობილებაში, მიისწრაფიან ბატონ-პატრონნი გახდნენ რევოლუციაშიც, და, კონკების დაკერების გარდა, რევოლუციის ყოველგვარ განგრძობას, გაფართოებასა და გამწვავებას ლიბერალური მოძრაობის «დაბრკოლებად» თვლიან. მათ დღეს ეშინიათ არ დაკარგონ ტრეპოვის მიერ ნებადართული უნივერსიტეტის ვითომდა თავისუფლება და ებრძვიან დღეს რევოლუციურ თავისუფლებას. იმის შიშით, რომ არ დაკარგონ ლეგალური «კრებების თავისუფლება», რომელსაც მთავრობა მისცემს ხვალ პოლიციურად დამახინჯებული სახით, ისინი არ დაგვანებებენ ეს კრებები გამოვიყენოთ ჭეშმარიტად პროლეტარული მიზნებისათვის. სახელ-

მწიფო სათათბიროს ბედიღბლით შეშფოთებულებმა, მათ უკვე გამოიჩინეს ბრძნული ზომიერება სექტემბრის ყრილობაზე და ახლაც იჩენენ მას, როცა იბრძვიან ბოიკოტის იდეის წინააღმდეგ; ნუ გვიშლით ხელს საქმე ვაკეთოთ სახელმწიფო სათათბიროშიო!

და სოციალ-დემოკრატიის სამარცხვინოდ უნდა აღვიაროთ, რომ აღმოჩნდნენ მის წრეში ოპორტუნისტები, რომელნიც მარქსიზმის უსიცოცხლო-დოქტრინიორული დამახინჯების გამო ამ ანკესს წამოეგნენ! ეს რევოლუცია ბურჟუაზიულია, მსჯელობენ ისინი, და ამიტომ... ამიტომ უკან უნდა დავიხიოთ იმ წარმატების დაკვალად, რომელსაც მიაღწევს ბურჟუაზია ცარიზმის მხრით დათმობის საქმეშიო. თუ ახალისკრელები დღემდე ვერ ხედავენ სახელმწიფო სათათბიროს რეალურ მნიშვნელობას, ეს სწორედ იმიტომ, რომ, რაკი თვითონ უკან იხევენ, რასაკვირველია, ვეღარ ამჩნევენ კონსტიტუციონალისტ-დემოკრატების უკუსვლითს მოძრაობას. ხოლო ისკრელებმა რომ უკან დაიხიეს სახელმწიფო სათათბიროს შესახებ კანონის გამოცემის დროიდან, ეს უდავო ფაქტია. სახელმწიფო სათათბიროს მოწვევამდე მათ არ უფიქრიათ დღის წესრიგში დაეყენებინათ კონსტიტუციონალისტ-დემოკრატებთან შეთანხმების საკითხი. სახელმწიფო სათათბიროს შემდეგ მათ (პარვუსმა, ჩერევანინმა და მარტოვმა) ეს საკითხი დააყენეს არა მარტო თეორიული ფორმით, არამედ უშუალო პრაქტიკული ფორმითაც. სახელმწიფო სათათბირომდე ისინი საკმაოდ მკაცრ პირობებს უყენებდნენ დემოკრატებს (თვით ხალხის შეიარაღებისათვის ხელისშეწყობის მოთხოვნამდე და სხვ.). სახელმწიფო სათათბიროს შემდეგ მათ უცებ შეარბილეს პირობები და დასჯერდნენ შავრაზმული ანუ ლიბერალური სათათბიროს რევოლუციურ სათათბიროდ გადაქცევის დაპირებას. სახელმწიფო სათათბირომდე ისინი ოფიციალურ რეზოლუციაში იმ კითხვაზე — თუ ვინ უნდა მოიწვიოს საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრება, უპასუხებდნენ: ან დროებითმა რევოლუციურმა მთავრობამ, ანდა ერთ-ერთმა წარმომადგენლობითმა დაწესებულებამაო. სახელმწიფო სათათბიროს შემდეგ მათ ამოშალეს დროებითი რევოლუციური

მთავრობა და ამბობენ: ან «ხალხის (?) დემოკრატიულმა (კონსტიტუციონალისტ-დემოკრატების მსგავსმა?) ორგანიზაციებმა», ანდა... ანდა სახელმწიფო სათათბირომაო. ამრიგად, სინამდვილეში ჩვენ ვხედავთ, *როგორ* იყენებენ ისკრელები თავიანთ საუცხოო პრინციპს: რევოლუცია ბურჟუაზიულია, — ფრთხილად, ამხანაგებო, ბურჟუაზია არ ჩამოგვშორდესო!

მოსკოვის ამბებმა სახელმწიფო სათათბიროს შემდეგ პირველად დაგვანახვეს, თუ როგორია *საქმით* კონსტიტუციონალისტ-დემოკრატების ტაქტიკა სერიოზულ პოლიტიკურ მომენტებში; ამ ამბებმა აგრეთვე დაგვანახვეს, რომ ჩვენს მიერ დასურათებული სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტული კუდი აუცილებლად იქცევა ბურჟუაზიის უბრალო კუდად. ჩვენ ზემოთ ვთქვით: შავრაზმული ანუ ლიბერალური სახელმწიფო სათათბიროო. ისკრელს ეს სიტყვები საშინელებად ეჩვენებოდა, ვინაიდან იგი დიდს მნიშვნელობას აძლევს განსხვავებას შავრაზმულ და ლიბერალურ სახელმწიფო სათათბიროს შორის. მაგრამ სწორედ მოსკოვის ამბებმა გამოამჟღავნეს სიყალბე ამ «პარლამენტური» იდეისა, რომელიც პარლამენტისწინა ეპოქაში უადგილოდაა წამოყენებული. სწორედ მოსკოვის ამბებმა დაგვანახვეს, რომ მტრის მხარეზე გადასულმა ლიბერალმა ფაქტიურად ტრეპოვის როლი შეასრულა. უნივერსიტეტის დახურვა, რომელსაც გუშინ ტრეპოვი დაადგენდა, დღეს ბატონმა მანუილოვმა და ტრუბეცკოიმ განახორციელეს. ნუთუ ცხადი არაა, რომ «სათათბიროს» ლიბერალებიც აქეთ-იქით იწრიალებენ, ერთი მხრივ, ტრეპოვსა და რომანოვს, ხოლო მეორე მხრივ, რევოლუციურ ხალხს შორის? ნუთუ ცხადი არაა, რომ ლიბერალი მოღალატეებისათვის თუნდაც ოდნავი მხარისდაჭერა მხოლოდ პოლიტიკურ მიამიტთა შესაფერი საქმეა?

პარლამენტურ სისტემაში ხშირად აუცილებელია მხარი დაუჭირო უფრო ლიბერალურ პარტიას ნაკლებ ლიბერალურის წინააღმდეგ. მაგრამ პარლამენტური წყობილებისათვის რევოლუციურ ბრძოლაში იმ ლიბერალ-მოღალატეთა მხარის-

დაჭერა, რომელნიც ტრეპოვსა და რევოლუციას «ათანხმებენ», ღალატია.

მოსკოვის ამბებმა საქმით დაგვანახვეს სოციალურ ძალთა ის დაჯგუფება, რომლის შესახებ ბევრს წერდა «პროლეტარი»: სოციალისტური პროლეტარიატი და რევოლუციური ბურჟუაზიული დემოკრატიის მოწინავე რაზმი ბრძოლას აწარმოებდა. ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზია მოლაპარაკებას აწარმოებდა. მაშ ისწავლეთ, ამხანაგო-მუშებო, მეტი ყურადღებით ისწავლეთ მოსკოვის ამბების გაკვეთილები. სწორედ ასე, უსათუოდ ასე წავა საქმე რუსეთის მთელ რევოლუციაშიც. ჩვენ უფრო მტკიცედ უნდა შევმჭიდროვდეთ ნამდვილ სოციალისტურ პარტიად, რომელიც მუშათა კლასის ინტერესების შეგნებული გამომხატველია და არა სტიქიურად მიჩანჩალებს მასების კუდში. ბრძოლაში მხოლოდ რევოლუციური დემოკრატიის იმედი უნდა ვიქონიოთ, მხოლოდ მარტოოდენ მას უნდა ვუთანხმდებოდეთ, მხოლოდ ტრეპოვებისა და რომანოვის წინააღმდეგ ბრძოლის ველზე უნდა ვახორციელებდეთ ამ შეთანხმებებს. მთელი ძალღონით უნდა ვისწრაფოდეთ იქითკენ, რომ რევოლუციური დემოკრატიის მოწინავე რაზმის — სტუდენტობის — გარდა ავამხედროთ აგრეთვე ხალხის ფართო მასა, რომლის მოძრაობა არა მარტო დემოკრატიულია საზოგადოდ (დღეს ყოველი მოღალატე თავის თავს დემოკრატს უწოდებს), არამედ ნამდვილად რევოლუციურია, სახელდობრ გლეხთა მასა. უნდა გვახსოვდეს, რომ ლიბერალები და კონსტიტუციონალისტ-დემოკრატები, რომლებიც მერყეობას შეიტანენ თვითმპყრობელობის მომხრეთა რიგებში, აუცილებლად ეცდებიან თვითეული თავიანთი ნაბიჯით ჩვენს რიგებშიც შემოიტანონ მერყეობა. სერიოზულ მნიშვნელობას, გადამწყვეტ მნიშვნელობას მიიღებს მხოლოდ აშკარა რევოლუციური ბრძოლა, რომელიც სანაგვეზე გადაყრის ყველა ლიბერალურ საქათმეს და ყველა ლიბერალურ სათათბიროს. მაშ ერთს წუთსაც ნუ დაჰკარგავთ და ემზადეთ ახალ-ახალი ბრძოლისთვის! შეიარაღდით, ვისაც რით შეუძლია, დაუყოვნებლივ შეადგინეთ მებრძოლთა რაზმები, რომელნიც მზად იქნებიან თავდადებული

ენერგიით იბრძოლონ წყეული თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, გახსოვდეთ, რომ ხვალ თუ ზეგ მოვლენები უეჭველად და აუცილებლად გაგიწვევთ აჯანყებისათვის, და ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, შესძლებთ თუ არა გამოსვლას მომზადებულნი და გაერთიანებულნი, თუ დაბნეულნი და დაქსაქსულნი!

მოსკოვის ამბებმა ერთხელ კიდევ და მეასედ გაამტყუნეს მცირედმორწმუნენი. ამ ამბებმა დაგვანახვეს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ნაკლებ ვაფასებთ მასების რევოლუციურ აქტივობას. ისინი ხელახლა ჩაუნერგავენ რწმენას მრავალს იმათგანს, ვინც უკვე მერყეობას იჩენდა, ვინც ზავის ჩამოგდებისა და სათათბიროს ბოძების შემდეგ აჯანყების რწმენას კარგავდა. არა, აჯანყება სწორედ ახლა იზრდება და მტკიცდება ჯერ არნახული სისწრაფით. მაშ დაე ყველა ჩვენგანი სადარაჯოზე შეხვდეს მომავალ აფეთქებას, რომელთან შედარებით ცხრა იანვარი და ოდესის ღირსსახსოვარი დღეები თამაშობად გამოჩნდება!

«პროლეტარი» № 22,
1905 წ. 24 (11) ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

«პროლეტარიატის ბრძოლა» [105]

ჩვენ აღვნიშნავთ, რომ სტატიაში «პასუხად «სოციალ-დემოკრატს»» ცნობილი საკითხი «შეგნების გარედან შეტანის» შესახებ ჩინებულადაა დაყენებული. ავტორი ამ საკითხს ჰყოფს ოთხ დამოუკიდებელ ნაწილად: 1) ფილოსოფიური საკითხი ყოფიერებისადმი შეგნების დამოკიდებულების შესახებ: ყოფიერება განსაზღვრავს შეგნებას. ორი კლასის შესაბამისად შეგნებაც ორნაირი მუშავდება: ბურჟუაზიული და სოციალისტური. პროლეტარიატის პირობებს სოციალისტური შეგნება შეეფერება. 2) «ვინ იმუშავებს, ვის შეუძლია შეიმუშაოს სოციალისტური შეგნება (ე. ი. მეცნიერული სოციალიზმი)?» «თანამედროვე სოციალისტური შეგნება შეიძლება აღმოცენდეს მხოლოდ ღრმა მეცნიერულ ცოდნაზე» (კაუტსკი), ე. ი. სოციალისტური შეგნების შემუშავება — «ეს ცალკეული ინტელიგენტ-სოციალ-დემოკრატების საქმე ყოფილა, რომლებსაც დროც შესწევთ ამისთვის და საშუალებაც». 3) როგორ შედის ეს შეგნება პროლეტარიატში? «აი აქ ჩნდება სოციალ-დემოკრატია (და არა მარტო ინტელიგენტი-სოციალ-დემოკრატები), რომელსაც შეაქვს მუშათა მოძრაობაში სოციალისტური შეგნება». 4) რას ხვდება სოციალ-დემოკრატია თვით პროლეტარიატში, როცა მასთან მიდის სოციალიზმის ქადაგებით? ინსტინქტურ ლ ტ ო ლ ვ ა ს სოციალიზმისაკენ. «პროლეტარიატთან ერთად ბუნებრივი აუცილებლობით ებადებათ სოციალისტური მ ი დ რ ე კ ი ლ ე ბ ა როგორც თვით პროლეტარებს, ისე იმათ, რომელნიც ითვისებენ პროლეტარიატის თვალთახედვის ისარს; ასე აიხსნება სოციალისტურ ლ ტ ო ლ-

Кавказскій Союзъ Росс. Соціальдемократической Рабочей Партіи

БОРЬБА

Пролетаріи всѣхъ странъ соединяйтесь!

ПРОЛЕТАРІАТА

ОРГАНЪ КАВКАЗСКАГО СОЮЗА РОССІЙСКОЙ СОЦІАЛЬДЕМОКРАТИЧЕСКОЙ РАБОЧЕЙ ПАРТІИ.

№ 2. 15 (28) ІЮЛЯ 1905 г. № 2.

ДЕМОКРАТИЧЕСКІЯ ЗАДАЧИ РЕВОЛЮЦІОННАГО ПРОЛЕТАРІАТА

Соціальдемократія, какъ сознательная выразительница рабочаго движенія ставитъ себѣ цѣлью полное избавленіе всѣхъ трудящихся отъ всякаго гнета и эксплуатаціи. Достиженіе этой цѣли, уничтоженіе частной собственности на средства производства и созданіе соціалистическаго общества требуетъ очень высокаго развитія производительныхъ силъ капитализма и громадной организованности рабочаго класса. Безъ политической свободы немыслимо ни полное развитіе производительныхъ силъ въ современномъ буржуазномъ обществѣ, ни широкая, открытая и свободная классовая борьба, ни политическое просвѣщеніе, воспитаніе и сплоченіе массъ пролетаріата. Вотъ почему сознательный пролетаріатъ всегда ставитъ своей задачей рѣшительную борьбу за полную политическую свободу, за демократическую революцію.

Эту задачу ставитъ себѣ не одинъ пролетаріатъ. Буржуазія тоже нужна политическая свобода. Образованные представители имущихъ классовъ давно сознали всѣ свободы, революціонная интеллигенція, происходящая главнымъ образомъ изъ этихъ классовъ, геройски боролась за свободу. Но вся буржуазія въ цѣломъ не способна на рѣшительную борьбу съ самодержавіемъ; она боится потерять въ этой борьбѣ свою собственность, которая признаваетъ ее въ существующемъ обществѣ; она боится слишкомъ революціоннаго выступленія рабочихъ, которыя никогда не остановятся на одной демократической революціи, и будутъ стремиться къ соціалистическому перевороту; она боится полнаго разрыва съ чиновничествомъ, съ бюрократіей, интересы которой связаны съ интересами имущихъ классовъ тысячами нитей. Поэтому буржуазная борьба за свободу отличается робостью, непослѣдовательностью, половинчатостью. Одна изъ задачъ пролетаріата—толкать впередъ буржуазію, ставить передъ всѣмъ народомъ вопросы полнаго демократическаго переворота, бороться самостоятельно и сообща за осуществленіе этихъ вопросовъ, однимъ словомъ, быть авангардомъ, передовымъ отрядомъ, въ борьбѣ за свободу всего народа.

Русскимъ соціальдемократамъ въ цѣляхъ выполненія этой задачи приходится вести войну уже не разъ съ непослѣдовательностью буржуазнаго либерализма. Напомнимъ, напримѣръ, какъ начинаетъ Ленинъ свою статью отъ имени дѣятельность въ качествѣ политическаго борца за „освобожденіе" Россіи съ начала съ предисловіемъ къ „Зотовой" Бютте, гдѣ было выставлено совершенно „Шиповскій" (говоря языкомъ нѣкоторыхъ политическихъ дѣятелей) лозунгъ „права и властвующаго единства". Соціальдемократія показывала всю отсталость, всю мѣлкость всей революціонности этого лозунга, требовала опредѣленной и рѣшительной демократической программы, самъ выставила такую программу, какъ исчерпывающую составную часть своей постоянной программы. Соціальдемократія должна была бороться съ такимъ пониманіемъ демократическихъ задачъ въ собственныхъ рядахъ, могла такъ называемыя экономисты всячески принимали эти задачи, проповѣдывали „экономическую борьбу съ голяками и съ правительствомъ", настаивали на необходимости начать съ завоеванія правъ, проповѣдывали политическую агитацію и анонсъ потомъ, постепенно (теорія стадій) переходить къ политической борьбѣ.

Теперь политическая борьба страшно разрослась, революція охватила всю страну, самыя умѣренныя либеральныя стали „крайними" и можетъ показаться, что такія историческія справки изъ недавняго прошлаго, какъ мы сейчасъ привели, излишнѣ, не могутъ имѣть никакого отношенія къ живому, бурному настоящему. Но это можетъ показаться лишь на первый взглядъ. Конечно, такіе лозунги, какъ учредительное собраніе, всеобщее, прямое и равное избирательное право съ тайной подачей голосовъ (выставленные давно и раньше всѣхъ соціалдемократами въ ихъ партійной программѣ) стали общимъ достояніемъ, приняты нелегальн. „Освобожденіемъ", вошли въ программу „Союза Освобожденія", стали лозунгами земцевъ, повторяются на всѣ лады легальной печатью. Прогрессъ русскаго буржуазнаго демократизма за послѣдніе годы и мѣсяцы несомнѣненъ. Буржуазная демократія учится у событій, отбрасываетъ примитивные лозунги (въ родѣ шиповскаго: права и властвующаго единства), повышаетъ всѣхъ на революцію. Но она инвично подыдетъ къ революціи: на мѣсто старыхъ противорѣчій между ея словами и дѣлами, между демократизмомъ въ принципѣ и демократизмомъ въ „дѣльной политикѣ" народываются новыя противорѣчія, ибо рость революціи все повышаетъ и повышаетъ требованія отъ демократіи. Буржуазная же демократія, повышая свои лозунги, всегда отстаетъ отъ событій, всегда тащится въ хвостѣ, всегда формулируетъ эти лозунги на обѣщаніи гораздо ниже, чѣмъ этого требуетъ дѣйствительно революціонная, дѣйствительная борьба за дѣйствительную свободу.

Въ самомъ дѣлѣ, возьмите этотъ старый уже годичекъ, общепризнанный лозунгъ: учредительное собраніе въ основѣ всеобщаго и т. д. избирательнаго права. Достаточенъ-ли онъ съ точки зрѣнія послѣдовательнаго демократизма? Достаточенъ-ли онъ съ точки зрѣнія насущныхъ революціонныхъ задачъ переживаемаго момента? На обѣ эти вопроса нельзя отвѣтить иначе, какъ отрицательно. Чтобы убѣдиться въ этомъ, стоитъ только разобрать знаменитый нашей партійной программы, которую, къ сожалѣнію, исключительно часто вспоминаютъ, приводятъ и распространяютъ наши организаціи. (Какъ счастливо исключаетъ заслуживающіе широкаго подражанія отмѣтимъ спеціально перепечатку программы нашей партіи съ листовки комитетовъ римскаго, кронштадскаго, и московскаго). Наша программа даже ставитъ со главу угла лозунгъ всеобщаго учредительнаго собранія (конечно „всеобщаго" мы условимся сокращать для краткости всеобщее и т. д. избир. право). Но этотъ лозунгъ стоитъ у насъ въ программѣ не отдѣльно и

პირველი გვერდი გაზეთისა «ბორბა პროლეტარიატ.» № 2
ვ. ი. ლენინის სტატიით «რევოლუციური
პროლეტარიატის დემოკრატიული ამოცანები».—1905
დაპატარავებულია

ვ ი ლ ე ბ ა თ ა წარმოშობა» (კაუტსკი). მენშევიკს აქედან სასაცილო დასკვნა გამოჰყავს: «აქედან აშკარაა, რომ ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი გარედან კი არ შედის პროლეტარიატში, არამედ, პირიქით, პროლეტარიატისგან გამოდის გარეთ და შედის იმ პირთა თავში, რომელნიც პროლეტარიატის შეხედულებას ითვისებენ»!

«პროლეტარი» № 22,
1905 წ. 24 (11) ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

საზღვარგარეთელი ახალგაზრდობა და რუსეთის რევოლუცია

მივარდნილი ადგილიდან მიღებულმა წერილმა, რომელიც ყველას მოუხმობს საზღვარგარეთიდან რუსეთში («პროლეტარი» № 19), გამოიწვია პასუხი ამხ. «რევოლუციონერისა». მან ბერნიდან წერილით მიმართა «პროლეტარის» რედაქციას. ამხ. «რევოლუციონერი» დაჟინებით იცავს თეორიის დიდ მნიშვნელობას მოძრაობაში, სერიოზული სწავლის აუცილებლობას და სხვ.. ჩვენ, რა თქმა უნდა, სავსებით ვეთანხმებიმას ამაში, და ჩვენი შენიშვნის აზრიც მივარდნილი ადგილიდან მიღებული წერილის გამო სწორედ ასეთი იყო[106]. ამხ. «რევოლუციონერი» პარტიას ურჩევს მოაწყოს სადმე, მაგალითად, ჟენევაში, უნივერსიტეტის მსგავსი რამ, რომ ახალგაზრდობას შეეძლოს სერიოზულად ისწავლოს. ამგვარი გეგმები არა ერთხელ წამოჭრილა, მაგრამ მათ განხორციელებას მრავალი პრაქტიკული სიძნელე ეღობება წინ.

«პროლეტარი» № 22,
1905 წ. 24 (11) ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

წერილი საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს

ჟენევა, 1905 წ. 27 ოქტომბერი.

ძვირფასო ამხანაგო!

28 ივნისს თქვენ გამოგვიგზავნეთ ამხანაგ ბებელის წინადადება ჩვენს პარტიაში არსებული უთანხმოების გამო.

24 ივლისს მე გწერდით*, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით ვერ გიპასუხებთ, რადგან მე კომიტეტის მხოლოდ ერთ-ერთი წევრი ვარ-მეთქი და ვთხოვდი ბიუროს მოეცა ზოგიერთი განმარტება. პასუხად მივიღე მოქ. ჰიუისმანსის 5 აგვისტოს წერილი, რომელშიც ის მწერს, აღმასრულებელი კომიტეტის ჩარევას მხოლოდ მორალური ზეგავლენა აქვს მხედველობაშიო. მე დაუყოვნებლივ ვაცნობე ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ბებელის წინადადების ზუსტი აზრი. ამჟამად მივიღე ცენტრალური კომიტეტის პასუხი, რომელიც იღებს თქვენს წინადადებას და თავის წარმომადგენლებად ნიშნავს ამხანაგებს ვასილიევს, შმიდტსა[107] და ლენინს. ამხანაგი შმიდტი რუსეთშია. ამიტომ აუცილებელია წინასწარ ვიცოდეთ, რა დღესაა დანიშნული თათბირი (სამი კვირით ადრე მაინც).

დანარჩენი ორი დელეგატი შვეიცარიაში იმყოფება.

მიიღეთ და სხვ.

ვ. ულიანოვი (ლენინი)

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 164 — 169. რედ.

P. S.* ეს-ესაა მივიღე კიდევ ერთი წერილი, რომლითაც მატყობინებენ, ამხანაგი შმიდტი მალე (ალბათ, ნოემბერში) ჩამოვა საზღვარგარეთ ჩვენი პარტიის მრავალი საქმის მოსაგვარებლადო. ამიტომ ჩემთვის მეტისმეტად მნიშვნელოვანია რაც შეიძლება საჩქაროდ მივიღო ჩვენი პარტიის მეორე ფრაქციის პასუხი კონფერენციის მოწვევის დღის შესახებ. ჩვენი პარტიის რუსეთში მომუშავე წევრათთვის საზღვარგარეთ ჩამოსვლა მეტისმეტად გაძნელებულია, ამიტომ სასურველია კონფერენციის მოწვევის ვადა დაინიშნოს ახლავე, ე. ი. მეორე ფრაქციამ და საერთაშორისო ბიუროს წევრებმა რაც შეიძლება ადრე გვაცნობონ, თუ როდის სურთ მათ ამ კონფერენციის მოწვევა.

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა 2—3 გამოცემებში, ტ. VIII

იბეჭდება თხზულებათა 2—3 გამოცემათა ტექსტის მიხედვით, რომელიც შეჯერებულია მანქანაზე ფრანგულად დაბეჭდილი ასლის ტექსტთან

---

* — Postscriptum — მინაწერი. რ ე დ.

სრულიად რუსეთის პოლიტიკური გაფიცვა

ჟენევა, 26 (13) ოქტომბერი.

ბარომეტრი ქარიშხალს გვიჩვენებს! — ასე აცხადებენ დღევანდელი საზღვარგარეთული გაზეთები, რომელთაც მოჰყავთ ტელეგრაფის ცნობები სრულიად რუსეთის პოლიტიკური გაფიცვის მძლავრი ზრდის შესახებ.

და მარტო ბარომეტრი კი არ გვიჩვენებს ქარიშხალს, არამედ ყველაფერი უკვე მოგლიჯა ადგილიდან სოლიდარული პროლეტარული იერიშის გიგანტურმა გრიგალმა. რევოლუცია განსაცვიფრებელი სისწრაფით მიექანება წინ, გასაკვირველ მრავალფეროვან მოვლენებს გვიშლის თვალწინ, — და რომ მოგვესურვებინა ჩვენი მკითხველებისათვის უკანასკნელი სამი, ოთხი დღის დაწვრილებითი ისტორიის გადაცემა, — მთელი წიგნის დაწერა მოგვიხდებოდა. მაგრამ დაწვრილებითი ისტორიის დაწერას ჩვენ მომავალ თაობებს დავუთმობთ. ჩვენს წინაშეა უაღრესად წარმტაცი სცენები ერთ-ერთი უდიდესი სამოქალაქო ომისა, თავისუფლებისათვის ომისა, რომელიც კი ოდესმე განუცდია კაცობრიობას, — და ჩვენ უნდა დავაჩქაროთ სიცოცხლე, რათა მთელი ჩვენი ძალღონე ამ ომს შევწიროთ.

ქარიშხალი ამოვარდა, — და რა უბადრუკად მოჩანს ახლა ლიბერალური და დემოკრატიული სიტყვები, მოსაზრებები, მკითხაობანი და გეგმები სათათბიროს შესახებ! როგორ მოძველდა უკვე — რამდენიმე დღეში, რამდენიმე საათში — მთელი ჩვენი დავა სათათბიროზე! ზოგიერთ ჩვენგანს ეჭვი ეპარებოდა იმაში, შესძლებდა თუ არა რევოლუციური პრო-

ლეტარიატი პოლიციელი მინისტრების ამ საზიზღარი კომედიის ჩაშლას, ზოგიერთ ჩვენგანს ეშინოდა ელაპარაკნა მთელი გაბედულებით არჩევნების ბოიკოტის შესახებ. და აი, არჩევნები ჯერ კიდევ ყველგან არც კი დაწყებულა, და ხელის ერთი გაქნევით შეირყა ეს ხუხულა. ხელის ერთმა გაქნევამ აიძულა არა მარტო ლიბერალები და ლაჩარი ოსვობოჟდენიელები, აიძულა ბ-ნი ვიტე, მეფის ახალი «ლიბერალური» მთავრობის ეს მეთაური, ალაპარაკებულიყო (მართალია, ჯერ მხოლოდ ალაპარაკებულიყო) რეფორმებზე, რომელნიც ძირს უთხრიან მთელი ბულიგინური ფარსის ყოველგვარ ქამანდებს.

ეს ხელი, რომლის გაქნევამ გადატრიალება მოახდინა სათათბიროს საკითხში, არის რუსეთის პროლეტარიატის ხელი. «ყველა ბორბალი ჩერდება, — ამბობს გერმანული სოციალისტური სიმღერა, — როცა ამას შენი ძლიერი ხელი მოისურვებსო». ახლა ეს ძლიერი ხელი აღიმართა. ჩვენი მითითებანი და წინასწარმეტყველებანი პოლიტიკური მასობრივი გაფიცვის დიდ მნიშვნელობაზე შეიარაღებული აჯანყების საქმეში — ბრწყინვალედ გამართლდა. ამხანად სრულიად რუსეთის პოლიტიკური გაფიცვა მართლაც მთელ ჩვენს ქვეყანას მოედო და ყველაზე დაჩაგრული და ყველაზე მოწინავე კლასის გმირულ აღმავლობაში გააერთიანა რუსეთის წყეული «იმპერიის» ყველა ხალხი. ჩაგვრისა და ძალმომრეობის ამ იმპერიის ყველა ხალხის პროლეტარები ახლა თავისუფლებისა და სოციალიზმის ერთ დიად არმიად ირაზმებიან. მოსკოვმა და პეტერბურგმა ერთმანეთს შორის გაინაწილეს რევოლუციური პროლეტარული თაოსნობის სახელი. გაიფიცნენ დედაქალაქები. გაფიცულია ფინეთი. ოსტზეის მხარე რიგის მეთაურობით მოძრაობას შეუერთდა. გმირული პოლონეთი კვლავ გაფიცულთა რიგებში ჩადგა თითქოს იმ მტრების უძლური გაბოროტების დასაცინად, რომელნიც ფიქრობდნენ თავისი დარტყმებით გაენადგურებინათ ის და რომელნიც მხოლოდ უფრო მტკიცედ სჭედდნენ მის რევოლუციურ ძალებს. ფეხზე დგება ყირიმი (სიმფეროპოლი) და სამხრეთი. ეკატერინოსლავში ბარიკადები შენდება და

სისხლი იღვრება. გაფიცულია ვოლგისპირეთი (სარატოვი, სიმბირსკი, ნიჟნი), ჩაღდება გაფიცვა ცენტრალურ სამიწათმოქმედო გუბერნიებშიც (ვორონეჟი) და სამრეწველო ცენტრშიც (იაროსლავლი).

და ამ მრავალენოვანი, მრავალმილიონიანი მუშათა არმიის სათავეში ჩადგა რკინიგზელ მოსამსახურეთა კავშირის პატარა დელეგაცია. სცენაზე, სადაც პოლიტიკურ კომედიებს თამაშობდნენ ბატონი ლიბერალები თავიანთი მაღალფარდოვანლაჩრული სიტყვებით მეფისადმი, თავიანთი პრანჭვა-გრეხით ვიტეს მიმართ, — ამ სცენაზე შეიჭრა მუშა და მეფის ახალი «ლიბერალური» მთავრობის ახალ მეთაურს, ბ-ნ ვიტეს, თავისი ულტიმატუმი წარუდგინა. რკინიგზელ მუშათა დელეგაციამ არ მოისურვა დაეცადა «მეშჩანთა საბჭოსთვის», სახელმწიფო სათათბიროსთვის. მუშათა დელეგაციამ ძვირფასი დროც კი არ დაკარგა ამ ტიკინათა კომედიის «გასაკრიტიკებლად». მუშათა დელეგაციამ ჯერ მოამზადა კრიტიკა საქმით — პოლიტიკური გაფიცვა — და მაშინ განუცხადა მინისტრ-კლოუნს: გადაწყვეტილება შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი, დამფუძნებელი კრების მოწვევა საყოველთაო და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე.

მინისტრი-კლოუნი ლაპარაკობდა, თვით რკინიგზელი მუშების მოსწრებული თქმით, «როგორც პირწავარდნილი მოხელე, კუდს იქნევდა როგორც ყოველთვის და არაფერს გარკვეულს არ იძლეოდა». ის გვპირდება ბრძანებულებათა გამოცემას პრესის თავისუფლებაზე და უარყოფს საყოველთაო საარჩევნო უფლებას; დამფუძნებელი კრება «ახლა შეუძლებელიაო» — უთქვამს მას, როგორც საზღვარგარეთული დეპეშებიდან ჩანს.

და მუშათა დელეგაციამაც საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადა. მუშათა დელეგაცია მინისტრისაგან წავიდა უნივერსიტეტში, სადაც ხდება პოლიტიკური კრებები ათი ათასი კაცის მონაწილეობით. პროლეტარიატმა შესძლო ესარგებლნა იმ ტრიბუნით, რომელიც დაუთმო მას რევოლუციურმა სტუდენტობამ. და რუსეთის პირველ მასობრივ, სისტემატურ, თავისუფალ პოლიტიკურ კრებებზე ყველა ქალაქში, სკოლაში,

ქარხანაში, ქუჩაში იხილავენ მინისტრ-კლოუნის პასუხს, ლაპარაკობენ გადამწყვეტ შეიარაღებულ ბრძოლაზე, რომელიც «შესაძლებელს» და აუცილებელს გახდის დამფუძნებელი კრების მოწვევას. საზღვარგარეთული ბურჟუაზიული პრესა, ყველაზე ლიბერალურიც კი, ელდანაკრავი ლუღლუღებს იმ «ტერორისტულ და საამბოხო» ლოზუნგებზე, რომლებსაც აცხადებენ თავისუფალი სახალხო კრებების ორატორები, თითქოს თვით მეფის მთავრობას მთელი თავისი ჩაგვრის პოლიტიკით არ გამოეწვიოს აჯანყების საჭიროება და გარდუვალობა.

აჯანყება ახლოვდება, იგი ჩვენს თვალწინ იზრდება სრულიად რუსეთის პოლიტიკური გაფიცვიდან. იმ მინისტრ-კლოუნის დანიშვნა, რომელიც არწმუნებს მუშებს, საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრება «ახლა» შეუძლებელიაო, ნათლად გვიჩვენებს რევოლუციურ ძალთა აღმავლობას და მეფის მთავრობის ძალთა დაცემას. თვითმპყრობელობას უკვე აღარ ძალუძს აშკარად გამოვიდეს რევოლუციის წინააღმდეგ. რევოლუციას ჯერ კიდევ არ ძალუძს გადამწყვეტი ლახვარი ჩასცეს მტერს. თითქმის გაწონასწორებულ ძალთა ეს-ქანაობა აუცილებლივ ბადებს ხელისფულების დაბნეულობას, იწვევს რეპრესიებიდან დათმობებზე, პრესის თავისუფლებისა და კრებების თავისუფლების კანონებზე გადასვლას.

მაშ, წინ, ახალი, კიდევ უფრო ფართო და მედგარი ბრძოლისაკენ, რათა გონზე ვერ მოვიდეს მტერი! პროლეტარიატმა უკვე სასწაულები მოახდინა რევოლუციის გამარჯვებისათვის. სრულიად რუსეთის პოლიტიკურმა გაფიცვამ საშინლად მოაახლოვა მისი გამარჯვება და აიძულა მტერი აწრიალებულიყო სიკვდილის წინ თავზარდაცემული. მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამ არ გაგვიკეთებია, რისი გაკეთებაც შეგვიძლია და უნდა გავაკეთოთ საბოლოო გამარჯვებისათვის. ბრძოლა კვანძის გახსნას უახლოვდება, მაგრამ ჯერ კიდევ არ მისულა კვანძის ნამდვილ გახსნამდე. მუშათა კლასი სწორედ ახლა დგება ფეხზე, ირაზმება, იარაღს ისხამს წინათ გაუგონარი მასშტაბით. და ბოლოს და ბოლოს იგი მთლიანად წალეკავს საძულველ თვითმპყრობელობას, გააგდებს ყველა

მინისტრ-კლოუნს, დააყენებს თავის დროებითს რევოლუციურ მთავრობას და დაანახვებს რუსეთის ყველა ხალხს, თუ როგორაა «შესაძლებელი» და როგორაა აუცილებელი სწორედ «ახლა» ნამდვილად საყოველთაო სახალხო და ნამდვილად დამფუძნებელი კრების მოწვევა.

«პროლეტარი» № 23,
1905 წ. 31 (18) ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

პოლიტიკური დაჯგუფების პირველი შედეგები

ჩვენს მიერ წინა ნომერში მოთავსებული ანგარიში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიებისა და ორგანიზაციების კონფერენციის შესახებ შესაძლებლობას იძლევა შევაჯამოთ ზოგიერთი, თუნდაც თავდაპირველი, შედეგები თანამედროვე პოლიტიკური დაჯგუფების საკითხში. სოციალ-დემოკრატიული პარტიებისა და ორგანიზაციების (რსდმპ — ც. კ., ბუნდი, ლატვიის სდმპ, პოლონეთის ს.-დ. და უკრაინის რევოლუციური პარტია) კონფერენციამ ერთხმად მიიღო სახელმწიფო სათათბიროს მიმართ აქტიური ბოიკოტის ტაქტიკა. გაძლიერებული აგიტაციის აუცილებლობა სახელმწიფო სათათბიროს წინააღმდეგ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, აგიტაციის აუცილებლობა ყველა იმ პარტიის წინააღმდეგ, რომელნიც დასაშვებად თვლიან სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობას, დასასრულ შეიარაღებული აჯანყების მომზადების აუცილებლობა ახლა, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, აღიარებულია მთელი რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მიერ ნაციონალურ განსხვავებათა მიუხედავად. იმ ტაქტიკის საფუძვლები, რომელიც მიიღო რსდმპ ც. კ.-მა და რომელსაც ჩვენ ვიცავდით «პროლეტარში», დაწყებული ჩვენი გაზეთის № 12-დან, ე. ი. უკვე 2½ თვის განმავლობაში, ამჟამად რუსეთის თითქმის მთელი სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკის საფუძვლები გახდნენ, ერთი სამწუხარო გამონაკლისის გარდა.

ამ გამონაკლისს, როგორც მკითხველს მოეხსენება, წარმოადგენს «ისკრა» და «უმცირესობა», რომელიც რსდმპ-ს გამო-

ეთიშა. «საორგანიზაციო კომისია» — მისი პრაქტიკული ცენტრი — წარმოდგენილი იყო კონფერენციაზე. როგორ მისცა ხმა მისმა დელეგატმა, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ფაქტია, რომ საორგანიზაციო კომისიამ უარი თქვა კონფერენციის რეზოლუციის ხელის მოწერაზე. ეს მოსალოდნელიც იყო მას შემდეგ, რაც ახალისკრელთა სამხრეთის «დამფუძნებელმა» კონფერენციამ სახელმწიფო სათათბიროს შესახებ მიიღო მეტად უგუნური და, პრინციპული მნიშვნელობით, ოპორტუნისტული რეზოლუცია, რომელიც დაწვრილებით გავარჩიეთ «პროლეტარის» № 21-ში *.

ამრიგად, პოლიტიკური დაჯგუფება სავსებით გამოისახა. სახელმწიფო სათათბიროსადმი დამოკიდებულების საკითხმა თითქმის პირველად გამოიწვია პოლიტიკური ტაქტიკის ერდათ განხილვა ოპოზიციური და რევოლუციური პარტიების მიერ, ლეგალური და არალეგალური პრესის მიერ. ეს იყო უდიდესი წინ გადადგმული ნაბიჯი, მოძრაობის წინა პერიოდთან შედარებით. წინათ მთელი უფსკრული აშორებდა ოპოზიციას რევოლუციონერებისაგან, ლეგალურ მუშაობას არალეგალურისაგან. ახლა მოძრაობა ისე გიგანტურად წავიდა წინ სულ რაღაც ათი თვის განმავლობაში, რომ უფსკრულის მნიშვნელოვანი ნაწილი ამოვსებული აღმოჩნდა: «ლეგალური» ოპოზიცია რევოლუციური ბრძოლის ტალღამ აიტაცა, თითქმის რევოლუციის ფაქტის აღიარებამდე. წინათ ჩვენ, სწორედ რომ ვთქვათ, არც შეგვეძლო გვედავა ლეგალური ოპოზიციის წარმომადგენლებთან ტაქტიკაზე, პოლიტიკური პარტიების მოქმედებაზე, ვინაიდან რევოლუციური, არალეგალური პარტიების გარდა სხვა არც იყო, ვინაიდან «პოლიტიკური მოღვაწეობა» სულ ერთიანად «პოლიტიკურ დამნაშავეთა» მოღვაწეობას ემთხვეოდა, თუ განზე დავტოვებთ თვითმპყრობელობისა და მის მსახურთა «მოღვაწეობას». ახლა სახელმწიფო სათათბირო ბუნებრივად და გარდუვალად ხალხის მთელი მასის, ყველა ელფერის, მიმართულებისა და პარტიის განხილვის საგანი გახდა. რევოლუციურმა ბრძოლამ

* იხ. ეს ტომი, გვ. 438 — 460. რ ე დ.

გზა გაუკაფა რევოლუციურ დისკუსიას ლეგალურ პრესაშიც, საერობო კრებებზედაც, სტუდენტთა კრებებზედაც და მუშათა მასობრივ მიტინგებზედაც.

კამათი იმ საკითხზე, თუ როგორ უნდა მოპყრობოდნენ სახელმწიფო სათათბიროს, პირველად, ვგონებ, დაიწყეს ერობის მოღვაწეებმა და რადიკალურმა ინტელიგენციამ, რომლებიც ყველაზე უფრო დაინტერესებული იყვნენ უშუალოდ მეფის მოწყალებით და ყველაზე უფრო იცნობდნენ მას ჯერ კიდევ 6 აგვისტოს მანიფესტის გამოცემამდე. შემდეგ კი ეს დისკუსია გადავიდა რუსეთის მთელ პოლიტიკურ პრესაში, როგორც თავისუფალ, ე. ი. არალეგალურ პრესაში, რომელიც ყველა თავის მოსაზრებას და ყველა თავის ლოზუნგს ბოლომდე გამოთქვამდა, ისე ლეგალურ პრესაში, რომელიც ეზოპური ენით წერდა ბოიკოტის სასარგებლოდ და თავისუფლად — ბოიკოტის წინააღმდეგ.

პოლიტიკურმა დაჯგუფებამ, რუსეთის ყველა ხალხთა პოლიტიკური პარტიებისა და კლასების გამიჯვნის ამ წინამორბედმა, ჩამოყალიბება იწყო სწორედ ბოიკოტის საკითხის ნიადაგზე. წავიდეთ სათათბიროში თუ არ წავიდეთ? ჩავშალოთ სათათბირო თუ მივიღოთ სათათბირო? ვიბრძოლოთ სათათბიროში, სათათბიროს ნიადაგზე, თუ სათათბიროს გარეთ, სათათბიროს დამოუკიდებლად, სათათბიროს წინააღმდეგ? — ასე გარდუვალად დადგა საკითხი როგორც ერთი მუჭა პრივილეგიური ამომრჩევლების, ისე ხალხის «უუფლებო» მასის წინაშე. და აი ამ საკითხზე, რომელიც წყდებოდა, რა თქმა უნდა, ათასი სხვადასხვა თვალსაზრისით და ათასნაირი ვარიანტით და «განსაკუთრებული აზრით», ახლა მოგვეპოვება ნ ა კ რ ე ბ ი შ ე დ ე გ ე ბ ი საზოგადოებრივი აზრის იმ «დაკითხვისა», რომელსაც იძლევა მთელი პრესა და ყველა პოლიტიკური ორგანიზაციის, პოლიტიკური კრების, ყრილობის და სხვათა განცხადებათა მთელი ჯამი.

ეს ნაკრები შედეგები ასეთია:

სათათბიროს შესახებ სამი ძირითადი ტიპის შეხედულება ისახება მკაფიოდ, მიმდინარე **რევოლუციის სამი ძირითადი და მთავარი სოციალური ძალის სრულ შესაბამისად: შეხედუ-**

ლება შავრაზმული (თვითმპყრობელობა), ლიბერალური (ბურჟუაზია) და რევოლუციური (პროლეტარიატი). შავრაზმელები ჩაებღაუჭნენ სათათბიროს, როგორც საუკეთესო და, შეიძლება, ერთადერთ შესაძლებელ, ერთადერთ წარმოსადგენ საშუალებას თვითმპყრობელობის დასაცავად. ლიბერალებმა გააკრიტიკეს სათათბირო და მიიღეს სათათბირო, მათ დაუძლეველი ძალით იზიდავენ ლეგალური გზები და მეფესთან შეთანხმება. რევოლუციურმა ხალხმა, პროლეტარიატის მეთაურობით, სამარცხვინო ბოძზე გააკრა სათათბირო, გამოაცხადა მისი აქტიური ბოიკოტი და უკვე საქმით დაგვანახვა თავისი მისწრაფება, რომ ეს აქტიური ბოიკოტი შეიარაღებულ აჯანყებად გადააქციოს.

ამ სამ ძირითად ტიპზე ღირს ცოტა უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ.

რაც შეეხება შავრაზმელებს, შეიძლება გვქონოდა იმის მოლოდინი (და ასეთ მოლოდინს გამოთქვამდნენ ადამიანები, რომლებსაც მიდრეკილება აქვთ სერიოზულ საქმედ მიიჩნიონ სათათბირო, — თუ არ ვცდებით, ისკრელებიც კი), რომ თვითმპყრობელობის მომხრენი პირდაპირ თუ არაპირდაპირ თანაგრძნობას გამოუცხადებდნენ ბოიკოტს ანუ აბსენტეიზმს, როგორც ამბობს ხოლმე ხშირად ჩვენი მონური პრესა. დაე გამოუცხადონ ბოიკოტი: ჩვენთვის ხომ უკეთესი, უფრო მთლიანი და წმინდა იქნება სათათბიროს შავრაზმული შემადგენლობაო. და რადგანაც რუსეთში არის ისეთი კონსერვატიული ორგანოები, რომელთაც შეუძლიათ სდევნონ მეფის მინისტრები მეტისმეტი ლიბერალიზმისთვის, შეუძლიათ უკმაყოფილება გამოთქვან «მეტად სუსტი» მთავრობის წინააღმდეგ, ამგვარ შეხედულებას სავსებით შეუძლია ასეთივე და უფრო ნათელი გამოხატულება ჰპოვოს, ვიდრე კონსტიტუციონალისტების მრავალმა შეხედულებამ. მაგრამ აქ გამოჩნდა სწორედ იმ ადამიანთა შეცდომა, რომლებმაც სათათბირო სერიოზულად მიიჩნიეს და ალაპარაკდნენ სათათბიროს ნიადაგზე ბრძოლის შესახებ, სათათბიროში ბრძოლის მხარისდაჭერის შესახებ და სხვ. და ა. შ. აქ ერთბაშად აღმოჩნდა, რომ თვითმპყრობელობას საშინლად ესაჭიროება სათათბიროს

ლეგალური ოპოზიცია, საშინლად ეშინია ბოიკოტისა. რატომ? სულ უბრალოდ: იმიტომ, რომ უეჭველად გამოაშკარავდა ქვეყნის მართვა-გამგეობის სრული შეუძლებლობა ბურჟუაზიის, როგორც კლასის, თუნდაც ერთ ნაწილთან შეუთანხმებლად. ბურჟუაზიის მემარჯვენე ფრთასთან შეუთანხმებლად არ შეიძლება ქვეყნის მართვა-გამგეობა, არ შეიძლება ფულის შოვნა, აღარ შეიძლება ცხოვრება. თუმცა ჩვენი თვითმპყრობელობა აზიურად ველურია, თუმცა ბევრია ძასში ძველისძველი დროის ბარბაროსობა, არაჩვეულებრივ წმინდა სახით შენახული საუკუნეთა განმავლობაში, თვითმპყრობელური მთავრობა რაც უნდა იყოს მაინც იმ კაპიტალისტური ქვეყნის მთავრობაა, რომელიც ათასნაირი უწყვეტი ძაფითაა დაკავშირებული ევროპასთან, საერთაშორისო ბაზართან, საერთაშორისო კაპიტალთან. თვითმპყრობელობის დამოკიდებულება მთელი რუსეთის ბურჟუაზიაზე უძლიერესი მატერიალური დამოკიდებულებაა, რომელიც შეიძლება დაფარულ იქნას მრავალასეული შუასაუკუნეობრივი მინაშენით, რომელიც შეიძლება შესუსტებულ იქნას სასახლის მრავლისაგან მრავალი ერთპიროვნული ან ჯგუფობრივი მოსყიდვით (ჩინებით, ადგილებით, კონცესიებით, მოწყალებით, მფარველობით და სხვ. და სხვ. და სხვ.), — მაგრამ რომელმაც ხალხის ცხოვრების გადამწყვეტ მომენტებში გადამწყვეტი ძალით უნდა იჩინოს თავი.

და თუ ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ ბ-ნი ვიტე წინ ეგებება ლიბერალებს, ლაპარაკობს ლიბერალურ სიტყვებს, რომელთა შესახებაც გვაუწყებს ლეგალური პრესა, ეწევა «არაფორმალურ მოლაპარაკებას ბ-ნ გესენთან», კადეტების ბელადთან («Times»-ის * პეტერბურგელი კორესპონდენტის დეპეშა), რომ საზღვარგარეთული პრესა ივსება ამბებით მეფის ლიბერალური გეგმების შესახებ, — ყოველივე ეს შემთხვევითი როდია. რა თქმა უნდა, აქ უამრავი სიცრუე და ინტრიგაა, მაგრამ მეფის მთავრობას და საზოგადოდ ყოველ ბურჟუაზიულ მთავრობას ხომ ერთი ნაბიჯის გადადგმაც არ შეუძ-

* — «დროება». რ ე ო.

ლია თავის პოლიტიკაში, თუ სიცრუესა და ინტრიგებს არ მიმართა. რა თქმა უნდა, აქ ბევრია სულ წვრილმანი თაღლითობა, რომელიც გამოწვეულია პეტერბურგში ფრანგი და გერმანელი ბანკირების რწმუნებულთა ჩასვლით, რათა მოილაპარაკონ ახალ ნახევარი მილიარდი მანეთის სესხზე, რაც უკიდურესად ესაჭიროება მეფის მთავრობას. მაგრამ ბურჟუაზიისაგან მთავრობათა დამოკიდებულების მთელი სისტემა ხომ აუცილებლივ ბადებს თაღლითობის შემთხვევებს ყოველი და ყოველგვარი გარიგებისა და ოინების დროს, რომელთა ვითარებაშიც ხორციელდება ეს დამოკიდებულება.

თვითმპყრობელობისათვის აუცილებელია «შეურიგდეს» ბურჟუაზიას, და იგი იძულებულია ისწრაფოდეს ამისკენ — ამასთან, ცხადია, მას სურს მოატყუოს ევროპისა და რუსეთის საზოგადოებრივი აზრი. ხოლო სახელმწიფო სათათბირო ჩინებული საშუალებაა ამ მიზნისთვის. ბურჟუაზიის ლეგალური ოპოზიცია სათათბიროში სწორედ ბურჟუაზიის მიერ აღიარებული სახელმწიფო წყობილების ის გარეგნობაა, რომელიც, შეიძლება, დაეხმაროს კიდევ თვითმპყრობელობას თავის დაძვრენაში.

აქედან გასაგებია, თუ რატომ ლაპარაკობს სათათბიროს ბოიკოტზე «მოსკოვსკიე ვედომოსტი», მთავრობისადმი კონსერვატიული ოპოზიციის ეს ორგანო, არა ნიშნის მოგებით და არა დაცინვით, არამედ დორბლმორევით და სასოწარკვეთილი გააფთრებით. აქედან გასაგებია, რომ შავრაზმელთა ორგანო, «ნოვოე ვრემია», თავს ესხმის «აბსენტეისტებს» და ცდილობს ბებელიც კი მოიშველიოს ბოიკოტის იდეასთან ბრძოლაში («პროლეტარი» № 20 *). შ ა ვ რ ა ზ მ ე ლ ე ბ ს ე შ ი ნ ი ა თ ბ ო ი კ ო ტ ი ს ა, და მხოლოდ ბრმებს ან ლიბერალთა გაშართლებაში დაინტერესებულ ადამიანებს შეუძლიათ უარყონ ახლა, რომ ბოიკოტის გამარჯვება აუცილებლად უზრუნველყოფილი იქნებოდა, მას რომ მიმხრობოდნენ ერობათა და ქალაქთა ყრილობების მოღვაწენი.

---

* — იხ. ეს ტომი, გვ. 396. რ ე დ.

მაგრამ საქმეც ისაა, რომ ლიბერალური ბურჟუაზია მთელი თავისი ძირეული კლასობრივი ინტერესებით მიისწრაფის მონარქიისაკენ, ორი პალატისაკენ, წესიერებისაკენ, ზომიერებისაკენ «მუდმივი რევოლუციის» «საშინელებასთან», ფრანგული ნიმუშის რევოლუციის «საშინელებასთან» ბრძოლისაკენ... ლიბერალური ბურჟუაზიის, ოსვობოჟდენიელებისა და კონსტიტუციონალისტ-დემოკრატების მობრუნება ბოიკოტის სასარგებლო რადიკალური ფრაზებიდან ბოიკოტის წინააღმდეგ გადამწყვეტი ომისკენ რუსეთის მთელი ბურჟუაზიის, როგორც კლასის, პ ი რ ვ ე ლ ი დიდი პოლიტიკური ნაბიჯია, რომელიც მოწმობს მის გამცემლურ ბუნებას, მის «მზადებას დანაშაულის ჩასადენად», რასაც რევოლუციის ღალატი ეწოდება. და ეს უბრალო მზადება კი არაა (რაც არ ისჯება არავითარი კანონით, როგორც, შეიძლება, ეპასუხნა ჩვენთვის რომელიმე ოხუნჯ ოსვობოჟდენიელ იურისტს), არამედ ხელყოფა და დამთავრებული ხელყოფაც კი. ჩვენ ახლა გამალებული ვცხოვრობთ. დიდი ხანია წავიდა ის (არაშორეული, რევოლუციებთან შეუფარდებელი ჩვეულებრივი ქრონოლოგიით) დრო, როცა ჩვენ უ ნ დ ა გვეღვიძებინა საერთოდ ბურჟუაზიის პოლიტიკური შეგნება. წავიდა ის დროც, როცა ჩვენ უ ნ დ ა დავხმარებოდით ბურჟუაზიას პოლიტიკურ ოპოზიციად ჩამოყალიბების საქმეში. ახლა მან გაიღვიძა, შეკავშირდა იგი, — და დღის წესრიგში დადგა სრულიად სხვა, დიდი ამოცანა, რომელიც შესაძლებელი და რეალური გახდა მხოლოდ რევოლუციის გიგანტური ნაბიჯების მეოხებით, — ამოცანა მეფესთან შეთანხმებისა (კაპიტალის ამოცანა) და ამოცანა მოღალატური კაპიტალის განეიტრალებისა (შრომის ამოცანა).

და სწორედ რევოლუციურმა პროლეტარიატმა, რომელიც სათავეში უდგას რევოლუციურ ხალხს, იკისრა ეს ამოცანა, დარჩა რა ერთგული თავისი მოვალეობისა: ეღვიძებინა, მუჯლუგუნი წაეკრა, ფეხზე დაეყენებინა თავისი «მეზობლები» შუასაუკუნეობრიობასა და ბატონყმობასთან ბრძოლაში; ამავე დროს ის ნაკლებად რევოლუციური მეზობლებისაგან უფრო რევოლუციურ მეზობლებზე გადადიოდა. რევოლუცი-

ურმა პროლეტარიატმა, რომელსაც სოციალ-დემოკრატია ხელმძღვანელობდა, «სერიოზულ საქმედ მიიჩნია» არა სათათბირო, არამედ ის სიტყვები, დაპირებანი და ლოზუნგები სათათბიროს ბოიკოტის შესახებ, რომელნიც ფუქსავატობის, უკიდურესი ახალგაზრდობისა და გატაცების გამო წამოსცდათ ბურჟუაზიის რადიკალურ მოლაყბეთ. ფრაზიდან ბოიკოტის შესახებ პროლეტარიატმა რეალობა შექმნა, შექმნა იმით, რომ აშკარად და პირდაპირ ააფრიალა შეიარაღებული აჯანყების დროშა, — შექმნა იმით, რომ გააჩაღა არა მარტო უფართოესი აგიტაცია, არამედ პირდაპირ ქუჩის ბრძოლაც (მოსკოვში), — შექმნა იმით, რომ დაუძმობილდა რადიკალურ ახალგაზრდობას, ამ ფართო, კლასობრივად ჯერ კიდევ არა საკმაოებით ჩამოყალიბებული, მაგრამ უსაზღვროდ დაჩაგრული და ექსპლოატირებული ხალხის, განსაკუთრებით გლეხთა მასის მოწინავე რაზმს. სოციალისტური პროლეტარიატი პრაქტიკული, საბრძოლო ამოცანის ნიადაგზე გაერთიანდა, ყოველგვარი შეთანხმებისა და ყოველგვარი ხელშეკრულების გარეშე, რევოლუციური ბურჟუაზიული დემოკრატიის გამოღვიძებულ ფენებთან. მოსკოვის დიადი (დიადი, როგორც წინასწარი ნიშანი და არა როგორც ცალკე აღებული მოვლენა) დღეების განმავლობაში პროლეტარიატი და რევოლუციური დემოკრატები იბრძოდნენ, ხოლო ლიბერალები, ოსვობოჟდენიელები და კონსტიტუციონალისტ-დემოკრატები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ თვითმპყრობელობასთან.

პოლიტიკური დაჯგუფება გამოისახა: სათათბიროსათვის — თვითმპყრობელობის შესანარჩუნებლად, — სათათბიროსათვის — თვითმპყრობელობის შესაზღუდავად, — სათათბიროს წინააღმდეგ — თვითმპყრობელობის მოსასპობად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: სათათბიროსათვის — რევოლუციის ჩასახშობად, — სათათბიროსათვის — რევოლუციის შესაჩერებლად, — სათათბიროს წინააღმდეგ — ძლევამოსილი რევოლუციის ბოლომდე მისაყვანად.

გამონაკლისი, სამწუხარო და საწყენი გამონაკლისი, რამაც დაარღვია მკაფიო კლასობრივი დაჯგუფების მთლიანობა (და დაადასტურა, როგორც ყოველმა გამონაკლისმა, საერთო წე-

სი), შეადგინა სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტულმა ფრთამ ახალი «ისკრის» სახით. მაგრამ ამ გამონაკლისშიც, საზღვარგარეთული, არალეგალური ორგანიზაციების ვიწრო სფეროში გამოჩნდა ჩვენს მიერ უკვე ნაწინასწარმეტყველები მეტად მნიშვნელოვანი და მეტად საგულისხმო კანონზომიერება. კონფერენციამ, რომელზედაც ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ, გააერთიანა რევოლუციური სოციალ-დემოკრატია. «ისკრა», არა ხელშეკრულებით, არამედ მოვლენათა მსვლელობით, გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ უ ლ ი დარჩა «ო ს ვ ო ბ ო ჟ დ ე ნ ი ე ს თ ა ნ». არალეგალურ პრესაში აქტიური ბოიკოტის სასარგებლოდ გამოვიდნენ რევოლუციური სოციალ-დემოკრატები და რევოლუციური ბურჟუაზიული დემოკრატიის უკიდურესი მემარცხენე ფრთა. ბოიკოტის წინააღმდეგ გამოვიდნენ ოპორტუნისტული სოციალ-დემოკრატები და ბურჟუაზიული დემოკრატიის უკიდურესი მემარჯვენე ფრთა.

ასე დადასტურდა ის, რაც დაგვანახა ახალისკრელთა ტაქტიკური რეზოლუციებიდან უმნიშვნელოვანესი რეზოლუციის ანალიზმმა (ლენინის «ორი ტაქტიკა» *), სახელდობრ ის, რომ «ისკრა» ქვეითდება ლიბერალურ მემამულეებამდე, ხოლო «პროლეტარი» თავის დონემდე ამაღლებს გლეხურ მასას; «ისკრა» ლიბერალურ ბურჟუაზიამდე ქვეითდება, ხოლო «პროლეტარი» ამაღლებს რევოლუციურ წვრილ ბურჟუაზიას.

ვინც სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურას იცნობს, მან იცის «ისკრის» მიერ დიდიხნის წინათ ხმარებული ფრაზა: ბოლშევიკები და «პროლეტარი» სოციალისტ-რევოლუციონერებისაკენ, უკიდურესი ბურჟუაზიული დემოკრატიისაკენ გადაქანდნენო. ამ ფრაზაში, ისე როგორც ყოველ მოარულ ფრაზაში, არის ჭეშმარიტების ნატამალი. იგი გამოხატავს ისკრელების არა უბრალო წყენას, იგი ასახავს ნამდვილ მოვლენას, მაგრამ ასახავს ისე, როგორც შეზნექილი სარკე ასახავს საგანს. ეს ნამდვილი მოვლენა არის ის ფ ა ქ ტ ი, რომ მენშევიკები და ბოლშევიკები წარმოადგენენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტულ და რევოლუციურ

* იხ. ეს ტომი, გვ. 41. რ ე დ.

ფრთას. რადგან ისკრელებმა ოპორტუნიზმისკენ იბრუნეს პირი, ისინი აუცილებლად უნდა მისულიყვნენ იმ დასკვნამდე, რომ ბოლშევიკები (მეთვრამეტე საუკუნის პოლიტიკურ დაყოფათა ენით თუ ვილაპარაკებთ) «იაკობინელები» არიან. ეს ბრალდება მხოლოდ ადასტურებს ჩვენს შეხედულებას თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე და მემარცხენე ფრთაზე. ეს ბრალდება ოპორტუნისტების მხრივ ისევე სასიამოვნოა ჩვენთვის, როგორც სასიამოვნო იყო 1900 წელს «ნაროდოვოლცობის» დაბრალება «რაბოჩაია მისლის» მხრივ. ახლა მთელი რუსეთის ყველა პოლიტიკური მიმართულების ნამდვილმა პოლიტიკურმა დაჯგუფებამ ტაქტიკის უდიდეს საკითხში საქმით დაამტკიცა ჩვენი შეფასების სისწორე მთელი ისკრული პოზიციისა რსდმპ II ყრილობის დღიდან.

ამრიგად, არალეგალურ პარტიათა დაჯგუფება, დაგვირგვინებული ყველა სოციალ-დემოკრატების კონფერენციით, ბუნებრივად ავსებს ყველა პარტიის დაჯგუფებას სათათბიროს საკითხში. და თუ ისკრელები საწყენი გამონაკლისი აღმოჩნდნენ, სამაგიეროდ ის ფაქტი, რომ ისინი — გამონაკლისს შეადგენენ, ახალ რწმენას გვინერგავს წესის ძალისადმი, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის გამარჯვებისადმი, რუსეთის რევოლუციის მიერ მისი თანამიმდევრული ლოზუნგების განხორციელებისადმი. თუ მჭმუნვარების წუთებში ლიბერალების უხამსობა და მარქსიზმის გაუხამსება ზოგიერთი მარქსისტის მიერ იმის მომასწავებლად გვეჩვენება, რომ ჩვენში რევოლუციაც უხამსი, უდღეური, დაუმთავრებელი გამოვა გერმანიის 1848 წლის რევოლუციის მსგავსად, — სამაგიეროდ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პრინციპების ცხოველმყოფელობა გამამხნევებელ რწმენას გვინერგავს და გმირული მუშათა კლასის გამოსვლებიც ამ რწმენას განამტკიცებენ. რევოლუცია მშვენივრად მიჯნავს პოლიტიკურ მიმართულებებს, მას მშვენივრად მიჰყავს აბსურდამდე შემცდარი აზრები. რევოლუცია რუსეთში ისე მიმდინარეობს, რომ დღევანდლამდე ამართლებს მისი სრული გამარჯვების იმ იმე-

დებს, რომელთაც გვინერგავს ამჟამად შექმნილი საგარეო და საშინაო სიტუაცია. და როცა ვხედავთ თვითმპყრობელობის შეშფოთებას, ლიბერალების დაბნეულობას, როცა ვხედავთ ფხიზელ რევოლუციურ ენერგიას პროლეტარიატისას, რომელსაც თან მიჰყავს გლეხობა, — გვინდა გვრწამდეს, რომ «ჩვენი მატარებელი ისე არ წავა, როგორც გერმანიის მატარებელი მიდიოდა»[108].

«პროლეტარი» № 23,
1905 წ. 31 (18) ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

დამარცხებულთა ისტერიკა

ჩვენი სტატია «პოლიტიკური დაჯგუფების პირველი შედეგები» უკვე დაწერილი იყო, როცა მივიღეთ «ისკრის» № 112, სადაც დაბეჭდილია რაღაც ნერვიული, ღვარძლით, ცრემლებით, წამოძახილებითა და უხიაკობით აღსავსე სტატია — «წრეობანას ნაყოფი». ამას არ შეიძლება სხვა რამ ვუწოდოთ, თუ არა ისტერიკა. არავითარი შესაძლებლობა არ არის ამ ისტერიული გოდებიდან გამოვყოთ თუნდაც ნასახი დასაბუთებისა. რა შუაშია აქ წრეობანა, ძვირფასო «ისკრელო» ამხანაგებო, როცა თქვენ თვითონ ნებაყოფლობით წახვედით რუსეთის სხვადასხვა სოციალ-დემოკრატიული პარტიებისა და ორგანიზაციების კონფერენციაზე? დაფიქრდით ოდნავ მაინც, თუ ჯერ კიდევ სავსებით არ დაგიკარგავთ ფიქრის უნარი, დაფიქრდით მაშინ მაინც, როცა გაგივლით ისტერიის შემოტევა! თუ თქვენ დათანხმდით წასულიყავით კონფერენციაზე, თუ თქვენი დელეგატი დაესწრო მას, მაშასადამე, თქვენ თვითონ აღიარეთ ეს კონფერენცია სერიოზულ, პარტიულ, პროლეტარიატისთვის სავალდებულო საქმედ. თქვენ ხომ საბოლოოდ იმცირებთ თავს ოდნავ მაინც დაფიქრებული მუშების თვალში, თუ ლანძღვა-გინებას იწყებთ მას შემდეგ, რაც დამარცხდით თათბირზე, რომელიც თქვენ თვითონ თქვენივე ნებაყოფლობითი მონაწილეობის ფაქტით სერიოზულ და საჭირო საქმედ აღიარეთ!

თქვენ უკმაყოფილო ხართ იმით, რომ კონფერენციამ, თქვენი აზრით, მეტად მკაცრად დაგმო თქვენი ტაქტიკა, რო-

ცა სათათბიროში მონაწილეობას თავისუფლების საქმის ღალატი უწოდა? მაგრამ განა თქვენ არ იცოდით, საყვარელო «ისკრელო» ამხანაგებო, რომ მიდიოდით კონფერენციაზე რსდმპ ც. კ.-თან, ხოლო ამ ც. კ-ის ორგანო — «პროლეტარი» უკვე დიდი ხანია ბროშურებშიც და სტატიებშიც ააშკარავებს თქვენს მონარქისტული ლიბერალური პარტიის მაჩანჩალებად გადაქცევას? თქვენ ეს კარგად იცოდით, ძვირფასო «ისკრელო» ამხანაგებო, და თუ თქვენ ახლა ჯავრობთ ისე, რომ გონებას ჰკარგავთ, ჩვენ, მართალი გითხრათ, ველარ გიშველით. ეს ხომ ფაქტია, უცილობელი და უდავო ფაქტი, რომ თქვენ მარტონი დარჩით «ოსვობოჟდენიეს» კომპანიაში რუსეთის ყველა ხალხის ყველა არალეგალურ პარტიას, ორგანიზაციას, მიმართულებასა და ორგანოს შორის. ეს ფ ა ქ ტ ი ყველაზე მკაცრი, ისტორიაში თავისი სიმკაცრით არაჩვეულებრივი ბრალდებაა თქვენს წინააღმდეგ, თქვენ კი გგონიათ, თითქოს სიმკაცრის სათავე იყოს ს ი ტ ყ ვ ა: «თავისუფლების საქმის ღალატი»!

თქვენ იმდენად თავგზა აგებნათ, რომ კონფერენციაზე დამარცხების შემდეგ იწყებთ ველური ხმით ყვირილს ორგანიზაციაში ფედერალიზმის მავნებლობის შესახებ, ფედერალიზმისა, რომელსაც ელოლიავებიან ბუნდი და სხვა ნაციონალური სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები. რა უგუნურებაა ეს თქვენი მხრივ, ძვირფასო «ისკრელო» ამხანაგებო: თქვენ ხომ ამით მხოლოდ ხ ა ზ ს უ ს ვ ა მ თ საკუთარი დამარცხების სიღრმეს. მართლაცდა, აბა ერთი დაფიქრდით, ძვირფასო «ისკრელო» ამხანაგებო: ვინ იცავდა ორი წლის განმავლობაში და ვინ იცავს ახლაც ორგანიზაციულ უსახობას და ბუნდოვანებას? შეთანხმებისა და დეცენტრალიზაციის პრინციპებს? სწორედ თქვენ, სწორედ ახალისკრელები. და სწორედ ბუნდის, ლატვიისა და პოლონეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიების ფედერალისტები ებღაუჭებოდნენ თავის დროზე პრესაში ყველა თქვენს დეზორგანიზატორულ სიტყვებს ცენტრალიზმის ვითომდა უკიდურესობის წინააღმდეგ და სხვ. ა. შ.. ესეც ხომ ფაქტია, უცილობელი და უდავო ფაქტი, რომ ხსენებულ პარტიათა ყ ვ ე-

ლ ა ფედერალისტი უმცირესობის ყაიდაზე წერდნენ და ბეჭ-დავდნენ თავიანთ სტატიებს! აბა, შეხედეთ, ძვირფასო «ისკ-რელო» ამხანაგებო, რა უადგილოდ მოგაგონდათ ფედერა-ლიზმი: თქვენ ამით ხაზგასმით აღნიშნეთ, რომ თქვენი გუშინ-დელი კეთილისმყოფელნი სოციალ-დემოკრატიული ბუნდი-დან, ლატვიისა და პოლონეთის პარტიებიდან იძულებულნი იყვნენ მიეტოვებინეთ თქვენ, რადგან ვეღარ აიტანეს თქვენი სათათბიროს ტაქტიკის მთელი უხამსობა! არა, ძვირფასო «ისკრელო» ამხანაგებო, თუ თქვენ დამშვიდდებით და ოდნავ დაფიქრდებით, თვითონვე დაინახავთ იმას, რასაც ყველანი ხედავენ: «უმრავლესობა» კი არ მისულა ფედერალიზმამდე, არამედ ბუნდი, ლატვიელი და პოლონელი სოციალ-დემოკრა-ტები, რევოლუციურ მოვლენათა ობიექტური ლოგიკის გავ-ლენით, მივიდნენ იმ თვალსაზრისამდე, რომელსაც ყოველ-თვის იცავდა «უმრავლესობა».

თქმა არ უნდა, თქვენი დამარცხება მძიმეა, ძვირფასო «ის-კრელო» ამხანაგებო. მაგრამ მისი სათავე — უმრავლესობის ან პოლონელი სოციალ-დემოკრატების და სხვათა ბოროტი ვერაგობა კი არ არის, არამედ ის გამოუვალი აბნეულობა, რომელიც გამოაშკარავდა უკვე მენშევიკების სრულიად რუ-სეთის კონფერენციის ტაქტიკურ რეზოლუციებში. სანამ ამ რეზოლუციების ნიადაგზე იდგებით, თქვენ და «ო ს ვ ო ბ ო ჟ-დ ე ნ ი ე» «ო რ ი ვ ე ერ თ ა დ» აუცილებლად აღმოჩნდე-ბით ყველა სოციალ-დემოკრატის წინააღმდეგ და ყველა რე-ვოლუციური დემოკრატის წინააღმდეგაც კი.

«პროლეტარი» № 23,
1905 წ. 31 (18) ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის»
ტექსტის მიხედვით

რევოლუციური რიგის ულტიმატუმი

გერმანული გაზეთები, რომელნიც ჩვეულებრივ დიდ ყურადღებას აქცევენ ოსტზეის მხარის ამბებს, შემდეგს საგულისხმო ფაქტს მოგვითხრობენ. რიგის პოლიტექნიკუმში საქმე ისე მიდის, როგორც სხვა უმაღლეს სასწავლებლებში: სტუდენტთა კრებები პოლიტიკურ მიტინგებად გადაიქცნენ. სტუდენტები რევოლუციის მებრძოლ ძალად ირაზმებიან. ლიბერალური ბობოლები იღრიჯებიან და ბუზღუნებენ თავისთვის მთავრობის სისუსტის გამო. მაგრამ ლიფლანდიაში ბატონ მემამულეებს იმდენად გაუჭირდათ, რომ გადაჭრით შეუდგნენ თავიანთი მამულების შეიარაღებული დაცვის ორგანიზაციას, რადგან იმედი აღარა აქვთ მთავრობისა, რომელიც ვერ უმკლავდება ვერც გლეხებს, ვერც მუშებს, ვერც სტუდენტებს. ოსტზეის ბარონები სერიოზულად აწყობენ სამოქალაქო ომს: ისინი პირდაპირ ქირაობენ მთელ რაზმებს, აიარაღებენ მათ კარგი თოფებით და ანაწილებენ თავიანთ ვეებერთელა მამულებში. და აი, აღმოჩნდა, რომ ოსტზეის მხარის გერმანელ სტუდენტ-კორპორანტთა ნაწილი ასეთ რაზმებში ჩაეწერა! რასაკვირველია, ლატვიელმა და რუსმა სტუდენტობამ არათუ ბოიკოტი გამოუცხადა ამ სტუდენტურ ფორმაში გამოწყობილ შავრაზმელებს, არამედ საგანგებო კომისიაც კი დანიშნა საქმის გამოსაძიებლად მემამულეთა შავ რაზმებში სტუდენტების მონაწილეობის შესახებ. ამ კომისიის ორი წევრი გაიგზავნა სოფლად გლეხებში ცნობების შესაკრებად. მთავრობამ დააპატიმრა ორივე დელეგატი და რიგის საპყრობილეში გადაგზავნა.

მაშინ ლატვიელი და რუსი სტუდენტები ფეხზე დადგნენ. გაიმართა უზარმაზარი კრება. მიიღეს უაღრესად გადამწყვეტი რეზოლუცია. მოიწვიეს პოლიტექნიკუმის დირექტორი და მოსთხოვეს დაუყოვნებლივ ზომების მიღება დაპატიმრებულთა გასათავისუფლებლად. რეზოლუცია დაასრულეს პირდაპირი ულტიმატუმით: თუ სამი დღის განმავლობაში დანიშნულ საათზე დაპატიმრებულნი არ იქნებიან განთავისუფლებული, მაშინ სტუდენტები რიგის მუშების დახმარებით შესძლებენ მათს განთავისუფლებას ყოველგვარი საშუალებით.

ამ დროს გუბერნატორი რიგაში არ იყო, ის წასული იყო პიტერში გენერალ-გუბერნატორის რწმუნებათა გამოსათხოვად. გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი შეშინდა და დიპლომატიურად «დაიძვრინა» თავი. მან გამოიწვია (ასე მოგვითხრობს «Vossische Zeitung»-ი * 20 ოქტომბრის თარიღით ახ. სტ.) დირექტორი და ორივე დაპატიმრებული და ჰკითხა უკანასკნელთ, იცით თუ არა თქვენი მოქმედების უკანონობაო. მათ, რა თქმა უნდა, უპასუხეს, რომ არაფერს უკანონოს არ ხედავენ მასში. მაშინ გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს, ვითომ რიგის ერთი გაზეთის სიტყვით, დაჟინებით ურჩევია მათთვის თავი შეეკავებინათ ესოდენ უკანონო მოქმედებისაგან და — ორივე გაუთავისუფლებია.

«სტუდენტობის თვალში, — სევდიანად დასძენს ოსტზეელი ბარონების მოყვარული კორესპონდენტი, — და მათ უკან მდგომი მასის თვალშიც მთავრობამ ქედი მოიხარა ულტიმატუმის წინაშე. არც გარეშე მაყურებლებს შეეძლოთ ასეთივე შთაბეჭდილება არ გამოეტანათ».

«პროლეტარი» № 23,
1905 წ. 31 (18) ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

---

* — «ფოსის გაზეთი». რ ე დ.

მინისტრ-კლოუნის გეგმები

დღევანდელი პოლიტიკის უკეთ გასაგებად ურიგო არ იქნება ხანდახან გუშინდელ პოლიტიკასაც გადავხედოთ. აი რა დეპეშა გამოგზავნა პეტერბურგიდან 10 (23) ოქტომბერს ლონდონის «Times»-ის* კორესპონდენტმა, რომელიც ჩვეულებრივ კარგად იცნობს მდგომარეობას:

«საიმედო წყაროდან გავიგე, რომ მთავრობას გადაუწყვეტია გამოაცხადოს რეფორმატორების მიერ მოთხოვნილი ოთხი თავისუფლება, მაგრამ შეზღუდული სახით. იმედოვნებენ, რომ ეს დათმობა შემოუერთებს მთავრობას ზომიერებს. გუშინ გრაფ ვიტეს ხანგრძლივი თათბირი ჰქონდა მეფესთან ამ საკითხზე. ბ-ნი გორემიკინი ადგენს კანონის პროექტს გლეხებისთვის სახელმწიფო მიწების მიცემის შესახებ. ეს პროექტი წარედგინება სათათბიროს, როცა იგი შეიკრიბება. ამნაირად იმედოვნებენ გლეხთა ხმების მიზიდვას.

ასეთია, მოკლედ, მთავრობის კამპანიის გეგმა. იგი, ცხადია, გამორიცხავს კონსტიტუციის ნებაყოფლობითს ბოძებას სათათბიროს შეკრებამდე, თუმცა ამის ერთგვარი იმედი აქვთ კონსტიტუციონალისტ-დემოკრატებს. ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელიც უნდა განიხილონ მათ ყრილობაზე ოთხშაბათს, ეს არის საკითხი, როგორ უნდა მოიქცეს პარტია იმ შემთხვევაში, თუ კონსტიტუცია ნაბოძები იქნება სათათბიროს გახსნისას ან მის გახსნამდე: ამ შემთხვევაში პარტია უნდა დათანხმდეს სათათბიროში მუშაობაზე, თუ მოითხოვოს დამფუძნებელი კრების მოწვევა საყოველთაო კენჭისყრის საფუძველზე.

თვითმპყრობელობის მომხრენი იმედოვნებენ, რომ მთავრობის დათმობანი შეაჩერებს, ბოლოს და ბოლოს, კონსტიტუციურ მოძრაობას საარჩევ-

* — «დროება». რ ე დ.

ნო უფლების გაუფართოებლად და სათათბიროსთვის საკანონმდებლო უფლებების მიუნიჭებლად, მაგრამ ყველა ნიშანი ამ იმედის წინააღმდეგ ღაღადებს».

დიახ, მთავრობის «კამპანიის გეგმა» ნათელია. ნათელია აგრეთვე. ყველა თვალხილული ადამიანისთვის მთავრობასთან მ ო ვ ა ჭ რ ე ბატონ კონსტიტუციონალისტ-დემოკრატების «კამპანიაც». ერთი უბედურებაა მხოლოდ: იშმუშნება მუშათა კლასი და იშმუშნება ისე, რომ ერთიანად გაცამტვერდება როგორც ბატონ ვიტეების, ისე ბატონ კონსტიტუციონალისტ-დემოკრატების ყველა ეს ოსტატური გეგმა.

«პროლეტარი» № 23,
1905 წ. 31 (18) ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

მდგომარეობის გამწვავება რუსეთში

ამ სათაურით ბერლინის ლიბერალური გაზეთი «Vossische Zeitung»-ი * ათავსებს შემდეგს საკმაოდ საინტერესო ცხობას:

«შეუჩერებელი ძალით ვითარდება ამბები მეფეთა იმპერიაში. ყოველი პირუთვნელი მეთვალყურისათვის აშკარაა, რომ არც მთავრობა და არც რომელიმე ოპოზიციური თუ რევოლუციური პარტია არ არის მდგომარეობის ბატონ-პატრონი. უდროოდ გარდაცვლილი თავადი ტრუბეცკოი და უმაღლეს სასწავლებელთა სხვა პროფესორები ამაოდ ცდილობდნენ დაეჯერებინათ რუსეთის სტუდენტობა არ დასდგომოდა იმ სახიფათო გზას, რომელზე სვლითაც მან გადაწყვიტა უნივერსიტეტები გადააქციოს პოლიტიკური სახალხო კრებების ადგილებად. სტუდენტებმა ენთუზიაზმით სცეს პატივი ტრუბეცკოის ხსოვნას, მასობრივად გააცილეს მისი ნეშტი სასაფლაოზე, მისი გასვენება დიდ პოლიტიკურ დემონსტრაციად გადააქციეს, მაგრამ მისი რჩევა, რომ არ შეეშვათ გარეშე ელემენტები უნივერსიტეტში, არ შეისმინეს. როგორც პეტერბურგის უნივერსიტეტში, ისე სამთო აკადემიასა და პოლიტექნიკუმში იმართება გიგანტური სახალხო კრებები, რომლებზედაც სტუდენტები ხშირად უმცირესობას შეადგენენ და რომლებიც დილაადრიან იწყება და გვიან საღამომდე გრძელდება. წარმოთქვამენ მხურვალე, მგზნებარე სიტყვებს, ამბობენ რევოლუციურ სიმღერებს. გარდა ამისა, იქ საშინლად აგინებენ ლიბერალებს, განსაკუთრებით მათი «ორჭოფობისათვის», რომელიც შემთხვევით კი არ მოსდგამს რუსულ ლიბერალიზმს, არამედ ვითომც განპირობებულია მარადიული ისტორიული კანონებით».

ამ საყვედურში რაღაც დიდად ტრაგიკული რამ იმალება. მიუხედავად მისი ისტორიული დასაბუთებისა, იგი ნამდვილად უკვე იმიტომაა სრულიად არაისტორიული, რომ რუსეთის ლიბერალებს არავითარი შესაძ-

* — «ფოსის გაზეთი». რ ე დ.

ლებლობაც კი არა აქვთ გამოიჩინონ რაიმე ორჭოფობა, რომელსაც ოდნავ მაინც შეეძლოს ავნოს განთავისუფლების საქმეს, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია ყველა პარტიისთვის. არა ლიბერალების საქმეები, არამედ მათი ტანჯვანი აფერხებენ მათი ცხოვრების გზას. მთავრობა ისევე უ მ წ ე ო ა (ხაზგასმა ორიგინალისაა) ამ ამბების წინაშე, როგორც უმწეოა იგი მუშათა არეულობის წინაშეც და საერთო მღელვარების წინაშეც. რა თქმა უნდა, შესაძლებელია, იგი კვლავ აპირებს ძლიერ სისხლისღვრას, და უცდის მხოლოდ იმ მომენტს, როცა მოძრაობა მომწიფდება კაზაკთა იერიშისათვის. მაგრამ საქმე აქამდეც რომ მივიდეს, მაინც ხელისუფალთაგან არავინ არა, დარწმუნებული, რომ ეს არ გამოიწვევს უკმაყოფილების კიდევ უფრო ძლიერ აფეთქებას. გენერალ ტრეპოვსაც კი აღარა სწამს უკვე თავისი საქმე. თავის მეგობრებს ის აღარ უმალავს, რომ თავს სასიკვდილოდ განწირულად თვლის და არავითარ დადებითს შედეგს არ მოელის თავისი მართვა-გამგეობისაგან. ის ამბობს: «მე მხოლოდ ჩემს მოვალეობას ვასრულებ და ბოლომდე შევასრულებ მასაო».

ცუდად ყოფილა მეფის ტახტის საქმე, თუ პოლიციის მეთაური ასეთ დასკვნებამდე მიდის. და მართლაც, არ შეიძლება არ აღვიაროთ, რომ, მიუხედავად ტრეპოვის ყოველგვარი ცდისა, მიუხედავად დაუსრულებელი კომისიებისა და კონფერენციების გახურებული მუშაობისა, დაძაბული მდგომარეობა წარსული წლიდან არათუ არ დაწყნარებულა, არამედ, პირიქით, გაძლიერდა. საითაც უნდა გაიხედოთ, მდგომარეობა ყველგან გაუარესდა და უფრო საშიშარი გახდა, საქმე ყველგან შესამჩნევად გამწვავდა».

ბევრი სიმართლეა ამ შეფასებაში, მაგრამ ბევრი ლიბერალური ჭკუანაკლებობაცაა. «ლიბერალებს არ შეეძლოთ გამოეჩინათ საქმისთვის მავნებელი ორჭოფობაო». აი თურმე რა ყოფილა! რატომღა შ ე ს ძ ლ ე ს მიუხედავად ამისა ამ საბრალო ლიბერალებმა თავის გამოჩენა უფრო აშკარად და თავისუფლად, ვიდრე სხვა პარტიებმა? არა! სტუდენტებს ამოქმედებს ჯანსაღი რევოლუციური ინსტინქტი, განმტკიცებული პროლეტარიატთან მათი ურთიერთობით, როცა ისინი გულმოდგინედ ემიჯნებიან კონსტიტუციონალისტ-დემოკრატებს და სახელს უტეხენ ამ კონსტიტუციონალისტ-დემოკრატებს ხალხის თვალში. ხვალინდელ დღეს ჩვენთვის მოაქვს დიადი, მსოფლიო-ისტორიული ბრძოლები თავისუფლებისათვის. შესაძლებელია, თავისუფლებისათვის მებრძოლებმა ჯერ კიდევ არა ერთხელ განიცადონ დამარცხება. მაგრამ და-

მარცხებანი მხოლოდ უფრო და უფრო ღრმად შეანჯღრევენ მუშებსა და გლეხებს, კიდევ უფრო გაამწვავებენ კრიზისს, კიდევ უფრო მრისხანედ გახდიან თავისუფლების საქმის აუცილებელ საბოლოო გამარჯვებას. და ჩვენც ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ ამ გამარჯვებას არ მივტმასნონ მონარქისტული მემამულური ლიბერალიზმის ბურჟუაზიული წურბელები, რომ ამ გამარჯვებით არ ისარგებლონ უმთავრესად ბატონმა მსხვილმა ბურჟუებმა, როგორც არა ერთხელ მომხდარა ევროპაში. ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ მუშებისა და გლეხების ეს გამარჯვება მიყვანილ იქნას ბოლომდე, თვითმპყრობელობის, მონარქიის, ბიუროკრატიის, სამხედრო ხროვის, ბატონყმობის ყველა საძულველ დაწესებულებათა სრულ განადგურებამდე. მხოლოდ ასეთი გამარჯვება მისცემს ხელში პროლეტარიატს ნამდვილ იარაღს, და მაშინ ჩვენ ცეცხლს დავანთებთ ევროპაში, რათა რუსეთის დემოკრატიული რევოლუცია ევროპის სოციალისტური გადატრიალების პროლოგად გადავაქციოთ.

«პროლეტარი» № 23,
1905 წ. 31 (18) ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

შენიშვნა სტატიის გამო «ბრიტანეთის მუშათა მოძრაობა და ტრედ-უნიონთა კონგრესი»[100]

1

აი როგორია ამ საქმის ვითარება. Taff-Vale-ს * რკინიგზის გამგეობამ რკინიგზელ მუშათა კავშირს წარუდგინა სარჩელი იმ ზარალის ანაზღაურებისთვის, რაც რკინიგზის კამპანიას მიაყენა. გაფიცვამ. ბურჟუაზიულმა მოსამართლეებმა, მიუხედავად მუშების გააფთრებული წინააღმდეგობისა, კაპიტალისტებს საზღაური მიაკუთვნეს! მუშათა კავშირებისთვის ბატონ კაპიტალისტების სასარგებლოდ გაფიცვით მიყენებული ზარალის ანაზღაურების მისჯა სინამდვილეში გაფიცვების თავისუფლების მოსპობას ნიშნავს. ბურჟუაზიის ლაქია მოსამართლეებს ეხერხებათ კონსტიტუციით უზრუნველყოფილი თავისუფლებებიც კი არარად აქციონ, როცა საქმე ეხება შრომისა და კაპიტალის ბრძოლას.

2

სამწუხაროდ, ინგლისის მუშათა მოძრაობა ჯერ კიდევ დიდხანს იქნება იმის სავალალო ნიმუშად, თუ როგორი აუცილებლობით იწვევს დაწვრილმანებასა და ბურჟუაზიულობას მუშათა მოძრაობის მოწყვეტა სოციალიზმისაგან.

«პროლეტარი» № 23.
1905 წ. 31 (18) ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

---

* — ტაფის ველის. რ ე დ.

ძალთა წონასწორობა [110]

1) შედეგი დღევანდლამდე (30 (17) ოქტომბერი, ორშაბათი) — ძალთა წონასწორობაა, როგორც უკვე აღვნიშნეთ «პროლეტარის» 23-ე ნომერში.

2) ცარიზმს უკვე აღარ ძალუძს, — რევოლუციას ჯერ კიდევ არ ძალუძს გამარჯვება.

3) აქედან უდიდესი მერყეობანი. რევოლუციური მოვლენების (გაფიცვები, მიტინგები, ბარიკადები, საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტები, მთავრობის სრული მოდუნება etc. *) საშინლად, გიგანტურად გაძლიერება.

— მეორე მხრივ, არ არის გაბედული რეპრესია. ჯარები მერყეობენ.

4) სასახლე მერყეობს («Times» ** და «Daily Telegraph» [111]): დიქტატურა თუ კონსტიტუცია.

სასახლე მერყეობს და ლოდინშია. არსებითად, ეს მისი მხრივ სწორი ტაქტიკაა: ძალთა წონასწორობა აიძულებს ელოდოს, **ვინაიდან ძალაუფლება მათ ხელშია.**

რევოლუცია ისეთ მომენტამდე მივიდა, როცა კონტრრევოლუციისთვის თავდასხმა, შეტევა ხელსაყრელი არაა.

ჩვენთვის, პროლეტარიატისთვის, თანამიმდევარი რევოლუციური დემოკრატებისთვის, ეს კიდევ ცოტაა. თუ ჩვენ კიდევ ერთი საფეხურით მაღლა ვერ ავედით, თუ ჩვენ ვერ დავძლიეთ დამოუკიდებელი შეტევის ამოცანა, თუ ჩვენ

* — et cetera — და სხვა. რედ.

** — «დროება». რედ.

ვერ გავტეხეთ ცარიზმის ძალები, ვერ დავამსხვრიეთ მისი ფაქტიური ძალაუფლება, — მაშინ რევოლუცია სანახევრო გამოვა, მაშინ ბურჟუაზია მუშებს მოატყუებს.

5) ხმებია, თითქოს გადაწყდა კონსტიტუცია. თუ ეს ასეა, მაშინ მეფე, აშკარაა, ითვალისწინებს 1848 წლისა და სხვა რევოლუციების გაკვეთილებს: დამფუძნებელი კრების მოუწვევლად, დამფუძნებელ კრებამდე, დამფუძნებელი კრების გვერდის აქცევით უბოძოს კონსტიტუცია. როგორი? (მეფისთვის) უკეთეს შემთხვევაში = კადეტური.

ამის მნიშვნელობა: კონსტიტუციონალისტ-დემოკრატების იდეალის განხორციელება, რევოლუციაზე გადახტომა. ხალხის მოტყუება, ვინაიდან არჩევნების სრული და რეალური თავისუფლება მაინც არ იქნება.

იქნებ გადაახტეს რევოლუცია ამ ბოძებულ კონსტიტუციას?

დაწერილია 1905 წ. 17 (30) ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1926 წ. ლენინის კრებულში V

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

სოციალ-დემოკრატიული სულიკო

«ოსვობოჟდენიეს» სასიხარულოდ ამხ. სტაროვერი ახალ «ისკრაში» განაგრძობს იმ ცოდვების მონანიებას, რომლებიც მას (უგუნურობის გამო) ძველ «ისკრაში» მონაწილეობით ჩაუდენია. ამხ. სტაროვერი ძალიან წააგავს ჩეხოვის მოთხრობის «სულიკოს» გმირ ქალს. სულიკო ჯერ ანტრეპრენიორთან ცხოვრობდა და ამბობდა: მე და ვანიჩკა სერიოზულ პიესებს ვდგამთო. შემდეგ ის ცხოვრობდა ხე-ტყის ვაჭართან და ამბობდა: მე და ვასიჩკა აღშფოთებული ვართ ხე-ტყის მაღალი ტარიფითო. ბოლოს, ის ვეტერინართან ცხოვრობდა და ამბობდა: მე და კოლიჩკა ცხენებს ვმკურნალობთო. ასევე იქცევა ამხ. სტაროვერიც. «მე და ლენინი» მარტინოვს ვაგინებდითო. «მე და მარტინოვი» ლენინს ვაგინებთო. ძვირფასო სოციალ-დემოკრატიულო სულიკო! ხვალ ვისდა ჩაეკონები?

დაწერილია 1905 წ. ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1926 წ.
ლენინის კრებულში V

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

პ. ბ. აქსელროდის ბროშურის შესახებ «სახალხო სათათბირო და მუშათა ყრილობა»

ბროშურის გეგმა [112]

პ. ბ. აქსელროდის ბროშურის გამო «სახალხო სათათბირო და მუშათა ყრილობა» აღინიშნოს:

ეს არის სახე ყ ვ ე ლ ა ისკრული სისულელისა: პარალელური პარლამენტისაც და კონსტიტუციონალისტ-დემოკრატებთან შეთანხმებისაც.

საერთოდ და მთლიანად, ყველაფერში სწორედ პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ა რ ი ზ მ ო ბ ა ნ ა ს თ ა მ ა შ ი ჩანს: სახალხო სათათბიროშიც — კადეტებთან შეთანხმებაშიც — «მუშათა ყრილობის» პარლამენტურად გაგებაშიც მაგალითების მოყვანით «ლასალიდან» (რომელიც მოქმედებდა კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი ი ს დ რ ო ს, ათ წელზე მეტი ხნის შ ე მ დ ე გ რევოლუციის მიერ მისი მოპოვების დროიდან).

უამრავი კურიოზი: «ჩვენს პარტიასა და ლიბერალურ ორგანიზაციებს შორის სერიოზულ მოლაპარაკებათა და ხელშეკრულებათა პირველი და მთავარი საფუძველია» (გვ. 13)... **მოქმედებანი.** მერე რანაირი?

სამი წლით დაიგვიანა ამხ. პ. ბ. აქსელროდმა! განა ეს **პოლიტიკურ პარტიასთან** ხელშეკრულებაა? ეს არის სამსახურის გაწევა, უწინარეს ყოველისა ტექნიკური ხასიათისა, რომელიც სამი წლის წინათ საკმარისი იყო.	(1) მატერიალური სახსრები... (2) სადგომები... (3) **იარაღი** «შოვნა» (4) ზეგავლენა საზოგადოებრივ დაწესებულებებზე, (5) ბიუროკრატიული და სამხედრო ნაცნობობის გამოყენება აშკარა პოლიტიკური გამოსვლების სასარგებლოდ.

«სასკოლო პედაგოგიკა»: თუ **სახალხო სათათბიროს** და მუშათა ყრილობის მოწვევა არ მოხერხდება (გვ. 12), — «სააგიტაციო და ორგანიზაციული მუშაობა ამაოდ არ ჩაივლის».

შეადარეთ აჯანყებას — განა შეიძლება იქ «ამაოდ ჩაიაროს» ორგანიზაციულმა მუშაობამ? არა. სააგიტაციო მუშაობამ? არა, ვინაიდან აჯანყება წარმოებს, რეალობაა. ხოლო **სახალხო სათათბირო** — კომედია, ფანტომი, ფრაზაა.

ჩიფჩიფი მუშებთან.

გვ. 7: «დამფუძნებელი სახალხო კრება, ე. ი. ნამდვილი «სახალხო სათათბირო»

{სრულიადაც არა «ე. ი.» და სრულიადაც არა «ნამდვილი»}

(გვ. 7) სახალხო სათათბიროს «მოვალეობანი»

I° 1) «წაუყენოს სახელმწიფო სათათბიროს მოთხოვნა დამფუძნებელი კრების მოწვევისა

2) ~ » ~ და თავისი თავის გამოცხადება (? — და?) არაკომპეტენტურად, რომელსაც არა აქვს ფუნქციონირების უფლება»

!! ხა-ხა! დამფუძნებელი კრების მოწვევის «უფლება»?

II° 3) «იყოს მოსახლეობის ყველა დემოკრატიული (გვ. 7) ფენის ცენტრი და ნების გამომხატველი და მთავრობისა და მის მოკავშირეთა წინააღმდეგ ამ ფენების თავდაცვითი და შეტევითი მოქმედების ორგანიზატორი».

ეს აქინეა შევადაროთ დროებითს რევოლუციურ მთავრობას, როგორც აჯანყების ორგანოს.

> უაზრო სიტყვების ნიაღვარი და რევოლუციური რეალობა.
> აჯანყების სიძნელე = მონბლანზე ასვლის სიძნელე.
> «სახალხო სათათბიროს» სიძნელე თვითმპყრობელობის დროს = მონბლანზე ჰაერით აფრენის «სიძნელე».

აღინიშნოს ჩვენი ც. კ.-ის აზრის დადასტურება მის ფურცელში, რომ «ისკრის» გეგმა წმინდა საზღვარგარეთული ჩმახვაა. აქსელროდი არწმუნებს თავის კორესპონდენტს, რომელიც (ა) (გვ. 6) ეჭვობს, რომ სახალხო სათათბიროს და მუშათა ყრილობის ლოზუნგები გაიტაცებს ფართო მასას; (ბ) (გვ. 14) მოტივაცია «აქტიური ბოიკოტის» პოლიტიკისა (გვ. 15 და გვ. 14 in fine *).

> აქტიური ბოიკოტის პოლიტიკას აქსელროდი «რეაქციულ და უტოპიურ» პოლიტიკად თვლის.

— რეაქცია?—კონფერენციამ სოციალ-დემოკრატებისა + «ოსვობრეჟდენიე» გადაწყვიტეს ეს საკითხი. კოალიცია შავრაზმელებთან? — «მოსკოვსკიე ვედომოსტის» და «ნოვოე ვრემიას» შიში.

— უტოპია? ორი «უტოპია»: **შეიარაღებული აჯანყება და პარლამენტარიზმობანას თამაში.**

> რომელი ხორციელდება — გვიჩვენებს საყოველთაო გაფიცვა და ქუჩის ბრძოლა მთელ რუსეთში.

სრული ქაოსიურობა **«ლიბერალური დემოკრატიის ცენტრალურ ორგანიზაციებთან»** «მორიგების», «შეთანხმების» იდეისა (გვ. 7).

სრული მოუხერხებლობა **რევოლუციური** დემოკრატიის გამოყოფისა და მასთან პოლიტიკური შეთანხმების **კონ-**

---

* — ბოლოს. რედ.

კრეტული ლოზუნგების მითითებისა. პ. ბ. აქსელროდი მხოლოდ ოსვობოჟდენიელურ ლოზუნგებს აყენებს.

«მუშათა ყრილობის» შესახებ.

III ყრილობა: აშკარა გამოსვლის გამოყენება **პარტიის** დასაყრდენი პუნქტების შესაქმნელად [113].

(ნათლად და ზუსტად.)

პ. ბ. აქსელროდს ვერაფერს გაუგებ.

სრულიად რუსეთის მუშათა ყრილობა sans phrase *

(გვ. 3) — თუ **«ფრაზაა»?**

Quid est? **

ყველაზე უმჯობესია **ორი ყრილობა** 1) «საერთო ყრილობა» (გვ. 4)

2) «სოციალ-დემოკრატიული ყრილობა» («საერთო ყრილობის იმ წევრთაგან, რომლებიც იზიარებენ ჩვენს პროგრამას, პლუს ჩვენი პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლები, მთელი პარტიის გარდასაქმნელად». გვ. 4).

? ლასალის საქმესთან შედარების უაზრობა: 1) მაშინ უკვე იყო **კონსტიტუცია.** 2) მაშინ ლასალს ა შ კ ა რ ა დ მიმართეს, და იმანაც ა შ კ ა რ ა დ მიმართა. 3) მაშინ Allgemeiner Deutscher Arbeiter-Verein-ის*** შექმნამ საბაბი მისცა ბ ო რ ო ტ ა დ გ ა მ ო ე ყ ე ნ ე ბ ი ნ ა თ «მუშათა თვითმოქმედება» სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წ ი ნ ა ა ლ მ დ ე გ.

დაწერილია 1905 წ. ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს ლენინის კრებულში V

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — უფრაზოდ. რ ე დ.

** — რა არის ეს? რ ე დ.

*** — სრულიად გერმანიის მუშათა კავშირი. რ ე დ.

რევოლუციური არმიის რაზმების ამოცანები

1) დამოუკიდებელი სამხედრო მოქმედება.

2) მასის ხელმძღვანელობა.

რაზმები შეიძლება ყოველგვარი სიდიდის იყოს, ორი-სამი კაცით დაწყებული.

რაზმები თვითონ უნდა შეიარაღდნენ, ვისაც როგორ შეუძლია (თოფი, რევოლვერი, ყუმბარა, დანა, კასტეტი, ჯოხი, ნავთიანი ჩვარი ხანძრის გასაჩენად, თოკი ან თოკის კიბე, ნიჩაბი ბარიკადების ასაგებად, პიროქსილინის კოჭი, ეკლიანი მავთული, ლურსმანი (კავალერიის წინააღმდეგ) და სხვ. და სხვ.). არავითარ შემთხვევაში სხვის დახმარებას — ზემოდან ან გარედან არ უნდა ელოდე, ყოველივე თვითონ უნდა იშოვო.

რაზმები უნდა შესდგეს ისეთი პირებისაგან, რომელნიც რაც შეიძლება ახლო ცხოვრობენ ერთმანეთთან ან ხშირად, რეგულარულად, განსაზღვრულ საათებში ხვდებიან ერთმანეთს (უკეთესია ერთიც და მეორეც, რადგან რეგულარული შეხვედრა შეიძლება შეწყდეს აჯანყების გამო). მათი ამოცანაა საქმე ისე მოაწესრიგონ, რომ უაღრესად კრიტიკულ წუთებში, უაღრესად მოულოდნელ პირობებში ერთად ყოფნა იყოს შესაძლებელი. ამიტომ ყოველმა რაზმმა წინასწარ უნდა შეიმუშაოს საერთო მოქმედების ხერხები და საშუალებები: ნიშნები ფანჯრებზე და სხვ., რათა ერთმანეთის ნახვა გაადვილდეს; პირობითი ძახილი ან სტვენა, რათა მასაში ამხანაგი იცნო; პირობითი ნიშნები ღამით შეხვედრის შემთხვევა-

ში და სხვა და სხვა. ყოველი ენერგიული კაცი ორ-სამ ამხანაგთან ერთად შესძლებს მთელი რიგი ისეთი წესებისა და ხერხების შემუშავებას, რომლებიც უნდა შეადგინო, შეისწავლო, ივარჯიშო მათს გამოყენებაში. არ უნდა დავივიწყოთ, რომ 99% გვიკარნახებს იმას, რომ მოვლენები მოულოდნელად დაგვატყდება თავს და შეერთება საშინლად მძიმე პირობებში მოგვიხდება.

უიარაღოდაც რაზმებს მეტად სერიოზული როლის შესრულება შეუძლიათ: 1) მასის ხელმძღვანელობა; 2) ხელსაყრელ შემთხვევაში თავდასხმა პოლიციელზე, შემთხვევით ჩამორჩენილ კაზაკზე (შემთხვევა მოსკოვში) თუ სხვაზე და იარაღის წართმევა; 3) დატუსაღებულთა ან დაჭრილთა გადარჩენა, როცა პოლიცია ძალიან ცოტაა; 4) სახლების სახურავებსა და ზედა სართულებზე ასვლა და სხვ. და ჯარისთვის ქვების დაშენა, მდუღარე წყლის გადასხმა და სხვ.. თუ ორგანიზებულმა, მჭიდროდ დაწყობილმა რაზმმა ენერგია გამოიჩინა, იგი უზარმაზარ ძალას წარმოადგენს. არავითარ შემთხვევაში უარი არ უნდა ვთქვათ რაზმის შედგენაზე და არც მისი შედგენა გადავდოთ იარაღის უქონლობის მომიზეზებით.

რაზმებმა შეძლებისამებრ წინდაწინვე უნდა გაინაწილონ ფუნქციები, ხანდახან წინდაწინვე აირჩიონ რაზმის ხელმძღვანელი, მეთაური. რა თქმა უნდა, უგუნურება იქნებოდა ჩინობიანობის თამაშობა დაგვეწყო, მაგრამ არ შეიძლება არც ერთგვაროვანი ხელმძღვანელობის, ჩქარი და გადამწყვეტი მოქმედების გიგანტური მნიშვნელობის დავიწყება. გაბედულობა, შეტევა გამარჯვების ¾-ს წარმოადგენს.

რაზმებმა დაუყოვნებლივ შექმნისთანავე, ე. ი. ახლავე, ყოველმხრივ მუშაობას უნდა მოჰკიდონ ხელი — არა მარტო თეორიულ, არამედ აუცილებლად პრაქტიკულ საქმიანობასაც. თეორიულ მხარეს ჩვენ ვაკუთვნებთ სამხედრო მეცნიერების შესწავლას, სამხედრო საკითხების გაცნობას, რეფერატების კითხვას სამხედრო საკითხებზე, სამხედრო პირების (ოფიცრების, უნტერების და სხვ., თვით ჯარისკაცად ნამყოფ მუშებამდე) მოწვევას სასაუბროდ; იმ არალეგალური ბროშურებისა და საგაზეთო სტატიების კითხვას, გარჩევას და შე-

თვისებას, რომლებიც ქუჩის ბრძოლას შეეხება და სხვ. და სხვ.

ვიმეორებთ, პრაქტიკული მუშაობა დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს. იგი ნაწილდება მოსამზადებელ და სამხედრო ოპერაციებად. მოსამზადებელ ოპერაციებს ეკუთვნის ყოველგვარი იარაღისა და საჭურვლის შოვნა, გამონახვა ქუჩის ბრძოლისათვის მარჯვე ბინებისა (რომლებიც გამოსადეგი იქნებიან ზემოდან ბრძოლის საწარმოებლად, ყუმბარების, ქვებისა და სხვათა საწყობად ან პოლიციელებზე გადასასხმელ მჟავათა შესანახად და სხვ. და სხვ., აგრეთვე შტაბის მოსათავსებლად, ცნობის შესაკრებად, დევნილთა დასამალავად, დაჭრილთა მოსათავსებლად და სხვ. და სხვ.). შემდეგ, მოსამზადებელ მუშაობას ეკუთვნის დაუყოვნებლივ გამოსაცნობი, დასაზვერი მუშაობა: საპყრობილეების, საპოლიციო უბნების, სამინისტროების და სხვ. გეგმების გაგება, მუშაობის დანაწილების გაგება სახელმწიფო დაწესებულებებში, ბანკებში და სხვ., მათი დაცვის პირობების გაგება, ისეთი ნაცნობობის გაბმა, რომელსაც სარგებლობის მოტანა შეუძლია (პოლიციის, ბანკის, სასამართლოს, სატუსაღოს, ფოსტის, ტელეგრაფის და სხვ. მოსამსახურეებთან), იარაღის საწყობებისა და ქალაქის ყველა იარაღის მაღაზიის ადგილსამყოფელის გაგება და სხვა. აქ უამრავი სამუშაოა, ამასთანავე ისეთი სამუშაო, რომელშიც უდიდესი სარგებლობის მოტანა შეუძლია ყველას, თვით ისეთებსაც, რომელთაც სრულიად არა აქვთ ქუჩის ბრძოლის უნარი, თვით სრულიად სუსტ ადამიანებსაც, ქალებს, მოზარდთ, მოხუცებს და სხვ.. უნდა ვეცადოთ ახლავე უსათუოდ და აუცილებლად შევაკავშიროთ რაზმებად ყველანი, ვისაც ს უ რ ს აჯანყების საქმეში მონაწილეობის მიღება, რადგან ა რ ა რ ი ს და არც შეიძლება იყოს ისეთი კაცი, რომელსაც, თუ მუშაობის სურვილი აქვს, უდიდესი სარგებლობის მოტანა არ შეეძლოს მაშინაც კი, როცა იარაღი არა აქვს ან პირადად ბრძოლის უნარს მოკლებულია.

შემდეგ, რევოლუციური არმიის რაზმები არავითარ შემთხვევაში არ უნდა დასჯერდნენ მარტოოდენ მოსამზადებელ მუშაობას და რაც შეიძლება მალე უნდა გადავიდნენ

სამხედრო მოქმედებაზე, იმ მიზნით, რომ 1) **ავარჯიშონ** მეგრძოლი ძალები; 2) დაზვერონ მტრის სუსტი ადგილები; 3) ნაწილობრივი დამარცხება მიაყენონ მტერს; 4) გაათავისუფლონ ტყვეები (დატუსაღებულნი); 5) იშოვონ იარაღი; 6) იშოვონ სახსრები აჯანყებისთვის (მთავრობის ფულადი თანხების კონფისკაცია) და სხვ. და სხვ.. რაზმებს ამთავითვე ყოველი მოხერხებული შემთხვევა შეუძლიათ და უნდა გამოიყენონ ცოცხალი მუშაობისთვის, საქმე არ უნდა გადადონ საერთო აჯანყებამდე, რადგან ცეცხლში გამოუწრთობლად შეუძლებელია აჯანყებისთვის უნარის შეძენა.

რა თქმა უნდა, ყოველივე უკიდურესობა ცუდია; ყოველივე სასიკეთო და სასარგებლო, უკიდურესობამდე მიყვანილი, შეიძლება იქცეს და, თუ ერთგვარ საზღვარს გადასცდა, აუცილებლად იქცევა კიდეც ბოროტებად და მავნე საქმედ. უწესრიგო, მოუმზადებელ, დაწვრილმანებულ ტერორს შეუძლია, თუ უკიდურესობამდე მივიდა, მხოლოდ დაქსაქსოს და გაანიავოს ძალები. ეს სწორია და ამის დავიწყება, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. მაგრამ, მეორე მხრივ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავივიწყოთ არც ის, რომ ახლა აჯანყების ლოზუნგი უკვე მიცემულია, აჯანყება უკვე დაწყებულია. ხელსაყრელ პირობებში თავდასხმის დაწყება ყოველი რევოლუციონერის არა მარტო უფლება, არამედ პირდაპირი ვალდებულებაა. ჯაშუშების, პოლიციელების, ქანდარმების დახოცვა, საპოლიციო უბნების აფეთქება, დატუსაღებულთა განთავისუფლება, მთავრობის ფულადი თანხების ხელში ჩაგდება და აჯანყების საჭიროებისთვის გამოყენება, — ასეთი ოპერაციები უკვე წარმოებს ყველგან, სადაც კი აჯანყება ღვივდება, პოლონეთშიც და კავკასიაშიც, და რევოლუციური არმიის ყოველი რაზმი დაუყოვნებლივ მზად უნდა იყოს ასეთი ოპერაციებისთვის. ყოველ რაზმს უნდა ახსოვდეს, რომ, თუ მან ახლავე ხელიდან გაუშვა ხელსაყრელი შემთხვევა ასეთი ოპერაციის მოსახდენად, მას, ამ რაზმს, ბრალად დაედება მიუტევებელი უმოქმედობა, პასიურობა, — ეს კი რევოლუციონერის უდიდესი დანაშაულია აჯანყების ეპოქაში, უდიდესი სამარცხვინო ლა-

ქაა ყველასთვის, ვინც სიტყვიერად კი არა, საქმით მიისწრაფის თავისუფლებისაკენ.

ამ რაზმების შემადგენლობის შესახებ შეიძლება შემდეგი ითქვას. სასურველ წევრთა რიცხვს და მათი ფუნქციების განაწილებას გამოცდილება დაგვანახვებს. ეს გამოცდილება თვითონ უნდა შეიმუშაო, სხვების მითითებას არ უნდა უცადო. რა თქმა უნდა, ადგილობრივ რევოლუციურ ორგანიზაციას უნდა სთხოვო რევოლუციონერ-სამხედრო პირის გამოგზავნა ლექციების, საუბრების მოსაწყობად ან რჩევისათვის, მაგრამ თუ ასეთი პირი არ იქნება, ყოველივე თვით უნდა გააკეთო.

რაც შეეხება პარტიულ დაყოფას, რასაკვირველია, ერთი და იმავე პარტიის წევრები ამჯობინებენ ერთ რაზმად შეერთებას. მაგრამ უეჭველი დაბრკოლებანი არ უნდა შევუქმნათ რაზმებში სხვა პარტიების წევრთა შესვლას. სწორედ აქ უნდა განვახორციელოთ პრაქტიკული შეერთება, შეთანხმება (ყოველივე პარტიული შეერთების დაუშვებლად, რასაკვირველია) სოციალისტური პროლეტარიატისა რევოლუციურ დემოკრატიასთან. ვისაც სურს თავისუფლებისთვის იბრძოლოს და საქმით ამტკიცებს თავის მზადყოფნას, ის შეიძლება რევოლუციურ დემოკრატად ჩაითვალოს, მასთან ერთად უნდა ვესწრაფოდეთ მუშაობას აჯანყების ერთად მოსამზადებლად (რა თქმა უნდა, თუ სავსებით ვენდობით პიროვნებას თუ ჯგუფს). ყველა დანარჩენი «დემოკრატი» მკაცრად უნდა გამოვყოთ, როგორც quasi*-დემოკრატები, როგორც ლიბერალური მოლაყბენი, რომლებზედაც დანდობა შეუწყნარებელია, რომელთადმი ნდობა რევოლუციონერების მხრივ დანაშაულია.

რაზმების გაერთიანება, რა თქმა უნდა, სასურველია. ერთად მოქმედების ფორმებისა და პირობების შემუშავება მეტისმეტად სასარგებლოა. მაგრამ ამასთანავე არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადავვარდეთ უკიდურესობაში — არ უნდა დავიწყოთ რთული გეგმების, ზოგადი სქემების შეთხზვა, ცოცხალი საქმე არ უნდა გადავდოთ პედანტურ გამონაგონთა

* — ვითომდა. რ ე დ.

გულისთვის და სხვ.. აჯანყება აუცილებლად მოხდება ისეთ პირობებში, როცა არაორგანიზებული ელემენტები ბევრად უფრო მეტია ორგანიზებულებზე; აუცილებელია ისეთი შემთხვევები, როცა მოქმედება მოგვიხდება იქვე, ადგილობრივ, ორს, ერთს, — და უნდა ვემზადოთ იმისთვის, რომ საკუთარი რისკით ვიმოქმედოთ. გაჭიანურება, კამათი, გადადება, გაუბედაობა დამღუპველია აჯანყების საქმისათვის. უდიდესი გაბედულობა, უდიდესი ენერგია, ყოველი ხელსაყრელი მომენტის დაუყოვნებლივ გამოყენება, მასის რევოლუციური აგზნების დაუყოვნებლივ გაღვივება, მისი მიმართვა უფრო გაბედული, უაღრესად გაბედული მოქმედებისკენ — ასეთია რევოლუციონერის უპირველესი მოვალეობა.

საუცხოო სამხედრო მოქმედება, რომელიც კიდეც ა ს წ ა ვ ლ ი ს რევოლუციური არმიის ჯარისკაცებს, პირველად ნათლავს მათ ბრძოლაში და უდიდესი სარგებლობაც მოაქვს რევოლუციისთვის, — ეს არის ბრძოლა შავრაზმელების წინააღმდეგ. რევოლუციური არმიის რაზმებმა დაუყოვნებლივ უნდა შეისწავლონ, ვინ, სად და როგორ ადგენს შავ რაზმებს, ხოლო შემდეგ მარტო ქადაგებას კი არ უნდა დასჯერდნენ (ეს სასარგებლოა, მაგრამ მარტო ეს როდი კმარა), არამედ შეიარაღებული ძალითაც გამოვიდნენ, სცემონ შავრაზმელებს, დახოცონ ისინი, ააფეთქონ მათი შტაბ-ბინები და სხვ. და სხვ.

დაწერილია 1905 წ. ოქტომბრის დამლევს
პირველად დაიბეჭდა 1926 წ.
ლენინის კრებულში V

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

რა იმედებს ამყარებენ ლიბერალები სათათბიროზე

ლიბერალები ცდილობენ საზოგადოებას ჩაუნერგონ ოპტიმიზმი სათათბიროს შემადგენლობის მიმართ. «ფრანკფურტის გაზეთის» კორესპონდენტი 14 ოქტომბერს ან. სტ. პეტერბურგიდან იწერება: «ამჟამად მიმდინარე წინასაარჩევნო კრებების შედეგთა განხილვას იმ დასკვნამდე მივყევართ, რომ სათათბიროს შემადგენლობა არც ისე ცუდი იქნება, როგორც პირველად ჩანდა. უკვე ახლაც შეიძლება ერთგვარად ვივარაუდოთ, რომ საეჭვოა სათათბიროს ნახევარი კონსერვატიული ელემენტისგან შესდგეს. არჩევის ყველაზე მეტი შანსები აქვთ ზომიერ ლიბერალებსა და ლიბერალებს, რადიკალების შანსები კი ბევრად ნაკლებია, თუმცა მათ შანსებსაც შეიძლება შედარებით კარგი ვუწოდოთ იმ პესიმიზმის თვალსაზრისით, რომლითაც რადიკალები მომავალს შეჰყურებდნენ ჯერ კიდევ აგვისტოში. არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ რადიკალები სათათბიროში წარმოდგენილი იქნებიან არცთუ მაინცდამაინც სუსტად. თავი და თავი მხოლოდ ის არის, რამდენად შესძლებენ ისინი ლიბერალებისა და ზომიერი ლიბერალების მიმხრობას, რადგან დამფუძნებელი კრების მოწვევა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება უზრუნველყოფილი, თუ ეს სამი ელემენტი შემჭიდროებულად გამოვა კონსერვატიული ბირთვის წინააღმდეგ».

რადიკალები — უეჭველია კადეტები არიან. პიტერში მათი კანდიდატები არიან — ნაბოკოვი, კედრინი, ვინავერი. «ზომიერ ლიბერალებს» კორესპონდენციის ავტორი ზუსტად არ

განსაზღვრავს, მაგრამ კანდიდატებს შორის დასახელებული ორიან ფედოროვი («კაცმა რომ თქვას», კონსერვატორი, «მაგრამ მას შეიძლება მხარი დაუჭირონ ლიბერალებმაც»!) და ნიკიტინი (მემარჯვენეთა კანდიდატი და ამავე დროს ზომიერი ლიბერალი კანდიდატიც).

ამრიგად, დამფუძნებელი კრების მოწვევა «უზრუნველყოფილია» იმ შემთხვევაში, თუ ლიბერალებიც და ზომიერი ლიბერალებიც «რადიკალური» ოსვობოჟდენიელების ხელმძღვანელობას დაემორჩილებიან... ჭეშმარიტად, ლიბერალი ოპტიმისტები «ხავსს» ეჭიდებიან. მაგრამ ყველაზე კურიოზულია მათი სიბეცე იმ მხრივ, რომ სახელმწიფო სათათბიროს უმრავლესობამ ხმაც რომ მისცეს დამფუძნებელი კრების მოწვევის სასარგებლოდ, სინამდვილეში «უზრუნველყოფილი» იქნება არა ეს უკანასკნელი, არამედ მხოლოდ გადამწყვეტი რევოლუციური ბრძოლა მის მოსაწვევად. ბატონ კადეტებს ორი კურდღლის დაჭერა სურთ: თვითმპყრობელურისაც (ლეგალური ოპოზიცია ლეგალურ სათათბიროში) და რევოლუციურისაც («ჩვენც ხომ ვხნავდით» დამფუძნებელი კრების სასარგებლოდ).

დაწერილია 1905 წ. ოქტომბრის დამლევს

პირველად დაიბეჭდა 1931 წ.
ლენინის კრებულში XVI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

რევოლუციის პირველი გამარჯვება

ჟენევა, 1 ნოემბერი (19 ოქტომბერი).

ორშაბათ საღამოს მოგვიანებით ტელეგრაფმა ევროპას აუწყა მეფის 17 ოქტომბრის მანიფესტი. «ხალხმა გაიმარჯვა. მეფემ იარაღი დაყარა. თვითმპყრობელობა აღარ არსებობს» — იტყობინებოდა «ტ ა ი მ ს ი ს» კორესპონდენტი. ამ ამბავს სხვანაირად გამოეხმაურნენ რუსეთის რევოლუციის შორეული მეგობრები, რომლებმაც ბალტიმორიდან (ჩრდ. ამერიკა) «პროლეტარს» დეპეშა გამოუგზავნეს: «მოგილოცავთ რუსეთის რევოლუციის პირველ დიდ გამარჯვებას».

ამბების ეს უკანასკნელი შეფასება, უსათუოდ, ბევრად უფრო სწორია. ჩვენ სრული უფლება გვაქვს გამარჯვებულად ჩავთვალოთ თავი. მეფის დათმობა მართლაც რევოლუციის უდიდესი გამარჯვებაა, მაგრამ ეს გამარჯვება ჯერ კიდევ ოდნავადაც არა სწყვეტს თავისუფლების მთელი საქმის ბედს. მეფეს ჯერ კიდევ სრულებითაც არ დაუყრია იარაღი. თვითმპყრობელობას ჯერ სულაც არ შეუწყვეტია არსებობა. მან მხოლოდ უკან დაიხია, მტერს დაუთმო ბრძოლის ველი, უკან დაიხია მეტისმეტად სერიოზულ ბრძოლაში, მაგრამ ის ჯერ სულაც არ არის დამარცხებული, ის კიდევ ძალებს იკრებს, და რევოლუციურმა ხალხმა მრავალი უაღრესად სერიოზული საბრძოლო ამოცანა უნდა გადაწყვიტოს, რათა რევოლუცია ნამდვილ და სრულ გამარჯვებამდე მიიყვანოს.

17 ოქტომბრის დღე ისტორიაში დარჩება, როგორც რუსეთის რევოლუციის ერთ-ერთი უდიდესი დღე. მსოფლიოს

უმაგალითო საყოველთაო-სახალხო გაფიცვამ თავის აპოგეას მიაღწია. პროლეტარიატის მძლავრმა ხელმა, პროლეტარიატისა, რომელიც რუსეთის ყველა კუთხეში გმირული სოლიდარობის უაღრესი აღმავლობის დროს აღსდგა, მთელი მრეწველობის, ვაჭრობისა და სახელმწიფო ცხოვრების მაჯისცემა შეაჩერა. ქვეყანა მიყუჩდა ქარიშხლის წინ. ხან ერთი, ხან მეორე დიდი ქალაქიდან მოდიოდა ერთიმეორეზე უფრო მშფოთვარე ცნობები. ჯარები მერყეობდნენ. მთავრობა თავს იკავებდა რეპრესიების მიღებისაგან, რევოლუციონერები არ იწყებდნენ აშკარა სერიოზულ თავდასხმებს, მაგრამ აჯანყება სტიქიონის ძალით გადმოხეთქდა ხოლმე ყველგან.

და მეფის მთავრობამაც უკანასკნელ წუთს დასთმო, რაკი შეიგნო, რომ აფეთქება გარდუვალია, რომ სრული გამარჯვების მოპოვება მას არავითარ შემთხვევაში და უეჭველად აღარ ძალუძს, ხოლო მისი სრული დამარცხება ძალიან, ძალიან შესაძლებელია. «ჯერ სისხლისღვრა იქნება და შემდეგ კონსტიტუციაო», განაცხადა, როგორც ამბობენ, ტრეპოვმა. არავითარი ეჭვი აღარ არსებობდა, რომ კონსტიტუცია აუცილებელი იყო, კიდევაც რომ ჩაექროთ ეს აჯანყება. და მთავრობამაც ივარაუდა, რომ უმჯობესია არ გასწიოს სერიოზული და საყოველთაო სისხლისღვრის რისკი, რადგან ხალხის გამარჯვების შემთხვევაში მეფის ხელისუფლება პირწმინდად წაილეკებოდა.

ჩვენ ვიცით მხოლოდ ერთი ნამცეცი იმ ცნობებისა, რომელნიც ორშაბათს 17 ოქტომბერს დაგროვდა მთავრობის ხელში და აიძულა ის მორიდებოდა თავგანწირულ ბრძოლას და დაეთმო. ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფალთა მთელი ძალღონე იქით იყო მიმართული, რომ შეეჩერებინათ ცნობები აჯანყების მრისხანე ზრდის შესახებ ან შეეკვეცათ ეს ცნობები. მაგრამ ის მცირე, შემთხვევითი, შეკვეცილი მასალაც კი, რომელიც ევროპის პრესაში მოხვდა, არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ ეს იყო ნამდვილი აჯანყება, რომელსაც შეეძლო საშინლად დაეფრთხო მეფე და მეფის მინისტრები.

ცარიზმისა და რევოლუციის ძალები გაწონასწორდნენო, ვწერდით ჩვენ ამ ერთი კვირის წინათ სრულიად რუსეთის

პოლიტიკური გაფიცვის შესახებ მიღებული პირველი ცნობების საფუძველზე. ცარიზმს უკვე აღარ ძალუძს რევოლუციის ჩახშობა. რევოლუციას ჯერ კიდევ არ ძალუძს გასრისოს ცარიზმი. მაგრამ ძალთა ასეთი წონასწორობის დროს ყოველგვარი დაყოვნება უდიდეს საშიშროებას უქადდა ცარიზმს, რადგან დაყოვნებას გარდუვალად მერყეობა შეჰქონდა ჯარებში.

აჯანყება ღვივდებოდა. უკვე იღვრებოდა სისხლი რუსეთის ყველა კუთხეში. ხალხი ბარიკადებზე იბრძოდა რეველიდან დაწყებული ოდესამდე, პოლონეთიდან ციმბირამდე. ცალკეულ წვრილმან შეტაკებებში ჯარები იმარჯვებდნენ, მაგრამ ამავე დროს ცნობები მოდიოდა ახალ, ჯერ კიდევ გაუგონარ მოვლენაზე, რაც აშკარად მოწმობდა თვითმპყრობელობის სამხედრო უძლურებას. ეს იყო ცნობები მეფის ჯარის მოლაპარაკებაზე აჯანყებულ ხალხთან (ხარკოვი), ცნობები ქალაქებიდან (ხარკოვი, რეველი) ჯარების გაყვანის, როგორც სიმშვიდის აღდგენის ერთადერთი საშუალების შესახებ. მოლაპარაკება აჯანყებულ ხალხთან, ჯარების გაყვანა, ეს დასასრულის დასაწყისია. ეს ყოველგვარ მსჯელობაზე უკეთ გვიჩვენებს, რომ სამხედრო ხელისუფალნი უაღრესად შერყეულად გრძნობდნენ თავს. ეს იმას გვიჩვენებს, რომ უკმაყოფილება ჯარში ჭეშმარიტად საშინლად გაიზარდა. ცალკეული ცნობები და ხმები საზღვარგარეთულ პრესაშიც ხვდებოდა. კიევში აპატიმრებდნენ ჯარისკაცებს, რომლებიც უარს ამბობდნენ სროლაზე. პოლონეთშიც იყო ასეთივე შემთხვევები. ოდესაში ქვეითი ჯარი ყაზარმებში ჰყავდათ გამომწყვდეული და ეშინოდათ მისი ქუჩაში გამოყვანისა. პეტერბურგში იწყებოდა აშკარა მღელვარება ფლოტში და იტყობინებოდნენ გვარდია სულ აღარ არის საიმედოო. ხოლო შავი ზღვის ფლოტის შესახებ დღემდე არ არის შესაძლებლობა ნამდვილი სიმართლის გაგებისა. უკვე 17 ოქტომბერს დეპეშებით იტყობინებოდნენ: დაჟინებით ვრცელდება ხმა ამ ფლოტის ახალ მღელვარებაზეო, რომ ყველა დეპეშას იჭერენ ხელისუფალნი, რომლებ-

მაც ყოველგვარ საშუალებას მიმართეს, რათა არ გავრცელდეს ცნობები დატრიალებულ ამბებზე.

თუ ყველა ამ ნაწყვეტ-ნაწყვეტ ცნობას ერთმანეთს დავუპირისპირებთ, არ შეიძლება იმ დასკვნამდე არ მივიდეთ, რომ თვითმპყრობელობის მდგომარეობა წმინდა სამხედრო თვალსაზრისითაც კი უიმედო იყო. ის ჯერ კიდევ ახერხებდა კერძო აფეთქებათა ჩაქრობას, მისი ჯარები აქა-იქ კიდევ იღებდნენ ბარიკადებს, მაგრამ ეს კერძო შეტაკებები მხოლოდ უფრო აღვივებდნენ აგზნებას, მხოლოდ აძლიერებდნენ აღშფოთებას, მხოლოდ აახლოებდნენ უფრო ძლიერ საყოველთაო აფეთქებას, მთავრობას კი, რომელსაც ჯარის იმედი აღარა ჰქონდა, სწორედ ამისი ეშინოდა.

მტერი არ ჩაება სერიოზულ ბრძოლაში. მტერმა უკან დაიხია და რევოლუციურ ხალხს დაუტოვა ბრძოლის ველი, — უკან დაიხია ახალ პოზიციაზე, რომელიც მას უკეთ გამაგრებული ჰგონია და იმედი აქვს იქ თავს მოუყრის უფრო საიმედო ძალებს, დარაზმავს და გაამხნევებს მათ, უკეთეს მომენტს შეარჩევს თავდასხმისათვის.

ევროპის ბურჟუაზიული პრესის მიერ გამოთქმული მთელი რიგი «მიუდგომელი» აზრი ადასტურებს 17 ოქტომბრის დიადი დღის ასეთს შეფასებას.

ერთი მხრივ, ევროპის ბურჟუაზიამ თავისუფლად ამოისუნთქა. მეფის მანიფესტი პირდაპირ კონსტიტუციას გვპირდება: სათათბირო საკანონმდებლო უფლებებს იღებს, ვერც ერთი კანონი ძალაში ვერ შევა ხალხის წარმომადგენლების დაუდასტურებლად. ბოძებულია მინისტრთა პასუხისმგებლობა, ბოძებულია სამოქალაქო თავისუფლებანი, პიროვნების ხელუხლებლობა, თავისუფლება სინდისისა, სიტყვისა, კრებებისა და კავშირებისა. ბირჟაც იჩქარის დიდი ნდობა გამოუცხადოს რუსეთის ფინანსებს. მაღლა იწევს რუსეთის ფასიანი ქაღალდების უკანასკნელ დღეებში დაცემული კურსი. რევოლუციური პეტერბურგიდან გაქცეული უცხოელი ბანკირები ორ კვირაში დაბრუნებას გვპირდებიან. ევროპის ბურჟუაზიას კონსტიტუცია მიაჩნია იმ მცირე «მშვიდობიან» დათმობათა საწინდრად, რომელნიც სავსებით დააკმაყოფი-

ლებს შეძლებულ კლასებს და ამავე დროს რევოლუციურ პროლეტარიატს საშუალებას არ მისცემს «მეტად დიდი» თავისუფლება მოიპოვოს.

მაგრამ, მეორე მხრივ, თვით ლიბერალურ ბურჟუებს არ შეუძლიათ არ დაინახონ, რომ მეფის მანიფესტი მხოლოდ ლიტონი სიტყვები, მხოლოდ დაპირებანია. ვინ დაუჯერებს ახლა მარტო დაპირებებს? განა დაცინვა არ არის მთელი ეს ფრაზები პიროვნების ხელუხლებლობისა და სიტყვის თავისუფლების შესახებ, როცა საპყრობილეები ჯერ კიდევ გაჭედილია ეგრეთწოდებული პოლიტიკური დამნაშავეებით, როცა ცენზურა ჯერ კიდევ არსებობს? ვინ განახორციელებს მეფის დაპირებას? ვიტეს სამინისტრო ხომ არა, რომელშიც, როგორც ამბობენ, შედიან კუზმინ-კარავაევი, კოსიჩი, კონი? ეს ლიბერალური ბურჟუაზიის სამინისტროც კი არ იქნება. ეს ჯერჯერობით მხოლოდ იმ ლიბერალური ბიუროკრატიის სამინისტროა, რომელიც უკვე რამდენჯერ დაუმარცხებია სასახლის რეაქციულ ხროვას. ნუთუ ხალხი სისხლს იმიტომ ღვრიდა თავისუფლებისათვის ბრძოლაში, რომ დანდობოდა ლიბერალურ ბიუროკრატებს, რომლებსაც ფონს გასვლა უნდათ მხოლოდ სიტყვებითა და დაპირებებით?!

არა, ცარიზმს ჯერ სრულიადაც არ დაუყრია იარაღი. თვითმპყრობელობა ჯერ სრულიადაც არ დამხობილა. რევოლუციურ პროლეტარიატს ჯერ კიდევ მთელი რიგი დიდი ბრძოლები მოელის, და პირველი გამარჯვება დაეხმარება მას დარაზმოს ძალები და ახალი მოკავშირეები მიიზიდოს ბრძოლაში.

«თვით თავისუფლების საქმის წარმატება, — წერდა «ტაიმსის» კორესპონდენტი მანიფესტის გამოქვეყნების დღეს, — მხოლოდ წააქეზებს რეაქციულ ელემენტებს ახალი მოქმედებისათვის და, სანამ არმია მისი ძველი უფროსების ბრძანებას ემორჩილება, რუსეთი უზრუნველყოფილი ვერ იქნება პრონუნციამენტოს* შესაძლებლობისაგან». «ჯერ

* — სამხედრო გადატრიალების. რედ.

კიდევ საკითხია, მთავრობის იძულებითი დათმობა გაჩაღებული რევოლუციური აღმავლობის ღროს რევოლუციის ახალი ძალის დაძაბვის სიგნალი ხომ არ გახდება?» «არ ვიცით, ბიუროკრატია განდევნილია თავისი ციხე-სიმაგრიდან თუ მან მხოლოდ უკან დაიხია თავისი მოწინავე პოზიციებიდან», — ამბობენ ბურჟუაზიული ოპტიმისტები, თუმცა ფაქტები აშკარად ცხადყოფენ, რომ თვითმპყრობელობის «ციხე-სიმაგრე» ჯერ კიდევ მთელი თავისი ძალითა დგას.

დათმობის იძულებითი ხასიათი ყველაზე მეტად ზომიერ ბურჟუებს აღელვებს. საფრანგეთის გაბატონებული ფულის ქისის ორგანო, გაზეთი «Temps»-ი* საშინლად აღშფოთებული იყო «ანარქიით» და სრულიად რუსეთის პოლიტიკური გაფიცვების მომწყობთა და მონაწილეთა წინააღმდეგ ლანძღვა-გინებასა და ცილისწამებას ანთხევდა. ახლა ეს გაზეთი კმაყოფილია მეფის თვით კონსტიტუციური დაპირებებით და შეშფოთებული შენიშნავს: «მეფემ იმის ნაცვლად, რომ თავისი ინიციატივით მოქმედებდეს, აიღო და ხელი მოაწერა «განაწესებს» ლიბერალური ოპოზიციისათვის. ეს ცუდი წესია, რაც თანამიმდევრულ რეფორმებს იძულებითს ხასიათს, რაღაც ნაწყვეტის, ანაზდეულობის ხასიათს აძლევს. ეს წესი თავის თავთან წინააღმდეგობაში აყენებს მთავრობას და აჯილდოებს ძალადობას. სამწუხაროდ, ცხადზე უცხადესია, რომ საქმე მართლა გართულდა, რომ სხვა გამოსავალი მართლაც არ იყო იმ ჩიხიდან, სადაც მთავრობა მოამწყვდიეს. მაშ მალე დავივიწყოთ ამ კაპიტულაციის ხასიათი — კაპიტულაციისა არა მარტო კონსტიტუციონალისტების, ზომიერი ადამიანების წინაშე, რომლებისთვისაც უნდა დაგვეჯერებინა უპირველეს ყოვლისა, არამედ კაპიტულაციისა გაფიცვის წინაშე, კაპიტულაციისა რევოლუციის წინაშე».

არა, ბატონო ბურჟუებო, მუშები არასდროს არ დაივიწყებენ მეფის კაპიტულაციის იძულებითს ხასიათს! მუშები არასდროს არ დაივიწყებენ, რომ მხოლოდ ძალით, თავიანთი ორგანიზაციის, თავიანთი ერთსულოვნების, თავიანთი მასის

* — «დროება». რ ე დ.

გმირობის ძალით მათ ხელიდან გამოგლიჯეს ცარიზმს თავისუფლების აღიარება ქაღალდ-მანიფესტზე და ხელიდან გამოგლეჯენ თავისუფლებას საქმითაც.

ზემოთ ვთქვი, მტერმა უკან დაიხია და ბრძოლის ველი რევოლუციურ პროლეტარიატს დაუტოვა-მეთქი. ახლა უნდა დავუმატოთ: უკანდახეული მტრის დევნას ენერგიულად განაგრძობენ. ორშაბათს, 17 ოქტომბერს, გამოვიდა მეფის მანიფესტი. სამშაბათს, 18-ს, ვოლფის სააგენტოს ცნობით, პეტერბურგში გამოვიდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მანიფესტი უამრავი რაოდენობით. მანიფესტში ნათქვამია, რომ პროლეტარიატის ბრძოლა სრულიადაც არ წყდება მეფის მანიფესტის გამოცემით. პროლეტარიატის ტაქტიკა უნდა იყოს: იმ უფლებათა გამოყენება, რომლებიც ბოძებულია პროლეტარიატის დარტყმების ზეგავლენით, მუშების კრებების გამართვა გაფიცვის განგრძობის საკითხის გადასაწყვეტად, მილიციის მოწყობა რევოლუციურ უფლებათა დასაცავად, სრული ამნისტიის მოთხოვნის წარდგენა. სახალხო კრებების სოციალ-დემოკრატი ორატორები დაჟინებით მოითხოვენ დამფუძნებელი კრების მოწვევას. დეპეშების მიხედვით, საგაფიცვო კომიტეტი [114] მოითხოვს ამნისტიას და დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივ მოწვევას საყოველთაო და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე.

რევოლუციურმა ინსტინქტმა ერთბაშად უკარნახა პეტერბურგის მუშებს სწორი ლოზუნგი: ბრძოლის ენერგიული განგრძობა, ახალი დაპყრობილი პოზიციების გამოყენება შეტევის განსაგრძობად, თვითმპყრობელობის ნამდვილად მოსასპობად. და ბრძოლაც გრძელდება. კრებები ხშირდება და უფრო ხალხმრავალი ხდება. პირველი გამარჯვებით გამოწვეული სიხარული და კანონიერი სიამაყე ხელს არ უშლის ძალების ახალ ორგანიზაციას რევოლუციის ბოლომდე მისაყვანად. მისი წარმატება დამოკიდებულია თავისუფლების მხარეზე ხალხის კიდევ უფრო ფართო ფენების მიზიდვასა, მათს გათვითცნობიერებასა და ორგანიზაციაზე. მუშათა კლასმა სრულიად რუსეთის პოლიტიკური გაფიცვით დაამ-

ტკიცა თავისი გიგანტური ძალა, მაგრამ ქალაქის პროლეტარიატის ჩამორჩენილ ფენებში ჩვენ კიდევ ბევრი მუშაობა მოგველის. ჩვენ უნდა შევქმნათ მუშათა მილიცია, — რევოლუციის ეს ერთადერთი საიმედო დასაყრდენი, — უნდა ვემზადოთ ახალი და კიდევ უფრო გადამწყვეტი ბრძოლისათვის, უნდა დავიცვათ ჩვენი ძველი ლოზუნგები, მაგრამ ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ აგრეთვე არმიასაც. მეფის იძულებითს დათმობას მის რიგებში ყველაზე მეტი მერყეობა უნდა შეეტანა, და ახლა, როცა ჯარისკაცებს ვიწვევთ მუშათა კრებებზე, როცა ვაძლიერებთ აგიტაციას ყაზარმებში, როცა ვაფართოებთ კავშირურთიერთობას ოფიცრებთან, მუშათა რევოლუციურ არმიასთან ერთად უნდა შევქმნათ შეგნებულ რევოლუციონერთა კადრები ჯარშიც, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ მხოლოდ და მხოლოდ მეფის ჯარს წარმოადგენდა, ხოლო დღეს სახალხო ჯარად გადაქცევის მიჯნაზე დგას.

რევოლუციურმა პროლეტარიატმა მიაღწია ჯარის ნეიტრალიზაციას, როცა მოადუნა ის საყოველთაო გაფიცვის დიად დღეებში. ახლა მან უნდა მიაღწიოს იმას, რომ ჯარები სავსებით ხალხის მხარეზე გადავიდნენ.

რევოლუციურმა პროლეტარიატმა პირველი დიდი გამარჯვება მოუპოვა ქალაქის რევოლუციას. მან ახლა უნდა გააფართოოს და გააღრმაოს რევოლუციის ბაზა, გადაიტანოს ის სოფლად. აამაღლოს გლეხობა თავისუფლების საქმის შეგნებულად დაცვამდე, მოითხოვოს უაღრესად სერიოზული ზომები გლეხობის სასარგებლოდ, მოამზადოს სოფლის მოძრაობა, რომელიც ქალაქის მოწინავე პროლეტარიატთან დაკავშირებული ბოლოს მოუღებდა თვითმპყრობელობას, სრულ და ნამდვილ თავისუფლებას მოიპოვებდა, — ასეთია ახლა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მორიგი ამოცანა.

რევოლუციის წარმატება დამოკიდებულია პროლეტარიატისა და გლეხობის იმ მასების სიდიდეზე, რომლებიც ამხედრდებიან მის დასაცავად და დასაბოლოებლად. რევოლუციური ომი სხვა ომებისაგან იმით განირჩევა, რომ ის მთავარ რეზერვს იღებს თავისი მტრის გუშინდელი მოკავშირეების, ცა-

რიზმის გუშინდელი მომხრეების ან იმ ადამიანთა ბანაკიდან, რომლებიც ბრმად მიჰყვებიან ცარიზმს. და სრულიად რუსეთის პოლიტიკური გაფიცვის წარმატება მეტს ეტყვის გლეხის გონებასა და გულს, ვიდრე ყოველგვარი მანიფესტისა და კანონების დაბნეული სიტყვები.

რუსეთის რევოლუცია ის-ის იყო განვითარებას იწყებდა, როცა მთელი პოლიტიკური ავანსცენა ლიბერალურ ბურჟუებს ეკავათ, როგორც ეს იყო ერთი წლის წინათ.

რევოლუცია ფეხზე დადგა, როცა 9 იანვარს ქალაქის მუშათა კლასი გამოვიდა.

რევოლუციამ პირველი გამარჯვება მოიპოვა, როცა რუსეთის ყველა ეროვნების პროლეტარიატი ერთსულოვნად ამხედრდა და შეანჯღრია მეფის ტახტი, რომლის წყალობით ამდენი უბედურება გადაიტანა ყველა ხალხმა და ყველაზე მეტად ყველა ხალხის მშრომელმა კლასებმა.

რევოლუცია ბოლოს მოუღებს მტერს და დედამიწის პირისაგან აღგვის სისხლისმსმელი მეფის ტახტს, როცა მუშები კვლავ აღსდგებიან და გლეხობასაც თან გაიყოლებენ.

ხოლო შემდეგ — შემდეგ კიდევ ჰყავს რეზერვი რუსეთის რევოლუციას. წავიდა ის დრო, როცა ხალხებს და სახელმწიფოებს შეეძლოთ ერთიმეორისაგან განკერძოებულად ეცხოვრათ. შეხედეთ: ევროპა უკვე ბობოქრობს. მისი ბურჟუაზია შეშფოთებულია და მზადაა მილიონები და მილიარდები გასცეს, ოღონდ შეაჩეროს ხანძარი რუსეთში. მილიტარისტული ევროპული სახელმწიფოების მმართველები ფიქრობენ სამხედრო დახმარება აღმოუჩინონ მეფეს. ვილჰელმმა უკვე რამდენიმე კრეისერი და ნაღმოსანთა ორი დივიზია გაგზავნა გერმანელ სოლდაფონთა პირდაპირი კავშირურთიერთობის დასამყარებლად პეტერჰოფთან. ევროპის კონტრრევოლუცია ხელს უწვდის რუსეთის კონტრრევოლუციას.

სცადეთ, სცადეთ, მოქალაქე ჰოჰენცოლერნ! ჩვენც მოგვეპოვება რუსეთის რევოლუციის ევროპული რეზერვი. ეს რეზერვია — საერთაშორისო სოციალისტური პროლეტარიატი, საერთაშორისო რევოლუციური სოციალ-დემოკრატია. მთელი მსოფლიოს მუშები აღტაცების თრთოლვით ეგებებიან რუ-

სეთის მუშების გამარჯვებას, ისინი გრძნობენ რა მჭიდრო კავშირი არსებობს სოციალიზმის საერთაშორისო არმიის რაზმებს შორის და თვითონაც ემზადებიან დიდი და გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

თქვენ მარტონი როდი ხართ, მთელი რუსეთის მუშებო და გლეხებო! და თუ თქვენ შესძლებთ დაამხოთ, ბოლო მოუღოთ და მოსპოთ ბატონყმური, პოლიციური, მემამულეთა და მეფის რუსეთის ტირანები, თქვენი გამარჯვება სიგნალი გახდება მსოფლიო ბრძოლისა კაპიტალის ტირანიის წინააღმდეგ, ბრძოლისა მშრომელთა სრული, არა მარტო პოლიტიკური, არამედ აგრეთვე ეკონომიური განთავისუფლებისათვის, სიღატაკისაგან კაცობრიობის განთავისუფლებისა და სოციალიზმის განხორციელებისათვის ბრძოლისა.

«პროლეტარი» № 24,
1905 წ. 7 ნოემბერი (25 ოქტომბერი)

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

უკანასკნელი ცნობები

ჟენევა, 4 ნოემბერი (22 ოქტომბერი).

ნიკოლოზ სისხლისმსმელის «კონსტიტუციურ» მანიფესტს მოჰყვა ტრეპოვისა და მისი ბანდის მიერ ორგანიზებული აურაცხელი ახალი მკვლელობა. კაზაკების მძვინვარება, ებრაელთა დარბევა, ქუჩებში დახვრეტა ეს-ეს არის «ამნისტირებულ» პოლიტიკურ მოღვაწეთა, შავრაზმელების მიერ პოლიციის დახმარებით მოწყობილი ძარცვა-გლეჯა, — ყველაფერი გამოყენებულია რევოლუციური ბრძოლის ჩასახშობად.

მეფემ საუცხოო დახმარება გაუწია რევოლუციონერებს იმით, რომ დაადასტურა მათი შეფასება ყალბი დათმობისა, «ლიბერალური» მანიფესტის საზიზღარი კომედიის შეფასება. მეფეს თვითონ სურს გამოიწვიოს ახალი გადამწყვეტი ბრძოლა. მით უკეთესი! სოციალ-დემოკრატიის მთელი მუშაობა, პროლეტარიატის მთელი ენერგია ახლა იქით იქნება მიმართული, რომ მოამზადონ შემდგომი შეტევა, მოსპონ ცარიზმის ურჩხული, რომელიც სიკვდილის წინ ცდილობს უკანასკნელად გააღვივოს ბნელი ბრბოს ბნელი ინსტინქტები. რაც უფრო მეტ გულმოდგინებას იჩენს ახლა ტრეპოვი, მით უფრო უეჭველია მთელი ტრეპოვეობისა და ყველა რომანოვის სრული კრახი.

პირველად დაიბეჭდა 1925 წ.
გაზეთების «ვპერიოდის» და «პროლეტარის»
VI ნაკვეთის დამატებაში, გამოც.
საკ. კ. პ. (ბ) კ.-თან არსებული პარტისტისა

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ნიკოლოზ ერნესტის-ძე ბაუმანი

დღეს, 3 ნოემბერს ახ. სტ., დეპეშამ მოგვიტანა ცნობა, რომ მოსკოვში მეფის ჯარს მოუკლავს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი, ექიმი-ვეტერინარი ნ. ე. ბაუმანი. მის კუბოსთან მოხდა დემონსტრაცია, როცა მოკლულის ქვრივმა, რომელიც აგრეთვე ჩვენს პარტიას ეკუთვნის, მიმართა ხალხს სიტყვით და მოუწოდა შეიარაღებული აჯანყებისაკენ. ჩვენ ამჟამად არა გვაქვს საშუალება დაწვრილებითი ბიოგრაფიული ცნობები მოვათავსოთ დაღუპული ამხანაგის შესახებ. ჯერჯერობით აღვნიშნავთ მხოლოდ მთავარს. მან მუშაობა დაიწყო სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში, პეტერბურგში, 90-იან წლებში. დააპატიმრეს, 22 თვე პეტრე-პავლეს ციხეში გაატარა, გადაასახლეს ვიატკის გუბერნიაში. გადასახლებიდან გაიქცა საზღვარგარეთ და 1900 წელს მონაწილეობას იღებდა სულ თავიდანვე «ისკრის» ორგანიზაციაში, როგორც საქმის ერთ-ერთი მთავარი პრაქტიკული ხელმძღვანელი. არა ერთხელ ყოფილა არალეგალურად რუსეთში. დააპატიმრეს 1902 წლის თებერვალს ვორონეჟში (გასცა ექიმმა) «ისკრის» ორგანიზაციის საქმეზე და იჯდა კიევის საპყრობილეში. გაიქცა იქიდან 10 ამხანაგ სოციალ-დემოკრატთან ერთად 1902 წლის აგვისტოში. რსდმპ მოსკოვის კომიტეტის დელეგატი იყო პარტიის მეორე ყრილობაზე (ფსევდონიმი: სოროკინი). მონაწილეობა მიიღო ლიგის მეორე ყრილობაში (ფსევდონიმი: სარაფსკი). შემდეგ იყო პარტიის იმავე მოსკოვის კომიტეტის წევრი. 1904 წლის 19 ივნისს დააპატიმრეს და ტაგანკაში იჯდა. საპყრობილიდან გაათავისუფლეს, ალბათ, მხოლოდ ამ დღეებში.

საუკუნო ხსენება რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პროლეტარიატის რიგებში მებრძოლს! საუკუნო ხსენება რევოლუციონერს, რომელიც დაიღუპა ძლევამოსილი რევოლუციის პირველ დღეებში! დაე ის პატივისცემა, რომელიც აჯანყებულმა ხალხმა მიუზღო მის ნეშტს, საწინდარი გახდეს აჯანყების სრული გამარჯვებისა და წყეული ცარიზმის სრული მოსპობისა!

ნ. ე. ბაუმანის მოკვლა ცხადყოფს, რამდენად მართალი იყვნენ პეტერბურგის სოციალ-დემოკრატი ორატორები, რომელნიც 17 ოქტომბრის მანიფესტს უწოდებდნენ ხაფანგს, ხოლო მთავრობის მოქმედებას მანიფესტის შემდეგ — პროვოკაციას. რა ფასი აქვს ყველა ამ დაპირებულ თავისუფლებას, სანამ ძალაუფლება და შეიარაღებული ძალა მთავრობის ხელში რჩება? მართლაცდა განა ხაფანგი არ არის ეს «ამნისტია», როცა საპყრობილიდან გამოსულთ კაზაკები ხვრეტენ ქუჩებში?

«პროლეტარი» № 24,
1905 წ. 7 ნოემბერი (25 ოქტომბერი)

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

წვრილბურჟუაზიული და პროლეტარული სოციალიზმი [115]

ევროპაში სოციალიზმის სხვადასხვაგვარ მოძღვრებათა შორის დღეს სრული ბატონობა მარქსიზმმა მოიპოვა, ხოლო ბრძოლა სოციალისტური წყობილების განხორციელებისათვის თითქმის სავსებით წარმოებს როგორც ბრძოლა მუშათა კლასისა, რომელსაც სოციალ-დემოკრატიული პარტიები ხელმძღვანელობენ. მაგრამ ეს სრული ბატონობა პროლეტარული სოციალიზმისა, რომელიც მარქსიზმის მოძღვრებას ემყარება, განმტკიცდა არა ერთბაშად, არამედ მხოლოდ ყოველგვარ ჩამორჩენილ მოძღვრებასთან, წვრილბურჟუაზიულ სოციალიზმთან, ანარქიზმთან და სხვ. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ. ოცდაათიოდე წლის წინათ მარქსიზმი ჯერ კიდევ გაბატონებული არ იყო თვით გერმანიაშიც კი, სადაც, სწორედ რომ ვთქვათ, სჭარბობდა გარდამავალი, შერეული, ეკლექტიკური შეხედულებანი წვრილბურჟუაზიულ და პროლეტარულ სოციალიზმს შუა. რომანულ ქვეყნებში კი, საფრანგეთსა, ესპანეთსა და ბელგიაში ყველაზე უფრო გავრცელებული მოძღვრებანი მოწინავე მუშებს შორის იყო პრუდონიზმი, ბლანკიზმი, ანარქიზმი, რომელნიც აშკარად გამოხატავდნენ წვრილბურჟუასი და არა პროლეტარის თვალსაზრისს.

მაშ რა მიზეზმა გამოიწვია მარქსიზმის ასეთი ჩქარი და სრული გამარჯვება სწორედ უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში? თანამედროვე საზოგადოებათა მთელი განვითარება, როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური, დაჩაგრული კლასების რევოლუციური მოძრაობისა და ბრძოლის

მთელი გამოცდილება სულ უფრო და უფრო მეტად ამტკიცებდა მარქსისტულ შეხედულებათა სისწორეს. წვრილი ბურჟუაზიის დაქვეითება ადრე თუ გვიან უცილობლად იწვევდა ყოველგვარ წვრილბურჟუაზიულ ცრურწმენათა კვდომას, ხოლო კაპიტალიზმის ზრდა და კაპიტალისტური საზოგადოების შიგნით კლასთა ბრძოლის გამწვავება პროლეტარული სოციალიზმის იდეების საუკეთესო აგიტაციას წარმოადგენდა.

რუსეთის ჩამორჩენილობა ბუნებრივად ხსნის სოციალიზმის სხვადასხვა ჩამორჩენილ მოძღვრებათა მეტ გამძლეობას ჩვენს ქვეყანაში. რუსეთის რევოლუციური აზროვნების მთელი ისტორია უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის მანძილზე არის ისტორია მარქსიზმის ბრძოლისა წვრილბურჟუაზიული ნაროდნიკული სოციალიზმის წინააღმდეგ. და თუ რუსეთის მუშათა მოძრაობის ჩქარმა ზრდამ და განსაცვიფრებელმა წარმატებამ მარქსიზმს უკვე გამარჯვება მოუპოვა რუსეთშიც, მეორე მხრივ, გლეხთა უეჭველად რევოლუციური მოძრაობის განვითარებამ — განსაკუთრებით 1902 წლის მალოროსიის გლეხთა განთქმულ აჯანყებათა შემდეგ — დაჩაჩანაკებული ნაროდნიკობის ერთგვარი გამოცოცხლება გამოიწვია. ეგრეთწოდებული სოციალისტ-რევოლუციონერების მთელ ორიგინალურ იდეურ ავლადიდებას წარმოადგენს ძველებური ნაროდნიკობა, განახლებული ახალმოდური ევროპული ოპორტუნიზმით (რევიზიონიზმი, ბერნშტეინელობა, მარქსის კრიტიკა). ამიტომ გლეხთა საკითხს ცენტრალური ადგილი უჭირავს მარქსისტების კამათში როგორც წმინდა სახის ნაროდნიკებთან, ისე სოციალისტ-რევოლუციონერებთან.

ნაროდნიკობა რაოდენადმე მთლიანი და თანამიმდევარი მოძღვრება იყო. იგი უარყოფდა კაპიტალიზმის ბატონობას რუსეთში; უარყოფდა ფაბრიკა-ქარხნების მუშათა, როგორც მთელი პროლეტარიატის მოწინავე მებრძოლთა როლს; უარყოფდა პოლიტიკური რევოლუციისა და ბურჟუაზიული პოლიტიკური თავისუფლების მნიშვნელობას; ქადაგებდა ერთბაშად სოციალისტურ გადატრიალებას, წარმოშობილს გლეხური თემიდან მისი წვრილი სოფლის მეურნეობით. ამ მთლიანი მოძღვრებიდან დღეს მხოლოდ ნაფლეთებიღა დარჩა, მაგ-

რამ, შეგნებულად რომ გავერკვეთ თანამედროვე კამათში, ეს კამათი კინკლაობამდე რომ არ ჩამოქვეითდეს, საჭიროა ყოველთვის მხედველობაში ვიქონიოთ ჩვენი სოციალისტ-რევოლუციონერების შეცდომების ზოგადი და ძირითადი ნაროდნიკული საფუძვლები.

მომავლის ადამიანი რუსეთში გლეხიაო, ფიქრობდნენ ნაროდნიკები, და ეს შეხედულება აუცილებლად გამომდინარეობდა იქიდან, რომ სწამდათ თემის სოციალისტურობა, არ სწამდათ კაპიტალიზმის ბედი. მომავლის ადამიანი რუსეთში მუშა არისო, ფიქრობდნენ მარქსისტები, და რუსეთის კაპიტალიზმის განვითარება როგორც მიწათმოქმედებაში, ისე მრეწველობაში, უფრო და უფრო ამტკიცებს მათს შეხედულებას. მუშათა მოძრაობამ რუსეთში დღეს თვითონ გვაიძულა გვეცნო იგი, ხოლო გლეხთა მოძრაობის შესახებ ნაროდნიკობასა და მარქსიზმს შორის არსებული მთელი უფსკრული დღესაც ამ მოძრაობის სხვადასხვანაირ გაგებაში იჩენს თავს. ნაროდნიკის თვალში სწორედ გლეხთა მოძრაობა აბათილებს მარქსიზმს; სწორედ იგია მოძრაობა უშუალო სოციალისტური გადატრიალების სასარგებლოდ; სწორედ იგი არა სცნობს არავითარ ბურჟუაზიულ პოლიტიკურ თავისუფლებას; სწორედ იგი მომდინარეობს არა მსხვილი, არამედ წვრილი მეურნეობიდან. ერთი სიტყვით, ნაროდნიკისთვის გლეხთა მოძრაობა არის სწორედ ნამდვილი, ჭეშმარიტად სოციალისტური და უშუალოდ სოციალისტური მოძრაობა. ნაროდნიკული რწმენა გლეხური თემისადმი და ნაროდნიკული ანარქიზმი სავსებით ხსნის ასეთი დასკვნების გარდუვალობას.

მარქსისტისთვის გლეხთა მოძრაობა არის სწორედ არა სოციალისტური, არამედ დემოკრატიული მოძრაობა. იგი რუსეთშიც, როგორც წინათ სხვა ქვეყნებშიც ყოფილა, აუცილებელი თანამგზავრია დემოკრატიული რევოლუციისა, რომელიც ბურჟუაზიულია თავისი საზოგადოებრივ-ეკონომიური შინაარსით. იგი სრულიადაც არ არის მიმართული ბურჟუაზიული წესწყობილების საფუძვლების, სასაქონლო მეურნეობის, კაპიტალის წინააღმდეგ. პირიქით, იგი მიმართულია სოფლის ძველი, ბატონყმური, წინაკაპიტალისტური ურთიერთობი-

სა და მემამულური მიწათმფლობელობის, როგორც ბატონყმობის ყოველგვარი ნაშთების მთავარი დასაყრდენის წინააღმდეგ. ამიტომ ამ გლეხთა მოძრაობის სრული გამარჯვება კი არ მოსპობს კაპიტალიზმს, არამედ, პირიქით, უფრო ფართო ნიადაგს შექმნის მისი განვითარებისათვის, დააჩქარებს და გაამწვავებს წმინდა კაპიტალისტურ განვითარებას. გლეხთა აჯანყების სრულ გამარჯვებას შეუძლია მხოლოდ დასაყრდენი შეუქმნას დემოკრატიულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკას, რომელშიც პირველად გაიშლება მთელი სიწმინდით პროლეტარიატის ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ამრიგად, აი ორი მოპირდაპირე შეხედულება, რომელიც ნათლად უნდა გაიგოს ყველამ, ვისაც სურს გაერკვეს, თუ რა პრინციპული უფსკრული არსებობს სოციალისტ-რევოლუციონერებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის. ერთი შეხედულების მიხედვით, გლეხთა მოძრაობა სოციალისტურია, მეორე შეხედულებით — დემოკრატიულ-ბურჟუაზიული. აქედან შეიძლება დავინახოთ, რა უმეცრებას იჩენენ ჩვენი სოციალისტ-რევოლუციონერები, როცა მეასედ იმეორებენ (შეად., მაგ., «რევოლუციონნაია როსსიის» № 75), თითქოს ორთოდოქსული მარქსისტები როდისმე «უგულებელყოფდნენ» (არაფრად აგდებდნენ) გლეხთა საკითხს. ასეთი სრული უმეცრების წინააღმდეგ მხოლოდ ერთი საშუალებით შეიძლება ბრძოლა: ანაბანის განმეორებით, ძველი თანამიმდევარი ნაროდნიკული შეხედულებების გადმოცემით, ასჯერ და ათასჯერ იმაზე მითითებით, რომ ნამდვილი განსხვავება მდგომარეობს არა იმაში, გსურს თუ არა გსურს ანგარიშის გაწევა გლეხთა საკითხისთვის, სცნობ თუ უგულებელჰყოფ მას, არამედ რუსეთის თანამედროვე გლეხთა მოძრაობისა და თანამედროვე გლეხთა საკითხის ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ნ ა ი რ შ ე ფ ა ს ე ბ ა შ ი. ის, ვინც ამბობს მარქსისტები გლეხთა საკითხს რუსეთში «უგულებელყოფენო» — ჯერ-ერთი, სრულიად უმეცარია, რადგან რუსი მარქსისტების ყველა მთავარი ნაწარმოები, დაწყებული პლეხანოვის «ჩვენი უთანხმოებით» (რომელიც ოც წელიწადზე მეტია, რაც გამოვიდა), უმთავრესად ეხებოდა სწორედ რუსეთის გლეხთა საკითხზე ნაროდ-

ნიკულ შეხედულებათა შეცდომის განმარტებას. მეორე, ვინც ლაპარაკობს მარქსისტები გლეხთა საკითხს «უგულებელყოფენო», ის ამით ამტკიცებს მისწრაფებას თავი დაიძვრინოს ნამდვილი პრინციპული უთანხმოების სრული შეფასებისაგან: დემოკრატიულ-ბურჟუაზიულია თანამედროვე გლეხთა მოძრაობა თუ არა? მიმართულია თუ არა იგი, თავისი ობიექტური მნიშვნელობით, ბატონყმობის ნაშთების წინააღმდეგ.

სოციალისტ-რევოლუციონერებს არასდროს არ მოუციათ და არც არასოდეს შეუძლიათ მოგვცენ ნათელი და ზუსტი პასუხი ამ კითხვაზე, რადგან ისინი უიმედოდ იბნევიან რუსეთის გლეხთა საკითხზე ძველ ნაროდნიკულ და თანამედროვე მარქსისტულ შეხედულებებს შორის. მარქსისტები სწორედ იმიტომ უწოდებენ სოციალისტ-რევოლუციონერებს წვრილი ბურჟუაზიის თვალსაზრისზე მდგომთ (წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგებს), რომ მათ არ ძალუძთ თავი დააღწიონ წვრილ-ბურჟუაზიულ ილუზიებს, ნაროდნიკობის ფანტაზიებს გლეხთა მოძრაობის შეფასებაში.

აი რატომ გვჭირდება კვლავ ვიმეოროთ: ეს არის ანი, ეს არის ბანი. საითკენ მიისწრაფის თანამედროვე გლეხთა მოძრაობა რუსეთში? მიწისა და თავისუფლებისაკენ. — რა მნიშვნელობა ექნება ამ მოძრაობის სრულ გამარჯვებას? როცა თავისუფლებას მოიპოვებს, იგი მოსპობს მემამულეებისა და მოხელეების ბატონობას სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში. როცა მოიპოვებს მიწას, იგი მემამულეთა მიწებს გლეხებს გადასცემს. — მოსპობს თუ არა ყველაზე სრული თავისუფლება და მემამულეების ყველაზე სრული ექსპროპრიაცია (მიწის ჩამორთმევა მემამულეებისაგან) სასაქონლო მეურნეობას? ვერა, ვერ მოსპობს. — მოსპობს თუ არა ყველაზე სრული თავისუფლება და მემამულეების ყველაზე სრული ექსპროპრიაცია გლეხურ კომლთა განცალკევებულ მეურნეობას სათემო ან «სოციალიზებულ» მიწაზე? ვერა, ვერ მოსპობს.— მოსპობს თუ არა ყველაზე სრული თავისუფლება და მემამულეების ყველაზე სრული ექსპროპრიაცია ღრმა უფსკრულს მდიდარ, მრავალცხენიან, მრავალძროხიან გლეხსა და მოჯამაგირესა, დღიურად მომუშავეს შორის, ე. ი. გლეხურ ბურჟუა-

ზიასა და სოფლის პროლეტარიატს შორის? ვერა, ვერ მოსპობს. პირიქით, რაც უფრო სრული იქნება მაღალი წ ო დ ე ბ ი ს (მემამულეების) განადგურება და მოსპობა, მით უფრო ღრმა იქნება კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი შუღლი ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის. — რა მნიშვნელობა ექნება ობიექტურად გლეხური აჯანყების სრულ გამარჯვებას? ეს გამარჯვება საბოლოოდ მოსპობს ბატონყმობის ყოველგვარ ნაშთებს, მაგრამ სრულიადაც ვერ მოსპობს ბურჟუაზიულ მეურნეობას, ვერ მოსპობს კაპიტალიზმს, ვერ მოსპობს საზოგადოების დაყოფას კლასებად, მდიდრებად და ღარიბებად, ბურჟუაზიად და პროლეტარიატად. — რატომ არის თანამედროვე გლეხთა მოძრაობა დემოკრატიულ-ბურჟუაზიული მოძრაობა? იმიტომ, რომ იგი თუმცა სპობს მოხელეებისა და მემამულეების ძალაუფლებას, ქმნის საზოგადოების დემოკრატიულ წყობილებას, მაგრამ არ ცვლის ამ დემოკრატიული საზოგადოების ბურჟუაზიულ საფუძველს, არ სპობს კაპიტალის ბატონობას. — როგორ უნდა ეპყრობოდეს შეგნებული მუშა, სოციალისტი, თანამედროვე გლეხთა მოძრაობას? მან მხარი უნდა დაუჭიროს ამ მოძრაობას, ფრიად ენერგიულად დაეხმაროს გლეხებს, ბოლომდე დაეხმაროს მათ, რათა მთლიანად დაამხონ მოხელეების ძალაუფლებაცა და მემამულეების ძალაუფლებაც. მაგრამ ამავე დროს მან გლეხებს უნდა განუმარტოს, რომ არ კმარა მოხელეებისა და მემამულეების ძალაუფლების დამხობა. ამ ძალაუფლების დამხობისას უნდა ვემზადებოდეთ აგრეთვე კაპიტალის ძალაუფლების, ბურჟუაზიის ძალაუფლების მოსპობისათვის, ხოლო საამისოდ საჭიროა დაუყოვნებლივ ვიქადაგოთ სავსებით სოციალისტური, ე. ი. მარქსისტული მოძღვრება და გავაერთიანოთ, შევამჭიდროოთ, დავ.რაზმოთ სოფლის პროლეტარები გლეხური ბურჟუაზიისა და მთელი რუსეთის ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად. — შეუძლია თუ არა შეგნებულ მუშას დაივიწყოს დემოკრატიული ბრძოლა სოციალისტურის გულისთვის, ან სოციალისტური ბრძოლა დემოკრატიულის გულისთვის? არა, შეგნებული მუშა თავის თავს სოციალ-დემოკრატს უწოდებს სწორედ იმიტომ, რომ მან შეიგნო ორივე ბრძოლის ურთიერთობა. მან იცის, რომ არ არის სხვა

გზა სოციალიზმისაკენ, გარდა დემოკრატიზმისა, გარდა პოლიტიკური თავისუფლებისა. ამიტომ იგი მიისწრაფის დემოკრატიზმის სრული და თანამიმდევრული განხორციელებისკენ, რათა საბოლოო მიზანს, სოციალიზმს მიაღწიოს. — რატომ ერთნაირი არ არის დემოკრატიული ბრძოლისა და სოციალისტური ბრძოლის პირობები? იმიტომ, რომ მუშებს აუცილებლად სხვადასხვა მოკავშირეები ეყოლებათ პირველსა და მეორე ბრძოლაში. დემოკრატიულ ბრძოლას მუშები ეწევიან ბურჟუაზიის, განსაკუთრებით წვრილი ბურჟუაზიის ნაწილთან ერთად. სოციალისტურ ბრძოლას მუშები ეწევიან მთელი ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ბრძოლა მოხელისა და მემამულის წინააღმდეგ შეიძლება წარმოებდეს და უნდა წარმოებდეს კიდეც ყველა გლეხთან, თვით შეძლებულ და საშუალო გლეხებთან ერთად. ხოლო ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მაშასადამე, შეძლებული გლეხების წინააღმდეგაც, შეიძლება წარმოებდეს საიმედოდ მხოლოდ სოფლის პროლეტარიატთან ერთად.

თუ ჩვენ გავიხსენებთ მარქსიზმის ყველა ამ საანბანო ჭეშმარიტებას, რომელთა გარჩევას სოციალისტ-რევოლუციონერები ყოველთვის ამჯობინებენ გვერდი აუხვიონ, ჩვენთვის უკვე ადვილი იქნება მარქსიზმის საწინააღმდეგო შემდგომი «უახლესი» მოსაზრებების შეფასება.

«რა საჭიროა — გაიძახის «რევოლუციონნაია როსსია» (№ 75) — ჯერ საზოგადოდ გლეხს დავუჭიროთ მხარი მემამულის წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ (ე. ი. იმავე დროს) მხარი დავუჭიროთ პროლეტარიატს საზოგადოდ გლეხის წინააღმდეგ, იმის მაგივრად, რომ ერთბაშად დავუჭიროთ მხარი პროლეტარიატს მემამულის წინააღმდეგ, და რა შუაშია აქ მარქსიზმი, — მხოლოდ ალაჰმა უწყის».

ეს უაღრესად პირველყოფილი, ბავშვურად-გულუბრყვილო ანარქიზმის თვალსაზრისია. ყველა და ყოველგვარი ექსპლოატაციის «ერთბაშად» მოსპობაზე უკვე დიდი ხანია, მრავალი საუკუნეა, მრავალი ათასი წელიწადიც კი არის, რაც კაცობრიობა ოცნებობს. მაგრამ ეს ოცნება ოცნებად რჩებოდა მა-

ნამდე, სანამ მილიონობით ექსპლოატირებულებმა მთელ მსოფლიოში არ დაიწყეს გაერთიანება მტკიცე, შეუპოვარი, ყოველმხრივი ბრძოლისთვის კაპიტალისტური საზოგადოების შესაცვლელად ამ საზოგადოების საკუთარი განვითარების მიმართულებით. სოციალისტური ოცნებანი მრავალი მილიონი ადამიანის სოციალისტურ ბრძოლად გადაიქცა მხოლოდ მაშინ, როცა მარქსის მეცნიერულმა სოციალიზმმა გარდამქმნელი მისწრაფებანი განსაზღვრული კლასის ბრძოლას დაუკავშირა. კლასობრივი ბრძოლის გარეშე სოციალიზმი ცარიელი ფრაზა ან გულუბრყვილო ოცნებაა. ხოლო ჩვენში, რუსეთში, ჩვენს თვალწინ ორი სხვადასხვა სოციალური ძალის ორი სხვადასხვა ბრძოლაა. პროლეტარიატი ბურჟუაზიის წინააღმდეგ იბრძვის ყველგან, სადაც კი არსებობს წარმოების კაპიტალისტური ურთიერთობა (ეს კი არსებობს — ჩვენი სოციალისტ-რევოლუციონერების საყურადღებოდ — გლეხურ თემშიც კი, ე. ი., მათი თვალსაზრისით, ყველაზე უფრო «სოციალიზებულ» მიწაზეც). გლეხობა, როგორც წვრილი მიწათმფლობელების, წვრილი ბურჟუების ფენა იბრძვის ბატონყმობის ყოველგვარი ნაშთების, მოხელეებისა და მემამულეების წინააღმდეგ. ეს ორი სხვადასხვა, სხვადასხვაგვარი სოციალური ომი შეიძლება ვერ დაინახონ მხოლოდ ისეთმა ადამიანებმა, რომელნიც სრულიად არ იცნობენ პოლიტიკურ ეკონომიას და მთელი მსოფლიოს რევოლუციების ისტორიას. ამ ომების სხვადასხვაგვარობის მიჩქმალვა სიტყვის «ერთბაშად» საშუალებით ნიშნავს თვალი დავხუჭოთ და უარი ვთქვათ სინამდვილის ყოველსავე ანალიზზე.

სოციალისტ-რევოლუციონერებმა დაკარგეს ძველი ნაროდნიკობის შეხედულებათა მთლიანობა და ბევრი რამ დაივიწყეს თვით ნაროდნიკების მოძღვრებიდანაც. «როცა ბ-ნი ლენინი გლეხობას ეხმარება მემამულეების ექსპროპრიაციაში, — წერს იქვე «რევოლუციონნაია როსსია», — იგი შეუგნებლად ხელს უწყობს წვრილბურჟუაზიული მეურნეობის დამკვიდრებას კაპიტალისტური სამიწათმოქმედო მეურნეო-

ბის უკვე ცოტად თუ ბევრად განვითარებული ფორმების ნანგრევებზე. განა ეს უკანგადადგმული ნაბიჯი არ არის ორთოდოქსული მარქსიზმის თვალსაზრისით?»

გრცხვენოდეთ, ბატონებო! თქვენ დაგვიწყებიათ თქვენი ბ-ნი ვ. ვ.! ჩაიხედეთ მის «კაპიტალიზმის ბედში», ბ-ნ ნიკოლაი —ონის[116] «ნარკვევებში» და თქვენი სიბრძნის სხვა წყაროებში. თქვენ მაშინ გაიხსენებთ, რომ მემამულური მეურნეობა რუსეთში ატარებს კაპიტალისტურ და ბატონყმურ თვისებებს. თქვენ მაშინ გაიგებთ, რომ არსებობს მეურნეობის შრომამიგების სისტემა, საბატონო ბეგარის ეს პირდაპირი ნაშთი. თუ თქვენ, ამას გარდა, ისეთ ორთოდოქსულ-მარქსისტულ წიგნში ჩაიხედავთ, როგორიცაა მარქსის «კაპიტალის» მესამე ტომი, იქიდან გაიგებთ, რომ საბატონო მეურნეობის განვითარება და მისი კაპიტალისტურ მეურნეობად გადაქცევა მხოლოდ წვრილბურჟუაზიული გლეხური მეურნეობის საშუალებით ხდებოდა და შეუძლებელიც იყო სწვანაირად მომხდარიყო. მარქსიზმის გასაცამტვერებლად თქვენ მეტისმეტად მარტივ, დიდი ხნის წინათ გამომჟღავნებულ საშუალებას მიმართავთ: თქვენ მარქსიზმს მიაწერთ კარიკატურულ გამარტივებულ შეხედულებას, რომ მსხვილი საბატონო მეურნეობა პირდაპირ იცვლება მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობით! თქვენ მსჯელობთ: მემამულეთა მოსავალი სჭარბობს გლეხებისას, მაშასადამე, მემამულეთა ექსპროპრიაცია ნაბიჯის უკან გადადგმა არისო. ეს მსჯელობა მეოთხე კლასის გიმნაზიელს შეეფერება. აბა, ჩაუფიქრდით, ბატონებო, ხომ არ იყო «ნაბიჯის უკან გადადგმა» გლეხთა მცირემოსავლიანი მიწის გამოყოფა მემამულეთა დიდმოსავლიანი მიწისაგან ბატონყმობის გადავარდნის დროს?

რუსეთის თანამედროვე მემამულური მეურნეობა შეიცავს კაპიტალისტურ და ბატონყმურ თვისებებს. გლეხების ახლანდელი ბრძოლა მემამულეების წინააღმდეგ, თავისი ობიექტური მნიშვნელობით, არის ბრძოლა ბატონყმობის ნაშთების წინააღმდეგ. მაგრამ იმის ცდა, რომ ჩამოთვალოთ ყველა ცალკე შემთხვევა და ასწონოთ თვითეული ცალკე შემთხვევა,

აფთიაქის სასწორის სიზუსტით განსაზღვროთ, სახელდობრ სად თავდება ბატონყმობა და სად იწყება წმინდა კაპიტალიზმი, იმას ნიშნავს, რომ მარქსისტებს თქვენი საკუთარი პედანტიზმი მიაწეროთ. ჩვენ არ შეგვიძლია გამოვიანგარიშოთ, რა წილს შეადგენს წვრილ მედუქნესთან ნაყიდი სანოვაგის ფასში შრომის ღირებულება და რა წილს თაღლითობა და სხვა. განა ეს იმას ნიშნავს, ბატონებო, რომ შრომის ღირებულების თეორია უნდა უკუვაგდოთ?

თანამედროვე მემამულური მეურნეობა შეიცავს კაპიტალისტურ და ბატონყმურ თვისებებს. აქედან მხოლოდ პედანტებს შეუძლიათ დაასკვნან, რომ ჩვენი ვალდებულებაა ავწონოთ, დავთვალოთ და გადავწეროთ თვითეული თვისება თვითეულ ცალკე შემთხვევაში მისი ამა თუ იმ სოციალური ხასიათის მიხედვით. აქედან მხოლოდ უტოპისტებს შეუძლიათ დაასკვნან, რომ ჩვენთვის «არაა საჭირო» განვასხვავოთ ორი სხვადასხვაგვარი სოციალური ომი. აქედან ნამდვილად ის და მხოლოდ ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ჩვენს პროგრამაშიც და ჩვენს ტაქტიკაშიც უნდა შევაერთოთ წმინდა პროლეტარული ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ საერთო დემოკრატიულ (და საერთო გლეხურ) ბრძოლასთან ბატონყმობის წინააღმდეგ.

რაც უფრო განვითარებულია კაპიტალისტური თვისებები თანამედროვე მემამულურ ნახევრადბატონყმურ მეურნეობაში, მით უფრო უცილობლად საჭიროა ახლავე დავრაზმოთ დამოუკიდებლად სოფლის პროლეტარიატი, რადგან მით უფრო ჩქარა გამოაშკარავდება ყოველი კონფისკაციის დროს წმინდა კაპიტალისტური ან წმინდა პროლეტარული ანტაგონიზმი. რაც უფრო ძლიერია კაპიტალისტური თვისებები მემამულურ მეურნეობაში, მით უფრო დააჩქარებს დემოკრატიული კონფისკაცია ნამდვილ ბრძოლას სოციალიზმისთვის, — და, მაშასადამე, მით უფრო სახიფათოა დემოკრატიული გადატრიალების ყალბი იდეალიზაცია, რომელსაც მოახდენენ ხოლმე პაწია სიტყვის «სოციალიზაციის» საშუალებით. აი რა დასკვნა გამომდინარეობს მემამულურ მეურ-

ნეობაში კაპიტალიზმისა და ბატონყმობის ერთიმეორეში არევიდან.

ამგვარად, წმინდა პროლეტარული ბრძოლა უნდა შევუერთოთ საერთო გლეხურ ბრძოლას, მაგრამ არ უნდა ავრიოთ ისინი ერთიმეორეში. მხარი უნდა დავუჭიროთ საერთო დემოკრატიულ და საერთო გლეხურ ბრძოლას, მაგრამ სრულიადაც არ უნდა გავითქვიფოთ ამ არაკლასობრივ ბრძოლაში, სრულიადაც არ უნდა მოვახდინოთ მისი იდეალიზაცია ისეთი ყალბი სიტყვების შემწეობით, როგორიცაა სოციალიზაცია, ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატის დარაზმვა სოციალ-დემოკრატიის სრულიად დამოუკიდებელ კლასობრივ პარტიად. ეს პარტია ბოლომდე დაუჭერს მხარს უაღრესად გაბედულ დემოკრატიზმს და არავის ააცდენინებს თავს რევოლუციური გზიდან რეაქციული ოცნებობით და სასაქონლო მეურნეობის დროს «გამთანაბრებლობის» შექმნის ცდებით. გლეხების ბრძოლა მემამულეების წინააღმდეგ ახლა რევოლუციურია, მემამულეთა მიწების კონფისკაცია ეკონომიური და პოლიტიკური ევოლუციის ამ მომენტში ყოველმხრივ რევოლუციურია, და ჩვენც მხარს ვუჭერთ ამ რევოლუციურ-დემოკრატიულ ღონისძიებას. მაგრამ ამ ღონისძიებისთვის «სოციალიზაციის» წოდება, თავისი თავისა და ხალხის მოტყუება სასაქონლო მეურნეობის დროს «გამთანაბრებელი» მიწათსარგებლობის შესაძლებლობის შესახებ, ეს უკვე რეაქციული წვრილბურჟუაზიული უტოპიაა, რომელსაც ჩვენ სოციალისტ-რეაქციონერებს ვუთმობთ.

«პროლეტარი» № 24,
1905 წ. 7 ნოემბერი (25 ოქტომბერი)

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

დასასრულის მოახლოება

ძალები გაწონასწორდნენ, — ვწერდით ჩვენ ორი კვირის წინათ *, როცა პირველი ცნობები მივიღეთ სრულიად რუსეთის პოლიტიკური გაფიცვის შესახებ და როცა გამოაშკარავდა, რომ მთავრობა ვერ ბედავს ერთბაშად გამოიყენოს თავისი სამხედრო საშუალებანი.

ძალები გაწონასწორდნენ, — გავიმეორეთ ჩვენ ერთი კვირის წინათ**, როცა 17 ოქტომბრის მანიფესტი ახალი პოლიტიკური ამბების «უკანასკნელი სიტყვა» იყო, რაც მთელი ხალხისა და მთელი ქვეყნიერების წინაშე ცარიზმის გაუბედაობას და მის უკანდახევას მოწმობდა.

მაგრამ ძალთა წონასწორობა სრულიადაც არ გამორიცხავს ბრძოლას, არამედ, პირიქით, განსაკუთრებით ამწვავებს მას. მთავრობის უკანდახევა, როგორც უკვე ვთქვით, მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მან აირჩია ახალი, მისი თვალსაზრისით უფრო მოხერხებული, პოზიცია შებრძოლებისათვის. განცხადება «თავისუფლებათა» შესახებ, რომელნიც 17 ოქტომბრის მანიფესტად წოდებულ ფარატინა ქაღალდს ამკობენ, მხოლოდ მორალური პირობების მომზადების ცდაა რევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად, — იმ დროს როცა ტრეპოვი სრულიად რუსეთის შავრაზმელებს სათავეში ჩას-

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 486. რ ე დ.

** იხ. ეს ტომი, გვ. 526. რ ე დ.

დგომია და მატერიალურ პირობებს ამზადებს ამ ბრძოლისთვის.

დასასრული ახლოვდება. ახალი პოლიტიკური მდგომარეობა საოცარი, მხოლოდ რევოლუციური ეპოქების დამახასიათებელი სიჩქარით ისახება. მთავრობამ დაიწყო დათმობა სიტყვით და მაშინვე შეტევის მომზადებას შეუდგა საქმით. კონსტიტუციის დაპირებებს უკიდურესად ველური და უკიდურესად უმსგავსი ძალმომრეობა მოჰყვა თითქოს განგებ იმისთვის, რომ კიდევ უფრო თვალსაჩინოდ დაენახვებინათ ხალხისათვის თვითმპყრობელობის რეალური ძალაუფლების მთელი რეალური მნიშვნელობა. წინააღმდეგობა დაპირებებსა, სიტყვებსა, ფარატინა ქაღალდებსა და--სინამდვილეს შორის უსაზღვროდ უფრო საგრძნობი გახდა. მოვლენები საუცხოოდ ადასტურებენ იმ ჭეშმარიტებას, რომელსაც უკვე დიდი ხანია ვუჩიჩინებთ და ყოველთვის გავუმეორებთ მკითხველებს: სანამ ცარიზმის ფაქტიური ძალაუფლება დამხობილი არაა, მანამდე ყველა მისი დათმობა, თვით «დამფუძნებელი» კრებაც კი, — მხოლოდ მოჩვენება, მირაჟი, თვალის ახვევაა.

პეტერბურგის რევოლუციონერმა მუშებმა ეს შესანიშნავი სიცხადით გამოთქვეს ერთ-ერთ იმ ყოველდღიურ ბიულეტენში [117], რომელსაც ჯერ ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ რომლის შესახებ სულ უფრო ხშირად იუწყებიან საზღვარგარეთული გაზეთები, გაოცებულნი და დაშინებულნი პროლეტარიატის სიძლიერით. «ჩვენ გვებოძა კრების თავისუფლება, — წერდა საგაფიცვო კომიტეტი (ჩვენ ინგლისურიდან ისევ რუსულად ვთარგმნით, რის გამო, რა თქმა უნდა, აუცილებელია ერთგვარი არასიზუსტე), — მაგრამ ჩვენი კრებები ჯარებითაა გარშემორტყმული. ჩვენ გვებოძა ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება, მაგრამ ცენზურა კვლავ არსებობს. შეგვპირდნენ მეცნიერების თავისუფლებას, მაგრამ უნივერსიტეტი ჯარისკაცებითაა დაკავებული. გვებოძა პიროვნების ხელუხლებლობა, მაგრამ საპყრობილეები პატიმრებით გაჭედილია. გვებოძა ვიტე, მაგრამ ტრეპოვი განაგრძობს არსებობას. გვებოძა კონსტიტუცია, მაგრამ თვითმპყრობელობა განაგრ-

ძობს არსებობას. ჩვენ ყველაფერი მოგვეცა, მაგრამ არაფერი არა გვაქვს».

«მანიფესტი» შეაჩერა ტრეპოვმა. კონსტიტუცია დააკავა ტრეპოვმა. თავისუფლებათა ჭეშმარიტი მნიშვნელობა განმარტა იმავე ტრეპოვმა. ამნისტია დაამახინჯა ტრეპოვმა.

მერე, რა არის ეს ტრეპოვი? არაჩვეულებრივი პიროვნება, რომლის თავიდან მოშორებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებოდა? სრულიადაც არა. ეს ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი პოლიციელია, რომელიც თვითმპყრობელობის უაღრესად ჩვეულებრივ სამუშაოს ასრულებს, განაგებს ჯარებსა და პოლიციას.

მაშ რატომ მოხდა, რომ ამ ჩვეულებრივზე ჩვეულებრივმა პოლიციელმა და მისმა ყოვლად უფერულმა «მუშაობამ» უცბად ასეთი უსაზომოდ დიდი მნიშვნელობა მოიპოვა? იმიტომ, რომ რევოლუციამ უზარმაზარი ნაბიჯი გადადგა წინ, ნამდვილი დასასრული მოაახლოვა. პროლეტარიატის ხელმძღვანელობით ხალხი პოლიტიკურად ვაჟკაცდება არა დღეობით, არამედ საათობით — ან, თუ გნებავთ, არა წლობით, არამედ კვირაობით. და თუ პოლიტიკურად ჯერ კიდევ მძინარე ხალხის წინაშე ტრეპოვი სრულიად ჩვეულებრივი პოლიციელი იყო, ხალხის წინაშე, რომელმაც თავისი თავი პოლიტიკურ ძალად შეიცნო, ტრეპოვი აუტანელი გახდა, რადგან ასახიერებს ცარიზმის მთელ ველურობას, დანაშაულობასა და უაზრობას.

რევოლუცია გვასწავლის. იგი ხალხის ყველა კლასსა და რუსეთის ყველა ხალხს ჩინებულ საგნობრივ გაკვეთილებს აძლევს კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი ი ს დ ე დ ა ა რ ს ი ს თემაზე. რევოლუცია გვასწავლის იმით, რომ უთვალსაჩინოესი, ხელშესახები სიცხადით წინ აყენებს პოლიტიკის მორიგ გადასაჭრელ საკითხებს, ხალხის მასებს აიძულებს იგრძნონ ეს ამოცანები, შეუძლებლად ხდის თვით ხალხის არსებობას ამ ამოცანათა გადაუჭრელად, საქმით ააშკარავებს ყველა და ყოველგვარი საფარის, მომიზეზების, დაპირების, აღსარების უვარგისობას. «ჩვენ ყველაფერი მოგვეცა, მაგრამ არაფერი

არა გვაქვს». რადგან «მოგვეცა» მხოლოდ დაპირებანი, რადგან ნამდვილი ძალაუფლება არა გვაქვს. ჩვენ პირისპირ მივადექით თავისუფლებას, ჩვენ ყველანი ვაიძულეთ, თვით მეფეც კი, ეღიარებინათ თავისუფლების აუცილებლობა. მაგრამ ჩვენ გვესაჭიროება არა თავისუფლების აღიარება, არამედ ნამდვილი თავისუფლება. ჩვენ გვესაჭიროება არა ფარატინა ქაღალდი, რომელიც საკანონმდებლო უფლებებს აღუთქვამს ხალხის წარმომადგენლებს. ჩვენ გვესაჭიროება ხალხის ნამდვილი თვითმპყრობელობა. რაც უფრო მივუახლოვდით მას, მით უფრო აუტანელი გახდა მისი უქონლობა. რაც უფრო მომხიბვლელია მეფის მანიფესტები, მით უფრო აუტანელია მეფის ძალაუფლება.

ბრძოლა უახლოვდება დასასრულს, იმ საკითხის გადაჭრას, რჩება თუ არა რეალური ძალაუფლება მეფის მთავრობის ხელში. რაც შეეხება რევოლუციის აღიარებას, იგი ახლა უკვე ყველამ აღიარა. კარგა ხანია აღიარეს ბ-მა სტრუვემ და ოსვობოჟდენიელებმა, ახლა აღიარა ბ-მა ვიტემ, აღიარა ნიკოლოზ რომანოვმაც. ყოველივეს აღგითქვამთ, რაც გსურთ, ამბობს მეფე, ოღონდ ძალაუფლება შემინარჩუნეთ, ნება მომეცით თვითონ შევასრულო ჩემი დაპირებანიო. ამას შეიცავს მეფის მანიფესტი, და გასაგებია, რომ მას არ შეეძლო ბიძგი არ მიეცა გადამწყვეტი ბრძოლისათვის. ყველაფერს გიბოძებთ, გარდა ძალაუფლებისა, — აცხადებს ცარიზმი. ყველაფერი მოჩვენებაა, გარდა ძალაუფლებისა, — უპასუხებს რევოლუციური ხალხი.

ნამდვილი მნიშვნელობა იმ მოჩვენებითი უაზრობისა, სადამდისაც რუსეთის საქმეები მივიდა, იმაში მდგომარეობს, რომ ცარიზმი ცდილობს რევოლუცია მოატყუოს, გვერდი აუაროს მას ბურჟუაზიასთან შეთანხმების საშუალებით. მეფე ბურჟუაზიას სულ უფრო და უფრო მეტს ჰპირდება და სინჯავს, ხომ არ დაიწყება, ბოლოს და ბოლოს, შეძლებული კლასების საყოველთაო შებრუნება «წესრიგისაკენ». მაგრამ სანამ ეს «წესრიგი» სახიერდება ტრეპოვისა და მისი შავი რაზმების თარეშში, — მეფის მოწოდებას მოელის უდაბნოსა

შინა მღალადებლის ხმად დარჩენა. მეფეს ერთნაირად ესაჭიროება ვიტეც და ტრეპოვიც: ვიტე — ზოგიერთთა მისატყუებლად; ტრეპოვი — სხვათა შესაკავებლად; ვიტე — დაპირებებისათვის, ტრეპოვი — საქმისათვის; ვიტე — ბურჟუაზიისათვის, ტრეპოვი პროლეტარიატისათვის. და ჩვენს წინაშე კვლავ იშლება, მხოლოდ განვითარების შეუდარებლად უფრო მაღალ საფეხურზე, იგივე სურათი, რომელიც ჩვენ ვიხილეთ მოსკოვის გაფიცვების დასაწყისში: ლიბერალები მოლაპარაკებას აწარმოებენ, მუშები იბრძვიან.

ტრეპოვმა მშვენივრად გაიგო თავისი როლი და თავისი ნამდვილი მნიშვნელობა. იგი, შეიძლება, მხოლოდ მეტისმეტად აჩქარდა, — დიპლომატ ვიტესთვის, — მაგრამ მას ხომ დაგვიანებისა ეშინოდა, რადგან ხედავდა, თუ რა ჩქარა მიაბიჯებს რევოლუცია. ტრეპოვი იძულებულიც კი იყო აჩქარებულიყო, რადგან გრძნობდა, რომ მის განკარგულებაში მყოფი ძალები კლებულობდნენ.

თვითმპყრობელობის კონსტიტუციურ მანიფესტთან ერთად დაიწყო კონსტიტუციის თვითმპყრობელური გაფრთხილებანი. შავი რაზმები ისე ამოქმედდნენ, რომ რუსეთს ასეთი რამ ჯერ არ უნახავს. რუსეთის ყველა კუთხიდან მოდის ცნობები ხოცვა-ჟლეტის, დარბევის, გაუგონარი მხეცობის შესახებ. გაბატონებულია თეთრი ტერორი. სადაც კი შესაძლებელია, პოლიცია ძარცვა-გლეჯისა და ძალმომრეობისთვის ფეხზე აყენებს და რაზმავს კაპიტალისტური საზოგადოების ნაძირალებს, ათრობს ქალაქის მოსახლეობის გარეწრებს, აწყობს ებრაელთა დარბევებს და აქეზებს მათ სცემონ «სტუდენტებს» და მეამბოხეებს, ხელს უწყობს ერობის მოღვაწეების «მოჭკვიანებას». კონტრრევოლუცია გაფაციცებით მუშაობს. ტრეპოვი «იმედებს ამართლებს». ხალხს უშენენ მიტრალიეზს (ოდესა), თვალებს სთხრიან (კიევი), მეხუთე სართულიდან ქვაფენილზე ჰყრიან, მთელ სახლებს იერიშით იღებენ, არბევენ და ძარცვავენ, ცეცხლს უკიდებენ და ჩაქრობის ნებას არავის აძლევენ, ხვრეტენ, ვინც გაბედავს შავი რაზმების წინააღმდეგობის გაწევას. პოლონეთიდან დაწყებუ-

ლი ციმბირამდე, ფინეთის ყურის სანაპიროებიდან მოკიდებული შავ ზღვამდე, — ყველგან ერთი და იგივე ამბავი ხდება.

მაგრამ შავი რაზმის ამ თარეშთან, თვითმპყრობელური ხელისუფლების ამ ორგიასთან, საზარელი ცარიზმის ამ უკანასკნელ სულთმობრძაობასთან ერთად ნათლად იჩენს თავს პროლეტარიატის ახალხალი იერიში, პროლეტარიატისა, რომელიც, როგორც ყოველთვის, მხოლოდ გარეგნულად ცხრება მოძრაობის ყოველი აზვირთების შემდეგ, ნამდვილად კი ძალებს იკრებს და გადამწყვეტი დაკვრისათვის ემზადება. პოლიციის უწესობამ რუსეთში ამჟამად უკვე სულ სხვა ხასიათი მიიღო, ვიდრე წინათ ჰქონდა, — ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო. კაზაკთა შურისძიების მძვინვარებისა და ტრეპოვის «რევანშის» გვერდით მეფის ხელისუფლების გახრწნა სულ უფრო წინ მიდის. ამას გვიჩვენებს პროვინციაც, ფინეთიც, პიტერიც, ეს თავს იჩენს იმ ადგილებშიც, სადაც ხალხი ყველაზე მეტად დაბეჩავებულია და სადაც პოლიტიკური განვითარება ყველაზე უფრო სუსტია, ეს თავს იჩენს სხვა ტომებით დასახლებულ განაპირა მხარეებშიც და დედაქალაქშიც, სადაც მოსალოდნელია რევოლუციის უდიდესი დრამის დატრიალება.

მართლაც, შეადარეთ ერთმანეთს აი ეს ორი დეპეშა, რომელიც ამოვიღეთ ვენის წინამდებარე ბურჟუაზიულ-ლიბერალური გაზეთიდან [118]: «ტ ვ ე რ ი. გუბერნატორ სლეპცოვის თვალწინ ბრბო თავს დაესხა საერობო დაწესებულებათა შენობას. მერე ბრბოთი გარშემორტყმულ სახლს ცეცხლი წაუკიდეს. მეხანძრეებმა უარი თქვეს ცეცხლის ჩაქრობაზე. ჯარი იქვე იდგა, მაგრამ არავითარ ზომებს არ იღებდა დამრბევთა წინააღმდეგ» (ჩვენ, რა თქმა უნდა, თავს ვერ ვიდებთ პასუხისმგებლობას სწორედ ამ ცნობის სრული სისწორისთვის, მაგრამ ყოვლად უცილობელი ფაქტია, რომ ამგვარი და ასჯერ უარესი ამბები ხდება ყველგან). «ყ ა ზ ა ნ ი. ხალხმა იარაღი აჰყარა პოლიციას. ჩამორთმეული იარაღი მოსახლეობაში განაწილდა. მოეწყო სახალხო მილიცია. სრული წესრიგი სუფევს».

მართლაც, რა საგულისხმოა ამ ორი სურათის შედარება? შურისძიება, უწესობა, დარბევა. მეფის ხელისუფლების დამხობა და ძლევამოსილი აჯანყების ორგანიზაცია.

ფინეთი გვიჩვენებს იმავე მოვლენებს შეუდარებლად უფრო ფართო მასშტაბით. მეფისნაცვალი გაძევებულია. ლაქიასენატორები გადააყენა ხალხმა. რუს ჟანდარმებს ერეკებიან იქიდან. ჟანდარმები ცდილობენ შური იძიონ (დეპეშა გაპარანდიდან 4 ნოემბრის თარიღით ახ. სტ.) და აზიანებენ რკინიგზას. მაშინ უწესოების ჩამდენი ჟანდარმების დასაპატიმრებლად გზავნიან შეიარაღებული სახალხო მილიციის რაზმებს. მოქალაქეების კრებაზე ტორნეოში გადაწყდა მოეწყოს იარაღისა და თავისუფალი ლიტერატურის შემოზიდვა. ქალაქად და სოფლად ათასობით და ათიათასობით ეწერებიან ფინეთის მილიციაში. იუწყებიან, რომ ძლიერი ციხე-სიმაგრის (სვეაბორგის) რუსმა გარნიზონმა თანაგრძნობა გამოუცხადა აჯანყებულ ხალხს და სახალხო მილიციას გადასცა ციხე-სიმაგრე. ფინეთი ზეიმობს. მეფე დათმობის მომხრეა, მზადაა სეიმი მოიწვიოს, აუქმებს 1899 წლის 15 თებერვლის უკანონო მანიფესტს, იწყნარებს ხალხის მიერ გაძევებული სენატორების «გადადგომას». ხოლო ამავე დროს «ნოვოე ვრემია» რჩევას იძლევა ფინეთის ყველა ნავსადგურის ბლოკადა მოვახდინოთ და აჯანყება შეიარაღებული ხელით ჩავაქროთ. საზღვარგარეთული გაზეთების დეპეშების ცნობით ჰელსინგფორსში დიდძალი რუსის ჯარია დაბანაკებული (არ ვიცით, რამდენად გამოსადეგია იგი აჯანყების ჩასაქრობად). რუსეთის სამხედრო გემები, თითქოს, შევიდნენ ჰელსინგფორსის შიდა ნავსადგურში.

პეტერბურგი. რევოლუციური ხალხის ზეიმისთვის (მეფის ხელიდან გამოგლეჯილი დათმობის გამო) ტრეპოვი შურს იძიებს. კაზაკები თარეშობენ. ხოცვა-ჟლეტა ძლიერდება. პოლიცია აშკარად აწყობს შავ რაზმებს. მუშებს განზრახვა ჰქონდათ უზარმაზარი დემონსტრაცია მოეწყოთ კვირას, 5 ნოემბერს (23 ოქტომბერს). მათ სურდათ საჯაროდ პატივი ეცათ თავიანთი გმირ-ამხანაგების ხსოვნისთვის, რომელნიც თავი-

სუფლებისთვის ბრძოლაში დაიხოცნენ. მთავრობა თავის მხრივ უდიდეს სისხლისღვრას ამზადებდა. პიტერისთვის იგი ამზადებდა იმას, რაც მცირე მასშტაბით მოსკოვში დატრიალდა (ხოცვა-ჟლეტა მუშების ბელადის ბაუმანის დასაფლავებაზე). ტრეპოვს სურდა გამოეყენებინა მომენტი, როცა მას ჯერ კიდევ დაქსაქსული არ ჰყავდა თავისი ჯარები მათი ნაწილის ფინეთში გაგზავნით, — მომენტი, როცა მუშები აპირებდნენ მანიფესტაციის გამართვას და არა ბრძოლას.

პეტერბურგელმა მუშებმა განჭვრიტეს მტრის განზრახვა. დემონსტრაცია მოხსნეს. მუშათა კომიტეტმა გადაწყვიტა უკანასკნელი ბრძოლა მოეწყო არა მაშინ, როცა მისთვის მომენტის შერჩევა ტრეპოვმა ინება. მუშათა კომიტეტმა სწორად განსაჯა, რომ მთელი რიგი მიზეზები (მათ შორის აჯანყება ფინეთში) ბრძოლის გადადებას ტრეპოვისთვის არახელსაყრელად ხდის, ხოლო ჩვენთვის — ხელსაყრელად. ჯერჯერობით კი — გაძლიერებით ამზადებენ შეიარაღებას. პროპაგანდა ჯარებში შესანიშნავი წარმატებით მიმდინარეობს. იუწყებიან, რომ დაპატიმრებულია მე-14 და მე-18 საფლოტო ეკიპაჟის 150 მატროსი, ხოლო უკანასკნელ კვირანახევრის განმავლობაში ოფიცრებზე 92 საჩივარია შეტანილი რევოლუციონერების თანაგრძნობისათვისაო. თვით პიტერის «დამცველ» პატრულებს ურიგდებათ პროკლამაციები, რომელნიც ჯარს მოუწოდებენ გადავიდნენ ხალხის მხარეზე. რევოლუციური პროლეტარიატი თავისი ძლიერი ხელით რაოდენადმე აფართოებს ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას, რომელიც აღგვითქვეს ტრეპოვის მიერ ნებადართულ ფარგლებში. შაბათს, 22 ოქტომბერს (4 ნოემბერს), საზღვარგარეთული გაზეთების ცნობით, პიტერში მხოლოდ ის გაზეთები გამოვიდა, რომელნიც დაეთანხმნენ მუშების მოთხოვნას ცენზურის უგულებელყოფის შესახებ. პიტერის ორი გერმანული გაზეთი, რომელთაც მოისურვეს «ლოიალურად» (მონურად) დარჩენა, ვერ გამოვიდა. «ლეგალური» გაზეთები — იმ მომენტიდან, როცა ლეგალურის ფარგლების განსაზღვრა დაიწყო არა ტრეპოვმა, არამედ პეტერბურგის გაფიცულთა კავშირმა — არაჩვეულებ-

რივ თამამი ენით ალაპარაკდნენ. «გაფიცვა მხოლოდ დროებით შეწყდაო, — დეპეშით ატყობინებენ «Neue Freie Presse»-ს* 23 ოქტომბერს (5 ნოემბერს), — აცხადებენ, გაფიცვა კვლავ განახლდება, როცა დადგება დრო ძველი რეჟიმისთვის უკანასკნელი მახვილის ჩასაცემადაო. დათმობა არავითარ შთაბეჭდილებას აღარ ახდენს პროლეტარიატზე. მდგომარეობა მეტისმეტად საშიშია. რევოლუციური იდეები სულ უფრო და უფრო ფართო მასებს ედება. მუშათა კლასი თავს მდგომარეობის ბატონ-პატრონად გრძნობს. აქედან (პეტერბურგიდან) უკვე მიდიან ისინი, ვისაც მომავალი კატასტროფა აშინებს».

დასასრული ახლოვდება. ხალხის აჯანყების გამარჯვება უკვე შორს აღარაა. რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ლოზუნგები მოულოდნელი სისწრაფით ხორციელდება. დაე ტრეპოვმა კიდევ იწრიალოს რევოლუციურ ფინეთსა და რელუციურ პეტერბურგს შორის, რევოლუციურ განაპირა მხარეებსა და რევოლუციურ პროვინციას შორის. დაე სცადოს და აირჩიოს მან თუნდ ერთი საიმედო ადგილი თავისუფალი სამხედრო ოპერაციებისთვის. დაე უფრო ფართოდ გავრცელდეს მეფის მანიფესტი, დაე უფრო მეტად გახმაურდეს რევოლუციური ცენტრების ამბები, — ეს ჩვენ ახალ მომხრეებს შეგვმატებს, ეს ახალ მერყეობასა და გახრწნას შეიტანს მეფის მომხრეთა შეთხელებულ რიგებში.

სრულიად რუსეთის პოლიტიკურმა გაფიცვამ საუცხოოდ შეასრულა თავისი საქმე, წინ წასწია აჯანყება, საშინელი ჭრილობები მიაყენა ცარიზმს, ჩაფუშა საზიზღარი სახელმწიფო სათათბიროს საზიზღარი კომედია. გენერალური რეპეტიცია დამთავრდა. როგორც ყველაფრით ჩანს, ჩვენ თვით დრამის წინაშე ვდგევართ. ვიტე სიტყვათა ნიაღვრით იცლება. ტრეპოვი სისხლის ნიაღვრით იცლება. მეფეს უკვე მეტად ცოტა დაპირება დარჩა, რომლის მიცემაც მას კიდევ შეუძლია. ტრეპოვს მეტად მცირე შავრაზმული ჯარი შერჩა, რომ-

* — «ახალი თავისუფალი პრესა». რ ე დ.

ლის გამოყვანა კიდევ შეიძლება უკანასკნელ ბრძოლაში. რევოლუციური ჯარის რიგები კი სულ უფრო და უფრო იზრდება, ძალები იწვრთნებიან ცალკეულ შეტაკებებში, წითელი დროშა ახალ რუსეთზე სულ უფრო და უფრო მაღლა ფრიალებს.

«პროლეტარი» № 25,
1905 წ. 16 (3) ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

ჩანართი ვ. კალინინის სტატიაში «გლეხთა ურილობა» [119]

მაშასადამე, ჩვენ ვხედავთ, რომ შეგნებული სოციალისტები უსათუოდ მხარს უნდა უჭერდნენ მოხელეებისა და მემამულეების წინააღმდეგ მთელი გლეხობის რევოლუციურ ბრძოლას, თვით შეძლებული გლეხობისაც კი, მაგრამ შეგნებული სოციალისტები პირდაპირ და ნათლად უნდა აღნიშნავდნენ, რომ გლეხებისათვის სანუკვარი «მიწის გადანაწილება» სულაც არაა სოციალიზმი. სოციალიზმი მოითხოვს ფულის ბატონობის, კაპიტალის ბატონობის მოსპობას, წარმოების საშუალებათა მთელი კერძო საკუთრების მოსპობას, სასაქონლო მეურნეობის მოსპობას. სოციალიზმი მოითხოვს, რომ მიწა და ფაბრიკები გადავიდეს ყველა მშრომელის ხელში, რომლებიც საერთო გეგმით აწყობენ მსხვილ (და არა დაქსაქსულ წვრილ) წარმოებას.

გლეხთა ბრძოლა მიწისა და თავისუფლებისათვის დიდი ნაბიჯის გადადგმაა სოციალიზმისაკენ, მაგრამ ეს სოციალიზმი სულაც არ არის.

«პროლეტარი» № 25,
1905 წ. 16 (3) ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

ორ ბრძოლას შუა

ქენევა, 15 ნოემბერი ახ. სტ.

დიდი ბრძოლა, რომელიც პროლეტარიატმა გაუმართა ცარიზმს, დამთავრდა. სრულიად რუსეთის პოლიტიკური გაფიცვა, როგორც ჩანს, თითქმის ყველგან შეწყდა. მტერმა ყველაზე მეტად უკან დაიხია ერთ-ერთ ფლანგზე (ფინეთი), მაგრამ სამაგიეროდ ის გამაგრდა მეორე ფლანგზე (სამხედრო წესების გამოცხადება პოლონეთში). ცენტრში მტერმა სულ ცოტათი დაიხია უკან, თუმცა ახალი ძლიერი პოზიცია დაიკავა და უფრო სისხლისმღვრელი და უფრო გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადება. სამხედრო შეტაკება განუწყვეტლივ ხდება მთელი ხაზით. ორივე მხარე იჩქარის შეივსოს დანაკლისი, შეამჭიდროოს რიგები, დაირაზმოს და რაც შეიძლება უკეთ შეიარაღდეს შემდგომი ბრძოლისათვის.

ასეთია, დაახლოებით, საქმის ვითარება ამჟამად თავისუფლებისათვის ბრძოლის ასპარეზზე. სამოქალაქო ომი ბუნებრივად იმით განირჩევა სხვა ომებისაგან, რომ ბრძოლების ფორმები ბევრად უფრო მრავალფეროვანია, მებრძოლთა რაოდენობისა და შემადგენლობის აღრიცხვა ორივე მხარეზე ყველაზე ნაკლებ მოსახერხებელია და ყველაზე უფრო მერყეობს, ზავის ან თუნდაც დროებითი ზავის ჩამოგდების ცდები მებრძოლთაგან არ გამომდინარეობს და უცნაურად გადახლართულია სამხედრო მოქმედებასთან.

სამხედრო მოქმედების დროებითი შეჩერება განსაკუთრე-

ბით აქეზებს «შემარიგებელთა» გამბედაობას. ვიტე წელებზე ფეხს იდგამს, რათა როგორც პირდაპირ, ისე ლაქიური პრესის საშუალებით ასეთ «შემარიგებლად» გაასაღოს თავი და თან, როგორც კი ეს შესაძლებელია, დაფაროს თავისი როლი ცარიზმის დიპლომატის მსახურისა. მთავრობის ცნობა აღიარებს — გულუბრყვილო ლიბერალების სასიამოვნოდ — შავრაზმელთა გმირობაში პოლიციის მონაწილეობას. მთავრობის მსახური პრესა (მაგალითად, «ნოვოე ვრემია») თავს ისე გვაჩვენებს, თითქოს გმობს როგორც რეაქციონერთა უკიდურესობას, ისე, რა თქმა უნდა, რევოლუციონერთა «უკიდურესობასაც». რეაქციის უკიდურესი წარმომადგენლები თავიანთ პოსტებს სტოვებენ (პობედონოსცევი, ვლადიმირი, ტრეპოვი), რადგან უკმაყოფილონი არიან წვრილმანი თამაშით. ნაწილობრივ მათ სიყეყეჩის გამო არ ესმით, რა ხელსაყრელია ეს თამაში ცარიზმის ხელში რაც შეიძლება მეტი ძალაუფლების შენარჩუნებისათვის; ნაწილობრივ მათ იმედი აქვთ — და მართებულიცაა მათი იმედი, — რომ მათთვის უფრო ხელსაყრელია სრულიად თავისუფლად შეეძლოთ მონაწილეობის მიღება ამავე თამაშში, ოღონდ სხვა როლში: მონარქის ძლიერებისათვის «დამოუკიდებელ» მებრძოლთა როლში, «რუსი ხალხის ეროვნული გრძნობის შებღალვისათვის (რევოლუციონერთა მხრივ)» «თავისუფალ» შურისმგებელთა როლში, — უბრალოდ რომ ვთქვათ, შავრაზმელ ბელადთა როლში.

ვიტე სიამოვნებით ხელებს იფშვნეტს, როცა ხედავს თავისი საოცრად ეშმაკური თამაშის «დიდ» წარმატებას. ის ინარჩუნებს ლიბერალიზმის უმანკოებას და ენერგიულად სთავაზობს მინისტრის პორტფელებს კადეტების პარტიის წინაძღოლებს (მილიუკოვსაც კი, «Le Temps»-ის* დეპეშის თანახმად), საკუთარი ხელით დაწერილ წერილს უგზავნის ბ-ნ სტრუვეს და სთხოვს დაბრუნდეს სამშობლოში, თან ცდილობს თავი მოაჩვენოს «თეთრად», რომელიც ერთნაირად შორსა დგას «წითლებისგანაც» და «შავებისგანაც». ამავე

* — «დროება». რ ე დ.

დროს ის უმანკოებასთან ერთად გვარიან კაპიტალსაც იძენს, რადგან მეთაურად რჩება მეფის მთავრობისა, რომელსაც შენარჩუნებული აქვს მთელი ძალაუფლება და მხოლოდ უფრო ხელსაყრელ მომეხტს უცდის, რათა გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდეს რევოლუციის წინააღმდეგ.

სავსებით დასტურდება ის დახასიათება, რომელიც ჩვენ მივეცით ვიტეს «პროლეტარში». ის თავისი ფანდებით, «ნიჭითა» და დანიშნულებით კლოუნი მინისტრია. იმ რეალური ძალების მიხედვით, რომლებიც დღემდე მის განკარგულებაშია, ეს არის ლიბერალური ბიუროკრატიის მინისტრი, რადგან ლიბერალურ ბურჟუაზიასთან შეთანხმება მან ჯერ კიდევ ვერ შესძლო. თუმცა ეს საჯარო ვაჭრობა ცოტ-ცოტაობით მაინც წინ მიდის. მოვაჭრე მხარეები წამოიძახებენ ხოლმე თავიანთ უკანასკნელ ფასს, ხელს ართმევენ ერთიმეორეს, ხოლო გარიგება გადასაწყვეტად გადააქვთ საერობო ყრილობაზე, რომელიც ამ დღეებში უნდა შესდგეს. ვიტე ცდილობს მოისყიდოს ბურჟუაზიული ინტელიგენცია, რისთვისაც აფართოებს სათათბიროს არჩევნების საარჩევნო უფლებებს, აძლევს განათლების ცენზს, თვით მუშებსაც კი (რომლებიც უნდა დასჯერდნენ 21 ადგილს «მუშებისგან» არაპირდაპირი არჩევნების სისტემის დროს!!) უგდებს უბადრუკ ნაჭერს, ფიცულობს, რომ ოღონდ კი შეიკრიბოს სათათბირო, ოღონდ კი მიემხროს იგი ან თუნდაც მისი უმცირესობა საყოველთაო საარჩევნო უფლებას და მისი, ვიტეს, მხარისდაჭერა ამ მოთხოვნისთვის სავსებით უზრუნველყოფილიაო.

მაგრამ საჯარო ვაჭრობა ჯერჯერობით მაინც არავითარ შედეგს არ იძლევა. მოვაჭრე მხარეები მოლაპარაკებას აწარმოებენ იმათ ზურგს უკან, ვინც მართლაც იბრძვის, და ამას არ შეუძლია არ მოადუნოს ჩვენ «პატიოსან მაკლერთა» ცდები. ლიბერალური ბურჟუაზია თვითონ სიამოვნებით მიიღებდა სახელმწიფო სათათბიროს, — აკი იღებდა მას «სათათბირო სახითაც» კი, აკი მან უარყო აქტიური ბოიკოტი. უკვე სექტემბერში. მაგრამ საქმეც ისაა, რომ ამ ორ თვეში, რომელმაც მას შემდეგ განვლო, რევოლუციამ გიგანტური ნაბიჯი გადადგა წინ, პროლეტარიატმა სერიოზული ბრძოლა გამართა და პირ-

ველად მოიპოვა ერთბაშად დიდი გამარჯვება. სახელმწიფო სათათბირო, სახალხო წარმომადგენლობის ეს საძულველი და საძაგელი კომედია, დასამარებული აღმოჩნდა: ის სრულიად დაამსხვრია პროლეტარიატის მძლავრი შეტევის პირველმა დარტყმამ. რევოლუციამ რამდენიმე კვირაში გამოააშკარავა მათი სიბეცე, ვინც ემზადებოდა ბულიგინის სათათბიროში წასასვლელად ან ფიქრობდა მხარი დაეჭირა სათათბიროში მიმავალთათვის. აქტიური ბოიკოტის ტაქტიკა ბრწყინვალედ დადასტურდა, ასეთი დადასტურება შეიძლება მიიღოს მხოლოდ პოლიტიკური პარტიების ტაქტიკამ ბრძოლის მომენტებში: დადასტურდა საქმით, შემოწმდა მოვლენათა მსვლელობით, უდავო და უცილობელ ფაქტად იქნა აღიარებული ის, რაც გუშინ ბეც ადამიანებს და მშიშარა ჩარჩებს ეჩვენებოდათ მეტად გაბედულ «ნახტომად უცნობ სამყაროში».

მუშათა კლასმა კარგად შეაშინა «სათათბიროს» კომედიანტები, — ისე შეაშინა, რომ მათ ახლა ფეხის დადგმისაც კი ეშინიათ ამ სუსტ, ჩამტვრეულ ხიდზე, ეშინიათ დაენდონ ამ «უახლესი», სახელმწიფო «ხელოსნების» მიერ შესრულებული შეკეთების გამძლეობას. როლები ცოტათი შეიცვალა. გუშინ ამხანაგ პარვუსს, ჩერევანინსა და მარტოვს სურდათ რევოლუციური ვალდებულების ხელწერილი ჩამოერთმიათ იმათთვის, ვინც ამ ხიდზე გადის, ხელწერილი იმისა, რომ სათათბიროში უსათუოდ მოითხოვენ დამფუძნებელი კრების მოწვევას. დღეს ამ სოციალ-დემოკრატების ადგილი დაიკავა მინისტრთა კაბინეტის პრეზიდენტმა გრაფმა სერგი იულის-ძე ვიტემ, რომელიც უკვე იძლევა «რევოლუციური» ვალდებულების ხელწერილს, რომ მხარს დაუჭერს სათათბიროს თუნდაც ერთადერთ დეპუტატს, რომელიც დამფუძნებელი კრების მოწვევას მოითხოვს.

მაგრამ ლიბერალურმა ბურჟუებმა, კადეტებმა, ისე შეირცხვინეს თავი პირველად, რომ არა გვგონია მოისურვონ სავალალო ცდის განმეორება. მათ უკვე სავსებით მოაგვარეს «საარჩევნო კამპანია», ჩვენმა კეთილმა «ოსვობოჟდენიელმა» და «რუსსკიევედომოსტელმა» პარლამენტარიებმა; მათ უკვე აირჩიეს ცენტრალური კომიტეტი ამ კამპანიის სახელმძღვანე-

ლოდ: მათ იურიდიული ბიუროც კი მოაწყეს მოსახლეობისთვის რჩევათა მისაცემად იმის შესახებ, აქვს თუ არა უფლება ბოქაულს უშუალოდ გარეკოს გლეხთა ამრჩევლები თუ წინასწარ გუბერნატორს უნდა შეეკითხოს. ერთი სიტყვით, ისინი თითქმის სულ მთლად მოემზადნენ დასაწოლად რუსეთის ყველა ობლომოვისთვის ბოძებულ სავარძელზე, და უცბად... მხრის უგუნური შერხევით პროლეტარიატმა ზურგიდან გადაიგდო სათათბირო და «სათათბიროს» მთელი კამპანია. რაღა გასაკვირველია, რომ ლიბერალურ ბურჟუებს ახლა აღარაფერი სჯერათ ალერსიანი გრაფის «რევოლუციურ ვალდებულებათა ხელწერილებისა». რაღა გასაკვირველია, რომ მათ ახლა ნაკლები სურვილი აქვთ ჩამოართვან გრაფს მათკენ გაშვერილი ხელი, რომ ისინი უფრო ხშირად იხედებიან მარცხნივ, თუმცა ნერწყვი მოსდით, როცა ხედავენ სათათბიროს ფუნთუშა, ახალი მოშაქრული გრეხილებით შემკულ ღვეზელს.

ვიტეს მოლაპარაკებას ლიბერალური ბურჟუაზიის ბელადებთან უსათუოდ უაღრესად სერიოზული პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მხოლოდ იმ მხრივ, რომ ის ზედმეტად ადასტურებს კაპიტალის ინტერესების დამცველებთან მოლიბერალო ბიუროკრატიის შინაგან ნათესაობას, — მხოლოდ იმ მხრივ, რომ ის ზედმეტად ცხადყოფს სახელდობრ როგორ და სახელდობრ ვინ აპირებს რუსეთის რევოლუციის დასამარებას. მაგრამ ეს მოლაპარაკება და შეთანხმების მოჭახრაკება სწორედ იმიტომ იფუშება, რომ რევოლუცია კიდევ ცოცხლობს. რევოლუცია არათუ ცოცხლობს, — იგი უფრო ძლიერია, ვიდრე ოდესმე ყოფილა, მას ჯერ კიდევ არ უთქვამს თავისი უკანასკნელი სიტყვა, მან მხოლოდ ახლა დაიწყო გაშლა პროლეტარიატისა და რევოლუციური გლეხობის ძალების მთელი გაქანებით. აი რატომ აქვს ბურჟუაზიასთან მინისტრ-კლოუნის მოლაპარაკებას და გარიგებას ასეთი უსიცოცხლო ხასიათი: ის ვერ მიიღებს სერიოზულ მნიშვნელობას ცხარე ბრძოლის დროს, როცა მტრული ძალები პირისპირ დგანან ორ გადამწყვეტ ბრძოლას შუა.

ასეთს დროს მტკიცე, ნათელი და გარკვეული უნდა იყოს პოლიტიკა რევოლუციური პროლეტარიატისა, რომელსაც შეგ-

ნებული აქვს თავისი მსოფლიო-ისტორიული მიზნები და მი-ისწრაფის მშრომელთა არა მარტო პოლიტიკური, არამედ ეკო-ნომიური განთავისუფლებისკენაც და რომელიც ერთი წუთი-თაც არ ივიწყებს თავის სოციალისტურ მიზნებს. მინისტრ-კლოუნის საზიზღარ სიცრუეს, ლიბერალებისა და ბურჟუაზი-ული დემოკრატების კონსტიტუციურ ილუზიებს მან უფრო გადაჭრით, ვიდრე ოდესმე, უნდა დაუპირისპიროს თავისი ლოზუნგი სრულიად სახალხო შეიარაღებული აჯანყებით მე-ფის ძალაუფლების დამხობისა. რევოლუციურ პროლეტა-რიატს ზიზღსა ჰგვრის ყოველგვარი პირმოთნეობა და ისიც ულმობელად იბრძვის საქმის ნამდვილი ვითარების მიფუჩე-ჩების ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ. ხოლო დღევანდელ სიტყვებში რუსეთის კონსტიტუციური რეჟიმის შესახებ ყო-ველი სიტყვა პირმოთნეობაა, ყოველი ფრაზა ძველი, გაცვე-თილი სიცრუეა, რომლის მიზანია თვითმპყრობელურ-ბატონ-ყმური რუსეთის ამა თუ იმ ნაშთების გადარჩენა.

მსჯელობენ თავისუფლებაზე, ლაპარაკობენ სახალხო წარ-მომადგენლობაზე, მჭევრმეტყველებენ დამფუძნებელ კრებაზე და მუდამ, ყოველ საათს, ყოველ წუთს ავიწყდებათ, რომ ყვე-ლა ეს კარგი რამეები — სერიოზულ გარანტიებს მოკლებუ-ლი ცარიელი ფრაზებია. ხოლო სერიოზული გარანტია შეიძ-ლება იყოს მ ხ ო ლ ო დ ძლევამოსილი სახალხო აჯანყება, მ ხ ო ლ ო დ შეიარაღებული პროლეტარიატისა და გლეხო-ბის სრული ბატონობა მეფის ძალაუფლების ყველა იმ წარ-მომადგენლებზე, რომლებმაც ერთი ნაბიჯით უკან დაიხიეს ხალხის წინაშე, მაგრამ რომელნიც ჯერ სულაც არ ემორჩი-ლებიან ხალხს, სულაც არ არიან ჩამოგდებული ხალხის მიერ. და სანამ ე ს მიზანი მიღწეული არ არის, მანამდე შ ე უ ძ-ლ ე ბ ე ლ ი ა ი ყ ო ს ნამდვილი თავისუფლება, ხალხის ნამ-დვილი წარმომადგენლობა, ნამდვილი დ ა მ ფ უ ძ ნ ე ბ ე ლ ი კრება, რომელსაც ძალა ექნებოდა ახალი წესწყობილება და-ემყარებინა რუსეთში.

რა არის კონსტიტუცია? ქაღალდი, რომელზედაც დაწერი-ლია ხალხის უფლებები. რა არის ამ უფლებების ნამდვილად აღიარების გარანტია? ხალხის იმ კლასების ძ ა ლ ა, რომლებ-

მაც შეიცნეს ეს უფლებები და შესძლეს მათი მოპოვება. მაშ ნუ მოგვხიბლავს სიტყვები, — ეს მხოლოდ ბურჟუაზიული დემოკრატიის მოლაყბეებს შეჰფერით, — ერთი წუთითაც ნუ დავივიწყებთ იმას, რომ ძალა თავის არსებობას ამტკიცებს მხოლოდ ბრძოლაში გამარჯვებით, და ჩვენ კი ჯერჯერობით სულაც არ მოგვიპოვებია სრული გამარჯვება. მაშ ნუ დავუჯერებთ ლამაზ ფრაზებს, — ჩვენ სწორედ ისეთ დროს განვიცდით, როცა წარმოებს აშკარა ბრძოლა, როცა ყველა ფრაზა და ყველა დაპირება დაუყოვნებლივ მოწმდება საქმით, როცა სიტყვებით, მანიფესტებით, კონსტიტუციის დაპირებებით აბრიყვებენ ხალხს, ცდილობენ შეასუსტონ მისი ძალა, დაქსაქსონ მისი რიგები, აიძულონ იგი განიარაღდეს. ასეთ დაპირებათა და ფრაზებზე უფრო მატყუარა არაფერია, და ჩვენც ამაყად შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსეთის პროლეტარიატი უკვე მომწიფდა ბრძოლისათვის როგორც უხეში ძალმომრეობის, ისე ლიბერალურ-კონსტიტუციური სიყალბის წინააღმდეგ. ამის დამამტკიცებელია რკინიგზელი მუშების ის მოწოდება, რომლის შესახებ გვაუწყეს ამას წინათ საზღვარგარეთულმა გაზეთებმა (ორიგინალი ჩვენ, სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება). შეაგროვეთ იარაღი, ამხანაგებო, — ამბობს ეს მოწოდება, — დაირაზმეთ ბრძოლისათვის დაუღალავად, გაათკეცებული ენერგიით. მხოლოდ მაშინ, თუ შევიარაღდებით და შევამჭიდროებთ ჩვენს რიგებს, შევძლებთ დავიცვათ მონაპოვარი და მივაღწიოთ ჩვენი მოთხოვნების სრულ შესრულებას. დადგება დრო — ჩვენ კვლავ ერთსულოვნად აღვსდგებით ახალი, კიდევ უფრო შეუპოვარი ბრძოლისათვის სრული თავისუფლების მოსაპოვებლად.

აი ერთადერთი ჩვენი გარანტიები! აი თავისუფალი რუსეთის ერთადერთი არა მოჩვენებითი კონსტიტუცია! შეხედეთ, მართლაც, 17 ოქტომბრის მანიფესტს და რუსეთის სინამდვილეს: განა შეიძლება იყოს რაიმე უფრო საგულისხმო, ვიდრე ეს განსხვავება მეფის მიერ კონსტიტუციის ამ აღიარებასა ქაღალდზე და ნამდვილ «კონსტიტუციას», მეფის ძალაუფლების ნამდვილ გამოყენებას შორის? მეფის მანიფესტი ხომ უცილობლად კონსტიტუციური

ხასიათის დაპირებებს შეიცავს. და აი რა ფასი აქვს ამ დაპირებებს. გამოცხადებულია პიროვნების ხელუხლებლობა. მაგრამ ისინი, ვინც თვითმპყრობელობას არ მოსწონს, საპყრობილეებში, გადასახლებაში რჩებიან, განდევნილი არიან. გამოცხადებულია კრებების თავისუფლება. მაგრამ უნივერსიტეტები, რომლებმაც რუსეთში პირველად შემოიღეს კრებების თავისუფლება საქმით, დახურულია და მათ შესავალს პოლიცია ან ჯარი იცავს. ბეჭდვითი სიტყვა თავისუფალია, — ამიტომ მუშათა ინტერესების ორგანოს, გაზეთ «ნოვაია ჟიზნს»[120], კონფისკაციას უკეთებენ სოციალ-დემოკრატიული პროგრამის დაბეჭდვისათვის. შავრაზმელი მინისტრების ადგილი დაიკავეს მინისტრებმა, რომლებმაც უფლებრივი წესწყობილება გამოაცხადეს. მაგრამ შავრაზმელები უფრო გაძლიერებით «მუშაობენ» პოლიციისა და ჯარის დახმარებით ქუჩაში, და ცარიზმისთვის არასასურველ თავისუფალი რუსეთის მოქალაქეებს თავისუფლად და დაუსჯელად ხვრეტენ, სცემენ, ასახიჩრებენ.

ბრმა ან კლასობრივი ანგარებით დაბრმავებული უნდა იყო, რომ ახლა, ცხოვრების ასეთი უაღრესად ჭკუისსასწავლი გაკვეთილების დროს მართლაც სერიოზული მნიშვნელობა მისცე იმას, დაგვპირდება თუ არა ვიტე საყოველთაო საარჩევნო უფლებას, მოაწერს თუ არა მეფე ხელს მანიფესტს «დამფუძნებელი» კრების მოწვევის შესახებ. კიდევაც რომ მოხდეს ეს «აქტები», ისინი მაინც ვერ გადაწყვეტენ ბრძოლის შედეგს, ისინი მაინც ვერ შექმნიან საარჩევნო აგიტაციის ნამდვილ თავისუფლებას, მაინც ვერ უზრუნველყოფენ წარმომადგენელთა საყოველთაო სახალხო კრების ნამდვილი დამფუძნებლობის ხასიათს. დამფუძნებელმა კრებამ იურიდიულად უნდა განამტკიცოს, პარლამენტურად გააფორმოს ახალი რუსეთის ცხოვრების წყობილება, მაგრამ სანამ განამტკიცებდე ახლის გამარჯვებას ძველზე, ამ გამარჯვების გასაფორმებლად ნამდვილად უნდა გაიმარჯვო, უნდა დაამსხვრიო ძველი დაწესებულებების ძალა, აღგავო ისინი, მიწასთან გაასწორო ძველი შენობა, მოსპო პოლიციისა და მისი ხროვის რაოდენადმე სერიოზული წინააღმდეგობის შესაძლებლობა.

არჩევნების სრული თავისუფლების, დამფუძნებელი კრების სრული ძალაუფლების უზრუნველყოფა შეუძლია მხოლოდ აჯანყების სრულ გამარჯვებას, მეფის ხელისუფლების დამხობას და დროებითი რევოლუციური მთავრობით შეცვლას. აქეთკენ უნდა იყოს მიმართული მთელი ჩვენი ძალღონე, აჯანყების ორგანიზაცია და მომზადება უსათუოდ პირველ რიგში უნდა იდგეს. მხოლოდ იმდენად, რამდენადაც აჯანყება ძლევამოსილი იქნება და მისი გამარჯვება იქნება მტრის გადაჭრით მოსპობა, — მხოლოდ ამდენად ხალხის წარმომადგენელთა კრებაც საყოველთაო სახალხო იქნება არა მხოლოდ ქაღალდზე და დამფუძნებელი იქნება არა მხოლოდ სიტყვიერად.

მაშ ძირს ყოველგვარი თვალთმაქცობა, ყოველგვარი სიყალბე და ყოველგვარი ბუნდოვანობა! ომი გამოცხადებულია, ომი გაჩაღებულია, ჩვენ მცირე შესვენება გვაქვს ორ ბრძოლას შუა. შუათანა რამ შეუძლებელია. «თეთრების» პარტია მოტყუებაა მხოლოდ. ვინც რევოლუციის მხარეზე არ არის, ის შავრაზმელია. ამას მარტო ჩვენ როდი ვამტკიცებთ. ეს ჩვენი გამოგონილი ფორმულირება როდია. ამას ღაღადებს სისხლით მორწყული ქვაფენილები მოსკოვსა და ოდესაში, კრონშტადტსა და კავკასიაში, პოლონეთსა და ტომსკში.

ვინც რევოლუციის მხარეზე არ არის, — ის შავრაზმელია. ვისაც არა სურს მოითმინოს ის გარემოება, რომ რუსეთის თავისუფლება იყოს თავისუფლება პოლიციის თარეშისა, მოსყიდვისა, გამოთრობისა, უიარაღოებზე ვერაგულად თავდასხმისა, ის თვითონ უნდა შეიარაღდეს და დაუყოვნებლივ ემზადოს ბრძოლისათვის. ჩვენ უნდა მოვიპოვოთ არა თავისუფლების დაპირება, არა ფარატინა ქაღალდი თავისუფლების შესახებ, არამედ ნამდვილი თავისუფლება. ჩვენ უნდა მივაღწიოთ არა იმას, რომ დავამციროთ მეფის ხელისუფლება, არა იმას, რომ მან აღიაროს ხალხის უფლებები, არამედ იმას, რომ მოვსპოთ ეს ხელისუფლება, რადგან მეფის ხელისუფლება ეს არის შავრაზმელთა ხელისუფლება რუსეთის მიმართ. და ესეც ჩვენი დასკვნა როდია, სრულიადაც არა. ეს არის ცხოვრების დასკვნა. ეს არის მოვლენების გაკვეთილი. ეს არის მათი ხმა,

ვისთვისაც დღემდე უცხო იყო ყოველგვარი რევოლუციური მოძღვრება და ვისაც ვერც ერთი თავისუფალი ნაბიჯი ვერ გადაუდგამს, ვერც ერთი თავისუფალი სიტყვა ვერ უთქვამს ქუჩაში, კრებაზე, თავის ოჯახში ისე, რომ მ ე ფ ი ს მომხრეთა ხროვის მხრივ გათელვის, გაგლეჯის, გაწამების უშუალო და მრისხანე საფრთხე არ მოელოდეს.

რევოლუციამ, ბოლოს და ბოლოს, აიძულა ე ს «სახალხო ძალა», მეფის მომხრეთა ძალა, გადმოეხეთქა გარეთ. მან აიძულა მეფის ხელისუფლება ყველასთვის თვალნათლივ დაენახვებინა, თუ სინამდვილეში ვის ეყრდნობა მეფის ხელისუფლება, ნამდვილად ვინ უჭერს მხარს ამ ხელისუფლებას. აი ვინ არიან ესენი, ეს არმია გამხეცებული პოლიციელებისა, დაბეჩავებულ და გამოყეყეჩებამდე მიყვანილ სამხედრო პირთა, გაველურებული ხუცებისა, უგუნური მედუქნეებისა, კაპიტალისტური საზოგადოების გალოთებული ნაძირალებისა. აი ვინ მ ე ფ ო ბ ს დღეს რუსეთში, ყველა ჩვენი სახელმწიფო დაწესებულების ცხრა მეათედის პირდაპირი და არაპირდაპირი ხელისშეწყობით. აი ვინ არის რუსეთის ვანდეა[121], რომელიც ისევე ჰგავს საფრანგეთის ვანდეას, როგორც «კანონიერი» მონარქი ნიკოლოზ რომანოვი ჰგავს ვიგინდარა ნაპოლეონს. ჩვენს ვანდეასაც არ უთქვამს ჯერ თავისი უკანასკნელი სიტყვა, — შეცდომაში არ შეხვიდეთ ამის გამო, მოქალაქენო. ისიც მხოლოდ ახლა იწყებს გაშლას როგორც საჭიროა. მასაცა აქვს კიდევ «სათბობის მარაგი», დაგროვილი საუკუნეობრივი სიბნელით, უუფლებობით, ბატონყმობით, პოლიციის ყოვლისშემძლეობით. მასში შეერთებულია აზიურობის მთელი სიმხეცე, რომელსაც ახასიათებს ყველა საზიზღარი მხარე ექსპლოატაციისა და გაბრიყვების დახვეწილი ხერხებისა იმათ მიმართ, ვინც ყველაზე მეტად დაბეჩავებული, გაწამებულია ქალაქის კაპიტალისტური ცივილიზაციით, ვინც მხეცზე უარეს მდგომარეობამდეა მიყვანილი. ეს ვანდეა არ გაქრება მეფის არავითარი მანიფესტებით, სინოდის არავითარი ეპისტოლეთი, უმაღლესი და დაბალი ბიუროკრატიის არავითარი ცვლილებით. მისი დაძლევა შეუძლია მხოლოდ ორგანიზებული და განათლებული პროლეტარიატის ძალას, რად-

გან მხოლოდ მას, თვითონ ექსპლოატირებულს, ძალუძს აამაღლოს ყველა მის ქვემოთ მდგომნი, გააღვიძოს მათში ადამიანის და მოქალაქის გრძნობა, უჩვენოს მათ გზა ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან თავის დასაღწევად. მხოლოდ მას შეუძლია შექმნას ბირთვი ძლიერი რევოლუციური არმიისა, ძლიერისა თავისი იდეალებითაც, თავისი დისციპლინითაც, ორგანიზაციითაც, ბრძოლის გმირობითაც, რომელთაც ვერავითარი ვანდეა ვერ დაუდგება წინ.

და პროლეტარიატიც, რომელსაც სოციალ-დემოკრატია ხელმძღვანელობს, უკვე ყველგან შეუდგა ამ რევოლუციური არმიის შექმნას. მის რიგებში უნდა შევიდეს ყველა, ვისაც არა სურს შავრაზმელთა არმიაში ყოფნა. სამოქალაქო ომმა ნეიტრალური ადამიანი არ იცის. ვინც მას გვერდს უვლის, ის თავისი პასიურობით მხარს უჭერს მოზეიმე შავრაზმელებს. წითელ და შავ არმიად იყოფა ჯარიც. სულ ორიოდე კვირის წინათ აღვნიშნავდით, თუ რა სწრაფად ებმება იგი თავისუფლებისათვის ბრძოლაში. კრონშტადტის მაგალითმა თვალსაჩინოდ ნათელყო ეს. დაე არამზადა ვიტეს მთავრობამ დაამარცხოს კრონშტადტის აჯანყება[122], დაე დახვრიტოს მან ახლა ასობით მატროსი, რომლებმაც კვლავ წითელი დროშა ააფრიალეს, — ეს დროშა კიდევ უფრო მაღლა აფრიალდება, რადგან იგი მთელი მსოფლიოს ყველა მშრომელისა და ექსპლოატირებულის დროშაა. დაე «ნოვოე ვრემიას» მსგავსმა მლიქვნელმა პრესამ იყვიროს ჯარის ნეიტრალიტეტზე, — ეს საზიზღარი და თვალთმაქცური სიცრუე კვამლივით იფანტება შავრაზმელთა ყოველი ახალი საგმირო საქმის წინაშე. ჯარი არ შეიძლება იყოს, არასდროს არ ყოფილა და არასდროს არ იქნება ნეიტრალური. იგი სწორედ ახლა უდიდესი სისწრაფით იყოფა თავისუფლების ჯარად და შავი რაზმის ჯარად. ჩვენ დავაჩქარებთ ამ დაყოფას. ჩვენ სამარცხვინო ბოძზე გავაკრავთ ყველა გაუბედავთ და მერყეევთ, ყველას, ვინც უფრთხის სახალხო მილიციის (მოსკოვის ქალაქის საბჭომ, საზღვარგარეთული გაზეთების უკანასკნელი ცნობების მიხედვით, უარყო სახალხო მილიციის შექმნის პროექტი) დაუყოვნებლივ შექმნის იდეას. ჩვენ გავაათკეცებთ ჩვენს აგიტაციას მასებში,

ჩვენს ორგანიზაციულ მუშაობას რევოლუციური რაზმების შექმნის საქმეში. მაშინ შეგნებული პროლეტარიატის არმია შეუერთდება რუსეთის ჯარის წითელ რაზმებს, — და ვნახოთ, დასძლევენ თუ არა პოლიციელთა შავი რაზმები მთელ ახალ, მთელ ახალგაზრდა, მთელ თავისუფალ რუსეთს!

«პროლეტარი» № 26,
1905 წლის 25 (12) ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

შენიშვნები

1 წიგნი «სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში» ლენინმა დაწერა 1905 წლის ივნისს — ივლისს ჟენევაში. 1905 წლის ივლისის დამლევს წიგნი გამოქვეყნდა ჟენევაში რსდმპ ცენტრალური კომიტეტის გამოცემით. იმავე წელს ორჯელ გამოსცეს რუსეთში: რსდმპ ცენტრალურმა კომიტეტმა და ცალკე — რსდმპ მოსკოვის კომიტეტმა 10 ათასი ეგზემპლარის რაოდენობით.

ლენინის წიგნი «სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში» არალეგალურად ვრცელდებოდა მთელ ჩვენს ქვეყანაში: პეტერბურგში, მოსკოვში, ყაზანში, თბილისში, ბაკოსა და სხვა ქალაქებში. ჩხრეკისა და დაპატიმრებათა დროს პოლიცია მრავალ შემთხვევაში პოულობდა მას ათი და მეტი ეგზემპლარის რაოდენობით. 1907 წლის 19 თებერვალს ბეჭდვითი საქმის პეტერბურგის კომიტეტმა ყადაღა დაადო აღნიშნულ წიგნს. იმავე წელს, 22 დეკემბერს, პეტერბურგის სამოსამართლო პალატამ გამოიტანა დადგენილება ამ წიგნის მოსპობის შესახებ.

1907 წელს ლენინმა გამოაქვეყნა «ორი ტაქტიკა» კრებულში «12 წლის მანძილზე» და მას დაურთო ახალი ტექსტქვეშა შენიშვნები. წიგნის «ორი ტაქტიკის» მოსამზადებელი მასალები — გეგმები, კონსპექტები და შენიშვნები, ლენინის მიერ დაწერილი, — გამოქვეყნებულია ლენინის კრებულში V, გვ. 315 — 320 და XVI-ში, გვ. 151 — 156.

რევოლუციის ლენინურ თეორიას, ტაქტიკურ დებულებებს, განვითარებულს ლენინის მიერ მის ისტორიულ წიგნში «სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში», თანამიმდევრად იცავდა და ავითარებდა ამხანაგი სტალინი თავის ნაშრომებში: «შეიარაღებული აჯანყება და ჩვენი ტაქტიკა», «დროებითი რევოლუციური მთავრობა და სოციალ-დემოკრატია» (1905 წელი), «ორი შეჯახება», «დღევანდელი მომენტი და მუშათა პარტიის გაერთიანებელი ყრილობა» (1906 წელი), «წინასიტყვაობა კ. კაუტსკის ბროშურის «რუსეთის რევოლუციის მამოძრავებელი ძალები და პერსპექტივები» ქართული გამოცემისათვის» (1907 წლის თებერვალი) და სხვა ნაწარმოებებში.

ლენინის წიგნის «ორი ტაქტიკის» ისტორიულ მნიშვნელობაზე იხ. «საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 74 — 92. — 1.

2 «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ი» — არალეგალური ბოლშევიკური ყოველკვირეული გაზეთი, რსდმპ ცენტრალური ორგანო, შექმნილი პარტიის III ყრილობის დადგენილებით. პარტიის ცენტრალური კომიტეტას 1905 წლის 27 აპრილის (10 მაისის) პლენუმის გადაწყვეტილებით ც. ო-ს პასუხისმგებელ რედაქტორად დაინიშნა ვ. ი. ლენინი.

«პროლეტარი» გამოდიოდა ჟენევაში 1905 წლის 14 (27) მაისიდან 12 (25) ნოემბრამდე. გამოვიდა 26 ნომერი. რედაქციის მუშაობაში მუდმივ მონაწილეობას იღებდნენ ვ. ვ. ვოროვსკი, ა. ვ. ლუნაჩარსკი და მ. ს. ოლმინსკი. «პროლეტარიმ» განაგრძო ძველი, ლენინური «ისკრის» ხაზი და შეინარჩუნა ბოლშევიკურ გაზეთ «ვპერიოდის» თანამომდევნობა. ლენინმა გაზეთში დაწერა 50-ზე მეტი სტატია და შენიშვნა. ლენინის სტატიები გაზეთ «პროლეტარიდან» იბეჭდებოდა ბოლშევიკური პრესის ადგილობრივ ორგანოებში, გამოდიოდა ცალკე ფურცლებად.

მალე, ლენინის რუსეთში გამგზავრების შემდეგ, 1905 წლის ნოემბერს, გაზეთ «პროლეტარის» გამოცემა შეწყდა. უკანასკნელი ორი ნომერი (25 და 26) გამოვიდა ვ. ვ. ვოროვსკის რედაქციით. — 3.

3 «ო ს ვ ო ბ ო ჟ დ ე ნ ი ე» — ბურჟუაზიული ლიბერალების ორკვირეული ჟურნალი, რომელიც გამოდიოდა საზღვარგარეთ 1902 — 1905 წლებში პ. ბ. სტრუვეს რედაქციით. 1904 წლის იანვრიდან — ლიბერალურ-მონარქისტული «განთავისუფლების კავშირის» ორგანო. შემდეგ «ოსვობოჟდენიელები» გახდნენ კადეტების პარტიის გირთვი. — 6.

4 ლაპარაკია ახალ, მენშევიკურ «ისკრაზე». რსდმპ II ყრილობის შემდეგ მენშევიკებმა პლეხანოვის დახმარებით ხელში ჩაიგდეს «ისკრა». 1903 წლის ნოემბრიდან, 52 ნომრიდან დაწყებული, «ისკრა» მენშევიკური ორგანო გახდა და გამოდიოდა 1905 წლის ოქტომბრამდე. — 6.

5 «ბ უ ლ ი გ ი ნ ი ს კ ო მ ი ს ი ა» შეიქმნა მეფის ბრძანებით 1905 წლის თებერვალში შინაგან საქმეთა მინისტრის ა. გ. ბულიგინის თავმჯდომარეობით. კომისიამ მოამზადა პროექტი კანონისა სათათბირო ორგანოს სახელმწიფო სათათბიროს დაწესების შესახებ და სათათბიროს არჩევნების დებულება, რომლებიც მეფის მანიფესტთან ერთად გამოქვეყნდა 1905 წლის 6 (19) აგვისტოს. ბოლშევიკებმა გამოაცხადეს ბულიგინის სათათბიროს აქტიური ბოიკოტი. მთავრობამ ვერ შესძლო სათათბიროს მოწვევა, იგი რევოლუციის ძალამ წალეკა. ბულიგინის სათათბიროს ბოიკოტის შესახებ იხ. ეს ტომი, გვ. 212 — 222. — 9.

6 კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი ო ს ურ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი ულ ი პ ა რ ტ ი ა (კ.-დ., კადეტები) — მთავარი ბურჟუაზიული პარტია რუსეთში, ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიის პარტია; ჩამოყალიბდა 1905 წლის ოქტომბერში. კადეტები ეფარებოდნენ ყალბ დემოკრატიზმს და დაირქვეს «ხალხის თავისუფლების» პარტია, რითაც ცდილობდნენ გლეხობის მიმხრობას. ისინი ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ ცარიზმი კონსტიტუციური მონარქიის სახით. შემდგომ კადეტები გადაიქცნენ იმპერიალისტური ბურჟუაზიის პარტიად. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კადეტები აწყობდნენ კონტრრევოლუციურ შეთქმულებებსა და აჯანყებებს საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. — 9.

7 მ ი ლ ი ე რ ა ნ ი ზ მ ი — ოპორტუნისტული მიმდინარეობა, რომელსაც ეწოდა სახელი ფრანგ სოციალისტ-რეფორმისტის მილიერანისა, რომელიც 1899 წელს შევიდა რეაქციულ ბურჟუაზიულ მთავრობაში და თანამშრომლობდა მასში პარიზის კომუნის ჯალათთან გენერალ გალიფესთან ერთად. — 20.

8 «ა ხ ა ლ ი რ ე ი ნ ი ს გ ა ზ ე თ ი» («Neue Rheinische Zeitung») — გამოდიოდა კელნში 1848 წლის 1 ივნისიდან 1849 წლის 19 მაისამდე. გაზეთის ხელმძღვანელები იყვნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი; მთავარი რედაქტორი იყო კ. მარქსი. № 301 გამოსვლის შემდეგ გაზეთმა რეაქციის დევნის გამო არსებობა შეწყვიტა. «ახალი რეინის გაზეთის» შესახებ იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. I, 1937, გვ. 165 — 173. — 24.

9 «ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი» — მენშევიკური გაზეთი, რომელიც გამოდიოდა ქართულ ენაზე თბილისში 1905 წლის აპრილიდან ნოემბრამდე.

სტატია «საერო კრება და ჩვენი ტაქტიკა» დაწერილია კავკასიელ მენშევიკების ლიდერის ნ. ჟორდანიას მიერ. ლენინმა ვრცლად გააკრიტიკა ეს სტატია წიგნის «სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში» მეშვიდე თავში (იხ. ეს ტომი, გვ. 60 — 65). — 27.

10 ლენინს მხედველობაში აქვს 90-იანი და 900-იანი წლების საერობო-ლიბერალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის დ. ნ. შიპოვის «კონსტიტუციური» პლატფორმა. პლატფორმა მოითხოვდა მეფის თვითმპყრობელობის რეჟიმის შენარჩუნებას, რომელიც ოდნავ შეზღუდული იქნებოდა «მეფის მიერ ბოძებული» კონსტიტუციით. — 29.

11 «რ უ ს ს კ ა ი ა ს ტ ა რ ი ნ ა» — ყოველთვიური ისტორიული ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1870-დან 1918 წლამდე. — **36.**

12 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. IV, 1938, გვ. 589 — 591. — **37.**

13 ლენინი იმოწმებს წიგნს «Aus dem literarischen Nachlass von Karl Marx, Friedrich Engels und Ferdinand Lassalle, Herausgegeben von Franz Mehring», Band III, Stuttgart, 1902, S. 211 («კარლ მარქსის, ფრიდრიხ ენგელსისა და ფერდინანდ ლასალის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან, ფრანც მერინგის რედაქციით», ტ. III, შტუტგარტი, 1902, გვ. 211). კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზულებებში იხ. ტ. VII, 1930, გვ. 54. — **57.**

14 იგულისხმება სტაროვერის (მენშევიკ ა. ნ. პოტრესოვის ფსევდონიმი) რეზოლუცია ლიბერალებისადმი დამოკიდებულების შესახებ, მიღებული რსდმპ II ყრილობაზე. ამ რეზოლუციის კრიტიკა ლენინმა მოგვცა აგრეთვე სტატიაში «მუშათა და ბურჟუაზიული დემოკრატია» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 8, გვ. 69 — 82). — **59.**

15 «პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ უ რ კ რ ე ტ ი ნ ი ზ მ ს» ლენინი უწოდებდა ოპორტუნისტების რწმენას, თითქოს მართვა-გამგეობის პარლამენტური სისტემა ყოვლისშემძლეა, ხოლო პარლამენტური ბრძოლა პოლიტიკური ბრძოლის ერთადერთი და ყოველგვარ პირობებში მთავარი ფორმაა. — **64.**

16 იგულისხმება უთანხმოებანი, წარმოშობილი გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბრესლავლის ყრილობაზე აგრარული პროგრამის პროექტის განხილვის დროს 1895 წელს. — **66.**

17 «რ ა ბ ო ჩ ე ე დ ე ლ ო» — «ეკონომისტების» ჟურნალი, «რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთული კავშირის» არაპერიოდული ორგანო, გამოდიოდა ჟენევაში 1899 — 1902 წლებში. «რაბოჩეე-დელოელების» შეხედულებათა კრიტიკა იხ. ლენინის წიგნში «რა ვაკეთოთ?». — **72.**

18 ლაპარაკია ნადეჟდინის (ე. ო. ზელენსკის ფსევდონიმი) პრესაში გამოსვლაზე ლენინური «ისკრის» გეგმის წინააღმდეგ. ეს გამოსვლა ლენინმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ჯერ კიდევ 1902 წელს თავის წიგნში «რა ვაკეთოთ?» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 5, გვ. 431 — 673. — **72.**

19 იგულისხმება ლენინის სტატიები «სოციალ-დემოკრატია და დროებითი რევოლუციური მთავრობა» და «პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დემოკრატიული დიქტატურა», გამოქვეყნებული ბოლშევიკურ გაზეთ «ვპერიოდის» №№ 13 და 14-ში (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 8, გვ. 319 — 353). — **83.**

20 ლენინს მხედველობაში აქვს პროგრამა, გამოშვებული 1874 წელს ბლანკისტების, პარიზის კომუნის ყოფილი წევრების ლონდონის ჯგუფის მიერ (იხ. ფ. ენგელსის სტატია «ემიგრანტული ლიტერატურა. II. კომუნის ბლანკისტი ემიგრანტების პროგრამა». კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XV, 1935, გვ. 224 — 230).

ბ ლ ა ნ კ ი ს ტ ე ბ ი — ფრანგი რევოლუციონერის ლუი-ოგიუსტ ბლანკის (1805 — 1881) მომხრეები. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები ბლანკის განიხილავდნენ როგორც თვალსაჩინო რევოლუციონერს და სოციალზმის მომხრეს და ამავე დროს აკრიტიკებდნენ მას სექტანტობისა და მუშაობის შეთქმულებითი მეთოდის გამო. ბლანკიზმი უარყოფდა კლასობრივ ბრძოლას და დაქირავებული მონობისგან კაცობრიობის განთავისუფლებას მოელოდა არა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის გზით, არამედ მცირე ინტელიგენტური უმცირესობის შეთქმულების გზით. — **85.**

21 ე რ ფ უ რ ტ ი ს პ რ ო გ რ ა მ ა გერმანიის სოციალ-დემოკრატიისა მიღებული იყო ერფურტის ყრილობაზე 1891 წლის ოქტომბერს. ამ პროგრამის კრიტიკა იხ.: კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. II, 1936, გვ. 101 — 116 და ლენინის წიგნი «სახელმწიფო და რევოლუცია». — **92.**

22 ლენინმა თავისი წიგნის «სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში» მეათე თავისათვის 1905 წლის ივლისში დასწერა შენიშვნა. წიგნის პირველ გამოცემაში ეს შენიშვნა არ შესულა, პირველად ის გამოქვეყნდა 1926 წელს ლენინის კრებულში V. — **93.**

23 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. II, 1936, გვ. 377 — 382. — **93.**

24 ლენინს მხედველობაში აქვს თავისი სტატია «დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 8, გვ. 543 — 549), აგრეთვე ენგელსის სტატია «ბაკუნისტები მუშაობენ. წერილები ესპანეთის 1873 წლის ზაფხულის ამბებზე», სადაც ენგელსი აკრიტიკებს ლენინის მიერ მოხსენებულ ბაკუნისტების რე-

ზოლუციას (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XV, 1935, გვ. 105 — 124). — **102.**

25 «C r e d o» («კრედო») — მრწამსი, სიმბოლო სარწმუნოებისა, მსოფლმხედველობის პროგრამა, გადმოცემა. ამ სახელწოდებით ცნობილია 1899 წელს «ეკონომისტების» ჯგუფის მიერ (ს. ნ. პროკოპოვიჩი, ე. დ. კუსკოვა და სხვები, რომლებიც შემდგომ კადეტები გახდნენ) გამოშვებული მანიფესტი. ამ მანიფესტში ფრიად მკვეთრად არის გამოხატული რუსეთის «ეკონომიზმის» ოპორტუნიზმი. ლენინმა «ეკონომისტების» შეხედულებათა წინააღმდეგ დაწერა მკაცრი მამხილებელი პროტესტი — «რუსეთის სოციალ-დემოკრატების პროტესტი» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 4, გვ. 197 — 215). — **104.**

26 «რ ა ბ ო ჩ ა ი ა მ ი ს ლ» — «ეკონომისტების» გაზეთი, გამოდიოდა 1897 — 1902 წლებში. «რაბოჩაია მისლის» შეხედულებათა, როგორც საერთაშორისო ოპორტუნიზმის რუსული სახესხვაობის კრიტიკა ლენინმა მოგვცა მთელ რიგ თავის ნაწარმოებებში, განსაკუთრებით სტატიებში, რომლებიც გამოქვეყნებულია «ისკრაში» და წიგნში «რა ვაკეთოთ?». — **104.**

27 იგულისხმება მარქსის აზრი მის ნაშრომში «ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. I, 1938, გვ. 392). — **105.**

28 «L' H u m a n i t é» («კაცობრიობა») — გაზეთი, დაარსებული ჟ. ჟორესის მიერ 1904 წელს, როგორც საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ორგანო. მალე, 1920 წლის დეკემბრის კონგრესზე სოციალისტური პარტიის გათიშვისა და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის შექმნის შემდეგ, ეს გაზეთი მისი ორგანო გახდა. «ლ'უმანიტე» გამოდის პარიზში ამჟამადაც როგორც კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანო. — **107.**

29 ვ ა რ ლ ე ნ ი, ლ უ ი-ე ჟ ე ნ (1839 — 1871) — ფრანგი მუშა, I ინტერნაციონალის გამოჩენილი მოღვაწე; ნაციონალური გვარდიის ც. კ.-ის წევრი და პარიზის კომუნის წევრი 1871 წელს. — **121.**

30 1905 წლის მენშევიკური კონფერენციის მიერ მიღებული «ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი უ ლ ი წ ე ს დ ე ბ ი ს» კრიტიკა ლენინმა მოგვცა სტატიაში «მესამე ნაბიჯი უკან» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 8, გვ. 647 — 659) და «წინასიტყვაობაში ბროშურისა «მუშები პარტიული გათიშვის შესახებ»» (იხ. ეს ტომი, გვ. 191 — 198). — **123.**

81 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VIII, 1931, გვ. 77. — **127.**

82 ჰ ი რ შ-დ უ ნ კ ე რ ი ს პ რ ო ფ ე ს ი უ ლ ი კ ა ვ შ ი რ ე ბ ი დააარსეს გერმანიაში 1868 წელს ლიბერალურმა ბურჟუებმა ჰირშმა და დუნკერმა, რომლებიც, როგორც ბურჟუაზიული ეკონომისტი ბრენტანო, ქადაგებდნენ «კლასობრივი ინტერესების ჰარმონიას», მუშებს აშორებდნენ ბურჟუაზიის წინააღმდეგ რევოლუციურ, კლასობრივ ბრძოლას, პროფესიული მოძრაობის ამოცანებს ზღუდავდნენ ურთიერთდამხმარე სალაროებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციების ფარგლებით. — **136.**

83 ფ. ენგელსის სტატია «ბ ა კ უ ნ ი ს ტ ე ბ ი მ უ შ ა ო ბ ე ნ. წ ე რ ი ლ ე ბ ი ე ს პ ა ნ ე თ ი ს 1 8 7 3 წ ლ ი ს ზ ა ფ ხ უ ლ ი ს ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა ზ ე» თარგმნილია რუსულად ლენინის რედაქციით და ცალკე ბროშურად გამოვიდა 1905 წელს რსდმპ ც. კ-ის გამოცემით ჟენევაში, ხოლო შემდეგ, 1906 წელს, ხელახლა გამოიცა პეტერბურგში (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებანი, ტ. XV, 1935, გვ. 105 — 124).

«ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს მ ი მ ა რ თ ვ ა კ ო მ უ ნ ი ს ტ თ ა კ ა ვ შ ი რ ი ს ა დ მ ი» 1850 წლის მარტის თარიღით რუსულად გამოქვეყნდა 1906 წელს კარლ მარქსის ბროშურის «კომუნისტთა კელნის პროცესი» დამატების სახით, რომელიც გამოსცა გამომცემლობამ «მოლოტმა» პეტერბურგში (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VIII, 1931, გვ. 479 — 489). — **139.**

84 მთელი ქვემოთ მოყვანილი ტექსტი სიტყვებამდე «ჩვენ ცხადვყავით, რომ ოსვობოჟდენიელები...» (იხ. გვ. 148) გამოტოვებული იყო წიგნის «სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში» პირველ გამოცემაში. პირველად ეს ტექსტი გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდის» № 112-ში 1940 წლის 22 აპრილს. — **145.**

85 კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XIII, ნაწ. II, 1940, გვ. 293 — 337. — **146.**

86 «მ ო ს კ ო ვ ს კ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი» — გაზეთი, გამოდიოდა 1756 წლიდან; XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან გამოხატავდა მემამულეებისა და სამღვდელოების ყველაზე რეაქციული მონარქისტული ფენების შეხედულებებს; 1905 წლიდან — შავრაზმელთა ერთ-ერთი მთავარი ორგანო; 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მალე დაიხურა. — **147.**

37 მ ე რ ი ნ გ ი, ფ რ ა ნ ც (1846 — 1919) — გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მემარცხენე ფრთის გამოჩენილი მოღვაწე, ისტორიკოსი, პუბლიცისტი; რევოლუციური კავშირის «სპარტაკის» ერთ-ერთი ორგანიზატორი, შემდეგ შევიდა გერმანიის კომუნისტური პარტიის რიგებში. — **149.**

38 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VI, 1930, გვ. 444. — **150.**

39 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VI, 1930, გვ. 123. — **151.**

40 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VI, 1930, გვ. 124. — **152.**

41 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VI, 1930, გვ. 115. — **152.**

42 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VI, 1930, გვ. 162 — 163. — **154.**

43 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VI, 1930, გვ. 339 — 340. — **155.**

44 კ ე ლ ნ ი ს მ უ შ ა თ ა კ ა ვ შ ი რ ი ს ო რ გ ა ნ ო თავდაპირველად ატარებდა სახელწოდებას «Zeitung des Arbeiter-Vereins zu Köln» («კელნის მუშათა კავშირის გაზეთი») ქვესათაურით «Freiheit, Bruderlichkeit, Arbeit» («თავისუფლება, ძმობა, შრომა»); გამოდიოდა «კომუნისტთა კავშირის» წევრების ი. მოლისა და კ. შაპერის რედაქციით. 1848 წლის აპრილიდან ოქტომბრამდე გამოვიდა 40 ნომერი. შემდეგ გაზეთის ქვესათაური მისი სათაური გახდა და ასეთი სათაურით 1848 წლის ოქტომბრიდან 1849 წლის ივნისამდე გამოვიდა კიდევ 23 ნომერი. — **157.**

45 «კ ო მ უ ნ ი ს ტ თ ა კ ა ვ შ ი რ ი» — რევოლუციური პროლეტარიატის პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია, დაარსებული ლონდონში 1847 წლის ზაფხულს რევოლუციური პროლეტარული ორგანიზაციების დელეგატთა კონგრესზე. «კომუნისტთა კავშირის» ორგანიზატორები და ხელმძღვანელები იყვნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რომლებმაც ამ ორგანიზაციის დავალებით დასწერეს «კომუნისტური პარტიის მანიფესტი». «კომუნისტთა კავშირმა» იარსება 1852 წლამდე. «კომუნისტთა კავშირის» ცნობილი მოღვაწეები შემდეგ ხელმძღვანელ როლს ასრულებდნენ I ინტერნაციონალში. იხ. ფ. ენგელსის სტატია ««კომუნისტთა კავშირის» ისტორიისათვის». (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. I, გვ. 208 — 226). — **160.**

46 «ტ ო ვ ა რ ი შ ჩ» — ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის მარტიდან 1908 წლის იანვრამდე; ფორმალურად ის არ იყო რომელიმე პარტიის ორგანო, ფაქტიურად კი მემარცხენე კადეტების ორგანო იყო. გაზეთში მონაწილეობას იღებდნენ მენშევიკები. — **161.**

47 კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. I, 1937, გვ. 221 — 222. — **162.**

48 ეს დოკუმენტი წარმოადგენს უცნობი ავტორის სტატიის «პარიზის კომუნა და დემოკრატიული დიქტატურის ამოცანები» დასკვნითს ნაწილს, რომლის ხელნაწერში მნიშვნელოვანი შესწორება შეიტანა ლენინმა. სტატია გამოქვეყნდა გაზეთ «პროლეტარის» მე-8 ნომერში 1905 წლის 17 (4) ივლისს. დოკუმენტს სათაური გაუკეთა მარქს — ენგელს — ლენინის ინსტიტუტმა. — **163.**

49 უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ი ს კ ო მ ი ტ ე ტ თ ა ბ ი უ რ ო — ბოლშევიკების ორგანიზაციული ცენტრი, შექმნილი ვ. ი. ლენინის ინიციატივით რსდმპ III ყრილობის მოსამზადებლად. ბიურო არჩეული იყო 1904 წლის დამლევს სამს საოლქო კონფერენციაზე: სამხრეთის, კავკასიისა და ჩრდილოეთისა. — **165.**

50 ცენტრალური კომიტეტის წევრები — შემარიგებლები, დაპატიმრებულნი მოსკოვში ც. კ-ის სხდომაზე 1905 წლის 9 (22) თებერვალს: მ ა — ვ. ა. ნოსკოვი; ბ ე მ — მ. ა. სილვინი; ვ ლ ა დ ი მ ი რ — ლ. ი. კარპოვი; ი ნ ო კ ე ნ ტ ი — ი. ფ. დუბროვინსკი; ა ნ დ რ ე ი — ა. ა. კვიატკოვსკი; ვ ო რ ო ნ — ლ. ე. გალპერინი. — **166.**

51 რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წარმომადგენლად საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში (II ინტერნაციონალის აღმასრულებელი ორგანო) რსდმპ ცენტრალურმა კომიტეტმა 1905 წლის 7 (20) მაისს დანიშნა პლეხანოვი იმ პირობით, თუ ის სავალდებულოდ მიიჩნევდა რსდმპ III ყრილობის გადაწყვეტილებებს. მაგრამ პლეხანოვმა ეს პირობები არ მიიღო და მისი დანიშვნა გაუქმდა. 1905 წლის ოქტომბერში ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში რსდმპ წარმომადგენლად ლენინის დანიშვნის შესახებ. საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში რსდმპ წარმომადგენლობის საკითხზე იხ. აგრეთვე ეს ტომი, გვ. 409 — 412. — **167.**

52 «Die Neue Zeit» («ახალი დროება») — გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ჟურნალი, გამოდიოდა შტუტგარტში 1883 წლიდან 1923 წლამდე.

1885 — 1895 წლებში «Die Neue Zeit»-ში გამოქვეყნდა ფ. ენგელსის ზოგიერთი სტატია. ის ხშირად აძლევდა მითითებებს ჟურნალის რედაქციას და მკაცრად აკრიტიკებდა მას მარქსიზმიდან გადახვევისათვის. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ფ. ენგელსის გარდაცვალების შემდეგ, ჟურნალი ატარებდა კაუტსკიანურ შეხედულებებს და სისტემატურად ბეჭდავდა რევიზიონისტების სტატიებს. მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914 — 1918) ცენტრისტული პოზიცია ეჭირა, ფაქტიურად კი სოციალ-შოვინისტებს უჭერდა მხარს.

«Leipziger Volkszeitung» («ლაიფციგის სახალხო გაზეთი») — გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მემარცხენე ფრთის ორგანო; შექმნილია 1894 წელს. — **168.**

53 ლენინს მხედველობაში აქვს როზა ლუქსემბურგის სტატია «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ორგანიზაციული საკითხები», დაწერილი მენშევიკების თხოვნით და დაბეჭდილი 1904 წლის ივლისში მენშევიკურ «ისკრაში» და «Die Neue Zeit»-ში. მისი უარყოფა — ლენინის სტატია «ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან. ნ. ლენინის პასუხი როზა ლუქსემბურგს» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 7, გვ. 592 — 607), გაგზავნილი «Die Neue Zeit»-ში, კაუტსკიმ, რომელიც მხარს უჭერდა მენშევიკებს, არ დაბეჭდა. — **168.**

54 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XV, 1935, გვ. 226.—**188.**

55 «პ ო ს ლ ე დ ნ ი ე ი ზ ვ ე ს ტ ი ა» — პერიოდული ბიულეტენი; საზღვარგარეთ სცემდა 1901-დან 1906 წლამდე ბუნდი; გამოხატავდა ბუნდელების ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ შეხედულებებს. — **188.**

56 აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ლენინის 1905 წლის აგვისტოს ჟენევაში გამოცემული ბროშურის «მუშები პარტიული გათიშვის შესახებ» წინასიტყვაობის პირველადს მონასახს. «მუშების ხმა და პარტიის გათიშვა» — ამ ბროშურის სათაურის ერთ-ერთი ვარიანტია. დოკუმენტს სათაური გაუკეთა მარქს — ენგელს — ლენინის ინსტიტუტმა. — **189.**

57 რ ს დ მ პ ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს ღ ი ა წ ე რ ი ლ ი მენშევიკების ს ა ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ო კ ო მ ი ს ი ი ს მიმართ უნდა გამოქვეყნებულიყო «პროლეტარის» № 10-ში, მაგრამ დაიბეჭდა № 11-ში 1905 წლის 9 აგვისტოს (27 ივლისს). ღია წერილში წინადადებას იძლეოდნენ მოლაპარაკება დაეწყოთ პარტიის გაერთიანების საკითხებზე III ყრილობის მიერ მიღებული პროგრამისა და წესდების საფუძველზე. ცენტრალური კომიტეტისა და საორგანიზაციო კომისიის წარმომადგენელთა პირველი და მეორე თათბირი შესდგა 1905 წლის ივ-

ლისში, მესამე — სექტემბერში. თათბირებმა ცხადჰყვეს, რომ მენშევიკები თავიანთი გამთიშველი მოქმედებით ძირს უთხრიდნენ პარტიის გაერთიანების საქმეს. — **189.**

58 ლენინს მხედველობაში აქვს «დ ნ ე ვ ნ ი კ ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ა», რომელსაც გ. ვ. პლეხანოვი არაპერიოდულად სცემდა ჟენევაში 1905 წლის მარტიდან 1912 წლის აპრილამდე. 1916 წელს პლეხანოვმა განაახლა ჟურნალის გამოცემა პეტროგრადში, მაგრამ გამოვიდა მხოლოდ ერთი ნომერი. — **198.**

59 «კ ა ვ შ ი რ თ ა კ ა ვ შ ი რ ი» — ლიბერალურ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც ჩამოყალიბდა 1905 წლის მაისში 14 კავშირის წარმომადგენელთა პირველ ყრილობაზე: ადვოკატების, მწერალთა, ექიმთა, ინჟინერთა, მასწავლებელთა და სხვ.. 1905 წლის ივლისში კავშირი მხარს უჭერდა ბულიგინის სათათბიროს ბოიკოტს, მაგრამ მალე უარი თქვა ამაზე და გადაწყვიტა მონაწილეობა მიეღო სათათბიროს არჩევნებში. 1906 წლის დამლევს «კავშირთა კავშირი» დაიშალა.

ლიბერალური კავშირებისადმი სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულების შესახებ იხ. ეს ტომი, გვ. 344 — 345. — **200.**

60 «ს ლ ო ვ ო» — გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1904 — 1909 წლებში; იყო მემარჯვენე საერობო მოღვაწეთა ორგანო; 1905 წლის ნოემბრიდან 1906 წლის ივლისამდე იყო ოკტიაბრისტთა პარტიის ორგანო, ხოლო შემდეგ — «მშვიდობიან განმაახლებელთა» კონსტიტუციურ-მონარქისტული პარტიის ორგანო; «მშვიდობიანი განმაახლებელნი» არსებითად არაფრით არ განსხვავდებოდნენ ოკტიაბრისტებისაგან.

«რ უ ს ს კ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი» — გაზეთი, სცემდნენ მოსკოვში 1863 წლიდან მოსკოვის უნივერსიტეტის ლიბერალური პროფესორები და საერობო მოღვაწეები; გამოხატავდა ლიბერალური მემამულეებისა და ბურჟუაზიის ინტერესებს. 1905 წლიდან — მემარჯვენე კადეტების ორგანო; დაიხურა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, როგორც სხვა კონტრრევოლუციური გაზეთებიც. — **200.**

61 «T h e T i m e s» («დროება») — გაზეთი, დაარსებული ლონდონში 1785 წელს; ინგლისის ბურჟუაზიის ერთ-ერთი უდიდესი კონსერვატიული გაზეთი. — **200.**

62 ს უ ვ ო რ ი ნ ი, ა. ს. — რეაქციული გაზეთის «ნოვოე ვრემიას» რედაქტორი 1876-დან 1912 წლამდე. — **203.**

63 კ ა ლ ე ნ დ ე ბ ი — თვის პირველი დღის სახელწოდება ძველ რომაელებში. ბერძნებს ასეთი სახელწოდება არ ჰქონიათ. ბერძნულ კალენდამდე გადადება ნიშნავს საქმის არასდროს არ განხორციელებას, ჩაშლას. — 204.

64 «Le Matin» («დილა») — ფრანგული ყოველდღიური ბურჟუაზიული გაზეთი, დაარსებული 1884 წელს. — 209.

65 «პროლეტარის» მე-12 ნომერში 1905 წლის 16 (3) აგვისტოს დაიბეჭდა რსდმპ საზღვარგარეთული ორგანიზაციების კონფერენციის რეზოლუცია პარტიული გაერთიანების შესახებ. კონფერენციაში, რომელიც შესდგა 1905 წლის ზაფხულს, მონაწილეობას იღებდნენ რსდმპ იმ საზღვარგარეთული ორგანიზაციების წარმომადგენლები (ბოლშევიკებისა და მენშევიკების), რომლებიც იმყოფებოდნენ გერმანიის სამხრეთ ნაწილში. კონფერენციამ მოითხოვა გამაერთიანებელი ყრილობის მოწვევა რსდმპ გამოთიშულ ნაწილთან (მენშევიკებთან) გაერთიანების საკითხის გადასაწყვეტად. დოკუმენტს სათაური გაუკეთა მარქს — ენგელს — ლენინის ინსტიტუტმა. — 223.

66 «მ ა ს წ ა ვ ლ ებ ე ლ ი» — მ. ნ. პოკროვსკის ფსევდონიმი. სტატიის «ოსვობოჟდენიელები მუშაობენ» ავტორია ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩი. — 224.

67 ეს შენიშვნა წარმოადგენს დვინსკელი «მუშის» წერილის პასუხს. წერილის ავტორმა «პროლეტარის» რედაქციას დაუყენა შემდეგი კითხვები, რომლებიც ეხებოდა რსდმპ III ყრილობის გადაწყვეტილებებს: «1) რა როლს შეასრულებს დროებითი მთავრობა, ქვეყანას ხელმძღვანელობას თუ გამგებლობას გაუწევს თუ არც ერთს და არც მეორეს? 2) რა გარემოებაშია დასაშვები პროლეტარიატის მონაწილეობა დროებითს მთავრობაში? 3) რა არის აგიტაცია და პროპაგანდა შეიარაღებული აჯანყების შესახებ?». — 226.

68 ბ უ რ ე ნ ი ნ ი, ვ. პ. — რეაქციული გაზეთის «ნოვოე ვრემიას» თანამშრომელი, ცილისმწამებელი, გაბოროტებით სდევნიდა ყველა პროგრესული საზოგადოებრივი, პოლიტიკური მიმდინარეობის წარმომადგენლებს. ლენინი ამ სახელს ხმარობს საზოგადო აზრით პოლემიკის უსინდისო მეთოდების აღსანიშნავად. — 243.

69 «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს ბ რ ძ ო ლ ა» — არალეგალური გაზეთი, რსდმპ კავკასიის კავშირის ორგანო; გამოდიოდა 1903 წლის აპრილ — მაისიდან 1905 წლის ოქტომბრამდე; გამოვიდა 12 ნომერი. 1904 წელს,

გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, გაზეთს სათავეში ჩაუდგა ი. ბ. სტალინი. რედაქციის შემადგენლობაში შედიოდნენ აგრეთვე ა. გ. წულუკიძე, ს. გ. შაუმიანი, და სხვ.. ხელმძღვანელ სტატიებს გაზეთში წერდა ი. ბ. სტალინი. გაზეთი გამოდიოდა ქართულად, სომხურად და რუსულად. «პროლეტარიატის ბრძოლა» ყველაზე დიდი არალეგალური ბოლშევიკური გაზეთი იყო «ვპერიოდისა» და «პროლეტარის» შემდეგ, თანამიმდევრად იცავდა მარქსისტული პარტიის იდეოლოგიურ, ორგანიზაციულ და ტაქტიკურ საფუძვლებს. გაზეთის რედაქციას მჭიდრო კავშირი ჰქონდა ვ. ი. ლენინთან და ბოლშევიკურ საზღვარგარეთულ ცენტრთან. გაზეთი სისტემატურად ბეჭდავდა ლენინის სტატიებს და მასალებს ლენინური «ისკრიდან», ხოლო შემდეგ «ვპერიოდიდან» და «პროლეტარიდან». გაზეთი «პროლეტარი» ხშირად დადებითს შეფასებას აძლევდა «პროლეტარიატის ბრძოლას», აგრეთვე ბეჭდავდნენ იქიდან სტატიებსა და კორესპონდენციებს. — **246.**

70 პ. ნიკოლაევის მიერ დაწერილი ბროშურა «რევოლუცია რუსეთში» გამოსცა ჟენევაში 1905 წელს რსდმპ ცენტრალურმა კომიტეტმა. ამ ბროშურის ხელნაწერის სწორების დროს ლენინმა დასწერა ეს შენიშვნა ბულიგინის სათათბიროს შესახებ — **252.**

71 ს. ს. — ფსევდონიმია პ. ნ. მილიუკოვის, კადეტების პარტიის ლიდერისა. — **258.**

72 ტ რ ე პ ო ვ ი, დ. ფ. — პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორი, ხელმძღვანელობდა რუსეთის პირველი რევოლუციის ჩაქრობას. — **271.**

73 «პროლეტარის» № 9-ში 1905 წლის 26 (13) ივლისს გამოქვეყნდა სტატია «ჩვენებური ხლესტაკოვები», რომელშიც მოყვანილია ცნობა, გაგზავნილი მენშევიკური «ისკრის» მიერ ფრანგულ სოციალისტურ გაზეთში. ამ სტატიაში «ისკრას» მოჰყავდა ყალბი, გაზვიადებული ცნობები თავისი მომხრეების შესახებ ორგანიზებულ მუშებს შორის (იხ. ლენინის კრებული XVI, გვ. 128 — 129). — **274.**

74 «პროლეტარის» № 10-ში 1905 წლის 2 აგვისტოს (20 ივლისს) დაიბეჭდა რსდმპ სარატოვის კომიტეტის (რომელსაც შემარიგებლური პოზიცია ეკავა) რეზოლუცია, მიღებული პარტიის III ყრილობისა და მენშევიკთა კონფერენციის შესახებ ცნობის მიხედვით. «პროლეტარმა» გამოაქვეყნა ეს რეზოლუცია ლენინის მიერ დაწერილ რედაქციის ბოლოსიტყვაობასთან ერთად (იხ. ლენინის კრებული XVI, გვ. 130). — **277.**

75 გამოთქმა აღებულია ნ. ვ. გოგოლის ნაწარმოებიდან «შეშლილის დღიური» (იხ. ნ. ვ. გოგოლი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1938, გვ. 212). — **299.**

76 «Vossische Zeitung» («ფოსის გაზეთი») — გერმანული ბურჟუაზიული გაზეთი; დაარსებულია ბერლინში 1704 წელს. — **307.**

77 ლ ე დ რ ი ე-რ ო ლ ე ნ ი (1807 — 1874) — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, წვრილბურჟუაზიული დემოკრატების წარმომადგენელი. — **313.**

78 კ ა ვ ე ნ ი ა კ ი, ლ უ ი-ე ჟ ე ნ — ფრანგი გენერალი, დროებითი მთავრობის სამხედრო მინისტრი 1848 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ; ივნისის დღეებში ხელმძღვანელობდა პარიზის მუშების აჯანყების ჩაქრობას.

ტ ი ე რ, ლ უ ი-ა დ ო ლ ფ — ფრანგი ბურჟუაზიული პოლიტიკური მოღვაწე, მუშათა კლასის შეურიგებელი მტერი. 1871 წელს სათავეში ჩაუდგა მთავრობას და სასტიკად ჩააქრო პარიზის კომუნარების აჯანყება. — **316.**

79 ი ა კ ო ბ ი, ი ო ჰ ა ნ (1805 — 1877) — გერმანელი ბურჟუაზიული დემოკრატი, 1848 წლის რევოლუციის მონაწილე. 1870 — 1871 წლის საფრანგეთ-პრუსიის ომის შემდეგ იაკობი სოციალ-დემოკრატი გახდა. — **318.**

80 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VIII, 1931, გვ. 239. — **334.**

81 «ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი კ ა ვ შ ი რ ე ბ ი დ ა ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა» — ჩანართი, დაწერილი ლენინის მიერ ვ. ვ. ვოროვსკის სტატიისათვის, რომელიც გამოქვეყნდა ამავე სათაურით გაზეთ «პროლეტარის» № 18-ში 1905 წლის 26 (13) სექტემბერს. — **344.**

82 «რ ა ბ ო ჩ ი» — არალეგალური პოპულარული სოციალ-დემოკრატიული გაზეთი; სცემდა მოსკოვში პარტიის III ყრილობის დადგენილებით რსდმპ ცენტრალური კომიტეტი 1905 წელს. აგვისტოდან ოქტომბრამდე გამოვიდა ოთხი ნომერი. — **354.**

83 ლენინის სტატია «გ ე რ მ ა ნ ი ი ს ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი მ უ შ ა თ ა პ ა რ ტ ი ი ს ი ე ნ ი ს ყ რ ი ლ ო ბ ა» დაწერილია რსდმპ კავკასიის კავშირის თხოვნით და დანიშნული იყო მისი ორგანოსთვის — გაზეთ «პროლეტარიატის ბრძოლისათვის». — **355.**

84 გ ე რ მ ა ნ ი ი ს პ რ ო ფ ე ს ი ი ს ი ა ვ ‘ შ ი რ ე ბ ი ს კ ე ლ ნ ი ს ყ რ ი ლ ო ბ ა შესდგა 1905 წლის მაისში. — **358.**

85 აქ დაბეჭდილი მონასახი «ა რ ა ვ ი თ ა რ ი ს ი ყ ა ლ ბ ე! ჩ ვ ე ნ ი ძ ა ლ ა ს ი მ ა რ თ ლ ი ს თ ქ მ ა შ ი!ა! წ ე რ ი ლ ი რ ე დ ა ქ ც ი ი ს მ ი მ ა რ თ» ლენინს არ დაუმთავრებია. — **361.**

86 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VIII, 1931, გვ. 327. — **362.**

87 რ უ ს ე თ ი ს ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ე ბ ი ს კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა შესდგა რიგაში 1905 წლის 7 — 9 (20 — 22) სექტემბერს. კონფერენციის რეზოლუციები იხ. კრებულში «საკ. კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ.-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწილი I, 1940, გვ. 54 — 56.

ვ. ი. ლენინი წერილში რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრებისადმი 1905 წლის 7 სექტემბერს (იხ. სტ.) აღნიშნავდა «სომეხთა სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციის» მჭიდრო კავშირს ბუნდთან (იხ. ლენინის კრებული V, გვ. 493). სომეხთა ამ ორგანიზაციის პოზიციის კრიტიკა ი. ბ. სტალინმა მოგვცა სტატიაში «როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?» (იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 1, 1947, გვ. 32 — 54). — **367.**

88 ს ე ნ ა ტ ო რ შ ი დ ლ ო ვ ს კ ი ს კ ო მ ი ს ი ა დაარსდა მეფის ბრძანებით 1905 წლის 29 იანვარს (11 თებერვალს), ვითომ «ქალ. ს.-პეტერბურგსა და მის გარეუბნებში მუშების უკმაყოფილების მიზეზთა დაუყოვნებლივ გამოსარკვევად». განზრახული იყო მის შემადგენლობაში შეეყვანათ მუშების წარმომადგენლებიც. ბოლშევიკები ცარიზმის ამ წამოწყებას თვლიდნენ ცდად ჩამოეშორებინათ მუშები რევოლუციური ბრძოლისაგან და წინადადებას იძლეოდნენ კომისიის არჩევნები გამოეყენებინათ მეფის მთავრობისათვის პოლიტიკური მოთხოვნების წასაყენებლად (იხ. წიგნი «პეტერბურგის ბოლშევიკების ფურცლები», ტ. I, 1939, გვ. 197 — 202). როცა მთავრობამ ეს მოთხოვნები უარყო, ამრჩევლებმა უარი თქვეს თავიანთი წარმომადგენლების არჩევაზე კომისიაში და პეტერბურგის მუშებს მოუწოდეს გაფიცვისაკენ. მეორე დღესვე დაიწყო მასობრივი პოლიტიკური გაფიცვები. 20 თებერვალს (5 მარტს) მეფის ხელისუფლება იძულებული გახდა დაეშალა შიდლოვსკის კომისია. — **375.**

89 იგულისხმება ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე და მწერალი დიზრაელი. — **377.**

90 დ ა ვ ი დ, ე დ უ ა რ დ — გერმანელი ეკონომისტი, ბერნშტეინელი. მის შეხედულებათა კრიტიკა იხ. ნაშრომებში ვ. ი. ლენინისა «აგრარული საკითხი და «მარქსის კრიტიკოსები»» და ი. ბ. სტალინისა «სსრ კავშირის აგრარული პოლიტიკის საკითხისათვის». — **383.**

91 შ ა რ ვ ა რ კ ე ბ ი — საგზაო ბეგარათა სახელწოდება, რომელთაც გლეხებს აკისრებდნენ პოლონეთში და ატარებდნენ იძულებით სამუშაოთა წესით გზების, ხიდებისა და უმთავრესად სამხედრო დანიშნულების სხვა ობიექტების მოსაწყობად. — **383.**

92 «ნ ო ვ ო ე ვ რ ე მ ი ა» — გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1868 წლიდან 1917 წლის ოქტომბრამდე. თავდაპირელად ზომიერ-ლიბერალური, XIX საუკუნის 70-იანი წლების დამლევს იგი გადაიქცა რეაქციონერ თავადაზნაურთა და მოხელე-ბიუროკრატთა წრეების ორგანოდ. გაზეთი ბრძოლას ეწეოდა არა მარტო რევოლუციური, არამედ ლიბერალურ-ბურჟუაზიული მოძრაობის წინააღმდეგაც. 1905 წლიდან შავრაზმელთა ერთ-ერთი ორგანო გახდა. ლენინი «ნოვოე ვრემიას» უწოდებდა თავგაყიდული გაზეთების ნიმუშს. — **391.**

93 ბ ა ლ ა ლ ა ი კ ი ნ ი — მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის ნაწარმოების «თანამედროვე იდილია» პერსონაჟი; ლიბერალი ლაქლაქა, ავანტიურისტი და მატყუარა, რომელიც თავის ანგარებიან ინტერესებს ყველაფერზე მაღლა აყენებს. — **400.**

94 «პ ა რ ტ ი უ ლ ი გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ი ს ს ა კ ი თ ხ ი ს ა თ ვ ი ს» — ასეთი სათაურით რსდმპ ცენტრალური კომიტეტი აქვეყნებდა ც. კ.-ისა (რომელიც არჩეული იყო პარტიის III, ბოლშევიკური, ყრილობის მიერ) და საორგანიზაციო კომისიის (რომელიც არჩეული იყო მენშევიკთა ჟენევის კონფერენციის მიერ) წარმომადგენლების თათბირთა ოქმებს რსდმპ გამოთიშულ ნაწილთან (მენშევიკებთან) გაერთიანების პირობების საკითხებზე. აღნიშნული შენიშვნა წარმოადგენს მინაწერს, რომელიც ლენინმა გაუკეთა «პროლეტარის» რედაქციის სახელით 1905 წლის სექტემბერში შემდგარი ც. კ.-ისა და საორგ. კ.-ის წარმომადგენელთა მესამე თათბირის ოქმს. — **403.**

95 მენშევიკების «ს ა მ ხ რ ე თ-რ უ ს ე თ ი ს დ ა მ ფ უ ძ ნ ე ბ ე ლ ი კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა» შესდგა კიევში 1905 წლის აგვისტოში. ამ კონფერენციის გადაწყვეტილებები ლენინმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა აგრეთვე სტატიაში ««ისკრული» ტაქტიკის უკანასკნელი სიტყვა ანუ სასაცილო არჩევნები, როგორც აჯანყების ახალი წამაქეზებელი მოტივები» (იხ. ეს ტომი, გვ. 438 — 460). — **407.**

96 კოსტრომის კომიტეტმა, რომელიც ბოლშევიკების პოზიციებზე იდგა, გაილაშქრა საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში წარმომადგენლად გ. ვ. პლეხანოვის დანიშვნის წინააღმდეგ. — 412.

97 შენიშვნა «მ კ ი თ ხ ვ ე ლ ე ბ თ ან ს ა უ ბ რ ი დ ა ნ» წარმოადგენს სარედაქციო წინასიტყვაობას ბოლშევიკ ს. ი. გუსევის წერილისათვის; ს. ი. გუსევი 1905 წლის მეორე ნახევარში მუშაობდა რსდმპ ოდესის კომიტეტის წევრად. — 413.

98 სტატია «ს ი ს ხ ლ ი ს მ ღ ვ რ ე ლ ი დ ღ ე ებ ი მ ოს კ ოვ შ ი» წარმოადგენს პირველადს მონასახს სტატიისას «პოლიტიკური გაფიცვა და ქუჩის ბრძოლა მოსკოვში», რომელიც იბეჭდება ამ ტომში, გვ. 427—437. — 414.

99 ი ვ ა ნ ო ვ ო-ვ ო ზ ნ ე ს ე ნ ს კ ი ს გ ა ფ ი ც ვ ა დაიწყო 1905 წლის მაისის დამლევს და გაგრძელდა აგვისტოს დამდეგამდე. გაფიცვას ხელმძღვანელობდა ბოლშევიკთა ჩრდილოეთის კომიტეტი. მასში მონაწილეობას იღებდა დაახლოებით 70 ათასი მუშა. ამ გაფიცვის პერიოდში მუშებმა შეიქმნეს რწმუნებულთა საბჭო, რომელიც ფაქტიურად რუსეთის მუშათა დეპუტატების ერთ-ერთი პირველი საბჭო იყო.—415.

100 ლენინს მხედველობაში აქვს პოლიციის მიერ თბილისის მუშების დახვრეტა 1905 წლის 29 აგვისტოს (11 სექტემბერს) ქალაქის გამგეობის შენობაში. მოკლეს დაახლოებით 60 და დაჭრეს დაახლოებით 300 კაცი. — 415.

101 «V o r w ä r t s» («წინ») — გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანო. გაზეთი გამოდიოდა 1876 წლიდან ვ. ლიბკნეხტისა და სხვათა რედაქციით. გაზეთის ფურცლებზე ფ. ენგელსი ბრძოლას ეწეოდა ოპორტუნიზმის ყოველგვარ გამოხატულებათა წინააღმდეგ. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ფ. ენგელსის გარდაცვალების შემდეგ, «Vorwärts»-ში სისტემატურად იბეჭდებოდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიისა და II ინტერნაციონალში გაბატონებული ოპორტუნისტების სტატიები. — 430.

102 «ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი» — მენშევიკური გაზეთი, გამოდიოდა ჟენევაში 1904 წლის ოქტომბრიდან 1905 წლის ოქტომბრამდე. — 456.

103 სტატია «მ. ბ ო რ ი ს ო ვ ი ს» ხელმოწერით გამოქვეყნდა გაზეთ «პროლეტარში» და შემდგომ 1905 წლის 8 (21) ნოემბერს გადაბეჭდა ბოლშევიკური გაზეთის «ნოვაია ჟიზნის» მე-7 ნომერში, რომელიც პეტერბურგში გამოდიოდა. — 461.

104 ლაპარაკია ლიბერალურ-ბურჟუაზიულ გაზეთზე «რუს», რომელიც 1903 — 1908 წლებში გამოდიოდა პეტერბურგში დროდადრო და სხვადასხვა სახელწოდებით: «რუს», «მოლვა», «XX ვეკ». — **468.**

105 რსდმპ კავკასიის კავშირის ორგანოში «პროლეტარიატის ბრძოლა» № 11 (რუსულ ენაზე № 3) 1905 წლის 15 (28) აგვისტოს დაიბეჭდა ი. ბ. სტალინის სტატია «პასუხად «სოციალ-დემოკრატს»» (იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 1, 1947, გვ. 153 — 164).

პარტიის ცენტრალურმა ორგანომ «პროლეტარმა» № 22-ში 1905 წლის 24 (11) ოქტომბერს მოათავსა ვრცელი რეცენზია «პროლეტარიატის ბრძოლის» ამ ნომერზე. ამ ტომში დაბეჭდილი რეცენზიის ნაწილი, დაწერილი ვ. ი. ლენინის მიერ, მიძღვნილია ი. ბ. სტალინას სტატიის «პასუხად «სოციალ-დემოკრატს»» შეფასებისადმი. — **476.**

106 გაზეთ «პროლეტარის» № 19-ში 1905 წლის 3 ოქტომბერს (20 სექტემბერს) დაიბეჭდა «ღია წერილი საზღვარგარეთელი ამხანაგების მიმართ». ამ წერილში ვოლგისპირეთის გუბერნიებში მომუშავე სოციალ-დემოკრატები აღნიშნავდნენ რუსეთში სამუშაოდ მეტი ამხანაგების გამოყოფის საჭიროებას. წერილს დართული ჰქონდა «პროლეტარის» რედაქციის შენიშვნა, რომელშიც ნათქვამი იყო: «ჩვენ არ ვიზიარებთ ავტორთა მეტად მკვეთრ აზრს საზღვარგარეთ «სწავლის» უსარგებლობის შესახებ, მაგრამ ვფიქრობთ, რომ აუცილებელია უფრო ხშირად მოვაგონოთ საზღვარგარეთელ ამხანაგებს და მთელ პარტიას რუსეთის მივარდნილი ადგილების შესახებ». დადგენილი არ არის, თუ ვის ეკუთვნოდა ფსევდონიმი «რევოლუციონერი». — **480.**

107 ვ ა ს ი ლ ი ე ვ ი — ბოლშევიკი ფ. ვ. ლენგნიკი. შ მ ი დ ტ ი — ბოლშევიკი პ. პ. რუმიანცევი. სტოლიპინური რეაქციის წლებში რუმიანცევი პარტიიდან გავიდა. — **481.**

108 ლენინს ციტატი მოჰყავს ნ. ა. დობროლუბოვის ლექსიდან «პრუსიის ვაგონში», რომელიც დაიბეჭდა «კონრად ლილიენშვაგერის» ფსევდონიმით 1862 წელს «სვისტოკის» მე-8 ნომერში, რომელიც გამოდიოდა ჟურნალ «სოვრემენნიკის» დამატებად (იხ. ნ. ა. დობროლუბოვი. ლექსები, 1941, გვ. 171). — **498.**

109 გაზეთ «პროლეტარის» 23-ე ნომერში 1905 წლის 31 (18) ოქტომბერს დაიბეჭდა ხელმოუწერელი სტატია «ბრიტანეთის მუშათა მოძრაობა და ტრედ-უნიონების კონგრესი». ლენინმა რედაქცია გაუკეთა ამ სტატიის თარგმანის ხელნაწერს და დაწერა ორი შენიშვნა მისდამი: პირველი — ტაფის ველის საქმეზე, რომელსაც ავტორი იხსენიებს სტატიაში; მეორე — სტატიის დასკვნითი ნაწილისადმი. — **500.**

110 შენიშვნა «ძალთა წონასწორობა» დაწერილია რამდენიმე საათით ადრე, სანამ ჟენევაში მივიდოდა ტელეგრაფის ცნობა მეფის 1905 წლის 17 (30) ოქტომბრის მანიფესტზე. შენიშვნაში აღძრულ საკითხებს ლენინი ვრცლად ავითარებს სტატიაში «დასასრულის მოახლოება», რომელიც მოთავსებულია ამ ტომში, გვ. 549 — 558. — 510.

111 «Daily Telegraph» («ყოველდღიური ტელეგრაფი») — გაზეთი, დაარსებული ლონდონში 1855 წელს; ინგლისის ერთ-ერთი დიდი ბურჟუაზიული კონსერვატიული გაზეთი. — 510.

112 ლენინის ბროშურა ამ თემაზე პრესაში არ გამოქვეყნებულა. — 513.

113 ლაპარაკია რეზოლუციაზე, რომელიც დაწერა ლენინმა და მიიღო პარტიის III ყრილობამ, «რსდმპ აშკარა პოლიტიკური გამოსვლის საკითხზე» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 8, გვ. 443—444).- 515.

114 ლაპარაკია პეტერბურგის მუშების საგაფიცვო კომიტეტზე, რომლისგანაც ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის დღეებში შეიქმნა მუშათა დეპუტატების პეტერბურგის საბჭო. 1905 წლის 13 (26) ოქტომბერს პეტერბურგის მუშებმა ფაბრიკებსა და ქარხნებში აირჩიეს თავიანთი წარმომადგენლები მუშათა დეპუტატების საბჭოში. ღამე შესდგა საბჭოს პირველი სხდომა. პეტერბურგს მოჰყვა მუშათა დეპუტატების საბჭოების შექმნა მოსკოვში და სხვა ქალაქებში. ბოლშევიკები საბჭოებს თვლიდნენ მუშათა კლასის მასობრივ პოლიტიკურ ორგანიზაციად და უყურებდნენ მათ როგორც აჯანყების ორგანოებს, როგორც რევოლუციური ძალაუფლების ჩანასახებს. რადგან პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭოში ხელმძღვანელობა მენშევიკებმა ჩაიგდეს ხელში, საბჭო უარყოფით უყურებდა ხალხის შეიარაღებული აჯანყებისათვის მომზადებას.

1905 წლის მუშათა დეპუტატების საბჭოების შესახებ იხ. ლენინის ნაწარმოებნი: «ჩვენი ამოცანები და მუშათა დეპუტატების საბჭო», «სოციალიზმი და ანარქიზმი», «კადეტების გამარჯვება და მუშათა პარტიის ამოცანები», აგრეთვე «საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 94 — 96. — 531.

115 სტატია «წვრილბურჟუაზიული და პროლეტარული სოციალიზმი» გადაიბეჭდა ბოლშევიკურ გაზეთ «ნოვაია ჟიზნის» მე-9 ნომერში 1905 წლის 10 (23) ნოემბერს. — 538.

116 ვ. ვ. — ფსევდონიმი ვ. პ. ვორონცოვისა, წიგნის «კაპიტალიზმის ბედი რუსეთში» ავტორისა. ნ ი კ ო ლ ა ი — ო ნ ი — ფსევდონიმი ნ. ფ. და-

ნიელსონისა, ნაწარმოების «ჩვენი რეფორმისშემდგომი საზოგადოებრივი მეურნეობის ნარკვევების» ავტორისა. ვორონცოვი და დანიელსონი — XIX საუკუნის 80 — 90-იანი წლების ლიბერალური ნაროდნიკობის იდეოლოგები იყვნენ. — **546.**

117 ლენინს მხედველობაში აქვს «ი ზ ვ ე ს ტ ი ა ს ო ვ ე ტ ა რ ა ბ ო ჩ ი ხ დ ე პ უ ტ ა ტ ო ვ» — მუშათა დეპუტატების პეტერბურგის საბჭოს ოფიციალური ორგანო. «იზვესტია» გამოდიოდა ბიულეტენის სახით 1905 წლის 17 (30) ოქტომბრიდან 14 (27) დეკემბრამდე. ბიულეტენს თვითნებურად ბეჭდავდნენ სხვადასხვა ბურჟუაზიული გაზეთის სტამბებში. გამოვიდა ათი ნომერი. მეთერთმეტე ნომერს კონფისკაცია გაუკეთა პოლიციამ ბეჭდვის დროს. — **550.**

118 იგულისხმება «Neue Freie Presse» («ახალი თავისუფალი პრესა») — ბურჟუაზიულ-ლიბერალური გაზეთი, რომელიც გამოდიოდა ვენაში 1864 წლიდან. — **554.**

119 გაზეთ «პროლეტარის» 25-ე ნომერში 1905 წლის 16 (3) ნოემბერს გამოქვეყნდა სტატია «გლეხთა ყრილობა» ვ. კალინინის (ვ. ა. კარპინსკის ფსევდონიმი) ხელმოწერით. ლენინმა ეს ჩანართი სტატიას გაუკეთა რედაქტირების დროს. — **559.**

120 «ნ ო ვ ა ი ა ჟ ი ზ ნ» — პირველი ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი; გამოდიოდა ყოველდღიურად 1905 წლის 27 ოქტომბრიდან (9 ნოემბრიდან) 3 (16) დეკემბრამდე პეტერბურგში. ვ. ი ლენინის ემიგრაციიდან პეტერბურგში ჩამოსვლის დროიდან, ნოემბრის დამდეგიდან, გაზეთი გამოდიოდა მისი უშუალო ხელმძღვანელობით. «ნოვაია ჟიზნ» ფაქტიურად რსდმპ ცენტრალური ორგანო იყო. გაზეთის უახლოესი თანამშრომლები იყვნენ ვ. ვ. ვოროვსკი, მ. ს. ოლმინსკი, ა. ვ. ლუნაჩარსკი და სხვები. აქტიურ მონაწილეობას იღებდა ა. მ. გორკი, რომელიც მატერიალურ დახმარებასაც უწევდა გაზეთს.

«ნოვაია ჟიზნის» მე-9 ნომერში 10 (23) ნოემბერს გამოქვეყნდა ლენინის პირველი სტატია «პარტიის რეორგანიზაციის შესახებ». შემდეგ კიდევ დაიბეჭდა მისი ათზე მეტი სტატია. გაზეთის ყოველდღიური ტირაჟი 80 ათას ეკზემპლარს აღწევდა.

«ნოვაია ჟიზნი» მრავალ რეპრესიას განიცდიდა. 27 ნომრიდან 15 ნომერს კონფისკაცია უყვეს და მოსპეს. 27-ე ნომრის გამოშვების შემდეგ 2 (15) დეკემბერს გაზეთი დახურა მთავრობამ. უკანასკნელი, 28-ე ნომერი გამოვიდა არალეგალურად. — **567.**

121 ვ ა ნ დ ე ა — საფრანგეთის პროვინცია, სადაც საფრანგეთის XVIII საუკუნის ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქაში იფეთქა ჩამორჩენი-

ლი რეაქციული გლეხობის კონტრრევოლუციურმა აჯანყებამ რევოლუციური კონვენტის წინააღმდეგ. აჯანყება მიმდინარეობდა რელიგიური ლოზუნგებით და მას ხელმძღვანელობდნენ კონტრრევოლუციური სამღვდელოება და მემამულეები. — **569.**

122 მატროსთა და ჯარისკაცთა აჯანყება კრონშტადტში დაიწყო 1905 წლის 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს). აჯანყებულებმა წამოაყენეს მოთხოვნები: დამფუძნებელი კრების მოწვევა საყოველთაო არჩევნების საფუძველზე, დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება, სიტყვის, კრებებისა და კავშირების თავისუფლება, მატროსთა და ჯარისკაცთა მდგომარეობის გაუმჯობესება. 28 ოქტომბერს (10 ნოემბერს) კრონშტადტის აჯანყება ჩაახშეს. — **570.**

ვ. ი. ლენინის

ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები

(*1905* წლის ივნისი — ნოემბერი)

1905

ივნისი — ივლისი. ვ. ი. ლენინი წერს წიგნს «სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში».

ივნისი, 28 (ივლისი, 11). ლენინი წერილში რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მიმართ წინადადებას იძლევა გააძლიერონ პარტიული ორგანიზაციების პოლიტიკური ხელმძღვანელობა ც. კ.-ის ფურცლებისა და ბიულეტენების რეგულარულად გამოცემით.

ივნისი, 29 (ივლისი, 12). ლენინი სწერს წერილს ცენტრალურ კომიტეტს საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში რსდმპ წარმომადგენლად გ. ვ. პლეხანოვის დანიშვნის პირობების შესახებ.

ივლისი, 5 (18). ლენინის დავალებით ნ. კ. კრუპსკაია წერილში რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის მიმართ სთხოვს მას გამოუგზავნონ კომიტეტის მიერ გამოცემული ი. ბ. სტალინის ბროშურა «გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე» და რეგულარულად უგზავნონ გაზეთი «ბორბა პროლეტარიატა» (რსდმპ კავკასიის კავშირის ორგანო).

ივლისი, 11 (24). წერილში საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მიმართ ლენინი ამხელს მენშევიკების გამთიშველ მოქმედებას.

ივლისი, 13 (26). გაზეთ «პროლეტარის» მე-9 ნომერში გამოქვეყნდა ლენინის სტატიები «რევოლუცია გვასწავლის» და «ბრაზიანი უძლურება».

ივლისი, 13 (26)-ზე გვიან. ლენინი წერს წინასიტყვაობას წიგნისათვის «სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში».

ივლისი, 15 (28). ლენინი წერილში ცენტრალური კომიტეტის მიმართ რჩევას იძლევა გააუქმონ ც. კ.-ის გადაწყვეტილება საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში რსდმპ წარმომადგენლად პლეხანოვის დანიშვნის შესახებ.

ივლისი, 20 (აგვისტო, 2). გამოქვეყნდა ლენინის სტატია «პროლეტარიატი იბრძვის, ბურჟუაზია ხელისუფლებისაკენ მიიპარება», როგორც გაზეთ «პროლეტარის» მე-10 ნომრის მოწინავე.

ივლისი, 27 (აგვისტო, 9). გაზეთ «პროლეტარის» მე-11 ნომერში გამოქვეყნდა ცნობა ნ. ლენინის წიგნის «სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში» გამოსვლის შესახებ.

ივლისი. ლენინი წერს წინასიტყვაობას ბროშურისათვის «მუშები პარტიული გათიშვის შესახებ».

ივლისი — აგვისტო. ლენინი რედაქციას უკეთებს კ. მარქსის ბროშურის «საოჯალაქო ომი საფრანგეთში» რუსულ თარგმანს მეორე გამოცემისათვის, რომელიც 1905 წელს ოდესაში გამოსცა «ბურეევესტნიკმა».

აგვისტო, 1 (14). ლენინი წერილში რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მიმართ კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს ც. კ.-ის რუსეთში მყოფ წევრთა (ბოგდანოვის, კრასინისა და სხვების) შემარიგებელ პოზიციას და მოითხოვს რსდმპ გამოთიშულ ნაწილთან (მენშევიკებთან) გაერთიანების საკითხის გადაწყვეტისას განუხრელად იხელმძღვანელონ პარტიის III ყრილობის გადაწყვეტილებებით.

აგვისტო, 8 (16). გაზეთ «პროლეტარის» მე-12 ნომერში გამოქვეყნდა ლენინის სტატია «ბულიგინის სათათბიროს ბოიკოტი და აჯანყება» (მოწინავე).

აგვისტო, 9 (22). გაზეთ «პროლეტარის» მე-13 ნომერში გამოქვეყნდა ლენინის სტატია ««პროლეტარის» რედაქციის პასუხი ამხანაგ «მუშის» შეკითხვებზე» და შენიშვნა მ. ნ. პოკროვ-

სკის სტატიის გამო «პროფესიული ინტელიგენცია და სოციალ-დემოკრატები».

აგვისტო, 16 (29). გაზეთ «პროლეტარის» მე-14 ნომერში გამოქვეყნდა ლენინის სტატიები: ««მეფის ერთობა ხალხთან და ხალხისა მეფესთან»» (მოწინავე), «შავი რაზმები და აჯანყების ორგანიზაცია», ««ლიბერალური» ერობელები უკვე უკან იხევენ!» და რედაქციის ბოლოსიტყვაობა გაზეთ «ბორბა პროლეტარიატა»-ს № 1-დან გადმობეჭდილი სტატიისათვის «მესამე ყრილობა კავკასიელი მენშევიკების სამსჯავროს წინაშე».

აგვისტო. ლენინი წერს წინასიტყვაობას ბროშურის «რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანები» მესამე გამოცემისათვის.

ლენინი წერს ბროშურის «მუშათა კლასი და რევოლუცია» გეგმას.

გამოდის ლენინის ბროშურა «აგრარული საკითხი და «მარქსის კრიტიკოსები»» (პირველი ოთხი თავის განმეორებითი გამოცემა).

აგვისტო, 23 (სექტემბერი, 5). გაზეთ «პროლეტარის» მე-15 ნომერში გამოქვეყნდა ლენინის სტატიები: «მონარქისტული ბურჟუაზიის კუდში ჩანჩალი თუ რევოლუციური პროლეტარიატისა და გლეხობის მეთაურობა?» (მოწინავე), «უაღრესად აბნეული გეგმის უაღრესად ნათლად გადმოცემა» და «ჩვენი პარტიული საქმეების გაცნობა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიისათვის».

აგვისტო, 25 (სექტემბერი, 7). ლენინი წერილში რსდმპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთში მყოფი წევრების მიმართ პროტესტს აცხადებს მათი შემარიგებელი პოზიციის გამო ტაქტიკის საკითხებში და გადაჭრით მოითხოვს თავის დროზე მიაწოდონ ინფორმაცია ცენტრალური ორგანოს «პროლეტარის» რედაქციას ც. კ.-ის მუშაობის შესახებ.

სექტემბერი, 1 (14). გაზეთ «პროლეტარის» მე-16 ნომერში გამოქვეყნდა ლენინის სტატიები: «სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულება გლეხთა მოძრაობისადმი» (მოწინავე), «რა სურთ და რისი ეშინიათ ჩვენს ლიბერალურ ბურჟუებს?» და «თვითწარმოშობის თეორია».

ლენინი წერილში პ. ა. კრასიკოვის მიმართ იძლევა მითითებას რსდმპ ადგილობრივი კომიტეტების განმტკიცებისა და გაზეთ «პროლეტარის» რედაქციასთან პეტერბურგის კომიტეტის უფრო მჭიდრო და საქმიანი კავშირურთიერთობის დამყარების აუცილებლობის შესახებ.

სექტემბერი, 2 (15). ლენინი წერილში ცენტრალური კომიტეტის მიმართ მოითხოვს თავის დროზე მიაწოდონ მას ინფორმაცია ც. კ.-ის რუსეთში მუშაობის შესახებ.

სექტემბერი, 8 (16). ლენინი წერილში საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მიმართ ატყობინებს მას, რომ რსდმპ ცენტრალური კომიტეტი თანახმაა კონფერენციის მოწვევისა, რომლის წინადადებას იძლევა საერთაშორისო სოციალისტური ბიურო რსდმპ შიგნით არსებულ უთანხმოებასთან დაკავშირებით.

სექტემბერი, 7 (20). ლენინი წერილში ს. ი. გუსევის მიმართ მიუთითებს, რომ აუცილებელია «პროლეტარის» რედაქციას მიმართონ რუსეთიდან ჩამოსულმა პარტიულმა მუშაკებმა ბოლშევიკური ტაქტიკისა და მისი პრაქტიკულად გატარების საკითხებზე.

10 (23) სექტემბერზე გვიან. ლენინი რუსი ემიგრანტებისათვის შვეიცარიაში კითხულობს რეფერატს თემაზე ბულიგინის სათათბიროს მიმართ პარტიის ტაქტიკის შესახებ.

სექტემბერი, 13 (26). გაზეთ «პროლეტარის» მე-18 ნომერში გამოქვეყნდა ლენინის სტატიები: «მეგობართა შეხვედრა» (მოწინავე), «იკამათეთ ტაქტიკაზე. მაგრამ მოგვეცით გარკვეული ლოზუნგები!», «პარლამენტარიზმობანას თამაში», «თავდაცვიდან თავდასხმაზე», «მომენტისათვის» და ჩანართი ვ. ვოროვსკის სტატიაში «ლიბერალური კავშირები და სოციალ-დემოკრატია».

შუა სექტემბერი. რსდმპ ც. კ.-ის პოპულარული ორგანოს «რაბოჩის» მე-2 ნომერში გამოქვეყნდა ლენინის მიერ დაწერილი მიმართვა «რსდმპ ცენტრალური ორგანოს რედაქციისაგან» პარტიის ყველა ორგანიზაციისადმი.

სექტემბერი, 20 (ოქტომბერი, 3). გაზეთ «პროლეტარის» მე-19 ნომერში გამოქვეყნდა ლენინის სტატია «საერობო ყრილობა».

ლენინი სწერს ორ წერილს რსდმპ ცენტრალურ კომიტეტს, სადაც იძლევა მითითებებს რსდმპ IV ყრილობისთვის მომზადებისა და პარტიული მუშაობის ხელმძღვანელობისათვის პოლიტიკური ლიტერატურის მნიშვნელობის შესახებ.

სექტემბერი, 25 (ოქტომბერი, 8). ლენინი წერილში ცენტრალური კომიტეტის მიმართ იტყობინება მენშევიკების სამხრეთ რუსეთის კონფერენციის გადაწყვეტილებას საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში მენშევიკებისგან პლეხანოვის წარმომადგენლობის შესახებ და წინადადებას იძლევა საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში წარმომადგენლად ბოლშევიკებისგან დაინიშნოს ვ. ვ. ვოროვსკი.

სექტემბერი, 27-მდე (10 ოქტომბრამდე). ლენინი წერს სტატიას «არავითარი სიყალბე! ჩვენი ძალა სიმართლის თქმაშია!» და «გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის იენის ყრილობა».

სექტემბერი, 27 (ოქტომბერი, 10). გაზეთ «პროლეტარის» მე-20 ნომერში გამოქვეყნდა ლენინის სტატიები: «სოციალიზმი და გლეხობა» (მოწინავე). «ბურჟუაზია მაძღარი და ბურჟუაზია მწყურვალი», «მემამულეები სათათბიროს ბოიკოტის შესახებ», «პარტიული გაერთიანების საკითხისათვის», «გაჯავრებული პასუხი», «ახალი მენშევიკური კონფერენცია» და «რსდმპ წარმომადგენლობა საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში».

ლენინი წერს სტატიას «სისხლისმღვრელი დღეები მოსკოვში».

სექტემბერი, 30 (ოქტომბერი, 13). ლენინი წერილში ს. ი. გუსევის მიმართ აღნიშნავს პროფესიული კავშირებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების აუცილებლობას.

სექტემბერის დამლევი. ლენინი წერს მონასახს სტატიისა «ბურჟუაზია მძინარე და ბურჟუაზია გამოღვიძებული».

სექტემბერი — ოქტომბერი. რსდმპ ცენტრალური კომიტეტი და ცალკე მოსკოვის კომიტეტი არალეგალურად და ხელახლა სცემს რუსეთში ლენინის წიგნს «სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში».

რსდმპ მოსკოვის კომიტეტი არალეგალურად და ხელახლა სცემს ლენინის ბროშურას «სოფლის ღარიბებს», ხოლო იმავე ბროშურას გამომცემლობა «მოლოტი» ლეგალურად სცემს პეტერბურგში სათაურით «სოფლის საჭიროებანი. (სოფლის ღარიბებს)».

ოქტომბრის დამდეგი. ლენინი წერს შენიშვნას ა. ნ. პოტრესოვის (სტაროვერის) წინააღმდეგ სათაურით «სოციალ-დემოკრატიული სულიკო».

ოქტომბერი, 8 (16). ლენინი წერილში რსდმპ პეტერბურგის კომიტეტთან არსებული მებრძოლი კომიტეტის მიმართ იძლევა მითითებას შექმნან რევოლუციური არმიის მებრძოლი რაზმები შეიარაღებული აჯანყებისათვის.

ოქტომბერი, 4 (17). გაზეთ «პროლეტარის» 21-ე ნომერში გამოქვეყნდა ლენინის სტატიები: «პოლიტიკური გაფიცვა და ქუჩის ბრძოლა მოსკოვში» (მოწინავე) და «ისკრული ტაქტიკის უკანასკნელი სიტყვა ანუ სასაცილო არჩევნები, როგორც აჯანყების ახალი წამაქეზებელი მოტივები».

4 და 11 (17 და 24) ოქტომბერს შუა. პირველად გამოქვეყნდა ლენინის მიერ დაწერილი პარტიის III ყრილობის გადაწყვეტილებათა პროექტები და ყრილობაზე წარმოთქმული მოხსენებები და სიტყვები წიგნში «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მესამე მორიგი ყრილობა. ოქმების სრული ტექსტი». გამოც. რსდმპ ცენტრალური კომიტეტისა, ჟენევა, 1905.

ოქტომბერი, 7 (20). ლენინი წერს რსდმპ ცენტრალური კომიტეტის სამეურნეო კომისიის წესდებას.

ოქტომბერი. 11 (24). გაზეთ «პროლეტარის» 22-ე ნომერში გამოქვეყნდა ლენინის სტატია «მოსკოვის ამბების გაკვეთილები», შენიშვნა «საზღვარგარეთელი ახალგაზრდობა და რუსეთის რევოლუცია» და მისი რეცენზია ი. ბ. სტალინის სტატიისა «პასუხად «სოციალ-დემოკრატს»».

ოქტომბერი, 12 (25). ლენინი წერილში ცენტრალური კომიტეტის მიმართ იტყობინება, რომ მან მიიღო ცნობა საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში რსდმპ წარმომადგენლად მისი დანიშვნის შესახებ.

ოქტომბერი, 18 (26). ლენინი წერს სტატიას «სრულიად რუსეთის პოლიტიკური გაფიცვა». სტატია გამოქვეყნდა მოწინავედ გაზეთ «პროლეტარის» 23-ე ნომერში 31 (18) ოქტომბერს.

ლენინი სწერს წერილს პეტერბურგში (მ. მ. ესენს) შეიარაღებული აჯანყების მომზადების გაძლიერების, ასობით და ათასობით მებრძოლი რაზმის მოწყობის აუცილებლობის შესახებ.

ოქტომბერი, 14 (27). ლენინი წერილში საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მიმართ იტყობინება, რომ რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლად კონფერენციაზე, რომლის მოწვევის წინადადება წამოაყენა საერთაშორისო სოციალისტურმა ბიურომ, დანიშნული არიან ვ. ი. ლენინი, ფ. ვ. ლენგნიკი და პ. პ. რუმიანცევი.

ოქტომბრის მეორე ნახევარი. ლენინი წერს სტატიებს: «რევოლუციური არმიის რაზმების ამოცანები» და «რა იმედებს ამყარებენ ლიბერალები სათათბიროზე».

ლენინი ადგენს ბროშურის გეგმას, რომლის საგანია კრიტიკა პ. ბ. აქსელროდის ნაშრომისა «სახალხო სათათბირო და მუშათა ყრილობა» (1905 წ.).

ოქტომბერი, 17 (30). ლენინი წერს კონსპექტს სტატიისას «ძალთა წონასწორობა».

ოქტომბერი, 18 (31). გაზეთ «პროლეტარის» 23-ე ნომერში გამოქვეყნდა ლენინის სტატიები: «პოლიტიკური დაჯგუფების პირველი შედეგები», «დამარცხებულთა ისტერიკა», «რევოლუციური რიგის ულტიმატუმი», «მინისტრ-კლოუნის გეგმები» და «მდგომარეობის გამწვავება რუსეთში».

ოქტომბერი, 19 (ნოემბერი, 1). ლენინი წერს სტატიას «რევოლუციის პირველი გამარჯვება» 17 ოქტომბრის მანიფესტის გამო. სტატია გამოქვეყნდა მოწინავედ გაზეთ «პროლეტარის» 24-ე ნომერში 7 ნოემბერს (25 ოქტომბერს).

ოქტომბერი, 20 (ნოემბერი, 2). ლენინი ჟენევაში რუსი სოციალ-დემოკრატების კრებაზე კითხულობს რეფერატს რუსეთის უკანასკნელი პოლიტიკური ამბების შესახებ.

ოქტომბერი, 25 (ნოემბერი, 7). გაზეთ «პროლეტარის» 24-ე ნომერში გამოქვეყნდა ლენინის სტატიები: «წვრილბურჟუაზიული და პროლეტარული

სოციალიზმი» და «ნიკოლოზ ერნესტის-ძე ბაუმანი» (ნეკროლოგი).

ოქტომბრის დამლევი. ლენინი ჟენევიდან სტოკჰოლმზე გავლით მიემგზავრება რუსეთში.

ნოემბერი, 2 (15). ლენინი წერს სტატიას «ორ ბრძოლას შუა», რომელიც შემდეგ გამოქვეყნდა მოწინავედ გაზეთ «პროლეტარის» 26-ე ნომერში 25 (12) ნოემბერს.

ნოემბერი, 8 (16). გაზეთ «პროლეტარის» 25-ე ნომერში მოწინავედ გამოქვეყნდა ლენინის სტატია «დასასრულის მოახლოება».

შინაარსი

წინასიტყვაობა IX

1905

სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში . . . . . 1—162

წინასიტყვაობა 3

1. საარსებო პოლიტიკური საკითხი 9
2. რას გვაძლევს რსდმპ III ყრილობის რეზოლუცია დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ? . . 13
3. რა არის «რევოლუციის გადამწყვეტი გამარჯვება ცარიზმზე»? 22
4. მონარქიული წყობილების ლიკვიდაცია და რესპუბლიკა 30
5. როგორ უნდა «წავწიოთ წინ რევოლუცია»? . . . 36
6. საიდან ემუქრება პროლეტარიატს საფრთხე ხელფეხშეკრული აღმოჩნდეს არათანამიმდევარ ბურჟუაზიასთან ბრძოლაში? 42
7. «მთავრობისაგან კონსერვატორების ჩამოშორების» ტაქტიკა 61
8. ოსვობოჟდენიელობა და ახალისკრელობა 66
9. რას ნიშნავს რევოლუციის დროს უკიდურესი ოპოზიციის პარტიად ყოფნა? 77
10. «რევოლუციური კომუნები» და პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა 81
11. რსდმპ III ყრილობისა და «კონფერენციის» ზოგიერთი რეზოლუციის გაკვრით შედარება 94
12. შესუსტდება თუ არა დემოკრატიული რევოლუციის გაქანება, თუ მას ბურჟუაზია ჩამოშორდება? . . . 101
13. დასკვნა. გავბედავთ თუ არა გამარჯვებას? . . . 115

ბოლოსიტყვაობა. ერთხელ კიდევ ოსვობოჟდენიელობა, ერთხელ კიდევ ახალისკრელობა 129

I. რისთვის აქებენ ბურჟუაზიულ-ლიბერალური რეალისტები სოციალ-დემოკრატიულ «რეალისტებს»? . 129
II. საკითხის ახალი «გაღრმავება» ამხ. მარტინოვის მიერ 138
III. დიქტატურის ვულგარულ-ბურჟუაზიული გამოხატულება და მარქსის შეხედულება დიქტატურაზე . . 149

დასკვნითი ნაწილი სტატიისა «პარიზის კომუნა და დემოკრატიული დიქტატურის ამოცანები» . . . 163

საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სამდივნოს ბრიუსელში . . . . . 164—169

რევოლუცია გვასწავლის . . . . . 170—182

ბრაზიანი უძლურება . . . . . 183—188

პირველადელი ვარიანტი წინასიტყვაობისა ბროშურისათვის «მუშები პარტიული გათიშვის შესახებ» . . 189—190

წინასიტყვაობა ბროშურისა «მუშები პარტიული გათიშვის შესახებ» . . . . . 191—198

პროლეტარიატი იბრძვის, ბურჟუაზია ხელისუფლებისაკენ მიიპარება . . . . . 199—211

ბულიგინის სათათბიროს ბოიკოტი და აჯანყება . 212—222

შენიშვნა რსდმპ საზღვარგარეთული ორგანიზაციების კონფერენციის რეზოლუციის გამო 223

შენიშვნა მ. ნ. პოკროვსკის სტატიის გამო «პროფესიული ინტელიგენცია და სოციალ-დემოკრატები» . 224—225

«პროლეტარის» რედაქციის პასუხი ამხანაგ «მუშის» შეკითხვებზე . . . . . 226—227

«მეფის ერთობა ხალხთან და ხალხისა მეფესთან» . 228—239

შავი რაზმები და აჯანყების ორგანიზაცია . . . 240—245

რედაქციის გოლოსიტყვაობა სტატიისათვის «მესამე ყრილობა კავკასიელი მენშევიკების სამსჯავროს წინაშე» 264

«ლიბერალური» ეროგელები უკვე უკან იხევენ? . . 247

მუშათა კლასი და რევოლუცია . . . . . 248—249

წინასიტყვაობა ბროშურის «რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანების» მესამე გამოცემისათვის . . . 250—251

შენიშვნა პ. ნიკოლაევის ბროშურის გამო «რევოლუცია რუსეთში» 252

მოწარჟისტული ბურჟუაზიის კუდში ჩანჩალი თუ რევოლუციური პროლეტარიატისა და გლეხობის მეთაურობა? . . . . . 253—268
უეღრესად აბნეული ბეგმის უაღრესად ნათლად გადმოცემა . . . . . 269—272
ჩვენი პარტიული საქმეების გაცნობა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიისათვის . . . . . 273—274
შენიშვნა სტატიის გამო «რუსეთის ფინანსები და რევოლუცია» . . . . . 275—276
სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულება გლეხთა მოძრაობისადმი . . . . . 277—288
რა სურთ და რისი ეშინიათ ჩვენს ლიბერალურ ბურჟუებს? . . . . . 289—296
თვითფარმოშობის თეორია . . . . . 297—304
წერილი საერთაშორისო სოციალისტურ გიუროს . 305—306
მეგობართა შეხვედრა . . . . . 307—318
იქამათეთ ტაქტიკაზე, მაგრამ მოგვეცით გარკვეული ლოზუნგები . . . . . 319—322
რა რჩევას აძლევენ სოციალ-დემოკრატები პროლეტარიატს სახელმწიფო სათათბიროს მიმართ? 320
პარლამენტარიზმოგანას თამაში . . . . . 323—343
ლიბერალური კავშირები და სოციალ-დემოკრატია . 344—345
თავდაცვიდან თავდასხმაზე . . . . . 346—349
მომენტისათვის . . . . . 350—351
რსდმპ ცენტრალური ორგანოს რედაქციისაგან . . 352—354
გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის იენის ყრილობა . . . . . 355—360
არავითარი სიყალბე! ჩვენი ძალა სიმართლის თქმაშია! *წერილი რედაქციის მიმართ* . . . . 361—366
ეგრეთწოდებული სომეხთა სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციის შესახებ 367
საერობო ყრილობა . . . . . 368—376
სოციალიზმი და გლეხობა . . . . . 377—388

ბურჟუაზია მაძღარი და ბურჟუაზია მწყურვალი . . 389—397
მემამულეები სათათბიროს ბოიკოტის შესახებ . . 398—402
პარტიული გართიანების საკითხისათვის . . . . 403—404
გაჯავრებული პასუხი . . . . . 405—406
ახალი მენშევიკური კონფერენცია . . . . . 407—408
რსდმპ წარმომადგენლობა საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში . . . . . 409—412
მკითხველებთან საუბრიდან 413
სისხლისმღვრელი დღეები მოსკოვში . . . . . 414—420
ბურჟუაზია მძიხარე და ბურჟუაზია გამოღვიძებული. სტატიის თემა . . . . . 421—422
სანქტ-პეტერბურგის კომიტეტთან არსებულ მერძოლ კომიტეტს . . . . . 423—426
პოლიტიკური გაფიცვა და ჟუჩის ბრძოლა მოსკოვში 427—437
«ისკრული» ტაქტიკის უკანასკნელი სიტყვა ანუ სასაცილო არჩევნები, როგორც აჯანყების ახალი წამაქეზებელი მოტივები . . . . . 438—460
შენიშვნა მ. ბორისოვის სტატიის გამო «პროფესიული მოძრაობისა და სოციალ-დემოკრატიის ამოცანების შესახებ» 461
ტრუბეცკოის გარდაცვალების გამო . . . . . 462—463
მოსკოვის ამბების გაკვეთილები . . . . . 464—475
«პროლეტარიატის ბრძოლა» . . . . . 476—479
საზღვარგარეთელი ახალგაზრდობა და რუსეთის რევოლუცია 480
წერილი საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს . 481—482
სრულიად რუსეთის პოლიტიკური გაფიცვა . . . . 483—487
პოლიტიკური დაჯგუფების პირველი შედეგები . . 488—498
დამარცხებულთა ისტორიკა . . . . . 499—501
რევოლუციური რიგის ულტიმატუმი . . . . . 502—503
მინისტრ-კლოუნის გეგმები . . . . . 504—505
მდგომარეობის გამწვავება რუსეთში . . . . . 506—508

შენიშვნა სტატიის გამო «ბრიტანეთის მუშათა მოძრაობა და ტრედ-უნიონთა კონგრესი» 509

ქალთა წონასწორობა . . . . . 510—511

სოციალ-დემოკრატიული სულიკო 512

პ. ბ. აქსელროდის ბროშურის შესახებ «სახალხო სათათბირო და მუშათა ყრილობა». ბროშურის გეგმა . . . . . 513—516

რევოლუციური არმიის რაზმების ამოცანები . . . 517—522

რა იმედებს ამყარებენ ლიბერალები სათათბიროზე . 523—524

რევოლუციის პირველი გამარჯვება . . . . . 525—534

უკანასკნელი ცნობები 535

ნიკოლოზ ერნესტის-ძე ბაუმანი . . . . . 536—537

წვრილბურჟუაზიული და პროლეტარული სოციალიზმი . . . . . 538—548

დასასრულის მოახლოება . . . . . 549—558

ჩანართი ვ. კალინინის სტატიაში «ბლეხთა ყრილობა» 559

ორ ბრძოლას შუა . . . . . 560—571

შენიშვნები . . . . . 573—595

ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები . . . . . 597—606

ილუსტრაციები

გარეკანი ვ. ი. ლენინის ბროშურისა «სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში».— 1905 წ. . . 2—3

157-ე გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში». — 1905 წ. . 113

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «სოციალიზმი და გლეხობა». — 1905 წ. . . . . 378—379

პირველი გვერდი გაზეთისა «ბორბა პროლეტარიატა» № 2 ვ. ი. ლენინის სტატიით «რევოლუციური პროლეტარიატის დემოკრატიული ამოცანები». — 1905 წ. 477

ტირაჟი 20.000.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/II — 1950.
УЕ 00147. ნაბეჭდ ფორმათა რაოდ. 38³/₈.
ფასი 8 მან.

*

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
პოლიგრაფიული მრეწველობის, გამომცემლობისა
და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს
ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი.
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.
შეკვეთის № 1455.

Комбинат печати Управления по делам
полиграфической промышленности,
издательств и книжной торговли
при Совете Министров Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.